

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

---

მხარდამხმარი ორგანიზაციები:

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

SUPPORTING ORGANIZATIONS:

GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

AKAKI TSERETELI KUTAISI STATE UNIVERSITY

პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილ  
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის  
მასალების კრებული

ეროვნული ეკონომიკები

და

გლობალიზაცია

(28-29 ივნისი, 2012)

Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference  
Dedicated to the 60<sup>th</sup> Birth Anniversary of Professor George Tsereteli

NATIONAL ECONOMIES

AND

GLOBALIZATION

(28-29 June, 2012)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi 2012

UDC (უპკ) 061.62:33(479.22)(063)

პ – 323

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2012 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

**Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2012**

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ლ. ბელინსკაია, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ი. ბრიტჩენკო, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ა. ვიტასი, მ. იბრაგიმოვი, ე. კაკულია, გ. კასნაუსკიენე, ი. კერიმლი, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ლ. ჩიქავა, თ. ჩხეიძე

**Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnania-Kepuladze, L. Belinskaja, N. Bibilashvili (Executive Secretary), I. Britchenko, L. Chagelishvili, L. Chikava, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, M. Ibragimov, Sh. Gogiashvili, E. Kakulia, G. Kasnauskiene, I. Kerimli, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, S. Pavliashvili, A. Silagadze, A. Vitas.**

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული  
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli  
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი

**Organizing Group of the Conference:**

**T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

2012

ISBN 978-9941-9168-4-7

## წინანების, საქართველოს ეკონომიკის სექტორი

დავით ბიძინაშვილი

### ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის ზრდის ტენდენციები საქართველოში

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, 2011 წელი საქართველოსათვის წარმატებული აღმოჩნდა.

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებმა ქვეყნის ეკონომიკური რეიტინგი გაზარდეს. ეს მოხდა იმ ფონზე, როდესაც დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ქულები ჩამოაკლეს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 6,5%-იანი ეკონომიკური ზრდა როგორც დასაქმებაზე, ისე სხვა ეკონომიკური სექტორების განვითარებაზე პირდაპირ აისახება.

კრიზისის პირობებში ქართული ეკონომიკის ასეთი ზრდა სერიოზული განაცხადია. თუმცა, ბიზნესის განვითარებისა და წარმატებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ვინ არის შენი ქვეყნის მეზობელი. ჩვენი მიღწევა არის ის, რომ გავხსენით ბაზარი, შევამცირეთ გადასახადები და შევამსუბუქეთ მარეგულირებელი წესები. ასეთ პირობებში როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის ბიზნესის კეთება საინტერესო გახდა.

2011 წელს ქართულმა ღვინომ საერთაშორისო კონკურსებზე წარმატებას მიაღწია, რასაც ექსპერტები რუსეთის ბაზრის ჩაკეტვასაც უკავშირებენ. რუსეთის ბაზრის ჩაკეტვამ გვაიძულა, ახალ და ისეთ ბაზრებზე გვეფიქრა, სადაც ფალსიფიცირებული ღვინო არ გავიდოდა. წლებიწინ წარმატებები იმის დასტურია, რომ ქართულმა კომპანიებმა ღვინის ხარისხი გაზარდეს და შედეგად არ დააყოვნა.

2011 წელს ქართულმა ალკოჰოლურმა სასმელებმა საერთაშორისო კონკურსებში არაერთი გრანპრი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ქართულ ალკოჰოლურ სასმელებს ჯერ ჰონკონგის საერთაშორისო ფესტივალზე, შემდეგ კი ისრაელში გამართულ კონკურსში დიდი წარმატებები ხვდა წილად.

ჩინეთიდან შატო მუხრანის ჭაჭა და ქინძმარაულის მარანი ოქროს მედლებით დაბრუნდა. გრანპრის მფლობელი კი ქინძმარაულის მარნის მუხის კასრში დაძველებული საფერავი გახდა. ამავე ფესტივალში ქართულმა სასმელმა 1 ვერცხლი და 13 ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ფესტივალში 37 ქვეყნიდან 930 კომპანია მონაწილეობდა.

2011 წლის ბოლოს ქართულმა ღვინომ ისრაელის ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო კონკურსზე მორიგი წარმატება მოიპოვა. Terravino 2011-ის დაჯილდოებაზე ქართულმა სასმელმა 9 ოქროს და 6 ვერცხლის მედალი აიღო, სარაჯიშვილის „ენისელი“ კი გრანპრის მფლობელი გახდა.

ამჟამად ქართული ღვინის პირველი ექსპორტიორი ქვეყანა უკრაინაა, სადაც რუსეთის ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინის გაყიდვები წლიდან წლამდე განუხრელად იზრდება. უკრაინის შემდეგ მოდის ბელორუსი და ყაზახეთი. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, აღმოსავლეთ ევროპის ე.წ. ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან ქართული ღვინო ყველაზე პოპულარული პოლონეთშია. ქართული ღვინო ასევე კარგად იყიდება ბალტიისპირეთში. შედარებით ახალი ბაზრებია ჩინეთი და აშშ, თუმცა ღვინის ეროვნულ სააგენტოში იმედი აქვთ, რომ მომავალში ქართული ღვინის ერთ-ერთი მთავარი რეალიზატორი სწორედ აშშ გახდება, რომელიც საქართველოსთან, სამხედრო და პოლიტიკური სფეროს გარდა, ეკონომიკურადაც აპირებს თანამშრომლობას.

სხვათა შორის, ამერიკასთან ქართული ღვინით ვაჭრობის კუთხით, გარკვეული პროგრესი ბოლო წლებში უკვე შეიმჩნეოდა. სხვადასხვა დიდი თუ პატარა ამერიკული სავაჭრო ქსელის წარმომადგენლები და ღვინის ვაჭრები საქართველოში რამდენჯერმე

უკვე იყვნენ ჩამოსულნი და სწორედ მათ მიერ დაიგეგმა შემდგომი მოქმედების სტრატეგია.

ამერიკელები ქართველ მეღვინეებს მთავარ პირობად ღვინის ხარისხის აუცილებელ დაცვას უყენებენ. უკვე 2012 წლის ზაფხულ-შემოდგომიდან, შეერთებულ შტატებსა და კანადაში ქართული ღვინის პირველი დიდი პარტიები ჩავა და ამაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ამერიკელებთან კონტრაქტებს ამ ეტაპზე ძირითადად დიდი ქართული კომპანიები დებენ, თუმცა ქართული ღვინის რეალიზატორები ამბობენ, რომ ასევე დიდი დაინტერესება ე.წ. „ბიო“ ღვინის მწარმოებელი შედარებით პატარა სეგმენტის მიმართ.

ამჟამად ჩვენი ქვეყნიდან ღვინის ექსპორტს (ძირითადად უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპასა და ყაზახეთში) აწარმოებს 85 სხვადასხვა სიმძლავრის ღვინის კომპანია და ინდივიდუალური მეწარმე, რაც აშკარა წინ გადადგმული ნაბიჯია. 2011 წელს საქართველოს გარეთ 37%-ით მეტი ქართული ღვინო გაიყიდა, ვიდრე 2010 წელს. ღვინის ექსპორტის ასეთ დიდ მატებას ბევრი ქართული კომპანია ნამდვილად არ ელოდა და რაკი უახლოეს პერსპექტივაში ამერიკა-კანადის ბაზარიც გამოჩნდა, თითქმის ყველა დიდი კომპანია ღვინის წარმოების გაზრდას აპირებს. იმედია, ღვინის წარმოების გაზრდა ღვინის ხარისხის დაცემის ხარჯზე არ მოხდება, ისე, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა, როდესაც ღვინის ჭარბწარმოებამ როგორც ყურძნის, ასევე ღვინის ხარისხის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია.

დღეს ბევრი მეღვინე ფიქრობს, რომ ამჟამად ქართულ მეღვინეობაში არსებული პრობლემების დიდი ნაწილი სწორედ საბჭოთა კავშირის დროს დაწყებული პრობლემების გაგრძელებაა (ღვინის ხარისხის რეგულაციის დაბალი დონე, მობერებული ვენახების ნაგვიანები განახლება, ღვინის ხარისხთან შედარებით გაბერილი ფასები და სხვა...), თუმცა, ყველაფრის საბჭოთა კავშირის პერიოდზე გადაბრალეზაც არ იქნებოდა სწორი, რადგან გასული საუკუნის 90-იან წლებში, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ქართული ღვინის ფალსიფიკაციამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. ამან ჩვენი იმიჯი ძალიან დააზარალა.

დღეს საქართველოდან ძირითადად შემდეგი დასახელების ღვინოები გადის: „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ახაშენი“. ხოლო ე.წ. სუფრის ღვინოებიდან კი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ევროპაში ყველაზე დიდი პოპულარობით „ალაზნის ველი“ სარგებლობს (ღვინის დასახელების ჩამონათვალი მოცემულია გაყიდვების რაოდენობის მიხედვით). როგორც ჩანს, გასული ათწლეულების ტენდენცია დიდად არ შეცვლილა და ჩვენი ქვეყნის გარეთ ძირითადად სწორედ იმ დასახელების ბრენდებია პოპულარული, რომლებიც ყოველთვის პოპულარული იყო.

ბოლო პერიოდში ძალზე გამოცოცხლდა პატარა კომპანიების „ფლანგი“. დღეს პატარა კომპანიებსა და მცირე ინდემწარმეებს თავისი წვლილი შეაქვთ ღვინის ექსპორტის საერთო რაოდენობაში. აღსანიშნავია, რომ ისინი განსაკუთრებით აქტიურები არიან ტრადიციული ქვევრის მიმართულებით. ეს ღვინოები ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, ასევე კანადაში გადის.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე მეწარმეების მიერ გასაყიდად გატანილი ღვინის საერთო რაოდენობა დიდი კომპანიების პროდუქციას ბევრად ჩამოუვარდება, წარმოებული ღვინის რაოდენობის ზრდა მაინც სახეზეა. ამას გარდა, ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის ყბადაღებული ემბარგოს შემდეგ, პატარა კომპანიები და ე.წ. მცირე მარნები საქართველოში სოკოებივით მრავლდება. თუკი ადრე მცირე მარნების არეალი ძირითადად კახეთით შემოისაზღვრებოდა, ახლა იმერეთი, ქართლი და გურიაც გააქტიურდა. სხვადასხვა საერთაშორისო ღვინის სიმპოზიუმებსა და ფესტივალებზე, კახური ღვინის გვერდით, ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში წარმოებულ ნატურალურ ღვინოსაც ხშირად ნახავთ. ეს ტენდენცია იძლევა საფუძვლიან იმედებს, რომ დასავლეთის ბაზარზე ქართული

ღვინო უახლოეს მომავალში მრავალფეროვნად იქნება წარმოდგენილი, რაც ქართველი მეღვინეებისათვის შემოსავლის ზრდის წყაროც გახდება.

ამავე დროს საქართველოში ქართული ღვინის საერთაშორისო ინსტიტუტი აშენდება. ინსტიტუტში მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიით აღჭურვილი კვლევითი ცენტრი იფუნქციონირებს. ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, სამომავლოდ, ღვინის სკოლის გახსნაც იგეგმება, სადაც წამყვანი ქართველი სპეციალისტები კახეთის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს მეღვინეობის, მევენახეობის, ღვინის მარკეტინგისა და სხვა მონათესავე დისციპლინების საფუძვლებს შეასწავლიან. წარმატებულ სტუდენტებს უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად სახელმწიფო დაფინანსებას ჰპირდება.

ქართული ღვინო – ეს საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი პოტენციალია. საქართველოში არის ძალიან კარგი კლიმატური პირობები, ძალიან კარგი სახეობები, რაც სხვა ქვეყანაში არ არის. ტექნოლოგია და მარკეტინგული უნარები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე. ამ ყველაფერში მას ღვინის ინსტიტუტი დაეხმარება.

ღვინის კომპანიები ღვინის ინსტიტუტის დაარსებას მიესალმებიან და აცხადებენ, რომ ამ დარგში პროფესიონალებზე მოთხოვნა დიდია და, ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად, მოთხოვნა უფრო გაიზრდება.

ღვინო სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ტურისტული კუთხითაც და, ზოგადად, როგორც ბიზნესი. ღვინის ტურიზმის განვითარება საქართველოში დაწყებულია. ეს ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის ცნობადობას, ისე რეგიონის განვითარებას. დღეისათვის, ღვინის სარესტორნო და ტურისტული ბიზნესის განვითარების კვლადაკვალ, ღვინის ტურიზმის აღორძინება დაიწყო. ღვინის კომპანიები ინფრასტრუქტურის იმგვარ მოდერნიზებაზე ფიქრობენ, რის შემდეგაც ადვილად შეძლებენ ტურიზმში ჩართვას. ეს მათთვის დამატებითი შემოსავალიც იქნება და პოტენციურ კლიენტებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაც.

მაინც რა უნდა შესთავაზონ ტურისტებს ღვინის კომპანიებმა? ამ კითხვას ბევრი მარტივად უპასუხებს – ქართული სუფრა და ღვინო. თუმცა, კიდევ უფრო კრეატიული და მრავალმხრივი მიდგომაც არის შესაძლებელი. ნადიმისა და გართობის გარდა, კერძო კომპანიაში ტურისტების სტუმრობას შემეცნებითი და საგანმანათლებლო დატვირთვაც შეიძლება ჰქონდეს.

თეორეტიკოსები, რომლებიც მსოფლიო ტურიზმის ტენდენციებს იკვლევენ, თვლიან, რომ დაახლოებით ათი წლის შემდეგ თემატური ტურიზმი სუპერპოპულარული გახდება, განსაკუთრებით კი მისი მნიშვნელოვანი სეგმენტი – ღვინის ტურიზმი.

დღეს ღვინის რეგიონების ტურისტებისათვის, გარდა ტრადიციული ღვინის მარშრუტებისა და სპეციალური ცერემონიალებისა, თითქმის ყველაფერია შესაძლებელი, ვენახში პიკანტური ქორწილის გადახდიდან თუ ვენახების თაგზე საჭაერო ბურთით ფრენიდან დაწყებული, გლეხებთან ერთად ყურძნის კრეფითა და ცხენებით ჯირითით დასრულებული. ტურში შედის შემეცნებითი ექსკურსიები, ვენახებისა და მარნების მონახულება, ღვინის საწარმოს მონახულება, ასევე მონაწილეობა თემატურ კულტურულ ღონისძიებებში, მაგალითად ღვინის დაწურვის დღესასწაულზე და ა.შ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ღვინის ტურის დროს შეგიძლიათ შეიძინოთ ორიგინალური ღვინო და საჩუქრადაც კი მიიღოთ იგი. ამ ტურში მხოლოდ დეგუსტაციისთვის არავინ მიდის, აქ მთავარი იმ საიდუმლოსთან ზიარებაა, რომლის მიხედვითაც მზადდება ესა თუ ის ავთენტური ღვინო.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც ამჟველოგრაფული, ისე ღვინის ტექნოლოგიის თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთი თვალსაჩინო იყო. ქართველი მეურნენი შთამომავლობით გადმოცემული, მამაპაპური ცოდნა-გამოცდილებით უადრესად განსწავ-

ლულნი, შეუდარებლები იყვნენ. საქართველოს თითოეულ მხარეს საკუთარი ვაზის ჯიშები და ღვინის დაყენების შესაბამისი ტექნოლოგია ჰქონდა, რომელიც ტოლს არ უდებდა საფრანგეთისა და სხვა მოწინავე ევროპული ქვეყნების ვაზის კულტურას.

თუ წარსულში ქართველთა დასაქმების უმთავრესი საშუალება ვაზის კულტურა იყო, დღეს ვენახის გამშენებელი და ღვინის დამყენებელი მეურნე თითებზე ჩამოსათვლელია. უკუღმართად ჩატარებული ე.წ. „აგრარული რეფორმის“ მეოხებით სოფლები გაუკაცრიელდა, მამაპაპური საცხოვრებელიდან აყრილი მოსახლეობა ხსნას უცხოეთში ამოდ ეძებს, ქართული სოფელი კი ჩვენს თვალწინ კვდება. ასეთ პირობებში მევენახეთა საშუალო ფენის შექმნაზე ლაპარაკი ზედმეტია. მრავალათასწლოვანი ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობა არსებობის საშიშ ზღვარზეა. ვიმედოვნებთ, ხელისუფლება სათანადო დასკვნებს გააკეთებს, მიმდინარე უარყოფით მოვლენებს კრიტიკულად შეაფასებს და აგრარულ რეფორმას ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზით წაიყვანს. მით უმეტეს, დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება...

ამჟამად უკიდურესად შეზღუდულია ვაზის ჯიშობრივი ასორტიმენტი, ხოლო მამაპაპური მარნების უმეტესობა გაჩანაგებულია. სადაც ნაგებობანი და იარაღ-ჭურჭელი გადარჩენილია, ფაქტობრივად უმოქმედოა. თუ სადმე ოჯახში დღეს ღვინოს აყენებენ, ძირითადი ჭურჭელი შუშისაა, ხოლო ამ ბოლო ხანებში-პლასტმასისა. საწნახლები და ქვევრები დეკორაციებად იქცნენ... ამას წინათ, მევენახეობა-მეღვინეობის „გაცოცხლებულმა“ ინსტიტუტმა თავის პრიორიტეტად ღვინის ტურიზმი გამოაცხადა, მაგრამ თუ ქართული ეროვნული ეთნოგრაფია მკვდრეთით არ აღდგა, ღვინის ტურიზმს არაფერი ეშველება.

ტურიზმის ინდუსტრია დღეს სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოსთვის, როგორც კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოსათვის, უპირველესი დარგია ღვინის ტურიზმი და ეს რომ პრაქტიკულად განხორციელდეს, ყოველი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შემდეგი ღონისძიებები უნდა გატარდეს:

1. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციულ კერებში აღირიცხოს დღეს მოქმედი მევენახე-მეღვინეები, რომლებიც შთამომავლობით მისდევენ მეურნეობის ამ დარგს; აქვთ ტრადიციული მარნები და ინვენტარი, ფლობენ მამაპაპურ წესზე ღვინის დაყენების ხელოვნებას. ადგილებზე თითოეული ასეთი ოჯახი, ფიქსაციის თანამედროვე საშუალებებით, შესწავლილი უნდა იყოს და სათანადო მომზადების შემდეგ ჩაირიცხოს ღვინის ტურიზმის მარშრუტში.

ასეთი ღონისძიებების გარეშე საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელია.

2. ეროვნულმა ქვევრმა და ქვევრის ღვინომ ქრისტეს აქვთ მესამე ათასწლეულში, როგორც იქნა, აღიარება პოვა. საქართველო მექვევრეობის ერთ-ერთი უპირველესი და უძველესი კერაა. უმი – სველი თიხისაგან ამხელა ჭურჭლის აშენება მსოფლიოში უნიკალური მოვლენაა და ამ სასწაულის პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ საქართველოში შეუძლიათ. ჯერჯერობით მექვევრეობის კერები ცოცხალია და გადაუდებელია მოქმედ მექვევრეთა აღრიცხვა. მათ კულტურული მემკვიდრეობის გადამრჩენ ხელოვანთა ტიტული უნდა მიენიჭოთ და მოქმედების სრული თავისუფლება და მუშაობის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ.

საუკეთესო მექვევრეთა გამოვლენის მიზნით საქართველოს მასშტაბით უნდა ჩატარდეს კონკურსი – ვინც ყველაზე დიდ ქვევრს ააშენებს! ყველა მექვევრეს, რომელიც ამ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს, შრომა უნდა აუნაზღაურდეს. კონკურსში გამარჯვებულები არა მარტო დჯილდოვდნენ, არამედ სახალხო ოსტატებად უნდა აღიარონ, მუშაობისა და ნედლეულის მოპოვების თავისუფლება უნდა მიეცეთ.

ქვევრი და საერთოდ თიხის ეროვნული ჭურჭელი ქართველი ხალხის ყოფას უნდა დაუბრუნდეს.

საქართველოს მასშტაბით უნდა ჩატარდეს საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, რათა გამოვლინდეს მივიწყებული და მოქმედი ტრადიციული მარნები, საწნახლები, საწნახეები (წბერები) და ამ დარგთან დაკავშირებული ყველა ინვენტარი, რომლითაც მოფენილია მთელი ჩვენი ქვეყანა. მათი აღრიცხვა და დაცვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ბაზაზე უნდა განხორციელდეს. გადაუდებელი სამუშაოებია ჩასატარებელი დასავლეთ საქართველოში, სადაც გრანდიოზული ხის საწნახლები და სხვა ინვენტარი ხელაღებით ისპობა. მარნებს და იმ ნივთებს, რომლებიც მეცნიერულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული. სასურველია, ისინი ტურისტულ მარშრუტებშიც იყოს გათვალისწინებული.

ვიდრე საქართველოს მეცნიერული პოტენციალი გააჩნია, ამ ურთულეს და უდიდეს სამუშაოს მეცნიერები სიამოვნებით შეასრულებენ თუ მინიმალური დაფინანსება და მუშაობის პირობები ექნებათ.

ვიმედოვნებთ, ხელისუფლება და შესაბამისი დარგების მესვეურები კეთილ ნებას გამოიჩინენ და ამ საშვილიშვილო საქმის შესასრულებლად სათანადო ღონისძიებებს დროულად გაატარებენ.

ბოლოს კი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: მოლოდინისამებრ, თუკი ქართული ღვინის ექსპორტი მომავალ წლებში გაიზრდება, რა გზები და ხერხები არსებობს იმისათვის, რომ რიგითმა ქართველმა მეღვინემ თავისი ღვინო უცხოეთში გაიტანოს?... ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობა ყველა მეღვინეს ურჩევს, რომ მათ ითანამშრომლონ ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან. ითანამშრომლონ რთველიდან დაწყებული, ღვინის ბოთლში ჩამოსხმამდე და პროცედურულად დოკუმენტაციის მომზადებამდე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ჩამოსხმული ღვინო დაექვემდებაროს ექსპორტს. მის შემდეგ კი, ღვინოს დიდი ბაზრებისაკენ გზა ხსნილი ექნება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)
2. <http://geostat.ge>
3. <http://maf.ge>
4. <http://www.economy.ge>

*Bidzinashvili David*

#### **EXPORT GROWTH RATES OF ALCOHOLIC BEVERAGES IN GEORGIA SUMMARY**

In terms of economic growth, for the year 2011 proved to be successful.

International rating company's rating increased.

This occurred against the background of the Western European countries, these organizations Sixth minute points.

Experts believe that the 6.5% economic growth in both employment and other economic sectors will influence the development.

Crisis, Georgian economics of such a significant increase in applications.

However, it is very important for business development and success, who is your neighbor's.

Our achievement is that we have opened markets, reduced taxes and to mitigate the regulatory burden. In such conditions, both foreign and local investors have become interested in doing business.

In 2011 Georgian wine has achieved success in international competitions, which is close to the Russian market with:

Has forced the closing of the market, new markets and to think, there would not be counterfeit wine. Despite the competition, this year's success to the evidence that the Georgian wine companies have increased the quality and the results were not long in coming.

The number of alcoholic beverages in 2011, the international Grand Prix competitions, gold, silver and bronze medals won. Hong Kong International Festival of alcoholic beverages in Georgian times, followed by Israel at the competition a great success.

China Chateau Mukhrani Chacha and Knight in the Panther gold medals returned. The owner of the Grand Knight in the Wine Cellar aged in oak. At the same festival in Georgian silver and 13-bronze medals were won 1 drink. 37 countries from 930 companies took part in the festival.

By the end of 2011, Georgian wine International Wine and Spirits Competition in Israel, another success. Terravino 2011- it's awarded 9 gold and 6 silver medal at the Georgian drinking. Sarajishvili "Portal" has become the owner of the Grand Prix.

The first export of Georgian wine to Ukraine, the Russian embargo on Georgian wine sales after increasing steadily from year to year. After coming to Ukraine, Belarus and Kazakhstan. As for the countries of Eastern Europe, Eastern Europe, the so-called The former socialist countries from the camp of Georgian wine is most popular in Poland. Georgian wine is also good for the Baltic States. Relatively new markets of China and the United States, but the wine of the National Agency for the hope that the Georgian wine is one - will become a major distributor in the United States, which with the exception of military and political spheres, to cooperate economically.

Americans are the main condition for the Georgian winemakers wine quality necessary to protect against. The 2012 summer - autumn, the United States and Canada will arrive in the Georgian wine to the big parties and that the work is already underway. Contracts with the Americans at this stage of a large Georgian companies into the Georgian wine distributors say they are also great interest in the so-called "Bio" is relatively small segment of the wine.

*ნაზი გვარამია*

### **საერთაშორისო ბამოცდილება და აუდიტის რეპულირება საქართველოში**

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუდიტორული კონტროლი მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, რადგან კერძო მეწარმეობის და კაპიტალის ბაზრის მზარდმა განვითარებამ, ეკონომიკური სუბიექტების სწრაფვამ თვითრეგულაციისაკენ, მესაკუთრეთა და კრედიტორთა დაბანდებული სახსრების დაცვის გარანტიის მოთხოვნებმა, წარმოშვა აუცილებლობა, ჩამოყალიბებულიყო და განვითარებულიყო აუდიტორული კონტროლის სისტემა, რაც, ცხადია, თავის მხრივ, ეკონომიკურ აღმავლობას უზრუნველყოფს. ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გაკეთდეს დასკვნა კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხსა და მისი სრულყოფის გზებზე. როგორც ცნობილია, აუდიტს ჰყოფენ ორ სახედ: გარე და შიდა აუდიტი. ამავე დროს “აუდიტის” ცნებას აკავშირებენ ისეთ შემოწმებასთან, რომელსაც ახორციელებენ ეკონომიკური სუბიექტის მესაკუთრეების, აქციონერების და სააღმსრულებლო ორგანოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი აუდიტორები, ანგარიშგების სარწმუნოებაზე ობიექტური აზრის გამოხატვის მიზნით. გარე აუდიტი უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, მისი დამოუკიდებლობა კი განისაზღვება როგორც საკანონმდებლო, ასევე ეთიკის ნორმებით. აუდიტორის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გარე აუდიტი იყოფა სავალდებულო და



საინიციატივო აუდიტად. სავალდებულო აუდიტი ტარდება იმ შემთხვევაში, როცა მისი ვადები და მოცულობა განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებით, საინიციატივო აუდიტი კი – ნებისმიერ დროს იმ მოცულობით, რომელიც განისაზღვრება კომპანიის მოთხოვნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. სავალდებულო აუდიტის ჩატარებისას აუდიტორის წინაშე დგას ერთადერთი მიზანი – შესამოწმებელი ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი ასპექტების უტყუარობის შესახებ აზრის ფორმირება და შემდგომ გამოხატვა. ამ პროცესში აუდიტორს შეუძლია გადაწყვიტოს შუალედური ამოცანები: განსაზღვროს კომპანიის მიერ განხორციელებული გარიგებების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, შეამოწმოს საგადაამხდელო-საანგარიშსწორებო დოკუმენტები, საგადასახადო ანგარიშსწორებები და ა.შ. საინიციატივო აუდიტის პროცესში კი აუდიტორის წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელიც ემსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევას. ასეთი ამოცანები შეიძლება იყოს: კონსულტაციები, ფინანსური მდგარდობის ანალიზი, მიმოხილვითი შემოწმება, ანგარიშსწორებათა შემოწმება და ა. შ. ამ დროს დასახული მიზნები შეიძლება იყოს მრავალმხრივი: გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, პერსონალის სწავლება, სტრატეგიული დაგეგმვა, აქტივების უზრუნველყოფის შემოწმება და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული საქმიანობის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში საკმაოდ აქტუალურია და, შესაბამისად, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდება აღნიშნული სფერო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, როგორ ხორციელდება თანამედროვე ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის რეგულირება საქართველოში, როგორ არის განსაზღვრული საჯარო ზედამხედველობის მიზანი ამ სფეროში. სამეცნიერო ნაშრომში სწორედ აღნიშნულ საკითხებს დავეთმობთ ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მსოფლიოში აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის მრავალგვარი სისტემა არსებობს, რომელთა დახვეწა, ცხადია, მუდმივად მიმდინარეობს ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა წარუმატებელი ფინანსური ანგარიშგებები, თვითრეგულირებად სისტემებში აღმოჩენილი სისუსტეები, ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები და სხვა. ისტორიულად, აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა თვითრეგულირების ფორმას იღებდა. ასეთი მიდგომების დროს ხშირად გამოიყენებოდა ექსპერტული მიმოხილვა კომპანიის საქმიანობის გარე შეფასების პარალელურად, რომელსაც სხვა პრაქტიკოსი პროფესიონალები ასრულებდნენ და შესაბამის ანგარიშს წარუდგენდნენ თვითრეგულირებადი კომპანიის საბჭოს. ბოლო პერიოდში რეგულირების სისტემები განვითარდა დამოუკიდებელ ზედამხედველობაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, რამაც განაპირობა ეროვნული რეგულატორების ჩამოყალიბების ტენდენცია უფრო თანმიმდევრული და გლობალური მასშტაბებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წლიდან სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტი (AICPA) ხელმძღვანელობდა ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) პრაქტიკის განყოფილებას (SECPS), რომელიც იყო თვითრეგულირებადი ორგანო ფასიანი ქაღალდების კომისიაში რეგისტრირებული აუდიტორული კომპანიების საქმიანობაზე ზედამხედველობისათვის. აღნიშნული სტრუქტურა ატარებდა აუდიტის სამუშაოების პერიოდულ ექსპერტულ შეფასებებს ნაკლოვანებათა გამოსავლენად და, შესაბამისად, მათ აღმოსაფხვრელად, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს აუდიტორულ კომპანიებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2002 წელს კომპანიების ბუღალტრულ აღრიცხვაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივი საბჭო გახდა აუდიტის პროფესიის ზედამხედველობის ძირითადი ორგანო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საბჭოსა და მისი თანამშრომლებისაგან, რომელთა როლი, რიგ სხვა საკითხებთან ერთად,

რეგულარული აუდიტორული ინსპექციების ჩატარებით შემოიფარგლება. აღნიშნული ტენდენცია გაძლიერდა ევროკავშირის მე-8 (სავალდებულო აუდიტის) დირექტივის მიღების შემდეგ 2006 წლის ივნისში. იგი შეეხება სავალდებულო აუდიტის ჩატარების, საჯარო ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. მე-8 დირექტივა ხელს უწყობს და შესაბამისობაში მოჰყავს სავალდებულო აუდიტის საკითხები ევროკავშირის მასშტაბით და აღგენს აუდიტორულ საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს.

კაპიტალის ბაზრის უფრო ეფექტური ფუნქციონირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სისტემაში მონაწილე თითოეული დაინტერესებული პირი გონივრულად უნდა მოქმედებდეს, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის ბაზრებზე აუდიტორები დაინტერესებული მხარეების მხოლოდ ერთი ჯგუფია,

ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველყოფაში, კერძოდ, ხარისხიან აუდიტს შეუძლია პირდაპირ გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესის და, ზოგადად, კაპიტალის ბაზრის სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა მნიშვნელოვანი საშუალებაა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამოუკიდებელი ზედამხედველობა დაინერგა მსოფლიოს მხარდი კაპიტალის ქვეყნებში და ბევრ ქვეყანაში ამჟამადც მიმდინარეობს ეს პროცესი. საჯარო ზედამხედველობის პირობებში კომპანიებს, რომელთაც სურთ კლიენტებს შესთავაზონ გარკვეული ტიპის აუდიტორული მომსახურება (საზოგადოდ, სავალდებულო აუდიტი ან საფონდო ბირჟებზე კოტირებული კომპანიების აუდიტი), მოეთხოვებათ დარეგისტრირდნენ მათი პროფესიისაგან დამოუკიდებელ ორგანოში. ამრიგად, რეგისტრაცია და შესაბამისად მისი შენარჩუნება წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობის განხორციელების წინაპირობებს. ამ ორგანოს წევრების დანიშნვა გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს კვალიფიციური პირების შერჩევა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს მოემსახურებიან. საზედამხედველო ორგანოების სტრუქტურა და ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, მაგრამ ზოგადად ასეთ ორგანოს აქვს შემდეგი ფუნქციები:

- საბჭო, დანიშნული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელსაც რეგულირების მთლიანი პროცესის აღმასრულებლის მოვალეობა აკისრია;

- რეგისტრაციისა და ანგარიშგების ფუნქცია, რომელიც მოითხოვს თითოეული აუდიტორული ფირმის მიერ სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებას პირველადი რეგისტრაციისათვის და ასევე მოითხოვს პერიოდულ ანგარიშგებას საკუთარი საქმიანობის შესახებ (ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც გამჭვირვალობის ანგარიში);

- ინსპექტირების ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც ტარდება რეგისტრირებული კომპანიების საქმიანობისა და ოპერაციების პერიოდული შემოწმებები, შედეგად კი, როგორც აღნიშნულ კომპანიას, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინება ანგარიში;

- გამოძიების ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც ხდება პროფესიულ სტანდარტებსა და სხვა მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევების გამოძიება და სანქციებზე რეკომენდაციების გაცემა.

ყველა აუდიტორი უნდა დაექვემდებაროს ეფექტურ ზედამხედველობას დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. ამ ორგანოს წევრების უმრავლესობა კი როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის პროფესიისგან. თუმცა უახლესი პროფესიული გამოცდილების მქონე აუდიტორული საქმიანობით დაკავებული პირები მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამ ორგანოს საქმიანობაში.

საზედამხედველო ორგანოს უნდა გააჩნდეს დაფინანსების სტაბილური წყარო თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. დაფინანსებამ ზეგავლენის საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენოს საჯარო ზედამხედველობის ორგანო დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან. ანალოგიური სისტემების მქონე ეროვნულ რეგულატორებს შორის უნდა მოხდეს ორმხრივი აღიარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგულირების დუბლირება, რაც უარყოფითად მოქმედებს აუდიტის ხარისხსა და ხარჯებზე. ასეთი ეკვივალენტურობა კი მიიღწევა საზედამხედველო ორგანოს შექმნით.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, 2007 წელს საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების – “საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა” – ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩამოყალიბდა რისკების შეფასებისა და შიდა აუდიტის სამმართველო, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა შიდა აუდიტის ერთეულების ჩამოყალიბების და საჯარო ფინანსების მართვის, კონტროლის ახალი სისტემის დანერგვის მოსამზადებელი ქმედებების განხორციელება. შესაბამისად, 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა “სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია” (Public Internal Financial Control (PIFC)), რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერდა საჯარო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების გეგმას, მაგრამ, ცხადია, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, ფინანსური მართვის, კონტროლისა და შიდა აუდიტის სისტემის შემუშავების, ჩამოყალიბებისა და დანერგვისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. აქედან გამომდინარე, 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო “საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მთავარ საფუძველს. ამ კანონის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში 12 სამინისტროში ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სუბიექტი. ამჟამად კი საქართველოში უკვე არსებობს 24 შიდა აუდიტის ერთეული. “სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის 345-ე დადგენილების საფუძველზე შეიქმნა “შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო” (ჰარმონიზაციის ცენტრი), დამტკიცდა საბჭოს დებულება და განისაზღვრა საბჭოში არსებული სამდივნოს უფლებამოსილებები. ჩამოყალიბდა ჰარმონიზაციის ცენტრის მთავარი ამოცანა, რაც შიდა აუდიტის ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას გულისხმობს. აღნიშნულ ცენტრს თანათავმჯდომარეობენ საქართველოს ფინანსთა მინისტრი და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე. ჰარმონიზაციის ცენტრმა შეიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტები, როგორცაა: შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი; შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები; შიდა აუდიტის მეთოდოლოგია; შიდა აუდიტის სტანდარტები და სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო, რომლებიც შემდგომ დამტკიცდა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, შესაბამისად, მუდმივად იხვეწება მიდგომები ამ საკითხისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2011 წელს განხორციელდა “სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” საქართველოს კანონის დახვეწა და მისი სრულად ჰარმონიზება სართაშორისო სტანდარტებთან – INTOSAL-თან და IIA-თან. ამის საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 9 დეკემბერს მიიღო შესაბამისი ცვლილებები “სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”

საქართველოს კანონში და გარდა ფუნდამენტური ცვლილებებისა, აღნიშნული კანონის სათაურიც შეიცვალა და ეწოდა “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში ზედამხედველობა იქნება ეფექტური, თუ მას ჩაატარებენ შიდა ეროვნული საზედამხედველო ორგანოები და ინსპექტორები, რომელთაც სრულად ესმით იმ კულტურული და საკანონმდებლო გარემოს თავისებურებები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აუდიტორული საქმიანობა და, ამავდროულად, გამოიყენებენ ასევე სხვა ქვეყნების რეგულატორების მიერ გაწეული მონიტორინგის შედეგებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გვარამია ნ. აუდიტის მსოფლიო კონცეფციები და განვითარების ტენდენციები საქართველოს საბანკო სექტორში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, თბილისი, 2012.
2. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ქ. ბუღალტრული აღრიცხვა, №11, თბილისი, 2010.
3. საქართველოს კანონი “სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ”. 26 მარტი, თბილისი, 2010.
4. Кушнареев А. Журнал «Аудит»; №2-3, 2011.

*Gvaramia Nazi*

### **INTERNATIONAL EXPERIENCE AND REGULATION OF AUDIT IN GEORGIA SUMMARY**

The scientific work is about the existing international experience and tendencies of the world development in the sphere of audit. Accordingly, it gives the history of regulation of audit work, characterizes the stages preceded the development of audit on the example of different countries in the world. In particular, the work discusses the stages of development of a public supervisory body in the United States of America, the role and main functions of this body. The main aspects of European Union Regulation 8 (obligatory audit) are given in the work. They greatly facilitate to bring the obligatory audit in conformity with the scope of the whole European Union and define the principles of public supervision and quality provision in regard with audit. The work also discusses the criteria of selecting members of supervisory body, their rights and authority, key issues of financing and mutual recognition.

According to the above mentioned the work gives the issues of regulation of audit in Georgia, accordingly, the discussion of legislative base in our country, changes carried out, and presents personal suggestions and opinions of effective functioning of this sphere.

*ლევან გრიგალაშვილი*

### **საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშების სრულყოფის ზომიერითი ასპექტი სოფლის მეურნეობის საწარმოთა მაგალითზე**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო იზრდება ინფორმაციული სისტემების სრულყოფის აუცილებლობა. ცნობილია, რომ მმართველობის სფეროში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მიუხედავად იმისა, ეს ეხება ცალკეულ კომპანიებს, ორგანიზაციებს, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებს.

შესაბამისად, სააღრიცხვო სისტემის სრულყოფა აამაღლებს რა ინფორმაციის ხარისხს, ხელს შეუწყობს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების ეფექტიან ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და მეთოდური პრობლემების შესწავლა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამჟამად საქართველოში ძირითად სამმართველო ინფორმაციას საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემა წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებია და არა ანგარიშწარმოებისა. ამის გამო ფინანსური ანგარიშგება გარკვეულწილად მოწყვეტილია მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისაგან. დრომ ნათლად გვიჩვენა, რომ მარტო ფინანსური ანგარიშგების შედგენის სტანდარტები საკმარისი არ არის. სამეწარმეო სუბიექტებს უფრო დაწვრილებითი ახსნა ესაჭიროებათ იმისა, თუ როგორ მოაწყონ აღრიცხვის საკუთარი სისტემა. ისინი საჭიროებენ შესაბამის ნორმატიულ-მეთოდურ მასალებს როგორც ფინანსური ანგარიშგების შედგენის, ასევე მიმდინარე და სამმართველო აღრიცხვის საკითხებშიც.

ბოლო წლებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული პრობლემები განსაკუთრებით გამოიკვეთა სოფლის მეურნეობაში. ცნობილია, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ სოფლის მეურნეობაში არსებობდა აღრიცხვა-ანგარიშგების სპეციფიკური სისტემა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოები ბუღალტრული ანგარიშგების 28 დასახელების ფორმას ადგენდნენ, რომლებიც სრულყოფილ ინფორმაციას იძლეოდა მათი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რამდენიმე ნორმატიული აქტი გამოცემული იყო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გასაანგარიშებლად და სხვ.

ქვეყანაში, საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ყალიბდება ფერმერული, გლეხური მეურნეობები, სადაც ჩვეულებრივ იყენებენ დაქირავებულ შრომას, ეწევიან ხარჯებს, ყიდიან მიღებულ პროდუქციას, ღებულობენ შემოსავლებს. მიუხედავად ამისა, მათ არ გააჩნიათ აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებული სისტემა, არ ექცევიან სახელმწიფო საგადასახადო დაბეგვრის არეალში. შესაბამისად, მათი მაჩვენებლები სრულყოფილი სახით ვერ აისახება ქვეყნის სტატისტიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და ა.შ. ვფიქრობთ, დადგა დრო, აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებასთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხსაც სათანადო ყურადღება მიექცეს.

რა მდგომარეობაა სოფლის მეურნეობის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების თვალსაზრისით?

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის საბჭომ ჯერ კიდევ 1994 წელს გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შექმნა, თუმცა ამას ბევრი დისკუსია და მსჯელობა წინ უძღოდა. ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებებად მიიჩნეოდა ის, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმული საწარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა, დამოუკიდებელია, ფოკუსირებულია ფულად სახსრებსა და გადასახადებზე, საოჯახო ბიზნესია და, აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ ისინი ვალდებული არ არიან, შეადგინონ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები.

მიუხედავად ამისა, თვით მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიც კი ეძებენ გარე კაპიტალსა და სუბსიდიებს, განსაკუთრებით ბანკებიდან და სამთავრობო დაწესებულებებიდან. ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, მზარდ მოთხოვნას გამოხატავენ ფინანსური ანგარიშგებისადმი. უფრო მეტიც, ინვესტიციების ზრდა იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მასშტაბებისა და მიზნების გაფართოებას და სწორედ ამან წარმოქმნა სტანდარტის შემუშავების აუცილებლობა.

1996 წელს საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა ძირითადი პრინციპების მონახაზი, რომელიც 3 წლის შემდეგ, ანუ 1999 წელს დამტკიცდა, როგორც განსახილველი პროექტი, ხოლო 2000 წლის დეკემბერში საბოლოოდ დამტკიცდა სტანდარტი და იგი მოქმედებაში შევიდა 2003 წლიდან. საბოლოო ჯამში, სტანდარტის შემუშავებას ცხრა წელი დასჭირდა.

სტანდარტის მიზანია განსაზღვროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წესები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები. სტანდარტის გამოყენება გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი აქტივების აღრიცხვისათვის, როგორცაა: ბიოლოგიური აქტივები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში და სახელმწიფო გრანტები. როგორ გაართვა სტანდარტმა თავი ამ საკითხებს?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტის მიზანს არ წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიწისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვის საკითხების რეგულირება. თუმცა მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის შესახებ სტანდარტში აუცილებლობას წარმოადგენს მიწის, ანუ მთავარი მატერიალური ბაზის აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხები, რაც, სამწუხაროდ, სტანდარტში მოცემული არ არის.

სტანდარტი ბიოლოგიურ აქტივებად მიიჩნევს ცხოველს ან მცენარეს, განიხილავს ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციას, რომელშიც იგულისხმება აქტივების ზრდა, დეგენერაცია, წარმოება და გამრავლება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს, თუმცა მასში არსად არ არის განმარტებული როგორ აისახოს ბუღალტრულ აღრიცხვაში ცხოველის წონამატი, მერქნის ზრდა, ძირითადი და თანამდე პროდუქცია და სხვ.

სტანდარტის ერთ-ერთ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ იგი არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას ნაყოფის მიღების შემდეგ; მაგალითად, ყურძნის გადამუშავება ღვინოდ ღვინის მწარმოებლის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამგვარი გადამუშავება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელება იყოს. ცხადია, სტანდარტი უნდა არეგულირებდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების საკითხებსაც.

სტანდარტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება კონკრეტულად ბიოლოგიური აქტივების შეფასებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შესაძლო ვარიანტებიდან განხილულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა შეფასება თვითღირებულებით და რეალური ღირებულებით. ძირითადად გატარებულია აზრი, რომ უმჯობესია შეფასება მოხდეს მისი რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით. ამ საკითხთან დაკავშირებით თვით სტანდარტშია მოყვანილი სხვადასხვა ფაქტები და საწინააღმდეგო მოსაზრებანი. ლაპარაკია იმაზეც, რომ რეალური ღირებულებით შეფასება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, თუმცა, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში განმარტებული არ არის. ყოველივე ეს სტანდარტის მიმართ არასრულყოფილების შთაბეჭდილებას ტოვებს იმასთან ერთად, რომ სტანდარტში მხოლოდ ანგარიშის შედგენაზეა საუბარი და კონკრეტულად როგორ მოვაწყოთ აღრიცხვა, როგორ ვიანგარიშოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება, ამაზე სტანდარტი პასუხს არ იძლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ ქვეყანაში მოქმედი აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის რეფორმირება, რომელიც უნდა დაეფუძნოს გარკვეულ კონცეფციას. გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა:

მოქმედი აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ანალიზი, მისი შედარება სხვა ქვეყნების სისტემებთან და ამის საფუძველზე გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება;

საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული ბაზის სრულყოფა;

აღრიცხვა-ანგარიშგების სამართლებრივი რეგულირების სისტემის სრულყოფა, რომელიც გულისხმობს მარეგულირებელი ორგანოს განსაზღვრას, მისი როლისა და ფუნქციების ჩამოყალიბება;

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე საქართველოს ეროვნული სტანდარტების შემუშავება;

საბუღალტრო კადრების მომზადებისა და პროფესიული სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა;

საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციისა და რეფორმირების პროგრამის მიღება საქართველოს მთავრობის მიერ და სხვ.

*Grigalashvili Levan*

**SOME ASPECTS OF THE IMPROVEMENT OF ACCOUNTING AND AUDITING SYSTEMS  
ON THE EXAMPLE OF AGRARIAN PRODUCTION INDUSTRIES  
SUMMARY**

In the work is reviewed the problematic questions of the accounting and auditing on the example of the factories in agricultural sphere. Also is proved the necessity for maintaining the national standards and is given the possible proposal that should improve the accounting and auditing procedures.

*ციცინო თეთრაული*

**გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე**

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, რომელმაც გლობალიზაციის სახელწოდება მიიღო. გლობალიზაცია რეგიონალიზმის მეშვეობით ხორციელდება, ანუ მიმდინარეობს კარგად შეხამებული გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის პროცესი. გლობალიზაციის პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება წარმოუდგენელია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, რაც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს და პერსპექტივებს, ასევე გარკვეულ საფრთხეებს. გლობალურ ეკონომიკაში ცალკეული ქვეყანა შესაძლოა ჩაერთოს პირდაპირ, ანუ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის გარეშე, რაც დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის სტრატეგიასა და მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსზე. გლობალური ეკონომიკის პირობებში ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ყველა ეროვნული ეკონომიკის საერთო მახასიათებელ ნიშანს, მათი განვითარების დონის მიუხედავად. ვინაიდან გლობალიზაცია არის მსოფლიო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ობიექტური პროცესი, რომელსაც ვერ აიცილენ ვერც ერთი ქვეყანა, ერი, სახელმწიფო, აქედან გამომდინარე, თითოეული ქვეყნისათვის აუცილებელია მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ღრმად შესწავლა და მისი გათვალისწინება ეკონომიკასა და პოლიტიკაში. გლობალიზაცია დღითი დღე უფრო თვალსაჩინო და მასშტაბური ხდება. გლობალიზაციის ჩასახვა, მისი დღის წესრიგში დაყენება და მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენად ქცევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა განაპირობა. ეს წესრიგი სწვდება არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეს, არამედ ეკონომიკურსაც, როგორც მაკრო-

ეკონომიკურს, ასევე მიკროეკონომიკურს. როდესაც ლაპარაკია ახალ მსოფლიო წესრიგზე, ეს ძირითადად იმას ნიშნავს, რომ იქმნება და ვითარდება ისეთი მიდგომები, ნორმები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, სტრატეგია და ურთიერთობათა ეთიკა, რომელიც გლობალურად ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე. ამრიგად მსოფლიოს ახალმა წესრიგმა და მისმა შეუქცევადობამ ინტეგრირების მასშტაბები გლობალიზაციის პროცესად ჩამოაყალიბა და ამჟამად გლობალიზაცია თავად მსოფლიო წესრიგს გულისხმობს. გლობალიზაცია მთელი სიგრძე-სიგანით დგას მსოფლიოს ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს წინაშე. გლობალიზაცია წარმოადგენს ყველა ქვეყნის და რეგიონის განვითარების იმანენტურ პროცესს.

საქართველო, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის წრედშია მოქცეული და მან როგორც სახელმწიფოებრივ, ისე ბიზნესსუბიექტების დონეზე მის მოთხოვნებს უნდა უპასუხოს. დღეს უკვე აღარავის შეუძლია გარე სამყაროდან იზოლირება ერთი ქვეყნის, ერთი ქალაქის ფარგლებში ჩაკეცვა და ბიზნესსაქმიანობა. ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებათა სწრაფმა განვითარებამ აამაღლა გარე გარემოს საერთაშორისო განზომილებების მნიშვნელობა. მაგ., კომპანიის შტაბბინა შეიძლება იყოს ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი წარმოება, კვლევითი ცენტრი და დისტრიბუციები სხვა ქვეყნებში. ფირმა „მაკდონალდსის“ და „კოკა-კოლას“ შტაბბინა ამერიკაშია, დისტრიბუციები და გაყიდვები საქართველოშიცაა და სხვა ქვეყნებშიც. საქართველოში მრავალი ფილიალი აქვთ საფრანგეთის („რესპუბლიკა“), გერმანიის („პროკრედიტ ბანკი“), უკრაინის (ტაო-პრივატბანკი) და სხვა ქვეყნების ბანკებს. კომპანიების საქმიანობა ვეღარ ეტევა ერთი ქვეყნის ჩარჩოებში. 90-იან წლებში წარმოშობილმა ორმა ფენომენმა – გლობალიზაციამ და ინტერნეტმა დიდი რევოლუციური ძვრები მოახდინა ბიზნესსაქმიანობაში. გლობალიზაციის პროცესში კომპანიის განვითარება გადის 4 სტადიას: 1) შიდა; 2) საერთაშორისო; 3) მულტიეროვნული; 4) გლობალური. მართალია, ეროვნული ეკონომიკის განვითარება წარმოდგენილია გლობალურ-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სივრცეში ინტეგრირებული ქვეყნები, სამეურნეო სუბიექტები და იქ დასაქმებული ადამიანები სხვადასხვა კულტურის, მრწამსის, ტრადიციების მატარებელი არიან, აქედან გამომდინარე, მათ სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდება. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მსოფლიო ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახადა. საერთაშორისო სფეროში ეკონომიკური კავშირების გაფართოებას თან ახლავს ანალოგიური პროცესები საფინანსო ურთიერთობების სფეროში. ფულად კაპიტალს გააჩნია მუდმივი თვითგაზრდის უნარი, რაც ეროვნული საზღვრებიდან მისი აუცილებელი გამოსვლის სტიმულიცაა.

გლობალიზაცია ფინანსურ სფეროში საშუალებას იძლევა, ქვეყანაში არაეფექტიანი საფინანსო სისტემისა და სუსტი კორპორაციული მმართველობის გვერდის ავლით განხორციელდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და იმავდროულად მოხდეს ფინანსური კაპიტალის გადინება. ინფლაცია აქტუალური მოვლენაა როგორც განვითარებადი და განვითარებული ქვეყნებისათვის, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის. ინფლაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაბერვას. ინფლაცია არის მიმოქცევის სფეროში ქაღალდის ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება, რომელიც რეალური საქონელბრუნვის საჭიროებებს აღემატება. ინფლაცია, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკის უმძიმეს დაავადებააა მიჩნეული. კაცობრიობას არ გააჩნია მიმოქცევაში ფულის გამოშვების ობიექტური კრიტერიუმები. ამიტომ არანაირი ზუსტი კანონი არ არსებობს მიმოქცევაში გამოსაშვები ფულის რაოდენობის ცალსახად განსაზღვრისათვის. ფულის გამოგონების დღიდან, კაცობრიობამ ვერ შეძლო დაედგინა როგორ უნდა შეეფარდებინა მათ მიერ წარმოებული სასაქონლო მასა მათ მიერვე გამოშვებულ ფულად მასასთან, ქაღალდის ფულის გამოშვებამ კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციის



წარმოშობაში. ინფლაცია მაშინაც შეიმჩნეოდა როდესაც მხოლოდ ლითონის ფული არსებობდა (შუა საუკუნეებში). მაგრამ მაშინდელი ინფლაციური პროცესები ხანმოკლე იყო და ძირითადად ომებითა და ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული.

პოსტკომუნისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რთულ და არაპროგნოზირებად სივრცეში აღმოჩნდნენ, მემკვიდრეობად დარჩათ მოშლილი ეკონომიკა, საწარმოო რესურსების დეფიციტი, დეფიციტური ბიუჯეტი და მაღალი ინფლაცია. ასეთივე მდგომარეობაში იყო საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველო ისევ სამანეთო ზონაში რჩებოდა, რაც ეროვნულ ბანკს დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა. 1993 წლის 3 აპრილს მიმოქცევაში შემოვიდა დროებითი ფულადი ერთეული – კუპონი, რამაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო აღმოჩნდა ჰიპერინფლაციის ზღვარზე. 1995 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო ეროვნული ვალუტა ლარი, რამაც ინფლაციური პროცესები შეანელა. მაგრამ ქვეყანაში მაინც ბევრი პრობლემა რჩებოდა. ქვეყანაში წარმოების დონე დაბალი იყო და არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა მის ასამაღლებლად ახლო მომავალში. ამის გამო ვერ ხერხდებოდა ეროვნული ვალუტის გამყარება სამამულო წარმოების პროდუქციით და საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება. ამიტომ მოხდა ლარის მიბმა დოლარზე. დოლარი აღმოჩნდა ლარის მყარი საყრდენი, მისი ხერხემალი. იმისათვის რომ გაცვლის კურსი დოლარსა და ლარს შორის შედარებით სტაბილური ყოფილიყო, ხდებოდა მისი ხელოვნური გზით შენარჩუნება, დოლარზე ლარის მიბმა არცთუ იდეალური გამოსავალი იყო საქართველოსთვის, მაგრამ ჩვენი ქვეყანა არ გამოირჩეოდა ძლიერი ეკონომიკური მანქანებით, მაღალი იყო უმუშევრობის დონე, იყო დეფიციტური ბიუჯეტი და ნავთობ-პროდუქტებზე ფასების აწევა მკაცრად ურტყავდა ჩვენს ეკონომიკას. დოლარის კურსის გამყარება ხელოვნური გზით ინფლაციური წყაროს მატარებელია ფარული სახით. ამ პერიოდიდან დაიწყო ინფლაციური პროცესების ზრდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ინფლაციის პოსტკომუნისტური ტიპი რადიკალურად განსხვავდება სხვა ქვეყნების ინფლაციისგან მისი განვითარების პირობებით, ეს პირობები კი მდგომარეობს მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში, როდესაც ფასები ამ პერიოდში სწრაფად იზრდება. გეგმიური სამეურნეო სისტემის მოშლამ გამოიწვია ეკონომიკის დარღვებს შორის დისპროპორცია, წარმოების დაცემა. გლობალიზაციის სივრცეში შესვლა, პოსტკომუნისტური ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემისთვის რთული და მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოში ეკონომიკური რეფორმის I ეტაპზე საფინანსო სისტემის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიმართულება იყო ფასების გლობალიზაცია, ჰიპერინფლაციის მოთოკვა; სავალუტო ბაზრის ფორმირება. საბანკო და საგადასახადო სისტემის გარდაქმნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიოში სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის დასამყარებლად მოწოდებული. ის წევრი სახელმწიფოების მხრიდან მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით, მკაცრ საფინანსო დისციპლინასა და სტაბილური სავალუტო კურსის უზრუნველყოფას მოითხოვს. თუკი ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ინფლაციის დონე, მაშინ იგი ექსპორტის შემცირების და იმპორტის ზრდას გამოიწვევს, რაც საერთაშორისო სავალუტო რეზერვის შემცირებასა და ქვეყნების ვალუტებთან შედარებით ეროვნული ვალუტის გაუფასურებას განაპირობებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წევრი-ქვეყნები 3 ჯგუფად იყოფიან: „დონორები“, „რეციპიენტები“ და „ნეიტრალები“. „დონორები“ თავისი შენატანებით ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროებს ქმნიან. „რეციპიენტები“ ამ ორგანიზაციებიდან რეფორმების ჩასატარებლად საფინანსო დახმარებას იღებენ. „ნეიტრალებს“ კი არ სჭირდებათ დახმარება და თვითონაც არ მონაწილეობენ საფინანსო

წყაროების შექმნაში. თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩათვლის, რომ „რეციპიენტ“ წევრ-ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა დარღვეულია, იგი საფინანსო დახმარებას შეაჩერებს. ამ დროს მსოფლიო ბანკიც შეაჩერებს ამ ქვეყნებისათვის დახმარებას იმ დრომდე, სანამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ქვეყანაში გატარებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად აღდგენილია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ამ პრინციპს იზიარებს ევროკავშირიც და უშუალოდ დონორი სახელმწიფოები.

როგორც გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაწყებისას, ისე მისი მსვლელობისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკითხი საკმაოდ აქტუალურია. XXI საუკუნის პირველი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე კიდევ უფრო აშკარა გახდა იმის აუცილებლობა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მანდატი გაფართოვდეს და გაიზარდოს განვითარებადი ქვეყნების ჩართულობის დონე ფონდში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის არსებობის პერიოდში მისი წევრ-სახელმწიფოების რიცხვი 4-ჯერ და მეტად გაიზარდა. მართალია, საერთაშორისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც გაეროს სტრუქტურებია, მაგრამ ამ უკანასკნელის ექსპერტის შეფასებები ყოველთვის დადებითი არ არის. მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მხარდაჭერილი „სტრუქტურული გარდაქმნის პოლიტიკის“ რეალიზაციის შედეგების განზოგადების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ პოლიტიკას ეკოლოგიურ დეგრადირებამდე მიყვავართ და, საბოლოო ჯამში, ადამიანისეული განვითარება თავისუფალ ბაზრებსა და გლობალიზაციას ეწირება.

ვარდების რევოლუციის გზით მოსული მთავრობის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმ პოლიტიკური ნების არსებობა, რომლის საფუძველზეც ქვეყანაში საფინანსო წესრიგი დამყარდა და უკვე 2004 წელს საგადასახადო შემოსავლები (და არა მარტო) 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. ეს პროცესი შემდგომშიც გრძელდება. ეს რეალური წარმატება იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ამით აღფრთოვანებულები იყვნენ. გლობალური ეკონომიკური კრიზისი შეეხო მსოფლიო ყველა ასპექტს – წარმოებას, ვაჭრობას, საბანკო სექტორს, საფინანსო ბაზრებს. შემცირდა მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. ბუნებაში არსებული ფულადი რესურსების მსყიდველობით უნარს ვეღარ აკმაყოფილებს რეალიზაციაში არსებული პროდუქციის მოცულობა, ხოლო კრიზისის შედეგად მოშლილი ეკონომიკის რეალური სექტორი ვერ უზრუნველყოფს ბაზარს საკმარისი რაოდენობის პროდუქციით. ამ ვითარებაში იზრდება ფასები და ქვეყანაში ინფლაცია და მისი თანამდევი მოვლენები იწყება. ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება ფულის ბრუნვის სიჩქარე. „ფულის ინფლაციური ბრუნვა“, ანუ ფასების ზრდით გამოწვეული ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე. ამ დროს სახელმწიფოს აუცილებელი მოვალეობაა ინფლაციის საწინააღმდეგო ქმედება, მან ისე უნდა წარმართოს ფულადი მასა, რომ ინფლაციამ არ გადააჭარბოს ნორმის დასაშვებ დონეს. როცა ინფლაცია უკვე მომხდარი ფაქტია, დასავლეთის ქვეყნები მიმართავენ მის დათრგუნვას, ამას ახორციელებენ ფასებზე ზღვრების დაწესებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ეს ღონისძიება თრგუნავს და დროებით აჩერებს არა მარტო ინფლაციას, არამედ საქონლის მწარმოებლებსაც, რადგან იკარგება მათთვის აუცილებელი მატერიალური სტიმულირება. ეს კი ხელს უშლის და აფერხებს ინვესტიციური პროცესების გაშლას და წარმოების გაფართოებას. ასეთ დროს ინვესტორები კარგავენ ორიენტაციას, რადგან გაუგებარი ხდება რომელ დარგში უნდა წარიმართოს ინვესტიციები. გლობალური ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მწვავედ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შეეხო. კრიზისის სასწრაფოდ

დაძლევა კი ვერ განხორციელდა. აშშ-ის ეკონომიკის განსაკუთრებული სტატუსი იმედს გვაძლევს, რომ უახლოეს პერიოდში დაძლეული იქნება გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც სხვა ქვეყნების, ასევე საქართველოს სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის.

ბოლო პერიოდის მსოფლიო-ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა 2008 წლის აგვისტოს თვეში, მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს ეკონომიკამ ამ ორ დიდ დარტყმას გაუძლო და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და საერთაშორისო დახმარების პირობებში მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. მთავრობის მიერ შექმნილ ანტიკრიზისულ პროგრამაში ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფოს ჩარევისგან არ იქნება თავისუფალი. არ უნდა იქნეს დაშვებული ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერი ხელოვნური გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის ოქროს შუალედი, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და, მეორე მხრივ, სტიმული უნდა მისცეს კომერციულ ბანკებს და ხელი შეუწყოს ეკონომიკის, განსაკუთრებით რეალური სექტორის აღორძინება-განვითარებას. გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე, საგარეო ვალის შემცირება და ქვეყანაში ეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, ეს უკანასკნელი წარმატებით ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს და თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. მსოფლიო ბანკის მეშვეობით კი ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები სოციალური სფეროს ობიექტების, ჯანდაცვის, განათლების და სხვა დარგების განვითარებაში. მაგრამ მხოლოდ გარედან დახმარება ვერ გამოიღებს ჩვენთვის სასურველ შედეგს, თუ ჩვენვე არ განვახორციელებთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს მსოფლიო ბიზნესის სფეროში ჩართვით, რადგან თანამედროვე ბიზნესის მთავარი თავისებურებაა მისი გლობალური, კონტინენტური და ზოგადსაკაცობრიო ხასიათი. დიდი პერსპექტივები იშლება შავი- ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით, ამ ურთიერთობებში კი საქართველო ღირსეულ ადგილს იკავებს.

ეკონომიკურად ძლიერი, მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნული ვალუტა ინფლაციას არ განიცდის, ან ნაკლებად მგრძნობიარეა მის მიმართ, ამიტომაც საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გამოიყენება ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტები. მყარი ვალუტა არა მარტო ანგარიშსწორების საყოველთაო აღიარებული საშუალებაა საერთაშორისო ვაჭრობაში, არამედ ოქროს ფულის მსგავსად, თავისუფლად იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე. ვალუტის თვისებას, თავისუფლად გაიცვალის სხვა ქვეყნის ფულად ერთეულზე, საქონელსა და მომსახურებაზე, კონვერტირებას უწოდებენ, ასეთ ვალუტას კი კონვერტირებადს. მსოფლიო ფულის ფუნქციას მხოლოდ კონვერტირებადი ვალუტები ასრულებენ. კონვერტირებადი ვალუტების გაცვლის პროცესში ყალიბდება ვალუტების გასაცვლელი ფასი, რომელსაც სავალუტო კურსს უწოდებენ. სავალუტო კურსი – ესაა ერთი ქვეყნის ვალუტის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ვალუტაში. ვალუტის კურსი არაა გაყინული და უცვლელი, იგი სისტემატურად ირხევა ზემოთ და ქვემოთ. ეროვნული ვალუტის კურსის გაზრდა სხვა ვალუტების კურსის მიმართ, მისი მსყიდველობითი უნარის გადიდებას იწვევს და იმპორტული საქონლის ფასებს ამცირებს. კურსის დაცემის პირობებში მცირდება ეროვნული ვალუტის მსყიდველობის უნარი და შესაბამისად იზრდება იმპორტული საქონლის ფასები. უცხოური ვალუტის ბაზრის მომსახურების მიზნით იქმნება სპეციალური სავალუტო ბირჟები, რომელთა ძირითადი

ფუნქცია ვალუტით ვაჭრობაა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის აღორძინება იწყება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და დაკავშირებულია სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟის“ ჩამოყალიბებასთან. მსოფლიოს უმსხვილეს საფონდო ბირჟებს მიეკუთვნება: ნიუ-იორკის, ტოკიოს, აშშ-ს, ლონდონის და სხვა. ბირჟები. ინფლაციის გამომწვევი ეგზოგენური ფაქტორებიდან ბევრი ქვეყანაში და მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, უდიდესი წვლილი მიუძღვის იმპორტირებულ ინფლაციას, ფასების ზრდას ნავთობ-პროდუქტებზე, ელექტრო-მატარებლებზე. ინფლაციის შედეგად პოსტკომუნისტურ საქართველოში მოხდა მოსახლეობის დიფერენციაცია ფენების მიხედვით, ძირითადად გამოიყო შემდეგი ფენები: უღარიბესი, ღარიბი და მდიდარი ფენა, საშუალო ფენა, როგორც ასეთი, აღარ არსებობს, მათ ღარიბთა ფენაში გადაინაცვლეს ვინაიდან ინფლაცია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული, უპირველესი ყურადღება ენდოგენურ ფაქტორებს უნდა მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ენდოგენური შიგა ფაქტორების მართვა შესაძლებელია, ეგზოგენურ ფაქტორებს კი ქვეყანა ვერ მართავს. ამრიგად ანტიინფლაციური პოლიტიკა უნდა მოიცავდეს როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიური ხასიათის ზომებს. საქართველოში გატარებული ანტიინფლაციური პოლიტიკა დადებითი ტენდენციით მიდის, მაგრამ მაინც საჭიროა მისი დახვეწა და სრულყოფა, გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახდეს ბიზნესის და საზოგადოებისათვის. არ უნდა იქნეს დაშვებული ერგონული ვალუტის კურსის არც მყისიერად ხელოვნურად გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნული ბანკის ამოცანაა, განსაზღვროს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და სტიმულს მისცემს კომერციულ ბანკებს, ხელი შეუწყონ ეკონომიკის, განსაკუთრებით რეალური სექტორის აღორძინებას და განვითარებას.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის აღორძინება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარი ატრიბუტია. საქართველომ „ღია ეკონომიკის“ პირობებში უნდა მოძებნოს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც მას არც გლობალიზაციის ფერხულიდან ამოგდებს და თავის ეროვნულ თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება - XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I.
2. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი, თბილისი 2011.
3. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. ნაწ. I, თბილისი, მაცნე, 1992.
4. თეთრაული ც. ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2011.
5. ვანიშვილი მ. ფინანსები. თბილისი, 2007.

**EFFECTS OF GLOBALIZATION ON INFLATION PROCESSES**

**SUMMARY**

In the work is reviewed the essence of globalization, effects and results of globalization on the integrated countries economies and on the monetary-credit systems of those countries. Also the way of reducing inflation is reviewed.

*ნადეჟდა კვატაშიძე*

**ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება**

**ფინანსური ინსტრუმენტი** არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოქმნის როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს<sup>1</sup>. **წილობრივი ინსტრუმენტი** არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.

ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი კატეგორიაა **სესხები და მოთხოვნები**. ეს არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტები, როგორც წესი, წარმოიქმნება საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ან სესხების გაცემის დროს. ასეთი ინსტრუმენტები **თავდაპირველად აღიარებული უნდა იქნეს რეალური ღირებულებით**.

ბასს 39-ის თანახმად, ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი როგორცაა **მოთხოვნები, დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები, გრძელვადიანი სესხები**, საწყისი შეფასების შემდგომ, საწარმომ უნდა შეაფასოს **ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით**<sup>2</sup>. ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. გადანაწილება უნდა მოხდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (**effective rate**) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით.

დისკონტირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ნომინალური ღირებულებისაგან. ფულის დროითი ღირებულების თეორიის თანახმად სხვადასხვა დროს ერთი და იმავე გაცემულ (მიღებულ) თანხას განსხვავებული ღირებულება აქვს ორი მიზეზის გამო: 1) თანხების არამოდების რისკი; 2) ალტერნატიული ინვესტიციების შესაძლებლობა.

მაგალითად, თუ საწარმომ შეიძინა აქტივები ჩვეულებრივი ფასებით, მაგრამ მიიღო შეთანხმება თანხების გადახდის მნიშვნელოვანი გადავადების შესახებ, მაშინ მან ჩვეულებრივ ფასებზე დაბალი ფასით შეიძინა აქტივები. ხოლო თუ მოახდინა აქტივების

<sup>1</sup> ბასს 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“. ფასს. თბ. 2009, პ. 11.

<sup>2</sup> ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს. თბ., 2009. პ. 47.

რეალიზაცია გადახდის მნიშვნელოვანი გადავადებით, მაშინ რეალიზაცია განხორციელდა დაბალი ფასებით. ამიტომ ფასს-ის თანახმად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უნდა აისახოს არა ნომინალური ღირებულებით, არამედ დისკონტირებული ღირებულებით, ხოლო მათ შორის სხვაობა გავლენას ახდენს ფინანსურ შედეგებზე.

დისკონტირება გავლენას ახდენს აღრიცხვის ობიექტის საბალანსო ღირებულებაზე და შესაბამისად ცვლის საწარმოს ფინანსურ შედეგებს. კერძოდ, **აწონასწორებს აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ღირებულებას და მომავალში გადასახდელ (მისაღებ) ფულად ნაკადებს. მისი გამოყენებით გაიანგარიშება აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ღირებულება მომავალში გადასახდელი (მისაღები) ფულადი ნაკადების მიხედვით.**

ბანკის მიერ დეკლარირებული (ნომინალური) საპროცენტო განაკვეთი განსხვავდება მსესხებლის მიერ ფაქტობრივად გადასახდელი ძირითადი და საპროცენტო თანხისაგან და ითვალისწინებს დამატებითი თანხების გადახდას. ეს არის სესხის დამტკიცებისა და მომსახურების სხვადასხვა საკომისო თანხები: სესხის მიღების; საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების; გირაუნობით გადაცემული ქონების შეფასების; სახელმწიფო რეგისტრაციის; დაზღვევის; სესხის გაცემის და სხვა.

ასევე, ფინანსური ინსტრუმენტების ემისიას თან ახლავს **გარიგების დანახარჯები**. გარიგების დანახარჯები<sup>3</sup> არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. წმინდა დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ საწარმო არ განხორციელებდა ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, ემისიას ან რეალიზაციას. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა აღმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამდენად, მსესხებელი რეალურად იხდის ნომინალურ განაკვეთზე მეტს და საჭირო ხდება **რეალური საპროცენტო განაკვეთის** დადგენა, ანუ წლიური საპროცენტო განაკვეთის ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ასეთი რეალური საპროცენტო განაკვეთია **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი**.

სესხით სარგებლობისათვის ფინანსური ინსტრუმენტის **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** არის საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული შეფასებული ფულადი ნაკადების დისკონტირება მოცემული ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, გამოთვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო და მოსაკრებელი, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები და ყველა საკომისიო ან ფასდაკლება<sup>4</sup>.

სხვაგვარად, **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** ასახავს კრედიტის სრულ ღირებულებას, ვინაიდან ნომინალური საპროცენტო განაკვეთის გარდა, გაანგარიშებაში ჩართულია კრედიტის გაფორმებისა და მომსახურების ხარჯები. ამ განაკვეთის გამოყენებით შესაძლებელია რეალური შემოსავლების (გამსესხებლისათვის) და ხარჯების (მსესხებლისათვის) დაანგარიშება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელი ან მისაღები ფულადი ნაკადების ზუსტს დისკონტირებას, ამიტომ მნიშვნელოვანია განაკვეთის

<sup>3</sup> ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს. თბ., 2009, პ. 9; მგ.13.

<sup>4</sup> ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს. თბ., 2009. ბ. 26, გვ. 771.

შერჩევა. განაკვეთი განსხვავებულია სხვადასხვა საწარმოებში და სხვადასხვა ოპერაციებისათვის და დამოკიდებულია დისკონტირების ობიექტზე და მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე. საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, ანალოგიური კრედიტუნარიანობის საბაზრო განაკვეთია – საბაზრო განაკვეთი დაკორექტირებული ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის დამახასიათებელი რისკებით. ასე, დებიტორული დავალიანების დისკონტირების განაკვეთი შეესაბამება იმ საპროცენტო განაკვეთს, რომლითაც მოცემულ კონტრაგენტს შეეძლო ანალოგიური პირობებით სესხის მიღება. კრედიტორული დავალიანების დისკონტირების განაკვეთი შეესაბამება იმ განაკვეთს, რომლითაც მსესხებელი ანალოგიური პირობით მიიღებდა სესხს.

საინვესტიციო პროექტების შესაფასებლად დისკონტირების ეფექტურ საპროცენტო განაკვეთად გამოიყენება უკუგების შიდა განაკვეთი (**Internal Rate Of Return - IRR**). IRR არის მოგების ის ნორმა (ზღვრული განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი), როდესაც ინვესტიციის წმინდა ღირებულება (NPV) უდრის ნულს. სხვაგვარად, ეს არის დისკონტირების ის განაკვეთი, რომლის დროს ინვესტიციისაგან მისაღები შემოსავლების დისკონტირებული ღირებულება უდრის თავდაპირველ საინვესტიციო დანახარჯებს. **IRR განსაზღვრავს მაქსიმალურად მისაღებ დისკონტირების განაკვეთს, რომლის დროსაც შესაძლებელია ინვესტირება დანაკარგების გარეშე<sup>5</sup>.**

ამდენად, IRR გამოიყენება საინვესტიციო პროექტების შესაფასებლად და განსაზღვრავს ინვესტიციის მომგებიანობის მოსალოდნელ ნორმას (მომგებიანობის ზედა ზღვარს, ინვესტიციის რენტაბელობას) და შესაბამისად საინვესტიციო დანახარჯების მაქსიმალურად დასაშვებ დონეს. თუ პროექტის IRR მეტია ინვესტირებული კაპიტალის ღირებულებაზე, პროექტი მომგებიანია, და პირიქით.

IRR-ის ეკონომიკური არსი მდგომარეობს შემდეგში:

- IRR განსაზღვრავს პროექტის მომგებიანობას, რაც უფრო მაღალია პროექტის IRR, მით უფრო მაღალია საინვესტიციო პროექტის შემოსავლიანობა;

- ეს არის ის მაქსიმალური ფასი, რომელიც შეიძლება იქნეს გადახდილი მოზიდულ კაპიტალში, რათა პროექტი არ იყოს წამგებიანი. მაგალითად, თუ კრედიტში გადასახდელი წლიური საპროცენტო განაკვეთი აღემატება IRR-ს, პროექტი იქნება ზარალიანი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება სპეციალური მათემატიკური ფორმულით, Excel-ში შედგენილი ე.წ. „საკრედიტო კალკულატორის“ გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ მაჩვენებლებს: კრედიტის ვადას (დღეების რაოდენობა ვალდებულების წარმოქმნის დღიდან ბოლო გადახდის თარიღამდე), ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს, კრედიტის დაფარვის (გადახდების) სქემას – ფულადი ნაკადების მოძრაობას, კრედიტის გაცემის საკომისიოს; ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს, მომსახურების სხვა ხარჯებს (დაზღვევა, ნოტარიუსი, ქონების შეფასება და რეგისტრაცია).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის კრედიტის სრული ღირებულება, რომელიც გამოიყენება:

- სხვადასხვა ბანკებისაგან მიღებული წინადადებების შესადარებლად და შესაფასებლად;

- საინვესტიციო პროექტების შესაფასებლად;

- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით აღსარიცხავად.

<sup>5</sup> <http://www.investopedia.com/terms/i/irr.asp#axzz1u9IEgYoM>  
<http://moneyterms.co.uk/irr/>  
[http://members.tripod.com/~Ray\\_Martin/DCF/nr7aa003.html](http://members.tripod.com/~Ray_Martin/DCF/nr7aa003.html)  
[http://www.engineeringtoolbox.com/internal-rate-of-return-irr-d\\_1235.html](http://www.engineeringtoolbox.com/internal-rate-of-return-irr-d_1235.html)

ხოლო საინვესტიციო პროექტების შესაფასებლად დისკონტირების ეფექტურ საპროცენტო განაკვეთად გამოიყენება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (**WACC – Weighted Average Cost of Capital**) – საკუთარი და მოზიდული კაპიტალის (სესხები, ობლიგაციები, პრივილეგიური აქციები და სხვა) ღირებულებები. ამ მაჩვენებელით გამოიხატება კაპიტალის ღირებულება, ისევე, როგორც საბანკო საპროცენტო განაკვეთით კრედიტის ღირებულება. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) არის შემოსავლიანობის მოსალოდნელი ნორმა, მინიმალური უკუგება ჩადებულ კაპიტალზე, ანუ მისი რენტაბელობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ისეთი ფინანსური აქტივები, როგორცაა დაფარვის ვაღამდე ფლობილი ინვესტიციები, სესხები, მოთხოვნები და ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს **გარიგების დღეს არსებული რეალური ღირებულებით**, ხოლო შემდგომში – **ამორტიზებადი ღირებულებით**. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებადი ღირებულება<sup>7</sup> არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და მინუს (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები. სხვაგვარად, სხვაობა **ფინანსური ინსტრუმენტის** თავდაპირველად აღიარებულ (დისკონტირებულ) ღირებულებასა და ფაქტობრივად გადასახდელ (მისაღებ) თანხას შორის ამორტიზდება სასესხო პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$AmCost^8 = PV - \sum CF \pm AcumAm,$$

სადაც:

AmCost (Amortised cost) — ამორტიზებული ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის;

PV (Present Value) — დისკონტირებული ღირებულება;

CF (Cash flows) — ფულის გადახდები ფინანსური ვალდებულების დასაფარავად;

AcumAm (Accumulated amortization) — სხვაობის დაგროვილი ამორტიზაცია.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციების იურიდიულ ფორმაზე ეკონომიკური შინაარსის უპირატესობის პრინციპის დაცვას. ფინანსური მაჩვენებლების შეფასება ფულის დროითი ღირებულების გაგენის გათვალისწინებით ამაღლებს ფინანსური ანგარიშგების შესადარისობას და დიდ შესაძლებლობებს იძლევა საინვესტიციო და ფინანსური ანალიზისათვის.

*Kvatashidze Nadezhda*

## VALUATION OF FINANCIAL INSTRUMENTS SUMMARY

Valuation of financial instruments using the effective interest rate means an assessment of their value and financial results for the cash flows in accordance with the terms of contracts and issues.

<sup>6</sup> <http://www.investopedia.com/terms/w/wacc.asp#axzz1u9IEgYoM>  
<http://moneyterms.co.uk/wacc/>

<sup>7</sup> პასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს. თბ., 2009 პ. 9, 45-47

<sup>8</sup> <http://cba.ru/knowledge/articles/2009/11/05/uchet/>



The valuation of financial instruments using the effective interest grows the reliability of financial reporting information, making financial statements comparable to financial analysts.

*Керимова Джамия*

## **ВЛИЯНИЕ ГЛОБАЛИЗАЦИИ НА СФЕРУ БАНКОВСКИХ УСЛУГ**

Со времен своего возникновения мировая финансовая система в целом и отдельные ее элементы в частности подпадала и подпадает под влияние доминирующих тенденций развития мирохозяйственных отношений. В послевоенный период истории мирового хозяйства на первый план, в качестве наиболее характерной особенности ее эволюции вышла глобализация современного мирового хозяйства и усиление взаимозависимости национальных экономик. В последние десятилетия влияние глобализации мирового и составляющих ее национальных экономических сообществ становилось весьма ощутимым. Процесс глобализации различных сфер хозяйственной деятельности разворачивается, реализуется все динамичнее, все многограннее, выпукло. Эксперты МВФ определяют этот процесс как растущую экономическую взаимозависимость стран всего мира в результате возрастающего объема и разнообразия международных сделок с товарами, услугами и мировых потоков капитала, а также благодаря всё более быстрой и широкой диффузии технологий.

Известный тезис о том, что мировое хозяйство является продолжением национальных экономик ее составляющих получил новое подтверждение. А именно, в результате глобализации национальные экономики становятся частью мирового рыночного хозяйства. Экономический мир в результате сглаживания национальных барьеров все больше приобретает черты целостности в глобальном масштабе. Ускоренные новейшими достижениями научно-технического прогресса, интеграционные процессы в сфере производства и финансов приобретают все больший размах.

Как у любого процесса, тем более столь яркого, глобализация уже сейчас характеризуется неоднозначностью, ибо глобализация несет как положительные, так и отрицательные последствия. С одной стороны, глобализация позволяет ощутимо поднять как количественные, так и качественные показатели производственной деятельности, что в современных условиях невозможно без стимулирования НТП через постоянное внедрение его достижений в хозяйственную деятельность. Велико позитивное влияние глобализации на социально-политическую обстановку в отдельно взятом обществе и во всем мире, в частности посредством расширения возможностей по созданию новых рабочих мест и особенно в непромышленном сегменте экономики.

Однако, велика и негативная составляющая влияния глобализации. Её оппоненты и непримиримые противники по всему миру неустанно указывают на то, что глобализация делает мировую экономику нестабильной, более склонной к кризисам и подверженной им. Это, в свою очередь, только способствует нарастанию разрыва между качественными и количественными параметрами экономического развития индустриально развитыми странами, с одной стороны, и развивающимися – с другой. Как следствие, только нарастает разрыв между доходами слоев населения в отдельно взятой стране и между богатыми и бедными странами, регионами. Масштабные перемещения миллионов людей из неблагополучных стран и регионов в другие, более привлекательные можно сравнить с известными из мировой истории примерами великих переселений этносов. Подобная динамика человеческой стихии не может не влиять, причем преимущественно отрицательно на глобальную ситуацию в мире: влияние на мировые процессы национальных государств снижается, возникающий «вакуум» все больше заполняется растущим влиянием транснациональных политико-экономических образований.

Глобализация экономики привнесла серьезные изменения и в финансовой системе. Финансовая система — это канал, через который финансовая глобализация влияет на экономическое развитие.

Если глобализация способствует ему, то это проистекает, по крайней мере, частично, из влияния на финансовое развитие. Поэтому надо обратить внимание на связь между двумя этими процессами. В частности, эмпирическая литература утверждает, что с процессом глобализации можно импортировать развитую финансовую систему через доступ к финансовым инновациям. Кроме того, новые иностранные экономические участники могут ограничить власть локальных экономических групп, которые противостоят финансовому развитию.

Можно констатировать, что финансовая глобализация способствует и сопровождается значительным возрастанием роли финансовой сферы. В частности в связи с таким эффектом глобализации как расширение масштабов и усложнение характера мирохозяйственных связей. Финансовая система во все большей степени становится средством перераспределения финансовых ресурсов в соответствии с потребностями и возможностями развития производства не только в национальных, но и в мировых масштабах. Глобализация мировой финансовой системы в макроэкономическом аспекте способствует движению мирового хозяйства к взаимосвязанному, взаимозависимому, в значительной степени интегрированному рынку, не имеющему формальных границ. Для финансовых услуг это означает движение к стандартизации, то есть к повсеместному сближению их основных характеристик, в частности, цены и качества.

В экономической литературе выделяют целый ряд факторов, способствующих развитию финансовой глобализации в мировой экономике. Из основных можно отметить:

- развитие информационных технологий. Для глобализации мировой финансовой системы характерны внедрение современных электронных технологий, средств коммуникаций и информации. Современные информационные технологии являются одной из главных причин, а также условием появления новых финансовых услуг, что способствует ускорению финансовой глобализации;

- процессы либерализации доступа на национальные рынки для нерезидентов и дерегуляции функционирования национальных экономик (процессы, связанные с упразднением законодательных ограничений на проведение ряда международных операций), интегрирующихся в систему мирохозяйственных связей. Отмечается, что указанные процессы позволяют финансовым потокам более интенсивно обращаться на мировом рынке;

- стандартизация финансовых услуг. В целях упрощения деятельности в процессе развития финансовой глобализации унифицируются условия сделок и их основные характеристики;

- появление новых динамично развивающихся рынков. Современная глобальная экономика характеризуется наличием новых динамично развивающихся стран.

Есть все основания утверждать, что финансовая глобализация является главной движущей силой развития мировой экономики, уровень которой достиг определенной зрелости. Настолько, что можно выделить следующие факторы, свидетельствующие об увеличении уровня финансовой глобализации:

- 1) рост финансовой системы, при этом рост финансовой составляющей экономики особенно заметен в еврозоне;

- 2) все более выраженная переориентация финансовой системы на сделки с ценными бумагами вместо традиционных банковских услуг рынок капитала все больше отнимает посредническую функцию у банковской системы, которая, в свою очередь, еще больше смещается от традиционного банковского дела с его долгосрочными кредитами и многолетними отношениями с клиентами в сторону инвестиционного банкинга;

- 3) появление сложных финансовых инструментов, которые существенно изменили подход к управлению рисками;

- 4) появление на финансовых рынках новых игроков, прежде всего хедж-фондов и фондов прямых инвестиций.

Глобализация мировой экономики не могла не затронуть и банковскую деятельность. С самого своего начала глобализация изначально оказывала и продолжает оказывать мощное воздействие на функционирование национальных банковских систем, что привело к серьезным изменениям в банковской сфере, в том числе в обслуживании корпоративной и индивидуальной банковской клиентуры. Параллельно шел и процесс научно-теоретического переосмысления основ и характеристик банковского бизнеса в новых условиях.

На протяжении ряда лет развитие банковского бизнеса сопровождается теоретическими исследованиями сущности банковских услуг, влияния на них тенденций развития мировой экономики, экономик национальных государств, потенциальных потребностей клиентов и прочих факторов.

В литературе отмечается, что процесс развития новейшей теории банковских услуг в работах зарубежных авторов, когда банковская услуга анализируется сквозь призму современных тенденций развития мирового хозяйства, можно разделить на три этапа:

✓ первый этап – конец 1960-х – начало 1970-х гг. В эти годы появились первые исследования, посвященные этой тематике, в которых анализируется влияние международной конкуренции в банковской сфере и интернационализация банковского бизнеса на банковские услуги;

✓ второй этап – конец 1980-х – начало 1990-х гг. В эти годы развития теории банковских услуг впервые анализируется влияние тенденций глобализации, централизации, концентрации и интеграции банковского капитала на банковские услуги;

✓ третий этап развития теории банковских услуг берет свое начало с подписания Маастрихтского договора о создании Европейского Валютного союза (1992 г.) и введения с января 1999 г. единой европейской валюты евро. Начало развития новой концепции банковского обслуживания клиента, в основе которой – идея «финансового супермаркета». В технологическом плане этот период отмечается широким распространением банковские электронные услуги. В институциональном же – признаком нового времени становятся многочисленные слияния и поглощения в финансово-банковской сфере.

В последние годы исследователями отмечается, что идет интенсивный процесс финансовой глобализации и формирования мировой банковской индустрии, что банковский бизнес под влиянием процессов глобализации приобретает новые черты, чему способствуют стандартизации национальных банковских систем и появлению единой, доминирующей модели банка.

Особое значение имеет инновационный аспект влияния глобализации на банковскую сферу. Часть финансовых инноваций создается банками в форме банковского продукта или операции (технологии). Это банковские инновации. Банковская инновация – это реализованный в форме нового банковского продукта или операции конечный результат инновационной деятельности банка. Если подойти к вопросу шире, то инновации в банковском секторе – это экономические, организационно-управленческие, институциональные, финансовые, информационно-технологические нововведения по всем направлениям банковской деятельности. Осязаемыми результатами таких нововведений становятся:

- расширение клиентской базы банков и их филиальной сети;
- увеличение доли рынка;
- сокращение транзакционных издержек проведения банковских операций;
- обеспечение устойчивости функционирования банка в долгосрочной перспективе.

Для реалий постсоветских республик банковская инновация по содержанию может означать:

- а) новый банковский продукт для конкретного банка и его клиентуры;
- б) новый для страны зарубежный банковский продукт, т. е. новый банковский продукт, появившийся на внутреннем финансовом рынке страны, но уже давно реализуемый за рубежом на финансовых рынках других стран в соответствии с их конкретными условиями и юрисдикцией;
- в) новые финансовые операции.

Пусть и не так быстро как хотелось бы, новые банковские продукты, услуги и операции появляются и на азербайджанском рынке. При этом возникновению банковских инноваций способствуют:

- функционирование финансового рынка в зарубежных странах, что дает информацию о банковских нововведениях за рубежом.

- периодически возникающие кризисы в банковской сфере, что часто становится импульсом, стимулом к усилению финансовой мысли и повышению финансовой устойчивости банка;

- непрерывным движением предпринимательской мысли и стремлением обойти конкурентов;

В завершение хотелось бы привести выдержку из опубликованных корпорацией IBM отчета по результатам глобального исследования «No Bank is an Island: Get Global Before Globalization Gets You» («Банк — не остров: необходимо осваивать глобальные рынки, чтобы не стать жертвой глобализации»). В нем, в частности, отмечается, что 69% руководителей из банковской отрасли признают, что их компании не ведут свой бизнес как глобально интегрированные предприятия. Но при этом планируют в течение ближайших пяти лет осваивать новые рынки, в особенности развивающиеся, чтобы получить новые возможности для расширения бизнеса и повышения его эффективности, однако банки не готовы к реализации этих возможностей.

В отчете отмечается также, что лишь немногие банки готовы эффективно работать за пределами своих национальных рынков или успешно конкурировать на ключевых развивающихся рынках, таких как Китай, Южная Корея, Индия, Ирландия и Турция, для которых характерен стремительный рост спроса на новые банковские продукты и услуги.

«По прогнозам, к 2025 году глобальная финансовая система вырастет в четыре раза, до 1300 триллионов долларов США, — отметил Шанкер Рамамурти (Shanker Ramamurthy), руководитель по глобальным исследованиям банковских и финансовых рынков, служба IBM Global Business Services. — Влияние глобализации ощущают банки любого масштаба, поскольку расширяющиеся процессы международных слияний и приобретений, а также растущее количество таких участников рынка, как небанковские учреждения и поставщики онлайн- и мобильных банковских услуг, приводят к усилению конкуренции. Перед банками стоят следующие вопросы: Какова будет роль традиционных банков в глобально интегрированной отрасли? И смогут ли они адаптировать свои модели ведения бизнеса, чтобы использовать преимущества глобализации? Мы полагаем, что специализированные банки, сотрудничающие с другими компаниями в своей отрасли и за ее пределами с целью удовлетворения специфических потребностей клиентов на различных рынках, будут иметь наилучшие возможности для расширения бизнеса». [<http://12news.ru/newsfeed/ext120163.html>]

*Kerimova Camila*

## **GLOBALIZATION INFLUENCES ON BANKING SUMMARY**

In the article author has investigated some questions of globalization of the world economy, its positives and negatives aspects. Also globalization influences on financial and banking sphere are explained.

*ქეთევან კოკია*

**საინვესტიციო პოლიტიკისა და ფულად-საკრედიტო მეთოდების  
განვითარება თანამედროვე ეტაპზე**

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი სრულიად ახლებურ მოთხოვნებს აყენებს საფინანსო და საკრედიტო სფეროების მიმართ. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა

ენიჭება ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების განვითარებას, რომელიც, საბოლოო ჯამში, მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საინვესტიციო რეგულირების ეფექტური პოლიტიკის შემუშავება.

სახელმწიფო პოლიტიკაში მთავარი ადგილი უკავია ინვესტიციების სტიმულირებისათვის უმნიშვნელოვანეს კომპლექსურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და გააქტიურებისაკენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისაკენ.

ქართული ეკონომიკის გადასვლა ახალ ხარისხობრივ მდგომარეობაში – წარმოების დაცემიდან ეკონომიკური აღმავლობისაკენ – გულისხმობს მაღალ საინვესტიციო აქტივობას, რომელსაც თან უნდა ახლდეს კაპიტალწარმომქმნელი ინვესტიციების ეფექტურობის ზრდა.

თანამედროვე პირობებში საინვესტიციო პროცესების არსი უმთავრესად სწორედ წარმოების პროცესებში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას უკავშირდება იმ თვალსაზრისით, რომ კაპიტალდაბანდებებმა უნდა შეამცირონ საწარმოო ხარჯები, უზრუნველყონ პროდუქციის მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქონლის უკეთ რეალიზაციასა და ინვესტორისათვის მოგების ზრდას.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის რეალიზებას. იგი სამეწარმეო საქმიანობასა და მთლიანად ეკონომიკაზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას, რათა მოხდეს ეკონომიკის ზრდა, წარმოების ტემპებისა და მოცულობების მატება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სოციალური განვითარების ამოცანების რეალიზაცია.

ფინანსური რესურსების გამოძებნა შესაძლებელია მეწარმეთა გადასახადებით დაბეგვრის შემსუბუქებით და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით, რაც მიიღწევა საგადასახადო კანონმდებლობის კარდინალური შეცვლით, კრედიტებსა და ინვესტიციებზე სახელმწიფო გარანტიების სისტემის ჩამოყალიბებით, ეკონომიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლით და ა.შ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს დირექტიული მმართველობის დამყარებას, თუმცა კონკურენციის უზრუნველყოფის მხრივ სახელმწიფოზე ბევრია დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ უმეტეს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფომ თვითონ ჩამოაყალიბა საინვესტიციო სტრატეგია.

აუცილებელია სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობის გაზრდა ეკონომიკაში პროგრესული ძვრების მხარდასაჭერად. თუმცა, ამის მიღწევა შეიძლება არა მხოლოდ ე. წ. „განვითარების ბიუჯეტით“, არამედ სახელმწიფოს მონაწილეობით შერეულ საინვესტიციო კომპანიებში.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე ქვეყნის ეკონომიკის გადასვლის უმთავრესი პირობაა. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერის გაძლიერება, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების წახალისების ინსტიტუტის – სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნა, ცენტრისა და რეგიონების საინვესტიციო პოლიტიკის შეთანხმება.

საინვესტიციო აქტივობის გასადიდებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა სახელმწიფოს მიერ მოითხოვს კვლავწარმოებით პროცესებზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას

მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეებზე. ის უმნიშვნელოვანესი სფერო, სადაც ახლებურად და ეფექტიანად უნდა გამოვლინდეს სახელმწიფოს საინვესტიციო როლის გააქტიურება ეკონომიკური რეფორმების ახალ ეტაპზე, არის ფულად-საკრედიტო სფერო.

მდგრადი საინვესტიციო აღმავლობის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოფლისა, გულისხმობს ეკონომიკის მონეტარიზაციის გადიდებას, ფულის მასის დისპროპორციების აღმოფხვრას, საპროცენტო განაკვეთების დაწევას, საგადასახადო სისტემის აღდგენას, ეროვნული ვალუტის დედოფალიზაციას და მისი როლის ამაღლებას.

ეკონომიკის მონეტიზაციის ამაღლება შეზღუდული ფულად-საკრედიტო ემისიითაა შესაძლებელი. მისი ინფლაციური შედეგების საფრთხის დონის განსაზღვრის დროს უნდა გაითვალისწინოთ, რომ ინფლაციის ინიცირებას, ემისიის გარდა, სხვა ფაქტორებიც ახდენენ. ამიტომ მასთან ბრძოლა მარტო ემისიის შეზღუდაზე არ დაიყვანება. საჭიროა, პირველ რიგში, წარმოების მყარად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის მონეტიზაციის დონის ზრდა წარმოების გამოცოცხლების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომელიც, თავის მხრივ, წამყვან ანტიინფლაციურ ფაქტორად გვევლინება.

ფულად-საკრედიტო ემისიის ინფლაციური შედეგებისგან თავის დაცვის ძირითადი პირობაა იმგვარი მექანიზმების შექმნა და ამოქმედება, რომლებიც ცვლიან მაკროეკონომიკურ პირობებს და წარმოების მხარდასაჭერად წარმართავენ ფულის ნაკადებს. ასეთი მიდგომის დროს ემისიის მოცულობას განსაზღვრავს ეკონომიკის საწარმოო სექტორის ობიექტური მოთხოვნა იმ სახსრების გამოკლებით, რომლებიც ფინანსების ბაზარზეა გადანაცვლებული.

ფულის მასის მიზნობრივად გადიდების პარამეტრების განსაზღვრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფულის მიწოდების სტრუქტურის აღრიცხვა. ფულის ემისიის განსხვავებულ არხებს ინფლაციის მიმართ არაერთგვაროვანი მგრძობელობა აქვს. ამის გამო ფულის მიწოდების გაფართოება შესაძლებელია არასაფინანსო საწარმოების თამასუქების განაღდების გზით ბანკების რეფინანსირების მეშვეობით და ემიტირებული სახსრების მიზნობრივად წარმართვით საწარმოო ინვესტიციების დაფინანსებაზე. ემისიის უფრო ნაკლებად ინფლაციური არხია საწარმოო ინვესტიციების დაფინანსება განვითარების სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ.

ფულის ნაკადების მიზნობრივად რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ზემოქმედება საპროცენტო განაკვეთების დინამიკაზე. მაგალითად, პრიორიტეტულად აღიარებული წარმოებებისა და პროექტების მხარდაჭერა ინვესტირების გააქტიურების მიზნით შეიძლება შეღავათიანი განაკვეთებით და კრედიტების მეშვეობით. შეღავათიანი კრედიტების მოძრაობა ამ დროს უნდა ხორციელდებოდეს განვითარების სახელმწიფო ბანკების სისტემის მეშვეობით, ხოლო მკაცრი კონტროლის დაწესება უნდა გამორიცხავდეს სახსრების არამიზნობრივად გამოყენებასა და ფინანსურ სპეკულაციებს.

ეკონომიკური წონასწორობისა და საფინანსო სექტორების დაბალანსებულად განვითარების მიღწევის შემდეგ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის საჭიროება საერთოდ იკლებს, ამის შესაბამისად კი იკლებს ფულის ბაზარზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთების დინამიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების როლი.

სახელმწიფოებრივი რეგულირების გამოყენებას გარკვეული ციკლურობა ახასიათებს. სტრუქტურული დისპროპორციების გამწვავების პირობებში, როცა საბაზრო მექანიზმების მოქმედება ვეღარ უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ჭარბი წარმოების განვითარებისა და ძირითადი კაპიტალის გაუფასურების შეკავებას, ხოლო, მეორე მხრივ, საინვესტიციო აქტივობის მომატებას. ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების როლი, მათ შორის – ფულის ნაკადების მიზნობრივად მართვის სფეროში, ფართოვდება, ხოლო მდგრად ზრდაზე ეკონომიკის გადასვლის დროს – მცირდება.

თანამედროვე ეტაპის ერთადერთი უპირველესი ამოცანაა საგადასახადო სისტემის სრულად აღდგენა, ბარტერულ გარიგებათა შეზღუდვა, საგადასახადო საშუალებათა დიდი მასის გამოძევება მიმოქცევიდან, რადგან ისინი სრულფასოვანი რესურსის როლს ვერ თამაშობენ დანაზოგების პოტენციალის ჩამოყალიბებაში. მისი გადაჭრის ძირითადი ხერხებია ურთიერთჩათვლების განხორციელება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის, საკრედიტო რესურსების გაიაფება, გადასული დავალიანების სეკიურიტიზაცია.

ფულის მიმოქცევისთვის რეგულირების ეფექტურობის ამაღლებისთვის და ისეთი ემისიური მექანიზმების გააქტიურების შესაძლებლობათა გამორიცხვისთვის, რომელსაც საქონლის მიწოდების გაფართოება არ ახლავს თან, აუცილებელია სავალუტო რეგულირებისა და კონტროლის გაძლიერება. ეს აღკვეთს კაპიტალის არალეგალურად გატანას და შიდაეკონომიკური ბრუნვიდან განდევნის უცხოურ ვალუტას.

საქართველოში ინვესტიციების საფინანსო-საკრედიტო რეგულირება აუცილებელ კავშირშია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებასთან, ვინაიდან საინვესტიციო ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებები პირდაპირაა დამოკიდებული მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მოწესრიგებასთან.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება წარმოადგენს.

საინვესტიციო აქტივობამ საქართველოში ახალი ტემპებით იჩინა თავი 2003-2004 წლებში, როდესაც უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 500 მილიონ დოლარს მიაღწია. ამ წლებში შემოსული უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტის სექტორზე ნაწილდებოდა, რომელშიც ძირითადი წილი კვლავ ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობაზე მოდიოდა.

ძნელია გამოვეყოთ სხვა მოტივაცია, რამაც შეიძლება უცხოელი ინვესტორი მოიზიდოს, ვინაიდან საქართველო ვერ გააკვირვებს ვერავის ვერც განათლების დონითა და მუშახელის კვალიფიკაციით, ვერც განვითარებული ინფრასტრუქტურით, ვერც სოციალური უზრუნველყოფის მოქნილი სისტემითა თუ სხვა სახის პირობებით.

აქედან გამომდინარე, უმთავრესი იქნება სწორედ პრივატიზაციის შემდეგ მოსალოდნელი საინვესტიციო აქტივობა, თუ რამდენად დაინტერესდება უცხოელი ინვესტორი პრივატიზების შემდეგ წარმოების გაფართოებით, ეს მთლიანად დამოკიდებული იქნება ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობაზე, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების განვითარებასა და განათლების დონეზე.

საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცეს.

საქართველოში არსებული ეკონომიკის საერთო დონიდან გამომდინარე, საინვესტიციო პროცესების მთავარი ინიციატორი სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს. ქვეყნის ეკონომიკაში ცალკეული პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სექტორების აღორძინებისათვის გადადგმული ნაბიჯები იქნება ის უმთავრესი სტიმული, რომელიც შექმნის ქვეყანაში სტაბილური განვითარების დაწყების პრეცედენტს.

**DEVELOPMENT OF INVESTMENT POLICY AND FINANCIAL-CREDIT METHODS  
ON CURRENT STAGE  
SUMMARY**

Financial and credit regulation of investments in Georgia are in close required relationship with investment environment of the country, evaluation of its advantages and disadvantages, as financial decisions of investment feature are directly depended on regulation of a lot of political, social-economic and cultural factors.

Stimulation of investment activity should become one of the most significant condition to attract and implement investments. Hence it follows, it should be one of the basic component of the government economic policy.

*Костюкова Инесса Николаевна  
Луговской Денис Владимирович*

**УЧЕТ ТОВАРНЫХ ЗАПАСОВ: НА ПУТИ К МСФО**

Российский учет сегодня претерпевает значительные преобразования, связанные с адаптацией Международных стандартов финансовой отчетности. В настоящее время уже можно констатировать общее методологическое единство, при наличии ряда технических отличий, проявляющихся, главным образом, в вопросах оценки товаров.

Торговым организациям в России предоставлено право затраты по заготовке и доставке товаров до центральных складов (баз), производимые до момента их передачи в продажу, включать в состав расходов на продажу.

Стоимостью приобретения товаров признается сумма фактических затрат организации на приобретение, за исключением налога на добавленную стоимость и иных возмещаемых налогов. В качестве таковых признаются: 1) суммы, уплачиваемые в соответствии с договором поставщику (продавцу); 2) суммы, уплачиваемые организациям за информационные и консультационные услуги, связанные с приобретением товаров; 3) таможенные пошлины; 4) невозмещаемые налоги, уплачиваемые в связи с приобретением единицы товаров; 5) вознаграждения, уплачиваемые посреднической организации, через которую приобретены товары; 6) затраты по заготовке и доставке товаров до места их использования, включая расходы по страхованию; 7) затраты по доведению товаров до состояния, в котором они пригодны к использованию в запланированных целях. Данные затраты включают затраты организации по подработке, сортировке, фасовке и улучшению технических характеристик полученных товаров; 8) иные затраты, связанные с приобретением товаров.

В случаях предоставления организациями-поставщиками организациям-покупателям товаров различных скидок товары в торговых организациях учитываются по покупной стоимости (стоимости приобретения). При этом покупной ценой товара считается фактическая величина денежных средств (или ее эквивалент), уплаченная за данный товар, т. е. за минусом предоставленной скидки.

В фактические затраты на приобретение товаров не включаются общехозяйственные и иные аналогичные расходы, кроме случаев, когда они непосредственно связаны с приобретением товаров.

В случае если величина транспортно-заготовительных расходов, связанных с приобретением товаров и доставкой их в организацию, составляет значительный удельный вес в общем объеме выручки от продаж товаров (более 10%), а также при их неравномерном уровне в течение года (продукция растениеводства, рыбный промысел и т. п.), осуществляется пропорциональное



распределение указанных сумм между покупной стоимостью проданных в данном месяце товаров и их остатком на конец месяца.

Выбранный метод распределения расходов на продажу (в т. ч. транспортно-заготовительных) устанавливается российской организацией самостоятельно и закрепляется в ее учетной политике. МСФО, напротив, не допускают распределения расходов на продажу между проданными товарами и остатком товаров на конец отчетного периода, так как выполнение данной процедуры приводит к завышению стоимости активов и сокращению величины расходов отчетного периода.

Согласно п. 10 МСФО (IAS) 2 «Запасы» стоимость приобретения товаров должна включать все затраты на приобретение, затраты на переработку и прочие затраты, понесенные для того, чтобы обеспечить текущее местонахождение и состояние запасов. Затраты на приобретение товаров включают в себя цену покупки, импортные пошлины и прочие налоги (за исключением тех, которые впоследствии возмещаются предприятию налоговыми органами), а также затраты на транспортировку, погрузку-разгрузку и прочие затраты, непосредственно относимые на приобретение товаров. Торговые уценки, скидки и прочие аналогичные статьи подлежат вычету при определении затрат на приобретение. Прочие затраты включаются в стоимость приобретения товаров только в той степени, в которой они были понесены для обеспечения текущего местонахождения и состояния товаров.

В МСФО (IAS) 2 «Запасы» (п. 16) приводится перечень затрат, которые не включаются в себестоимость запасов и признаются в качестве расходов в период возникновения:

- сверхнормативные потери сырья, затраченного труда или прочих производственных затрат;
- затраты на хранение, если только они не требуются в процессе производства для перехода к следующей стадии производства;
- административные накладные затраты, которые не способствуют обеспечению текущего местонахождения и состояния запасов;
- затраты на продажу.

Таким образом, действующий российский порядок формирования покупной стоимости (стоимости приобретения) товаров в целом соответствует требованиям международных стандартов.

В российской практике при формировании первоначальной стоимости товарных запасов могут использоваться специальные счета, предназначенные для учета процесса заготовления ценностей, порядок учета на которых подробно регламентирован.

В МСФО такой способ учета получил наименование метода нормативных затрат (п. 21 МСФО (IAS) 2 «Запасы»). Примечательно то, что его сущность и методика реализации не конкретизируются. Причина, видимо, состоит в том, что речь идет о методике отражения запасов в учете, а не в отчетности. Тем не менее, это не оправдывает использование такого узкоспециального термина как «метод нормативных затрат» без каких-либо пояснений.

Наряду с методом нормативных затрат организации торговли широко используют и, так называемый, метод розничных цен (п. 21 МСФО (IAS) 2 «Запасы»).

В России это проявляется в праве организаций, осуществляющих торговую деятельность, могут учитывать товары, приобретенные для продажи, одним из следующих способов:

- 1) по покупной стоимости (стоимости приобретения) непосредственно на счете 41 «Товары»;
- 2) по продажным (розничным) ценам с обособленным учетом наценок (скидок) на счете 42 «Торговая наценка».

Выбранный способ оценки товаров торговой организацией должен быть закреплен в учетной политике.

Формально организации оптовой торговли не вправе использовать второй способ и учитывают товары исключительно по стоимости их приобретения. Однако здесь уместно напомнить о том, что метод розничных цен, по сути, выступает частным случаем метода нормативных затрат, в отношении использования которого отсутствуют какие-либо ограничения как в МСФО, так и в России.

В торговле традиционно применяется стоимостная либо натурально-стоимостная схема оперативного учета товаров, т. е. учет остатков и движения товаров по каждому наименованию ведется либо в стоимостных, либо в стоимостных и натуральных единицах измерения. Организация натурально-стоимостного учета в розничной торговле затруднительна из-за значительного ассортимента продаваемых товаров, ежедневных поставок товаров от разных поставщиков и значительного документооборота. Тем не менее, в настоящее время использование современных моделей контрольно-кассовой техники в розничной торговле позволяет вести учет товаров по покупным ценам на основе применения штрих-кодов, наносимых на продаваемый товар.

При учете организацией, занимающейся розничной торговлей, товаров по продажным (розничным) ценам, к покупной цене товара добавляется величина торговой наценки, которая предназначена для возмещения расходов на продажу (издержек обращения), получения прибыли и уплаты косвенных налогов. Иными словами, торговая наценка — элемент цены продавца, обеспечивающий ему возмещение затрат и получение прибыли.

Организациям розничной торговли поставщиками могут предоставляться скидки на возможные потери товаров и на возмещение дополнительных транспортных расходов. В розничной торговле торговая скидка, как и торговая наценка, выступает частью розничной цены товара, и учитывается на счете «Торговая наценка».

Размер торговой наценки по товарам ничем не ограничен и может быть любым. Исключение составляют отдельные виды товаров, по которым осуществляется государственное регулирование цен, и устанавливаются предельные размеры розничных надбавок к фактической отпускной цене производителя. Таким образом, организация вправе самостоятельно определять размер и тем более механизм расчета торговой наценки. При этом возможны различные варианты, например:

- 1) на все товары (отдельные группы товаров) устанавливается единый размер наценки в процентах к покупной стоимости товаров;
- 2) для конкретного товара (группы товаров) торговая наценка устанавливается в виде твердой суммы;
- 3) устанавливается цена продажи, а затем рассчитывается торговая наценка.

Условия рыночной экономики, конкурентная среда, наличие взаимозаменяемых товаров делают наиболее экономически оправданным третий вариант определения торговой наценки. Это вызвано тем, что от разных поставщиков товары одного и того же наименования поступают по разным покупным ценам. Устанавливать разные розничные цены на одно наименование товара нецелесообразно. Следовательно, при одинаковой цене продажи товаров одного наименования и неидентичных покупных ценах на них, меняется только величина торговой наценки.

МСФО (IAS) 2 «Запасы» (п. 22), как уже говорилось, также разрешено использование метода розничных цен для оценки товаров, состоящих из большого количества быстро меняющихся статей с одинаковой нормой прибыли, в отношении которых невозможно использовать другие методы определения себестоимости. Себестоимость единицы товаров определяется путем уменьшения цены продажи данной единицы на соответствующий процент валовой прибыли. При определении величины используемого процента учитываются товары, стоимость которых была уменьшена до уровня ниже их первоначальной продажной цены. Часто используется среднее значение процента для каждого отдела розничной торговли.

Таким образом, товары в розничной торговле согласно российским и международным стандартам могут оцениваться по ценам продажи. Скидки и наценки при этом учитываются отдельно. При составлении бухгалтерского баланса сумма торговых наценок (скидок) вычитается из цены продажи, чем обеспечивается реализация принципа бухгалтерского консерватизма, направленного на недопущение завышения статей актива баланса.

Говоря о последующей оценке товаров, нельзя не затронуть существующие способы списания их стоимости, поскольку выбор того или иного из них напрямую влияет на величину товарных

запасов, отражаемую в учете и отчетности.

В России торговые организации, учитывающие товары по покупной стоимости, при продаже товаров оценивают их одним из способов:

- 1) по себестоимости каждой единицы;
- 2) по средней себестоимости;
- 3) по себестоимости первых по времени приобретения материально-производственных запасов (ФИФО).

Применение одного из способов по группе (виду) товаров производится исходя из допущения последовательности применения учетной политики.

Оценка товаров по себестоимости каждой единицы применяется в отношении тех товаров, которые не могут обычным образом заменять друг друга (драгоценные металлы, драгоценные камни и т. п.).

Оценка товаров по средней себестоимости производится по каждой группе (виду) товаров путем деления общей себестоимости группы (вида) товаров на их количество с учетом остатка товаров на начало месяца.

Расчет среднего значения фактической себестоимости проданных товаров может осуществляться двумя способами:

1) исходя из среднемесячной фактической себестоимости (взвешенная оценка), в расчет которой включаются количество и стоимость товаров на начало месяца и все поступления за месяц (отчетный период);

2) путем определения фактической себестоимости товаров в момент их отпуска (скользящая оценка), при этом в расчет средней оценки включаются количество и стоимость товаров на начало месяца и все поступления до момента отпуска.

МСФО (IAS) 2 «Запасы» также разрешено рассчитывать среднюю себестоимость с помощью периодической или непрерывной оценки: «Среднее значение может рассчитываться на периодической основе или при получении каждой новой партии в зависимости от специфики деятельности предприятия» (п. 27).

Таким образом, взвешенная и скользящая оценка, установленная российскими методическими указаниями по бухгалтерскому учету материально-производственных запасов, соответствуют периодической и непрерывной оценке согласно международным стандартам.

Оценка товаров способом ФИФО основана на допущении, что они используются в течение отчетного периода в последовательности их приобретения (поступления). Товары, первыми поступающие в продажу, оцениваются по себестоимости первых по времени приобретений с учетом себестоимости товаров, числящихся на начало периода (месяца).

В целом, методы оценки товаров, предусмотренные российскими положениями, аналогичны методом, разрешенным к применению МСФО (IAS) 2 «Запасы». Однако следует заметить, что в МСФО, по сути, разрешен выбор не из трех, а лишь из двух способов — ФИФО и средней себестоимости. Это связано с безальтернативным предписанием стандарта использовать метод специфической идентификации затрат (по себестоимости каждой единицы) для товаров, не являющихся взаимозаменяемыми.

Далее рассмотрим порядок признания и отражения в учете обесценения товарно-материальных ценностей, которое признается в случае, если предполагаемая цена продажи товаров становится ниже их первоначальной стоимости.

В п. 9 МСФО (IAS) 2 «Запасы» отмечено, товары должны оцениваться по наименьшей из двух величин: себестоимости или чистой цене продажи. В основе такого подхода лежит принцип осторожности и его частный случай — принцип наименьшей оценки, предусматривающий, что активы не должны учитываться по стоимости, превышающей сумму, которая, как ожидается, может быть получена от их продажи или использования. Нельзя не отметить, что аналогичный подход

предусмотрен п. 25 ПБУ 5/01 «Учет материально-производственных запасов».

Снижение цен, как правило, происходит вследствие того, что товары морально устаревают, истекает срок хранения, снижается покупательский спрос (чем обусловлена, например, сезонная распродажа) и в других случаях. Такие товары должны отражаться в бухгалтерском балансе по текущей рыночной стоимости, если она ниже первоначальной стоимости заготовления (приобретения). На разницу между текущей рыночной и первоначальной стоимостью заготовления (приобретения) товаров в российском учете за счет прочих расходов организации формируется резерв.

Вследствие обесценения стоимость товаров, по которой они были приняты к учету на счет «Товары», остается неизменной. В то же время в бухгалтерском балансе товары, по которым признано обесценение, отражаются в оценке «нетто»: из остатков по счету «Товары» вычитают сумму обесценения, отраженную на счете «Резервы под снижение стоимости материальных ценностей».

Согласно п. 20 Методических указаний по бухгалтерскому учету материально-производственных запасов резерв под снижение стоимости материальных ценностей создается по каждой единице запасов, принятой в бухгалтерском учете. Допускается создание резервов по отдельным видам (группам) аналогичных или связанных материально-производственных запасов. Не допускается создание резервов по таким укрупненным группам (видам) запасов, как основные материалы, вспомогательные материалы, готовая продукция, товары, запасы определенного операционного или географического сегмента и т. п.

Чистой ценой продажи согласно МСФО признается расчетная продажная цена в ходе обычной деятельности за вычетом расчетных затрат на завершение производства и расчетных затрат, которые необходимо понести для продажи. Чистая цена продажи относится к чистой сумме, которую рассчитывает выручить предприятие от продажи запасов в ходе обычной деятельности (п. 6 МСФО (IAS) 2 «Запасы»).

Себестоимость (покупная стоимость или стоимость приобретения) товаров может оказаться невозмещаемой в случае их повреждения, полного или частичного устаревания или снижения их продажной цены (п. 28 МСФО (IAS) 2 «Запасы»).

Списание запасов до чистой цены продажи производится, как правило, постатейно. В отдельных случаях целесообразно группировать сходные или взаимосвязанные друг с другом статьи. В частности, статьи запасов, относящиеся к одному и тому же товарному ассортименту, которые имеют одинаковое предназначение или конечное использование, произведены и продаются в одной и той же географической области и которые невозможно оценить отдельно от прочих статей того же товарного ассортимента (п. 29 МСФО (IAS) 2 «Запасы»). Расчет чистой цены продажи производится с учетом предназначения имеющихся товаров. Так, чистая цена продажи того объема товаров, который предназначен для выполнения договоров на их продажу по твердым ценам, определяется на основе цены, указанной в этих договорах. Если объем запасов, предназначенный для выполнения договоров на продажу, меньше общего объема соответствующих товаров, то чистая цена продажи излишка определяется на основе общих продажных цен. На величину разницы между объемом товаров по договорам на продажу по твердым ценам и объемом имеющихся товаров или из договоров на покупку товаров по твердым ценам формируются оценочные резервы согласно МСФО (IAS) 37 «Оценочные резервы, условные обязательства и условные активы» (п. 31 МСФО (IAS) 2 «Запасы»).

В каждом последующем отчетном периоде оценка чистой цены продажи подлежит корректировке. В том случае, если обстоятельства, обусловившие необходимость списания запасов до уровня ниже себестоимости, перестают существовать или имеется явное свидетельство увеличения чистой цены продажи в силу изменившихся экономических условий, списанная ранее сумма сторнируется таким образом, чтобы новая балансовая стоимость соответствовала наименьшему из двух значений — себестоимости или пересмотренной возможной чистой цене

продажи. Сторнирование производится в пределах суммы первоначального списания (п. 33 МСФО (IAS) 2 «Запасы»).

Заметим при этом, что в оригинале МСФО термин «сторнируется» представляет собой весьма вольный перевод слова «reversed», что скорее следует трактовать «восстанавливается, реверсируется», т. е. речь идет не о сортировочной, а об обратной записи. В то же время, учитывая, что МСФО говорят не об учете, а об отчетности, речь просто идет о восстановлении ранее списанных сумм запасов в бухгалтерском балансе.

Российские нормативные документы по бухгалтерскому учету говорят именно о восстановлении, а не о сторнировании. Восстановление обесценения (зарезервированной суммы) происходит, если текущая рыночная стоимость ценностей, снижение которой было отражено посредством признания обесценения (создания резерва), вновь повышается (но не выше первоначальной стоимости): дебет счета «Резервы под снижение стоимости материальных ценностей», кредит счета «Прочие доходы и расходы». Сходная запись делается по мере выбытия (продажи, списания и т. п.) товаров, в отношении которых был создан резерв, в части, соответствующей выбывающим товарам.

Резюмируя, отметим, что несмотря на достаточное количество формальных различий в учете операций с товарами, в основе современных российских стандартов лежит методология МСФО, а количество технических отличий сокращается.

*Kostyukova Inessa*

*Lugovskoy Denis*

## **THE TRADE STOCK ACCOUNTING: THE WAY TO IFRS SUMMARY**

Russian accounting today is undergoing significant changes associated with adaptation of the International Financial Reporting Standards. It is now possible to ascertain the general methodological unity, in the presence of a several technical differences are appears in inventories valuation. The article deals with the initial and subsequent valuation of a trade stocks in comparison with the IFRS. Particular attention is paid to the impairment of the inventories.

*მარინა მაისურაძე*

## **ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების და შეფასების საკითხები**

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ საიმედო ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც დაეხმარება მომხმარებელთა ფართო წრეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს. ამ მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. საწარმოს აქტივები;
2. საწარმოს ვალდებულებები;
3. საკუთარი კაპიტალი;
4. შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის, შემოსულობები და დანაკარგები;
5. მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, განხორციელებული განაწილებები;

6. საწარმოს ფულადი ნაკადები.

საწარმოს აქტივები, საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები წარმოდგენილია ბალანსში, ხოლო შემოსავლები და ხარჯები სრული შემოსავლების ანგარიშგებაში (მოგება-ზარალის ანგარიშგება).

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება არის საწარმოს ბალანსში და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ელემენტის განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს:

1) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;

2) თითოეულ მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მუხლების აღიარებაში შეცდომა იქნა დაშვებული, მისი შესწორება დაუშვებელია მათი შესაბამისი ასახვით ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებსა და ახსნა-განმარტებით დანართებში.

ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის აღიარების შესაძლებლობის დადგენისას აუცილებელია არსებითობის პრინციპის დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი უნდა იქნეს განცალკევებით. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა. თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაარსებითია, იგი აგრეგირდება სხვა მუხლებთან და ისე აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში.

თუ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის აღიარებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ან გასვლა გარკვეულ ეჭვს იწვევს, რაც დაკავშირებულია იმ განუსაზღვრელ გარემოსთან, რომელშიც საწარმოს უწევს საქმიანობა, ასეთ შემთხვევაში საწარმო, მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის მიმართ განუსაზღვრელობის გარემოს ზემოქმედების ხარისხის შესაფასებლად, ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებულ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საიმედო შეფასების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად (ბასს – ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები), აქტივი აღიარებული იქნება ბალანსში, თუ ამ აქტივის მონაწილეობით შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და, ამავე დროს, მისი საიმედო თანხობრივი შეფასება. აქტივი არ იქნება აღიარებული ბალანსში, თუ იგულისხმება, რომ გაწეული დანახარჯების შედეგად საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა არ მოხდება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. ასეთ შემთხვევაში აქტივი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების სახით. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ალბათობა არ არის საკმარისი აქტივის აღიარებისათვის.

საწარმოს ბალანსში ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას და შესაძლებელია მისი საიმედო რაოდენობრივი შეფასება-განსაზღვრა. ის სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც არ შესრულებულა არ

აისახება საწარმოს ბუღალტრულ ბალანსში. (პირობითი ვალდებულებები) ვალდებულების აღიარება გამოიწვევს მასთან დაკავშირებული აქტივების ან ხარჯების აღიარებასაც.

საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლის აღიარება-ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ზრდა გამოწვეულია აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით და მისი საიმედო შეფასება შესაძლებელია. ეს ნიშნავს, რომ შემოსავლების აღიარება ხდება მაშინვე, როგორც კი აღიარებული იქნება აქტივების ზრდა ან ვალდებულებების შემცირება.

საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და თუ შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება-გაზომვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხარჯების აღიარება-განსაზღვრა ხდება მაშინვე, როგორც კი აღიარებული იქნება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა.

საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგების და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას. მაგალითად, პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული სხვადასხვა სახის ხარჯი აღიარებული და ასახული იქნება მაშინვე, როგორც კი საწარმო მიიღებს შემოსავალს მოცემული პროდუქციის რეალიზაციიდან.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და მათი კავშირის დადგენა შემოსავლებთან მხოლოდ არაპირდაპირ არის შესაძლებელი, ხარჯების აღიარება უნდა მოხდეს სისტემატურად რაიმე შესაბამისი ნორმატიული განაწილების პრინციპის მიხედვით. ეს ძირითადად აუცილებელია ისეთ აქტივებზე გაწეული ხარჯების აღიარებასთან დაკავშირებით, როგორცაა: ძირითადი საშუალებები, გუდვილი, პატენტები, სავაჭრო ნიშნები; ასეთ დროს დანახარჯების აღიარება ხდება ცვეთის ან ამორტიზაციის ხარჯების სახით. ხარჯების განაწილების აღნიშნული წესი ითვალისწინებს დანახარჯების აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც აღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი მოიხმარება ან ამოიწურება.

შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტების აღიარება საწარმოს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდის შერჩევას.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდს, სხვადასხვა ხარისხით და მრავალი კომბინაციით. ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასების მეთოდებია:

- 1) პირვანდელი ღირებულება;
- 2) მიმდინარე ღირებულება
- 3) სარეალიზაციო ღირებულება;
- 4) დისკონტირებული ღირებულება.

**პირვანდელი ღირებულებით** აქტივების აღიარება ხდება მათი შექმნის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შექმნის მომენტში. აქტივების შექმნის შემდეგ მათი შეფასება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ძირითადი საშუალებები, რომელიც შექმნილია ყიდვით, აკმაყოფილებს აქტივად

აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით (შეძენის მომენტში), ხოლო როდესაც ძირითადი საშუალებები მიიღება ჩუქებით ან გაცვლით, ის ფასდება რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. **პირვანდელი ღირებულებით** ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი).

**მიმდინარე ღირებულებით** აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომელიც უნდა გადახდილიყო საწარმოს მიერ მისი ან ანალოგიური აქტივის შეძენისას. ვალდებულებები აღირიცხება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც საჭიროა მის დასაფარავად მიმდინარე პერიოდში.

**სარეალიზაციო ღირებულებით** აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია ამ აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები აღირიცხება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მის დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

**დისკონტირებული ღირებულებით** აქტივების აღრიცხვა ხდება მისი დისკონტირებული ღირებულების თანხით, რომელიც საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მომავალში შემოსასვლელი წმინდა ფულადი სახსრების ტოლია. საწარმოს ვალდებულებები აღირიცხება იმ მიმდინარე დისკონტირებული თანხით, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში და რომელიც საწარმოდან მომავალში ამ მიზნით გასასვლელი ფულადი სახსრების ტოლია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ყველაზე ხშირად იყენებენ პირვანდელი ღირებულების მეთოდს. უფრო მიღებულია მისი გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთობლივად. მაგალითად:

- 1) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება პირვანდელ ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით;
- 2) ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა შესაძლებელია მათი საბაზრო ღირებულებით;
- 3) საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულებები აღირიცხება დისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების თანახმად, საკუთარი კაპიტალი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ელემენტია. იგი წარმოადგენს საწარმოს აქტივების ნაწილს, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში იგი შეძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი ქვეჯგუფების სახით: სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შენარჩუნებას. ამგვარი სტრუქტურა ასახავს მესაკუთრეთა განსხვავებულ უფლებებს დივიდენდების მიღებისა და კაპიტალის ამოღებასთან მიმართებაში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საწარმოს აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის უნდა აისახოს მათი რეალური ღირებულებით. ეს დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივების გადაფასებასთან. გადაფასების შედეგად აქტივების საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა შესაძლებელია აისახოს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში, როგორც რეზერვი. სწორედ ამიტომ, საკუთარი კაპიტალის შემადგენ-



ლობაში, გარდა მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა, შედის გრძელვადიანი აქტივების გადაფასების რეზერვი, რომელიც თავისი შინაარსით არაფულად რეზერვს წარმოადგენს.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახული საკუთარი კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. როგორც წესი, საკუთარი კაპიტალის ჯამური სიდიდე შეიძლება მხოლოდ შემთხვევით უდრიდეს საწარმოს აქციათა ჯამურ საბაზრო ფასს ან თანხას, რომელიც შეიძლება იქნეს მიღებული წმინდა აქტივების ცალ-ცალკე ან მთლიანად საწარმოს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, გაყიდვით.

*Maisuradze Marina*

## **ISSUES OF RECOGNITION AND ASSESSMENT OF ELEMENTS OF FINANCIAL REPORTS SUMMARY**

A purpose of the financial reports is to present a reliable information regarding financial state, financial results of activity, and the money flows of a company.

Recognition of the elements of the financial reports is a process of reflection of that clause in the company's balance sheets and the profit-and-loss accounts, which meets the criterion of determination and recognition of a given element:

1) A future inflow into or outflow from a company of an economic benefit caused by this clause is expectable;

2) Each clause has a cost or a value and, can be assessed reliably.

Assessment is a process of determination of the amounts of money according to which this or that element of the financial report is recognized in the balance sheets and the profit-and-loss accounts of a company. This process implies a selection of a certain method of assessment.

When developing a financial report of a company, various methods of assessment are used with different degrees and combinations. The methods of assessment of the clauses of financial reports are as follows:

- 1) Initial value;
- 2) Current value;
- 3) Value of realization
- 4) Discounted value

*იზა ნათელაური*

### **საქართველოს საბარეო ვაჭრობის მოდელირების ზოგიერთი ასპექტი**

განვიხილავთ საქართველოს ექსპორტის, იმპორტის და წმინდა ექსპორტის ტრენდულ მოდელებს ჩვიდმეტწლიან (1995-2011) სტატისტიკაზე დაყრდნობით. ჩვენ მიერ გამოყენებული ინფორმაცია ეკუთვნის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს [4]. მონაცემები აღრიცხულია მლნ აშშ დოლარებში. გაანგარიშებები ჩატარებულია Mikrosoft Exel-ში, 20076 წელს.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

$Ex^*$  - იდენტიფიცირებული ექსპორტი;

$Im^*$  - იდენტიფიცირებული იმპორტი;

$Nx^*$  - იდენტიფიცირებული წმინდა ექსპორტი;

$t$  ( $t=1,2,\dots,12$ ) – დრო (წლები).

დავიწყოთ ექსპორტით.

ექსპორტის დროითი მწკრივის მოსწორების ანალიზურმა და გრაფიკულმა მეთოდებმა საშუალება მოგვცა, გავგეანალიზებინა წრფივი, ექსპონენციალური, ლოგარითმული, პოლინომიალური და ხარისხოვანი მოდელები ორ ვარიანტში: 1. სტატისტიკური მონაცემების ფაქტობრივი დონეების (ერთობლიობის მოცულობა  $n=17$ ) და 2. სტატისტიკური მონაცემების მოსწორებული დონეების მიხედვით. გამოვიყენეთ მცოცავი საშუალოს მეთოდი [3], უფრო ზუსტად კი სამწვერიანი მცოცავი საშუალოს მეთოდი ( $n=15$ ).

პირველი ვარიანტი:

წრფივი მოდელის მიხედვით,  $Ex^*=111,9 t-262,7$ , დეტერმინაციის კოეფიციენტი -  $R^2=0,848$ ;

ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,  $Ex^*=119,4e^{0,166t}$ ,  $R^2=0,962$ ;

ლოგარითმული მოდელის მიხედვით,  $Ex^*=588,7\ln t-415,7$   $R^2=0,583$ ;

პოლინომიალური მოდელის მიხედვით,  $Ex^*=9,131t^2+52,44t+257,7$   $R^2=0,955$ ;

ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,  $Ex^*=80,85t^{0,957}$   $R^2=0,792$ .

მეორე ვარიანტი:

წრფივი მოდელის მიხედვით,  $Ex^*=107,5 t-159,7$ , დეტერმინაციის კოეფიციენტი -  $R^2=0,912$ ;

ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,  $Ex^*=140,6e^{0,168t}$ ,  $R^2=0,978$ ;

ლოგარითმული მოდელის მიხედვით,  $Ex^*=520,0\ln t-267,1$   $R^2=0,652$ ;

პოლინომიალური მოდელის მიხედვით,  $Ex^*=8,2t^2+23,71t+211,9$   $R^2=0,99$ ;

ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,  $Ex^*=106,1t^{0,874}$   $R^2=0,809$ .

დეტერმინაციის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლით პირველ ვარიანტში გამოირჩევა სამი მოდელი: ექსპონენციალური (0,962), პოლინომიალური (0,955) და წრფივი (0,848), მეორე ვარიანტში – პოლინომიალური (0,99), ექსპონენციალური (0,978) და წრფივი (0,912). სხვა თანაბარ პირობებში, ეს ფაქტი ადასტურებს განხილული მოდელების სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას. კორელაციური კვლის მიხედვით, ორივე ვარიანტში საუკეთესოა პოლინომიალური მოდელი.

რაც შეეხება იმპორტს, მისთვის,

პირველ ვარიანტში:

წრფივი მოდელის მიხედვით,  $Im^*=401,2 t-1050$ , დეტერმინაციის კოეფიციენტი -  $R^2=0,799$ ;

ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,  $Im^*=365,8e^{0,171 t}$ ,  $R^2=0,868$ ;

ლოგარითმული მოდელის მიხედვით,  $Im^*=2085\ln t-1549$   $R^2=0,536$ ;

პოლინომიალური მოდელის მიხედვით,  $Im^*=33,46t^2-201,0t+856,8$   $R^2=0,904$ ;

ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,  $Im^*=262,5t^{0,953}$   $R^2=0,663$ .

მეორე ვარიანტში:

წრფივი მოდელის მიხედვით,  $Im^*=409,2 t-841,3$ , დეტერმინაციის კოეფიციენტი -  $R^2=0,882$ ;

ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,  $Im^*=413,9e^{0,178 t}$ ,  $R^2=0,872$ ;

ლოგარითმული მოდელის მიხედვით,  $Im^*=1917\ln t-1133$   $R^2=0,558$ ;

პოლინომიალური მოდელის მიხედვით,  $Im^*=38,44t^2-205,9t+901,6$   $R^2=0,940$ ;

ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,  $Im^*=343,5t^{0,869}$   $R^2=0,630$ .

ექსპორტისა და იმპორტის ანალიზურად, შევეცადეთ წმინდა ექსპორტის, უფრო ზუსტად კი საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მაჩვენებლის, დროითი მწკრივის მოსწორებას ანალიზური და გრაფიკული მეთოდებით. გავანალიზეთ წრფივი, ექსპონენციალური, ლოგარითმული, პოლინომიალური და ხარისხოვანი მოდელები

პირველი ვარიანტი:

წრფივი მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 289,3t - 787,8$ , დეტერმინაციის კოეფიციენტი  $-R^2 = 0,760$ ;  
 ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 240,3e^{0,175t}$ ,  $R^2 = 0,798$ ;  
 ლოგარითმული მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 1496 \ln t - 1153$ ,  $R^2 = 0,505$ ;  
 პოლინომიალური მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 24,33t^2 - 148,5t - 599$ ,  $R^2 = 0,862$   
 ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 178,4t^{0,951}$ ,  $R^2 = 0,584$ .

მეორე ვარიანტი:

წრფივი მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 301t - 672,2$ , დეტერმინაციის კოეფიციენტი  $-R^2 = 0,793$ ;  
 ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 272,7e^{1,183t}$ ,  $R^2 = 0,801$ ;  
 ლოგარითმული მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 1393 \ln t - 855,8$ ,  $R^2 = 0,519$ ;  
 პოლინომიალური მოდელის მიხედვით,  $Nx^* = -30,26t^2 - 183,1t - 699,6$ ,  $R^2 = 0,911$   
 ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,  $Nx^* = 238,1t^{0,860}$ ,  $R^2 = 0,541$ .

დეტერმინაციის კოეფიციენტის მიხედვით უკეთესია პოლინომიალური მოდელი (0, 862 პირველ ვარიანტში და 0.911 მეორე ვარიანტში).

შევამოწმეთ პოლინომიალური მოდელის (მისთვის დეტერმინაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია) საწყის მონაცემებთან თავსებადობის საკითხიც. ამ მიზნით გამოვითვალეთ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომის მაჩვენებლები  $A = 1/n[\sum (Ex_i - Ex_i^*)/Ex_i]$  100. სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა თუ გადააჭარბებს 5-7%-ს, მაშინ მოდელით დათვლილი მაჩვენებლები საწყისთან არათავსებადია. მეორე ნაწილის აზრით, ეს ზღვარი 10-12 %-იც შეიძლება იყოს. საქართველოს სინამდვილეში, აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა რაოდენობრივად იმაზე მიგვითითებს, რომ ზემოთ განხილული ტრენდული მოდელებით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლის პროექცია რეალურ შედეგებს ვერ მოგვცემს [1].

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნათელაური ი. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ანალიზი და ტესტირება ერთგვაროვნებაზე (2000-2010). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე. შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი, ბათუმი, 2011.
2. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების ტესტირება განაწილების ნორმალურობაზე (2000-2010). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები: "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2011.
3. Статистика. Под ред. И.И.Елисевой, Москва-Санкт-петербург-Воронеж-... "ПИТЕР", 2011.
4. <http://www.geostat.ge>

*Natelauri Iza*

### SOME ASPECTS OF MODELING OF GEORGIA'S FOREIGN TRADE SUMMARY

In the article is analyzed the trend models of exports, imports and net exports: linear, polynomial, logarithmic, exponential and qualitative.

**ფინანსური კრიზისი საქართველოს მშენებლობასა და კომერციულ ბანკებში**

როგორც სამთავრობო დოკუმენტებში, ისე მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლებში მუდმივად მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკა ინვესტიციების გარეშე ვერ განვითარდება. ორიენტაცია განსაკუთრებით კეთდება პირდაპირ ინვესტიციებზე. პირდაპირი ინვესტიციების 80-90%, განურჩევლად იმისა, ადგილობრივია იგი თუ უცხოური, სამშენებლო კომპანიების მიერ რეალიზდება. ეს არის ფიქსირებულ აქტივებში, ანუ ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები. ამ ინვესტიციებით სამშენებლო კომპანიები ეკონომიკის ყველა დარგს, ქვედარგს, სექტორს, სფეროს და ცალკეულ დამკვეთებს უშენებენ შენობა-ნაგებობებს, ხიდებს, გვირაბებს, გზებს და ა. შ. ამ ინვესტიციებს კაპიტალური, ხშირად კი ფიზიკური ინვესტიციები ეწოდება.

კაპიტალური ინვესტიციების ათვისების დონეს და გამოყენების ეფექტიანობას რამდენადმე განსაზღვრავს თვით სამშენებლო კომპანიების მდგომარეობა.


ასე რომ, მშენებლობის როლი ქვეყნის განვითარებაში ძალიან დიდია და ის წარმოადგენს მისი ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან ინდიკატორს. ცნობილი ქართველი ფინანსისტი დ. იაკობიძე წერს: „არ არის საჭირო, იყო დიდი ეკონომისტი იმისთვის, რომ იცოდეს – ქვეყნის მაკროეკონომიკური აღმავლობა იწყება მშენებლობიდან. ენერგეტიკული, ინდუსტრიულ-სამრეწველო, მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებული გადამამუშავებელი საწარმოებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა არის გზა, რომელსაც ყველა ეკონომიკა გამოჰყავს სტაგნაციიდან“ [1, გვ. 24-25].

ასეთ დროს საქართველოს სამშენებლო ბიზნესი კრიზისშია. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ შემცირდა მშენებლობაში ბრუნვის მოცულობა (ცხრილი 1, ნახაზი 1, 2), შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და შემცირდა მოგებაც.


*ცხრილი 1*

**საქართველოს სამშენებლო კომპანიების მუშაობის ძირითად მაჩვენებელთა მოცულობა და დინამიკა 2005-2010 წწ. [2]**

წლები	ბრუნვის მოცულობა, მლნ ლარი	დასაქმებულთა რიცხვი, კაცი	მოგების მოცულობა, მლნ ლარი	დინამიკა %-ით წინა წელთან		
				ბრუნვის მოცულობის	დასაქმებულების	მოგების
2005	778.8	38560	42.6	100	100	100
2006	1125.3	46681	93.2	144.4	121	218
2007	1604.6	52572	187.7	142.5	112.6	202
2008	1412	38109	64.6	88	72.5	34.4
2009	1199	33500	61.4	85	87	95
2010	1086	28360	60.3	90.6	84.6	98.5




**ნახ. 1. მშენებლობის ბრუნვის მოცულობა საქართველოში (მლნ ლარი)**



**ნახ. 2. მშენებლობაში დასაქმებული რაოდენობა საქართველოში**

როგორც ცხრილიდან და ნახაზებიდან ჩანს, საქართველოს მშენებლობას განვითარების განსაკუთრებული ბუმი ჰქონდა 2005-2007 წლებში. 2007 წელი იყო პიკის წელი, როცა ამ სექტორში ბრუნვამ 1604.6 მლნ ლარს მიაღწია და 52572 კაცი დასაქმდა. შემდეგი წლიდან მშენებლობის დარგმა დაცემა დაიწყო: 2008 წელს ბრუნვა შემცირდა 12%-ით, 2009 წელს – 15%-ით, 2010 წელს – 9,4%-ით. ამის შედეგად, უმუშევრად დარჩა 2008 წელს 14463 კაცი, 2009 წელს – 4609 კაცი, ხოლო 2010 წელს – 5140 კაცი. ბრუნვის შემცირებამ, ცხადია, შეამცირა სამშენებლო ორგანიზაციების მოგებაც.

იმავეს მეტყველებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მშენებლობის წილი (ნახ. 3). თუ მას 2005 წელს 9,1% ეკავა, 2006 წელს დაეცა 7,9%-მდე, 2007 წელს – 7,8%-მდე, 2008 წელს – 6,4%-მდე და 2009 წელს – 6,1%-მდე [2].



**ნახ. 3. მშენებლობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში**

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს იმ უკონტროლობამ გამოიწვია, რაც მშენებლობაში, განსაკუთრებით, ბინათმშენებლობაში სუფევს. ასეთი დანიშნულების მშენებლობები საქართველოში, ძირითადად, კერძო დაკვეთებით ხორციელდება. როგორც წესი, დამკვეთი მოსახლეობაა. სამშენებლო კომპანიები მშენებლობას ახორციელებენ ბანკის კრედიტებით და მოსახლეობის, ანუ მენაშენებლის ავანსებით. სწორედ საქართველოს ბანკების მიერ „გულუხვად“ გაცემულმა კრედიტებმა (როგორც მოსახლეობაზე, ისე სამშენებლო კომპანიებზე) გამოიწვია ის ბუმი მშენებლობაში, რომელიც 2005 წლიდან დაიწყო და პიკს 2007 წელს მიაღწია. კომერციულ ბანკებს, რომლებიც საზღვარგარეთიდან იღებდნენ მეტად იაფად (6-8% წელიწადში) კრედიტებს, დიდი მოცულობის საკრედიტო რესურსები გააჩნდათ და, ხშირად, უზრუნველყოფის გარეშეც კი იძლეოდნენ მას. როგორც მოსახლეობისთვის, ისე სამშენებლო კომპანიებისთვის ეს იყო მეტად ხელსაყრელი პირობა. ამიტომ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა, ძირითადად, აგარიულ და „ხრუშჩოვკის“ ტიპის სახლებში ცხოვრობს, გაჩნდა დიდი მოთხოვნა ახალ საცხოვრებელ სახლებზე. სამშენებლო კომპანიებმა, რომლებიც ამ მოთხოვნის გაჩენისთანავე სოკოებივით მომრავლდნენ („არსი“, „ცენტრ-პოინტი“, „კალასი“, „სასკო“, „მაგისტრალი“, „კიდ-არქიტექტურა“, „ტუქსი“, „მერანი“, „ბესკო“, „მერიდიანი“, „ოლიმპიური ვარსკვლავი“, „ხურო“ და სხვა და სხვა), ამ მოვლენას მყისიერად უპასუხეს. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში თუ სხვა ქალაქებში დაიწყო თავისუფალ მიწებზე „ნადირობა“, მათ ყიდვაზე – ერთმანეთის დასწრება და გადასწრება. ბევრი დანაშაული ჩაიდინეს ამ პროცესში იმ სახელმწიფო ორგანოებმაც, რომელთა კომპეტენციაში ამ მიწების გაყიდვა და მშენებლობებზე ნებართვების გაცემა შედიოდა. თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ მათი დახმარებით უკანონოდაც ბევრი მიწა გაიყიდა და უკანონოდაც ან კანონის ნაწილობრივი დარღვევით ბევრი კორპუსი აშენდა. მშენებლობის მაღა ისე გაიზარდა, რომ მათ კორპუსები ჩადგეს სკვერებში, საგზაო ზოლებში და სხვაგან. არანაირ არც ერთ არსებულ შენობას არ დაუტოვეს ეზო, რომლებიც მათ საბჭოთა მშენებლობის პარამეტრებით ჰქონდათ მიცემული და თითო 5 თუ 8 სართულიანების ეზოებში სამი-ოთხი 9-10 სართულიანი (ხშირად კი – მეტი) სახლები წამოჭიმეს. ამის დამადასტურებლად ერთი მაგალითის მოყვანაც იკმარებს. გაიარეთ ნუცუბიდის ქუჩაზე, განსაკუთრებით – ლისის ტბის ასახვევიდან ასათიანის ქუჩამდე და დააკვირდით, რა ხდება მარცხენა მხარეს ქუჩის პირზე ძველად აშენებული 5 სართულიანი სახლების ეზოებში. ამ მონაკვეთში, რომელიც ალბათ 0.5 კმ თუ იქნება, რომელიც ნუცუბიდის მხრიდან საბჭოური 5 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსებით არის დატვირთული, ხოლო ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მხრიდან – რესპუბლიკური საავადმყოფოს და სამედიცინო ინსტიტუტის სხვადასხვა კორპუსებით, სიღრმეში 10-მდე საცხოვრებელი კორპუსი მაინც ჩაშენდა მზადყოფნის სხვადასხვა დონით (შავი კარკასი, თეთრი კარკასი და კორპუსი „გასადებით“). ტერმინი „ჩაშენდა“ იმიტომ ვიხმარეთ, რომ მათზე აშენებას ვერ იტყვიოთ, ისინი ნამდვილად „ჩააშენეს“. ამისათვის იქ გაიკაფა ხეები, ნულამდე დავიდა

შენობებს შორის დაშორება, არსებულ 5 სართულიანებს გადმოეფარნენ ეს 9-10 სართულიანი შენობები და დააბნელეს ისინი და ა. შ. ამასთან, თვით ის ახალი შენობები ისე მიჯრით დგანან ერთმანეთთან და თანაც, ყოველგვარი სიმეტრიის გარეშე, რომ უბრალო ადამიანიც ხვდება, რომ იქ „ჩატევაზე“ იყო ფიქრი და არა სტანდარტის დაცვაზე... ქ. თბილისში ასეთი ადგილები მრავლადაა. ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანეთ.

მშენებლობის ეს ბუმი და ქალაქად მიწების მოსწრებაზე ყიდვა 2008 წლის პირველ ნახევრამდე გაგრძელდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა და საქართველოს კომერციულ ბანკებში ევროპიდან თავისუფალი ფულის წყაროს დაშრობამ (იქ განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო) ბანკების კრიზისიც გამოიწვია და – მშენებლობებისაც. გაუჭირდა მენაშენე-მოსახლეობასაც, რომელთაც ბანკები ახალ კრედიტებს აღარ აძლევდნენ. მშენებლებსაც აღარ ჰქონდათ ფული დაწყებული შენობების დასამთავრებლად. ბანკები ითხოვდნენ ვადადამდგარი კრედიტების უკან დაბრუნებას და ა. შ. ამას ისიც დაემატა, რომ თუ თავიდან სამშენებლო კომპანიები თავიანთ პროდუქციას 2-3 წლით განვადებით ყიდდნენ, შემდეგ დაიწყეს 10-15 წლით განვადება. კონკურენტული თვალსაზრისით ეს სწორი იყო, მაგრამ ასე შემოსული თანხები ვერ უზრუნველყოფდა მშენებლობის ტემპებს. ამიტომ სამშენებლო კომპანიებმა დაიწყეს ფინანსური პირამიდების მშენებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი მშენებლობისთვის შემოსული თანხებით ძველ კორპუსებს ასრულებდნენ და როცა ფულის იაფი წყარო დაშრა, ახალი კორპუსები დარჩა დაუსრულებელი. მათ მეპატრონეთა დიდ ნაწილს არათუ ავანსები, არამედ ბინის ღირებულების 80-90% გადახდილი ჰქონდა. თავიდან ისინი ვერც გაერკვნენ ვითარებაში – თუ რატომ არ მთავრდებოდა მათი ბინების მშენებლობა. შემდეგ კი ყველაფერი ცხადი გახდა.

საერთოდ, ნებისმიერი ფინანსური პირამიდა ადრე თუ გვიან იშლება, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესი საქართველოში დააჩქარა. გარდა იმისა, რომ კრიზისის ფონზე ფინანსური ურთიერთობები კონტრაგენტებს შორის დაიძაბა, მოხდა ისიც, რომ მთელი რიგი მშენებარე ობიექტები, რომლის გირაოში ჩადებით მენაშენებს იპოთეკური სესხები ჰქონდათ ბანკიდან აღებული, ვერ დამთავრდა მათზე ბანკებიდან დაღებული ყადაღის გამო.

ერთი სიტყვით, შეიქმნა ჩაკეტილი წრე – მენაშენე – ბანკი – სამშენებლო ორგანიზაცია და დაიწყო მათ შორის საქმის გარჩევები და ურთიერთბრალდებები. ეს პროცესი არ დამთავრებულა და დღესაც გრძელდება. მარტო კომპანია „ცენტრ-პოინტს“ 3000-ზე მეტი მომხივანი მენაშენე (დამკვეთი) ჰყავს.

რამ გამოიწვია ყოველივე ეს და რა უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო?

ეკონომიკა რომ ციკლურად ვითარდება და რომ კრიზისი მისი ერთი შემადგენელი ეტაპია, ეს არავისთვის არის უცხო, მაგრამ თუ ქვეყანა და მისი ბიზნესსერთეულები ამ კრიზისს მომზადებულნი შეხვდებიან, მაშინ ის ისეთი მტკივნეული აღარ იქნება, როგორც ეს მოხდა ჩვენ მიერ აღწერილ შემთხვევაში, როცა დაზარალებულნი სამშენებლო კომპანიებიც, ბანკებიც, სამუშაოდაკარგული ადამიანებიც და მენაშენე მოსახლეობაც, რომელთა დიდმა ნაწილმა ფულიც დაკარგა და ბინაც. ნაწილმა კი ჯერაც არ იცის, რა ელოდება.

ეს არ მოხდებოდა, საქართველოს სამშენებლო კომპანიებზე (და აგრეთვე, ბანკებზე) დაწესებული რომ ყოფილიყო სათანადო კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. კონტროლი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ იგი ტექნიკური კონტროლია და არა – ფინანსური. მეტიც, სამშენებლო კომპანიების 98% კერძო კომპანიებია და მათი ფინანსური კონტროლი საქართველოს კონტროლის პალატას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა ამას სასამართლო მოითხოვს [3], სხვა შემთხვევებში – არა. ჩვენი აზრით, საქართველოში საბაზრო ეკონომიკა

„შოკური თერაპიის“ მეთოდით დამყარდა. ამისთვის არ იყო ქვეყანაში შექმნილი არც სამართლებრივი და არც ფსიქოლოგიური ბაზა. ქონების განკერძოების შემდეგ სახელმწიფო, ფაქტობრივად, გავიდა ეკონომიკიდან და იგი ადამ სმიტის „უჩინარ ხელს“, ანუ საბაზრო ძალებს გადააბარა. ეკონომიკის კერძო სექტორის დასარეგულირებლად მან დაიტოვა მხოლოდ გადასახადები. ჩვენი აზრით, ეს არასწორი ნაბიჯი იყო და ისიც არასწორია, რომ დღესაც ეს ვითარებაა. მოგებას გამოდევნებული კერძო კომპანიები უამრავ არასწორ ქმედებებს ახორციელებენ. ზარალდებიან მათი კონტრაგენტები და ზარალდება მოსახლეობაც. სახელმწიფო კი ამ საქმეში არ ერევა.

რადგან საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა, ჩვენი აზრით, ჯერ-ჯერობით საჭიროა, სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურად აკონტროლებდნენ კერძო ფირმებს, ისევე, როგორც აკონტროლებენ სახელმწიფო საწარმოებს. ეს რომ ასე ყოფილიყო, სამშენებლო კომპანიებიც და ბანკებიც ამ კრიზისში არ აღმოჩნდებოდნენ. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ევროპაში დაწყებული კრიზისი საქართველოში არ გავრცელდებოდა – სრულიადაც არა. უბრალოდ, სამშენებლო კომპანიები ბანკებთან შეთანხმებულად ფინანსურ პირამიდებს ვერ ააშენებდნენ. იგივე ვითარება რომ არ განმეორდეს მომავალში და მოსახლეობას დაუბრუნდეს სამშენებლო კომპანიებისადმი ნდობა, საჭიროა მათ ფინანსურ ოპერაციებზე კონტროლი, საკუთარი კაპიტალის საკმარისობის 80%-ის დონეზე ნორმატივის დადგენა და კომპანიების წლიური ანგარიშების, კერძოდ, წლიური ბალანსების გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში.

#### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. იაკობიძე დ. სამშენებლო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში, ჟურნალი „თეუსუ“, №2, 2010.
2. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
3. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, თბ., 2005.

*Papaskiri Rusudan*

#### **FINANCIAL CRISIS IN CONSTRUCTION FIELD AND COMMERCIAL BANKS OF GEORGIA SUMMARY**

Rusudan Papaskiri's work examines the crisis existing in construction companies of Georgia according to current condition, which is partially caused by the financial crisis developed in Europe and partially by the August War 2012.

The fact that the development of construction has been terminated since 2008 is explained in the article by the lack of money physically in commercial banks, which is not able to issue the mortgage credits either to construction companies or the population. On the contrary, they require the repaying of taken loans and those who are not doing so are sold their property loaded under mortgage. In the same condition are the construction companies.

The article denotes that the construction companies have been worked with the financial pyramid method that is that they were spending the money attracted for the new building for the completion of previous one and when the monetary resource was over the buildings were left uncompleted.

Rusudan Papaskiri considers that if the government should have controlled the banks and construction companies more actively, this would not happen.



**პროგრამული ბიუჯეტი – ეფექტიანობის აუდიტის საფუძველი**

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ სერიოზული ცვლილებები გამოიწვია აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. საზოგადოების მომსახურების სფეროებში აუდიტი არის არა მარტო ფინანსური ანგარიშგების, არამედ ფულის ღირებულების აუდიტიც. ფულის ღირებულება კი განისაზღვრება ეკონომიურობის, შედეგებისა და ეფექტიანობის ტერმინებით, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედითობის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ამადლების აუცილებლობით, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობით, სახელმწიფო სახსრების მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებით.

ეფექტიანობის აუდიტი გულისხმობს სახელმწიფო პროექტების, ორგანიზაციების ან პროგრამების ეკონომიურობას, ეფექტიანობისა და ქმედითობის დამოუკიდებელ კვლევას, და მიზნად ისახავს მათ დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ეფექტიანობის აუდიტი აუდიტის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებზე: ვიღებთ თუ არა გამოყენებული ფულადი სახსრებიდან სათანადო შედეგს, შესაძლებელია თუ არა მათი უკეთესად გამოყენება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას კი უზრუნველყოფს პროგრამული ბიუჯეტი. საბიუჯეტო ტერმინოლოგიისა და საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა ძირითადი ტერმინების თანახმად, **პროგრამული ბიუჯეტი არის მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.**

პრაქტიკულად, პროგრამული ბიუჯეტი დეტალურად დაგეგმილი ბიუჯეტია, სადაც ჩანს არა მხოლოდ დაფინანსების მოცულობა, არამედ გაწერილი პროგრამები, მათი მიზნები, ამოცანები, ბენეფიციარები, დეტალური ბიუჯეტი და მოსალოდნელი შედეგები.

საზოგადოება პროგრამული ბიუჯეტის საშუალებით დეტალურ ინფორმაციას იღებს ბიუჯეტის მიზნობრივ და გამჭვირვალე ხარჯვაზე. პროგრამული ბიუჯეტი ხარჯების გამჭვირვალობის საუკეთესო საშუალებაა. ბიუჯეტის გამჭვირვალობას განაპირობებს მიზნობრივი პროგრამების დეტალიზაცია არა მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის, არამედ ბენეფიციარების, შედეგების მიღწევის კრიტერიუმებისა და სხვა მაჩვენებლების სახით.

2009 წელს ახალი საბიუჯეტო კოდექსის მიღებით საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირდა პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, სადაც გაცხადებული იყო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი 2012 წლიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები 2013 წლიდან, უნდა დაგეგმილიყო პროგრამულ ფორმატში.

2010 წლის 10 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება 284 პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე, ამავე განკარგულებით დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ზედამხედველობა და გეგმის შესრულების საერთო კოორდინაციის განხორციელება დაევადა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამავდროულად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკები და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, ვალდებულნი იყვნენ, უზრუნველყოთ

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაძლოდ მოკლე დროში მიწოდება.

პროგრამული ბიუჯეტი – ეს არის გეგმა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული მიმდინარე ფისკალურ წელს გამოყოფილი რესურსები. ბიუჯეტი არის გადაწყვეტილებების მიღების ბაზისი და, ამავე დროს, ანგარიშგების იარაღი იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდა ეს გადაწყვეტილებები. პროგრამული ბიუჯეტის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანია მონაწილეობდნენ ადმინისტრაცია, პოლიტიკური ლიდერები და საზოგადოებები. ამგვარად შედგენილი ბიუჯეტი მთავრობასა და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად ეფექტიანად გადაანაწილონ რესურსები.

პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობები გამოიხატება მის გამჭვირვალობაში, მოსახლეობის მიზნების, მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გამოაშკარავებაში, საზოგადოების მიზნების შესრულებაში, კოორდინირებული და ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფაში, მდგრადი და ჯანსაღი ფინანსური პროგრამის განხორციელებაში. როგორც წესი, პროგრამული ბიუჯეტი გათვლილია მისაღებ შედეგებზე.

საქართველოში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა საჯარო სექტორის მოდერნიზების მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს. რეფორმების მიზანი კი საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაა.

პროგრამული ბიუჯეტის განხილვის დროს ყურადღება ექცევა ისეთ აქტუალურ თემებს, როგორცაა: პროგრამული ბიუჯეტის მნიშვნელობა საჯარო სექტორის მართვაში, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები და პრობლემები; პროგრამული ბიუჯეტის მონაწილე მხარეთა როლი და ფუნქციები. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების საკითხების მოგვარება.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა კავშირი არსებობს ეფექტიანობის აუდიტს, შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრასა და პროგრამათა შეფასებას შორის?

როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ პროგრამებთან დაკავშირებით, სწორედ ეფექტიანობის აუდიტმა და პროგრამათა შეფასებებმა უნდა განსაზღვროს თუ როგორ ფუნქციონირებს გარკვეული პროგრამები, აქედან გამომდინარე, აუდიტი და შეფასებები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია კავშირი შესრულებული სამუშაოს განსაზღვრას, პროგრამების შეფასებასა და ეფექტიანობის აუდიტს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფექტიანობის აუდიტის საშუალებით ხდება სამთავრობო პროგრამებისა და ორგანიზაციების კვლევა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ქმედითობის თვალსაზრისით. ეფექტიანობის აუდიტი არარეგულარული დროის ინტერვალით ხორციელდება და კონცენტრირებას ახდენს განსაკუთრებით მიღწეულ შედეგებზე და არა ხარჯებსა და აღრიცხვის წარმოებაზე, რაც ერთგვარად განასხვავებს ფინანსური აუდიტისაგან, თუმცა სახელმწიფო პროგრამის ან ორგანიზაციის მიერ დასახულ მიზანთა კვლევაში, ეფექტიანობის აუდიტთან ერთად, შეიძლება ჩართული იყოს ფინანსური აუდიტიც. სწორედ ამიტომ ითვლება საერთაშორისო პრაქტიკაში პროგრამული ბიუჯეტი ეფექტიანობის აუდიტის წყაროდ.

**PROGRAM BUDGET – BASIS FOR AUDIT OF EFFICIENCY  
SUMMARY**

Audit of efficiency belongs to the category which should answer the questions: Do we get a proper result from the use of money sources, is it possible to better use them? The program budget will provide an answer to this question in accordance with budget terminology and other key terms related to the budget process.

The program concept itself is flexible in scope, but can serve multiple objectives. The program can be a means of enabling more efficient use of resources within the program by aggregating activity budgets and providing more flexibility to program managers to apply these resources during the year. And it can be a vehicle for reorganizing administrative units into more coherent structures focused on particular objectives. Analytically, it can be a means of grouping inputs around objectives, and evaluating effectiveness and efficiency in combination with output and performance data.

Program budget is combination of indicators of priorities, programs, projects and expected outcomes and assessments implemented by the spending organizations.

In fact, program budget is budget, planned in detail, which shows not only the amount of funding, but also related programs, their goals, objectives, beneficiaries, and expected results.

**რამაზ ფუტყარაძე**

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის აპტუალური საკითხების შესახებ**

სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპორტის გაზრდას, ექსპორტის დივერსიფიკაციას, სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო-საკრედიტო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებთან. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობად ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების შემდგომი რეალიზაცია გვესახება, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე, რაც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის საფუძველია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ადგილი მეტად მოკრძალებულია საერთაშორისო ვაჭრობაში. საქართველოს ექსპორტის ხვედრითი წილი შეადგენს მსოფლიო ექსპორტის 0.01%-ს, ხოლო ქვეყნის იმპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო იმპორტის 0.03%-ია. ასევე მოკრძალებულია საქართველოს ადგილი მსოფლიო ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყანათა შორის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველოს უკავია მსოფლიო ექსპორტიორ ქვეყანათა შორის 132 და მსოფლიო იმპორტიორ ქვეყანათა შორის 114 ადგილი<sup>1</sup>.

2011 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, 36%-ით გაიზარდა და 9247 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის საქონლის მთლიანმა ექსპორტმა 2189 მლნ (39%-ით მეტი), იმპორტმა – 7058 მლნ (34%-ით მეტი), ხოლო ქვეყნის უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 4869 მლნ აშშ დოლარი (32%-ით მეტი).

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4869 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ ექსპორტის ზრდის

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები.

World Trade Report 2011. World trade organization, Geneva, WTO, 2011.

მაჩვენებელი აღემატება იმპორტის ზრდის მაჩვენებელს და, შესაბამისად, იზრდება ექსპორტის წილიც სავაჭრო ბრუნვაში. 2011 წელს, ექსპორტის ხვედრითი წილი, 2010 წელთან შედარებით, გაიზარდა 23%-დან 23.7%-მდე.

2011 წელი რეკორდულია როგორც ექსპორტისა და იმპორტის, ასევე სავაჭრო ბრუნვის და სავაჭრო სალდოს მაჩვენებლებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2011 წელს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმაც რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 9 ერთეულით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 147 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან, 32 ქვეყანასთან დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო ბალანსი. სომხეთი ერთადერთი მეზობელი და უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს 2011 წელს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა (164 მილიონი აშშ დოლარი).

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მეტად მზარდი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. შესაბამისად ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტი უნდა იყოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს ეტაპობრივი შემცირება. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4,87 მლრდ აშშ დოლარია, რაც ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მაღალი მაჩვენებელია. მეტად მაღალია იმპორტის წილი მშპ-ში და 2010 წელს შეადგენა 31.6%.

**ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა**  
(მლნ აშშ დოლარი)<sup>2</sup>

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა, %	ექსპორტი	წლიური ზრდა, %	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
2003	1,141.1		461.4		-679,7	1,602.5
2004	1,845.5	61.7	646,9	40.2	-1,198.6	2,492.4
2005	2,489,9	34.9	865,4	33.8	-1,624.4	3,355.4
2006	3,677.7	47.7	936,1	8.2	-2,741.5	4,613.9
2007	5,214.8	41.8	1,232.3	31.6	-3,982.5	6,447.2
2008	6,304.5	21.4	1,496	20.8	-4,808.4	7,800.6
2009	4,378.3	-30.6	1,134.9	-24.1	-3,243.3	5,513.2
2010	5 249	16.6	1 574	21.1	-3 675	6 823
2011	7 058	34	2 189	36	-4 869	9 247

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით ექსპორტის მოცულობა გაიზარდა, მისი ხვედრითი წილი ჯამურ სავაჭრო ბალანსში ცვალებადია. ტენდენცია ასეთია: 2003 წელი – 30%, 2004 – 26%, 2005 – 25,8%, 2006 – 21,2%, 2007 – 19,1%, 2008 – 19.2%, 2010 წელი – 23%, ხოლო 2011 წელი – 23,7%. ბუნებრივია, ამ ფონზე მატულობს იმპორტის წილი და შესაბამისად იზრდება უარყოფითი სავაჭრო სალდო. მართალია, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა იზრდება, მაგრამ ასევე იზრდება სავაჭრო დეფიციტი და შესაბამისად არ იზრდება ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი. იზრდება ვაჭრობის გეოგრაფია და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, მაგრამ არ იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. მართალია, მთლიანობაში წინა პერიოდთან შედარებით საექსპორტო მაჩვენებელი იზრდება, მაგრამ არ იცვლება საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურა.

საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემები  
[http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia%20in%202011-Geo.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia%20in%202011-Geo.pdf)

„საქსტატის“ მონაცემები და ევროსტატის მონაცემების სარკისებრი შედარება მხარეებს შორის თანამშრომლობის სულ სხვა სურათს იძლევა.

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემების მიხედვით, საქართველოს ექსპორტის 19% და იმპორტის 29% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის<sup>3</sup>.

2. ევროსტატის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2010 წელს საქართველოს ექსპორტის 36.7% და იმპორტის 31.7% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის<sup>4</sup>.

3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2010 წელს საქართველოს ექსპორტის 18.5% და იმპორტის 28.2% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის<sup>5</sup>.

2010 წელს საქართველო ევროკავშირის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის 74-ე, იმპორტიორ ქვეყნებს შორის – 82-ე და სავაჭრო ბრუნვის მიხედვით – 81-ე ადგილზე იყო წარმოდგენილი. ევროკავშირის ექსპორტში საქართველოს ხვედრითი წილი 0,1%-ია, ხოლო იმპორტში – კიდევ უფრო დაბალი - 0,04%<sup>6</sup>. ევროკავშირი მთლიანობაში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ორმხრივი ვაჭრობა საკმაოდ დინამიკურად ვითარდება<sup>7</sup>. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2011 წელს ევროკავშირის ქვეყნებთან 41%-ით გაიზარდა და 2477 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტი 46%-ით გაიზარდა, 424 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 19%). იმპორტი კი 40%-ით გაიზარდა და 2053 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი იმპორტის 29%).

2011 წელს ევროკავშირში განხორციელებული საერთო ექსპორტის 50.4% GSP+ რეჟიმზე მოდის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაიცა 1483 წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა "A", აქედან ევროკავშირში ექსპორტისას – 1463 სერტიფიკატი, ხოლო GSP-ის მომნიჭებელ სხვა ქვეყნებში (აშშ, კანადა, შვეიცარია, ნორვეგია, იაპონია) – 20 სერტიფიკატი. 2011 წელს ექსპორტი 2010 წელთან შედარებით გაიზარდა ევროკავშირის 18 ქვეყანასთან. ამასთან, 100%-ზე მეტი ზრდა დაფიქსირდა უნგრეთთან, შვედეთთან, საფრანგეთთან, სლოვაკეთთან, პოლონეთთან იტალიასა და ესტონეთთან. კლება დაფიქსირდა ევროკავშირის 9 ქვეყანასთან (გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, რუმინეთი, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესპანეთი, დანია, მალტა და სლოვენია)<sup>8</sup>. ევროკავშირის ბაზარზე პრეფერენციული რეჟიმით გავიდა 213.9 მლნ აშშ დოლარის 34 სახეობის პროდუქცია. აქედან, სამ ძირითად სახეობაზე მოდის მთლიანი ექსპორტირებული პროდუქციის 88.9%: თხილი და კაკალი - 51.3% (109.7 მლნ აშშ დოლარი), ამონიუმის გვარჯილა - 32.4% (69.4 მლნ აშშ დოლარი) და ფეროსილიკომანგანუმი - 5.2% (11.2 მლნ აშშ დოლარი).

ბოლო წლებია ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და შეიმჩნევა მისი წილის ზრდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში. 2011 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ჯამურმა წილმა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. ევროკავშირის შემდეგ საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება, რომელთან სავაჭრო ბრუნვა;ლ 2011 წელს 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი –1.03 მლრდ

<sup>3</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემები <http://geostat.ge>

<sup>4</sup> GEORGIA. EU bilateral trade and trade with the WORLD. DG. Trade, 8 Jun. 2011.

<sup>5</sup> [wto.org](http://wto.org)

<sup>6</sup> იხ. უფრო ვრცლად. ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., „უნივერსალი“, 2010. ფუტკარაძე რ. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ №5. 2007.

<sup>7</sup> კაკულია მ. ორმხრივი ვაჭრობის განმტკიცება. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი (ფრიდრიხ ებერტის ფონდი), თბ., 2007. გვ. 104.

<sup>8</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია. <http://www.economy.ge>

აშშ დოლარი, უკრაინა – 846.8 მლნ აშშ დოლარი, ჩინეთი – 553.6 მლნ აშშ დოლარი, რუსეთი – 426.3 მლნ აშშ დოლარი (რუსეთში ექსპორტმა 36.6 მილიონი აშშ დოლარი), აშშ – 389.2 მლნ აშშ დოლარი, სომხეთი – 282.1 მლნ აშშ დოლარი და არაბეთის გაერთიანებული ემირატები – 266.4 მლნ აშშ დოლარი. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, ხოლო მე-3 ცხრილში, აღნიშნული ქვეყნები საერთაშორისო ვაჭრობაში და გამოყოფილია მათ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში ევროკავშირის ადგილი. მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში აუცილებლად გაიზრდება მსოფლიოს №1 ექსპორტიორი ქვეყნის, ჩინეთის წილი.

**ცხრილი 2. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2011 წ.**

იმპორტის მიხედვით				ექსპორტის მიხედვით			
ქვეყანა	მლნ აშშ დოლარი	%	№	ქვეყანა	მლნ აშშ დოლარი	%	
<i>სულ</i>	7 058	100		<i>სულ</i>	2 189	100	
ევროკავშირი 27	2 053	29	1	ევროკავშირი 27	424	19	
თურქეთი	1 272	18	2	აზერბაიჯანი	425.9	19.5	
უკრაინა	705.5	10	3	თურქეთი	227.5	10.4	
აზერბაიჯანი	611	8.7	4	სომხეთი	223	10.2	
ჩინეთი	524.7	7.4	5	ყაზახეთი	156.8	7.2	
რუსეთი	389.7	5.5	6	აშშ	143.5	6.6	
აშშ	245.8	3.5	7	უკრაინა	141.2	6.5	
არაბთა გაერთიანებული ემირატები	226.4	3.2	8	კანადა	114.8	5.2	

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ექსპორტში წინა წელთან შედარებით ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა თხილი (103%-იანი ზრდა), აზოტოვანი სასუქები (100%-იანი ზრდა) და მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი (98%-იანი ზრდა).

ქვეყნის საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი, როგორც წინა წელს, მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა და 450.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (რეექსპორტი), მის წილად ექსპორტის 20.6% მოდის. ხოლო მეორე ადგილზეა ფეროშენადნობების ექსპორტი, რომელმაც 254.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ექსპორტის 11.6%), მესამე ადგილზეა აზოტოვანი სასუქების ექსპორტი – 144 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის 6.6%), შემდეგ მოდის თხილი – 130 მილიონი აშშ დოლარი (5.9%); შავი ლითონების ჯართი – 116.8 მილიონი აშშ დოლარი (5.3%); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული – 109.8 მილიონი აშშ დოლარი (5%); სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 85.1 მილიონი აშშ დოლარი (3.9%); ეთილის სპირტი არადენატურირებული – 67.8 მილიონი აშშ დოლარი (3.1%); ე.წ. ”არმატურა” – 61 მილიონი აშშ დოლარი (2.8%); ღვინო – 54.1 მილიონი აშშ დოლარი (2.5%).

2011 წელს ღვინის, მინერალური წყლების და სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების ექსპორტმა 2006 წლის შემდგომ ყველა წლიურ მაჩვენებელს გადააჭარბა. 2011 წელს ექსპორტირებულია 54 მლნ აშშ დოლარის ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 38.5% მეტია და ამ პოზიციას 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ცხრილში 2.5% ხვედრითი წილით მე-10 ადგილი უკავია. ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 48 ქვეყანაში. 2011 წელს ექსპორტირებულია 68 მლნ აშშ დოლარის

სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები და საექსპორტო პროდუქციის ძირითად ათეულში მე-8 ადგილი უკავია 3.1% ხვედრითი წილით. მინერალური წყლების ექსპორტმა კი 48 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2.1% ხვედრითი წილით საექსპორტო პროდუქციაში მე-12 ადგილი დაიკავა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსუბუქი ავტომობილებით ვაჭრობასა და მის რეექსპორტს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში მისი საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნებში გატანის მოცულობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული პოზიციით საქართველო მსოფლიოს 40-მდე ქვეყანასთან ვაჭრობს, მათ შორის დსთ-ს ქვეყნების წილი 87%-ია.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფის პირველ პოზიციაზე 2011 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რამაც 911 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 12.9% შეადგინა. მეორე ადგილზე ავტომობილების იმპორტია 510.5 მლნ აშშ დოლარით, რაც იმპორტის 7.2% შეადგენს. პირველი ათი საიმპორტო პროდუქციის წილმა მთლიან იმპორტში 35.9% შეადგინა.

საქართველო ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის (FTA) შემოღების საკითხში. მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაზრდის სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბებს. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა. აღნიშნულს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე, მაგრამ პერსპექტივაში, გრძელვადიან პერიოდში საქართველოსთვის ეს აუცილებლად მომგებიანი იქნება. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას ცალკეულ ბაზრებზე. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ხელს შეუწყობს, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას მსოფლიო ბაზარზე.

საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას. აღნიშნული შეთანხმების გაფორმება კი ხელს შეუწყობს დღემდე დაბეგვრადი საქონლის (რომელსაც არ ითვალისწინებს დღეს მოქმედი GSP+ რეჟიმი) იმპორტს ევროკავშირში. საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ფართო შეთანხმება განაპირობებს ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრებას, სტანდარტებსა და სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას, ასევე, რეგიონის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

მართალია, საქართველოს ხვედრითი წონა ევროკავშირის მთლიან ექსპორტში მოკრძალებულია, მაგრამ პერსპექტივაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია ეს მაჩვენებელი გაზარდოს, ამასთან, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ევროკავშირს ეძლევა საშუალება გაზარდოს სავაჭრო ურთიერთობები ყოფილი საბჭოთა კავშირის, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან. ჩვენი აზრით, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში თურქეთთან, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ევროკავშირის წილი დაბალია, ისევე, როგორც მისი მაჩვენებელი. ევროკავშირი წარმოადგენს თურქეთის №1 სავაჭრო პარტნიორს როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მიხედვით.

**ცხრილი 3. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები საერთაშორისო ვაჭრობაში და ევროკავშირის 2010 წელი<sup>9</sup>**

ქვეყანა	მოსახლეობა (მლნ)	აღიწილი მსოფლიო ექსპორტში	აღიწილი მსოფლიო იმპორტში	ევროკავშირის წილი ქვეყნის ექსპორტში	ევროკავშირის წილი ქვეყნის იმპორტში
თურქეთი	72.7	33	21	47.1	39
აზერბაიჯანი	9	62	102	47.5	25.3
სომხეთი	3.1	145	131	49.5	25.4
ჩინეთი	1339	1	2	19.7	12
ყაზახეთი	16.3	47	61	54	30.1
რუსეთი	142	12	18	52.2	38.3
აშშ	309	2	1	18.8	16.6
უკრაინა	46	53	44	25.4	31.4
კანადა	34	13	11	8.6	11.9
არაბთა გაერთიანებული ემირატები	7.5	19	26	-	21.6
საქართველო	4.45	132	114	18.5	28.2

პროფესორი ვ. ვილსენტზი მართებულად მიიჩნევს, რომ საქართველოს ექსპორტის წილი მშპ-ში 40%-მდე უნდა გაიზარდოს. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის გახსნილობა, რომელიც მშპ-თან ვაჭრობის შეფარდებით იზომება, დაახლოებით 90%-ია, რაც არც ისე მაღალი მაჩვენებელია პატარა ქვეყნისათვის და უფრო დაბალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში<sup>10</sup>. საქართველოს ექსპორტის წილი მშპ-ში (11636 მლნ აშშ დოლარი) 2010 წელს შეადგენდა მხოლოდ 13.5%-ს, ანუ შესაძლებელია საქართველოს ექსპორტის მნიშვნელოვანი გაზრდა.

საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მიმართულებით. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის გაზრდა დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ევროკავშირის ბაზარზე პერსპექტიული საექსპორტო პროდუქციაა ღვინო, მინერალური წყლები, თხილი, თაფლი და სოფლის მეურნეობის სხვ. პროდუქტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პოტენციალი უზარმაზარია<sup>11</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ხასიათდება დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლით, დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით 50%. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. 2010 წლის დასაწყისისათვის სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ პროცენტებით მთლიან მოსახლეობასთან 47% შეადგინა, ხოლო ქვეყნის მშპ-ის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, ნადირობა და თევზჭერაზე მოდის 7,3%<sup>12</sup>.

<sup>9</sup> ცხრილი შედგენილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებისა და გამოცემების საფუძველზე. – მონაცემები არ არის უკრაინის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა, როგორც ექსპორტის (26.1%), ისე იმპორტის კუთხით (36.5%), რუსეთია. ჩინეთის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა იაპონია (12.6%), კანადის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, როგორც ექსპორტის (75%), ისე იმპორტის კუთხით (50.4%), აშშ, აშშ-ის №1 ექსპორტიორი ქვეყანაა კანადა (19.4%) და აშშ-ის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა ჩინეთი.

<sup>10</sup> ვინსენტზი ვ. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი, 2008. გვ. 68.

<sup>11</sup> თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გელია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011. გვ. 250.

<sup>12</sup> იხ. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2011. გვ. 17-18.



საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია II გასაკეთებელს ძალიან ბევრს ხედავს და მართებულად ამბობს: „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა დარჩეს ვაზისა და ხორბლის ქვეყნად. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით“<sup>13</sup>. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მატერიალური წარმოების სფეროში ექვსი მაპროფილებელი დარგი გამოიკვეთა. ესენია: მეხილეობა, მებოსტნეობა, ღვინის, საშენი მასალების, ტანსაცმლის, მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობების წარმოება“.

საქართველოს ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და ექსპორტის დიდი პოტენციალი გააჩნია. ილია II მართებულად მიიჩნევს, რომ: „საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას“<sup>14</sup>. ერთი მხრივ, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე (და არა მარტო) მზარდი მოთხოვნა ევროკავშირის ბაზარზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართველი მეწარმეებისათვის ევროკავშირის ბაზარზე გასვლა და იქ ადგილის დამკვიდრება მთელ რიგ პრობლემებთან და წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული.

ქვეყნის ექსპორტის გაზრდა, საექსპორტო შესაძლებლობათა შემდგომი რეალიზაცია, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მასშტაბების გაზრდა და საქართველოს აქტიური ჩართვა მსოფლიოსა და ევროპის ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის, საბანკო სექტორის, მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და სხვ.

*Putkaradze Ramaz*

## **ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA SUMMARY**

Georgia occupies a very low position in the international trade. A share of export from Georgia makes only 0,01% of the total world export, while a share of imports to Georgia makes 0,03% of the total world imports.

The present work reviews the most current directions and challenges of the foreign trade of Georgia. In 2011, the foreign trade turnover of Georgia made 9247 MIO USD, of which a share of the total exports was 2189 MIO USD, and a share of the total imports – 8058 MIO USD.

Our opinion is that one of the major problems of Georgia is an increasing negative balance in the trade. Respectively, a gradual decline of a negative trade balance should become the main priority for the country. In addition to the above, we think that a deepening of the trade-and-economic relations with the EU Member States has the essential importance for Georgia. In 2011, the trade turnover of Georgia with the EU showed a

<sup>13</sup> კოლუაშვილი პ. ილია II სოფლად ყოფა-ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2009, № 3. გვ. 21

<sup>14</sup> კოლუაშვილი პ. ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბ., „ინოვაცია“, 2009. გვ. 50-55.

considerable growth and made 2477 MIO USD (with 424 MIO USD in export and 2053 MIO USD in import).

Export of the Georgian agrarian products has a great potential. Great attempts are required for increasing a share of exports from Georgia, especially to the EU market. The perspective products able to enter this market, are: wine, mineral waters, nut, honey, other agrarian goods. The article provides a reader with a list of the major trade partner countries, major commodity groups for export and import, other issues.

## **ლარისა ყორღანაშვილი**

### **გლობალიზაციის პროცესები საქართველოს ტურიზმში**

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტურიზმი გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენით ვითარდება. გლობალიზაცია, უპირველესად, მსოფლიო მასშტაბით საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრების, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების საფუძველზე ცივილიზაციათა გაერთიანებას, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გულისხმობს. გლობალიზაციის ზემოქმედებით იზრდება ქვეყანათა გახსნილობის დონე და ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი. გლობალიზაცია ასტიმულირებს საქართველოს ტურიზმის განვითარებას, რადგან სახელმწიფო საზღვრების ლიბერალიზაციის შედეგად იზრდება მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე. 2011 წელს საქართველოს ჩამოსვლების რაოდენობამ 980 მლნ შეადგინა, რაც წინა წელს 4.4%-ით აღემატება. პროგნოზის თანახმად, 2012 წელს მსოფლიოში საქართველოს ჩამოსვლების რაოდენობა 3-4%-ით გაიზრდება [1].

საქართველოს ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს გლობალიზაციის ერთ-ერთი ასპექტის – თავისუფალი ვაჭრობის იდეა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნებისა და ცივილიზაციების უსაზღვრებო და ურთიერთშეხამებულ განვითარებას შრომის საქართველოს დანაწილების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების თანასწორუფლებიანი და ტოლფასოვანი გაცვლის საფუძველზე.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს ტურიზმის განვითარებაში გამოიკვეთა ორი ურთიერთდაკავშირებული მსოფლიო ტენდენცია: 1. მაღალტექნოლოგიური სტანდარტიზებული ტურისტული მომსახურების გლობალური გავრცელება და, ერთდროულად, მოთხოვნის გარკვეული დივერსიფიკაცია, როგორც კანონზომიერი კონტრტენდენცია; 2. ტურიზმის ბაზრის შედარებით ახალი სეგმენტის – ეკოლოგიური ტურიზმის ზრდის მაღალი ტემპები. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, იგი წელიწადში საშუალოდ 5-7 %-ით იზრდება [1].

საქართველოს ტურიზმის გლობალიზაციის საფუძველია ტურისტული საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია. ტრანსნაციონალიზაციის პროცესები იწვევს კერძო კაპიტალების საქართველოს გადახლართვას, სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლიათა კავშირების განმტკიცებასა და სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებას, ტრანსნაციონალური კომპანიების ფორმირებასა და მათ ფართო გავრცელებას. აღნიშნულის შედეგად იზრდება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დონე, ფართოდ ვრცელდება ტურისტული მომსახურების საქართველოს სტანდარტები.

წარმოების კონცენტრაცია ტურისტულ ინდუსტრიაში ხორციელდება შიდა და გარე მიმართულებებით. პირველ შემთხვევაში კონცენტრაცია ხდება ცალკეული სამეურნეო ერთეულის ჩარჩოში და ამისათვის ზრდის შიდა რეზერვები (კომპანიის მოგება) გამოიყენება. მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს სხვადასხვა კომპანიების კოოპერაციას

(თანამშრომლობას) ან მათ გაერთიანებასა და შერწყმას. კონცენტრაციასთან ერთად, ადგილი აქვს სპეციალიზაციის გაღრმავების ტენდენციას. სპეციალიზაცია დამახასიათებელია ტურისტული მომსახურების მსოფლიო ბაზრის ცალკეული სეგმენტებისათვის.

ინტერნაციონალიზაციის პროცესის მთავარი მაჩვენებელია შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე დაფუძნებული ქვეყანათაშორისი ეკონომიკური გაცვლები, მათ შორის მომსახურების სფეროში. თანამედროვე ეტაპზე მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა სწრაფი ტემპით ვითარდება, რის შედეგად მრავალი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში მან წამყვანი ადგილი დაიკავა. მაგალითად, 2011 წელს აშშ-ს მშპ-ში მომსახურების წილია 83% შეადგინა, გერმანიაში – 73%, დიდ ბრიტანეთში – 78%, აზერბაიჯანში – 83%, რუსეთში – 62 %, სომხეთში – 90%, საქართველოში – 73% და ა. შ. [2, გვ. 81] (ცხრილი 1). მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში ძირითადი ადგილი მოგზაურობებს უკავია. 2010 წელს აშშ-ის კომერციული მომსახურების ექსპორტში მოგზაურობებს 25.6 % ეკავა, იმპორტში – 22.9 %; აზერბაიჯანში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 30.9 და 19.7 % იყო; ბრაზილიაში – 19.5 და 27.5 %; გერმანიაში – 14.9 და 29.9 %; დიდ ბრიტანეთში – 13.4 და 30.2 %; თურქეთში – 63.5 და 26.3 %; იაპონიაში – 9.5 და 17.9 %; ინდოეთში – 11.5 და 9.2 %; იტალიაში – 39.9 და 25.1 %; რუსეთში – 20.4 და 37.8 %; საფრანგეთში – 32.4 და 30.5 %; საქართველოში – 43.5 და 20.0 %; სომხეთში – 54.7 და 40.3 %; უკრაინაში – 23.0 და 32.0 %; ჩინეთში – 26.9 და 28.6 % [3].

მსოფლიო თანამეგობრობაზე გლობალიზაციის პროცესების გავლენა ფასდება გლობალიზაციის ინდექსით. შვეიცარიის (ციურიხი) ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული გლობალიზაციის ინდექსით

პირველ ადგილზეა ბელგია, მეორეზე – ავსტრია, მესამეზე – ნიდერლანდები [4].

**ცხრილი 1. ზოგიერთი ქვეყნის მშპ-ს სტრუქტურა (%-ით მშპ-ს მიმართ), 2011 წ.**

ქვეყანა	სოფლის მეურნეობა	მანუფაქტურული ინდუსტრია	არამანუფაქტურული ინდუსტრია	მომსახურება
აზერბაიჯანი	92	66	55	83
აშშ	1	13	8	77
ბრაზილია	6	18	6	69
გერმანია	1	19	7	73
დიდი ბრიტანეთი	1	11	10	78
თურქეთი	9	17	19	65
იაპონია	1	20	8	73
ინდოეთი	18	15	12	55
იტალია	2	16	9	73
რუსეთი	5	15	18	62
საფრანგეთი	2	11	8	79
საქართველო	29	16	88	73
სომხეთი	36	55	92	90
უკრაინა	8	18	11	62
ჩინეთი	10	34	12	43

წყარო: The Global Competitiveness Report 2011-2012, p. 81

აშშ-ს ამ ინდექსით 27-ე ადგილი უკავია, ჩინეთს – 73-ე, რუსეთს – 52-ე, საქართველოს – 74-ე (ცხრილი 2).

**ცხრილი 2. ზოგიერთი ქვეყნის მახასიათებლები, 2011 წ.**

ქვეყანა	გლობალიზაციის ინდექსი	საზღვრების გახსნილობის ინდექსი	მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი	ადამიანური განვითარების ინდექსი
აზერბაიჯანი	82	79	83	63
აშშ	27	15	6	4
ბრაზილია	78	73	52	69
გერმანია	16	6	2	8
დიდი ბრიტანეთი	21	9	7	25
თურქეთი	59	54	50	78
იაპონია	44	19	22	10
ინდოეთი	116	67	68	105
იტალია	23	37	27	22
რუსეთი	52	91	59	60
საფრანგეთი	7	10	3	13
საქართველო	74	46	73	70
სომხეთი	102	75	90	72
უკრაინა	53	88	85	64
ჩინეთი	73	43	39	80
წყარო: Travel & Tourism Competitiveness Report 2011				

საერთაშორისო ტურიზმის გლობალიზაციაზე არსებით გავლენას ახდენს საზღვრების გახსნილობა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მაგალითად, სავიზო რეჟიმის გამარტივებით საქართველომ საზღვრების გახსნილობის ინდექსით 46-ე ადგილი დაიკავა, მისი მეზობელი ქვეყანა აზერბაიჯანი კი მხოლოდ 79-ე ადგილზეა (ცხრილი 2). საზღვრების გახსნილობის მაჩვენებლით 2011 წელს პირველ ადგილზეა სინგაპური, მეორეზე – ჰონკონგი, მესამეზე – შვედეთი [5, გვ. 92-93]. აშშ-ს ამ ინდექსით მე-15 პოზიცია უკავია, იაპონიას – მე-19 და ა. შ. (ცხრილი 2). გლობალურ ეკონომიკაში მჭიდრო კავშირი არსებობს ტურიზმისა და ადამიანური განვითარების ტენდენციებს შორის. როგორც წესი, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ადამიანური განვითარების ინდექსი [5, გვ. 50-51], მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ტურიზმის გლობალიზაციის ერთ-ერთი მიმართულებაა საყოველთაო (პლანეტარული) კულტურული ფასეულობების, საერთაშორისო კულტურის ფორმირების პროცესი. დღეს უცხო ქვეყნის კულტურის ელემენტები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისა და ქალაქისათვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ადამიანები სვამენ ყავა კაპუჩინოს და ჭამენ მაკდონალდსის ჰამბურგერებს, იცვამენ მსოფლიოში აღიარებული დიზაინერების ტანსაცმელს, ისმენენ აფროამერიკულ ბლუსსა და ანგლოამერიკულ როკს, მოგზაურობენ “მერსედესის”, “ტოიოტას”, “ფორდის” და სხვა მოდელების ავტომობილებით და ა. შ. ამის გამო სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების წესი სულ უფრო მეტად უახლოვდება ერთმანეთს, რაც ხელს უწყობს მონოკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ეს, თავის მხრივ, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას განაპირობებს.

გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა რეგიონალიზაციის პროცესების განვითარება. როგორც მ. კასტელსი აღნიშნავს, გლობალური ეკონომიკის სისტემური მახასიათებელია რეგიონებად დაყოფა [6, გვ. 117]. მისი აზრით, ტურისტული მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში შეიძლება გამოიყოს 3 რეგიონი: ჩრდილოეთ

ამერიკა, ევროკავშირი და აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონი. ამჟამად, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით, მსოფლიო დაყოფილია 5 ტურისტულ რეგიონად: ევროპა, აზია და წყნარი ოკეანეთი, ამერიკა, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი.

ევროპა ტურისტული მომსახურების მსოფლიო ლიდერია, თუმცა მისი წილი მსოფლიო ტურიზმში თანდათან მცირდება. 1990 წელს მასზე მოდიოდა საერთაშორისო ჩამოსვლების 60.1 %, 2020 წლისათვის კი იგი 45,9 %-მდე შემცირდება. შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდება ამერიკის რეგიონის წილი: 1990 წლის 21.3 %-დან 2020 წლის 18.1 %-მდე. სამაგიეროდ 11.8 %-დან 25.4 %-მდე გაიზრდება აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონის წილი. ასევე ზრდის ტენდენციაა დამახასიათებელი აფრიკის (3.4-დან 5.0 %-მდე) და ახლო აღმოსავლეთის (2.2-დან 4.4 %-მდე) რეგიონებისათვის [7]. 2010 წელს მსოფლიოში ტურიზმისაგან მიღებულმა საქსპორტო შემოსავალმა 940 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ევროპაზე მოდიოდა 50.7 %, აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონზე – 21.7 %, ამერიკაზე – 15.9 %, აფრიკაზე – 5.2 %, ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე – 6.4% (ცხრილი 3) [8, გვ. 4].

**ცხრილი 3. საერთაშორისო ჩამოსვლების დინამიკა მსოფლიო რეგიონების მიხედვით**

რეგიონები/წლები	1990	1995	2000	2005	2010	ბაზრის წილი, %, 2010
მსოფლიო – სულ	435	528	675	798	940	100
ევროპა	261.5	304.1	385.6	439.4	476.6	50.7
აზია-წყნარი ოკეანეთი	55.8	82.0	110.1	153.6	203.8	21.7
ამერიკა	92.8	109.0	128.2	133.3	149.8	15.9
აფრიკა	14.8	18.9	26.5	35.4	49.4	5.2
ახლო აღმოსავლეთი	9.6	13.7	24.1	36.3	60.3	6.4

გლობალიზაციის პროცესების გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე ტურისტული ნაკადების ინტენსიფიკაციაში გამოიხატება, მისი მამოძრავებელი ძალა კი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რევოლუციური ცვლილებები და ბაზრების ლიბერალიზაციაა. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენების შედეგად მოკლე დროში შესაძლებელი გახდა ცალკეული ტურისტული ოპერაციების ავტომატიზაცია და მსოფლიო მასშტაბის ელექტრონული სადისტრიბუციო სისტემების შექმნა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაჯავშნის გლობალური კომპიუტერული ქსელები, რომელთა მეშვეობით ავიაკომპანიების სისტემები დაკავშირებულია სასტუმროების, ტურისტული სააგენტოების, ავტომობილების გამქირავებელი ფირმების და ტურისტული ინდუსტრიის სხვა კომპანიების კომპიუტერულ ქსელებთან. დაჯავშნის გლობალურმა კომპიუტერულმა ქსელებმა გააფართოვა ტურისტული მომსახურების პოტენციალი, გაამარტივა საბოლოო მომხმარებელამდე ტურისტული პროდუქტის დაყვანის პროცესი, ხელი შეუწყო ტურისტული პროდუქტის მწარმოებლებისა და მომხმარებლების მთელი ჯაჭვის მჭიდრო კავშირსა და შეთანხმებულ მუშაობას.

გლობალიზაციის პროცესებმა სერიოზული გავლენა მოახდინა საქართველოს ტურისტულ ორიენტაციაზე და მისი დინამიკური ზრდა განაპირობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასახლეო პოლიციის მონაცემებით, 2011 წელს საქართველოს 2820185 ადამიანი ესტუმრა, რაც 2010 წელს 39 %-ით აღემატება [9]. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მსოფლიო ტურიზმის ბარომეტრის (მარტი, 2012) თანახმად [10], საქართველო მსოფლიოში მესამე ყველაზე მზარდი ტურისტული დესტინაციაა, რის გამოც მას განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში

ტურისტების რაოდენობის შემდგომი ზრდა ტურიზმის ინფრასტრუქტურის სერიოზულ განვითარებას მოითხოვს და ამაში თავისი წვლილი გლობალურმა თანამეგობრობამ უნდა შეიტანოს.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, ტურიზმის ინდუსტრია შედის მოგზაურობებისა და ექსკურსიების მოცულობათა მუდმივი ზრდის, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის კონკურენციის გამძაფრების პერიოდში. ამ სიტუაციაში იზრდება კარგად ინფორმირებული მომხმარებლების რაოდენობა, რომლებიც ტურისტული მომსახურების ხარისხსა და უსაფრთხოებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თავის მხრივ, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, თანამედროვე ტურისტული პროდუქტი უფრო მოქნილი, ინდივიდუალური, მიმზიდველი და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. ეს კი საერთაშორისო ტურიზმის გლობალიზაციის შედეგია.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. <http://www.unwto.org/>
2. The Global Competitiveness Report 2011-2012. World Economic Forum. Geneva, Switzerland 2011.
3. [http://www.wto.org/english/res\\_e/statis\\_e/statis\\_e.htm](http://www.wto.org/english/res_e/statis_e/statis_e.htm)
4. <http://globalization.kof.ethz.ch/>
5. Travel & Tourism Competitiveness Report 2011
6. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура. М., 2000
7. Tourism: 2020 Vision // <http://www.unwto.org/facts/eng/vision.htm>
8. UNWTO Tourism Highlights 2011 Edition.
9. [http://www.gnta.ge/upload/file/2000-2011\\_saqarTvelos\\_2011\\_saqarTvelos\\_saxelmwifo\\_sazRvarze\\_camosuli\\_ucxoeTis\\_moqalaqeebis\\_raodenoba.pdf](http://www.gnta.ge/upload/file/2000-2011_saqarTvelos_2011_saqarTvelos_saxelmwifo_sazRvarze_camosuli_ucxoeTis_moqalaqeebis_raodenoba.pdf)
10. [http://dtxtq4w60xqpw.cloudfront.net/sites/all/files/pdf/unwto\\_barom12\\_02\\_march\\_excerpt\\_ru.pdf](http://dtxtq4w60xqpw.cloudfront.net/sites/all/files/pdf/unwto_barom12_02_march_excerpt_ru.pdf)

*Korganashvili Larisa*

### **PROCESSES OF GLOBALIZATION IN INTERNATIONAL TOURISM**

#### **SUMMARY**

Tourism has now acquired enormous proportions. Its share in world exports of services has been steadily increasing. Globalization has become one of the major trends in international tourism. Creation of a global society means that tourism businesses have the ability to operate globally and many have opted for a competitive strategy of internationalization. Under the influence of globalization there is an increase in flows of international arrivals. Globalization has opened a whole new world of development opportunities. The driving force behind globalization, international tourism is a revolutionary change in the field of information and communication technologies and the liberalization of markets. The paper shows the influence of globalization on the development of international tourism. The analysis uses the indices of globalization, open borders, human development, travel and tourism competitiveness. The paper also considers the influence of globalization on the development of tourism in Georgia.

**ფინანსური ბაზრის ფორმირების ზოგიერთი საკითხი გლობალიზაციის ფონზე**

ახალი საუკუნის მიჯნაზე ფინანსურ სფეროში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები ფინანსებისა და ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების უშუალო შედეგია, რომელმაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია განვითარების ახალი პირობების ფორმირებაზე.

ფინანსების სექტორში ახალმა ტენდენციებმა დააჩქარა და გააძლიერა არა მარტო ეკონომიკური ციკლების განვითარებაში სტრუქტურული ტრანსფორმაცია, არამედ მან კატალიზატორის როლი შეასრულა ფინანსებისა და ფულის ვირტუალიზაციის პროცესში.

ფინანსების გლობალიზაცია არის მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების მნიშვნელოვნად ინტეგრირებული ბაზარი, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური გლობალიზაცია მჭიდრო კავშირშია პროდუქტისა და მომსახურების გლობალიზაციასთან. საინტერესოა, რომ ფინანსების სისტემა გლობალიზაციის დონით მთელ რეალურ ეკონომიკას უსწრებს.

გლობალური ფინანსური ბაზრის გენეზისის მთავარ წინაპირობას და ფაქტორს წარმოადგენს მონაცემთა ციფრების ფორმით გარდაქმნის ტექნოლოგია, რომელმაც რევოლუცია მოახდინა მსოფლიო ფინანსურ სამყაროში. ფინანსური გლობალიზაციის ფაქტორებიდან აღსანიშნავია: განვითარებული ბაზრები, დემოგრაფიული სიტუაცია, ქცევა დაზოგვის სფეროში, ინსტიტუციური კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, სტანდარტიზაცია, ფულადი ნაკადები, პორტფელური ინვესტიციების თანამედროვე თეორიები, ფინანსური ინოვაციები და ბაზრის უმყარობის ასპექტები, ლიბერალიზაცია და სხვა. ამ ფაქტორებზე პირდაპირ გავლენას ახდენს მუდმივ სრულოფაში მყოფი საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ფინანსების გლობალიზაციის მოქმედ იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ: ბირჟები, ბანკები, მთავრობა, ცენტრალური ბანკები, ზედამხედველობა, მსესხებელი და კაპიტალის მიმღები, ინვესტორები, საინფორმაციო ტექნიკის მწარმოებლები და საინფორმაციო უზრუნველყოფა, შერეული საწარმოები ლოგისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში და სხვა.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა წარმოებს ფინანსური ბაზრის მეშვეობით. ფინანსური ბაზარი ფულადი სახსრების მოძრაობის ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმაა. ფინანსური ბაზარი ფულად ურთიერთობათა სისტემაა, რომელიც ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადაწოდების პროცესში ყალიბდება. ფინანსური ბაზრის სტრუქტურა აერთიანებს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებს – საბანკო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს, საფონდო ბირჟებს, რომელთაგან ყველა მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება შეუძლებელია ადეკვატური ფულად-საკრედიტო სისტემისა და პოლიტიკის გარეშე, რაც, სხვა არაფერია, თუ არა ეროვნული ეკონომიკის რეალური სექტორის სტაბილური ზრდის სტიმულირება მკაცრი კონტროლის პირობებში. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანია კონტროლირებადი ინფლაციის პირობებში ლიკვიდობის ზრდის შესაბამისობაში მოყვანა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან და საგადასახდელო ბალანსის პარამეტრებთან.

ფინანსების სფეროში გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია არა მარტო ფულადი რესურსების უდიდესი მასის განთავსება გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, არამედ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკაში ფულის ფუნქციები. ფული გადაიქცა საქონლად, ხოლო

ვალუტის კურსის დაწესებულებაში სპეკულაციამ მიიღო შედარებით მომგებიანი საბაზისო ოპერაციის ფორმა.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციამ მოიცვა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსების სამეურნეო მიზანმიმართულების მიხედვით განთავსება, ე.ი. ამ რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს იმ რეგიონებში, სადაც შეიძლება მათი ეფექტიანი მოპოვება.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ფინანსურ სფეროში გლობალიზაციის პროცესმა ფართო განვითარება პოვა. კომპიუტერიზაცია, ელექტრონული ანგარიშებისა და საკრედიტო რუკების სისტემები, კოსმოსური კავშირები იძლევა იმის საშუალებას, რომ სწრაფად გადაეცეს ფინანსური ინფორმაციები, გაფორმდეს გარიგებები, სახსრები ჩაირიცხოს ერთი ანგარიშიდან მეორეში სახელმწიფო საზღვრების სიშორის მიუხედავად. ამ პროცესმა შესაძლებელი გახადა ტრანსაქციური დანახარჯების შემცირება და ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ მსოფლიო ფინანსური ბაზრის ფორმირების ძირითად ფაქტორებს.

თანამედროვე ფინანსური კრიზისის მასშტაბები და ხანგრძლივობა ეკონომიკურ მეცნიერებას აიძულებს, ახლებურად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებს გასული საუკუნის ბოლო პერიოდიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული მოვლენები, რომელსაც თან ახლავს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება.

საქართველოში ეკონომიკური და ფინანსური რეფორმების გატარებაზე თავის გავლენას ახდენს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესები. ქვეყანაში მისი გავლენის მიღმა არც ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობები დარჩა. ფინანსების გლობალიზაციის არხი ინტეგრირებულ ფინანსურ ბაზრებზე უნდა ვეძებოთ, რომელსაც წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოები არ გააჩნია.

საქართველოს ეკონომიკის ფინანსური სტაბილიზაცია საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაციით შეუძლებელია. საჭიროა ქვეყანა ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკური ცხოვრების გლობალურ ურთიერთობებში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრად შესვლა. რა თქმა უნდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის, აგრეთვე ევრობანკის საქმიანობა საქართველოში დადებით შეფასებას იმსახურებს. ამასთან, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიოს ღია ეკონომიკაში ჩართვა. მით უმეტეს, ფინანსური გლობალიზაცია მჭიდრო კავშირშია ღია ეკონომიკასთან, ე.ი. ეკონომიკასთან, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთმოქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

საქართველოში, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ურთულეს პრობლემად რჩება მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირება. მდგომარეობას ართულებს, ერთი მხრივ, ქვეყანაში ღია ეკონომიკის ჩამოყალიბება-ფუნქციონირება და მეორე მხრივ, შემოსავლების აკუმულირებაში პრიორიტეტი უცხოურ ვალუტაზე მოდის. ამის გამო, მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობის გაანგარიშება ძნელი ხდება, ხოლო მისი გაკონტროლება – კიდევ უფრო მეტი.

ღია ეკონომიკა სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან ორი გზით ურთიერთმოქმედებს: ყიდულობს და ყიდის საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს სასაქონლო ბაზრებზე და ყიდულობს და ყიდის კაპიტალურ აქტივებს მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები, ე.ი. მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე კაპიტალური აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული მოვლენები.



როდესაც გლობალური ფინანსური სისტემის როლს ვაანალიზებთ, საჭიროა განვიხილოთ სასესხო კაპიტალის ბაზრის თავისებურებანი. სწორედ ეს ბაზარი უყრის თავს დანაზოგებს და იმავე ბაზარზე ხდება მისი სესხად გაცემაც. ბაზარზე მოქმედებს სარგებლის ერთიანი განაკვეთი, რომელიც, ერთი მხრივ, დანაზოგებიდან მოსალოდნელ შემოსავალს გამოხატავს და, მეორე მხრივ, სესხის სარგებლობის საფასურსაც.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ დაზოგვა სამამულო ინვესტიციებისა და წმინდა უცხოური ინვესტიციების ჯამის ტოლია. თუ საქართველო თავისი შემოსავლის ერთ ლარს ზოგავს, მას შეუძლია ეს დანაზოგი საკუთარი კაპიტალის შექმნის ან უცხოური აქტივის შესყიდვის დასაფინანსებლად გამოიყენოს. ტოლობის ორი მხარე სასესხო კაპიტალის ორ მხარეს ასახავს. სასესხო კაპიტალის მიწოდება წარმოებს ეროვნული დანაზოგებიდან, ხოლო მასზე მოთხოვნა კი მოდის ეროვნული და წმინდა უცხოური ინვესტიციებიდან.

როგორც წესი, კაპიტალური აქტივების შექმნა სასესხო კაპიტალზე მოთხოვნას ზრდის, მიუხედავად იმისა, სამამულოა ეს აქტივი თუ უცხოური. საყურადღებოა, რომ სასესხო კაპიტალის მიწოდების მოცულობა და სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის ოდენობა სარგებლის რეალურ განაკვეთზეა დამოკიდებული. მაღალი განაკვეთი ადამიანებს დაზოგვისაკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, სასესხო კაპიტალის მიწოდებას ზრდის, ამასთან, ამცირებს ინვესტიციებსა და სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის შემცირებას.

გლობალური ფინანსური სისტემის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, აუცილებელია ასევე განვიხილოთ ვალუტის ბაზრის თავისებურებები. ვალუტის ბაზარზე მისი მონაწილეები ეროვნულ ვალუტას უცხოურ ვალუტაზე ცვლიან. ვალუტის ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის გაწონასწორება წარმოებს რეალური სავალუტო კურსით. მაგალითად, როცა აშშ-ს რეალური სავალუტო კურსი იზრდება, ამერიკული საქონელი და მომსახურება ძვირდება უცხოურ საქონელთან და მომსახურებასთან შედარებით, რის გამოც ნაკლებმიმზიდველი ხდება როგორც აშშ-ში, ისე მის საზღვრებს გარეთაც, რის შედეგადაც ექსპორტი აშშ-დან მცირდება, ხოლო იმპორტი ამერიკაში იზრდება. ორივე ამ მიზეზის გამო, წმინდა ექსპორტი მცირდება. ამრიგად, რეალური სავალუტო კურსის ზრდა ვალუტის ბაზარზე აშშ დოლარზე მოთხოვნის შემცირებას იწვევს. სასესხო კაპიტალის ბაზარი და ვალუტის ბაზარი ერთობლივი ძალებით განსაზღვრებენ გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადებს.

ეკონომიკის გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელობას პერმანენტულად ზრდის. დღეს მსოფლიოში არ მოიძებნება არც ერთი ქვეყანა, რომელიც არ ყიდულობდეს უცხოეთში წარმოებულ საქონელს (მომსახურებას) და არ აწარმოებდეს საქონელს საზღვარგარეთ გასაყიდად. ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით, ყველა ქვეყანა, მათ შორის აშშ, მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე ფულის სესხება-გასესხებას აწარმოებს. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლა-ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორ ურთიერთ-მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემებს მეცნიერ-ეკონომისტების მიერ სხვადასხვა შეფასება ეძლევა. ეროვნული ეკონომიკის წინსვლით დაინტერესებული მკვლევრები გლობალურ ეკონომიკას ადანაშაულებენ რეალური ეკონომიკის დანაზოგების დაბალ დონეში, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მწარმოებლურობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდაზე.

ეკონომიკური თეორიიდან და იმ ქვეყნების რეალური გამოცდილებიდან, რომლებმაც წარმატებით გადაწყვიტეს ფინანსური სტაბილიზაციის ამოცანები, ცნობილია, რომ ნამდვილი ფინანსური სტაბილიზაცია მიიღწევა არა რომელიმე ერთი, თუნდაც მნიშვნელოვანი ინდიკატორით, არამედ სხვადასხვა ხასიათის მატარებელი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ინდიკატორების ერთობლიობით.

იმ აუცილებელი ინდიკატორებიდან, რომლებიც ობიექტურად ასახავს ფინანსური სტაბილიზაციის ხარისხს და კომპლექსურობას, აღსანიშნავია: ინფლაციის დონე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება, ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური მდგომარეობა, ეროვნული ვალუტის სიმტკიცე, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა, ანგარიშსწორების და გადასახდელების მდგომარეობა, ფულადი მასის სტრუქტურა და ხარისხი, ფულადი და მატერიალურ-ღირებულებითი ეკონომიკური ბრუნვების შესაბამისობა, საგადასახადო სისტემის რაციონალურობა და ეფექტიანობა და ა.შ.

საზოგადოების თანამედროვე განვითარება წარმოუდგენელია გლობალური ფინანსური ბაზრის გარეშე. იმისათვის, რომ მეწარმეები ვალუტათა კურსის მოულოდნელი და მკვეთრი რყევებისაგან იქნენ დაცული და ადვილად შეეგუონ მოულოდნელ ფინანსურ შოკებს, იქნება ეს ხელისუფლების ინფლაციური პოლიტიკა თუ საგარეო ვალის პრობლემები, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა იძულებულია, გლობალურ ჭრილში განახორციელოს უფრო მოფიქრებული ფინანსური სტრატეგია.

ამრიგად, ეკონომიკის მზარდი გლობალიზაცია, მსოფლიოს თანამედროვე განვითარების დონე ახალ ამოცანებს უყენებს კაცობრიობას და თითოეულ სახელმწიფოს. ასეთ სიტუაციაში, თუ ქვეყანას არ ექნება მწყობრი სტრატეგია და პერსპექტივების ხედვის უნარი, მოსალოდნელია მრავალნაირი გამოუსწორებელი შედეგი. ერთადერთი, ვისაც შეუძლია ნათლად განჭვრიტოს ხვალინდელი დღე, ჩამოაყალიბოს მიზნების იერარქია და მათი განხორციელების თანმიმდევრობა, არის სახელმწიფო ხელისუფლება. გასათვალისწინებელია, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა შესაბამისად მოითხოვს სახელმწიფოს როლის ამადლებას ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში იმის მიხედვით, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირება წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებთან.

*Shalamberidze Khatuna*

**GENERAL ASPECT OF FINANCIAL MARKET  
AGAINST A BACKGROUND OF GLOBALIZATION  
SUMMARY**

The modern development level of the world brings up new problems to mankind and each state. In this situation if the country doesn't have a strategy and sense of perspectives standpoint, many irremediable results are expected. The government of any country is forced to develop thought financial strategy within the global section.

Our aim is to teach international financial relations, the occurrence connected with purchase and sale of capital assets on financial markets, their influence upon national economics, modern ap-proached of their origin, distribution, use and control, also current factors upon it.

The scales and duration of the modern financial crisis forces the science of economics to discuss the problems dominating within the social life with new methods. Especially, attention should be paid to the occurrences connected with internationalization of economics, which is accompanied by extending of globalization and integration processes.

According to real experience of those countries having successfully decided the problems of financial stabilization is known that the real stabilization is reached with unity of different indicators. There is considered that solving of problems requires rising of the state role within the regulation of economic processes.

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ეთიკური დიმენსია

თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს საერთო კრიზისების ჯაჭვში. ახლანდელი კრიზისი თავისი მასშტაბით აშკარად განსხვავდება წინა კრიზისებისაგან. გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ მან დიდი დეპრესიის შემდეგ პირველად მოიცვა მთელი მსოფლიო, რაც გამოწვეულია აშშ-ის იპოთეკური დაკრედიტების ბაზრებზე წარმოქმნილი პრობლემებით, თუმცა მას საფუძვლად გაცილებით ფუნდამენტური მიზეზები უდევს. ესენია – მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური და ინსტიტუციური. ამ სამი ძირითადი ფაქტორის გარდა კიდევ არის ძალზე მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც არსებითად განსაზღვრავს და განაპირობებს ყველა დანარჩენს ერთად. ეს არის სამეურნეო ურთიერთობათა ეთიკური ასპექტი, რომელსაც ჩვენ შევხებით, რადგან ეს კრიზისი საკმაოდ სცილდება ფინანსური ან ეკონომიკური კრიზისების ფარგლებს. დღეს არა მხოლოდ საბანკო სისტემა ან ეკონომიკა აღმოჩნდა კრიზისში, არამედ თავად საზოგადოება<sup>15</sup>. არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ჩვენი საზოგადოების ფასეულობათა კრიზისიც არის<sup>16</sup>. მეტი თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მსოფლიოში გახმაურებული ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა – Enron, World-com და Bernard Madoff აშშ-ი, Siemens გერმანიაში. აღნიშნული სკანდალები უმთავრესად უნდა განვიხილოთ, როგორც კომპანიების და მათი მენეჯმენტის არაეთიკური პრაქტიკის შედეგი.

ის, რომ მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს საფუძვლად ეთიკური პრობლემები უდევს, აბსოლუტურად არ უგულვებელყოფს და არ აკნინებს კრიზისის გამომწვევ სისტემურ ფაქტორთა მნიშვნელობას. პირიქით, საჭიროა აღნიშნული კრიზისი განვიხილოთ მისივე სისტემური ფაქტორების გათვალისწინებით კულტურული და სოციალური სივრცის ფარგლებში.

ეკონომიკური სისტემა არ წარმოადგენს თვითრეგულირების მექანიზმს: ბაზრის სტაბილურობა მოითხოვს სამართლებრივ და ნორმატიულ სისტემებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მას ასევე სჭირდება გარკვეული ზნეობრივი რეგულაციები მყარი და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის. საჭიროა ეთიკა, რომელზეც დაეფუძნება ადამიანთა რაციონალური ქმედებები სოციალურ გარემოში. ეთიკა, რომელსაც გააჩნია სამი დიმენსია: პერსონალური, ორგანიზაციული და სოციალური, და წარმოვიდგება როგორც წონასწორობის მდგომარეობა აღნიშნულ მხარეთა შორის. კრიზისის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა ითხოვს ეთიკურ რეაქციებს სამივე დონეზე: ადამიანები უნდა იყვნენ ეთიკურები, ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ ეთიკასთან შესაბამისობაში და საზოგადოება უნდა იქცეოდეს ეთიკურად. ამასთან, მას გააჩნია ასევე როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტები. თეორიული ასპექტი – რა არის ეთიკა და როგორ უკავშირდება ის ეკონომიკას და პოლიტიკას; პრაქტიკული ასპექტი – როგორ მოხდეს ქცევათა განვრცობა და როგორ შეიქმნას იმგვარი პირობები, როდესაც პოლიტიკური და ინსტიტუციური შეზღუდვებით შესაძლებელი იქნება არაეთიკურ მოქმედებათა ბლოკირება<sup>17</sup>.

ფინანსურ-ეკონომიკური ღოგიკის სტრუქტურასა და ჰუმანურ პასუხისმგებლობას შორის არსებული კავშირის გარდა, ეთიკური თვალსაზრისით წინა პლანზე იწევს თავად

<sup>15</sup> Stefan Dräger, Die Ursachen den Finanz – und Wirtschaftskrise (26.01.2010): [http://archiv.kath.de/index.php?id = 386&tx\\_ttnews%5Btt\\_news%5D=2479&timestam... 29.08.2011.](http://archiv.kath.de/index.php?id = 386&tx_ttnews%5Btt_news%5D=2479&timestam...)

<sup>16</sup> Jose Manuel Barroso. Political guidelines for the next Commission. Brussels, September 2009, P 1., [http://ec.europa.eu/commission\\_barroso /president/pdf/press\\_20090903\\_E.N.pdf.](http://ec.europa.eu/commission_barroso /president/pdf/press_20090903_E.N.pdf)

<sup>17</sup> Antonio Argandoña., Three ethical dimensions of the financial crisis., [www.iese.edu/research/pdfs/DI-0944-E.pdf.](http://www.iese.edu/research/pdfs/DI-0944-E.pdf)

კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც, ფართო გაგებით, არის ბიზნესის გავლენა საზოგადოებაზე, იგი არის ბიზნესის ეთიკური ქცევა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან მიმართებაში. ის კომერციული წარმატებების მიღწევას იმ გზებით გულისხმობს, რომლებიც აფასებს ეთიკურ პრინციპებს და პატივს სცემს ადამიანს, საზოგადოებას და გარემოს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გაიგება, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის განვითარებული ფორმა, რასაც მოაქვს სარგებელი ბიზნესისა და საზოგადოებისათვის და ხელს უწყობს საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის მინიმიზაციას და პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციას<sup>18</sup>. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი სცილდება ზოგადად ეკონომიკის სფეროს და გადადის ფასეულობების სფეროში. იმ შემთხვევაში თუკი ამგვარი მიდგომა ფართო გავრცელებას პოვებს, მოწმენი გავსდებით პოსტრაციონალური ეკონომიკის დაბადების, დამფუძნებლის არა იმდენად კომპანიათა მისწრაფებებზე, მოახდინონ მოგების მაქსიმიზება, არამედ საკუთარი საქმიდან შეძლონ პოზიტიური ექსტერნალების მაქსიმიზაცია მოგებისა და კაპიტალიზაციის განსაზღვრული დონის ერთდროული შენარჩუნებით. ამის სრულად განხორციელება კი შესაძლებელია საზოგადოებრივი ფასეულობების თანდათანობითი ძვრების ფონზე ეგოცენტრიზმიდან სოციოცენტრიზმისაკენ, რომელიც ამჟამად შეინიშნება დასავლეთში.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, არის მოსაზრება, რომლის თანახმადაც პასუხისმგებლობის კონცეპტი დღემდე არ გამოიყენება ეკონომიკაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ეკონომიკურ სამყაროში არ არსებობს<sup>19</sup>. ცხადია, პასუხისმგებლობა ეკონომიკურ კონტექსტში უწინარესად მიუთითებს კორპორაციებისა და ზოგადად ბიზნესის ვალდებულებაზე ეკონომიკური ქმედებების მორალური შედეგების თვალსაზრისით, ანუ რამდენად არსებობს კორპორაციულ გადაწყვეტილებებში ის ეთიკური რეფლექსიები, რომლებიც საწარმოებში მიღებული უნდა იყოს როგორც აუცილებლობა, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად რჩება უგულვებელყოფილი ეკონომიკაში.

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ეთიკის გარდაუვალი საჭიროება ეკონომიკასა და ფინანსებში. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მხოლოდ კრიზისული პერიოდების დროს იძენს ეთიკური ფასეულობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ბიზნესისა და ფინანსური ეთიკის კონცეპტებისა თუ კონცეფციების განხილვა, თითქოს ისინი მხოლოდ დროდადრო ხდებიან აქტუალური, რასაკვირველია, მცდარია.

არსებული კრიზისი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საწყისი წერტილი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა ეთიკა მივიწყებულია ეკონომიკაში. თუკი გლობალიზებული ეკონომიკური გარემო ვერ შეძლებს მორიგებას გლობალურად მისაღებ ეკონომიკურ ეთიკასთან, მსოფლიო ეკონომიკა გარდაუვლად განწირული ქაოსისა და კრაზისათვის. გამოსავალი მდგომარეობს ეკონომიკაში მართებული თამაშის წესებისა და ეკონომიკის ეთიკის ფორმირებაში, რაც წახალისებს და დაეხმარება ეკონომიკურ აქტივობებსა და საზოგადოებას თამაშის წესების შესაბამისად მოქცევაში. წინა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისებმა გვაჩვენა, რომ მხოლოდ მკაცრი შეთანხმებით შეუძლებელია მომავლის კრიზისების პრევენცია. მსოფლიო ეკონომიკაში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დაწესებული გლობალური თამაშის წესები, ეთიკური საკითხები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

დღეს შეინიშნება ეთიკისადმი გაზრდილი მოთხოვნილება. საბედნიეროდ, უკვე არსებობს მზარდი კონსენსუსი, რომ ფინანსური ბაზრები და თავად ეკონომიკა საჭიროებს

<sup>18</sup> <http://www.un.by/ru>

<sup>19</sup> Shionoya, Y., *Economy and Morality (The Philosophy of the Welfare State)*, VK., Bodmin, Convall, 2005, P. 279).

ეთიკას და რომ ისინი უნდა ფოკუსირდნენ მდგრადი განვითარების საჭიროებაზე, როგორც სოციალური პროცესების შედეგებზე<sup>20</sup>.

*Khizanishvili Vasil*

## **THE WORLD FINANCIAL-ECONOMIC CRISIS ETHICAL DIMENSION SUMMARY**

The modern world financial-economic crisis is an important point in the cycle of crisis which is unprecedented in its scale and that it is beyond the scope of financial or economic crisis, and moves in a circle of moral values. Nowadays, not only the banking system or the economics was in crisis, but also to society. The current financial and economic crisis is a crisis of values in our society.

Despite of the ethical issues underlying current financial and economical crisis, which essentially determine the cause of macroeconomic, microeconomic and institutional factors, absolutely do not ignore the crisis and doesn't reduce the importance of causing systemic texture, it is necessary to discuss the crisis on its own systemic factors within the cultural and social space.

Stable functioning of the economics needs ethics which will be based on human social behavior and social environment; ethics which has three dimensions: personal, organizational and social, represents as a condition of balance between the parties. Structural element of ethics which is very important part of this process is the secret of social responsibility of business in general. It has an ethical dimension of economic activity in the economics and points out the moral obligations of corporations in terms of results.

The global financial-economic crisis has demonstrated once again the inevitable need for ethics in Economics and Finance. The crisis can be considered as a starting point which shows what can happen when in the economics has forgotten ethics. Today there is an increased demand towards ethics. Fortunately there is a growing consensus that the financial markets and the economy need ethics.

---

<sup>20</sup> Gabriel, K., 2009.~ Engagement als Beitrag für Nachhaltige Wirtschaftsweisen~. OEKOM Corporate Responsibility Review. Nachhaltigkeit in Unternehmensführung und Kapitalanlagen – eine Bestandsaufnahme, P.P. 9-11.

## ბიზნესის პრობლემების სექცია

თამარ ბაჩიაშვილი

### მარკეტინგული კვლევა, როგორც სოციალური ფაქტორის ეფექტიანი გამომწვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა

მარკეტინგული კვლევები თანამედროვე ეტაპზე წამყვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ის ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს ჩაისახა, არამედ დასავლეთ ევროპაში და შეიძლება თამამად ითქვას, რომ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორგანიზაციებს სულ უფრო მეტად აინტერესებთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სურთ ადამიანებს და რა არა.

სანდო ინფორმაცია მარკეტინგული გარემოს შესახებ აუცილებელია იმისათვის, რომ ორგანიზაცია მაქსიმალურად იყოს ბაზარზე ორიენტირებული და კარგად იცნობდეს როგორც მომხმარებლებს, ასევე – კონკურენტებს.

საზგასმულია ის გარემოება, რომ როდესაც ბიზნესი შედარებით უფრო მცირე მოცულობის იყო, მწარმოებლებს თავისუფლად შეეძლოთ მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნების გაგება.

თანამედროვე ეტაპზე, მასობრივი წარმოებებისა და მასობრივი გაყიდვების შემდეგ, ინფორმაციის უშუალო გაცვლა თითქმის გაქრა. წარმოქმნილი ხარვეზის შევსება, ჩვენი აზრით, მარკეტინგულ კვლევებს ეკისრება.

მარკეტინგული გამოკვლევა ბიზნესის სფეროში საშუალებას იძლევა, რომ მიღებულ იქნეს სანდო მონაცემები მომხმარებელთა ბაზრის, კონკურენტების არსებული მდგომარეობის შესახებ და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ მარკეტინგული კვლევების გარეშე არ არსებობს თანამედროვე ბაზარი. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი საქონლისა და მომსახურების გავრცელებასა და რეკლამირებაში.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბიზნესში მარკეტინგული კვლევა შეიძლება მიმართული იყოს მომხმარებლების, ბაზრის, საქონლის, საწარმოს შიდა გარემოს, გასაღებისა და რეკლამის სტიმულირების სისტემის კვლევაზე, აგრეთვე საკუთრივ რეკლამის კვლევაზე და მონიტორინგზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ბიზნესკომპანია, როგორც კვლევის დამკვეთი, მიიჩნევს, რომ კვლევის შედეგებმა მას პრობლემის გადაჭრის გზები ვერ უჩვენა.

ჩნდება კითხვა: რითია განპირობებული მარკეტინგული კვლევის კომპანიასა და დამკვეთს შორის წარუმატებელი თანამშრომლობა?

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული სრულიად შესაძლებელია განპირობებული იყოს შემდეგი სახის შეცდომებით:

1. შეცდომები დაკვეთის ეტაპზე;
2. შეცდომები კვლევის პროცესში;
3. შეცდომები კვლევის შედეგების გამოყენების ეტაპზე.

როგორც ცნობილია, კვლევის დაკვეთის ეტაპზე დაშვებული შეცდომები ყველაზე გავრცელებულია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც შეცდომებს განაპირობებს, არის ის, რომ დამკვეთებს წინასწარ აქვთ ჩამოყალიბებული გარკვეული მოსაზრებები კვლევის მეთოდების შესახებ.

მაგალითად, არსებობს მცდარი მოსაზრება, განსაკუთრებით სარეკლამო სფეროში, სადაც ფოკუს-ჯგუფის მეთოდს გამოკვლევის საუკეთესო მეთოდად მიიჩნევენ, რომელსაც ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლია.

ზემოაღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ კვლევის სხვადასხვა სტადიებზე.

ფოკუს-ჯგუფის დახმარებით შესაძლებელია უფრო ღრმად შევისწავლოთ მოვლენის გარკვეული მხარეები და მივიღოთ პასუხი ისეთ კითხვებზე, რომელთა გამორკვევაც შესაძლებელია ანკეტების მეშვეობით, ასევე შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციებში გამოვლინდეს ადამიანთა ქცევის მიზეზები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ, მართალია, ადამიანები, რომლებსაც იწვევენ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულნი არიან გენერალური ერთობლიობიდან და წარმოადგენენ მისთვის დამახასიათებელ ყველა ჯგუფს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარეკლამო რგოლის არჩევა 15 ან 20 ადამიანის ხმის დათვლით არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება.

სარეკლამო მასალის გაუმჯობესების, სამომხმარებლო მოტივაციის შესწავლის ამოცანების ყველაზე კარგად გადაჭრა შესაძლებელია თვისებრივი მეთოდების საშუალებით. ასევე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ფოკუს-ჯგუფის, ისე ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ბიზნესკომპანია მხოლოდ რაოდენობრივ კვლევებს ენდობა, მაშინაც კი, როდესაც მომხმარებელთა მოტივაციის შესწავლა ან სამომხმარებლო ქცევის ძირითადი მოდელების გამოვლენაა საჭირო.

რაოდენობრივი კვლევების საიმედოობას, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს კვლევის ჩატარების ხარისხი და შერჩევითი ერთობლიობის რეპრეზენტაციულობა.

რაოდენობრივი კვლევების ძირითად სახეობას გამოკითხვის მეთოდები წარმოადგენს, რომლის ძირითადი ღირსება მდგომარეობს შემდეგში:

- გამოკითხვა უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის დიდ სიზუსტეს;
- საშუალებას იძლევა, შედარებით მოკლე ვადებში ჩატარდეს ფართომასშტაბიანი კვლევები, გამოიკითხოს რესპონდენტთა დიდი რაოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კვლევის პროცესში დამკვეთი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მკვლევარს, რომელიც მის პროექტზე მუშაობს, კარგად ესმის კვლევის მიზნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია, მკვლევარმა სხვა ამოცანები გადაჭრას, რომლებიც კლიენტის წინაშე რეალურად არ დგას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარკეტინგული კვლევების ძირითად მიზანს წარმოადგენს ბაზრის სეგმენტაცია, ე.ი. მასში მომხმარებელთა მდგრადი ჯგუფის გამოყოფა, რომელთაც მსგავსი სოციო-დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და სხვა მახასიათებლები გააჩნიათ.

„სამომხმარებლო ბაზარი შედგება შემდეგი ძირითადი სეგმენტებისაგან:

- უარყოფითად რეაგირებს შეთავაზებულ საქონელზე;
- გულგრილად უყურებს პროდუქტს, რომელსაც უსარგებლოდ და არასაჭიროდ აღიქვამს;

• კეთილგანწყობილია, მაგრამ ვერ პოულობს პროდუქტის იმ სახესხვაობას, რომელიც მას მთლიანად დააკმაყოფილებდა;

- მოცემული პროდუქციის სტაბილური და აქტიური მყიდველი;
- პროდუქციის ხანდახან მყიდველი და ა.შ.

ცხადია, რომ მარკეტინგის სტრატეგია პირდაპირაა დამოკიდებული, თუ რომელ სეგმენტთან აპირებს „მუშაობას“ მოცემული საქონლის მწარმოებელი და გამყიდველი“ [1, გვ. 122-123].

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მარკეტინგულ კვლევაზე გაწეული ხარჯები ეფექტიანი იმ შემთხვევაში იქნება, თუ გარკვეული წესების დაცვას მიექცევა ყურადღება.

ასეთი მიდგომის ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხებია:

### **1. კვლევის გეგმა.**

კვლევის გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს მიმდინარე ცვლილებებს, რომლებიც ეხება ისეთი სიტუაციის მონიტორინგს, როგორც არის მაგალითად, ფასების კვლევა, სამომხმარებლო პანელები და ა.შ. ასევე ისეთი ტიპის კვლევები, რომლებიც აუცილებელია სიახლეების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

საზგასანმელია ის ფაქტი, რომ კვლევის პროგრამა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მარკეტინგის გეგმას და მხოლოდ ის კვლევები უნდა ჩატარდეს, რომელთა გარეშე შეუძლებელია მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღება.

კვლევის პროგრამის შედგენის დროს შემუშავებენ კვლევის კონცეფციას.

პროგრამა უნდა პასუხობდეს შემდეგი სახის კითხვებს: რა არის პრობლემა, რა ხერხებით შეისწავლება, რა მიზნით და ა.შ.

### **2. კვლევის ბიუჯეტი**

კვლევის პროგრამის საფუძველზე მიზანშეწონილია შემუშავდეს კვლევის ბიუჯეტი.

ჩვენი აზრით, სასურველია, თუ კვლევის ბიუჯეტი მარკეტინგზე დახარჯული თანხის დაახლოებით 4/5%-ს შეადგენს.

რაც უფრო მეტია მარკეტინგული დანახარჯები, სრულიად შესაძლებელია იმაზე მეტი ინფორმაცია მივიღოთ, ვიდრე გადამუშავებაა შესაძლებელი. მცირე დანახარჯების დროს კი, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაციის გამო, არასწორი გადაწყვეტილების მიღების საკმაოდ მაღალი რისკი არსებობს.

### **3. წერილობითი განაცხადი კვლევის ჩატარებაზე**

საზგასანმელია ის ფაქტი, რომ აუცილებელია ყურადღება დაეთმოს წერილობითი განაცხადის მომზადებას, რომლის საფუძველზეც მკვლევარი მოამზადებს შეთავაზებას კვლევის ჩატარების საფუძველზე. განაცხადი მოიცავს შემდეგ ძირითად ნაწილებს:

- კვლევის მიზანი;
- დამკვეთი მხარის ის პრობლემა, რომელმაც გამოიწვია კვლევის საჭიროება;
- როგორ იქნება გამოყენებული კვლევის შედეგები;
- სამოქმედო სტანდარტის ფორმულირება;
- შედეგების წარდგენის ვადები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ასეთი ფორმის დოკუმენტის არსებობა დამკვეთს იმის გარანტიას მისცემს, რომ კვლევა შეძლებს ადეკვატური პასუხების გაცემას მის კითხვებზე.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სასურველია კომპანიას ჰყავდეს მარკეტინგული კვლევების შიდა სპეციალისტი იმ შემთხვევაში, თუ მას საკმაოდ დიდი კვლევითი ბიუჯეტი გააჩნია. სწორედ ასეთი სპეციალისტის საშუალებით მზადდება კვლევების პროგრამა, მონაწილეობს მეთოდის შემუშავებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე ირჩევს კვლევით კომპანიას კონკრეტული კვლევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კვლევითი კომპანიის მომსახურებაზე უარის თქმა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორგანიზაციას ჰყავს მარკეტინგული კვლევების სპეციალისტი – არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ შიდა რესურსებით კვლევების ჩატარება გარკვეულად ხელს უშლის კვლევების სპეციალისტს დროის რაციონალურად გამოყენებაში. ასევე შეუძლებელია კვლევის მეთოდების მთელი



მისი მრავალფეროვნებით გამოყენება არ აისახოს ხარისხზე და მასზე გავლენა არ მოახდინოს.

თანამედროვე ეტაპზე მარკეტინგულ კვლევებზე დახარჯული თანხები 3-ჯერ და მეტად გაიზარდა მთელ მსოფლიოში.

როდესაც ფირმები მასობრივ პროდუქციას აწარმოებენ, აუცილებლად უნდა იცოდნენ, თუ ვინ არიან მათი კლიენტები, სად შეიძლება მათი პოვნა და როგორია მათი მოთხოვნილებები. ამისათვის კი მიზანშეწონილია მარკეტინგული კვლევების ჩატარება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი საქონლისა და მომსახურების პროექტირებაში, მის გავრცელებაში.

მარკეტინგული კვლევები იყოფა რაოდენობრივად და თვისებრივად.

ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი მოიცავს გამოკითხვას, ინტერვიუს, ანკეტირებას, თვისებრივი ანალიზი კი ემყარება დაკვირვებას, ფოკუს-ჯგუფს, კონტენტ-ანალიზს, ქცევით მოდიფიკაციას.

საზგადასმელია ის ფაქტი, რომ კონკრეტული კვლევა ხშირად რამდენიმე მეთოდიკას მოიცავს და დამოკიდებულია კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ჩამოყალიბდეს მიზნები და ამოცანები, რაც ყველაზე მთავარია, ხოლო შემდეგ კი შემუშავდეს ტექნიკური დავალებები.

მარკეტინგული კვლევის შედეგად მიღებული პრობლემების აღწერა, რომელიც მომხმარებელთა შეხედულებებს, ინტერესებს და მოთხოვნილებებს ემყარება, ყოველთვის არ ემთხვევა მკვლევართა წინასწარ პროგნოზებს.

როდესაც პრობლემის ინტერპრეტაციაში ამგვარი სხვაობის შემთხვევები ფიქსირდება, ხდება ახალი ანკეტების შედგენა, რომლებიც კორექტირებულია იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხედავენ არსებულ პრობლემას მომხმარებლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მარკეტინგული კვლევა არის სოციალური ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

სოციალური ფაქტორი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

ნებისმიერი მოვლენა, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ სტრუქტურას, ფასებს, ხელფასის საშუალო დონეს და ა.შ. გარდაუვალად აისახება ინდივიდთა ინტერესებსა და მოთხოვნილებაში.

„დისკრეციული შემოსავლების ზრდასთან ერთად, მომხმარებლის გემოვნების, დამოკიდებულების როლი და მნიშვნელობა წარმოების პროცესთან მიმართებაში შეიცვალა. მყიდველი, ბაზარზე არსებული პროდუქციის უბრალო, პასიური მომხმარებელიდან გადაიქცა ეკონომიკური პროცესების ფაქტორად და მისი გემოვნება და მოთხოვნები, ფაქტობრივად, გახდა საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი გადამწყვეტი მონაწილე“ [2, გვ. 248].

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სწორედ მარკეტინგული კვლევები იძლევა საშუალებას, მიღებული იქნეს სანდო მონაცემები მომხმარებელთა ბაზრის შესახებ, ვინაიდან საზოგადოებაში სოციალური ინოვაციების დაჩქარებამ, ცხოვრებაში ახალი სოციალური იდეებისა და ფასეულობების სწრაფად განხორციელების აუცილებლობამ მომსახურების ახალი ფორმების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რაც კიდევ უფრო მეტად განაპირობებს თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას მოცემული მიმართულებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მაცაბერიძე მ. პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები. თბილისი. „მეცნიერება“, 2003.
2. მეზერიშვილი ლ. ეკონომიკური სოციოლოგია. თბილისი. „მეცნიერება“, 2003.

*Bachiashvili Tamar*

### MARKETING RESEARCH AS ONE OF THE IMPORTANT PRECONDITIONS FOR EFFECTIVE USAGE OF THE SOCIAL FACTOR SUMMARY

The role of marketing research in the functioning of modern business organizations is discussed in the scientific article.

The article also discusses the causes of unsuccessful cooperation between the marketing research company and the customer.

The article analyzes that exactly the marketing researches enable to adopt the reliable data about the customer's market.

*ციალა ბენაშვილი*

#### „პროდუქციის სრული დანახარჯების“ ცნება და მისი გამოყენება

პოსტსაბჭოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში და მათ შორის ქართულშიც „სრული დანახარჯების“ ცნების ნაცვლად და მის ტოლფასად იყენებენ „თვითღირებულების“ ცნებას; უფრო მეტიც, ინგლისურენოვანი სიტყვა Cost გადმოთარგმნილია, როგორც „Себестоимость - თვითღირებულება“ მაშინ, როცა იგი დანახარჯებს ნიშნავს. რასთან გვაქვს საქმე: მარქსის ღირებულების თეორიის პოსტსაბჭოურ გავლენასთან, თუ, უბრალოდ, ცნებების არასწორ ინტერპრეტაციასთან. ეს საკითხი სამსჯელო და საკამათოა, ამიტომ სამომავლოდ შემოვიჩინათ. ამჯერად კი გავაანალიზოთ როგორ გამოიყენება სრული დანახარჯების ცნება მმართველობით აღრიცხვაში.

მმართველობითი აღრიცხვის ადრეული სისტემები ეფუძნებოდა სრული დანახარჯების შესახებ არსებული ინფორმაციის მოგროვებასა და ანგარიშგებას. ფინანსური აღრიცხვა იყენებს მხოლოდ სრული დანახარჯების ინფორმაციას. ამდენად, სრული დანახარჯების აღრიცხვა არის ხიდი ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას შორის.

გარდა იმისა, რომ სრული დანახარჯების ინფორმაცია ფინანსურ აღრიცხვაში გამოიყენება, იგი საჭიროა მენეჯერებისთვისაც, განსაკუთრებით კი პროდუქციაზე ფასდადგენის სამუშაოების შესრულების დროს, აგრეთვე, კონტრაქტის ფასის, როგორც სრული დანახარჯებისა და სპეციფიკური მოგების ჯამის, განსაზღვრის დროს.

მმართველობითი აღრიცხვა განიხილავს სრული დანახარჯების კონცეფციებს; აღწერს ზოგადად როგორ აისახება სრული დანახარჯები აღრიცხვის სისტემაში; როგორ გამოიყენება სრული დანახარჯების ინფორმაცია, როგორ იზომება პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები პროდუქციის სრული დანახარჯების განსაზღვრის დროს და როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის გაანალიზებით დავეხმაროთ მონიტორინგის, აუდიტის და ზოგადად კონტროლის სისტემებს.

„დანახარჯები“ მეტად მრავალმნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი სიტყვაა აღრიცხვის სფეროში. იგი გამოიყენება მრავალი განსხვავებული ცნების გამოსახატავად. არსებობს პირდაპირი დანახარჯები, სრული დანახარჯები, ალტერნატიული დანახარჯები, დიფერენცირებული დანახარჯები და სხვ.

დანახარჯების არსის გაგებისათვის საჭიროა გამოვიდეთ მისი ზოგადი განმარტებიდან: **დანახარჯები არის კონკრეტული მიზნით გამოყენებული რესურსები ფულად გამოსატულებაში.** ეს განმარტება მოიცავს სამ მნიშვნელოვან მომენტს: პირველი და ძირითადი არის ის, რომ „დანახარჯები“ ნიშნავს „გამოყენებულ რესურსებს“. დანახარჯების ელემენტები იზომება გამოყენებული მასალების რაოდენობით, სამუშაო ძალის გამოყენების ხანგრძლივობით და სხვა რესურსების რაოდენობით. დანახარჯები ზომავს რა რაოდენობის, რა სიდიდის რესურსები იქნა გამოყენებული. მეორე მომენტი ის არის, რომ დანახარჯები გამოსატულია და გაზომილია ღირებულებით (ფულად) ერთეულებში. ეს კი საშუალებას იძლევა, სხვადასხვა განზომილებით გამოსატული რესურსები გახდეს თანაზომადი და განისაზღვროს დანახარჯები მთლიანობაში. მესამე მომენტი ის, რომ დანახარჯების გაზომვა ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეული მიზნის შესრულებასთან. ეს მიზანი შეიძლება იყოს პროდუქცია, პროექტი, განყოფილება ან ნებისმიერი საქმიანობა, რომლისთვისაც რესურსების ღირებულებითი ფორმით გაზომვა აუცილებელი და სასურველია.

**დანახარჯების ობიექტი არის პროდუქტი, პროექტი, ორგანიზაციული ერთეული, კონკრეტული საქმიანობა და სხვა, რომლისთვისაც დანახარჯები იზომება.**

დანახარჯების ობიექტი ზუსტად უნდა დადგინდეს და ნათლად განისაზღვროს. მაგალითად, ლურჯი ჯინსების მწარმოებელ ფაბრიკაში დანახარჯების ობიექტი შეიძლება იყოს ერთი კონკრეტული მოდელის ჯინსი. განსხვავებული მოდელი, რომელსაც მასალების განსხვავებული რაოდენობა სჭირდება, შეიძლება ცალკე წარმოადგენდეს დანახარჯების ობიექტს, მაგრამ სხვადასხვა ზომის ჯინსები, როგორც წესი, არ წარმოადგენს ცალკე დანახარჯების ობიექტს. ანალოგიურად, სერვისკომპანიებში შეიძლება გამოიყოს დანახარჯების სხვადასხვა ობიექტი. მაგალითად, ჯანდაცვაში დანახარჯის ობიექტი შეიძლება იყოს მთლიანად ჰოსპიტალი, ექიმების კონტინგენტი, რომელიც განყოფილება, გადაუდებელი დახმარების განყოფილება, ცალკეული სახეობის დაავადებების მკურნალობა, ერთი პაციენტის მკურნალობა, ერთი კონკრეტული ანალიზი და სხვ.

დანახარჯების ობიექტის ყველაზე გავრცელებული სახეობა ბიზნესში პროდუქტია, რაც გულისხმობს საქონელსაც და მომსახურებასაც. **სისტემას, რომელიც აგროვებს და აღწესს დანახარჯების ობიექტზე გამოყენებულ რესურსებს, პროდუქციის დანახარჯების აღრიცხვის სისტემას უწოდებენ.** პროდუქციის დანახარჯების ელემენტებია: მატერიალური, შრომითი და მომსახურების. პროდუქციის დანახარჯების სისტემაში ეს ელემენტები აღწერილია გარკვეულ კატეგორიებში. პროდუქციის დანახარჯების ელემენტებია: პირდაპირი მასალები, პირდაპირი შრომა და ზედნადები ხარჯები, ერთობლიობაში ისინი წარმოების დანახარჯებს წარმოადგენს. აქედან, პირდაპირ შრომას და ზედნადებ ხარჯებს გადამუშავების ხარჯებს უწოდებენ. ხოლო თუ წარმოების დანახარჯებს დაემატება გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები, მივიღებთ პროდუქციის სრულ დანახარჯებს.

**წარმოების დანახარჯები = პირდაპირი მასალები + პირდაპირი შრომა + ზედნადები ხარჯები. /გადამუშავების ხარჯები /**

**პროდუქციის სრული დანახარჯები = წარმოების დანახარჯები + გაყიდვის+ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

ბოლო 3-4 ათწლეულებამდე დანახარჯების აღრიცხვის სისტემების უმეტესობა მხოლოდ წარმოების დანახარჯებს ზომავდა. ეს, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ საჭირო იყო, ჯერ ერთი, დაუმთავრებელი წარმოების მოცულობისა და მზა პროდუქციის მოცულობის გამოთვლა – ბალანსისათვის. და მეორე – გაყიდული საქონლის თვითღი-

რებულების გამოთვლა მოგება-ზარალის ანგარიშისთვის. სხვა ხარჯები განიხილებოდა, როგორც მოგება-ზარალის ანგარიშში წარმოდგენილი ხარჯები აგრეგირებული სახით. ამიტომაც არ იყო იმის საჭიროება, რომ ის მიხნეულიყო დანახარჯების სპეციფიკურ ობიექტად გარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

ბოლო წლებში დანახარჯების აღრიცხვის სისტემები გაფართოვდა და მოიცავს სხვა ტიპის დანახარჯებსაც. ინდუსტრიული ფირმებისთვის იგი მოიცავს გარკვეულ ნაწილს გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებიდან. მაგალითად, ზოგიერთი კომპანია გაყიდვის ხარჯებში მოიაზრებს დისტრიბუციის ხარჯებს, მომხმარებელთა მომსახურების ხარჯებს, რომლებიც სპეციფიკურ საქონელს ყიდულობენ. ეს ინფორმაცია შეიძლება წინ უძღოდეს მარკეტინგის პროგრამის ცვლილებას, დისტრიბუციის არხების შეცვლას, ანდა ზოგიერთი ძვირადღირებული საქონლის ან მომხმარებლის გამოთიშვას ბრუნვიდან. ანალოგიურად, ზოგიერთი კომპანია კვლევისა და განვითარების ხარჯებს განიხილავს პროდუქციასთან ერთად, რადგან ზოგიერთი პროდუქციის გამოკვლევა, სხვებთან შედარებით, ძალიან ძვირი ჯდება. ეს ინფორმაცია შეიძლება იმ პროდუქტების ჩამონათვალის განსაზღვრის საფუძველი გახდეს, რომლებშიც ღირს სახსრების დაბანდება.

თუ კომპანიის მენეჯერები გაითვალისწინებენ პროდუქციის ყველა ხარჯს ამ პროდუქტის წარმოების დაწყებიდან მის შეწყვეტამდე, ამით დანახარჯები განისაზღვრება **მთელი საარსებო ციკლის განმავლობაში**. პროდუქციის ხარჯები მოიცავს იმ აუცილებელ ხარჯებს, რომელიც საჭიროა მისი შექმნისა და ბაზრამდე მიტანისათვის. ასევე ხარჯებს კვლევისა და განვითარებისათვის, პროდუქციის ტესტირებისათვის, თავდაპირველი ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, შესაძლოა აგრეთვე, გამყიდველთა ტრენინგისათვის. ეს ხარჯები, ჩვეულებრივ, იქამდე გაიწევა, ვიდრე პროდუქცია რაიმე შემოსავალს მოიტანს მწარმოებლისთვის, მას **წარმოების გამართვის ხარჯებსაც** უწოდებენ. პროდუქციის ჩამოწერა, ანუ ბრუნვიდან ამოღება და შესაბამისი ხარჯების გაწევა ხდება, როცა მიიღება ამ პროდუქციის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება, რადგან მას აღარ მოაქვს მნიშვნელოვანი შემოსავალი. ეს ხარჯები შეიძლება მოიცავდეს იმ ჩამოწერილი შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების, ასევე აღჭურვილობის ხარჯებს, რაც აღარ იქნება საჭირო, ასევე თანხას, რომელიც უნდა გადაუხადონ სპეციალურ პერსონალს, რომლებსაც აღარ დაიქირავებენ, მიწის აღდგენის ხარჯები, რომელიც ადრე დაზიანდა და სხვ.

რა წესითაც უნდა განისაზღვროს დანახარჯების ობიექტი, მთავარ პრინციპად მაინც რჩება იგივე: **დანახარჯების ობიექტის სრული დანახარჯები უდრის პირდაპირი დანახარჯების ჯამს დამატებული შესაბამისი წილი არაპირდაპირი ხარჯებიდან**. მაგალითად, თუ დანახარჯების ობიექტია ერთ-ერთი დარგის გამყიდველი, მისი პირდაპირი დანახარჯები მოიცავს: ხელფასს, საკომისიოს, მოგზაურობის ხარჯებს, განსაკუთრებული კლიენტურის ხარჯებს. არაპირდაპირი ხარჯები მოიცავს: იმ რაიონის გაყიდვების მენეჯერის ხელფასს და იმ რაიონის გაყიდვების ოფისის ხარჯებს, რომლებიც ეხმარება დარგის მენეჯერს. არაპირდაპირი ხარჯების მიკუთვნების (დარიცხვის) პრინციპები ისეთივეა, როგორც პროდუქციაზე.

გადამყიდველი ორგანიზაციების შემთხვევაში, როგორცაა სუპერმარკეტები, მედიკამენტების საწყობები და სხვ., გაყიდვის დანახარჯები აისახება გაყიდული საქონლის ანგარიშგაქტურებში. მათ ამიტომაც აქვთ დანახარჯების აღრიცხვის მეტად მარტივი სისტემა გაყიდვის თვითღირებულების დასადგენად. სრული დანახარჯების ინფორმაციას ისინი იმ მიზნით იყენებენ, რომ დაადგინონ თავიანთ შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა გაყიდვების დეპარტამენტების მომგებიანობა. ამ შემთხვევაში თითოეული გაყიდვების დეპარტამენტი წარმოადგენს დანახარჯების ობიექტს.

სერვისორგანიზაციებში (სახელმწიფო სააგენტოებისა და ორგანიზაციების ჩათვლით) უფრო მეტი ადამიანი მუშაობს, ვიდრე მწარმოებელ საწარმოებში. დანახარჯების განსაზ-

ღვრისათვის ამ სფეროშიც იგივე საერთო სქემა გამოიყენება, როგორც მატერიალურ წარმოებაში. ზოგიერთ სერვისორგანიზაციაში მოსახერხებელია, რომ სპეციფიკური კლიენტისათვის გაწეული მომსახურება გამოიყოს როგორც ცალკე „სამუშაო“ და დანახარჯების ობიექტად იქნეს აღიარებული ეს ცალკეული „სამუშაოები“. მაგალითად, ავტომობილების სარემონტო ორგანიზაციებში გამოყოფილი ასეთი „სამუშაოები“ მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც ახლავს თითოეული მანქანის მომსახურებას. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს: გამოსაცვლელი დეტალის ხარჯს და ტექნიკური მუშაკის შრომის ანაზღაურებას. აგრეთვე არაპირდაპირი ხარჯების კუთვნილ წილს: ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელფასი, განათების, გათბობის და სხვა ასეთი ხარჯები, ასევე, ორგანიზაციის აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯები. ეს ხარჯები ჩაიწერება დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშში იმ განსაკუთრებული სამუშაოებისათვის, რომელიც არის დანახარჯების ობიექტი.

დანახარჯების აღრიცხვის იმ ფორმებში, რომლებიც ეწევა სამართლებრივ, არქიტექტურულ, საინჟინრო და კონსალტინგურ მომსახურებას, აგრეთვე იყენებენ „სამუშაოების“ დანახარჯების ჩანაწერებს თითოეული სამუშაოს ან პროექტისათვის, რომელსაც ისინი აკეთებენ. ანალოგიურად, სამედიცინო დაწესებულებების სააღრიცხვო სისტემა განიხილავს თითოეულ პაციენტს, როგორც დანახარჯის ობიექტს და შეიმუშავებს „სამუშაოთა“ დანახარჯების ჩანაწერებს თითოეული სერვისისათვის, რომელსაც პაციენტს უტარებენ. სხვა შემთხვევებში, სერვისორგანიზაციები არ აღრიცხავენ დანახარჯებს თითოეული სამუშაოსათვის. მაგალითად, საავადმყოფოს ლაბორატორიაში დანახარჯების ცალკე აღრიცხვა არ ხორციელდება თითოეული ჩატარებული სისხლის ანალიზისათვის. უბრალოდ განსაზღვრულია ამ ანალიზის საშუალო ღირებულება – ანალიზის პირდაპირი დანახარჯები, როგორცაა ლაბორატორიის ტექნიკური მუშაკების სამუშაო დრო და სპეციალური მასალები, რომელსაც ისინი ანალიზისთვის იყენებენ. ლაბორატორია, სისხლის ანალიზის გარდა, აკეთებს სხვა ანალიზებსა და გამოკვლევებსაც. ისეთი დანახარჯები, როგორცაა ლაბორატორიის ხელმძღვანელობის ხელფასი, ლაბორატორიის მიმდინარე დანახარჯები (შუქი, წყალი, გათბობა) და ასეთივე საერთო დანახარჯები არის არაპირდაპირი დანახარჯები სხვადასხვა ტიპის ანალიზებისა და გამოკვლევებისათვის. ამგვარი არაპირდაპირი დანახარჯების კუთვნილი წილიც დაემატება სისხლის ანალიზს, როგორც დანახარჯების ობიექტს. პერიოდის ბოლოს ჩატარებული ანალიზების რაოდენობის მიხედვით გაიყოფა არაპირდაპირი დანახარჯების რაოდენობა და დადგინდება არაპირდაპირი ხარჯი სისხლის ანალიზისთვის. გამოითვლება სისხლის ერთი ანალიზის დანახარჯი. **ამგვარ მიდგომას ეწოდება დანახარჯების განსაზღვრა პროცესების მიხედვით.**

უმოგებო ორგანიზაციები ისეთი ორგანიზაციებია, რომელთა მიზანიც არ არის მოგების მიღება, არამედ მთავარია მომსახურების გაწევა ან სხვადასხვა სამუშაოს შესრულება. უმოგებო ორგანიზაციებია: ჯანდაცვა, განათლება, გამოყენებითი ხელოვნება, წევრობაზე დამყარებული ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობა. დანახარჯების აღრიცხვის სისტემა ასეთ ორგანიზაციებში ისეთივეა, როგორც მოგებაზე ორიენტირებულებში. ორივე ეს ორგანიზაცია იყენებს რესურსებს და უნდა განისაზღვროს საჭირო რესურსების რაოდენობა ერთი ან რამდენიმე დანახარჯის ობიექტისათვის. ამასთან, ბევრი უმოგებო ორგანიზაციის საქმიანობა არ მოიცავს სპეციფიკური კლიენტურის სამეურნეო ოპერაციებს. ისინი ახორციელებენ ოპერაციებს, რომელთაც აქვთ მიზანზე ორიენტირებული საქმიანობების ქსელი პროგრამების სახით. ეს საშუალებას იძლევა, მხოლოდ ორგანიზაციის წევრების, ან ფართო საზოგადოებისათვის იქნეს გაწეული ხელმისაწვდომი მომსახურება. მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკა გასცემს წიგნებს ცირკულაციის განყოფილების საშუალებით, აქვს პერიოდიკის სამკითხველო დარბაზი, ახორციელებს რეფერენსსერვისს. გარდა ამისა, აქვს სპეციალური განყოფილება

ბავშვებისათვის. ყველა ეს ჩამოთვლილი საქმიანობა შეადგენს ცალკე პროგრამას და შეიძლება განიხილოს როგორც დანახარჯების ობიექტი. თითოეული ამ პროგრამის სრული დანახარჯები უდრის პირდაპირი დანახარჯებისა და მათი წილი არაპირდაპირი ხარჯების (როგორცაა გათბობა, განათება და სხვა საერთო ხარჯები) ჯამს.

მენეჯერული აღრიცხვის მიერ დადგენილი დანახარჯების ობიექტის სრული დანახარჯები გამოიყენება: (1) ფინანსურ ანგარიშგებაში, (2) მომგებიანობის ანალიზისთვის, (3) კითხვაზე „რა ჯდება ეს?“ პასუხის გასაცემად. (4) რეგულირებად დარგებში ფასების დასადგენად. (5) ნორმალური ფასდადგენისთვის.

**ფინანსური ანგარიშგება.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როგორ გამოიყენება ფინანსურ აღრიცხვაში საწარმოო დანახარჯები დაუმთავრებელი წარმოების მოცულობისა და მზა პროდუქციის მოცულობის განსაზღვრის საფუძველად – ბალანსისათვის, ხოლო გაყიდული საქონლის თვითღირებულების მაჩვენებლის გამოსათვლელად – მოგება-ზარალის ანგარიშისთვის. როდესაც კომპანია აშენებს შენობა-ნაგებობებს, იქნის მანქანა-დანადგარებს ან სხვა ფიქსირებულ აქტივებს თავისი საჭიროებისათვის, ანგარიშგებაში შეტანილი და შემდეგ ბალანსში აღნიშნული ციფრი არის ამ აქტივების სრული დანახარჯები.

**მომგებიანობის ანალიზი.** ფინანსურ აღრიცხვაში განიხილება აგრეთვე, მომგებიანობის განსაზღვრის ტექნიკა ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით. დანახარჯების აღრიცხვა საშუალებას იძლევა, განხორციელდეს ანალოგიური ანალიზი ბიზნესის ცალკეული ნაწილებისთვის, როგორცაა ერთი რომელიმე პროდუქტი, პროდუქციის წარმოების ხაზი, თანამდები პროდუქციის ჯგუფი, საამქრო, განყოფილება, გაყიდვის ტერიტორია ან კომპანიის რომელიმე ქვეგანყოფილება, რომელიც წარმოადგენს ინტერესის საგანს. დანახარჯების აღრიცხვის პრინციპების გამოყენებით შეიძლება განისაზღვროს პირდაპირი დანახარჯები და შესაბამისი წილი არაპირდაპირი დანახარჯებიდან. თუკი წარმოების ეს ნაწილი არ იძლევა სათანადო შემოსავალს, რომ გარანტირებული იყოს მოგება დაქირავებულ აქტივებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც არ არის წესრიგში და საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება.

**„რა ჯდება ეს?“** სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის დანახარჯების განსაზღვრის პრობლემა სულ უფრო ფართოვდება და მნიშვნელოვანი ხდება. მაგალითად, რა დაჯდა მდინარის გაწმენდა დაბინძურებისაგან, რა დაჯდა პრეზიდენტის ბოლო არჩევნები, რა დაჯდა პოლიციის შენახვა, რა ჯდება საფოსტო მომსახურებით წერილის გაგზავნა ერთი პუნქტიდან მეორემდე, რა ჯდება სასკოლო კაფეტერიის ფუნქციონირება წელიწადში, რამდენია რომელიმე კვლევის პროექტის დანახარჯები და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იოლია დანახარჯების ობიექტების სრული დანახარჯების განსაზღვრით. სრული დანახარჯები გამოიყენება აგრეთვე კონტრაქტებშიც, რომელშიც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, შეიძინოს მეორე მხარისაგან საქონელი ან მომსახურება სრულ დანახარჯებზე დაფუძნებული ფასით. ყოველწლიურად მილიარდობით ასეთი კონტრაქტი ფუნქციონირებს. გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა, კონტრაქტში მიეთითოს დანახარჯების განსაზღვრის კონკრეტული წესი.

**რეგულირებადი ფასების დადგენა.** ბევრი ფასი დგინდება არა საბაზრო მექანიზმების გამოყენებით, არამედ მარეგულირებელი ორგანოების – კომისიების მიერ. იგი მოიცავს ფასებს საყოფაცხოვრებო საგნებსა და მომსახურებაზე (წყალი, ელექტრობა, გაზი, კანალიზაცია, სატელეფონო სერვისი), საკაბელო ტელევიზია, საფოსტო მომსახურება, სადაზღვევო პრემიები და ბევრი სხვა. ყველა ამ შემთხვევაში მარეგულირებელი კომისია ადგენს ფასს, რომელიც უდრის სრულ დანახარჯებს დამატებული მცირე თანხა მოგების მისაღებად.

**ფასდადგენა გამორჩეულ პროდუქციაზე.** გამორჩეულია ის პროდუქტი, რომელსაც მომხმარებელი გამოარჩევს კონკურენტული პროდუქციისაგან. არჩევანი შეიძლება მოხდეს

თვითონ პროდუქტის თვისებების გამო; მომხიბლავი რეკლამით; განვადების პირობებით; ფინანსური მოსახრებებით ან სხვა რაიმე უკეთესი მახასიათებლის გამო. დანარჩენი პროდუქცია, ყოველდღიური, ფართო მოხმარების საქონელია. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, გენერალური წამლები (პატენტირებული, კერძო საწარმოების წამლებისაგან განსხვავებით), მინერალები, ქაღალდის სხვადასხვა ნაწარმი და ბევრი სხვა პროდუქტი, რომელსაც მომხმარებელი ყიდულობს მწარმოებლებსა და ბრენდებზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის გარეშე. მომსახურების ზოგიერთი სახეობაც მიეკუთვნება ფართო მოხმარების პროდუქციას, როგორცაა მანქანის გაწყობა ბენზინით, ფოტოკოპირება და სხვ. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ დანახარჯების გაზომვა გამოიყენება გამორჩეული პროდუქტის და არა ყოველდღიური მოხმარების საგნებისათვის. მათთვის გასაყიდი ფასი ყალიბდება ბაზრის მეშვეობით. ბუნებრივია, მეწარმე ცდილობს საგნები დაამზადოს უფრო ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე კონკურენტი მეწარმე. ამიტომ ფასდადგენისთვის ნაკლებად იყენებენ დანახარჯების გაზომვას, იგი გამოიყენება მხოლოდ დანახარჯების შემცირების მიზნისათვის. თუ ეს ვერ მოხერხდა და პროდუქცია არ გახდა მომგებიანი, მაშინ საეჭვოა წარმოების გაგრძელება.

**ნორმალური ფასდადგენა.** ბიზნესის ძირითადი ეკონომიკური მიზანია გონივრული უკუგების მიღება ინვესტიციაზე, ანუ იმ აქტივებზე, რომელიც ჩართულია ბიზნესში. ამისათვის საჭიროა პროდუქციის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავლებმა: (1) დაფაროს გაწეული დანახარჯები და (2) მიღებული იქნეს მოგება, რომელიც შექმნის ოპტიმალურ უკუგებას გაწეულ ინვესტიციაზე. ბიზნესი წარმატებული იქნება, თუკი ერთად აღებული ყველა მისი პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს მთლიან დანახარჯებს. ამასთან აუცილებელია თითოეული პროდუქტისათვის გასაყიდი ფასი დადგინდეს ცალ-ცალკე. ამისათვის საჭიროა თითოეულმა პროდუქტმა მოიცვას ბიზნესის მიერ გაწეული დანახარჯების შესაბამისი წილი, ანუ ზოგადად, გასაყიდი პროდუქციის ფასმა დაფაროს მისი პირდაპირი დანახარჯები და არაპირდაპირი დანახარჯების შესაბამისი წილი და მიღებული იქნეს დამაკმაყოფილებელი მოგება. ამგვარი ფასი არის ნორმალური ფასი. პრაქტიკულად, მოცემული კონკრეტული პროდუქტის ფასი ყოველთვის არ არის სრული დანახარჯებისა და მოგების უბრალო შეჯამება. ხშირად ფასი დგინდება მყიდველის თვალსაზრისის გათვალისწინებით. პროდუქციის დანახარჯების განსაზღვრა არის საწყისი ეტაპი ფასდადგენის პროცესში. ის ფაქტი, რომ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესი უნდა ცდილობდეს, მიიღოს სათანადო უკუგება იმ აქტივებზე, რომელიც ჩართულია პროდუქციის წარმოებაში, გვაფიქრებინებს, რომ მოგების ოდენობა ფასში დაკავშირებული უნდა იყოს აქტივების ოდენობასთან, მაგრამ სინამდვილეში ფასი ჩვეულებრივ დაკავშირებულია დანახარჯებთან და არა აქტივების ღირებულებასთან.

**დროითი და მატერიალური ფასდადგენა** გამოიყენება სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების ფასის განსაზღვრისათვის, დაბეჭდვის მომსახურების განხორციელებისას. იყენებენ აგრეთვე, სხვადასხვა პროფესიონალები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, იურისტები, ფრენის ინსტრუქტორები, კონსულტანტები და სააღრიცხვო ფირმები. ამ მეთოდით ფასის განსაზღვრის დროს განისაზღვრება ორი კომპონენტი: დახარჯული სამუშაო დროის და გამოყენებული მასალების. დახარჯული სამუშაო დროის კომპონენტი გამოითვლება როგორც შემდეგი შემადგენელი ნაწილების ჯამი: (1) დაქირავებულის ხელფასი (და დანამატი) ყოველ საათში, (2) შესაბამისი წილი ყველა არაპირდაპირი არამატერიალური დანახარჯებიდან და (3) მოგებისათვის დანამატი. გამოყენებული მასალები, ანუ მატერიალური კომპონენტი, მოიცავს გამოყენებულ მასალებს და ე.წ. „მასალების მოტანასაც“. იგი ემატება ანგარიშფაქტურაში აღნიშნული გამოყენებული მასალების ღირებულებას და შედგება მასალების შემოზიდვის, დასაწყობების ხარჯებისა

და დანამატისაგან – მოგებისათვის. პროფესიული სერვის ფორმებისათვის აღნიშნული კომპონენტების განსაზღვრა იწოდება, როგორც „ბილინგის“ პროცესი.

უმოგებო ორგანიზაციებში ფასდადგენის იგივე პრაქტიკა გამოიყენება, გარდა ერთი გამონაკლისისა: რადგანაც უმოგებო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ საკუთარი კაპიტალი, მათ არ უხდებათ მოგების, როგორც ამ ინვესტიციის უკუგების მიღება. ზოგიერთ უმოგებო ორგანიზაციას სჭირდება მცირე დანამატი სრული დანახარჯების ზემოთ, რომ უზრუნველყოს გაუთვალისწინებელი მოვლენებისგან დაცვა და ორგანიზაციის უსაფრთხოება, აქტივების ფლობის გადასახადების გადახდა. მაგრამ იგი არ ითვლება პროდუქციის დანახარჯების ელემენტად.

გასაყიდი ფასის დადგენის დროს არსებობს სიტუაციები, როდესაც ფასდადგენის პროცესი საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. გასაყიდი ფასი, რომელიც აქამდე მოიაზრებოდა როგორც კონკურენციის სტრატეგიის იარაღი, აღქმულია როგორც მოცემულობა. საჭიროა განისაზღვროს რა რაოდენობის ხარჯები უნდა გასწიოს კომპანიამ, რომ მიიღოს დამაკმაყოფილებელი შემოსავლები მოცემული ფასის პირობებში. ამგვარი მიდგომა იწოდება როგორც „სამიზნე დანახარჯები“. მაგალითად, ტანსაცმლის ბიზნესში ტრადიციულად იყენებენ საცალო ფასის ვარიანტებს: 19.95, 29.95, 39.95 დოლარი და ა.შ. მწარმოებელი შეიმუშავებს ინდივიდუალურ მოდელებს, რათა მოერგოს ამ ფასებიდან რომელიმეს. მწარმოებლის გასაყიდი ფასის მისაღებად, საცალო ფასს აკლდება საცალო გაყიდვების ნორმალური ზღვრული მოგება. დარჩენილი თანხით მწარმოებელმა უნდა შეძლოს წარმოების დანახარჯების ელემენტების შექმნა. „სამიზნე დანახარჯები“ წლების განმავლობაში წარმატებით გამოიყენებოდა იაპონიის ავტომობილების წარმოებაში და ელექტრომრეწველობაში, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში.

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის უადრესად მნიშვნელოვანია დანახარჯების დროულად ცოდნა, მისი ზრდისა და კლების ტენდენციების დადგენა. ყოველწლიურად ასობით მცირე საწარმო კოტრდება სწორედ იმის გამო, რომ მათმა მენეჯერებმა არ იციან რას უდრის მათი წარმოების დანახარჯები და ფასებს არასწორად ადგენენ. დანახარჯების ინფორმაცია ეხმარება მენეჯერებს, განავითარონ ბიზნესის სტრატეგია, რაც წარმოშობს მდგრად უპირატესობებს კონკურენციაში. ამ პროცესს ზოგჯერ დანახარჯების სტრატეგიულ მენეჯმენტს უწოდებენ. იგი ეხმარება მენეჯერებს, დანახარჯების მონაცემები გამოიყენონ კომპანიის სისუსტეების და უპირატესობების დასადგენად კონკურენტებთან შედარებით. დანახარჯების სტრატეგიული მენეჯმენტი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ როგორ გამოიყენებს კომპანია ფასების ჯაჭვის ანალიზს. ფასების ჯაჭვი აღწერს საქმიანობის სახეებს, რომელიც საჭიროა პროდუქციის ან მომსახურების შექმნის, განვითარების, გაყიდვის, დისტრიბუციის და მომსახურებისათვის. მენეჯერებისათვის საჭიროა, იცოდნენ სად, რა ეტაპზე აქვთ ფასების ჯაჭვში მდგრადი უპირატესობა. ეს შინაგანად დაეხმარება მათ, განავითარონ საქმიანობა არჩეული მიმართულებით. ანდა შეუძლიათ შეამცირონ თავიანთი მონაწილეობა წარმოებაში და გარკვეული კვანძები და დეტალები მზა სახით იყიდონ გარე მიმწოდებლებისაგან.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. R.N. Anthony, D.F. Havkins, K.A. Merchant, 2007, Accounting, Text & Cases, Mc Graw Hill, London;
2. C.T. Horngren, W.T. Harrison, 2007, Accounting, Prentice-Hall, Inc., Upper Saddle River, New Jersey;
3. Principles of Accounting; by , Patricia Libby, Robert Phillips, Fred Whitecotton, Stacey Publisher: McGraw-Hill Higher Education, Copyright Year: 2008;



4. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, ACCA წიგნი 1.2. სახელმძღვანელო, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმანი ინგლისურიდან,
5. სბაფ, თბ., 2003.

*Benashvili Tsiala*

## **THE CONCEPT “FULL COSTS OF PRODUCT” AND ITS APPLICATION SUMMARY**

Cost is a measurement, in monetary terms, of the amount of resources used for some purpose. Cost object is the technical name of the product, project, organizational unit, or other activity or purpose for which costs are measured.

In each instance, the cost object must be carefully stated and clearly understood. The full cost of a product includes full production cost and portion of non production cost.

We try to analyze using of full product cost in different branches of economy, in financial reporting, in setting regulated prices, in normal pricing, in strategic management, in competition.

*ხათუნა ბერიშვილი*

## **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ბიზნესის ბანკოთარებაში**

1990-იან წლებში საქართველო მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შესაბამისად ქვეყანა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინვესტორთა ყურადღების მიღმა რჩებოდა. 90-იანი წლების ბოლოს ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. პირველი სერიოზული ინტერესი საქართველოს მიმართ ინვესტორებს 1997 წელს გაუჩნდათ. სწორედ ამ პერიოდიდან შეინიშნება საინვესტიციო აქტივობის ზრდა საქართველოში. ამასთან, ამ დროს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს, მათ შორის, საქართველოს მთავრობის მხრიდან გადაჭარბებული რეგულაციების სისტემა, სისტემური კორუფცია, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაბალი დონე და სხვა. განსაკუთრებით გართულებული იყო მიწის პრივატიზაცია, რაც არა მარტო უცხოელ ინვესტორებს, არამედ საქართველოს მოქალაქეებსაც ბევრ პრობლემას უქმნიდა. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს, იმ დროს არსებული საკანონმდებლო რეგულაციით, არ გააჩნდათ საქართველოს ტერიტორიაზე მიწის ფლობის უფლება, მათ შეეძლოთ მხოლოდ მისი იჯარით აღება. იჯარის მაქსიმალური ხანგრძლივობა 49 წელი იყო. 1996 წელს მოხდა ორი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტის მიღება. ესენია: კანონი „საინვესტიციო საქმიანობის გარანტიებისა და ხელშეწყობის შესახებ“ და კანონი „მეწარმეობის შესახებ“, რამაც საფუძველი ჩაუყარა ინვესტიციის ლეგალურ მხარეს. მეწარმეობის შესახებ კანონი გერმანული მოდელის საფუძველზე აიგო.

იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო უკეთესობისკენ შეცვლილიყო, 2004 წლიდან მთავრობამ დაიწყო ლეგალიზაციისა და აგრესიული პრივატიზაციის პოლიტიკის გატარება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მრავალი ობიექტი აუქციონის წესით გაიყიდა ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებს, დაიწყო ინტენსიური ბრძოლა სისტემური კორუფციის წინააღმდეგ, გააქტიურდა ხელისუფლების საქმიანობა ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოდერნიზაციის კუთხით. ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ქვეყანაში შეიქმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები: თბილისში, ფოთსა და ქუთაისში. ის კომპანიები, რომლებიც მოცემულ ზონებში

ბიზნესს აწარმოებენ, თავისუფლდებიან კორპორაციული შემოსავლის, დღგ-ს, საბაჟო და ქონების გადასახადისგან, ძალაში რჩება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი. ამასთანავე, საქართველო სარგებლობს ევროკავშირის GSP+ რეჟიმით, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანას ევროკავშირის ქვეყნებში 7200-მდე დასახელების პროდუქტის ექსპორტის განხორციელება შეუძლია განსაკუთრებით ხელსაყრელ რეჟიმში, საბაჟო გადასახადის გარეშე. საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა საშუალებას იძლევა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონელი დაუბრკოლებლად მიეწოდოს, ერთი მხრივ, ევროპულ და, მეორე მხრივ, აზიურ ბაზრებს. საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და სავაჭრო და ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. ქვეყანაში საინვესტიციო აქტიურობის ზრდას ხელს უწყობს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, დინამიურად განვითარებადი საბანკო სექტორი. ამ უკანასკნელის პოტენციალის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში ყოველ წელს იხსნება ცნობილი უცხოური ბანკების ფილიალები. ლიბერალური სავაჭრო ურთიერთობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, უფრო აადვილებს ბიზნესის კეთებას საქართველოში. საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლიდან. ის სარგებლობს GSP რეჟიმით იაპონიასთან, აშშ, კანადასთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან, რაც მას უფლებას აძლევს, განსაკუთრებით დაბალი ტარიფებით მოახდინოს საქონლის ექსპორტი ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში. უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი რეჟიმით სარგებლობს ქართული პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებით, იგულისხმება, რომ ქართული წარმოების 7200 დასახელების პროდუქტი საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალია ევროკავშირის ქვეყნებში მათი იმპორტის დროს.

დსთ-ს ქვეყნებსა და თურქეთთან გაფორმებულია ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. საქართველოში გამარტივებულია ლიცენზიებისა და ნებართვის აღების პროცედურები. დაინტერესებული პირების ხელშეწყობის მიზნით ლიცენზიები 84%-ით შემცირდა. 30 დღეა საჭირო ლიცენზიის და 20 დღე – ნებართვის ასაღებად. ყველანაირად ეწყობა ხელი ინფრასტრუქტურის განვითარება. ქვეყანაში დღეისათვის ფუნქციონირებს 4 აეროპორტი, 3 პორტი, ფართოდ დაქსელილი სარკინოგზო ხაზი და განვითარებული სახმელეთო გზების სისტემა. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ მონაცემთა ბაზის 2011 წლის მაჩვენებლებით, საქართველო ბიზნესის კეთების სიადვილით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებზეა. ქვეყანა ინვესტირებს სთავაზობს კვალიფიციურ და განათლებულ კადრებს.

НТП существенно воздействует на использование и рост производительности предприятий. Использование и рост производственной мощности тесно взаимосвязан со снабжением производства основными фондами, электроэнергией, и особенно, с автоматизацией производства. Комплексная механизация и автоматизация всего производственного процесса повышает производительность машин и оборудования, а также, создает возможность для улучшения использования производительности на предприятии.

В настоящее время в Открытом Акционерном Обществе «Азнефтьхиммаш» проводятся определенные работы по применению достижений науки и техники. Это, в первую очередь, состоит из механизации и автоматизации производства, а также, из применения на предприятии новейших машин и оборудования, передовой технологии, из модернизации действующего оборудования.

На предприятиях Открытого Акционерного Общества «Азнефтьхиммаш» осуществляется реконструкция, расширение производства и совершенствование технического снабжения. Капитал, направленный на промышленное строительство, был израсходован в ниже следующем порядке: 60,3% - техническое снабжение, 31,9% - расширение и реконструкция, 7,8% - новое строительство, это означает, что большая часть всех капиталовложений была направлена на техническое снабжение предприятия. Это, в свою очередь, является положительным процессом. Решение этой проблемы указывает на то, что капиталовложения в основном должны быть направлены на техническое обновление действующих предприятий и повысить процент замены старых машин и оборудования на новые.

В условиях высокого темпа научно-технического прогресса, повышение продуктивности в области производства могут быть достигнуты в результате использования современного оборудования, размещения основных фондов, осуществления организационно-технических мероприятий, рационального использования новых машин и оборудования, в рамках двух-трехсменного режима работы, на протяжении всего дня, а также внутрисменного режима работы, повышения интенсивности производства, совершенствования организации труда, производства и управления и продуктивного использования как активной, так и пассивной части основных фондов производства.

Ускорение НТП в первую очередь требует экономического развития на современном уровне, углубление интенсивности и повышения производительности. Для решения этой проблемы необходимо еще более усовершенствовать хозяйственный механизм, создать единую систему управления и определить направления, создающие возможность для повышения производительности. Интенсивность производства отражает процесс повышения продуктивности на основании совершенствования качества всех факторов производства и это, в первую очередь, приобретает посредством достижений научно-технического процесса и рационального использования всех производственных ресурсов (технические материалы и труд).

Рыночная экономика характеризуется нехваткой финансовых средств. По этой причине, осуществление активизации производительности на машиностроительных предприятиях (модернизация оборудования, применение производственных технологий и т.д.), которое требует крупного инвестиционного вложения, должно считаться одним из стратегических направлений развития промышленности.

Также немало работ, осуществляемых за счет возможностей самого предприятия. Рациональное использование оборудования, ликвидация простоев, совершенствование организации труда, производства и управления могут послужить примером этому.

В данных условиях, особую роль играет анализ возможности использования производительности основных фондов производства.

Актуальность выполнения данных задач также обосновывается тем, что на настоящий момент масштаб имеющихся ресурсов, неиспользованных годами, очень велик и эти ресурсы часто остаются за рамками воздействия экономического механизма.

Одним из основных экономических показателей характеризующих эффективность использования основных фондов производства и производительности является фондоотдача, что требует особого подхода к различным модификациям этого показателя в современной экономической теории и практике. Существует такая мысль, что фондоотдача должна быть определена как непосредственное соотношение к национальным доходам (соотношение национального дохода к основным фондам производства). Эта мысль обосновывается тем, что именно этот показатель считается основным критерием для повышения финансового благосостояния народа или единственным его источником. В настоящее время немало сторонников определения фондоотдачи с помощью норматива объема фонда в размерах продукции. Также прогрессирует мысль о том, что фондоотдача как критерий определяется соотношением прибыли к основным фондам.

Полагается, что все или другие предложенные различные показатели фондоотдачи широко применяются на практике. Эти показатели характеризуют различные стороны экономических связей между использованием основных производственных фондов и результатом хозяйственной деятельности. Таким образом, эти показатели не могут выступать в качестве основных показателей, определяющих уровень фондоотдачи. Возможность ограниченности и противоречий этих показателей неоднократно доказывалась различными исследователями. Доказательствам является то, что национальный доход, чистая прибыль зависят от многих факторов, не связанных с функцией основных производственных фондов. В определении фондоотдачи исследователи, предложившие принятие общей продукции со сравнительной оценкой как основной показатель, может считаться более реалистичным с точки зрения факторов. Итак, специфические особенности показателей фондоотдачи состоят исключительно из измерения (сопоставления) объема материалов продукции из состава трудовых средств.

На основании результатов анализов проведенных 2000-2010 гг. в Открытом Акционерном Обществе «Азнефтьхиммаш» и его заводах по фондоотдаче, доходов и повышения рентабельности имеются неиспользованные ресурсы. Важным из них, как было указано выше, проведение изменений в планировании производственных мощностей, параллельно с их развитием и усовершенствованием. Рациональное решение такого вопроса связано с усовершенствованием управления нефтест-

роительных предприятий, подачей предпринимательского права на продукцию, произведенную коллективом, а также с приватизацией этой собственности или делает ее значимой. Только в условиях хозяйственных отношений, предпринимательства и предприимчивости можно повысить уровень использования неиспользованных ресурсов, хотя на практике достичь реализации на основании административных механизмов непосредственного управления таких средств очень трудно или практически невозможно.

Проведенные исследования доказывают, что на предприятиях нефтестроительной промышленности рациональное использование производственных мощностей дает возможность выявить рациональную деятельность новых рыночных структур и тем самым предусматривает интенсивное применение методик, представленных экономическим анализом в области неиспользованных ресурсов.

В условиях рыночной экономики на предприятиях нефтяного машиностроения важное значение, как с практической, так и с теоретической точки зрения, придается анализу факторов, которые отражают количество, качество уровня интенсивного использования производственных мощностей. Расширение производственного масштаба и повышения его экономической рациональности ставит перед собой цель обнаружения ресурсов, улучшения использования производственных мощностей, имеющихся на предприятии. Исходя из этого нужно определить группу факторов, воздействующих на условия использования производственных мощностей, имеющихся на предприятии и уровня их рационального использования. Известно, что факторы, действующие на производственные мощности, имеющиеся на предприятии и уровень их рационального пользования взаимосвязаны. И поэтому каждый действующий фактор как единый объект считается производственной мощностью предприятия. Итак, все это дает еще одно основание на необходимость системного изучения этих факторов.

#### **Заключение**

В общем, в машиностроительной промышленности, в особенности на предприятиях нефтяного машиностроения, возможно достижение перераспределения производственных мощностей, применение еще более новейших и прогрессивных технологий в производстве при устранение безотносительности возникшей в результате неравного развития производственных мощностей. На ликвидацию (или регулирование) возникшей безотносительности производственных мощностей выполнение таких мер не всегда действует одинаково. Итак, если в результате применения каждой меры уровень объема фонда падает, тогда в промышленности применения других мер объем машин и энергообъем увеличивается.

В условиях рыночной экономики рациональная организация производства без использования дополнительных капиталовложений на предприятиях и хозяйственных субъектах не сможет обеспечить развитие пропорциональное развитие производственных мощностей. Таким образом, последовательность пропорционального развития производственных мощностей считается одним из основных факторов их интенсивного пользования.

В общем, организация интенсивного пользования производственных мощностей на нефтяных машиностроительных предприятиях обуславливает решение двух важных проблем:

1. Определение путей экономического анализа ресурсов, имеющихся в направлении пропорционального развития производственных мощностей с техническим вооружением производства отдельных цехов заводов и хозяйственных субъектов;

2. Усовершенствование организации производства соответствующего требованиям рыночной экономики, что еще больше повышает эффективность использования производственных мощностей и машинной системы.

#### **ЛИТЕРАТУРА**

1. Статистические показатели Азербайджана – Б: Седа, 2008, 769 с.

2. Алиев Илхам. Каспийская нефть Азербайджана. М., «Известия», 2003, 710 с.
3. Мусаев А.Ф., Ахмедов А.Н. Тенденции развития экономики машиностроения в Азербайджане. Баку, 1999, 220 с.
4. Атакишиев М. Дж. Экономическая эффективность рационального использования производственных мощностей в бурении. М.: Нефть и Газ, 1997, 188с.
5. Самедзаде З.А. Этапы большого пути: экономика Азербайджана за полвека, ее реалии и перспективы. Баку, 2004, 936 с.
6. Сломан Дж. Основы экономики. М., «Издательство Проспект», 2006, 568 с.

*Hacıyev Fazil*

**PROBLEMS USING THE PRODUCTION CAPACITY IN A MARKET ECONOMY  
SUMMARY**

Formation of regional clusters in a market economy poses a very important urgent commitments such as the study evaluation of international economic agreements, and evaluation of socio-economic development. In such circumstances, in all sectors of national economy, especially in the petroleum engineering industry the important role played by the intensity of direct economic ties between enterprises, management of production facilities, identifying resources increase the potential return on assets (relative to the average annual income of fixed assets to production facilities), which is considered the most important parameter of rationality at this time. In the engineering industry production capacity characterize the works of oil engineering companies at the highest level, as well as the potential for creating conditions for their use in certain business entities in compliance with the terms and quality. Currently, the definition of potential engineering enterprises in creating new facilities provided by the calculation of production capacity. In the process of calculation and determination of available capacity and full capacity utilization of process equipment reveals the need for material, labor and financial resources necessary for the engineering industry.

*ირმა დიხამინჯია*

**სტრატეგიული მართვა, როგორც ორგანიზაციული განვითარების უაქტორი**

მაკროსამყარო მუდმივად დინამიური წონასწორობის მდგომარეობაშია. იცვლება სამყარო და მასთან ერთად ყველაფერი არსებული. მსოფლიო ბაზარზე არსებული დღევანდელი სიტუაცია მრავალ კომპანიას აიძულებს, შეიცვალოს, რათა შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა და შეიძინონ ახალი კონკურენტული უპირატესობა. საერთოდ, ორგანიზაციები ყალიბდება იმიტომ, რომ მაკროსამყაროში იქმნება ყველა საჭირო და საკმარისი პირობა მათი წარმოშობისთვის და იცვლება გარე სამყაროში ცვლილებებთან ერთად. ვინაიდან ორგანიზაცია ღია სისტემაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცვლილება დროში, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად იგი აუცილებლად უნდა ახორციელებდეს ორგანიზაციულ ცვლილებებს. იცვლება ბაზრის კანონები და ძველი კანონებით მოქმედი ყველა კომპანია განიდევნება ბაზრიდან. მეტიც, რადგან ოპერაციული გარემოს მამოძრავებელი ძალები იცვლება დროთა განმავლობაში, ორგანიზაციამ უარი უნდა თქვას იმ ტაქტიკური ხაზის ბრმად გამოყენებაზე, რომელიც ადრე წარმატების მომტანი იყო, თუმცა მომავალში არ იძლევა ასეთივე წარმატების გარანტიას. ამის მაგივრად უნდა განხორციელდეს გარემოს ტურბულენტობის დონის მონიტორინგი. იდეალურ შემთხვევაში, მენეჯერებს, რომლებიც ფლობენ უწყვეტ ინფორმაციას, განახლებადს და ამომწურავს, შეუძლიათ მოახდინონ შესაბამისი გეგმების და პროცედურების იდენტიფიცირება და გამოყენება, რომლებიც შემუშავებულია ტურბულენტობის

გარკვეული დონისათვის. თუკი ისინი კარგად ესადაგებიან გარეშე გარემოს რეალურ პირობებს, ორგანიზაცია მიაღწევს დიდ წარმატებებს. ესაა სწორედ, ი. ანსოფის მიხედვით “წარმატების სტრატეგიული ჰიპოტეზა” [2. გვ. 16].

მართვის თანამედროვე თეორიის კონცეფციების თანახმად, არსებობის შესანარჩუნებლად აუცილებელია სტრატეგიული მენეჯმენტის დოგმების დაცვა – მისიის ჩამოყალიბება; ძლიერი და სუსტი მხარეების, გარეშე შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა (SWOT), მიზნების დასახვა, რესურსების განაწილება და სტრატეგიის რეალიზაცია, აქვე მნიშვნელოვანია გარემოს ცვლილებებიდან გამომდინარე სტრატეგიის გადახედვა. ი. ანსოფი წერდა: ”როცა გარემომცველი სამყარო გადადის ცვლილების ახალ დონეზე, ფირმის სტრატეგიული აგრესიულობა უნდა აიწიოს ან დაიწიოს ადეკვატურ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუკი აგრესიულობა და პოტენციალი არ პასუხობს გარემოს მოთხოვნებს, ფირმა დაკარგავს პოზიციებს კონკურენციაში და არამომგებიანი გახდება” [2. გვ. 53]. ორგანიზაციების უმრავლესობა ასეც იქცევა, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სერიოზულად ცვლის სიტუაციას. იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც იშლებიან, ამბობენ: “ვერ მოერგნენ”. რატომ ვერ შეძლეს მათ მორგება? განა ამ კომპანიებს არ ჰქონდათ სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იყო იმაზე, რასაც სტრატეგიული მართვის თეორიაში ეძახიან “ხედვას”? მეცნიერები ემერი და ტრისტი მაგალითის სახით გვთავაზობენ ერთ-ერთი ინგლისური ფირმის წარუმატებლობას, რომელმაც ვერ შეძლო გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინება. ისინი აღნიშნავენ, რომ “ორგანიზაციის არსებობა დაკავშირებულია ორგანიზაციის ცოდნის დონესთან მისი გარემომცველი გარემოს შესახებ” [3. გვ. 117]. ამერიკის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ოცი წლის წინ არსებული კომპანიების 40% დღესდღეობით არ არსებობს. 1970 წელს გამოქვეყნებული “Fortune 500”-ის ჩამონათვალიდან დღეისთვის გაქრა კომპანიების 60% [1]. ამის მიზეზი იყო მათი შთანთქმა სხვა კომპანიების მიერ ან უბრალოდ გაკოტრება და ბიზნესის სფეროდან გამოსვლა. ბიზნესორგანიზაციების სფეროში, რა თქმა უნდა, შეიძლება შეგვხვდეს დიდი ხნის კომპანიებიც, რომელთა ასაკი ითვლის ასწლეულებს. მაგალითად, კომპანია, “ფრანგული ღვინისმწარმოებელი საწარმოები”, რომელიც 2000 წელზე მეტი ხანია არსებობს და დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს [3. გვ.132].

რამდენად შეუძლია სტრატეგიულ მართვას ორგანიზაციებისთვის კომერციული წარმატებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა? ეს საკითხი წარმოადგენს საკმაოდ თანამედროვე და აქტუალურ პრობლემას. ორგანიზაციული განვითარების უცხოური გამოცდილებიდან ჩანს, რომ: 1. დღესდღეობით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფუნქციონირებენ გარკვეული სტრატეგიის შესაბამისად და იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ აქვთ სტრატეგია, არსებობის პრაქტიკულად ერთნაირი შესაძლებლობა გააჩნიათ; 2. თანამედროვე ქაოსურად ცვალებად ორგანიზაციულ გარემოში სტრატეგიული მართვის დოგმები წარმატებული ორგანიზაციული განვითარების გარანტიას არ იძლევა, თუმცა ორგანიზაციის მართვაში შემოაქვს გარკვეული მიზანშეწონილობა; 3. ორგანიზაციებში, რომელთაც არა აქვთ ფუნქციონირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია, განვითარებას აქვს ევოლუციური ხასიათი მაშინ, როდესაც ორგანიზაციებში, რომლებიც იმართება სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ასეთი განვითარება მიმდინარეობს რევოლუციურად; 4. წარმატება თან სდევს ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა სტრატეგია მიმართულია თავიანთი შიდა პოტენციალის აქტიური გამოყენებისკენ გარე სამყაროს შესაცვლელად, და არა უბრალოდ მასთან ადაპტაციისაკენ [2,4,5,6].

მინცბერგმა გვიჩვენა, რომ სტრატეგიული მართვა არის იმ ორგანიზაციებში, სადაც მზად არიან რევოლუციური ცვლილებებისთვის. ასეთ ორგანიზაციებში მენეჯერები ცდილობენ, შეეწინააღმდეგონ იმ ცვლილებებს, რომლებსკენაც მათ უბიძგებს გარემოს ფაქტორების დინამიკა. მიუხედავად იმისა, რომ გარემო ორგანიზაციას მიუთითებს

განვითარების განსაკუთრებულ გზაზე, ეს უკანასკნელი აგრძელებს მოძრაობას წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიული კურსით, მაგრამ თანდათან გარეშე პირობების და ორგანიზაციის ფუნქციონირების მეთოდების შეუსაბამობა აღწევს თავის კრიტიკულ წერტილს. ეს დაპირისპირება ადრე თუ გვიან იწვევს ორგანიზაციულ კრიზისს. ორგანიზაციული კრიზისის პირობებში ასეთი ორგანიზაცია ახორციელებს შიდა უცვარ რევოლუციურ ცვლილებებს, რომლებსაც გამოჰყავს იგი განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე, ანუ იმსხვრევა ძველი ორგანიზაციული სტრუქტურების აზროვნების სტერეოტიპები და ინერგება ინოვაციური აზროვნება. კორპორაცია “Apple”-ის განვითარება ადასტურებს ამ დასკვნას. თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ეს კორპორაცია იყენებდა სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებსაც თავიდან მოჰქონდა დიდი ეკონომიკური და მორალური წარმატება. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ნათელი გახდა, რომ არჩეული სტრატეგია შორს იყო რეალობისგან. მაშინ დადგა ორგანიზაციული კრიზისი, რომლის გამოსწორება ყოველთვის მტკივნეულია და დაკავშირებულია ახალი სტრატეგიული მიმართულებების არჩევასთან. სწორედ ამ ახალმა მიმართულებებმა მოუტანა მას მსოფლიო აღიარება და წარმატება.

აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მართვა მიმართულებას აძლევს ორგანიზაციის განვითარებას, თუმცა პერიოდულად მას ორგანიზაციულ კრიზისამდე მიყვავართ. ლ. გრეინერმა შემოგვთავაზა ორიგინალური მოდელი, რომელიც აღწერს ასეთი ორგანიზაციების განვითარებას თანამიმდევრული კრიზისული პერიოდების გავლით. იგი გამოყოფს ორგანიზაციული განვითარების 5 სტადიას, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებული არიან ორგანიზაციული კრიზისების მომენტებით. ორგანიზაციის ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის გზა მდგომარეობს შესაბამისი კრიზისის გადალახვაში. ლ. გრეინერი ასახელებს ორგანიზაციული განვითარების შემდეგ სტადიებს და კრიზისებს [8]:

- *განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება შემოქმედებას.* ეს სტადია არის ორგანიზაციის დაარსებიდან მის პირველ ორგანიზაციულ კრიზისამდე – ლიდერობის კრიზისამდე. ორგანიზაცია იქმნება მენეჯერების ძალისხმევებით და ვითარდება მისი დამფუძნებლების შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციით. თუმცა, ორგანიზაციის ზრდასთან ერთად, დამფუძნებლებს სჭირდებათ ორგანიზაციის კონტროლი და მისი განვითარების გარდაქმნა, რაც მოითხოვს ახალ სპეციალიზებულ ცოდნას, რომელიც მათ ჯერ არ გააჩნიათ. ეს ხდება პირველი კრიზისის მიზეზი, რომლის მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ საით უნდა იმოძრაოს ორგანიზაციამ და ვის შეუძლია ამის გაკეთება.

- *განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობას.* როდესაც ლიდერობის კრიზისი წარმატებით არის გადალახული, დგება ორგანიზაციული ზრდის პერიოდი, რომლის საფუძველს წარმოადგენს ნათლად დაგეგმილი სამუშაო და პროფესიული მენეჯმენტი. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მართვის ბიუროკრატიული სტრუქტურა ზღუდავს მენეჯერთა შემოქმედებას. ორგანიზაციის მართვის სისტემა ხდება უთანხმოების წყარო, რომლის არსი ისაა, რომ სხვადასხვა ადამიანს ორგანიზაციაში სხვადასხვანაირად ესმის საჭირო და საკმარისი თავისუფლება მართვის სხვადასხვა დონეზე. ეს არის ავტონომიის კრიზისი.

- *განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება დელეგირებას.* ავტონომიის კრიზისის წარმატებული გადალახვა დაკავშირებულია სტრუქტურულ გარდაქმნასთან და გარკვეული გადაწყვეტილებების უფლებამოსილების დელეგირებასთან მაღალი დონეებიდან უფრო დაბალზე. ეს გარკვეულწილად ზრდის ორგანიზაციის განვითარების პოტენციალს, თუმცა ადგილი აქვს ახალ კრიზისს – კონტროლის კრიზისს, როდესაც ტოპმენეჯმენტი აცნობიერებს, რომ ორგანიზაციაზე კონტროლს კარგავს.

- *განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება კოორდინაციას.* კონტროლის კრიზისის გადასალახად ორგანიზაციის სტრუქტურაში გამოიყოფა სტრატეგიული განყოფილებები, რომლებსაც აქვთ ოპერატიული დამოუკიდებლობის საკმაოდ დიდი დონე, მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან სტრატეგიული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით: ფინანსური, შრომითი, ტექნოლოგიური და ა.შ. ეს განვითარების ახალი იმპულსია, მაგრამ თანდათან იწვევს ფუნქციონალურ განყოფილებებსა და შტაბბინებს შორის საზღვრების კრიზისს.

- *განვითარების სტადია, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას.* საზღვრების კრიზისის გადასალახად საჭიროა ფსიქოლოგების პროფესიონალიზმი, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ ადამიანებს შორის კონფლიქტი. ორგანიზაციაში თანამოაზრეების გუნდის შექმნა მას განვითარებისთვის ახალ იმპულსს აძლევს. მოცემული სტადია არ არის ბოლო, ის უბრლოდ მიუთითებს ორგანიზაციის განვითარების გარკვეული ციკლის ლოგიკურ დასრულებაზე. ლ. გრეინერი თვლის, რომ ეს სტადია შეიძლება დასრულდეს ფსიქოლოგიური დადლილობის ან ნდობის კრიზისით, როცა ყველა, როგორც ერთიანი გუნდი, იღლება სამუშაოსგან.

ორგანიზაციის განვითარების ლ. გრეინერის მიერ შემოთავაზებული თეორიიდან ჩანს, რომ ორგანიზაციის განვითარება რამდენიმე ეტაპს გადის, ამასთან, ეტაპებს შორის გადასვლა დაკავშირებულია ორგანიზაციის სიდიდესთან: რაც დიდია მასშტაბი, მით მეტია შესაძლებლობები, რთულია მართვის სისტემა და განვითარების ეტაპიც. ყოველი ეტაპი მთავრდება ზრდის კრიზისით, რომლის დროსაც ორგანიზაციას შეუძლია გადავიდეს ან დაცემის პერიოდში და დაასრულოს თავისი არსებობა, ან შემდეგ ეტაპზე ზრდის შესაძლებლობების მიღებით. ორგანიზაციებში ადრე თუ გვიან დგება ცვლილებების გატარების საჭიროება მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რომელ იდეოლოგიას ეყრდნობიან ისინი. თუმცა ამ ცვლილებების სწორად განხორციელებაზეა დამოკიდებული არა მარტო მათი არსებობის ხანგრძლივობა, არამედ მათი ფუნქციონირების ეფექტიანობაც.

ამერიკული, ევროპული და იაპონური კომპანიების საქმიანობის გაცნობით ვხედავთ, რომ ზოგი კომპანია უფრო წარმატებულად ფუნქციონირებს და ვითარდება, ვიდრე სხვა კომპანიები, რადგან მათ სხვაგვარად წარმოუდგენიათ თავიანთი ორგანიზაციული განვითარების საფუძვლები და მამოძრავებელი ძალები. მეცნიერ-მკვლევართა ანალიზიდან გამომდინარე, ნაკლებად წარმატებული კომპანიები დღეს აგრძელებენ სტრატეგიული მართვის კლასიკური თეორიის დებულებების გამოყენებას, ისწრაფვიან რა იმ თვისებების განვითარებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფს კარგ მდგომარეობას კონკურენტულ გარემოში. ასეთი კომპანიები, როგორც წესი, გამოიყენებენ ტიპურ სტრატეგიებს. უფრო წარმატებული კომპანიები, პირიქით, ყოველთვის არიან მიმართული თავიანთი რესურსებით მანიპულირებაზე, ინოვაციების დანერგვასა და, ერთი შეხედვით, მიუღწეველი მიზნების მიღწევაზე. ამ კომპანიებში მთავარი ყურადღება ეთმობა არსებული რესურსების უფრო ინტენსიურ და არატრადიციულ გამოყენებას ორგანიზაციის ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად. უფრო წარმატებული ორგანიზაციები უბრალოდ კი არ მიისწრაფვიან, მიესადაგონ გარემოს ცვლილებებს, არამედ ისინი აქტიურად მოქმედებენ ასეთი გარემოს შექმნის მიმართულებით.

როგორც ვხედავთ, გარემოს განვითარების ტენდენციების ცოდნის გარეშე შეუძლებელია შესაძლებლობებისა და საფრთხეების წარმოდგენა, რომლებიც ამ გარემოში არის. თანამედროვე პირობებში სტრატეგიული მართვა აუცილებელია იმისათვის, რომ ორგანიზაციას მეტი ძალა გააჩნდეს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის. ორგანიზაციის თანამედროვე სტრატეგიები უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ გარემოს

შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს, ძლიერი მხარეების განვითარებას, არამედ ორგანიზაციის შიდა პოტენციალის შეცნობასა და განვითარებას.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. [http://money.cnn.com/magazines/fortune/fortune500/2011/full\\_list/](http://money.cnn.com/magazines/fortune/fortune500/2011/full_list/)
2. Ансофф И. Н. Стратегическое управление, изд. дом «Управление», Изд. С-Петербург. 1989 .
3. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента: пер.с англ.- М.: Дело, 2002.
4. Минцберг Г., Альстрэнд Б., Лэмпел Дж. Школы стратегий. Стратегическое сафари: экскурсия по дебрям стратегий менеджмента.Издательство:Питер.2001.
5. Ральф Кристенсен. Стратегическое управление человеческими ресурсами. Дорожная карта. От великой идеи к деловой практике, Издательство: Олимп-Бизнес, 2011.
6. Michael A. Hitt, R. Duane Ireland, Robert E. Hoskisson, Strategic Management: Competitiveness and Globalization: Concepts and Cases., South-Western College Pub., 2008.
7. Evolution and Revolution As Organizations Grow", Larry E. Greiner, May – Harvard Business Review, June 1998.

*Dikhaminjia Irma*

### STRATEGIC MANAGEMENT AS A FACTOR OF ORGANIZATIONAL DEVELOPMENT SUMMARY

Organization is an alive organism, which is characterized by changes in time. In order to maintain its competitive position it should necessary undergone organizational changes according to market rules. But it is impossible to imagine those capabilities and dangers without having knowledge of tendencies of the environment development. Successful companies implement innovations and make attempts to achieve inaccessible goals. They devote principal attention to more intensive and non-traditional usage of existed resources for the purpose of creating new capabilities. In order to create long termed success it is important not only to get used to already existed resources for the demands of the environment, but their creatively usage, organizational update, its renewal as from the point of view of inner position, from outside factors as well. Exactly this is the guarantor of success in modern world.

*თამარ დუდაური*

### ბიზნესის გლობალიზაციის აქტუალური საკითხები

გლობალიზაციის აქტუალური საკითხები დღესდღეობით ყველაზე მეტად განიხილება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის. ამ ტერმინის ფართო გაგრძელება მიგვანიშნებს ამ მოვლენის მასშტაბურობაზე. არსებობს სხვადასხვა თვალთახედვა თვით გლობალიზაციის ფენომენზე, პირობითად შეგვიძლია გამოვყოთ სექტორული და რადიკალური თვალთახედვა. სექტოროსები თვლიან, რომ გლობალურ ეკონომიკას არ გააჩნია განსაკუთრებული სიახლე წინა პერიოდებთან შედარებით, ხოლო რადიკალური თვალთახედვით, გლობალიზაცია წარმოადგენს რეალურ მოვლენას, რომლის გავლენა იგრძნობა ყველა სფეროში.

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში აქტიურად ვითარდება მსოფლიო ბაზარი, იშლება ნაციონალური საზღვრები, სახელმწიფოები კარგავენ თავისი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილს. იზრდება ფინანსური ნაკადების ინტენსივობა და კაპიტალის მოძრაობა. გლობალიზაცია ხელს უწყობს ახალი ცოდნის, იდეების, საქონლის გაგრძელებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას განსაკუთრებით განვითარებად



ქვეყნებში. გლობალიზაცია მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, სულიერ, ტექნოლოგიურ და ბუნებრივ სფეროებს.

გლობალიზაცია ვითარდება არათანაბრად და მისი შედეგები არ არის ყოველთვის სასიკეთო. გლობალიზაცია ქმნის გამარჯვებულთა სამყაროს, რომელიც მცირეა, და დამარცხებულთა სამყაროს, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ასე მაგალითად, ამერიკელი პროფესორი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან ემანუელ ვალერსტაინი თავის წიგნში “ნაცნობი სამყაროს დასასრული”, წერდა, რომ მსოფლიოს უღარიბესი მოსახლეობის 20%-ის წილი მთლიან მსოფლიო შემოსავალში 10 წლის განმავლობაში 2,3%-დან დაეცა 1,4%-მდე, იმ დროს, როდესაც ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 20%-ის წილი გაიზარდა. 20 აფრიკულ ქვეყანაში საპარის უდაბნოს სამხრეთით ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი დაეცა მეოცე საუკუნის 70-იანი წლების დონეზე.

სუფთა ეკონომიკური თვალთახედვით, გლობალიზაცია ამძაფრებს განსხვავებას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი თეზისი ასე უღერს, რომ ქვეყნებს შორის უნდა მოხდეს სპეციალიზაცია ე.ი. მათ უნდა გამოუშვან ის პროდუქცია, სადაც მათი დანახარჯები მინიმალურია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აშშ-ში, იაპონიასა და ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ვითარდება ბიზნესის ყველაზე ტექნოლოგიური სახეები, ხოლო განვითარებადი ქვეყნები ხდებიან იაფი სამუშაო ძალის მიმწოდებლები.

მრავალნაციონალური ანუ გლობალური კომპანიის ფენომენი განსაზღვრავს პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას მთლიანობაში. ასეთი კომპანიები ბიზნესის წარმართვისადმი საერთაშორისო მიდგომას იყენებენ საწარმოს განთავსებაზე, ბაზრის არჩევაზე, პერსონალის შერჩევაზე. გლობალურ კომპანიას გააჩნია გლობალური ხედვა ბაზრებსა და კონკურენციაზე, ის კარგად იცნობს თავის კონკურენტებს, აკონტროლებს თავის ოპერაციებს მსოფლიო მასშტაბით. მრავალი ქვეყნის ფინანსური სახსრები ბევრად ნაკლებია, ვიდრე მსხვილი გლობალური კომპანიისა. შესაბამისად წარმოიშო მსხვილი კომპანიების ინტერესების ლობირების შესაძლებლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთქმედებით. იმის მიუხედავად, რომ, ტრადიციულად, გლობალურ კომპანიებს განიხილავენ, როგორც განვითარებულ ქვეყნებზე ზემოქმედების ინსტრუმენტს, ხანდახან გლობალური კომპანიები თავისი ქვეყნის მთავრობაზე ზემოქმედებას ახდენენ, რათა მან გაუწიოს შეღავათები და მოუხსნას სანქციები იმ ქვეყანას, სადაც არის განთავსებული მისი საწარმოები. მაგრამ, ძირითადად, მათ ზემოქმედების დიდი შესაძლებლობები აქვთ მიმღები ქვეყნების მთავრობებზე, მაგალითად, თუ ქვეყანაში არის სიღარიბე და უმუშევრობა, მაშინ ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, იღებს თავისი პირობების კარნახის საშუალებას მოცემულ ბაზარზე. ამრიგად, კომპანიების გლობალურ ბაზარზე გასვლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების შემცირება იაფი სამუშაო ძალის მოზიდვის ხარჯზე და ამიტომაც კომპანიებს წარმოებები გადააქვთ განვითარებად ქვეყნებში სადაც მეტია იაფი სამუშაო ძალა, რაც წარმოქმნის უმუშევრობას თვით განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული მასიური მოხმარების საგნები უკვე საკმაოდ ძვირია და, შესაბამისად, არაკონკურენტუნარიანი განვითარებადი ქვეყნებიდან მოწოდებულ საქონელთან შედარებით.

დღესდღეობით, ალბათ, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ყველაზე პოპულარული სტრატეგია არის წარმოება კონტრაქტით, როდესაც საწარმო თავისი პროდუქციის წარმოებას ავალებს ორგანიზაციებს, რომლებიც იმყოფებიან უცხოეთის ბაზარზე. კონტრაქტის მიხედვით წარმოება, უცხოურ ბაზარზე გამოიყენება საწარმოს საწარმოო სიმძლავრეების დეფიციტის შემთხვევაში, სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისათვის, რიგი შეღავათების მისაღებად და, პირველ რიგში, საწარმოო დანახარჯების

შესამცირებლად. ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Nike, Adidas, IKEA, Benetton და სხვ. აქტიურად იყენებენ მცირე სამკერვალო მწარმოებლებს საზღვარგარეთ, რომლებთანაც მუშაობენ კონტრაქტის საფუძველზე. საკონტრაქტო წარმოება შიდა ბაზარზე შემომავალ კომპანიას დიდ თავისუფლებას ანიჭებს: მას შეუძლია დაუდოს ხელშეკრულება ნებისმიერ სხვა ფირმას, თუ მას არ აკმაყოფილებს შესრულებული სამუშაოს ხარისხი ან ვადები. ხშირად კონტრაქტორები, რომლებთანაც იღება ხელშეკრულება, შეკვეთას გადასცენ ქვეკონტრაქტორს, რომელიც მიზერული ანაზღაურებით ასრულებს სამუშაოს.

საერთაშორისო კომპანიები აქტიურად ცდილობენ შეამცირონ საგადასახადო ტვირთი, ამიტომ მათ თავისი ოპერაციების ნაწილი გადააქვთ იმ რეგიონებში, სადაც გადასახადები დაბალია, მაგალითად თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში. ხშირად თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში განთავსებულია ჰოლდინგური, ფინანსური, სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, გატარდეს უფრო მოქნილი საბაზრო და საინვესტიციო პოლიტიკა. ასეთი ზონები საერთაშორისო კომპანიებს მიმზიდველ პირობებს სთავაზობენ ბიზნესის საწარმოებლად: აქ მოგების გადასახადი არ არის ან შეადგენს 1-2%-ს, მაქსიმალურად გამარტივებულია რეგისტრაციის პროცედურა, არ არსებობს შეზღუდვა ვალუტის გატანაზე, ლიბერალურია ფირმის მართვის პროცედურების რეგლამენტაცია, მრავალ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური ზონებია, საგადასახადო და საბაჟო დარღვევები სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება.

თანამედროვე ეტაპზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ თავისუფალი ეკონომიკური ზონების თავბრუდამხვევ განვითარებაზე, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგზე. მაგალითად, დღესდღეობით ფილიპინებში არსებობს 50-ზე მეტი ეკონომიკური ზონა, სადაც დასაქმებულია ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი. ჩინეთში, რომელმაც თავისი პროდუქციით გააგსო მსოფლიო ბაზარი, 124 თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დასაქმებულია 18 მილიონი ადამიანი, მაგრამ ამ ზონებში საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა ჩინელ მუშებს, რადგან მათი სამუშაო დღე შეადგენს 12-დან 16 საათამდე, მომუშავეთა უმეტესობა ქალებია, ხელმძღვანელობის სტილი ნახევრად სამხედრო, სამუშაო არაკვალიფიციური, შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე დაბალი, არ არსებობს დასაქმების გარანტია. ამასთან თავისუფალი ეკონომიკური ზონების ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ მოქმედებს პროფკავშირები, ამ ზონის შიგნით აკრძალულია დემონსტრაციები და პიკეტები. ამიტომაც ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა ამ საკითხებს უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

მრავალი გლობალური კომპანია გამოდის იდეოლოგიიდან, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებაა, დაიმორჩილოს ბუნება, აქედან გამომდინარეობს ალბათ რიგი ქვეყნების სურვილის არქონა, მოაწერონ ხელი “კიოტოს ოქმს”. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა სავალდებულოა მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისათვის, რაც უბიძგებს კომპანიებს, ენერგოტევადი და მავნე საწარმოები გადაიტანონ განვითარებად ქვეყნებში, რაც წარმოშობს ამ ქვეყნებში ეკოლოგიურ პრობლემებს.

გარემოს შენარჩუნების მიღწევა მდგრადი განვითარების მდგომარეობაში შესაძლებელია ორი ხერხით: საწარმოო საქმიანობის ნეგატიური შედეგების დაძლევის გზით ან ადრე გამოყენებული ბუნებრივი რესურსების აღდგენაში კაპიტალის ჩადებით. მაგრამ ასეთი ღონისძიებები საკმაოდ ძვირია საწარმოებისათვის, მათ შესაძლოა გამოიწვიონ წარმოების შემცირება და, შესაბამისად, ისინი ხელსაყრელი არ არიან მწარმოებლებისათვის. მრავალ ქვეყანაში, პირველ რიგში ევროკავშირის ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია და სხვა), საკმაოდ მკაცრი ბუნებისდაცვითი კანონმდებლობაა, ამიტომ ჯამური ხარჯების შემცირების აუცილებლობა აიძულებს კომპანიებს, გადაიტანონ წარმოება იქ, სადაც არ არის ასეთი მკაცრი შეზღუდვები.

ემანუელ ვალერსტაინი განვითარებადი ქვეყნებისათვის გამოყოფს გარემოსდაცვითი საკითხის სამ ალტერნატიულ გადაწყვეტას. პირველი – ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს და მოახდინოს ამ სახის დანახარჯების კომპენსაცია, რაც აუცილებლად აისახება კომპანიების საერთო მოგებაზე. მეორე – სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს საგადასახადო შემოსულობები და დაიწყოს ეკოლოგიური პროგრამების რეალიზაცია, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი ალტერნატივის რეალიზაცია გამოიწვევს საგადასახადო ტვირთის გაზრდას კომპანიებისა და მოსახლეობისათვის, ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს სოციალური ფონის გაუარესება, რაც არასასურველია. მესამე ალტერნატივა მდგომარეობს იმაში, რომ არავითარი ღონისძიება არ გატარდეს, სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში ამ პრობლემის გადაწყვეტის სწორედ ასეთი მიდგომა დომინირებს.

ამრიგად, საერთაშორისო ბიზნესი ქმნის დიდი რაოდენობის ეკოლოგიურ პრობლემას. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში უსაფრთხოება და ნორმები ეკოლოგიის სფეროში გაუმართლებლად შემცირებულია ან საერთოდ არ არსებობს. ამ მდგომარეობიდან ერთ-ერთ გამოსავლად შესაძლოა ჩაითვალოს კიოტოს ოქმის ხელმოწერის აუცილებლობა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, რისი პრაქტიკული განხორციელებაც საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს.

XX საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ეკონომისტმა ვ. პატერმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფინანსური ხელშეკრულებების მოცულობები ბევრად უსწრებდა რეალურ სასაქონლო გარიგებებს. დღეს ეს გარღვევა კიდევ უფრო გაძლიერებულია, იკარგება კავშირი სასაქონლო და საფინანსო ბაზრებს შორის. მსოფლიო ფინანსური სისტემა წარმოადგენს გადაბრუნებულ პირამიდას, სადაც მცირე ნაწილი ფინანსებია, რომლებიც ემსახურება რეალურ სექტორს, ხოლო დიდ ნაწილს კი არ გააჩნია მატერიალური საფუძველი. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებით შესაძლებელი გახდა ლოკალური ფინანსური ბაზრების ერთიან გლობალურ ქსელში ჩართვა.

ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია ხასიათდება მატერიალური და არამატერიალური აქტივების თანაფარდობის ცვლილებით. ბრიტანეთის სასაქონლო ნიშნების დაცვის ინსტიტუტის მონაცემებით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში კომპანიის საბალანსო ღირებულების ფარდობა მათ საბაზრო ღირებულებასთან შემცირდა 5-ჯერ. მრავალ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში კომპანიის საბაზრო ღირებულების მხოლოდ 30-40% აისახება ბალანსში, ყველაფერი დანარჩენი მოდის არამატერიალურ აქტივებზე, როგორებიცაა: ნოუ-ჰაუ, ლიცენზიები, კორპორაციული კულტურა, რეპუტაცია და ბრენდი. ე.ი. დღეს თანაფარდობა მატერიალურ და არამატერიალური აქტივების შორის შეადგენს 30:70, ხოლო კომპანია კოკა-კოლაში გადახრა არამატერიალურ აქტივებს მხარეს უფრო მაღალია და შეადგენს 4:94. აქედან გამომდინარე, როდესაც ვყიდულობთ საქონელს, პირველ რიგში ჩვენ ვიხდით ბრენდში, სახელში, კომპანიის პრესტიჟში და ა.შ. განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. “ელიტურ” საქონელს. საქონლის ყიდვისას ადამიანი პირველ რიგში აკმაყოფილებს ფსიქოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნილებებს, მაგალითად, ახდენს ირგვლივ მყოფთათვის კეთილდღეობის მაღალი დონის დემონსტრირებას.

სწორედ გლობალიზაციამ მოახდინა გავლენა წინა საუკუნის 80-იან წლებში ბრენდინგის, როგორც სასაქონლო მარკის წინსვლის ინსტრუმენტის, განვითარებაზე. არახელსაყრელი გახდა გაჯერებულ სასაქონლო ბაზარზე მარკეტინგული კამპანიის ჩატარება ყოველი ბრენდისათვის ცალ-ცალკე. კომპანიები მიისწრაფოდნენ, შეექმნათ გლობალური ბრენდები, რომლის ქვეშაც შეეძლებოდათ მრავალი სხვადასხვა სახის პროდუქციის წარდგენა. ასე მაგალითად, ისეთი გლობალური კომპანიები, როგორებიცაა: Nike, Benetton, Coca-Cola და სხვა, პირველ რიგში დაკავებულნი არიან თავისი იმიჯის

რეკლამით. ე.ი. საქონელი, ეს არის საშუალება, რისი მეშვეობითაც იყიდება მათი მთავარი პროდუქტი – ბრენდი, იდეოლოგია. ყველაფერი ამ კომპანიების კულტურაში ემსახურება მათი მარკის რეკლამას, მაგალითად, კორპორაციული სლოგანები, ფორმის სტილის დაცვისადმი დიდი ყურადღება, კომპანიის მისიის ფორმულირებებში პრეტენზია მაღალ სულიერებაზე.

მარკეტინგული თეორიის თანახმად, სამარკო საქონელი ბაზარზე იყიდება დაახლოებით 40%-ით უფრო ძვირად, ვიდრე არასამარკო. თუ ვისაუბრებთ “ლუქსის” კლასის საქონელზე, მაშინ ფასი შესაძლოა გაიზარდოს ერთი თანრიგით. შესაბამისად მომხმარებელი ასეთ პროდუქციაში საკმაოდ დიდ თანხას იხდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლობალური კომპანიები ცდილობენ, მაქსიმალურად შეამცირონ დანახარჯები წარმოების განვითარებად ქვეყნებში გადატანით, სადაც უფრო იაფია სამუშაო ძალა.

ამრიგად, ასეთი კომპანიების მოგება მკვეთრად იზრდება აწარმოებენ რა გლობალურ მარკეტინგს და ბაზარს სთავაზობენ უნიფიცირებულ სასაქონლო, საკომუნიკაციო, სარეალიზაციო და საფასო პოლიტიკას, ამცირებენ საწარმოო დანახარჯებს. გლობალური მარკეტინგი გეოგრაფიას ვინსვლის სტანდარტიზებული კომპლექსის გამოყენებას. სტანდარტული რეკლამა ხელს უწყობს პროდუქციის საერთაშორისო იმიჯის შექმნას, დანახარჯების შემცირებას რეკლამის შემუშავებასა და წარმოებაზე.

გლობალიზაციის ყველაზე მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს ნაციონალური სუვერენიტეტის შემცირება კულტურის სფეროში, რაც მეტწილად არის ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის შედეგი. პირველ რიგში – საგადასახადო შემოსავლების შემცირების შედეგად მცირდება კულტურის პროგრამების დაფინანსება ბიუჯეტიდან. მეორე ფაქტორი მდგომარეობს შემდეგში – მსხვილი ბიზნესის შეღწევა, მაგალითად კორპორაციული სპონსორობის ფორმით, მისთვის არაპროფიტულ კულტურული წარმოების სფეროში, აქედან გამომდინარე განსაზღვრული ეკონომიკური ხასიათის შედეგებით, ახალი ვალდებულებებითა და თამაშის წესებით. ეგრეთ წოდებული მასიური კულტურის მწარმოებლები ცდილობენ გემოვნების კარნახს, შესაბამისი მოთხოვნების ჩამოყალიბებას, ფლობენ რა ინფორმაციის გავრველების ქსელს. მოხმარების მრავალი იდეოლოგიის აზრით, დადებითი, დასვენების მსურველი მომხმარებელი მისწრაფის სწორედ მარტივი, უბრალო და გართობითი დასვენებისაკენ. ამიტომაც მათთვის მისაღებია მასიური კულტურა, რომელიც მოაქვს ბიზნესის გლობალიზაციას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბიზნესის გლობალიზაცია აახლოებს ერებს და სახელმწიფოებს და ეხმარება მათ ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო ის პრობლემები, რომელიც თან სდევს გლობალიზაციას, სახელმწიფოთა დონეზე უნდა დაიძლიოს. ქვეყნებში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე უნდა შემუშავდეს ამ პრობლემების დაძლევის გზები და საშუალებები, დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები, ხოლო ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად შეიქმნას სპეციალური ფონდები, სადაც მოზიდული იქნება სახსრები სხვადასხვა წყაროებიდან, მაგალითად, საზღვარგარეთ მცხოვრები შეძლებულ თანამემამულეთა შემოწირულობები, ტურიზმიდან შემოსული თანხების ნაწილი და სხვა.

*Dudauri Tamar*

## TOPICAL ISSUES OF BUSINESS GLOBALIZATION SUMMARY

The phenomenon of globalization can be considered at different levels: since macro level which is expressed in macroeconomic indicators, various demographic curves, indicators of the structural shifts

occurring in ecosystems, economy sectors, governments, cultural production etc., and finishing level directly observable social the practicing and interactions, including, in the field of the organization and ways of business.

Globalization develops non-uniformly; its consequences aren't always salutary. From purely economic positions globalization strengthens a gap between developed and developing countries.

The phenomenon multinational, or global, the companies defines specifics of post-industrial economy as a whole. If in the country very sharply there is a problem of employment, poverty, etc., any investor creating workplaces and paying a salary (it is frequent, scanty), has an opportunity to dictate the conditions in this market. Today, probably, the most popular strategy of an exit to the international markets is production under the contract when the enterprise charges manufacturing of the goods to the organizations being in the foreign markets. Now it is possible to speak about rapid development economically independently zones, as independent sector of economy. Now it is possible to speak about rapid development economically independently zones, as independent sector of economy.

Many global companies start with an ideological parcel according to which nature conquest is a natural human right, from here, probably, there is also an unwillingness of a number of the states, to sign the agreements connected with ecological safety.

Globalization affected in the 80th years branding development as instrument of advance of a trademark. It became unprofitable to carry out marketing campaigns separately for each brand in the oversaturated commodity market. The companies began to aspire to create global, often brands under which it was possible to present a set of the different goods. Global marketing assumes use of the standardized complex of advance. Standard advertising promotes creation of the international image of the goods, reduction of expenses on development and production of advertising.

### *გულნაზ ერქომაიშვილი*

#### **მცირე მეწარმეობა და მისი განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში**

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება და ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, რასაც განაპირობებს ინოვაციური პროცესი, პროდუქტის ახალი სახეების შექმნა, რომელიც ხშირად მცირე საწარმოებში ხორციელდება. მცირე მეწარმეობა ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს საშუალო კლასის ფორმირებას.

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში 67%-ზე მეტი მცირე საწარმოა, თუმცა მათზე მოდის წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 4,1%. მცირე საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით – 27,5% გამოირჩევა ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა – 12,6%; შემდეგ მოდის მშენებლობა – 6,2%. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 13,8%-ს არ აღემატება.

სამეწარმეო გარემოსა და პირობების შექმნას, მცირე მეწარმეთა ინტერესების დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც, ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, გულისხმობს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას. მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფოებრივ მხარდაჭერაში იგულისხმება: საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, ასევე კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა.

მიუხედავად იმ უდიდესი მნიშვნელობისა, რომელიც მცირე მეწარმეობას ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის ენიჭება, საქართველოში სახელმწიფომ მეწარმეებს ჯერჯერობით ვერ შეუქმნა ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. თუმცა, უნდა აღინიშნოს მეწარმეობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა მცირე მეწარმეობის სფეროში არსებული ურთიერთობები. კერძოდ, 1999 წლის 23 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა“ მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“. ამ ცენტრის არსებობა რეალურად ხელს ვერ შეუწყობდა მცირე მეწარმეობის განვითარებას იმდენად, რომ თვით ამ ცენტრის დაფინანსებისათვის ბიუჯეტში მიხერხული თანხა იყო გამოყოფილი. 2000 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით, სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად წარედგინა „მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია“, სადაც ხაზგასმული იყო, რომ უნდა შექმნილიყო ხელსაყრელი გარემო მცირე სტრუქტურებისათვის. სამწუხაროდ, სამეწარმეო გარემოში ძირითადი უპირატესობა და განსხვავება მხოლოდ საგადასახადო რეჟიმში გამოიხატებოდა. ამ კონცეფციის მიხედვით, მცირე საწარმოს ექმნება ხელსაყრელი და საგრძნობლად განსხვავებული საგადასახადო პირობები. მცირე ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან უნდა იღებდეს ფინანსურ დახმარებებს, შეღავათიან კრედიტებს, სუბსიდიებს, გარდა ამისა, მცირე მეწარმეს საშუალება უნდა ჰქონდეს ადვილად მიუწვდეს ხელი სხვადასხვა რესურსებზე. 2002 წელს იქნა მიღებული კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, თუმცა ვერც ამ კანონმა შეასრულა არსებითი როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში. 2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლითაც დადგინდა განმარტება მცირე ზომის საწარმოთათვის. კერძოდ, მცირე საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოა, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს, ხოლო წლიური ბრუნვა – 500 ათას ლარს. თუმცა აღნიშნულ განმარტებას არ მოჰყოლია რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე საწარმოების ხელშეწყობის მიზნით.

დღესდღეობით, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი მედიაჰოლდინგის, „ბლუმბერგის“ რეიტინგით საქართველო, ბიზნესის კეთების სიმარტივით, მსოფლიოს 160 ქვეყნიდან 50 ქვეყანას შორის ვერ მოხვდა, თუმცა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია **Doing Business**-ის კვლევის მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით მე-16 პოზიციაზეა. 2011 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევით საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის მე-12 ადგილზე დასახელდა, თუმცა ეს რეიტინგი არა ბიზნესის კეთების, არამედ ბიზნესის დაწყების სიმარტივეს გულისხმობს. ბიზნესის კეთების თვალსაზრისით საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ყოველთვის იყო აღიარებული პრობლემურ ქვეყნად. ხშირია დაჯარიმებები, მეწარმეთა დაჭერები, კომპანიების დალუქვები, საკუთრების ჩამორთმევის ფაქტები, რაც ცუდად აისახება ბიზნესგარემოზე. მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორების ყურადღებას სწორედ ხელსაყრელი ბიზნესგარემო და მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იპყრობს.

2012 წლიდან საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის საინვესტიციო ფონდი (SEAF) „კავკასია“ დაფუძნდა. იგი საერთაშორისო ინსტიტუტებმა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ნიდერლანდების განვითარების ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების

ბანკი) დააარსეს. აღნიშნული ფონდი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში კერძო ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით 42 მილიონ დოლარს მოიზიდავს. შემდგომში ფონდის გაზრდა 70 მილიონ დოლარამდე იგეგმება. ეს არის კავკასიაში პირველი საინვესტიციო ფონდი, რომელიც სესხებს მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გასცემს. ფონდი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორში, კერძოდ, აგრობიზნესში, სადისტრიბუციო ქსელში, ენერგოსექტორსა და საცალო სექტორში. აღნიშნული ფონდის საქმიანობა ბანკის საქმიანობისაგან განსხვავებულია, რადგან ბანკი მხოლოდ სესხებს გასცემს, ხოლო ფონდი ორიენტირებულია კაპიტალდაბანდების გაზრდაზე. კაპიტალის ნაკლებობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ყველაზე რთული პრობლემაა. ფონდი მათ ამ მნიშვნელოვანი დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარება, ეს კი საწარმოების ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარ ძალას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ფონდი მცირე და საშუალო ბიზნესში რადიკალურ ძვრებს ვერ განახორციელებს, მაგრამ უდავოდ მისასაღებელი ინიციატივაა. ფონდი ინვესტირებას არ განახორციელებს ისეთ საწარმოებში, რომელთა ბრუნვაც 15 მილიონ ლარზე ნაკლები იქნება ან 250-ზე ნაკლები პირი ეყოლება დასაქმებული. აქ მნიშვნელოვანია ასევე, რომ ფონდს შეუძლია კომპანიის კაპიტალში შევიდეს. თუ ფონდს რისკების შეფასების დაბალი კრიტერიუმები ექნება, მაშინ შეუძლია დააფინანსოს ისეთი საწარმოები, რომელთაც ბანკი ვერ აფინანსებს.

მცირე მეწარმეობის განვითარების პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მიზანს: რისკების შემცირება; საგადასახადო შეღავათები; ახალი ფირმების ფინანსური დახმარება; სამეწარმეო პოტენციალის ზრდა; კონკურენცია; ექსპორტის მხარდაჭერა და სხვ.

ბოლო წლებში საგადასახადო სისტემაში უამრავი ცვლილება განხორციელდა. მნიშვნელოვნად არის შემცირებული გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე (2004-2010), ასევე, საგადასახადო განაკვეთები.

ახალი საგადასახადო კოდექსით (ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან) სიახლეა – მიკრობიზნესის სტატუსის შემოღება. ასეთად შეიძლება დარეგისტრირდეს 2011 წლის 15 თებერვლამდე 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას. თუმცა 30 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე ყველა ფიზიკური პირი ვერ მიიღებს მიკრობიზნესის სტატუსს, რადგან, კოდექსის თანახმად, გამონაკლისი საქმიანობის სახეებს მთავრობა პარლამენტთან ერთად განსაზღვრავს. მას ასევე ექნება უფლება, აკრძალოს ამ სტატუსის ქვეშ ცალკეული საქმიანობების განხორციელება. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ასევე არა აქვთ საკონტროლო სალარო-აპარატის გამოყენების ვალდებულება.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოექცნენ ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ითვლება ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესის შემოსავალი 3%-დან 5%-მდე დაიბეგრება. შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრით სარგებლობს ის მცირე ბიზნესი, რომელიც შეძლებს, წარმოადგინოს მთლიანი შემოსავლის 60%-ის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯებისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. 30%-იანი დაბეგვრით ასევე სარგებლობენ მცირე ბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობენ. მაგალითად, ბაზრობა.

აღნიშნული კოდექსის პროექტს ბიზნესმენებმა პირველი მოსმენით „რევოლუციური“ უწოდეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიკრო და მცირე მეწარმეებისათვის გაწეული შეღავათებით ბიუჯეტს რაც დააკლდება, მსხვილმა ბიზნესმა გაზრდილი გადასახადებით

უნდა აანაზღაუროს. ასეთებად ის ბიზნესები ითვლება, რომლებიც „ზემოგებაზე“ მუშაობენ. კერძოდ, მობილური კომპანიები, სპირტიანი სასმელების ბიზნესი, სამედიცინო აპარატურის იმპორტიორები და ასევე უმაღლესი სასწავლებლები. თუმცა ბოლო ორი ამ ეტაპზე დღე-თი არ დაიბეგრება.

ახალი კოდექსით საგადასახადო ტვირთი საშუალო ბიზნესსაც ეზრდება. საშუალო ბიზნესი, რომლის წლიური ბრუნვა 200 ათას ლარზე მეტია, საქონლის მცირე მეწარმისაგან შესყიდვის დროს დღე-ს ვეღარ ჩაითვლის. მას ხარჯი გაეზრდება და 18-ის ნაცვლად დღე-ს განაკვეთი, ფაქტობრივად, 36%-მდე გაეზრდება. ამით მცირე ბიზნესს მოესპობა მოტივაცია, გაიზარდოს და საშუალო ბიზნესად იქცეს.

2012 წლიდან მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსს დაემატა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის ცნება. ეს შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას. თუმცა რომელია ეს სახეები, ამას მთავრობა განსაზღვრავს. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები შეიძლება დასაბეგრ ობიექტზე განისაზღვროს 1-დან 2000 ლარამდე ან დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3%-ით. ამ განაკვეთსაც, საქმიანობის მიხედვით, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. პირს უფლება აქვს, ფიქსირებული გადასახადის დაბეგვრის რეჟიმზე წლის ნებისმიერ თვეს გადავიდეს. მთავრობა ფიქრობს, რომ აღნიშნული გადასახადით და სხვა შეღავათებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდა მიიღწევა. გარდა ამ ცვლილებებისა, „რეგულაციურ კოდექსში“ კიდევ უამრავი ცვლილება განხორციელდა, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა მეწარმესა და ხელისუფლებას შორის მეტად ცვალებადია, ეკონომიკა პოლიტიზებული გახდა.

ქვეყანაში უნდა გაცნობიერდეს, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა მეწარმეთა ფენაა. რაც უფრო მყარად ჩამოყალიბდება მეწარმეთა ახალი კლასი, მით უფრო მალე გამოვა იგი ეკონომიკური კრიზისიდან. სახელმწიფომ მეწარმეებს უნდა შეუქმნას ხელსაყრელი სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საბაზრო გარემო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეს უნდა მართავდეს მხოლოდ ბაზარი და სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე. ფირმის ეკონომიკა. თბილისი, 2011.
2. ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2004.
3. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, ნაწილი I-II. თსუ გამომცემლობა, 2009.
4. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2011.
5. [www. Parliament.ge](http://www.Parliament.ge)
6. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
7. [www.rs.ge](http://www.rs.ge)
8. [www.internet.ge](http://www.internet.ge)



**SMALL ENTREPRENEURSHIP AND ECONOMIC POLICY  
OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA  
SUMMARY**

One of the paramount aims of the state economic policy is the development of economic policy which is the base of economies stable growth. Creation of enterprising environment and conditions, protection of entrepreneurs interests must be supported by the state economic policy which along with organizational and financial promotion implies pursue of activities for competition ability of national production and the enterprising policy.

The developed states have increased the joint enterprising activities by raising of enterprising mentality. Therefore this trend of the policy is significant for economic growth.

The current economic reforms implemented during recent years in Georgia are directed towards liberalization and development of the private sector based on provision of economic growth. In this regard there have been made significant steps, in particular: as a result of reforms implemented in tax system the Georgian tax legislation is considered to be the most liberal in Europe.

There should be general awareness of the state that the main driving force of market economy is the entrepreneurs sector acting by dictation of the market therewith provides the state economics perfection and development. As more sustainable is the new class of entrepreneurs the sooner it will come out of the economic crisis. The state should create for the entrepreneurs beneficial social, political, legal and the market environment. In conditions of market economy the entrepreneur should be managed by only the market and the active legislation of the state.

*ეთერ კაკულია  
ნანა ბიბილაშვილი*

**გლობალიზაცია: მცირე და საშუალო ბიზნესის როლი  
უმუშევრობის შემცირებაში საქართველოში**

მსოფლიო ინტეგრაციის პროცესები ოცდამეერთე საუკუნის პროდუქტს არ წარმოადგენს. იგი ყალიბდება მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებს შორის პროდუქციის გაცვლა-გამოცვლა დაიწყო. მისი პირველი ფორმა იყო ექსპორტ-იმპორტი (ვაჭრობა). გასულ საუკუნეში მომხდარმა გიგანტურმა ტექნოლოგიურმა ძვრებმა (ფიჭური ტელეფონი, პერსონალური კომპიუტერი, თანამგზავრული კავშირები და სხვა) და კოლონიური სისტემების დაშლის საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნამ, სახელმწიფოების ეკონომიკის საბაზრო სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია სახელმწიფოთა კონკურენტულ ეკონომიკურ სისტემებად (საბჭოურ და საბაზრო) დაჯგუფების მოსპობა, და 15 დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმოცენება. ამან მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში მრავალი თავისებურება წარმოაჩინა. შემცირდა სახელმწიფოების ჩარევა ეკონომიკაში, რომელმაც ხელი შეუწყო ინტეგრაციის გაღრმავებას, საერთაშორისო ბიზნესის ზრდას.

დღეს არსებული გლობალიზაციის ერა განაპირობა მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და ოცდამეერთე საუკუნეში საერთაშორისო ბიზნესის ზრდის გიგანტურმა მასშტაბებმა.

ეკონომიკაში, ევროკავშირის მაგალითზე, მცირე ეკონომიკას წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, გლობალურ ბიზნესს „ტრანსნაციონალური კომპანია“ (ტნკ), ეს უკანასკნელი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ერთ-ერთ გადამწყვეტ

როლს ასრულებს. 2009 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 500 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანია არსებობდა. ცნობილია, რომ ტნკ-ები დიდ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო საქმიანობაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ტნკ-ის ხუთ თაობას გამოყოფენ. მესამე თაობა ჩნდება XXI საუკუნის დასაწყისში, ამ დროს მსოფლიოში მათმა რიცხვმა მიაღწია 80 ათასზე მეტს, ხოლო მათი ფილიალები 850 ათასს უდრის. დედაკომპანიები ძირითადად განლაგებულია განვითარებულ ქვეყნებში (52,2 ათასი), ხოლო ფილიალების დიდი რაოდენობა (485 ათასი) განვითარებად ქვეყნებში. მათზე მოდის მსოფლიო მრეწველობის დაახლოებით ნახევარი და საგარეო ვაჭრობის 2/3-ზე მეტი. ისინი აკონტროლებენ პატენტების, ლიცენზიების, ახალი ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს 80%-ს [2; 5].

მსოფლიო ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ეკონომიკურ კავშირებში გადამწყვეტ როლს ასრულებს განვითარებულ ქვეყნებში თავმოყრილი ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ). 2009 წელს მსოფლიოს 500 უმსხვილეს კომპანიათა შორის აშშ-ზე მოდიოდა 140 კომპანია, იაპონიაზე – 68, საფრანგეთზე – 40, გერმანიაზე – 39, ჩინეთზე – 37, დიდ ბრიტანეთზე – 26, შვეიცარიაზე – 15, ნიდერლანდებზე – 12, ესპანეთზე – 11, იტალიაზე – 10, შვედეთზე – 6, ბელგიაზე – 5 და ა.შ. [1; 6]. მარტო 2004 წელს მსოფლიო საქონელბრუნვამ 10 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა [2; 5].

გლობალიზაციის პროცესებიდან ნათლად ჩანს, რომ მიმდინარეობს მსოფლიო ერთიანი გლობალური ეკონომიკური სივრცის ფორმირება. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა სულ უფრო გამოკვეთილად იძენს ერთიანი სისტემის, მთლიანი ორგანიზმის ნიშან-თვისებებს და თავისი მასშტაბებით გლობალურ დონეს აღწევს.

დღეს მსოფლიო ინტეგრაციის გლობალიზაციის პროცესები რეგულირდება ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ-შრომითი, სამართლებრივი და სხვა ასპექტებით. ამ მხრივ შექმნილია საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემა, რომელიც აერთიანებს 4000-ზე მეტს, აქედან 300 მთავრობათაშორის ორგანიზაციას [2].

გლობალიზაციის არსებით დადებით მხარედ მიგვაჩნია ის, რომ ტნკ-ის მეშვეობით იგი ახერხებს თანამედროვე, უახლესი ტექნიკასა და ტექნოლოგიებში არსებული მიღწევების დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ითხოვს მსოფლიო განათლების სისტემის ინტეგრირებას, კადრების მომზადებაში ისეთი რეფორმების გატარებას, რაც უზრუნველყოფს მსოფლიოს ქვეყნებში საერთო დონის განათლების მიღებას, ახალი თანამედროვე აზროვნების დამკვიდრებას თუნდაც იმ ქვეყნებში, რომლებიც აქტიურად ცდილობენ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ჩართვას, ვინც დროულად აღებს კარს საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება დღეს საქართველო.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის (2003) შემდგომ ბევრი რამ კეთდება მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ჩართვის მიზნით, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ, სამხედრო, პოლიტიკურ თუ სხვა მიმართულებით. ამჟამად საქართველო დაახლოებით 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. კავშირი აქვს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ქვეყნებთან. გლობალურ ეკონომიკასთან ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საგარეო ვაჭრობის მოცულობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი), ხოლო მათი თანაფარდობა ქვეყანაში შექმნილი მშპ-ის მოცულობასთან და მოსახლეობის რაოდენობასთან, ასევე ექსპორტული, იმპორტული და ინვესტიციების კოტა განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნულ ეკონომიკათა ინტეგრაციის ხარისხს. საქართველოში საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელმა 2009, 2010, 2011 წლებში შესაბამისად 5633,8; 6934,6; 9246,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელი ზრდადი ტემპით ხასიათდება (მაგრამ ჯერჯერობით ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სადღო უარყოფითია).

ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში წლითიწლოებით იზრდება, თუ იგი 2010 წელს შეადგენდა 814,8 მლნ აშშ დოლარს, 2011 წელს შეადგინა 980,6 მლნ აშშ დოლარი. პუი 2008, 2009 წლებში შესაბამისად მშპ-ის: 53 და 70,2%-ს შეადგენდა [8; 9].

მსოფლიო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველო ეკონომიკის განვითარების და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით გატარებული რეფორმების მხრივ რეფორმატორ ქვეყნებს შორის მოწინავეთა რიგებში დგას.

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მსოფლიოში 32-ე, ხოლო ევროპის 41 ქვეყანას შორის მე-18 ადგილს იკავებს. ეს მაჩვენებელი 2008 წელს 69,23% შეადგენდა. მაშინ როცა ამ მაჩვენებლით ქვეყნის მდგომარეობას 0-100 ბალიანი სკალით აფასებენ. ამ მხრივ საქართველო არცთუ ისე ცუდ მდგომარეობაშია.

ქვეყანაში გატარებული რეფორმების და მსოფლიო ერთიან ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების მიზნით გატარებულ ღონისძიებების მიუხედავად, გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგში 62 ქვეყანას შორის საქართველო ვერ მოხვდა [7].

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონის მახასიათებლად აღიარებულია: მშპ, ინფლაცია და უმუშევრობის მაჩვენებლები. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. მისი სიდიდე 2009, 2010, 2011 წლების მიხედვით შესაბამისად შეადგენს 2455.2; 2623.0; 3215.4 აშშ დოლარს. უმუშევრობის დონის მაჩვენებელი ბოლო წლების (2003-2011) განმავლობაში ვერ ჩამოსულა ორნიშნა ციფრს ქვემოთ. ოუკენის კანონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-ის ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს [3]. ე.ი. იგი გვიჩვენებს სამუშაო ძალაში დაუსაქმებელთა წილის თითოეული პროცენტი რა დანაკარგს იძლევა ქვეყნის ეკონომიკისათვის და როგორ ზეგავლენას ახდენს იგი მოსახლეობის (დაუსაქმებლის) სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2011 წელს 2010 წელთან (16,3%) შედარებით, 1,2 პროცენტული პუნქტით კი შემცირდა, მაგრამ შეადგინა 15,1%. 2010 წელს, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 31% იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ [7]. უმუშევრობის შემცირების მიზნით ქვეყანაში განხორციელებულმა სახელმწიფო პროგრამებმა და სხვა სახის ღონისძიებებმა ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ მოგვცა.

EPRS – ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია ქვეყანაში რა სახის უმუშევრობასთან გვაქვს საქმე. ქვეყანაში ბოლო 10 წლის მონაცემებით, 2007 წელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა, მიუხედავად ამისა, უმუშევრობის დონე მაინც მაღალი იყო – 12,3% [8].

ქვეყნის განვითარებისათვის, უმუშევრობის შემცირებისათვის მთავრობის მხრიდან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ დასაყრდენს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესი. მსოფლიო პრაქტიკამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ მცირე საწარმოებს ნამდვილად შესწევთ უნარი, მოკლე დროში განახორციელონ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე საწარმოთა ქსელის შექმნა უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ბაზარზე სასაქონლო მოცულობის ზრდას და მომხმარებელთა მომსახურებას. იგი ხელს უწყობს ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, რაც განაპირობებს ეკონომიკის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. ისინი ერთპიროვნულად ემსახურებიან ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის გაუმჯობესებას.

მცირე და საშუალო საწარმოები ბიზნესის ის ორგანიზაციული ფორმებია, სადაც შესაძლებელია დასაქმდეს ნებისმიერი სამუშაო ძალა (როგორც მაღალი, ისე დაბალი კვალიფიკაციით და ა.შ.) და სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი, რომელსაც შეუძლია იშრომოს (პენსიონერები, 15 წლამდე მოზარდი და ა.შ.). ამდენად იგი ეკონომიკაში უმუშევრობის შემცირების მძლავრი იარაღია.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას. დღეს მცირე ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში უკავია მხოლოდ 9%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ხასიათდება 60-70%-ით.

ამერიკაში მთლიან დასაქმებულთა 65% მცირე ბიზნესშია დასაქმებული, ინგლისში – 49%; გერმანიაში – 80%; ჩვენს ქვეყანაში კი მთლიან დასაქმებულთა დაახლოებით 25%-ია მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული [8]. ტაივანის ეკონომიკაში დომინირებს მცირე და საშუალო ბიზნესი და შეადგენს ფირმების საერთო რაოდენობის 98%-ს, სადაც დასაქმებულია შრომის უნარიანი მოსახლეობის 78%. უმუშევრობის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ოცი წლის განმავლობაში იყო 2001 წელს და უდრიდა 3,1%. [7]

მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხოვნობა ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის დიდ ბრიტანეთში – 46; იტალიაში – 68; აშშ-ში – 74; იაპონიაში – 50; ყოფილ საბჭოთა სივრციდან რუსეთში – 6; ბელორუსიის რესპუბლიკაში – 3 [6]; საქართველოში ჩვენი გაანგარიშებით დაახლოებით 4-ის ტოლია. მცირე ბიზნესის ინტენსივობის ეს მაჩვენებელი იმდენად მცირეა, რომ აქ მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობრივი ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას.

მცირე ბიზნესის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს გასული საუკუნის 70-იანი წლების, დიდი ბრიტანეთის მაგალითი, 1970 წლებში დიდ ბრიტანეთს ეკონომიკური კრიზისის ტალღამ გადაუარა, შეიქმნა სამთავრობო კომისია, რამაც დაადასტურა დიდი ბრიტანეთის ჩამორჩენილობა კონკურენტებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ განვითარებაში. 1971 წელს გამოქვეყნდა მცირე ფირმათა გამოკვლევის ანგარიში, რომელიც ცნობილია, როგორც „ბოლტონის ანგარიში“. ანგარიშში წერდნენ: „მაღალი დონის მცირე ფირმის კოეფიციენტი შეესაბამება ... პროდუქციის გამომშვების მაღალ დონეს. მცირე ბიზნესის სექტორის არაჯანსაღი მდგომარეობა წარმოადგენს, ჩვენი როგორც ინდუსტრიული ერის შედარებითი დაკნინების სიმპტომს და გამომწვევ მიზეზებს“ [1]. სწორედ ეს ანგარიში გახდა დიდი ბრიტანეთისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ფორმირების მიზეზი.

დღეს ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ, როცა იგი გლობალიზაციის პირობებში (გარემოცვაში) აშენებს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმს აუცილებელია, ქვეყანაში შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ხელშემწყობი ერთიანი სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც იქნება მუდმივმოქმედი. ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული, ინექციური და ლოკალური ხასიათის ღონისძიებანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველო, აქ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის და მიგრაციის მაღალი დონე.

დღეს ქვეყანაში ბევრი კეთდება კარგი, განსაკუთრებით ეკონომიკის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, ახლა აუცილებელია ქვეყანაში ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევრობის შემცირებას, და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით აღორძინებას. ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიდლი დ. ბიზნესის კოტექსტში, 2003.
2. საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.
3. ჩიქობავა მ., კაკულია ნ. მაკროეკონომიკა, 2010.
4. ცენტრალური საინფორმაციო სააგენტო (CA).
5. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 2008.
6. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск, 2004.
7. [www.heritage.ge](http://www.heritage.ge)
8. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
9. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
10. [www.resonancedaily.com](http://www.resonancedaily.com) [7/22/2011]
11. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. EPRS.
12. [www.european.ge](http://www.european.ge) – (ევროპული არჩევანი საქართველოსთვის).

*Kakulia Eter  
Bibilashvili Nana*

### GLOBALIZATION: THE ROLE OF SMALL AND MIDDLE BUSINESS IN REDUCING UNEMPLOYMENT IN GEORGIA SUMMARY

In the work is shortly given the processes of world globalization and the modern circumstance of the integrity of Georgia in it. The talk is about the role of the direct foreign integrity in the development of the economy of the country; in the conditions of world globalization in the period of integration of Georgia; about the role and place of small and middle business in the case of reducing of high level of existing unemployment. Is given the opinion about the necessity of supporting abilities and development of small and middle business in the country.

### *ქეთევან კიწმარიშვილი* ფირმის ფინანსური უზრუნველყოფა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსოფლიოში ყოველწლიურად ათასობით ფირმა კოტრდება და მის ადგილს ახალი ფირმები იკავებს. ფირმის გაკოტრების მიზეზი უმეტესად ცუდი მენეჯმენტია. ფირმის ფინანსური მდგომარეობა უფრო მეტად დამოკიდებულია ფინანსების მენეჯერის ცოდნასა და გამოცდილებაზე. ფინანსური მენეჯერის ამოცანაა ფირმის განკარგულებაში არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზით მაქსიმალური შედეგის (მოგების) მიღება, ამისათვის მას გააჩნია ამ რესურსების მართვის ეკონომიკური ბერკეტები.

ჩვენი აზრით, ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენებით სრულიად შესაძლებელია ფირმის ფინანსური მონიტორინგის ჩატარება ყოველდღიურად, რაც პრაქტიკაში იშვიათობაა. მენეჯერს მუდმივ კონტროლზე უნდა ჰქონდეს ფინანსური მდგომარეობის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ლიკვიდობა, ბრუნვალობა და მათი ტენდენციები. ეს და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები ბიზნესისა და ინვესტიციების გარემოში ურთიერთობის ენად ითვლება, ამიტომ მათი ცოდნა და გამოყენება აუცილებელია.

ბევრი კერძო მეწარმე, რომელსაც არ შეუძლია აწარმოოს ფირმის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, ფირმის საქმიანობის შედეგებს აფასებს ცოცხალი ფულის მასით, წარმოებული პროდუქციის მოცულობით და ასორტიმენტით ან სხვა მაჩვენებლებით.

ხშირად იურიდიული პირებიც კი, რომელთაც არ შეუძლიათ წაიკითხონ თავისი ფინანსური დოკუმენტაცია, ორიენტაციას ახდენენ ამავე მაჩვენებლებზე.

ფინანსური მდგომარეობა გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობას, დაფაროს თავისი ვალდებულება და შეინარჩუნოს საწარმოს მართვის უფლება ხანგრძლივ პერსპექტივაში. ის შეიძლება შეფასდეს ორი კოეფიციენტით: საკუთარი კაპიტალის შეფარდებით მთელ პასივთან და მეორე, საკუთარი კაპიტალის შეფარდებით ნასესხებ კაპიტალთან. ფინანსურად მდგრად საწარმოსთვის პირველი კოეფიციენტი არ უნდა იყოს 0.5-ზე ნაკლები, ხოლო მეორე – 1-ზე ნაკლები.

წარმოების ლიკვიდობა, ეს არის წარმოების უნარი, დროულად დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულება სრული მოცულობით საბრუნავი აქტივების ხარჯზე. იგი ფასდება სამ მაჩვენებელში: საერთო ლიკვიდობა, აბსოლუტური და ელვისებური ლიკვიდობა.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი უდრის, მიმდინარე აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებასთან. აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი უფროს ფულად სახსრებს + მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები, შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს უნარს, დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები აქტივების ყველაზე ლიკვიდური ნაწილით – ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებებით. ამ კოეფიციენტის სარეკომენდაციო მაჩვენებელი არ უნდა იყოს 0.2-ზე ნაკლები.

სწრაფი (ელვისებური) ლიკვიდობის კოეფიციენტი უდრის ფულადი სახსრების, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებისა და დებიტორული დავალიანების ჯამი, შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს ვალდებულებების დაფარვის უნარს აქტივების ლიკვიდური ნაწილის ხარჯზე.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი ასევე შეიძლება გაანგარიშდეს, როგორც მიმდინარე აქტივების – მარაგების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან. მოცემული კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1-ზე ნაკლები.

აღნიშნული კოეფიციენტების გაანგარიშების დროს მოკლევადიან ვალდებულებას უნდა გამოაკლდეს მომავალი პერიოდის შემოსავლები, მოსალოდნელი ხარჯების რეზერვები და გადასახადები.

საორიენტაციოდ, პრაქტიკაში მიღებულია, რომ ფირმის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე აქტივები ორჯერ უნდა აღემატებოდეს მოკლევადიან ვალდებულებებს.

ლიკვიდობის მაჩვენებლად შეიძლება ასევე გამოვიყენოთ წმინდა საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს, თუ საბრუნავი კაპიტალის რა ნაწილი ფინანსდება საკუთარი კაპიტალის ხარჯზე, ამავე დროს გვიჩვენებს საწარმოს ლიკვიდობის და ფინანსური მდგრადობის დონეს.

წმინდა მოგების კოეფიციენტი გაიანგარიშება საბრუნავ აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის სხვაობით. ამ მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება საბრუნავ კაპიტალს. სხვანაირად, ვალდებულებები, რომელიც უნდა დაფაროს საწარმომ წლის განმავლობაში, აღემატება წლის განმავლობაში მყოფ აქტივებს. ეს ხდება, როცა ვალდებულებების ზრდის ტემპი აღემატება საბრუნავი აქტივის ზრდის ტემპს. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმო არაეფექტიანად მართავს ნასესხებ ფინანსურ წყაროებს.

საწარმოს ფინანსურ მენეჯმენტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ საკუთარი სახსრებით უნდა დაფინანსდეს როგორც მუდმივი აქტივები, ასევე საბრუნავი კაპიტალი (ე.ი. ბალანსის მესამე განყოფილება უნდა იყოს მეტი ან ტოლი პირველ განყოფილებაზე). საინვესტიციო კაპიტალის შეფარდება მუდმივ აქტივებთან უნდა იყოს ერთზე მეტი. თუ იგი ერთზე ნაკლებია, ეს იმას ნიშნავს, რომ ნასესხებ ხარჯებზე ფინანსირდება მთელი საბრუნავი აქტივები და ბრუნვის გარეშე აქტივების ნაწილი. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის მდგომარეობა ფინანსურად არამდგრადია და ნასესხები სახსრების დაფარვისათვის სერიოზული პრობლემა იქმნება. ბრუნვალობა. საწარმო ფულის ბრუნვისაგან იღებს შემოსავალს ფულადი სახსრების ბრუნვის პროცესში. თანმიმდევრობით გაივლის შემდეგ ეტაპებს: მომწოდებლების ავანსები, მატერიალური მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გადატვირთული საქონელი, დებიტორული დავალიანება და ახალი ფული. რაც უფრო გრძელია ეს ციკლი, მით მეტი ფულადი სახსრები ესაჭიროება საწარმო პროცესის დაფინანსებისათვის.

საწარმო პროცესში დაფინანსების წყაროებია: მიმდინარე დავალიანება მომწოდებლების წინაშე (კრედიტორული დავალიანება), ბიუჯეტის დავალიანება, პერსონალის დავალიანება და მყიდველთა ავანსები.

ბრუნვალობის სიღრმისეული ანალიზისათვის საჭიროა დებიტორული დავალიანებიდან გამოვრიცხოთ უიმედო დებიტორული დავალიანება, ხოლო სათადარიგოდან – „არალიკვიდური ნაშთები“. ბრუნვალობა შეიძლება შევავასოთ, ერთი მხრივ, მყიდველების ავანსების დებიტორულ დავალიანებასთან შეფარდებით და, მეორე მხრივ, მომწოდებლის ავანსების კრედიტორულ დავალიანებასთან შეფარდებით.

ბრუნვალობის ანალიზის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ მოსალოდნელი შედეგის ანალიზი კრიზისული სიტუაციის დადგომამდე, რამდენადაც ამ მაჩვენებელზე დამოკიდებულია საწარმოს ცოცხალი ფულის მარაგი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი დამოკიდებულია ძირითად პარამეტრზე – აქტივებსა და კრედიტორულ დავალიანებაზე. ამ შემთხვევაში აქტივში შეიტანება არა მისი მთლიანი მოცულობა, რომელიც შედის ბალანსში, არამედ ის სახსრები, რომელიც რეალურად მოკლე დროის პერიოდში შეიძლება მოვაქციოთ ფულის ნაკადში. ფირმისათვის ოპტიმალურ შეფარდებად ითვლება როცა აქტივი იზრდება, ხოლო კრედიტორული დავალიანება მცირდება, რაც პრაქტიკაში იშვიათია. ფირმა შეიძლება დარჩეს მდგრადად, როცა აქტივების ზრდის ტემპი აჭარბებს კრედიტორული დავალიანების ზრდის ტემპს ან როცა აქტივების შემცირების მაჩვენებელი ნაკლებია კრედიტორული დავალიანების შემცირების მაჩვენებელზე.

ყველაზე უარესი მაჩვენებელია, როცა აქტივები მცირდება, ხოლო კრედიტორული დავალიანება იზრდება, თუ ეს მოვლენა ტენდენციურია, ეს ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობა არ ფლობს მათი მართვის ბერკეტებს. ეს კი ხდება, როცა ხელმძღვანელობა არ აქცევს საკმარის ყურადღებას ფინანსურ ანალიზს, არ ესმის მისი მნიშვნელობა, ან არა აქვს საკმარისი ფინანსური განათლება, ამიტომ უპირატესობას ანიჭებს სხვა ნაკლებმნიშვნელოვან მაჩვენებლებს. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ საწარმოს ინვესტიციური პოლიტიკისა და მიმდინარე საქმიანობის მდგომარეობა. საწარმო ყველაზე უხემ შეცდომას უშვებს, როცა „ცოცხალი“ ფულის მასა დიდი (რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს იგი). სწორედ ამ დროს მიიღება გადაწყვეტილება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფირმის გაკოტრება. მხოლოდ ფულადი სახსრების ანალიზმა შეიძლება გვაჩვენოს, რამდენად უნარიანია ფირმის ხელმძღვანელობა ფულადი სახსრების მართვაში. საინვესტიციო გეგმის უქონლობა უფრო ხშირად ღუპავს ფირმას, ვიდრე უფულობა. ამ შემთხვევაში ფირმა თავის თავს აყენებს ბაზრის ზემოქმედების ქვეშ.

აქტივებისა და კრედიტორულ დავალიანებათა არაეფექტიანი მართვის მიზეზი შეიძლება იყოს ერთი, როცა არ არის ნაპოვნი მისი მიზეზი, და მეორე – მართვისათვის გამოიყენება არაეფექტიანი ბერკეტი. თუ ფირმის ხელმძღვანელობა ცდილობს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოასწოროს მდგომარეობა, მაგრამ ვერ აღწევს შედეგს, ეს ნიშნავს, რომ არაეფექტიანი მართვის მიზეზი დევს არა იქ, სადაც იგი ეძებს. სამწუხაროდ, ამჟამად მოქმედი ბუღალტრული ანგარიშის სტრუქტურა ორიენტირებულია საგადასახადო ანგარიშებზე, რაც არ იძლევა საშუალებას ფირმის ფინანსური მდგომარეობის ღრმა ანალიზისათვის მისი ოპერაციულ მართვაში გამოსაყენებლად, ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია, ძლიერმა და პერსპექტიულმა ფირმებმა გამოიყენონ ისეთი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ერთდროულად გაკეთდეს ანალიზი, დაეხმაროს ფირმას მართვასა და მომავალი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ამჟამად ასეთ ბერკეტად აღიარებულია მმართველობითი აღრიცხვა, რომელმაც საკმაოდ დიდი აღიარება პოვა დასავლეთ ევროპაში. მმართველობითი აღრიცხვის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იგი იყენებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა მუდმივი და ცვალებადი დანახარჯები, ფულადი ნაკადი, ფინანსური მდგრადობა, ლიკვიდობა, ბრუნვადობა, უზარალობის წერტილი.

მსხვილი ფირმები შედეგება რამდენიმე სტრუქტურული ერთეულისაგან, რომელთა წვლილი ფირმის საერთო მოგებაში მკვეთრად განსხვავებულია, მომგებიან – მაღალეფექტიან ერთეულებთან ერთად გვხვდება არარენტაბელური, წამგებიანი სტრუქტურული ერთეულებიც, რომლებიც თავისი ზარალით შთანთქავენ მაღალი რენტაბელობის სამეურნეო ერთეულების მოგებას, რითაც საგრძნობლად ამცირებენ ფირმის საერთო სამეურნეო შედეგებს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს გათანაბრებას სამეურნეო შედეგების შეფასებაში, ქრება მაღალრენტაბელურ ქვედანაყოფთა დაინტერესება მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღწევად, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს ფირმის სამეურნეო შედეგებზე.

აღნიშნულის ლიკვიდაციისათვის საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ფირმის შიგა კომერციული ანგარიში. ეს მეთოდი გულისხმობს თითოეული სტრუქტურული ერთეულის კომერციულ ანგარიშზე გადაყვანას. ამისათვის საჭიროა თითოეული ქვედანაყოფი მოქმედებდეს თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით. თითოეულ მათგანს უდგინდება საგეგმო მაჩვენებლები (შემოსავლები და დანახარჯები, წარმოების მოცულობა და რეალიზაცია, მოგება და სხვა), მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიეცეს სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში, მოგების ფორმირებასა და მის განაწილებაში. კომერციული ანგარიში საშუალებას გვაძლევს ფირმის ფინანსური მაჩვენებლების ამჟამინდისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩავაბათ ფირმის თითოეული მუშაკი, დაწყებული რიგითი მუშაკიდან ფირმის ხელმძღვანელის ჩათვლით. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ამჟამად თითოეული ქვედანაყოფისა და, საერთოდ, ფირმის ეფექტიანობის მაჩვენებლები, მისი ფინანსური მდგრადობა.

იმისათვის, რომ ვაწარმოოთ მოგება-წარმოება გასაღების საქმიანობის კონტროლი, საკმარისია ვაკონტროლოთ უზარალობის წერტილი, ვინაიდან რესურსების ხარჯვა ყოველდღიურია. ამიტომ კონტროლიც უნდა იყოს ასევე ყოველდღიური. მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში ზემოთ დასახლებულთაგან ერთი პარამეტრის კონტროლი ზემოქმედებას ახდენს რამდენიმე სხვა პარამეტრზე. თუ საწარმოს შესწავს უნარი, მართოს აქტივის შეფარდება კრედიტორულ დავალიანებასთან, მაშინ დანარჩენი მაჩვენებლები ავტომატურად იმართება. მმართველობითი კონტროლი გვიჩვენებს, თუ ხელმძღვანელობის მიერ დღეს მიღებული გადაწყვეტილების შედეგად როგორ წარმოგვიდგება ხვალ საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიში და ფულადი სახსრების მოძრაობა, მმართველობითი აღრიცხვა ასრულებს ასევე მუდმივმოქმედი რევიზიის როლს, ვინაიდან იგი აკონტროლებს



ყველა სამეურნეო ოპერაციას, ბუღალტრულ აღრიცხვასთან ერთად. მმართველობითი აღრიცხვის მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს ფირმის ფინანსურ მდგომარეობას, ამაღლებს ფირმის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე. ფირმის ეკონომიკა, თბილისი, 2011.
2. ბოლქვაძე ბ. ბიზნესის ფინანსური ანალიზი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2007.
3. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ. ფირმის ფინანსური ეკონომიკა, თბილისი, 2009.
4. შენგელია თ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, 2008.
5. Прошков А.В. Бизнес-план: Рекомендации по составлению. Москва, Прогресс, 2001.
6. Michael H. Mescon, courtland L. Bovee, John V. Thill. Business Today. Vpper Saddle River, New Jersey, 2003.

*Kitsmarishvili Ketevan*

### **FINANCIAL SOFTWARE FIRM SUMMARY**

Often bankruptcy of a firm is caused by the fact that its authority doesn't lead everyday analysis of the firm working. Mostly, this analysis is made once a year. At this period, improving of the made mistakes is difficult, recovery of spent material and financial resources is impossible; as a result the financial condition of the firm comes to dead end. So the condition of spending of material and money resources has to be under permanent control, so as the mistakes which were made are improved in time.

*ეკატერინე მაღლაკელიძე  
ელისაბედ მაღანია*

### **მარკეტინგული შესაძლებლობა თუ საფრთხე ენერგოკომპანიებისათვის?**

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 16 ნოემბრის №19 დადგენილებამ, რომელიც ითვალისწინებს ამავე კომისიის მიერ მიღებულ 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში (“ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ”, სსმ III, 22.09.2008 წ., №140, მუხლი 1385) ცვლილებების შეტანას, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ელექტროენერგეტიკის სფეროს საქმიანობით დაინტერესებულ საზოგადოებას შორის. ისევე, როგორც ყველა კანონს, ამ კონკრეტულ დადგენილებასაც მრავალი წახნაგი აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში ის შესაძლებლობას აძლევს განაწილების ლიცენზიატებს – სს “თელასი”, სს “კახეთის ენერჯოდისტრიბუცია” და სს “ენერგო-პრო ჯორჯია” – მონოპოლიურად მაღალი ზემოქმედება მიიღონ კომისიის მიერ დამტკიცებული 0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლებისათვის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის შეთავაზებული პაკეტის საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი გარკვეული საფრთხის შემცველიც არის (იხ. დანართი 1).

პირველ რიგში დავაზუსტოთ, თუ ვინ მოიაზრება ახალი მომხმარებლის კატეგორიაში. კომისიის №19 დადგენილების 26 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ახალ მომხმარებლად ითვლება იმ საცხოვრებელი ბინის მფლობელი, საწარმო ან სხვა ობიექტი, რომელიც არ არის მიერთებული გამანაწილებელ ქსელთან და არ ხდება მისთვის კანონმდებლობით დაგენილი პირობების შესაბამისად ელექტროენერჯის მიწოდება. ახალი მომხმარებელია, აგრეთვე, უძრავი ქონების გაყოფით (აბონენტის გაყოფით) მიღებული

მომხმარებელი, თუ არსებობს ქონების მესაკუთრის მიერ აბონენტად რეგისტრაციის მოთხოვნა.

ახალი დადგენილების მიხედვით, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ჩვენი აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ სოლიდურია და განაწილების ლიცენზიატებს მონოპოლიურად მაღალი ზემოგების შესაძლებლობას აძლევს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათთვისაც ზარალის მომტანია. ქსელზე მიერთების საფასური მომგებიანია მაშინ, როდესაც ქსელი განვითარებულია და, მაშასადამე,

**დანართი 1**

**0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური**

ძაბვის საფასური, კვ	სიმძლავრე, კვტ	ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა (კალენდარული დღე)	ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღე-ის ჩათვლით, ლარი
0.220	1-10	35	400
0,380	1-10	35	1200
	11-30	40	4700
	31-50	40	7000
	51-80	45	10500
	81-100	45	12000
	101-125	45	14000
	126-200	45	21500
	201-320	60	33000
	321-500	60	50500
	501-800	90	80000
801-1000	90	100000	
6-10	1-500	60	48500
	500-1000	90	94000
	1001-1500	90	137000
	1501-2000	90	177000
	2001-3000	90	257500
	3001-5000	90	416000

წყარო: <http://gnerc.org>. ახალი მომხმარებლების გამანაწილებელ ქსელზე მიერთება

განაწილების ლიცენზიატი უკვე არსებული გამანაწილებელი ქსელიდან უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლისათვის ელ. ენერჯის მიწოდებას. ამ შემთხვევაში მიიღწევა მასშტაბის ეკონომია. მაგრამ თუ ქსელი არ არსებობს, საიდანაც უნდა მოხდეს ახალი მომხმარებლების ელ. მომარაგება, ამ შემთხვევაში ქსელზე მიერთების საფასური შეიძლება განაწილების ლიცენზიატისათვის წამგებიანიც აღმოჩნდეს. იმავედროულად, ირდევს ახალი მომხმარებლის ინტერესებიც, რადგან ქსელზე მიერთების საფასურში გათვალისწინებული არ არის ის მანძილი, რაც ახალ მომხმარებელს აშორებს არსებული ქსელიდან. ასე მაგალითად, მომხმარებელი 100 მეტრით არის დაშორებული არსებული ქსელიდან თუ 2 კილომეტრით, ერთი და იმავე ძაბვისა და სიმძლავრის მოთხოვნის პირობებში მან ერთი და იგივე საფასური უნდა გადაიხადოს ქსელზე მიერთებისათვის.

ჩვენი აზრით, სამართლიანი იქნებოდა, რომ მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას განესაზღვრა ქსელზე მიერთების საფასური 1 კვტ ენერგიაზე გაანგარიშებით სამ სხვადასხვა ძაბვაზე (0.220, 0.380 და 6-10 კვ), ანუ შეემუშავებინა დიფერენციალური სატარიფო სისტემა მოხმარებული ძაბვისა და მოთხოვნილი სიმძლავრის მიხედვით, რაც განაწილებელ ქსელზე მიერთების მსურველებს (ახალ მომხმარებლებს) შესაძლებლობას მისცემდა, გადაეხადათ მოთხოვნილი კვტ-ს მიხედვით და არა იმის საფუძველზე, თუ სიმძლავრის რომელ დიაპაზონში მოხვდებოდნენ.

ახლა შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება. მაგალითად, სს “თელასი“-ს აბონენტებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი არიან 0,220 კვ ძაბვის მომხმარებლები (ე.წ. კომუნალური მომხმარებლები), რომლებიც ძირითადად 3-5 კვტ ელექტროენერგიაზე აკეთებენ განაცხადს, მაგრამ, ამის მიუხედავად, იმავე საფასურის გადახდა მოუწევთ, როგორც მომხმარებლებს, რომლებიც იმავე ძაბვაზე 10 კვტ ენერგიას მოითხოვენ. 0,380 კვ-ის, ანუ სამფაზა დენის მომხმარებლები, ძირითადად, მცირე ბიზნესის მესვეურები არიან. ამ კატეგორიის მომხმარებლებისთვისაც ქსელზე მიერთების საფასური, მიგვაჩნია, რომ არასამართლიანია. თუ დანართში მითითებულ ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების საფასურის დიაპაზონს განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ სიმძლავრეების დიაპაზონი ძალიან ფართოა და, იმავდროულად, დამატებით 1 კვტ ენერგიის მოთხოვნა ქსელზე მიერთების საფასურს მნიშვნელოვნად ზრდის. ასე მაგალითად, დანართის მიხედვით, 500 კვტ ენერგია 50500 ლარი ჯდება, ხოლო უკვე 501 კვტ-ს სიმძლავრეებს სულ სხვა დიაპაზონში გადავყავართ და, შესაბამისად, ქსელზე მიერთების საფასურიც საგრძნობლად იზრდება – 80000 ლარი. ამასთან, უსამართლოდ მიგვაჩნია, რომ 0,380 კვტ-ის მომხმარებლებმა, იმის მიუხედავად, 321 კვტ-ზე გააკეთებენ განაცხადს, თუ 500 კვტ-ზე, ერთი და იგივე საფასური გადაიხადონ – 50500 ლარი დღე-ის ჩათვლით. იგივე შეიძლება ითქვას სიმძლავრის ყველა სხვა დიაპაზონის შესახებაც. 6-10 კვ ძაბვის მომხმარებლები, ძირითადად, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პროდუქციას ქმნიან. ისინი განაწილების ლიცენზიატების მომხმარებლებს შორის ყველაზე ნაკლები ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილი, მაგრამ ამ კატეგორიის მომხმარებლებზე ელ. ენერგიის შესყიდვების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის. განაწილების ლიცენზიატებისათვის, და განსაკუთრებით სს “ენერგო-პრო ჯორჯიასათვის”, რომლის ენერგოდისტრიბუციის არეალი საკმაოდ ფართოა და თითქმის მთელ საქართველოს ფარავს, კახეთის რეგიონისა და თბილისის გარდა, 6-10 კვ ძაბვის მომხმარებლების მომსახურება შეიძლება სერიოზულად წამგებიანიც აღმოჩნდეს ქსელის არარსებობის პირობებში, იმის გათვალისწინებით თუ ახალი მომხმარებელი რა სიმძლავრეზე გააკეთებს განაცხადს. დღესდღეობით მომხმარებლები ღირებულების მაქსიმიატორები არიან, განსაკუთრებით კი, ბიზნეს-მომხმარებლები. სიმძლავრეთა შეთავაზებული დიაპაზონიდან ისინი, ცხადია, მაქსიმალურ სიმძლავრეზე გააკეთებენ განაცხადს თუ გავითვალისწინებთ, რომ 500 კვტ და 1000 კვტ ენერგია ერთი და იგივე თანხა დაუჯდებათ – 137 000 ლარი. დამატებით სიმძლავრეს კი რეზერვის სახით შეინახავენ.

ამრიგად, მაღალი ძაბვის ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთება — განაწილების ლიცენზიატებისათვის შეიძლება ზარალიანიც აღმოჩნდეს. წამგებიანი მომხმარებლებს კი როგორ ექცევიან, ეს ყველასთვის კარგად ცნობილია – ტრადიციულად, ისინი ან მომგებიანი მომხმარებლების კატეგორიაში გადაჰყავთ, ან საერთოდ უარს ამბობენ მათ მომსახურებაზე. ამაზეა აგებული მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის ტექნოლოგიები. შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატებს მოუწევთ მომგებიანი გარიგებიდან მიღებული შემოსავლებით გადაფარონ წამგებიანი პროექტები, რაც *საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება*. განაწილების ლიცენზიატებისათვის ნაკლებმომგებიანი და,

განსაკუთრებით, წამგებიანი მომხმარებლების იძულებით მომსახურებამ შეიძლება სხვა თანამდევი პრობლემებიც შექმნას, კერძოდ, მოსალოდნელია გამოიწვიოს ელექტროენერჯიაზე ტარიფების ზრდა, რაც მძიმე ტვირთად დააწვება როგორც ბიზნესის მესვეურებს, ისე მათ მომხმარებლებს, რომელზედაც გადანაწილდება გაზრდილი ტარიფის ტვირთი.

“ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ” 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში შესული ცვლილებები გარკვეულ საფრთხეს უქმნის ელექტროენერჯეტიკის სფეროში მომუშავე კერძო სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიებს და მათ პოტენციურ მომხმარებლებსაც აზარალებს. საქმეში ჩაუხედავი ადამიანისათვის გასაგები რომ იყოს თუ რაზეა საუბარი, მივეყვით მოვლენებს თანმიმდევრულად. ახალი დადგენილების 26-ე მუხლის მე-8 პუნქტში ვკითხულობთ, რომ “0,4 კვ (380/220ვ.) და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის (ახალი მომხმარებლის ელექტრული ქსელის) გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს **მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის მიერ**. განაწილების ლიცენზიატი უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის (ახალი მომხმარებლის ელექტრული ქსელის) კუთვნილ ტერიტორიამდე მიერთებისათვის საჭირო ყველა სამუშაოსა და ხარჯს (**სრულ ტექნოლოგიურ ციკლს**), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანას, საშუალებების შექმნას, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს, მის შესრულებასთან დაკავშირებული თანხმობის ან ნებართვის მოპოვებას და ყველა სახის საჭირო მოქმედებას და სამუშაოს (აღრიცხვის კვანძის მოწყობასა და ელექტროენერჯით მომარაგების დაწყების ჩათვლით), რაც დაკავშირებულია გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების უზრუნველყოფასა და ელექტრომომარაგებასთან.” 26-ე მუხლის მე-9 პუნქტში კი ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ “დაუშვებელია მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მიერ მიერთების უზრუნველყოფისათვის საჭირო საშუალებების შექმნა ან/და გამანაწილებელ ქსელზე მოთხოვნილი მიერთებისათვის საჭირო სამუშაოების წარმოება, მასთან დაკავშირებული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ან რაიმე სახის თანხმობის ან ნებართვის მიღებაში მონაწილეობა ... .” ამავე პუნქტის მიხედვით, “მიერთების მსურველი (განმცხადებელი) არ არის ვალდებული ... დაესწროს ელექტროენერჯით მომარაგების დაწყებას.” ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონდა მესამე პირის მეშვეობით ზედამხედველობა გაეწია ელ. სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობაზე და განაწილების ლიცენზიატის მიერ არსებული სტანდარტების დარღვევის, ან მეორადი მოწყობილობების და მასალების გამოყენების შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატისათვის მოეთხოვა შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება. ასევე არასწორია, რომ ქსელზე მიერთების მსურველს (განმცხადებელს) წავართვათ მიერთების უზრუნველყოფისათვის საჭირო საშუალებების შექმნის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ მოზიდული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს მათდამი სტანდარტით და ტექნიკური პირობით წაყენებულ მოთხოვნებს.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ხდებოდა აღნიშნული დადგენილების მიღებამდე. გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მსურველს შესაძლებლობა ჰქონდა, მიემართა ნებისმიერი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმწოდებელი კომპანიისათვის და მასთან მოლაპარაკების საფუძველზე მიეღო მომსახურების სრული პაკეტი განაწილების შესაბამისი ლიცენზიატის მიერ გაცემული ტექნიკური პირობისა და სამუშაოების წარმოებაზე გაცემული ნებართვის საფუძველზე. გარდა ამისა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმწოდებელი კომპანიები დამკვეთისათვის უზრუნველყოფდნენ სამუშაოების შესრულების საბანკო გარანტიას, ხარისხის გარანტიას და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი მომხმარებელი გარანტირებულად დებულობდა მისთვის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისათვის საჭირო ელ. სამონტაჟო სამუშაოებს განაწილების ლიცენზიატის მიერ გაცემული ტექნიკური პირობისა და

კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის ვადების) სრული დაცვით. ამასთან, სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიების მიერ შესრულებულ სამუშაოებს იბარებდა შესაბამისი განაწილების ლიცენზიატი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა ახალი მომხმარებლის ჩართვა არსებულ ქსელში. იმავდროულად, ქსელზე მიერთების მსურველს (განმცხადებელს) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმწოდებლებს შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების კანონით მინიჭებული უფლება ჰქონდა რაც, ახალი დადგენილების მიხედვით, მას წაართვეს. ამასთან, კონკურენტული გარემო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ფასს მომხმარებლის სასარგებლოდ არეგულირებდა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ფასს მიმწოდებელსა და დამკვეთს შორის უშუალოდ გაფორმებული კონტრაქტი განსაზღვრავდა. მაშასადამე, 26-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ახალ მომხმარებლებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმწოდებლებს შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთებაც ეკრძალებათ და გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურიც მოთხოვნილი სიმძლავრის მიხედვით განესაზღვრებათ (იხ. დანართი 1).

ახალი დადგენილების მიხედვით, კერძო სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიებიც კარგავენ ახალ მომხმარებელზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთლიანად დამოკიდებული ხდებიან განაწილების ლიცენზიატის “კეთილგანწყობაზე”, რაც ერთ დროს მათმა უმეტესმა ნაწილმა წარმატებით დაძლია და დამოუკიდებელ კომპანიებად ჩამოყალიბდნენ. ამგვარმა დამოკიდებულებამ კი შეიძლება კვლავ კორუფციულ გარიგებებს დაუდოს სათავე, რაც ქვეყნის მთავრობის დიდი ძალისხმევით როგორც იქნა დაძლეულია. კერძო სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიები იძულებული გახდებიან, რომ მიზერული მოგების პირობებში მოემსახურონ განაწილების ლიცენზიატებს, რამაც შეიძლება ისინი გაკოტრების პირას მიიყვანოს. გამორიცხული არ არის, რომ სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიებმა, არსებობის შენარჩუნების მიზნით, შეამცირონ დაქირავებული მუშახელის ხელფასები ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი რაოდენობა, რაც გაზრდის უმუშევრობას და დაამძიმებს სოციალურ ფონს. ყოველივე ეს კი “საფრთხის” კვალიფიკაციას ღებულობს როგორც ელექტროენერგეტიკაში მომუშავე ფირმების, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის.

ერთადერთი პუნქტი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ახალი მომხმარებლის სასარგებლოდ მუშაობს, ეს არის 26<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, “გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების უზრუნველყოფის სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში დაუსრულებლობის (ელექტროენერგით მომარაგების დაწყების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის) შემთხვევაში, ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური შემცირდება 50%-ით... .” ამასთან, ღიად რჩება ელექტრული ქსელის ქონებრივი კუთვნილების საკითხი. დადგენილებაში მითითებული არ არის, თუ ახალი მომხმარებლის სახსრებით აშენებული ელექტრული ქსელი ახალი მომხმარებლის ბალანსზე რჩება თუ განაწილების ლიცენზიატის ბალანსზე გადადის შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 16 ნოემბრის №19 დადგენილება, რომელსაც არსებითი ცვლილებები შეაქვს ამავე კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №21 დადგენილებაში (სსმ III, 22.09.2008, №140, მუხლი 1382) “ელექტროენერგის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის შესახებ,” ხელს უწყობს მონოპოლიის გაძლიერებას ელექტროენერგის განაწილების სფეროში, რაც დააზარალებს როგორც გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მსურველებს, ისე ელექტროენერგეტიკის სექტორში მომუშავე კერძო სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიებს. განაწილების ლიცენზიატებისათვის კი ზოგიერთი პროექტი მომგებიანი იქნება, ზოგიერთი კი – წამგებიანი.

2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის ოფიციალურ მიზეზად მომხმარებელსა და ლიცენზიატს შორის ურთიერთობის გამარტივება დასახელ-

და. კომისიის განმარტებით, დაინერგა “ერთი ფანჯრის პრინციპი”, რამაც მიერთების სამუშაოებისათვის განსაზღვრული პროცედურების რაოდენობა, ფაქტობრივად, ერთ პროცედურამდე შეამცირა. მაგრამ საქმე ასე მარტივად რომ იყოს, ჩვენ ამ თემას არ შეგვხებოდით. როგორც ყველა რეგულატორს, ამ კონკრეტულ დადგენილებასაც მრავალი თანამდევო ეფექტი აქვს. ის გარკვეულ შესაძლებლობებს ხსნის განაწილების ლიცენზიატებისათვის მათი საბაზრო ძალაუფლების გაძლიერების თვალსაზრისით, მაგრამ, იმავდროულად, გარკვეული საფრთხის მატარებელიც არის როგორც მათთვის, ისე ელექტროენერგეტიკის სფეროში მომუშავე კომპანიებისა და მათი პოტენციური მომხმარებლებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსალოდნელ მაკროეკონომიკურ შედეგებზე. კანონი მხოლოდ მაშინ არის მისაღები, თუ იგი შეძლებს, დააბალანსოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები და, იმავდროულად, დარგს განვითარების შესაძლებლობა მისცეს. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

*Maglakelidze Ekaterine*

*Malania Elisabed*

## **MARKETING OPPORTUNITIES OR THREATS FOR ENERGY COMPANIES?**

### **SUMMARY**

The article highlights anticipated results of the amendment made to the GNERC Decree #20, September 18, 2008 on “Adoption of Principles of Electricity (Capacity) Supply and Consumption”. For the power distribution companies such as JSC “Telasi”, JSC “Energo-Pro Georgia” and JSC “Kakhetis Energodistributsia” these amendments have created good opportunities for growing burgaining market power. But for the private energy companies, providing construction-installation works for 0.220 kV, 0.380 kV and 6-10 kV customers, these amendments are qualified as a threat since they are losing the chance to maintain direct access to the “new customers” and are finally becoming dependent on the goodwill of power distribution companies in this field of activities. “New Customers” are also loosing the chance to select between the providers of construction-installation works and as a result to get acceptable price for the chance to be connected to the distribution network.

*მელა მელაშვილი*

### **გლობალიზაციის გავლენა სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონირებაზე**

ეკონომიკურ ლიტერატურაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გლობალიზაციის მნიშვნელობისა და გავლენის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ზოგჯერ რადიკალურად მწვავე. გლობალიზაციის მომხრეთა ძირითად კოზირს წარმოადგენს ის, რომ დღეისათვის მრავალი გლობალური პრობლემა არსებობს, რომელთა გადაჭრა ცალკეული ქვეყნისათვის შეუძლებელია და იგი ერთიან ძალისხმევას მოითხოვს. ესენია: ომისა და მშვიდობის, სიღარიბის და უმუშევრობის, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, კოსმოსის ათვისების, შიმშილის დაძლევის და სურსათით უზრუნველყოფის პრობლემები და ა.შ. რადიკალურად განსხვავდება გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები, რომლებიც თვლიან, რომ წამყვანი ქვეყნები განვითარებად ქვეყნებში ბუნებრივ რესურსებს მტაცებლურად იყენებენ, რაც იწვევს მათი ეკონომიკური მდგომარეობის არათუ გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, სიღარიბის, შიმშილის მაჩვენებლების ზრდას, ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას, კონკურენტუნარიანობის შემცირებას და ა.შ., რითაც ხელს უწყობს ეროვნული კულტურის დეგრადაციას, ტრადიციების და ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვას და სხვა. რასაკვირველია, გლობალიზაციის პირობებში

ასეთი საფრთხე არსებობს, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია და საჭიროა მისი არა კრიტიკა და უარყოფა, არამედ მაქსიმალური ძალისხმევის გამოხენა მისი ნეგატიური ზემოქმედების განვიტრალიზებისაკენ.

გლობალიზაციის გავლენა, უფრო სწორად კი ზეწოლა, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ცალკეული ქვეყანა ვეღარ არეგულირებს ეროვნულ ეკონომიკას. ზოგიერთი ქვეყანა (კანადა, იაპონია, ინგლისი, ნორვეგია, გერმანია, დანია, შვედეთი, ტაივანი, მაღალიზია, სინგაპური, სამხრეთ კორეა) ახერხებს ბიზნესის დარეგულირებას და სტრატეგიული დანიშნულების სამრეწველო ობიექტებისა და პრიორიტეტული სექტორების სახელმწიფო სუბსიდირებას (ეფექტიანი პოლიტიკისა და ძლიერი მენეჯმენტის დახმარებით). ეს სწორედ იმის გამო ხდება, რომ ამ ქვეყნებში არსებული საექსპერტო და ანალიტიკური კვლევის ცენტრები კი არ უარყოფენ გლობალიზაციის ყოვლისმომცველობას, არამედ მუშაობენ გლობალურ პრობლემებზე და საკმაოდ ეფექტურად, და რეკომენდაციებს აძლევენ მთავრობებს. ვთვლით, რომ ჩვენმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული სახელმწიფოების უდავოდ წარმატებული გამოცდილება.

გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოში თამაშის წესები. მას მეცნიერებმა „კაპიტალიზმის ტრიუმფი“ უწოდეს. ამჟამად ვირტუალურად ნებისმიერ საწარმოს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკური ბრძოლის პროცესში მსოფლიო ბაზარზე ხელსაყრელი პოზიციებისა და სადავეების მოსაპოვებლად. ზოგიერთი მათგანი გლობალურ ცვლილებათა მსხვერპლი ხდება, ზოგიერთი კი პირიქით – მოგებას იღებს აღნიშნულ ცვლილებათა შედეგად. ალბათ მცირეა ისეთ საწარმოთა ჯგუფი, რომლებიც გლობალურ სივრცეში ხელშეუხებელი რჩება. თანამედროვე მსოფლიო ვითარდება, როგორც ერთიანი სისტემა, რომლის ფარგლებში თანაარსებობენ ტრანსნაციონალური კომპანიები და ეროვნული ეკონომიკური საწარმოები. ტრანსნაციონალურ საწარმოთა სისტემა ზემოქმედებს ეროვნული ეკონომიკების განვითარებაზე. ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და სახელმწიფო საწარმოებს სრულიად განსხვავებული მიზნები გააჩნია. მათი საერთო მიზანია ახალ ბაზრებზე დამკვიდრება.

ტრანსნაციონალური კომპანია მსხვილი ბიზნესია, რომელიც დაფუძნებულია განვითარებულ ქვეყანაში. მსოფლიოში 500 მულტიეროვნული კომპანიაა, რომელთა ნახევარზე მეტი ეკუთვნის აშშ-ს, ერთი მეექვსედი – იაპონიას, ერთი მეათედი – ინგლისს. ამასთან, 1990-იანი წლებიდან ასევე გაიზარდა განვითარებადი ქვეყნების (მაღალიზია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი) ტრანსნაციონალური ბიზნესი.

ტრანსნაციონალური კორპორაციები უმწვავესი კონკურენციის ზეგავლენით, იძულებული არიან, მაქსიმალურ მოგებაზე იყვნენ ორიენტირებული და დაიპყრონ ბაზრები. ამიტომ ისინი თავიანთ საქმიანობას ისეთ ქვეყნებში ახორციელებენ, სადაც სამუშაო ძალა და ბუნებრივი რესურსები იაფია. მათ გააჩნიათ ულტრათანამედროვე საკადრო, საინფორმაციო და ტექნოლოგიური რესურსები. ამიტომ ეროვნული სახელმწიფო საწარმოები მათ კონკურენციას ვერ უწევენ. თვით სახელმწიფოც იძულებულია, რიგ დათმობებზე წავიდეს და გააფორმოს მათთან კაბალური კონტრაქტები, მინიმალური სარგებლის ტარიფების, ტექნოლოგიური, ექსპერტიზის, ტექნიკური აღჭურვილობის, საინვესტიციო კაპიტალის და სხვა სახით.

დღეს სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება გლობალიზაციის ზეგავლენის გაძლიერება საწარმოების ფუნქციონირებაზე საერთოდ და კერძოდ, სახელმწიფო საწარმოებზე. ეს ზეგავლენა განსხვავებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო საწარმოებზე და თვისებრივად აისახება მათი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებზე. ბუნებრივია, განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო საწარმოებს უჭირთ გლობალურ გამოწვევებზე ადაპტირება, რაც იწვევს მათი საქმიანობის არასტაბილურობას.

სახელმწიფო საწარმოები ექცევიან ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საბანკო სტრუქტურების ზეგავლენის ქვეშ. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზარზე ეს კორპორაციები აკონტროლებენ საერთაშორისო ვაჭრობას და ლიდერობენ კომერციული მნიშვნელობის მქონე ინოვაციების (ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და ახალი ორგანიზაციული ფორმების) წარმოებაში.

გლობალიზაციის ეპოქაში ტრანსნაციონალური კაპიტალის, ბაზრებისა და კომუნიკაციების გაკონტროლება ვეღარ ხერხდება ცალკეულ სახელმწიფოებრივ ტერიტორიულ საზღვრებში, დგება ზესახელმწიფოებრივი მმართველობის შემოღების საკითხი. ქვეყნების ტერიტორიული მმართველობა ვეღარ აკონტროლებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საინფორმაციო, საკომუნიკაციო და შეიარაღების ტექნოლოგიებთან, გლობალურ ეკოლოგიურ ცვლილებებთან, გლობალურ ბაზრებთან და ა.შ.

დღეს ცალკე აღებული ერთი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება აქ ერთადერთი დომინანტი ძალა აღარაა სახელმწიფო საწარმოთა მმართველობაში. კაპიტალის ტრანსნაციონალური დინება და უახლესი ტექნოლოგიები ასუსტებს მათ ეკონომიკას. უმეტეს შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნების (რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება) მთავრობები თავიანთ ტერიტორიებზე ფუნქციონირებადი ტრანსნაციონალური კორპორაციებისგან საკონტროლო პაკეტს ვერ დებულობენ, რის გამოც ისინი კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ძლიერი სამთავრობო ინსტიტუტების შექმნა, რათა ქვეყანამ და იქ არსებულმა სახელმწიფო საწარმოებმა გაუძლოს გლობალიზაციის ახალ შემოტევებს.

ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა დღევანდელ მსოფლიოში ჩინეთის ეკონომიკის არსებული მდგომარეობა, რაც განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს და განპირობებულია შემდეგი სტრატეგიებით:

- მან უარი თქვა „შოკურ თერაპიასა“ და დერეგულაციაზე და გამოიყენა კეინზის პრინციპი, განახორციელა მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის პრივატიზაცია, ხოლო მსხვილი ბანკები და სხვა სტრატეგიული ობიექტები სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვა. ეს კი მთავრობის მიერ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ზრუნვის საუკეთესო ბერკეტი აღმოჩნდა;

- ჩინეთმა კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის გამოყენებით შეძლო მსოფლიო ბაზრების დაპყრობა. მან აქცენტი გააკეთა პატენტების წარმოებასა და პროდუქციის დაბალ თვითღირებულებაზე კონკურენტუნარიანობის გაზრდით (ნაცვლად საკუთარი ბრენდების შექმნისა, რაც საკმაოდ დიდ დროსა და რესურსებს საჭიროებდა);

- მან პრიორიტეტი მიანიჭა განათლებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რისი წყალობითაც განავითარა და დანერგა უახლესი ტექნოლოგიები;

- თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით მან გაზარდა კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ არსებული ტენდენციების შენარჩუნებით, ჩინეთი 2025 წლისათვის მთლიანი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობითა და შემოსავლებით გაუსწრებს აშშ-ს. ჩვენი აზრით, ჩინეთის გამოცდილების მეცნიერული შესწავლა და შემდგომ მისი გამოყენება ჩვენი ქვეყნის განვითარების არსებული დონისა და პირობების გათვალისწინებით, საკმაოდ კარგ ეფექტს მოგვცემდა.

კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო ტექნოლოგიის განვითარებამ ხელი შეუწყო პროდუქციის, მომსახურებისა და კაპიტალის მობილურობას. განვითარებული ქვეყნები აფართოებენ მსოფლიო ბაზრებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციისათვის, რისთვისაც იყენებენ განვითარებად ქვეყნებში არსებულ იაფ მუშახელსა და ბუნებრივ რესურსებს. ისინი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების მეშვეობით განვითარებად ქვეყნებს ტარიფების შემცირებას აიძულებენ სახელმწიფო



საწარმოების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. ეს ინვესტორებს აძლევს კოლოსალურ მოგებას, განვითარებად ქვეყნებს კი ზარალს.

ამჟამად თანდათანობით მიმდინარეობს ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების შერწყმა ტრანსნაციონალურ ბიზნესთან, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიის დიზაინს, მეცნიერულ კვლევებს, პროდუქციის წარმოებას, მიწოდებასა და დისტრიბუციას, რაშიც დიდ როლს თამაშობს სატელიტური კავშირები, უახლესი სატრანსპორტო საშუალებები და მედია. ტრანსნაციონალური კორპორაციები დებენ ინვესტიციებს უცხო ქვეყნების ეკონომიკაში, რაც გამოიხატება როგორც ადგილობრივი კომპანიების შესყიდვაში, ისე ახალი წარმოების ან მომსახურების საქმიანობის განხორციელებაში.

გლობალიზაციის ეპოქაში უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიები ზღუდავენ ადგილობრივი წარმოების განვითარებას. თუმცა თეორიულად, ყველა ქვეყანას (და აქ არსებულ სახელმწიფო საწარმოებს) გააჩნია კონკურენტულობის განვითარების შესაძლებლობა. ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას ცოდნის კომერციალიზაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აუცილებელი გარემო, განვითარდეს ეროვნული წარმოება და ბიზნესი.

ცოდნისა და ინფორმაციის დღევანდელ ეპოქაში კონკურენცია (ინდივიდუალურ თუ სახელმწიფო დონეზე) მოითხოვს განათლებისა და მეცნიერული კვლევების ორიენტირებას მაღალ სტანდარტებზე, გლობალურ გარემოში კონკურენტულობის მისაღწევად. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრირება. ამასთან, ქვეყნის მთავრობამ უნდა განახორციელოს ეფექტიანი კონკურენტული სტრატეგია.

ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია იმგვარი მიკრო და მაკროეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდას გლობალურ სივრცეში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ., არევაძე ნ., სარჩიმელია რ., მელაშვილი მ. „ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები“, გამ. „უნივერსალი“, თბილისი, 2004.
2. ასათიანი რ., ასათიანი ს. „ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია“, გამ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009.
3. ივანიაშვილი გ. „გლობალიზაცია და ერი – სახელმწიფოს მომავალი: ერი – სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგია გლობალიზაციის ეპოქაში“. დისერტაცია, თბილისი, 2008.
4. კვესელავა ე., შუბითიძე ვ. „პოლიტოლოგია“. თბილისი, 2009.
5. მელიქიძე ვ. „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, გამ. „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, თბილისი, 2006.
6. ჯამაგიძე ლ. „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში“ დისერტაცია, თბილისი, 2008.

*Melashvili Medea*

### **EFFECTS OF GLOBALIZATION ON THE PERFORMANCE OF THE STATE ENTERPRISES SUMMARY**

Globalization has significantly changed the rules of governance in the world. These changes are of so great importance that particular states cannot govern their own national economies. In the epoch of globalization the central governments are not the only source of regulation for the state enterprises.

National corporations are unable to compete with the international corporations. The latter influence the national economies.

In terms of the current tendencies it is important to create the environment that encourages the commercialization of theoretical knowledge. Along with these measures it is essential to conduct such macro and microeconomic reforms that will result in the increase of the competitiveness of the national enterprises in globalised world.

*Орлова Валентина*

## **ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ КРЕДИТОВАНИЯ СУБЪЕКТОВ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА**

В современных условиях экономического развития существенно актуализировалась проблема развития малого бизнеса. Это обусловлено рядом взаимоувязанных причин. Во-первых малый бизнес как институциональный сектор экономики давно стал доминирующим по численности и объемам производства в ведущих странах мира. Во-вторых, кризис мировой экономики негативно повлиял на внешние рынки сбыта. В-третьих, кризис мировой экономики негативное влияние оказал на рост отдельных национальных экономик. Больше всего посткризисная рецессия отразилась на малом бизнесе, поскольку малый бизнес не имеет достаточных резервных ресурсов и страховых инструментов для самостоятельного преодоления кризисного давления. При этом, одним из главных препятствий на пути деятельности субъектов малого бизнеса в условиях кризиса является отсутствие достаточных объемов финансовых ресурсов.

Актуальность проблемы кредитования субъектов малого и среднего бизнеса в посткризисный период нашла отражение в исследованиях отечественных и зарубежных ученых и практиков. Значительный вклад в раскрытие этой темы внесли: С. Аржавитин [1], О. Дзюблюк [2], И. Волошин [3], А. Папаика [4], С. Арбузов [4], А. Семик [5], Синкли Дж. [6], и другие ученые. Вместе с тем, исследования научных источников и анализ современной практики кредитования субъектов отечественного малого бизнеса показали, что проблемы банковского кредитования малого бизнеса не решены в полной мере. В научных трудах эти проблемы исследуются фрагментарно, в связи с чем возникает необходимость дальнейшего усовершенствования работы банков в части кредитования субъектов малого и среднего бизнеса, которые имеют большое значение в деятельности банков. В связи с этим возникает необходимость дальнейшего усовершенствования управления кредитованием субъектов малого бизнеса.

Мировой опыт свидетельствует о том, что высокоэффективная экономика оптимально объединяет деятельность крупных, средних и малых предприятий, а также физических лиц – субъектов предпринимательства. Исследования дают возможность утверждать, что развитие малого и частного предпринимательства является индикатором, с помощью которого можно судить о степени открытости рыночной экономики, о независимости и ответственности субъектов хозяйствования, об уровне их предпринимательской культуры и этики, а так же закреплении частной собственности.

Кроме того малый и средний бизнес имеет свои преимущества в приспособлении к условиям рыночной экономики. Так малые и средние фирмы как правило, входят в рынок избегая таких проблем как наличие значительной кредиторско-дебиторской задолженности, что характерно для крупного бизнеса.

Вместе с тем, мировой опыт свидетельствует, что субъекты малого бизнеса не располагают крупными собственными ресурсами, в тоже время возможности получить банковский кредит довольно ограничены по целому ряду причин. Наиболее распространенной причиной является незаинтересованность банков в выдаче небольших по размерам займов, так называемых микрокредитов. И не менее важной причиной является то, что процедура принятия банками соответствующего решения относительно микрокредитования субъектов малого и среднего бизнеса

носит относительно сложный характер. Вместе с тем микрокредиты существенно отличаются от обычных банковских кредитов поскольку у микрокредитов меньший размер, более короткие сроки погашения, для их оформления требуется относительно минимальное количество документов и в качестве обеспечения применяется не только ликвидационный залог, но и деловая репутация получателя микрокредита. Все это способствует работе банков в динамичном режиме, так как кредиты субъектам малого бизнеса предоставляются, своевременно погашаются, определенная их часть переходит в категорию просроченных. Кроме того спрос на микрокредиты, как и на кредиты для крупных клиентов банков во многом зависит от процентных ставок и требований к клиентам банков. В целом микрокредиты играют немаловажную роль как в развитии малого бизнеса так и в повышении эффективности деятельности непосредственно банков. Например, на Украине по данным финансового состояния на 01.01.2011 год абсолютная сумма кредитов, предоставленных физическим лицам в общем объеме кредитов, выданных клиентам банков, возросла по сравнению с предыдущим годом на 3,2 %. При этом доля микрокредитов в общем объеме выданных кредитов банками по состоянию на 01.01.2011 г. снизилась и составила 33 % против 36 % по состоянию на 01.01.2012 г., что свидетельствует о том, что микрокредитование на Украине является достаточно распространенным и достаточно управляемым [7]. С целью повышения эффективности микрокредитования, банки заинтересованы в формировании информации, позволяющей устанавливать параметры кредитования. При этом обрабатывать огромные информационные массивы о клиентах банков – субъектах малого и среднего бизнеса и о населении не автоматизированным способом не представляется возможным и целесообразным. В нынешних условиях инновационного развития технологий формирования и обработки различной информации банки используют автоматизированные информационные и информационно-аналитические системы. По мнению И. Волошина, розничное кредитование требует использования мощных аналитических средств, входящих, например в бизнес-интелидженс – системы, как инструменты, которые используются для преобразования, хранения, анализа, моделирования, оптимизации и доставки информации с целью принятия управленческих бизнес-решений [3].

Исследование проблемы управления банковским кредитованием малого и среднего бизнеса так же позволяет сделать вывод о том, что процесс кредитования малого и среднего бизнеса отличается от стандартного процесса предоставления кредитов, оперативностью, комплексом финансовых услуг, объединенных таким механизмом кредитной поддержки малого и среднего бизнеса как микрофинансирование. Микрофинансирование, кроме микрокредитов включает целый комплекс финансовых услуг таких как: депозиты, страховые продукты, льготное кредитование, софинансирование, предоставление гарантий на получение кредита, венчурное финансирование, аудиторско-консалтинговое обслуживание и др.

Учитывая прогнозы ведущих экономистов малый и средний бизнес является одним из наиболее перспективных в ближайшем будущем. Однако, кроме благоприятных условий относительно банковского кредитования для дальнейшего развития малого и среднего бизнеса необходима государственная поддержка, как в вопросах обеспечения льготными ресурсами, так и предоставлении определенных налоговых льгот как субъектам малого бизнеса – заемщикам так и банковским учреждениям – кредиторам малого и среднего бизнеса, что будет способствовать удешевлению банковских кредитов, предоставляемых субъектам малого и среднего бизнеса. В условиях действия Налогового кодекса целесообразно урегулировать:

1. Финансовые результаты деятельности банковской системы Украины свидетельствуют о том, что на протяжении 2009-2011 гг. в целом банковская система Украины являлась убыточной не смотря на то, что объем чистых убытков сократился на протяжении анализируемого периода от 31469,3 млн. грн. до 7708,7 млн. грн. (табл. 1).

**Таблица 1. Финансовые результаты и расходы на уплату налога на прибыль коммерческими банками Украины (построено за данными 7)**

Период	Расходы на резервы под задолженность по кредитам млн. грн.	Прибыль до налогообложения млн. грн.	Расходы на налог на прибыль млн. грн.	Чистая прибыль млн. грн.	Резервы под обесценивание кредитов млн. грн.
2009	65865,7	- 32120,9	651,6	- 31469,3	107186,8
2010	46107,3	- 13111,5	129,5	- 12982,0	139626,7
2011	35483,0	- 6496,8	- 1211,9	- 7708,7	147762,7

Данные таблицы 1 свидетельствуют о том, что основной причиной убыточности банковских учреждений является формирование в 2009-2011 гг. страховых резервов в значительных объемах. При этом расходы по кредитным операциям в 2011 году все же снизились на 10624,3 млн. грн. и составили 35483,0 млн. грн. что свидетельствует о повышении качества кредитных портфелей банков. Стоимость резервов под обесценивание кредитов на протяжении 2009-2011 гг. увеличилась из 107186,8 млн. грн. в 1,38 раза. Считаем, что путем определенных манипуляций в процессе формирования страховых резервов, прибыль банковских учреждений довольно легко минимизировать. Поэтому считаем, что в условиях действия Налогового кодекса Украины с целью правомерного отнесения на расходы сумм страховых резервов банковскими учреждениями, целесообразно усовершенствовать механизм администрирования налога на прибыль банков. Прежде всего целесообразно урегулировать вопрос переноса убытков прошлых лет на будущие периоды.

2. Данные таблицы 1 свидетельствуют о том, что согласно законодательству Украины коммерческие банки ежегодно формировали резервы под возмещение возможных расходов по всем видам кредитных операций. Вместе с тем Налоговым кодексом Украины, введенным в действие с 01.01.2011 года, снижен норматив создания банками страховых резервов за счет валовых расходов. Начиная с 01.01.2012 г. этот норматив не может превышать 20 %. На наш взгляд, эту норму воспринимать однозначно не представляется возможным, поскольку она может привести к снижению гарантированных сумм возврата денег вкладчикам банков.

3. Требуется дальнейшего реформирования механизм начисления и уплаты налога на прибыль в госбюджет банковскими учреждениями. Согласно таблицы 1, на протяжении 2009-2010 гг. расходы на налог на прибыль в целом по банковской системе Украины носил положительный характер и уменьшал чистые убытки банков, однако в 2011 году сумма налога на прибыль имела отрицательное значение (- 1211,9 млн. грн.). На протяжении анализируемого периода у банковских учреждений возникали отсроченные налоговые активы и налоговые обязательства, при этом порядок отражения в бухгалтерском учете банков отсроченных налоговых активов и налоговых обязательств был установлен Инструкцией, утвержденной Постановлением Правления Национального банка Украины от 17.03.2009 г. № 140. Согласно указанной Инструкции отсроченный налог на прибыль – сумма налога на прибыль, признанная отсроченным налоговым обязательством и отсроченным налоговым активом. Считаем, что с целью стимулирования субъектов малого бизнеса, целесообразно законодательно установить снижение ставки по налогу на прибыль по кредитным операциям предоставленным субъектам малого бизнеса, осуществляющим свою деятельность в производственной сфере и других приоритетных сферах экономики.

Таким образом, проблема кредитования субъектов малого и среднего бизнеса заслуживает дальнейшего исследования с учетом государственной стратегии развития малого и среднего бизнеса и перспектив дальнейшего усовершенствования системы налогообложения.

## ЛИТЕРАТУРА

1. Аржавитин С. Финансово-кредитные методы государственного регулирования экономики – К: Институт экономики НАНУ, 2003. – 245 с.
2. Дзюблюк О. Проблеми забезпечення ефективного функціонування банківської системи в перехідній економіці // Вісник Національного банку України. – 2005. - № 3. – С. 30-35.
3. Волошин І. Оптимальне управління роздрібним кредитуванням банку // Вісник Національного банку України. – 2010. - № 5. – С. 12-15.
4. Сомик А., Жуйков С. Сучасний стан та напрями стимулювання розвитку банківського інвестиційного кредитування в Україні // Вісник Національного банку України. – 2010. - № 7. – С. 28-34.
5. Папаїка О.О., Арбузов С.Г. Фінансовий механізм розвитку іпотечного ринку: Монографія / О.О. Папаїка, С.Г. Арбузов; ДонНУЕТ імені Михайла Туган-Барановського. Донецьк, 2010. – 230 с.
6. Синкли Дж., мл. Управление финансами в коммерческих банках. – М.: Catal-Laxy, 1994. – 820 с.
7. Данные финансовой отчетности банков Украины // Интернет – источник: [http://www.bank.gov.ua/Bank\\_supervision/index.htm](http://www.bank.gov.ua/Bank_supervision/index.htm).
8. Выкпедия. Свободная энциклопедия. Business Intelligence // Интернет – источник: [http://ru.wikipedia.org/wiki/Business\\_Intelligence](http://ru.wikipedia.org/wiki/Business_Intelligence).

*Orlova Valentyna*

### PROBLEMS AND POTENTIAL OF CREDIT PROVISION FOR SMALL AND MEDIUM BUSINESS ENTITIES SUMMARY

Problems and potential of improvement in credit provision management for small business entities are considered. Proposals are worked out for disposal of the rules of the Tax Code of Ukraine concerning profit taxation of financial institutions taking into account small and medium business growth policy.

*ნუგზარ პაიჭაძე*

### თანამშრომელთან უკონფლიქტოდ მუშაობის ხელოვნება

კონფლიქტები, როგორც საქმიან ურთიერთობებში წინააღმდეგობათა გადალახვის ფორმა, გარდაუვალია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი. საქმე ისაა, რომ ისინი იძლევიან ინფორმაციას ორგანიზაციის პრობლემებზე. მათივე დახმარებით შეიძლება ორგანიზაციაში მიმდინარე ფარული პროცესებისა და თანამშრომელთა სასარგებლო თვალსაზრისის გამოვლენა და ა. შ.

კონფლიქტების სახეები, მათი წარმოშობის მიზეზები, შინაარსი და გადაჭრის გზები დიდადაა განპირობებული ორგანიზაციების მმართველობითი სტრუქტურით, რომელსაც 20 საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. ეკლესიასა და არმიაში საწყისადებული მისი პირამიდული ფორმა დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ლოგიკურად და პასუხობდა ორგანიზაციებში არსებულ ობიექტურ პირობებს. საზოგადოებრივი პირობების ცვლილებების შედეგად ასეთი მმართველობითი სტრუქტურის ეფექტიანობა უკვე საჭკვო გახდა, რაც ძირითადად გამოწვეულია ორგანიზაციების სტრუქტურირებაზე ისეთი ახალი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორცაა: განათლება, მორალის (ტრადიციული გაგებით) დაქვეითება, საზოგადოებრივი და პირადი იდეალები და სხვ. მოკლედ ამ ყველაფრის შესახებ: საქმე ისაა, რომ შრომის პროცესის უმარტივეს ოპერაციებად დანაწილებამ თავის დროზე დადებითი შედეგები მოიტანა. დღეს კი სპეციალისტი ხშირად იძულებულია, შეასრულოს პრიმიტიული ფუნქციები და რუტინული სამუშაოები. სწორედ აქ წარმოიშობა მომუშავეთა დაუკმაყოფილებ-

ლობა და პროტესტები, რამდენადაც, თანამედროვე განათლებისა და ცხოვრების სტილის გავლენით, ხარისხობრივი ცვლილებები განიცადა მომუშავეის მოთხოვნილებებმა და მოტივებმა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია მაღალგანათლებული სპეციალისტების უკმაყოფილება, რომლებიც იძულებულნი არიან, ასეთი სამუშაო შეასრულონ. დღეს, სამწუხაროდ, არის რიგით თანამშრომელთა არც ისე მცირე ნაწილი, რომელთა განათლება საკმაოდ კარგია, ხოლო იმ საქმის ცოდნა, რასაც აკეთებენ უფრო ღრმა, ვიდრე აქვს მათ შეფს, მაგრამ ყველა იძულებულია მუდმივად შეასრულონ მათი განკარგულებები. როგორც ვხედავთ, სახეზეა აშკარა დაშორება მაღალკვალიფიციურ თანამშრომელთა ორგანიზაციაში დაკავებულ მდგომარეობასა და მათ მიერვე შეცნობილ საკუთარ შესაძლებლობებსა და ამბიციებს შორის. ცხადია, ყოველივე ეს წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციას. საერთოდ, ორგანიზაციებში ადამიანთა საქმიანობის დიფერენციაციის ზრდა და შრომის დანაწილება თავისთავად შეიძლება იყოს კონფლიქტის წარმოშობისა და გაფართოების მიზეზი. რაც მეტია ორგანიზაციული დონეები, როგორც წესი, მით მაღალია შრომის დანაწილების ხარისხი, მით მეტია ერთ კონკრეტულ დავალებაზე თანამშრომელთა ყურადღების გამახვილებისა და საერთო ამოცანებისა და მიზნებისაგან დაშორების საშიშროება, მით უფრო ძლიერია ბრძოლა დამატებითი რესურსებისათვის სტრუქტურულ განყოფილებებს შორის. შრომის დანაწილების გარდამავლობა დაკავშირებული კონფლიქტების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზია თანამშრომელთა მოვალეობებისა და უფლებების არამკაფიოდ განაწილება. ხშირად ხდება ისე, რომ სხვადასხვა თანამდებობრივ პირთა სამსახურებრივი მოვალეობები ერთმანეთს ემთხვევა. ეს კი იწვევს თანამშრომელთა დაბნეულობას, გაუგებრობასა და, საბოლოო ანგარიშით, ერთმანეთს შორის კონფლიქტს.

მეორე ფაქტორია მორალის (ტრადიციული გაგებით) დაქვეითება. მორალი ყოველთვის ითვლებოდა ადამიანთა მადისციპლინირებულ საწყისად. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ღმერთი და მისადმი რწმენა და ა. შ. დღეს კი თანამედროვე ადამიანთა დიდი ნაწილი უკვე არაა დარწმუნებული იმაში, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერს მართავს. იგი რომც ხედავდეს, მათი გაგებით, მთავარია, შეფმა არ გაიგოს იმაზე, რომ სამუშაო პერიოდში თანამშრომელთა მხრიდან ადგილი აქვს გარკვეულ დისციპლინურ დარღვევებს. მაგალითად, ხშირად ისინი (თანამშრომლები) ხანგრძლივი დროით საუბრობენ ტელეფონზე ფირმის ხარჯზე ან სამუშაო დრო იხარჯება “მოგზაურობებზე“ გასართობ ინტერნეტსაიტებზე და სხვ. როგორც უკვე ითქვა, მთავარია ამის შესახებ არ გაიგოს შეფმა. სხვაგვარად კონფლიქტი გარდაუვალია.

მესამე ფაქტორი კი საზოგადოებრივი და პირადი იდეალებია. რწმენა წესიერებაში ახლო ნათესაობაშია სამყაროს აგების რელიგიურ წარმოდგენებთან. სანამ იერარქიული პირამიდა შეესაბამებოდა “მოდელებს“: უფროსი – ქვეშევრდომი, სამხედრო მეთაური – ჯარისკაცი, პატრონი – შინაყმა, მამა – ოჯახის სხვა წევრები, მასწავლებელი – მოსწავლე და ა. შ., მაშინდელი გაგებით, სამყარო იყო წესრიგში. ზემოაღნიშნული იერარქიული პირამიდა იყო ხელშეუხებელი, რომელიც შემდგომ სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას. ასპარესზე გამოვიდა კრიტიკული, ჯიუტი, ჭირვეული და ამბიციური თანამედროვე ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი ინტერესები და მიზნები. თანამშრომელთა ინტერესები ზოგჯერ არ ემთხვევა ორგანიზაციებისა და, შესაბამისად, მისი ხელმძღვანელების ინტერესებს. ეს კი ხშირად კონფლიქტის წარმოშობის მიზეზია. რწმენის კრიზისთან ერთად, შეტორტმანდა თვით იერარქიული წესრიგი. ამან კი შედეგად მოიტანა ადამიანთა მოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალის – რწმენის შეცვლა შიშით. ფაქტობრივად, ორგანიზაციული სტრუქტურა შენარჩუნდა, მაგრამ გაიზარდა დაძაბულობა ადამიანთა შორის.

ბუნებრივად ისმის კითხვა – რა პირობებში აღწევენ ადამიანები მაღალ შედეგებს და რა პირობებში ცდილობენ ისინი თავი აარიდონ სამუშაოს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დახმარების აღმოჩენა ყველაზე უკეთ შეუძლიათ ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს.

მაგალითად, 1927–1936 წლებში ილინოისის შტატის ქ. ჩინეროში კომპანია “ვესტერნ ელექტრიკის“ კოტორნის ქარხანაში ფრიც როტლისბერგერისა და სხვათა მიერ ჩატარებული გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ადამიანებს მოსწონთ, როცა ხელმძღვანელობა ინტერესდება მათი შესაძლებლობებითა და საქმიანობის შედეგებით. ამაში ისინი ხელავენ თავიანთ დანიშნულებას, რაც ზრდის მათ ენთუზიაზმს. ეს კი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადამიანური ურთიერთობების ცნობილმა მკვლევარმა დუგლას მაკ გრეგორმა კიდევ უფრო განავითარა აღნიშნული დებულება და გააკეთა შემდეგი დასკვნები: ა) ადამიანები ისწრაფიან შედეგებისადმი და მობილიზაციას უკეთებენ ვეებერთელა შინაგან ენერჯიას, როცა დაინტერესებულები არიან თავიანთი მიზნების შესრულებით; ბ) სწორი ხელმძღვანელობისას ისინი არ გაურბიან თავიანთ პასუხისმგებლობას; გ) წარმატებითა და აღიარებით მიღებული სიამოვნება, შრომისათვის მათ მზადყოფნაზე უფრო მეტ ქმედით გავლენას ახდენს, ვიდრე ხელფასის ან ფულადი პრემიის მატება; დ) საშუალო ადამიანიც კი განსაცვიფრებლად მდიდარია სხვადასხვა იდეით<sup>1</sup>.

ეკონომიკისა და მისი ცალკეული დარგის განვითარებაში ხშირად წარმოიშობა ამა თუ იმ სახის სიძნელე. მისი მიზეზი შეიძლება იყოს დასაქმების არარაციონალური სტიმულირება, სუსტი დისციპლინა და მომუშავეთა დაბალი დაინტერესება, დაბალი მორალი და სხვ. ყოველივე ეს, როგორც წესი, მომუშავეებში იწვევს აგრესიულობის გაზრდას და გულგრილობას, დაძაბულობას პიროვნებათაშორის ურთიერთობებში და კომუნიკაციებში სერიოზულ დარღვევებს. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გასაღები თვით ორგანიზაციის განვითარებაშია. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მივადწიოთ, რომ ადამიანებმა თავიანთ მოღვაწეობაში დაინახონ საერთო თავიანთ მიზნებთან. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ამ მიზნების მიღწევა შეიძლება ორგანიზაციის თითოეული წევრის ძლიერი მხარეების ამოქმედებით. ადამიანებმა უნდა ისწავლონ ერთმანეთთან თანამშრომლობა, აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ორგანიზაციის ასეთი განვითარება შრომის ჰუმანიზაციის ძირითადი პირობაა.

ორგანიზაციის განვითარება ადვილი ამოცანა არ არის. მის მისაღწევად, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია, შრომითი კოლექტივი ორგანიზაციულად კარგად იყოს შეკრული და ადამიანებს შორის არსებობდეს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ნორმალური და ცივილიზებული ურთიერთობა. ასეთ კოლექტივებში უფრო ხშირად იბადება ახალი იდეები, შესამჩნევად მცირდება დანახარჯები და, საბოლოო ანგარიშით, ვითარდება ორგანიზაცია. ყოველივე ამის რეალურად განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანთა საქმიანობის ეფექტურად მართვის პირობებში. მართვა კი ადამიანთა ისეთი ხელმძღვანელობა და წარმოების საშუალებების ისეთი გამოყენებაა, რომელიც დასმული ამოცანების შესრულების საშუალებას იძლევა ჰუმანური, ეკონომიკური და რაციონალური გზით. მართვის პროცესი ყოველთვის შემოქმედებითი პროცესია. იგი მუდმივად მოითხოვს ახალ იდეებს და მზადყოფნას სრულყოფისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მართვაში თითოეული შეცდომის ღირებულება დიდი ფინანსური დანაკარგებია. კიდევ უფრო მეტი, იგი უარყოფითად მოქმედებს კონკრეტული მმართველისადმი დაქვემდებარებულ ადამიანებზე. შედეგად, მათ არ სურთ სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და იმუშაონ სრული მონდომებით. ეს კი ხშირად წარმოშობს კონფლიქტებს. მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, ხელმძღვანელისათვის (მენეჯერისათვის) ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა უნდა იყოს მომუშავის უნარისა (შესაძლებლობისა) და კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა მის შესასრულებელ ფუნქციასთან. თუ კვალიფიკაცია არასაკმა-

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით იხილეთ წიგნში: თემურ ხომერიკი, მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 26-29.

რისია, აუცილებელია მომუშავის დაინტერესება მის ამდღებაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მან (კვალიფიკაციამ) გადააჭარბა მოცემულ სამუშაო ადგილზე მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, საჭიროა მისი მფლობელი მომუშავის გადაყვანა შესაფერის სამუშაო ადგილზე. საქმე ისაა, რომ უფრო მეტი ცოდნის, უნარ-ჩვევების, წარმოებრივი და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანებს სურთ თავიანთი შესაძლებლობა გამოიყენონ მათ მიერ დაკავებულ თანამდებობაზე. ცხადია, მათი დაკმაყოფილებულობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახერხებენ ისინი ამის მიღწევას. სამწუხაროდ, ხშირად ეს ვერ ხერხდება და თანამშრომელი ამას აღშფოთებით პასუხობს, სრული მოცულობით არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ხდება დაუდევარი, გულგრილი და ჯიუტი. სწორედ ამ მოვლენით აიხსნება ხელმძღვანელთა ბევრი ჩივილი თანამშრომელთა დაუინტერესებულობასა და ინერტულობაზე. ბუნებრივად ისმის კითხვა – რა არის გამოსავალი? პასუხი ნათელია: აუცილებელია თანამშრომლებს მიეცეთ მათი პოტენციალის შესაბამისი საქმიანობის სფერო. ეს სხვა არაფერია, თუ არა ფუნქციებისა და ამოცანების მუდმივი დელეგირება (არა მარტო რუტინულის და წმინდა ტექნიკურის). კარგმა შეფმა უნდა იცოდეს, როგორ გააკვალოს თავის დაქვემდებარებულთა გზა წარმატებისაკენ, როგორ გადააქციოს მისი სამუშაო საინტერესოდ, როგორ მისცეს მას შესაძლებლობა, დატკბეს წარმატებით, მისი აღიარებითა და დაჯილდოებით. ძნელია გაუგო ხელმძღვანელებს, რომელთაც არ შეუძლიათ თავის თანამშრომელთა მიმართ თქვან მადლობის თუნდაც ერთი სიტყვა და მსჯელობენ პრინციპით: პირველი მე, დანარჩენი უკან – შორს. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის ყველაზე იდუმალი (ფარული) სურვილია თვითგამოხატვა, თვითრეალიზაცია. მან იცის, რომ ამის მიღწევა შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შრომის საშუალებით. მისი სურვილია, ყოველ საღამოს სიამაყით შეხედოს განვლილ დღეს და თქვას: “ეს ჩემი შრომაა, მე მისი ნაწილი ვარ“. სამწუხაროდ, დღეს ყველა ასე არ ფიქრობს. ამის მიზეზი ხშირად ორგანიზაციაში არსებული სხვადასხვა კონფლიქტებია, რომელსაც ახლავს სტრესული სიტუაციებით, მუდმივი გადაღლითა და სამუშაო ადგილზე დაუტვირთაობით გამოწვეული ქრონიკული დაძაბულობები. ყოველივე ეს ხშირად გადაიზრდება კონფლიქტებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ავადმყოფობაში. მისი ძირითადი მიზეზებია: ცუდი მმართველობითი საქმიანობა, მოუწესრიგებელი საკადრო სამსახური, შრომის დანაწილების არაეფექტური სტრუქტურა და ა. შ. მათგან ყველაზე გავრცელებული მიზეზია ხელმძღვანელების მხრიდან თანამშრომელთა დამსახურების შეუფასებლობა, რამდენადაც, მოტივაციის თეორიის შესაბამისად, ადამიანები, რომლებსაც სათანადოდ არ აფასებენ, ცდილობენ აიღონ რევიანში. ასეთ პიროვნებებს სურთ გამოჩნდნენ მნიშვნელოვან ადამიანებად. განსაკუთრებულ აქტიურობას ავლენენ მაშინ, როცა წარმატებას აღწევენ არა ისინი, არამედ ვიღაც სხვა, რომელიც ხდება მათგან ყოველგვარი მტრული აქციების სამიზნე. როგორ უნდა მოიქცეს ხელმძღვანელობა მოცემულ შემთხვევაში? პასუხი მოკლეა: საჭიროა მკაფიო საინფორმაციო პოლიტიკის გატარება, საქმეთა კორექტული წარმოება, დისტანცია თანამშრომლებთან ურთიერთობაში, სწორი მოტივაცია. მსგავსი კონფლიქტური სიტუაციისას, ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს, აწარმოოს საუბარი მის ინიციატორთან. კარგად მოფიქრებული კითხვებით და საუბრის წარმართვით საჭიროა გამოვლინდეს მისი რეალური მოთხოვნილებები. მას უნდა აუხსნათ, რომ საუბარში მონაწილეობის მიღება შეუძლია მის მიერ დასახელებულ ყველა ადამიანს. ამ დროს მთავარია მსგავსი შეხვედრებიდან სწორი დასკვნების გამოტანა. ხელმძღვანელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს მიიღოს ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაუმართლებელ და ორგანიზაციისათვის საზიანო დათმობებზე წასვლა. უნდა გვახსოვდეს, რომ კონფლიქტების შესამცირებლად ბრძოლისას, ძირითადი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს მათ პრევენციაზე. ყველაზე უფრო სარიოზულ კონფლიქტთა თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, დაცული იყოს შემდეგი ძირითადი წესი: 1. მხარეები აღიარებდნენ



ერთიმეორეს; გასაუბრება წარმოებდეს შეწყვეტის გარეშე; 3. დემონსტრირება გაუკეთდეს სხვისი როლის გაგებას; 4. გაირკვეს მეორე მხარე როგორ აღიქვამს და როგორ გრძნობს ამ დროს თავს; 5. ცხადად ჩამოყალიბდეს განხილვის საგანი; 6. დადგინდეს საერთო თვალსაზრისი; 7. გაირკვეს მხარეთა განცალკევების მიზეზი; 8. ამის შემდეგ ისევ ჩამოყალიბდეს კონფლიქტის შინაარსი; 9. ეძიონ საერთო გამოსავალი; 10. მიიღონ საერთო “კომუნიკე“ (გადაწყვეტილება).

კონფლიქტის განხილვისას ხელმძღვანელი უნდა იყოს უაღრესად ყურადღებიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია შეცდომები და საკმაოდ უსიამოვნო შედეგები. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კონფლიქტის ფრთხილად განხილვა და, საჭირო შემთხვევაში, აუცილებელი ზომების მიღება. ხელმძღვანელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი ცოდნითა და გამოცდილებით იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლოს გაუმკლავდეს კონფლიქტურ სიტუაციებს. ამისათვის იგი უნდა ფლობდეს ინტუიციასა და საკმარის ცოდნას ფსიქოლოგიის სფეროში. ჯერ კიდევ კონფლიქტში მყოფ თანამშრომელთან გასაუბრებამდე მან უნდა გააცნობიეროს, რომ კონფლიქტი არაა ისეთი მოვლენა, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია მის მონაწილეთა სახელსა და ღირსებასთან, არამედ ცხოვრების ისეთი ნაწილია, რომლის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. ამასთან ერთად, თანამშრომელმა უნდა იგრძნოს ხელმძღვანელის მზადყოფნა – დაეხმაროს მას. ეს მას, თავის მხრივ, დაეხმარება პირველი შემხვედრი ნაბიჯის გადადგმაში. ერთ-ერთი ვარიანტია საუბრის ასე დაწყება: “მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ თქვენ ვიღაც გჩაგრავთ. თუ მე შემიძლია თქვენ დაგეხმაროთ, ამას სიამოვნებით გავაკეთებ. შეგიძლიათ მომმართოთ ნებისმიერ დროს.“ შემდგომი საუბრის პროცესში საჭიროა ხელმძღვანელმა ყურადღება მიაქციოს შემდეგ მომენტებს: ა) თანამშრომელს უნდა აგრძნობინოს, რომ იგი მისთვის საინტერესოა, რომ მის პრობლემას ის სერიოზულად ეკიდება; ბ) თანამშრომელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი პრობლემა არ გავა იმ შენობიდან, სადაც საუბრობენ და ის არ განიხილება როგორც დანაშაული; გ) თანამშრომელს უნდა მიეცეს თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება, საუბარი არ უნდა შეაწყვეტინო, თუნდაც იგი საუბრობდეს დიდხანს და პაუზებით. შეწყვეტინება ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი დემონსტრირებას უკეთებს თავის მოუთმენლობასა და თანამშრომლისადმი უპატივცემლობას; დ) თანამშრომელს უნდა დაესვას ისეთი კითხვები, რომლებიც დაეხმარება მას, დაინახოს თავისი პრობლემები. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წამოჭრილი პრობლემის გაუბრალოება. თუ ეს ასე არ მოხდება, იგი (თანამშრომელი) თავის თავს ჩათვლის თავმოყვარეობაშელახულად და უარს იტყვის ხელმძღვანელის ნებისმიერ დახმარებაზე. ყოველი მსგავსი ასეთი საუბრის მიზანია “თვითდახმარების“ სტიმულირება. თანამშრომელი ყოველთვის უნდა მიისწრაფოდეს, ხელმძღვანელის მხარდაჭერაზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს თავის პრობლემას. არ შეიძლება ხელმძღვანელმა თავის თავზე აიღოს მისი პრობლემა და მისცეს მას მზა გადაწყვეტილება. ასეთი მოქმედებით, ნებისთუ უნებლიეთ, ეუბნებიან რომ, მას, თავისი უსუსურობის გამო, არ შეუძლია გადაწყვიტოს თავისი პრობლემებიც კი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში თანამშრომელი ვერაფერს ისწავლის და ყოველთვის იქნება სიძნელეებთან ბრძოლაში. საქმე ისაა, რომ, თუ თანამშრომლის ქცევაში დომინანტია ლოდინი დახმარებაზე უფროსობის მხრიდან, იგი იქნება უფლებწართმეული – ისწავლოს. ამასთან ერთად, იგი რჩება მოწყალეების იმედზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მისი ქცევის დიაპაზონს.

თანამშრომლებთან კონფლიქტების შესამცირებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ (კონფლიქტების) სწორ მართვას. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია გამოყენებულ იქნეს კონფლიქტურ სიტუაციასა და კონფლიქტში მონაწილეთა ქცევაზე ზემოქმედების მეთოდთა მთელი კომპლექსი. უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია კონფლიქტის გინივრული მართვა

მისი წარმოშობის პირველი დღიდანვე, სანამ იგი არ გაძლიერდება და გადაიქცევა დესტრუქციულ ძალად. კონფლიქტების სწორად მართვისათვის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს შემდეგ ძირითად თვისებებს: არამთავრისაგან მთავრის განსხვავების უნარი, შინაგანი სიმშვიდე, ემოციური სიმწიფე, მოვლენებზე ზემოქმედების ზომის ცოდნა, პრობლემებისადმი სხვადასხვა თვალსაზრისით მიდგომის უნარი, სინამდვილის სწორი აღქმა, დაკვირვებულობა, მისწრაფება – გაუგო სხვებს, შორსმჭვრეტელობა და ა.შ. სწორედ ასეთი თვისებების მქონე ხელმძღვანელს შეუძლია მაქსიმალურად განმუხტოს თავის თანამშრომლებთან კონფლიქტური სიტუაციები და ორგანიზაციის მუშაობისათვის ნორმალური პირობები შექმნას, რაც მისი (ორგანიზაციის) ზრდისა და წარმატების უპირველესი საწინდარია.

*Paichadze Nugzar*

## MANAGEMENT ART OF DEALING WITH COLLEAGUES SUMMARY

The article analyzes factors affecting conflict situations with the workers of modern organization, such as: education, declining morals (in traditional understanding) and public and personal ideals. Various issues of relations of manager with conflicting co-workers are considered, including methodology of interviewing them. Special attention is paid to actual methods for the managers to deal with the workers who secure conflictless working environment in the organization.

*როლანდ სარჩიმელია*

### რისკი და მისი განმარტების თავისებურებები

წარსულიდან მომავალზე ექსტრაპოლაციით გაგრძელებული გამოცდილება (დაკავშირებული ფირმის დაგეგმვასა და მართვასთან, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან და ა.შ.) ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური სისტემის შექმნაში აქტიურად მონაწილეობს ისე, რომ დახვეწილი გამოცდილება დეტერმინირებული აზროვნების ლოგიკასაც ამკვიდრებს მოსახლეობაში, მაგრამ მათ გამჭვირვალობაზე უარყოფით გავლენას ახდენს მომავლის განუსაზღვრელობა, რომელსაც ორი აზროვნების ერთდროულად გამოყენების აუცილებლობა ამწვავებს:

**პირველი,** წარსულიდან მომავლისაკენ მიზანმიმართული დეტერმინირებული აზროვნება, რომელიც, როგორც პარადიგმა, ქვეყანაში დამკვიდრებულია და გავლენას ახდენს ეკონომიკის მომავალზე;

**მეორე** მომავლის განუსაზღვრელობითა და შემთხვევითი ფაქტორების გავლენით გადაწყვეტილების მიღებითაა განპირობებული, რომელიც რისკის ელემენტარულ განმარტებას იყენებს.

აღამიანი სიახლეების დამკვიდრებისაკენ მიისწრაფის, მაგრამ ზოგჯერ წინააღმდეგობრივია მისი აზროვნება. იგი ერთდროულად დეტერმინირებულ და განუსაზღვრელობით განპირობებულ აზროვნებებს ეყრდნობა, სადაც უმარტივესი გამოსავალი რისკზე ბრმად წასვლაა. მასში რისკის მიმზიდველობისა და ხიფათის ერთდროული მონაწილეობაც არის დაფიქსირებული. ხოლო რისკის მნიშვნელობის ზრდამ და მისი ხიფათის შემცირებისადმი ზრუნვამ რისკის შინაარსობრივი მხარის კვლევის აუცილებლობაც გამოიწვია.

აღამიანთა საზოგადოებაში (საერთოდ ქვეყანაში) დეტერმინირებული და შემთხვევითობით განპირობებული აზროვნების სიმრავლეა, რომელიც დროში რთულდება (ზოგჯერ სინერგიის ძალას იძენს). იგი სხვადასხვა მოდიფიკაციით ვრცელდება ქვეყანაში,

რომლის მონაწილე რისკი სიძნელეებს მეტწილად მექანიკურად განმუხტავს, რაც სახიფათოა (მაგრამ მაინც აუცილებელია).

საქართველოში, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, 21-ე საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, მეცნიერთა მოღვაწეობამ დეტერმინირებული აზროვნების დაჩქარებული გაძლიერებისა და გააქტიურების პირობები შექმნა. შემთხვევითი ფაქტორების სიმრავლის გავლენამაც იჩინა თავი (განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში). ისინი მოსალოდნელი საფრთხეებით რისკზე წასვლის აუცილებლობას ეჭვის ქვეშ აყენებენ (თუმცა, რისკზე რომ არ წახვიდე, ესეც რისკია. ასე რომ, „რისკს ვერ გაექცევი“).

რისკის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც მის განმარტებაში აისახება, ის არის, რომ რისკმა მოსალოდნელი კატასტროფის გამაფრთხილებელი ფუნქცია იკისრა, რასაც მოჰყვა რისკზე წასვლის მნიშვნელობის გაძლიერება, რათა განუსაზღვრელობით დამძიმებული სიახლეების მიმზიდველობით მოსახლეობა და ქვეყნის ეკონომიკა ბრმა რისკის მუდმივ მსხვერპლად არ გადაქცეულიყო.

გამოდის რომ, რისკის არსში გარკვევას მეცნიერული აზროვნება (იმას, რასაც ლოგიკა განაპირობებს) არ სჭირდება. ამასთან, კანონზომიერებებში ჩაწვდომა იქნება აუცილებელი და მთავარია ის, რომ რისკის მიმართ მიდგომა შეიცვალოს.

სანამ იმ პირობების დაზუსტება დაიწყება, რომლებიც რისკის ალტერნატივას განკარგავენ მიმზიდველობასა და ხიფათზე, საჭიროა ინფორმაციის მოპოვება „ცივი გონებით“, „ხედმეტი ემოციების გარეშე“, „ნაკლები დაძაბულობით“ და ა.შ.

რისკისათვის სხვა მხარეც არის დამახასიათებელი. მოსალოდნელია, რისკის სუბიექტმა რისკის შედეგების მიღება გამარტივებულად წარმოადგინოს (ან საერთოდ აზრობრივი ხედვით დაკმაყოფილდეს), ან იმაზე რთულად, ან იმაზე ბევრად ნაკლები „სიმძიმით“, ვიდრე იგი რისკის ობიექტისათვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევის უკეთესად გარკვევის მიზნით უმჯობესია, რისკის ამოცანა ახლებურად დაესვათ და რისკის სუბიექტი (პირველი მოთამაშე) და რისკის ობიექტი (ფიქტობრივი, მეორე მოთამაშე) ადამიანსა და ბუნებას შორის საქმიანი თამაშის მოდელის მსგავსად წარმოვადგინოთ.

როდესაც პირველი მოთამაშე რისკზე წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ მეორე მოთამაშის თამაშის შედეგი პირველი მოთამაშის მიერ ავტომატურად შეფასდება. ამ შემთხვევაშიც თამაშის სირთულე პირველი მოთამაშის გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობაზეა გადატანილი. მეორე მოთამაშე პასიურია, იგი, როგორც ფიქტობრივი მოთამაშე, „უძრავია“ და თამაშის შინაგან მხარეში არ ერევა, მისი ინფორმაცია უცვლელია და ამიტომ პირველმა მოთამაშემ სიტუაციაში გარკვევა უნდა შეძლოს, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ პირველი მოთამაშე დეტერმინირებული აზროვნებით მოქმედებს, ხოლო მეორე ალბათური (შემთხვევითი) ფაქტორებით არის დამუხტული, მათგან მას იმპულსი (მცირე დოზით) აქვს მიღებული, ხოლო რეალობაში მეტი ჩაწვდომა შეუძლებელია. ამიტომ, უმჯობესია, რისკის არსის გასარკვევად საკითხი დაესვათ მასთან თითქმის გაიგივებულ რისკზე წასვლასთან ერთად. რაც გამარტივებულია და სურვილის დონემდე მიყვანილია პირველ მოთამაშემდე, ხოლო მეორე მოთამაშე შემთხვევითი სიდიდის „მფლობელია“.

მათი ერთიანობის შედეგი რისკზე წასვლით გაირკვევა. მაგალითად, ქართულენოვან განმარტებით ლექსიკონში [1, გვ. 379] რისკი ახსნილია ცალკეული შემადგენელი ელემენტებით:

**ალაღბედზე მოქმედება; ბედის ცდა; სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა; რისკის გაწევა. რაც, მთლიანობაში, როგორც რისკის განმარტება, არ გამოდგება, მაგრამ მაინც რისკით გამოწვეულ ცალკეულ შემთხვევებზე წარმოდგენას ქმნის.**

ასე დაშლილად არის მოცემული რისკი და რისკზე წასვლა, როგორც განმარტება რისკზე. მთლიანობაში, მათი საშუალებით რისკის ფენომენზე ზოგადი წარმოდგენა შეიძლება მარტივად ჩამოყალიბდეს აზრობრივი მოდელით.

დღევანდელ საქართველოში რისკის გამოყენებასთან დაკავშირებით ეფექტიანი მიდგომა (როგორც მექანიზმი) ამოქმედებული არ არის. ეს ეხება რისკს მეწარმეობაში, დაზღვევაში და ა.შ. იგრძნობა, რომ ისინი უცხოეთში გამოცემული ლიტერატურის გავლენით ერთმანეთისაგან ძირითადად არ განსხვავდებიან. ეს საგანგაშო არ არის, მაგრამ ფაქტია ის, რომ ქართულენოვან განმარტებით ლექსიკონებში რისკთან დაკავშირებული ცნებები ერთმანეთთან უშუალოდ შეჯერებული არ არის, მაგალითად, რისკის თავისებურებების გარკვევასთან დაკავშირებით, ისიც ადგილობრივ პირობებში, მიზანმიმართულად. ისინი რისკის დაკონკრეტებისას განმარტებების დასახუსტებლად, დასაკონკრეტებლად და თანაც ზოგადობის დასაცავად არ გამოიყენება.

ამჟამად ცნობილია რისკის ცალკეული სახეები: რისკი მეწარმეობაში, საიდანაც გამოყოფენ ფირმის რისკს, ფინანსურ რისკებს და ა.შ. ესეც რისკის განმარტების დაკონკრეტების ცდაა.

გაჩერებულ ეკონომიკას აზრი რომ არ აქვს ეს იგრძნობა ქვეყნის ეკონომიკის დინამიზმსა და მასთან დაკავშირებულ გლობალიზაციით გაძლიერებულ პროცესებში. თვით რისკიც დინამიკური შინაარსისაა, იგი ეხება აწმყოდან მომავლის შეფასებას, დასახული მიზნის შესრულების პირობების დაცვას და შემთხვევით ფაქტორებზე დაყრდნობით ზარალის მინიმიზაციას.

საჭიროა კლასიკური დეტერმინირებული აზროვნების, როგორც დასაყრდენის, გამოყენება და თანაც, ნაწილობრივ მაინც, გადართვა ალბათურ აზროვნებაზე;

ამასთან დაკავშირებით რისკის მეცნიერებას გაძლიერება სჭირდება შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის სრულყოფით და რისკის მინიმიზაციით, რასაც იყენებენ ცალკეული შემთხვევებით გადაწყვეტილების მიღების თეორიაში. მათთან ერთად აუცილებელია რისკის განმარტების დაზუსტებაც როგორც მთლიანობაში, ასევე ეკონომიკაში, მედიცინაში, ტექნიკაში და ა.შ.

ასეთი მიდგომა ყოველთვის არ ამართლებს. პირიქით, მოსალოდნელია, რისკის მეცნიერებისადმი ყურადღების მოდუნებას მოჰყვეს უნებლიედ დაშვებული შეცდომების გამოყენება (რომელსაც პარალოგიზმს უწოდებენ). მაგალითად, როდესაც რისკის განმარტებაში წინა პლანზე ზარალის ალბათობას წამოსწევენ, ხოლო ყურადღების გარეშე დატოვებენ დასახული სამუშაოს შესრულებიდან მოსალოდნელ გადახვევებს – ზოგჯერ შენიღბულად და საერთოდ ძალაუნებურად, განხილვის გარეშე ტოვებენ მას, რასაც რისკზე წასვლით დანახარჯების ზრდა მოჰყვება. ასეთი შემთხვევების ასაცილებლად (რომელსაც, გვსურს, მორიდებული შენიშვნის შინაარსიც მივცეთ) მოგვყავს შემდეგი განმარტება:

**ეკონომიკური რისკი დასახული სამუშაოს შესრულებიდან მოსალოდნელი გადახრის ალბათობაა, როდესაც ზარალის სიდიდის პრაქტიკულად დასაშვები საორიენტაციო „ნორმა“ შესასრულებლად მინიშნებულ სამუშაოს 5%-ს არ აღემატება.**

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ალბათობაზე დაყრდნობით რისკის განმარტება შემთხვევითი სიდიდის განმარტებასაც მოითხოვს. მაგალითად, მოვლენა შემთხვევითია, თუ იგი არ არის ისეთი დეტერმინირებული შინაარსის კანონზომიერება, რომლის საფუძველზე მკაცრად დავასკვნით მოვლენა მოხდება თუ არ მოხდება. ამას შეიძლება ასეთი შენიშვნა დავამატოთ, რომ რისკი ცივილიზებულ საზოგადოებაში პროგრესია, რომელიც წარმატებებს გვაპირდება და, იმავედროულად, გვაფრთხილებს მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე (ზარალზე).

გადაწყვეტილების მიღება, როგორც რისკი, რომელიც განუსაზღვრელობით შეზღუდულ მომავალს და მის შემთხვევით სიდიდეს ეხება, ხშირად რისკზე წასვლასთან არის გაიგივებული. შესაბამისი მათემატიკური მოდელი ალბათური შინაარსისაა და ხდომილობის (მოვლენის მოხდენის ან არ მოხდენის ფაქტზე) განმარტებას ეყრდნობა. იგი, თავის მხრივ, შემთხვევითობასთან არის დაკავშირებული და ა.შ.

ასეთი, განმარტებებზე გადაბმული მსჯელობა ისევ შემთხვევითობის ცნების შემოტანასთან არის დაკავშირებული, რაც გამარტივების მიზნითაა გამოყენებული [2, გვ. 3-5].

შემთხვევითობა მეტწილად მომავლისათვის არის დამახასიათებელი. მათთან დაკავშირებული მანქანებლები ალბათური შინაარსისაა, ხოლო მსჯელობის გადმოტანა უშუალოდ დეტერმინირებულ აზროვნებაზე მოუხერხებელი ხდება. უმჯობესია, სანამ რისკზე წასვლის გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ყველა შესაძლო შემთხვევით გამოწვეული ზარალის (საერთოდ უარყოფითი შედეგებთან) დასახვედრად მოვემზადოთ, რათა უფრო მძიმე მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ, ვიდრე რისკზე წასვლამდე ვიყავით.

**რისკზე წასვლით განუსაზღვრელობა თითქოს განიმუხტება. რადგან იგი მომავლის წინასწარ განჭვრეტას ემყარება.**

მეოცე საუკუნეში შემთხვევითი პროცესების ცალკეული მახასიათებლები (გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, წარსულის გამოცდილების აწმყოდან მომავალზე გადატანით და შინაარსის დაკონკრეტებით) გამოიყო. მაგალითად, მარკოვის პროცესები და მათი შემდგომი დაზუსტება არა მხოლოდ ერთი პარამეტრით, არამედ მრავალ პარამეტრზე მსჯელობის გადატანითაც, ასევე, ახალ ობიექტზე „შემთხვევით ველებზე“ მინიშნებით და ა.შ. ამით ცხადი გახდა ის, რომ ხდომილობათა კანონზომიერებები დეტერმინიზმს უფრო ფართოდ წარმოგვიჩენს, რაც ზღვრული შემთხვევის სახით შეიცავს დეტერმინიზმს, ანუ ისეთებს, რომლებიც რეალურ მოვლენებში პრაქტიკულად აზრობრივი მოდელებით შეიძლება თვალსაჩინო გახდეს [3, გვ. 209-211].

21-ე საუკუნეშიც იმის ბოლომდე გაცნობიერება მიმდინარეობს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელ შემთხვევითობის განუსაზღვრელობას ეხება. მაგალითად, გლობალიზაცია ისეთი მრავალი ყურადსაღები სიახლის წინაშე დაგვაყენებს, როგორცაა მომავლის დინამიკის განუსაზღვრელობის დაზუსტება; პროგნოზირებაში უფრო მეტი გარკვევა და დაკონკრეტება; რისკის ოპტიმიზაციით საწარმოს მართვა და ა.შ.

სტატიის დასათაურების შესაბამისად, დავუბრუნდეთ მარტივ მსჯელობას რისკის განმარტებების თავისებურებაზე. ამ მხრივ ჩვენთვის ყურადსაღები გახდა ჰელ ვარიანის მონოგრაფიული ტიპის სახელმძღვანელო [4, გვ. 268-306], სადაც უმარტივესი ანალოგებით დაწყებულია რისკის არსზე მსჯელობა, რომ რისკი ცხოვრებისეული ფაქტია. მაგალითად, როცა შხაპს ვიღებთ, ქუჩას ვკვეთთ, ფულს ვაბანდებთ და ა.შ. რისკის ფაქტორის შემთხვევითობასა და აუცილებლობაზე ადამიანს შეუძლია აზრობრივი მოდელებითაც გაერკვეს, თანაც მარტივად.

მკაცრი მათემატიკური ტერმინებითა და ფორმულებით დატვირთულ ლიტერატურას შეუძლია უფრო ღრმად გაგვარკვიოს რისკსა და რისკზე წასვლის არსში. [5, გვ. 19-24]-ში აღნიშნულია, რომ „რისკი არის ხდომილობის გამოსავლიანობის ნებისმიერი ცვლილება“, ხოლო თუ ცვლილება არ მოხდა, მაშინ რისკი არ წარმოიქმნება. რისკის ალბათობით განმარტება „ჩვეულებრივ“ შემთხვევით სიდიდეზე განაწილების კანონის ცოდნას გულისხმობს. ეს კი ეკონომიკაში „მოუხერხებელია“. ასეთი მსჯელობებიც ყურადსაღებია, მაგრამ იგი ჩვენთვის ცნობილ ეკონომიკურ აზროვნებასთან არ არის მისადაგებული...

რისკის მკაცრი განმარტება ლოგიკურად დახვეწილი მსჯელობით წინააღმდეგობრივია და რისკის მთლიანობაში აღქმის სიძნელე ახლავს. ამიტომ ეკონომიკაში რისკის განმარტება ცალკეული საქმიანობის მიხედვით დაკონკრეტებულია (პოლიტიკური, ფინანსური და ა.შ.). მაგალითად, წიგნში [6, გვ. 430-459] მოყვანილია ოცამდე დაკონკ-

რეტეპული ეკონომიკური რისკის მოდიფიცირებული განმარტება, ჩვენი თვალსაზრისითაც ამჟამად მათი რაოდენობა 40-მდეა.

ყურადსაღებია პროფ. გიორგი პაპავას გამოკვლევები [7, გვ. 155-156] რისკის დაფუძნებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკაში, საიდანაც, დამაკვალიანებელი მსჯელობის თანახმად, ჩვენი მოდიფიკაციითაც ეკონომიკურ რისკს ისეთნაირად წარმოვაჩინეთ, რომ იგი სანუკვარ, საკმაოდ მიმზიდველი შედეგების მიღების იმედთან ერთად, მოსალოდნელი ხიფათის ალბათობაა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია პროფ. გიორგი პაპავას მსჯელობები: თუკი რისკზე წასვლის ხიფათის ალბათობის სირთულეს დროულად და სათანადოდ შეიცნობ, მიიღებ დასკვნას, რომ რისკი, საბოლოო ანგარიშით, თავის თავს თუ არ გაამართლებს, მაშინ ფირმა (როგორც რისკის ობიექტი) მუდმივ მზადყოფნაში უნდა იმყოფებოდეს, რომ მან, „ამორტიზატორის ფუნქციის“ შემსრულებელმა, დროულად შექმნას ეკონომიკური რისკის სარეზერვო ფონდის ამოქმედების პირობები (ამორტიზატორი დივერსიფიკაციის მსგავსი უნარის მქონეა და მას შეუძლია რისკის უარყოფითი შედეგები მოთოკოს). ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შველის მდგომარეობას და ითხოვს მცირე დანახარჯებს, ვიდრე მოსალოდნელია, როცა იგი რისკით ეკონომიკური მიღწევების იმედების გაუმართლებლობის შემთხვევაში აღმოჩნდება.

პროფ. გიორგი პაპავამ ეკონომიკური რისკის შინაარსობრივი არსის დახასიათებისას ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ „რისკი მაცდუნებელი ძლიერი იმპულსატორის როლში გვევლინება“, „შედის ეკონომიკურად მაცდუნებელ მიმზიდველ სახიფათო არეალში, მეწარმისა და მენეჯერის საქმიანობათა სარისკო გამართლებაზე აგებულ მმართველობით საქმიანობაში“ [8, გვ. 247]. აქვეა მოცემული აზრი იმაზეც, რომ რისკი „მოითხოვს გამჭრიახობით შეიარაღებულ გამბედაობას და წარმოქმნის იმედებით გაძლიერებულ მიმზიდველობას“ [8, გვ. 247].

ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეიძლება რისკის ენციკლოპედიური შინაარსის განმარტებაში გაერთიანდეს, რასაც ისიც უნდა დაემატოს, რომ პროფ. გიორგი პაპავამ ეკონომიკური რისკის განმარტებაში ზარალთან შედარებით, წინა პლანზე მიმზიდველობა დააყენა: „რისკზე იმიტომ მიდიან, რომ ძლიერ მიმზიდველია დადებითი შედეგების მიღწევის სანუკვარი საალბათო ვარაუდი და რწმენა იმისადმი, რომ რისკმა თუ გაგვიმართლა, მაშინ მივალწვეთ სასურველი შედეგის მაქსიმუმს. „მთავარია, არ შეეშალოს ფირმას, სწორმა და სრულმომცველმა ხედვამ იგი უნდა დააკვალიანოს“ [8, გვ. 256].

როგორც პროფ. გიორგი პაპავა აღნიშნავდა, „ეკონომიკური რისკი თავისი ეკონომიკური წარმატებებით უადრესად მიმზიდველია და, ამასთანავე, საეჭვო-საალბათოა. იგი ეკონომიკური ზიანის მიმყენებელიც არის, თუ რისკმა არ გაამართლა. ამიტომ რისკი მაცდუნებელი ძლიერი იმპულსატორის როლში გვევლინება“ [8, გვ. 247].

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკის სინამდვილეში რისკის ცნებასთან დაკავშირებით ხიფათის საშიშროებაზე ყურადღება ზედმეტად გამახვილებულია, რაც აკნინებს თვით რისკის მაღალ როლს მეწარმეობის გაძლიერებაში.

საერთოდ რისკის განმარტების სიძნელე, როგორც თავისთავად, ასევე მოსახლეობის ფენების რისკისადმი დამოკიდებულებებით, თავისებურია, თითქოს რისკის უფლება (შესაძლებლიდან გამომდინარე) მხოლოდ მდიდარ ადამიანს აქვს, ხოლო მომჭირნე ადამიანი რისკზე არ წავა.

თუ ადამიანი რისკის ცნებაში ბოლომდე არ არის გარკვეული, მაშინ იგი რისკის მიმზიდველობის გავლენის ობიექტი არ ხდება. თუმცა რისკის ელემენტების გააქტიურებით სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს.

როდესაც სუბიექტს ზარალის მუქართ და მილიონი ლარის მოგების იმედით რისკზე წასვლა შეუძლია, მაშინ მისთვის ათასი ლარის მოგება უმნიშვნელოა. რისკზე წასვლა მდიდარს უფრო შეუძლია, ვიდრე ღარიბს. ეკონომიკური რისკი ღარიბებისათვის

საბედისწეროა, განსაკუთრებით არაორგანიზებულობის პირობებში (მაგრამ გონივრულობის საზღვრებში რისკზე წასვლისაგან მდიდარი უფრო იკავებს თავს, ვიდრე ღარიბი).

ჩვეულებრივ, მოწესრიგებულ პირობებში, რისკზე წასვლისას მოსახლეობის საშუალო ფენა გარანტირებულ შემოსავალს ირჩევს. მას ქვეყნის ეკონომიკაში მდგრადი გარანტირებული განვითარებისადმი შინაგანი სიმპათია აქვს, რაც რისკის უპასუხიმგებლო ვირტუალური ბუნებით არ უნდა დაიხრდილოს [9, გვ. 39].

ამჟამად, საქართველოში მოსახლეობის მდიდარი ფენა ირჩევს მოგების მიღების ნაკლებად მიმზიდველ, მაგრამ გარანტირებული შემოსავლის მომცემ ობიექტს, რაც კომერციულ სპეკულაციაზეა დამყარებული და სახიფათოა, რადგან მათში რისკის მეცნიერული შინაარსი არ არის ბოლომდე აღქმული.

როგორც ვხედავთ, რისკის განმარტებაში დაშვებული შეცდომები რისკზე წასვლის შედეგებზე იჩენს თავს, ხოლო რისკის წინააღმდეგობრივი გარემო შემთხვევითი ფაქტორების გავლენით შეიძლება სათანადოდ არ იქნეს აღქმული, მათგან გამოწვეული შედეგი კი მოგვიანებით გაირკვეს, ეს მაშინ, როდესაც რისკის სუბიექტი დაზარალდება.

მოვიყვანოთ ეკონომიკური რისკის განმარტების განზოგადებული ვარიანტი [10, გვ. 236]-ის მიხედვით, რომ რისკი შესაძლო საფრთხეა ეკონომიკურ თეორიაში, როდესაც რისკის ქვეშ გულისხმობენ საწარმოს მიერ შემოსავლის ნაწილის დაკარგვის შესაძლებლობას გარკვეული სამეწარმეო-საფინანსო საქმიანობის განხორციელების შედეგად [10, გვ. 236]. ასეთი განმარტება თუ დაკონკრეტებულია, მაშინ რისკზე შედარებით ნათელი წარმოდგენა იქმნება. ხოლო განუსაზღვრელობის პირობებში სავარაუდო დასკვნებით მიღებული შედეგის ოპტიმალურობა გარკვეული არ იქნება.

რისკზე მსჯელობის თავიდან დაწყებას ხშირად რისკის ახლებური განმარტება ახლავს, რომელშიც რისკის შინაარსობრივი მხარე მოსალოდნელია, უშეცდომოდ იყოს დახასიათებული, მაგრამ შეიძლება განმარტებაში მცირე მოდიფიკაცია გახდეს საჭირო. მაგალითად, მეწარმისათვის რისკი არის გათვალისწინებულზე მეტი დანახარჯების საშიშროება, ანუ საფრთხე იმისა, რომ მეწარმე დაკარგავს არა მარტო სავარაუდო მოგებას ან მის ნაწილს, არამედ მთლიანად ქონებას და გაკოტრდება [11, გვ. 108-109].

ანალოგიური შემთხვევა მრავალია, ამიტომ შეიძლება აზრი არ ჰქონდეს რისკის ერთადერთი განმარტების დაფიქსირებას და უნდა შევურიგდეთ იმ რეალობას, რომ რისკის ყოველ კონკრეტულ მოვლენას მცირედ ცვლილებებშიც კი თავისებური შინაარსის განმარტება სჭირდება.

განვიხილოთ ტერმინი „რისკის ამაღლება“, რომელიც რისკის მნიშვნელობის ზრდასაც ნიშნავს და ეხება „კანონებისა და მათი შესრულების გამკაცრებას“ [12, გვ. 19]. რისკზე ასეთი ტერმინით სარგებლობა შეიძლება აზარტული თამაშებისათვის აღმოჩნდეს სასარგებლო. იგი შეიძლება გამოვიყენოთ დასაქმების ზრდასთან დაკავშირებულ მსჯელობაში, ასევე რისკის მასშტაბების ცვლილებებისას, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელი რისკის „გაუმჯობესებას“ ცდილობდა საწარმოს ტექნოლოგიის სრულყოფისათვის [13, გვ. 159], ხოლო „უკონტროლო ბიუროკრატია“ რისკისაგან მიღებულ მოგებას თვითონ „ითვისებდა“, წაგებას კი მოსახლეობის დაუცველ საშუალო და ღარიბ ფენებს აკისრებდა 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა საქართველოში.

რისკის ოპტიმიზაცია ეკონომიკაში რისკის ცვლილებებით ახალ შესაძლებლობებს ავლენს. მაგალითად, ეკონომიკური რისკი ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შედეგია, რომელიც არასრულ ინფორმაციას ეფუძნება, რამაც რესურსების არარაციონალური და, შედეგად, არაეფექტიანი განაწილება გამოიწვია, რაც მეწარმის ზარალს ან, უკეთეს შემთხვევაში, მოგების შემცირებას იწვევს [14, გვ. 80]. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური რისკის მეცნიერებას, განსაკუთრებით მისი მინიმიზაციის შესაძლებლობის ფარგლებში, ამით შესაბამისი რისკის მეცნიერება მიმართულია იმისკენ,

რომ განუსაზღვრელობიდან შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყოს განსაზღვრული შემთხვევები, მიეცეს მათ მოწესრიგებული სახე და შეფასება, თანაც ისე, რომ არ დაიკარგოს განუსაზღვრელობაში მოხვედრილი მიმზიდველობის, როგორც მოგების მიღების შანსი. ამ შემთხვევის შესაბამისად, რისკში ზარალის ალბათობის შემცირების ამოცნობის პრობლემა წარმოიშობა, რომლის მეცნიერება რისკის განმარტების ახლებური ხედვით დაზუსტებასაც მოითხოვს. ბუნებრივი იქნება ამაში ჩაირთოს: ფულადი სახსრების გამოძებნა იმ მიზნით, რომ საწარმო მზად დახვედეს ზარალის მოსალოდნელ შემთხვევას, რათა შეეძლოს, დროულად შეასუსტოს მისი მოქმედების სიმწვავე [15, გვ. 29].

უმარტივესი განმარტება რისკის პრობლემის გადაჭრას ვერ შევლის, თუმცა ნათელყოფს რისკის არსს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც რისკის კრიტერიუმი სამეურნეო საქმიანობაში განიხილება გადაწყვეტილების შესარჩევად, მოსალოდნელი დანაკარგების ან მათი შემოსავლიდან გადახრის ან ორივეს ერთდროული ანალიზით. ხოლო თუკი შესაძლებელია, მათ უნდა დაემატოს რისკში მოგების მაქსიმიზაციაზე ზრუნვა [15, გვ. 28]. ამასთან, მნიშვნელოვანია რისკის ენციკლოპედიურ არსში გარკვევა რისკის ყოველი კონკრეტული ობიექტის შეფასების შემთხვევაში და იმის გათვალისწინება, რომ დეტერმინირებული აზროვნებიდან განუსაზღვრელობით განპირობებულ შემთხვევითობის დაშვებით გადავდივართ ალბათურ აზროვნებაზე.

[16, გვ. 544]-ში სასურველია, რომ [1, გვ. 179]-ის მიხედვით განმარტება მხოლოდ მინიშნებად ჩავთვალოთ. იმის ხაზგასმით, რომ „ყველაზე უფრო საშიშია რისკი დანაკარგის დონის საგრძნობი ალბათობით, რომელიც მოსალოდნელი მოგების სიდიდეს აღემატება“. ამ შემთხვევისათვის სასურველი იყო რისკი სამუშაოს ზარალის ალბათობით შეგვეფასებინა, ხოლო შემდგომ გვეზრუნა ალბათობის განმარტებაზე. მაგალითად, [3, გვ. 109-111]-ის მიხედვით.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ რისკზე ქართულ ენაზე ამოცემულ წიგნებში არ არის დამოწმებული იმავე საკითხებზე არსებული მაღალი მეცნიერული დონის ლიტერატურა. მაგალითად, [6]-ში, როდესაც ცნობილია მოკლე განმარტებები რისკის 40-მდე დასახელებაზე [16, გვ. 544-547]-ში. ასეთი შემთხვევები არ შეიძლება „თვითდინებაზე“ მიშვებულად დარჩეს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. თბილისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 1986.
2. სარჩიმელია რ. რისკის ელემენტები. თბილისი. „მარჯი“, 2003.
3. რენი ა. დიალოგები მათემატიკაზე, წერილები ალბათობაზე. თბილისი. „ნაკადული“, 1981.
4. ვარიანი კ. მიკროეკონომიკა. თანამედროვე მიდგომა. წიგნი 1. თბილისი. „დიოგენე“, 1998 (თარგმანი ინგლისურიდან).
5. ლაზრივა ნ., მანია მ., მირზაშვილი გ., ტორონჯაძე თ., ღლონტი ო., ჯამბურია ლ. ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. თბილისი. „ვერაზია“, 1999.
6. ბენიძე ბ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. რისკები და დაზღვევა. თბილისი. ინოვაცია, 2010.
7. პაპავა გ. შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობათა თვისებების შეცნობის მეთოდოლოგია და პარალოგიზმი. სტოკჰოლმი. 2009 (რუსულ ენაზე).
8. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ტ. I, თბილისი. „სამშობლო“, 1998, გვ. 247-259.
9. სარჩიმელია რ. რისკის ფაქტორი და იძულების ზემოქმედებები დეფიციტურ ეკონომიკაში. ურუნალი მაკრო-მიკრო ეკონომიკა. სექტემბერი-ოქტომბერი, 1999, გვ. 38, 39, 88.



10. ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ., ციმიცია კ. მიკროეკონომიკა. თბილისი. გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2004.
11. სამადაშვილი უ. ბიზნესი ყველასათვის, კითხვებსა და პასუხებში. თბილისი. „უნივერსიტეტი“, 2008.
12. აბესაძე რ. უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში. ჟურნალი „ეკონომისტი“, 2009, №5, გვ. 10-20.
13. სარჩიმელია რ. წარმოების მართვა რისკის პირობებში დასაქმების ცვლილებებთან კავშირში. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2008, გვ. 159-161.
14. ორჯონიკიძე ნ., ყიფიანი ლ., ბაღდასარიანი ვ. ბიზნესის საფუძვლები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2007.
15. სარჩიმელია რ., ტაბატაძე გ. ეკონომიკური რისკი ნავთობისა და გაზის მრეწველობაში. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო-ანალიტიკური რეფერირებული ჟურნალი, საქართველოს „ნავთობი და გაზი“. თბილისი, №20, 2007, გვ. 26-31.
16. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი ა. სილაგაძის რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი, 2005.

*Sarchimelia Roland*

## **RISK AND PECULIARITIES OF ITS DEFINITION SUMMARY**

The article discusses the risks and the accepting the risk, and as a process of determinate probabilistic thinking at the same time, in which the definition of risk is based on the future indetermination. By the way of outlining its special features is distinguished the different definitions of economic risks.

In the work is given the interpretation of risk acceptance based on game theory models. At the same time is reviewed the basic assessments of Professor Giorgi Papava on the effectiveness of the entrepreneurship. The latter is mainly based on the profitability and the scientific analysis of the risk compared with the other factors.

*მაია სეთური*

## **ბრენდის მართვის პროცესის შესახებ**

ბრენდის შექმნისა და განვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღება მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ბრენდი განკუთვნილია ერთი გამყიდველის ან გამყიდველთა ჯგუფის საქონლის იდენტიფიკაციისათვის, აგრეთვე სხვა საქონლისგან დიფერენციისათვის. ბრენდი გამყიდველის პირობაა, რომ მუდმივად შესთავაზოს კლიენტს მაღალი ხარისხი.

ბრენდინგის სფეროში წარმატებული მუშაობისათვის კომპანიამ ზუსტად უნდა იცოდეს რა არის მისთვის მნიშვნელოვანი. ბევრი კომპანია აქცენტს აკეთებს მაქსიმალური შემოსავლის მიღებაზე. ბრენდის შექმნასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება კი გრძელვადიან მიდგომას მოითხოვს, რადგან კომპანიის რეალურ ღირებულებაზე მისი არამატერიალური მარკეტინგული აქტივებიც ახდენს დიდ გავლენას. ესენია: ბრენდები, ბაზრის ცოდნა, მომხმარებლებსა და პარტნიორებთან დამოკიდებულება. მათ შორის უმთავრესია ბრენდი.

ბრენდის წარმატების მწვერვალზე ასვლას შეიძლება ასი წელიც კი დასჭირდეს. თუმცა არსებობს სხვა მაგალითებიც. Google და Amazon-მა წარმატებას სულ რაღაც 10 წელიწადში მიაღწია. დღესდღეობით ბრენდის მთავარი ამოცანაა, დიდი ხნის მანძილზე იყოს ის ცნობილი. ბრენდინგში წარმატება დიდი შრომის შედეგად მიიღწევა. ამისათვის, უპირველესად, აუცილებელია, რომ ბრენდის შექმნის და მართვის ღონისძიებათა ინიციატორი იყოს თავად კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა: გენერალური დირექტორი, მარკეტინგის დირექტორი, ბრენდინგის დირექტორი. მათი მუშაობა მიმართული უნდა იყოს ბრენდის გაძლიერებაზე. აღიარებისათვის აუცილებელია მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან კარგი ხელმძღვანელობა და დახმარებაც ბრენდის შექმნის პროცესში.

ბრენდის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება მათი აუცილებლობის შესახებ. ადრე მარკები იყო გამონაკლისი შემთხვევა. მწარმოებლები და შუამავლები საქონელს ყიდდნენ იდენტიფიკაციის გარეშე. დღეისათვის ეს წარმოუდგენელია. ცნობილი ბრენდების მფლობელები იძულებულნი არიან, იბრძოლონ „ჩვეულებრივი“ საქონლის წინააღმდეგ. მათი უმრავლესობა კონკურენციის გასაწევად შესამჩნევად ზრდის წარმოებული პროდუქციის ხარისხს, ზოგიერთი კომპანია კი ამცირებს თავისი საქონლის გასაყიდ ფასს.

ბრენდის შექმნის შემდეგ მისი სახელი და ნიშანი ემსახურება წარმოდგენილი საქონლის შესხენებას და უკვე ფორმირებული წარმოდგენის გამყარებას. ამიტომ ახალი ბრენდის შექმნა განსაკუთრებული მოვლენაა, რასაც რეალურად ამკვიდრებს კარგად შერჩეული სახელი და ნიშანი.

ბრენდის მართვა ერთ-ერთი რთული ამოცანაა კომპანიისათვის. ყველა ბრენდს არ შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნოს წარმატება. ბრენდის შექმნას, ხოლო შემდგომ მის გაძლიერებას და გაფართოებას უზრუნველყოფს შემდეგი ასპექტები: ბრენდს უნდა გააჩნდეს სიმკვეთრე, მუდმივობა, ლიდერობა, ის კარგად უნდა იყოს ადაპტირებული გარემო პირობებთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონკურენციას და ტექნოლოგიებს.

კომპანიები იმისთვისაც მუშაობენ, რომ ერთი სახელის ქვეშ სხვადასხვა პროდუქტის თანაარსებობა უზრუნველყონ. მაგალითად, Nokia ცნობილია ტელესაკომუნიკაციო სისტემებით და მობილური ტელეფონებით, Rolls-Royce- ლიმუზინებით და საავიაციო ძრავებით. ბრენდის ძირითადი ასპექტების შეთანაწყობაში კომპანიებს ეხმარება ბრენდის შექმნის პროცესი. ის მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ბრენდის დაგეგმვა, ბრენდის ანალიზი, ბრენდის სტრატეგია, ბრენდის შექმნა, ბრენდის აუდიტი.

ბრენდის მიზანი გრძელვადიანი შედეგის მიღწევაა, ამიტომ მისი დაგეგმვისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ბალანსის მიღწევა მუდმივობასა და ჩართულობას შორის. ბრენდის გრძელვადიან წარმატებას განაპირობებს ბრენდინგის მთავარი პრინციპები. ბრენდინგის სამ ძირითად პრინციპს უწოდებენ ბრენდინგის „სამ C“-ს (consistency – თანმიმდევრულობა, clarity – გასაგებადობა, continuity – მუდმივობა). ისინი იმ აუცილებელ პირობებს მიეკუთვნება, რომლებიც ბრენდის წარმატებას განსაზღვრავს. თუმცა სრული ანალიზისათვის კიდევ ორი პრინციპის დამატებაა აუცილებელი. ამრიგად, ბრენდინგის პრინციპებია: თანმიმდევრულობა, გასაგებადობა, მუდმივობა, აღქმადობა, ორიგინალურობა.

თანმიმდევრულობა ბრენდინგის ერთ-ერთი მთავარი წესია. არსებობს მრავალი კომპანია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას კონტაქტის ყველა მთავარ წერტილში. თანმიმდევრულობა აუცილებელია არა მარტო საქონელთან დაკავშირებულ ასპექტებში, არამედ მარკეტინგულ არსებში, იმაშიც, თუ კომპანიის მუშაკები როგორ

პასუხობენ სატელეფონო ზარებს და როგორ რეაგირებენ მომხმარებელთა საჩივრებზე. ეს შეეხება სოციალურ პასუხისმგებლობასაც.

გასაგებადობა ბრენდინგში მეტად მნიშვნელოვანია. მის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ბრენდის არსებობა. მომხმარებელსა და მიზნობრივ აუდიტორიას უნდა ჰქონდეს საშუალება, ნათლად გაიგოს, თუ რას წარმოადგენს კომპანია და მისი ბრენდი. ბრენდის გასაგებადობა დამყარებულია მის ხედვასა და ფასეულობებზე, რომელიც ადვილად გასაგები და მისაღებია. ის უნიკალურია და აქტუალურია იმათთვის, ვინც იღებს გადაწყვეტილებას, ასევე მომხმარებლების, ზოგჯერ კი ფართო საზოგადოებისთვის.

მუდმივობის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ბრენდის არსებობა. მუდმივობა ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ არ უნდა შეცვალოს ის, რადგან ადამიანები ენდობიან წამყვან ბრენდებს, მტკიცედ სჯერათ მათი და იციან რას უნდა მოელოდნენ მათგან.

ბრენდი მიზნობრივი აუდიტორიისათვის კარგად შესამჩნევი უნდა იყოს. ბრენდის აღქმადობა მას შესამჩნევს ხდის მომხმარებლის თვალში. ბრენდის აღქმადობა მთავარ როლს თამაშობს მის დასამახსოვრებლად და ზრდის მოცემული ბრენდის მცოდნე ადამიანთა რიცხვს. თავად ინფორმაცია კი საუკეთესო არხების გამოყენებისაა უნდა იყოს მიმართული. სარეკლამო საშუალებები იმ ადგილებში უნდა იყოს განთავსებული, სადაც მოსალოდნელია მომხმარებლის მაღალი ყურადღება.

ორიგინალურობა უშუალოდ არის დაკავშირებული კომპანიის თითოეული თანამშრომლის ქცევებთან. ბრენდის ორიგინალობის შექმნით მომხმარებელს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეუქმნან, რომ ის ფლობს უნიკალურ ნივთს, თუნდაც ეს ქვეცნობიერად ხდებოდეს.

ბრენდებმა უნდა იმუშაოს რამდენიმე დონეზე. უპირველესად, თავად პროდუქტი უნდა იყოს საუკეთესო, განსაკუთრებული ხარისხის, რომელიც საერთო ფონზე მას ყველასგან გამოარჩევს. ეფექტურია ბრენდთან დაკავშირებული „ისტორია“, მითი და სინამდვილე. მითი ბრენდის შესახებ ადამიანების დიდ ინტერესს იწვევს.

ბრენდის მართვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია მისი პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავება. ბრენდის პოზიციონირება გულისხმობს მყიდველის ცნობიერებაში ბრენდის მდგომარეობის განსაზღვრას, სასურველი ასოციაციების ფორმირებას კონკურენტ ბრენდებთან მიმართებით. ბრენდების პოზიციონირება მყიდველის ცნობიერებაში მისი სწორი ადგილის მოძიებაა სასურველი ასოციაციების ფორმირებისათვის. პოზიციონირება საჭიროებს მიზნობრივი ბაზრის დაზუსტებას. ბრენდის პოზიციონირება მარკეტინგული სტრატეგიის საფუძველია. ის ისეთი მკაფიო, ზუსტი და ეფექტური უნდა იყოს, რომ შეძლოს ადამიანები განვითარებადი ბრენდისკენ მიმართოს. პოზიციონირება ზემოქმედებაა კომპანიის იმიჯის შექმნაზე, რომელსაც შეუძლია დაიკავოს განსაკუთრებული ადგილი მიზნობრივი მომხმარებლის ცნობიერებაში. ეფექტურად პოზიციონირებული ბრენდი განაცხადს აკეთებს თავის ძირითად ფასეულობებზე თავის მიზნობრივ აუდიტორიასთან როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კომპანიისათვის მნიშვნელოვანია სიტუაციის სტრატეგიული ხედვა. ბრენდის პოზიციონირება წარმოადგენს არა ტაქტიკურ ღონისძიებებს, არამედ სტრატეგიულ პროცესს, მიმართულს მყარი კონკურენტული უპირატესობის შექმნისკენ. პოზიციონირების კონცეფციამ უნდა განმარტოს, თუ რას წარმოადგენს თავად ბრენდი. იგი დემონსტრირებას უკეთებს ბრენდის უნიკალურობას, მის განსხვავებულობას. ის ესმარება მომხმარებელს გაიგოს, თუ რატომ უნდა შეიძინოს მან სწორედ ამ კომპანიის და არა მისი კონკურენტების პროდუქტი. ამისათვის აუცილებელია კომპანიამ პასუხები გასცეს შემდეგ კითხვებზე:

- ვისზეა მიმართული პოზიციონირება?

- ვისზე აპირებთ თქვენი საქონლის მიყიდვას?
- რა სურთ მათ და როგორია მათი მოთხოვნილებები?
- მომხმარებელთა შესახებ რა წარმოდგენებს ეფუძნება პოზიციონირება?

ბრენდის პოზიციონირების ძირითადი ამოცანაა, შექმნას ყველაზე ძლიერი პოზიცია, რომელიც შეძლებს გამოიწვიოს მომხმარებელში ნამდვილი გატაცება. ძლიერია პოზიციონირება, რომლის დროსაც ბრენდის არსი დაკავშირებულია მომხმარებლის სიღრმისეულ გაგებასთან.

ბრენდის მისია მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული. იგი შეთანხმებული უნდა იყოს თავად კორპორაციულ ხედვასა და მისიასთან. მანამ, სანამ კომპანია ბრენდის მართვისთვის მიზნობრივი მიდგომის დაგეგმვას და რეალიზებას დაიწყებს, მან უნდა განსაზღვროს თავისი მიზნები. ბრენდის ნებისმიერი სტრატეგიის შექმნისთვის ამოსავალია იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს თავად კომპანია. მაგალითად, კორპორატიული ბრენდების უმრავლესობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თავისებურებაა ლიდერობა. მეორე მხრივ, მყიდველებისათვის ლიდერობა ასოცირდება უსაფრთხოებასა და მის მიმართ რწმენასთან, მაღალ ხარისხთან, ინოვაციურ გადაწყვეტილებებთან. კომპანიას შეუძლია, ლიდერობას სხვადასხვა ასპექტებით მიაღწიოს, ესენია: კომპეტენტურობა, ინოვაციურობა, ხარისხი, წარმატება ბაზარზე და ა.შ.

ბრენდის მისიის ფორმულირება – ესაა მისი სახელმძღვანელო იდეა, რომელმაც უნდა ასახოს კომპანიისათვის მიღწევადი მიზანი. ბრენდის მისია ორიენტირის ფუნქციას ასრულებს ყველა გადაწყვეტილებისათვის, რომელსაც იღებენ ხელმძღვანელები და თანამშრომლები. ის აკვალანებს მყიდველებს, მიზნობრივი აუდიტორიის წევრებს და ყველას, ვინც დაკავშირებულია კომპანიასთან.

ერთ-ერთი საყურადღებო ასპექტია ბრენდის ფასეულობათა შეთავაზება. რა ფასეულობებია თქვენი კომპანიისათვის ისე მნიშვნელოვანი, რომ მათი გაქრობის შემთხვევაში თქვენი კომპანია შეწყვეტს არსებობას იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს არსებობს? ყოველწლიურად ბაზრიდან ბევრი კომპანია ქრება. როგორ გადაირჩენს თავს თქვენი ორგანიზაცია? რატომ გენდობიან თქვენ თქვენი მყიდველები? – ეს კითხვები უნდა დასვან ორგანიზაციებმა და კარგად გაიაზრონ თავიანთი მდგომარეობა. უცილებელი პირობაა, რომ კომპანიამ შეძლოს რაიმე გააკეთოს უკეთესად სხვა კომპანიებთან შედარებით.

ფასეულობათა შეთავაზება გულისხმობს იმ სარგებელთა ნაკრებს, რომელსაც კომპანია ბაზარს ჰპირდება. ეს მეტია ვიდრე პროდუქტის ძირითადი პოზიციონირება. მაგალითად, CATS ბრენდია, რომლის ბირთვია „საიმედოობა“. ამიტომ, ის ჰპირდება მყიდველს მეტს, ვიდრე მხოლოდ კარგ მანქანას. პაკეტში ჩართულია კარგი მომსახურება, გრძელვადიანი გარანტიები. თავისი შინაარსით ფასეულობათა შეთავაზება განაცხადია იმის შესახებ, თუ როგორ გამოცდილებას შეიძენენ მყიდველები.

ბრენდის წარმატება დამოკიდებულია კომპანიის მიერ თავის ფასეულობათა სისტემის მართვის უნარზე. ეს სისტემა მოიცავს ყველა სახის გამოცდილებას, რომელსაც მიიღებს მყიდველი შეთავაზების გამოყენების შემდეგ. ეს შეიძლება დავახასიათოთ აგრეთვე, როგორც ბრენდის ინდივიდუალობა. ამ შემთხვევაში ბრენდი აღწერს ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებს.

ბრენდის მიზანი გრძელვადიანი შედეგის მიღწევაა, ამიტომ ბრენდის დაგეგმვისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ბალანსის მიღწევა მუდმივობასა და ჩართულობას შორის. ცნობილია, რომ კომპანიების უმრავლესობა შემუშავებს გაყიდვების და არა

ბრენდის გეგმას. ამ უკანასკნელის მიმართ გარკვეული უყურადღებობა შეიმჩნევა. ამიტომ, მრავალი ბრენდი ვერ ახერხებს თავისი პოტენციალის სრულად რეალიზებას.

ორგანიზაციაში მუდმივობისა და ჩართულობის მისაღწევად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგი პროცედურების რეალიზაციას:

- *მუდმივ ცვლილებათა ატმოსფეროს შექმნა.* ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საშიშროებების, ბრენდის პოზიციის შესახებ, მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თვისებების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღება;

- *პროცედურების მომზადება* ე. წ. “სწრაფი გარღვევის“ დაგეგმვისათვის, რომელიც დამყარებული იქნება არსებული სიტუაციის ანალიზზე. აუცილებელია ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ბაზრის მასშტაბი, სადისტრიბუციო არხები, ბაზრის დინამიკა და ტენდენციები, კონკურენცია, მოგების მიღების პერსპექტივა;

- *სპეციალური ფურცლების, სტანდარტული ფორმატების გამოყენება* ბრენდის ცვლილებებისათვის. რაც ახალი პრობლემების გამოკვლევისა და გამოვლენის საშუალებას იძლევა;

- *რეალიზაციის ეფექტური პროცესები.* ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ყველა მიმართულებით, დაინერგოს დაჯილდოების და აღიარების სისტემები. ბრენდინგის პროგრამა თავის თავში მოიცავს არსებულ და ახალ ბრენდებს, მათ ეტაპობრივ ზრდას და გაფართოებას. ბრენდის სტრატეგიის განხორციელებაში სამოქმედო გეგმა გულისხმობს თანდათანობით და გრძელვადიან განვითარებას;

- *დაგეგმვაში ყველას და თითოეულის ჩართვა.* ბრენდის გეგმის წარუმატებელი რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის მის დამუშავებაში ხალხის მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფის ჩართულობა. ყველას და თითოეულის ჩართვა სტიმულს მისცემს და გამოიწვევს მიმხრობას ბრენდის მიმართ. მით უმეტეს, რომ XXI ს-ში არსებობს რიგი საშუალებებისა, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ინფორმაციის სწრაფი გაგრძელება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Бун Л., Куртц Д. Современный маркетинг, 11-е издание. Изд.-во «Юнити», М., 2005.
2. Дойль П., Штерн Ф. Маркетинг Менеджмент и стратегии, 4-е издание, «Питер», С.-Пб., 2007.
3. Котлер Ф., Келлер К.Л. Маркетинг менеджмент, экспресс-курс, 3-е издание, перевод с англ., изд. «Питер», С.-Пб., 2008.
4. Котлер Ф., Вонг В., Сондерс Д., Армстронг Г. Основы маркетинга, 4-е издание, Издательство “Вильямс”, Киев, 2007.
5. Jerome E. McCarthy, William D. Perreaul Basic Marketing, IRWIN, Burr Ridge, 11-th edition.

*Seturi Maia*

### **CONCERNING THE BRAND MANAGEMENT PROCESS SUMMARY**

In our country one of the important problems is to define the role of brand management in the firms. The brand management process is the process of planning branding activities and directing the implementation of the plans. The purpose of the brand inventory is to provide a current, comprehensive profile of how all the products sold by a company are marketed and branded. Effective brand management requires a long-term view of marketing decisions. Consumer responses to marketing activity depend on what they know and remember about a brand, short-term marketing actions, by changing brand knowledge, necessarily increase or decrease the success of future marketing actions. A long-term view

results in proactive strategies designed to maintain and enhance customer-based brand equity over time in the face of external changes in the marketing environment and internal changes in a firm's marketing goals and programs. Given that the power of a brand resides in the minds of consumers and how it changes their response to marketing. There are basic approaches to measuring brand equity. A direct approach assesses the actual impact of brand knowledge on consumer response to different aspects of the marketing.

*გელა სვირავა  
მაია ჭანია*

**ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის კლასტიკების  
შექმენისა და ბანვითარების აუცილებლობა**

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება არის ერთ-ერთი გზა რეგიონებში ბიზნესის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის. გარკვეულ პერიოდამდე კონკურენტუნარიანობის შესწავლისას ადგილმდებარეობის როლი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში არსებობდა ამ საკითხში ადგილმდებარეობის როლის დაკნინების ტენდენცია. ასეთი ხედვა, თუმცა ის გავრცელებულია საკმაოდ ფართოდ, არ შეესაბამება კონკურენციის პროცესებში რეალურ სიტუაციას. მაიკლ პორტერმა 1990 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა“ წამოაყენა თეორია ეროვნული, სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში. ამ თეორიაში კლასტიკებს უკავიათ წამყვანი როლი. პორტერის მიხედვით, კლასტერი „გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფებია, სპეციალიზებული მიმწოდებლების, მომსახურების მიმწოდებლების, შესაბამის დარგში ფირმები, აგრეთვე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (მაგალითად, უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, აგრეთვე სავაჭრო გაერთიანებები) გარკვეულ სფეროებში კონკურენტი, მაგრამ, ამასთან, ახორციელებენ ერთობლივ სამუშაოებს“ [1].

რეგიონში კლასტიკის შექმნისათვის აუცილებელია არსებობდეს მისი განვითარების ობიექტური წინაპირობები. ასეთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული პროდუქციის წარმოებით და მიწოდებით დაკავშირებული ფირმების ერთობლიობა, რომელთა შორის დაწყებულია თანამშრომლობა. უფრო კონკრეტულად, კლასტიკის შექმნა წარმატებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა რეგიონში არსებობს მსგავსი საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი რამდენიმე ან რამდენიმე ათეული ფირმა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაც უფრო მეტი განსხვავებული ერთეული შედის კლასტიკერში, მით უკეთესია. კლასტიკის კონკურენტუნარიანობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ერთეულები:

- ფირმები, რომლებიც გაერთიანებულია კლასტიკერში;
- უნივერსიტეტები;
- საშუაშაველო ინსტიტუტები;
- საჯარო სექტორი – ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები

სასიცოცხლო ციკლის მიხედვით კლასტიკერები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

- ემბრიონული კლასტიკერები;
- მზარდი კლასტიკერები;
- ზრდასრული კლასტიკერები;
- რეცესიული კლასტიკერები.

კლასტერის ასეთი კლასიფიკაცია ძალიან ჰგავს „პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს“. ემბრიონული კლასტერი არის ახალშექმნილი კლასტერის ჩანასახი, როცა იწყება თანამშრომლობა არსებულ ფორმებს შორის. მზარდ ფაზაში ეს თანამშრომლობა ვითარდება და ფორმებს შორის ხდება მჭიდრო თანამშრომლობა.

არსებობს OECD მიერ შემუშავებული კლასტერების უფრო რთული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით კლასტერები იყოფა შემდეგ ტიპებად:

- ცოდნაზე დაფუძნებული კლასტერები
- მომწოდებლებზე დამოკიდებული კლასტერები:
- სპეციალიზებული მომწოდებლების კლასტერები.

კლასტერის ერთეულებს შორის ურთიერთობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი.

- ურთიერთობა ფორმებს შორის.

• ურთიერთობა ფორმებსა და კვლევა-განვითარებაში ჩართულ უნივერსიტეტებს შორის.

• ურთიერთობები, დაკავშირებული ბაზრის მეშვეობით ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გავრცელებასთან.

• ცოდნის ტრანსფერთან დაკავშირებული ურთიერთობები, ანუ ურთიერთობები, რომლის დროსაც ხდება ადამიანური რესურსის გადაადგილება კვლევა-განვითარების, საგანმანათლებლო და საწარმო ორგანიზაციებს შორის.

კლასტერის ყველა მონაწილე ერთმანეთის კონკურენციაში იმყოფება, თუმცა, ამავდროულად, ერთმანეთთან თანამშრომლობს. ეს არ არის მარტო აუცილებელი თანამშრომლობით განპირობებული, არამედ ხდება მეგობრული თანამშრომლობაც, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთდახმარებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, განვითარების ბარიერების ერთობლივად გადალახვას და ა. შ. ასეთი ურთიერთობები ყოველთვის ეფუძნება ურთიერთნდობასა და საერთო მიზნებს.

ფორმების ურთიერთობები კვლევა-განვითარების სფეროსთან ორივე მხარესათვის სასარგებლოა. შედეგად ფორმები იძენენ აუცილებელ ცოდნას კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ხოლო კვლევა-განვითარების სფეროს (უნივერსიტეტები) ერთეულები იღებენ შემოსავლებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შემდგომი ახალი კვლევებისათვის. ფორმებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობამ შესაძლოა მიიღოს არაინსტიტუციური კავშირის შემდეგი ფორმები:

• ცოდნის ტრანსფორმაცია არაფორმალური კონტაქტების მეშვეობით ფორმებსა და უნივერსიტეტების თანამშრომლებს შორის.

- სტუდენტების სტაჟირება ფორმებში.

- საქმიანობა სტუდენტთა განათლების ფარგლებში.

• სამეცნიერო კონფერენციების, ბაზრობების, სწავლებების და სამეცნიერო გამოცემების ორგანიზაცია და მათში მონაწილეობა.

- საკონსულტაციო მომსახურება და ტრენინგი.

რეგიონში კლასტერი ლოკალური მასშტაბით ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ლოკომოტივია. კლასტერის შიგნით არსებული მეგობრული ურთიერთობები და კადრების კვალიფიკაციის ამაღლება ზრდის კონკურენტუნარიანობას და სტიმულს აძლევს განვითარებას. კლასტერის ფუნქციონირება დადებით გავლენას ახდენს როგორც მის წევრებზე, ისე გარემოზეც. ეფექტურად ფუნქციონირებადი კლასტერის ფარგლებში ბიზნესის წარმოება დადებითად მოქმედებს წარმოების დონეზე, რაც განპირობებულია სპეციალიზებული წარმოების ფაქტორების ხელმისაწვდომობით. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტურად ფუნქციონირებადი კლასტერი ხელს უწყობს ახალი მცირე და საშუალო ფორმების შექმნას, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნისათვის.

რაციონალურად ფუნქციონირებადი კლასტერი სასარგებლოა არა მხოლოდ მონაწილეებისათვის არამედ დადებითი ეფექტი მოაქვს ბიზნესგარემოსთვის და შესაძლოა, რეგიონის განვითარების მამოძრავებელი ძალა გახდეს.

კლასტერისაგან მიღებული სარგებელი ბიზნესმენისთვის არის:

- საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის შემცირება;
- გაადვილებულია ადმინისტრაციული და სავაჭრო ბარიერების გადალახვა;
- პარტნიორებთან ერთად იზრდება წარმოების მასშტაბები, შესაბამისად მცირდება ხარჯები;
- გაადვილებულია გამოცდილების, კვლევების შედეგების და განვითარების სხვა დამატებითი რესურსების გაზიარება;
- თანამედროვე, უკეთესი ხარისხის და უფრო იაფი და შესაბამისად უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდების შესაძლებლობა ბაზრისათვის;
- ფინანსური წყაროებისადმი უფრო მეტი ხელმისაწვდომობა;
- რეგიონში, სახელმწიფოსა და მსოფლიოში კონკურენტული პოზიციების გამტკიცების შესაძლებლობა;
- კლასტრის პარტნიორების ქსელი ფართოა და ადვილად ხელმისაწვდომი;
- ინოვაციურობის პოტენციალის ზრდა – მეტი პარტნიორი ნიშნავს მეტ გამოცდილებას ახლის შესაქმნელად;
- მაღალი პროდუქტიულობისა და ეფექტურობის მიღწევა;
- ხორციელდება ტექნოლოგიების ტრანსფერი;
- იზრდება რეგიონის ბრენდის წარმოშობის შესაძლებლობა.

კლასტერების შექმნისა და განვითარების პროცესის გასაგებად საჭირო ჩაეწვედეთ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს მის წარმატებას. ამ მხრივ ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი:

R. Moss-ი [3] კლასტერის განვითარების უნარს განმარტავს, როგორც მის შესაძლებლობას, შექმნას ახალი, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სტრუქტურა. Moss-ი ასევე გვთავაზობს კლასტერის განვითარების წარმატების შემდგომ მთავარ ფაქტორებს.

- კლასტერული სტრუქტურის ელასტიკურობა და გახსნილობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიზიაროთ ახალი ტექნოლოგიები, ცოდნა და ინფორმაცია.
- კლასტერის წევრებს შორის კავშირის მაღალი ხარისხი და ნდობა – მთავარი ფაქტორი ინოვაციურობის და ცოდნის დიფუზიის მექანიზმების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

• კომპეტენციების დონე და ადამიანური რესურსის ხარისხი – R.Moss-ის შეფასებით, აღნიშნული ასევე გადამწყვეტია ცოდნის ეფექტიანი ტრანსფერისა და დიფუზიისათვის.

M. Porter-ს [3] მიაჩნია, რომ კლასტერის განვითარების მთავარი ფაქტორი არის ბიზნესგარემო, რომელიც იყოფა ოთხ ნაწილად:

- არსებული რესურსები (ინფრასტრუქტურა, უნარ-ჩვევები და ა.შ.),
- შიდა მოთხოვნა (ადგილობრივი მომხმარებლების მოთხოვნა),
- მეწარმეების ზოგადი დონე და რეგულირების ხარისხი (დაბეგვრა, ფირმების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიები, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ა.შ.),
- დამხმარე მრეწველობა – მიმწოდებლები და ა. შ. (კლასტერის დიაპაზონი და სიღრმე).

კლასტერის შექმნის პროცესი მოიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს:

- ანალიზი,
- მობილიზაცია,
- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება,
- სტრატეგიის განხორციელება,



- მონიტორინგის შეფასება.

არსებობს კლასტერის მართვის ორი ძირითადი მეთოდოლოგია, რომელიც ფართოდაა გავრცელებული

- კომპლექსური პროგრამა – ანალიზი, სტრატეგიული დაგეგმვა, ასევე მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება; შექმნილი The Competitiveness Group-ის მიერ, ესპანეთი.

- მართვის მეთოდოლოგია ჩარევის ხუთი სფეროს მიხედვით. შემუშავებულია Clusterland Oberosterrech GmbH, Austria-ს მიერ. აღნიშნული მეთოდოლოგია „ევროპული ქსელი კლასტერების ბრწყინვალედ მართვისათვის, თანამშრომლობისა და პოპულარიზაციისათვის“ გზამკვლელის მთავარი შემადგენელი ელემენტია.

განვითარებულ ქვეყნებში კლასტერები, ჩვეულებრივ, გამოხატულია უფრო ძლიერად, განვითარებად ქვეყნებში კი სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილის ბაზირების ადგილი განვითარებული ეკონომიკებია ან წარმოადგენენ უცხოურ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც ემსახურებიან ადგილობრივ ბაზარს. განვითარებად ქვეყნებში კლასტერები უფრო ზედაპირულია და ძირითადად უცხოური მწარმოებლებიდან მოწოდებულ კომპონენტებს, სერვისებს და ტექნოლოგიებს ეყრდნობიან.

განვითარებული ქვეყნების კლასტერებისაგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში არა მხოლოდ მონაწილეების ნაკლები რაოდენობაა, არამედ ხშირად განსხვავდება თავისი სოციალური შემადგენლობით.

კომპანიის შექმნისას ერთ-ერთი აშკარად შესამჩნევი წამქეზებელი ფაქტორი არის ხელმისაწვდომობა ფაქტორების საერთო ფონდების, ისეთები, როგორცაა სპეციალიზებული უნარები, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ან ამ მოცემული შემთხვევისათვის განსაკუთრებულად კარგი შესაფერისი ინფრასტრუქტურა.

კლასტერი შეიძლება აგრეთვე წარმოიქმნას არაჩვეულებრივი, რთული ან გაზრდილი ადგილობრივი მოთხოვნის გამო.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. Портер М. Конкуренция. Санкт-Петербург-Москва-Киев. 2002. – 496 с.
2. Харрод Рай Ф. К теории экономической динамики. – М.: «Гелиос АРВ».1999. – 160 с.
3. Creation and development of clusters. Warsazawa, pazdziernik, 2010.

*Svirava Gela  
Chania Maia*

### **THE CLUSTER CREATION AND DEVELOPMENT NECESSITY FOR THE PURPOSE OF BUSINESS COMPETITIVENESS GROWTH SUMMARY**

In the Paper it is pointed out that for the cluster creation and development in the region is necessary the objective preconditions existence. The cluster classification is made according to the vital cycle. In the developed countries the clusters usually are expressed much more strongly, but in the developing countries the place of base of the major part of the industrial manufactures are already represented by developed economics or are found the foreign companies' daughter-enterprises, who are serving the local market. In the developing countries clusters are mainly superficial and mostly are relying on the components supplied from the foreign manufacturers, on their services and technologies.

Unlikely from the developed countries, in the developing countries there are not only the number of the participants less, but often are different within its social composition.

**საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივება და რეალობა**

2012 წლის მონაცემებით, მსოფლიო ბანკის მიერ შედგენილი რეიტინგი „Doing Business“-ის რეიტინგის მიხედვით, საქართველო, 183 ქვეყანას შორის, ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით მე-16 (2011წ.-მე-17) პოზიციაზე იმყოფება. ეს რეიტინგი, მათ შორის საქართველოსთვის, დადგინდა რამდენიმე კომპონენტის მიხედვით, კერძოდ: ბიზნესის დაწყება (Starting a Business - მე-7 ადგილი), სამშენებლო ნებართვები (Dealing with Construction Permits - მე-4 ადგილი), ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა (Getting Electricity – 89-ე ადგილი), საკუთრების რეგისტრაცია (Registering Property - 1 ადგილი), კრედიტების ხელმისაწვდომობა (Getting Credit - მე-8 ადგილი), ინვესტორთა დაცვა (Protecting Investors - მე-17 ადგილი), გადასახადების ადმინისტრირება (Paying Taxes - 42-ე ადგილი), საგარეო ვაჭრობა (Trading Across Borders - 54-ე (2011 წ. – 34-ე ადგილი), კონტრაქტების აღსრულება (Enforcing Contracts - 41-ე ადგილი) და ბიზნესის ლიკვიდაციის პროცედურები (Resolving Insolvency - 109-ე ადგილი) [4].

ამრიგად, Doing Business-ის რეიტინგში, რომელიც ასახავს ბიზნესის დაწყების (და არა მისი შემდგომი ფუნქციონირების) სიმარტივეს, საქართველო აშკარად წინ წაიწია, განსაკუთრებით საკუთრების რეგისტრაციის და ბიზნესის დაწყების პროცედურების სიმარტივის კომპონენტებში, მაგრამ ჩამორჩა საგარეო ვაჭრობის, კონტრაქტების აღსრულების და ბიზნესის ლიკვიდაციის მანქვენებლებით, კრედიტების ხელმისაწვდომობაში მოწინავე პოზიცია კი ეჭვს იწვევს კრედიტებზე არსებული მაღალი სარგებლის (პროცენტის) განაკვეთების გამო.

არსებობს სხვა რეიტინგებიც, სადაც საქართველო მაღალი მანქვენებლებით არ გამოირჩევა, ასე მაგალითად, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, გამოკვლეულ Bloomberg-ის რეიტინგში „საუკეთესო ქვეყანა ბიზნესისთვის“ (The Best Country for Business), საქართველო 50 ქვეყანას შორის ვერ მოხვდა. ამ რეიტინგში ჰონ-კონგი, ნიდერლანდები, აშშ, გაერთიანებული სამეფო, ავსტრალია, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, ავსტრია, სინგაპური, შვეიცარია, კანადა, ბელგია, შვედეთი, ლუქსემბურგი, ფინეთი, დანია, ნორვეგია, ჩინეთი, იტალია... ბალტიისპირეთის ქვეყნები, თურქეთი, უკრაინა (45-ე ადგილი), რუსეთი (48-ე ადგილი)... რეიტინგი ექვსი ფაქტორის გათვალისწინებით შედგა, კერძოდ: ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი (ხვედრითი წილი 10%); ბიზნესის წამოწყების დანახარჯები (20%); სამუშაო ძალის და ნედლეულის ფასი (20%); საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება (20%); ნაკლები მატერიალური დანახარჯები (20%) და ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის მზადყოფნა (10%) [5]. ამ რეიტინგში, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, საქართველოზე უკეთესი მანქვენებლები ბევრ ისეთ ქვეყანას აქვს, რომელნიც მას ბიზნესის დაწყების სიმარტივით ჩამორჩებიან. აქედან გამომდინარე, ბიზნესის დაწყების სიმარტივე მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ საბოლოოდ მთავარია ბიზნესის ეფექტიანობა - კონკურენტუნარიანობა.

ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებას საქართველოში მოჰყვა სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაციის ზრდა - 1995 წელს რეგისტრირებული იყო 24,4 ათასი სამეწარმეო სუბიექტი [1;114]; 2004 წელს – 126 003 [3; 270]; 2006 წელს – 162 696; 2010 წელს კი – 321 312 [2;22]. გაანგარიშებებით დასტურდება, რომ რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობის ზრდამ ადეკვატური ასახვა ვერ პოვა გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში, კერძოდ: 2006-2010 წლებში გაიზარდა რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა 197,3%-ით, გამოშვებული პროდუქცია კი მხოლოდ 179,5%-ით; 1 სამეწარმეო სუბიექტზე შემცირდა გამოშვებული პროდუქციის მოცულობის წლიური და ყოველთვიური მაჩვენებლები.

ნებლები შესაბამისად: 45,6 ათ. ლარიდან - 41,4 ათ. ლარამდე და 3,8 ათ. ლარიდან - 3.5 ათ. ლარამდე. აშკარაა, რომ ბევრი ბიზნეს-სუბიექტი, რიგი მიზეზების (მონოპოლიზმის, ოლიგოპოლიზმის, საკუთრების დაუცველობის...) გამო, რეგისტრაციის შემდეგ არ ფუნქციონირებს და უკეთეს დროს ელოდება.

ამრიგად, საქართველოში ბიზნეს-სუბიექტების რეგისტრაციის გამარტივებამ და მათი რაოდენობის მკვეთრად ზრდამ რეალურად ვერ განაპირობა გამოშვებული პროდუქტის მოცულობის შესაბამისი ზრდა, რაც მთავრობას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალ-ლურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., 2011.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA): მეწარმეობა საქართველოში (Entrepreneurship in Georgia), 2011 [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/mewarmeoba\\_2011.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/mewarmeoba_2011.pdf) 14.04.2012.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2010 [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/yearbook/Statistical%20Yearbook\\_2010.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Statistical%20Yearbook_2010.pdf) 20.04.2012.
4. The World bank - Doing Business: Georgia. <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia/> 20.04.2012.
5. Bloomberg-მა საუკეთესო ადგილად ბიზნესისთვის ჰონგ-კონგი დაასახელა <http://news.boom.ge/geo/11/20120322/1549451> 20.04.2012.

*Silagadze Avtandil*

### **SIMPLIFICATION OF BUSINESS REGISTRATION AND BUSINESS REALITY IN GEORGIA SUMMARY**

*Simplification of Business Registration and Business Reality in Georgia*, a work by Professor Avtandil Silagadze, Corresponding Member of National Academy of Science of Georgia, discusses Georgia's positions, ratings of World Bank Doing Business and Bloomberg The Best Country for Business and general situation in business-sector of Georgia. The author notes that the simplification of business registration in Georgia was followed by growing number of new enterprise: in 2006 – 162 696 entities and in 2010 – 321 312 entities. In 2006-2010 number of registered business-entities increased by 197.3 %, products manufactured – by 179.5 %. The growth of quantity of new enterprises was not sufficiently reflected by the volume of the produce, particularly, even small annual and monthly indices of manufactured products per enterprise was actually reduced in 2006 from 45.6 thousand Gel to 41.4 thousand Gel and in 2010 from 3.8 thousand Gel to 3.5 thousand Gel.

The author concludes that once registered, a lot of business –entities operate with small loading or do not operate at all, which means that the simplification of business registration and sharp growth of new enterprises in Georgia have failed to actually increase the volume of produce and the present situation makes the government face new challenges.

*ოლღა ფაჩულია*

### **ინოვაცია, როგორც კომპანიის წარმატების მთავარი ფაქტორი**

ეკონომიკურ ლიტერატურაში ინოვაცია განმარტებულია, როგორც სიხლეოთა მომ-ებიანი გამოყენება ახალი სახის ნაკეთობების, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული

ფორმების შემუშავების, შექმნისა და გავრცელების მიზნით<sup>23</sup>. ცნობილი მეცნიერის ლ. ნიქავას აზრით, ინოვაცია არის „საქონლის ასორტიმენტის სისტემური სრულყოფა, მოდიფიცირება და განახლება, საქონლის ახალი ნიმუშების შექმნა, ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერულ-კვლევით და საკონსტრუქტურ სამუშაოთა ახალი მიმართულებების დამუშავება“<sup>24</sup>. ბ. სანტოს განმარტებით, ინოვაცია საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესია, რომელიც იდეებისა და გამოგონებების პრაქტიკული გამოყენების გზით იწვევს უკეთესი მახასიათებლების მქონე პროდუქტების, ტექნოლოგიების და როგორც შედეგი – უფრო მაღალი მოგებების მიღებას<sup>25</sup>. იგი ბიზნესის განუყოფელი ნაწილია და წარმოადგენს რა მეწარმის სპეციფიკურ იარაღს, მიზნად ისახავს წარმოების პროცესის რეფორმირებასა და რევოლუციონიზირებას გამოგონებების დანერგვის საშუალებით<sup>26</sup>.

“ეკონომიკური განვითარების თეორიაში” ი. შუმპეტერი მეწარმის შემოსავალსა და მოგებას განიხილავს, როგორც ინოვაციური საქმიანობის დინამიური ცვლილებების შედეგს. მეწარმის ფუნქციონალური როლი აისახება ინოვაციების შედეგად ბაზარზე წონასწორული მდგომარეობის დარღვევაში, რასაც შედეგად მოაქვს მოგება.

მსოფლიოს წამყვანი კომპანიების პრიორიტეტი ინოვაციური სტრატეგიაა. მათი სამეცნიერო კვლევები, საწარმოო სისტემა და მარკეტინგი გამიზნულია ისეთი საქონლის შექმნაზე, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. მეწარმეები, რომელიც ახდენს მოცემული სტრატეგიის რეალიზებას, მოიპოვებს ყველაზე მძლავრ კონკურენტულ უპირატესობას, რაც აისახება ორიგინალურ სამეცნიერო-ტექნიკურ შემუშავებებში, მეთოდებსა თუ პრინციპებში. სტრატეგიული მართვის ამოცანები ამ შემთხვევაში მდგომარეობს დამატებითი აქტივების მოზიდვაში ახალი პროდუქტების ბაზრებზე შესაღწევად და საწარმოო განყოფილებების საქმიანობის მუდმივ ანალიზში წარმოშობილი ტექნიკური შესაძლებლობების გამოსავლენად. აგრეთვე, ხშირად აუცილებელი ხდება შიდა რეორგანიზაციის გატარება ახალი პროდუქტის ასათვისებლად. ლიდერობის გზაზე მდგარი კომპანიები მნიშვნელოვან სახსრებს იღებენ კვლევებსა და განვითარებაზე (Research and Development), ამასთან, კვლევები არა მხოლოდ გამოყენებით, არამედ ფუნდამენტალურ ხასიათსაც ატარებს. ასე მაგალითად, APPLE, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური კომპანიების რეიტინგში ლიდერულ პოზიციას იკავებს, თავის ყოველწლიურ ანგარიშში აცხადებს, რომ ის აგრძელებს ინვესტიციების ფოკუსირებას კვლევისა და განვითარებაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორს მომავალში ზრდასა და ბაზარზე კონკურენტული პოზიციის დაკავებისთვის. კომპანიის აღნიშნულ განცხადებას ადასტურებს ბოლო წლების განმავლობაში კვლევისა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების ყოველწლიური ზრდა. კერძოდ, 2007 წელთან შედარებით, 2011 წელს კვლევისა და განვითარების ხარჯი 3-ჯერ გაიზარდა. ცხრილში 1.1 მოცემულია 2007-2011 წლებში კვლევისა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები და, ასევე, კვლევისა და განვითარების წილი გაყიდვებში.

როგორც ვხედავთ, კომპანიის შემოსავლები გაყიდვებიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზრდადია, კერძოდ, 2011 წელს, 2007 წელთან შედარებით, 4.4-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 108 249 000 მილიონი დოლარი. გაყიდვების ზრდაზე უდიდესი გავლენა 2011 წელს იქონია iPhone 4-ზე მოთხოვნის ზრდამ. აღნიშნული ინოვაციური პროდუქტი კომპანიამ 2011 წლის თებერვალში წარადგინა და გასაყიდად გამოიტანა შეერთებულ შტატებში და წლის ბოლოს უკვე 105 ქვეყანაში შეძლო მისი რეალიზაცია. მხოლოდ

<sup>23</sup> Словарь-справочник предпринимателя. Москва, Зевс, 1992.

<sup>24</sup> Ciqava I. ekonomikuri Teoriis mokle kursi. Tbilisi, `saxle~, 1997, gv. 203.

<sup>25</sup> Санто Б. Инновация как средство экономического развития. М., Прогресс. 1990, стр. 9.

<sup>26</sup> Шумпетер И. Теория экономического развития (исследование предпринимательской прибыли, капитала, кредита, процента и цикла конъюнктуры). Москва, Прогресс, 1982.

iPhone-ის გაყიდვები შეადგენს გაყიდვებიდან შემოსავლის 43%-ს 2011 წელს (47,057,000 მილიონი დოლარი). 2010 წლის მესამე კვარტალში კომპანიამ წარმოადგინა ახალი პროდუქტი iPad-ი, რომელმაც საკმაოდ დიდი მოგება მოუტანა მას: 2011 წელს – 20.4 მილიონი, ხოლო 2010 წელს – 15.4 მილიონი. 2011 წელს iPad-ის გაყიდვები მთლიანი გაყიდვების 19% შეადგენს. iPhone -ის გაყიდვები 2009 წელს 13 მილიონი დოლარს შეადგენდა და წინა წელთან შედარებით 93%-ით გაიზარდა. 2009 წელს კომპანიამ წარმოადგინა ახალი iPhone 3GS-ი, რაც ასევე 2009 წლის შემოსავალზე დადებითად აისახა. ცხრილი 1.1-ში მოცემულია ბოლო ხუთი წლის შემოსავალი გაყიდვებიდან, რომელიც ყოველწლიურად იზრდება.

**ცხრილი 1.1. (\*მონაცემები მოცემულია მილიონებში, გარდა მსოფლიო რეიტინგისა)**


	2007	2008	2009	2010	2011
რეიტინგი მსოფლიოს ყველაზე ინოვაციურ ფირმათა შორის	1	1	1	3	1
შემოსავალი გაყიდვებიდან	24578	37491	42905	65225	108249
წმინდა მოგება	3495	6119	8235	14013	25922
ამონაგები აქციიდან	99.36%	35.03%	63.074%	53.09%	42.49%
კვლევა და განვითარება	782	1109	1333	1782	2429
კვლევა და განვითარება %-ში გაყიდვებთან შედარებით	3.2%	3%	3.1%	3%	2%

წყარო: <http://www.apple.com/>

კომპანიის დაუღალავმა შრომამ ახალი პროდუქტების შესაქმნელად APPLE-ს ინოვაციური კომპანიის იმიჯი შეუქმნა და დღეს იგი როგორც მომხმარებლების, ასევე ინვესტორებისთვის ასოცირდება, როგორც ყველაზე ინოვაციური და ახლის მაძიებელი კომპანია, რომლისგანაც გამუდმებით ელიან ზრდას, განვითარებასა და მოგებას. ყოველივე ზემოთქმულს ადასტურებს APPLE-ის აქციებიდან მაღალი ამონაგები, რაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე 163,4%-ს შეადგენს. კომპანიის მენეჯმენტის სტრატეგიამ, უწყვეტად შექმნას ახალი პროდუქტი და გააუმჯობესოს არსებული პროდუქცია, გაზარდა ამონაგები აქციიდან და, ამასთან, მოთხოვნა აქციებზე. დიაგრამაზე 1.1 ასახულია, თუ როგორ იზრდება ერთ აქციაზე ფასი წლიდან წლამდე. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი 2007 წლიდან 2011 წლამდე \$153-დან \$404-მდე გაიზარდა და APPLE-იმ აქციების ფასის მიხედვითაც დარგში პირველი ადგილი დაიკავა. 2012 წელს კომპანიის ერთ აქციაზე ფასმა უკვე \$534-ს მიაღწია<sup>27</sup>, მაშინ, როდესაც მისი პირდაპირი კონკურენტების აქციის ფასი \$36 არ აღემატება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციური პროდუქტის შექმნით შესაძლებელია, კომპანია გახდეს მომგებიანი და ინვესტორებისთვის მიმზიდველი.

<sup>27</sup> 2012 წლის 21 აპრილის მონაცემებით, ერთი აქციის ფასი \$534-ს შეადგენს. <http://www.google.com/finance/related?q=NASDAQ:AAPL>

დიაგრამა. 1.1. აქციის ფასი 2007 წლიდან 2011 წლის ჩათვლით



ზემოაღნიშნული წარმატება კომპანიამ ახსნა ინოვაციების პირამიდით, რომელიც პირველ საფეხურზე მოიცავს კრეატიულობის ატმოსფეროს, ადამიანების სტიმულირებას, წარმოაჩინონ იდეები, მეორე საფეხურზე პირამიდა გვითავაზობს თვით იდეებს, მესამე საფეხურზე არის ინოვაციები, მეოთხეზე – ახალი ბიზნესი, პირამიდის წვერზე კი – შემოსავალი. ინოვაციური პროდუქტის შექმნისა და კომერციალიზაციისათვის საჭიროა მთელი ქსელი, რომელიც მოიცავს მომხმარებლებს, თანამშრომლებს, მომწოდებლებს, პარტნიორებსა და სხვ<sup>28</sup>. ასეთ პირობებში ორგანიზაციის ყოველი წევრი თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს, არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას, რასაც უნდა მოჰყვეს დადებითი გამოცხადილი კომპანიის მენეჯერების მხრიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ თანამშრომლები უშვებენ შეცდომებს, რადგან, როგორც Read Corporation-ის პრეზიდენტი აცხადებს, შეცდომების გარეშე შეუძლებელია ახალი პროდუქტის შექმნა. აღსანიშნავია ასევე ინოვაციური კომპანია Google-ის მიდგომა იდეების სტიმულირებისადმი. მენეჯერები თანამშრომლებს ნებას რთავენ, რომ მათ სამუშაო დროის 20% დახარჯონ ნებისმიერ პროექტზე, რომელზეც შეაჩერებენ არჩევანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პროექტი არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის ძირითად მისიასთან. უფრო მეტიც, კვირაში ერთხელ Google-ის მენეჯერები აწვობენ თავიანთ ოფისში ღია კარის დღეს და კომპანიის ყოველ თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი იდეა<sup>29</sup>. იდეა კი არის ის, რითაც იწყება ნებისმიერი ბიზნესი და რაც წარმოადგენს ფირმის წარმატების საფუძველს.

ცნობილია, რომ ინოვაციური საქმიანობა დაკავშირებულია დიდხალ ფინანსურ სახსრებთან და არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო უზარმაზარ ხარჯებს გაიღებს კომპანია ინოვაციებისთვის, მით უფრო დიდი მოგება ექნება მას, მაგრამ ეს კონცეფცია ყოველთვის არ არის მართებული. ასე მაგალითად, ჟურნალ “Forbes”-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რომ ტოპინოვატორ ფირმათა ათეულში ვერ მოექცა ტოპმხარჯაველი ფირმები. მაშინ რამ განაპირობა APPLE, Google, 3M, GE, Toyota-სა და სხვა ყველაზე ინოვაციური კომპანიების შემოსავლების ზრდა და ბრენდების ცნობადობა? მათ შეძლეს ისეთი ინოვაციების შემოღება, რომელიც კარგად დააკავშირეს ბიზნესის სტრატეგიებსა და სხვა შესაძლებლობებთან. როდესაც აღნიშნული კომპანიები იდვის ეტაპზე იდგნენ, მათ შეადწიეს მომხმარებლის მოთხოვნილებების შიდა არეალში და გაიგეს პოტენციური დროული საჭიროება. პროდუქტის განვითარების ეტაპზე მათ ჩააბეს მომხმარებლები აქტივობებში, რათა დაემტკიცებინათ ახალი ინოვაციური პროდუქტის ღირებულება, ის, რომ ძვირფასია მოცემული ინოვაციური პროდუქტი და ღირს მისი

<sup>28</sup> <http://www.innovationmain.com/Apple-eBook.html>

<sup>29</sup> Дафт Р. Менеджмент. Питер. 2010. стр. 387.

შეძენა, შეაფასეს ბაზრის პოტენციალი და რისკი. კომერციალიზაციის ეტაპზე აჩვენეს შესაძლებლობა, რომ შეუძლიათ იმუშაონ მომხმარებლებთან. ყველა წარმატებული ფირმა ავლენს განსაკუთრებულ უნარსა და შესაძლებლობას, რომლითაც იგი გამორჩეულია და ირჩევს გარკვეულ სტრატეგიებს, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს საკუთარი კომპანიის წარმატებას<sup>30</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაცია მოგების ზრდის, ინვესტორთა მოზიდვის, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, კომპანიის კონკურენტუნარიანობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა. წარმატების მისაღწევად აუცილებელია იდეების სტიმულირება, მომხმარებელთან დაახლოება და მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგება, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კომპანიის გაყიდვების მაღალი მაჩვენებლებსა და მომხმარებლებთან გრძელვადიან ურთიერთობებს.

*Pachulia Olga*

## **INNOVATION AS THE MAIN FACTOR OF SUCCESS FOR COMPANIES SUMMARY**

The research is devoted to discuss the importance of innovations under the condition of fierce competition. Also, the article suggests the analysis of the most innovative companies (APPLE , Google, Read Corporation). Based on the given research, the outhor gets to the conclusion, that innovations are beneficial for companies, as it helps to make profit, increase the value of company, attract investors and gain the competitive advantage.

The author highlights the core factors for innovative activities to be effective, such as stimulate ideas, become closer with customers and fit innovative products on the needs and demands of customers, which itself gives an impulse to the innovative companies to reach and maintain success.

*თამარ ქამხაძე  
ცირა ელგენდარაშვილი  
ნუნუ აჩუაშვილი*

### **ავიაკომპანიების მართვის და ფუნქციონირების პრობლემები გლობალიზაციის პირობებში**

ეკონომიკის გლობალიზაცია ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია, სიტყვა “გლობე” (ინგლ) დედამიწას, სფეროს, გლობუსს. მისი გამოყენება, ფართო გაგებით, შემოვიდა 1990 წელს. პირდაპირი გაგებით “გლობალური” ნიშნავს ყოვლის-მომცველ მსოფლიო ხასიათის მოვლენას. გლობალური ეკონომიკა არის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა, როგორც რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი ერთიანი ეკონომიკური სისტემა. იგი, ეროვნულ ეკონომიკებთან ერთად, მოიცავს ტრანსეროვნულ კორპორაციებს და საერთაშორისო საფონდო ეკონომიკურ ორგანიზაციებს. გლობალიზაცია არის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კანონზომიერი შედეგი, მისი ახალი და უფრო მაღალი სტადია, ადამიანთა ერთიანობის თვისებრივად ახალი დონეა. გლობალიზაცია არის მსოფლიო მეურნეობის, მომსახურების, მუშახელის და კაპიტალის ერთიან ბაზრად გადაქცევის პროცესი.

<sup>30</sup> <http://www.forbes.com/2011/04/04/10-top-innovative-companies-apple-google-leadership-managing-how.html>

გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება უკავშირდება აქტუალურ თეორიულ საკითხს გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ურთიერთმიმართულებების შესახებ. კონომიკის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც მოიცავდა წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციას, აქტუალური გახდა XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში შექმნილი უმსხვილესი საწარმოები, სწორედ ამ დროს, ამ გზით გარდაიქმნენ ტრანსეროვნულ კომპანიებად. აღნიშნულ პროცესს განაპირობებდა ფაქტორთა შემდეგი სამი ჯგუფი:

1. ტექნოლოგიებში მომხდარი თვისებრივი ძვრები;
2. ფინანსურ ბაზარზე ახალი მოვლენების განვითარება;
3. მეურნეობრივი ცხოვრების რეგულირებაში მომხდარი პრინციპული ხასიათის ცვლილებები.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური ხასიათი საშუალებას იძლევა, ინფორმაცია დაშორდეს მის ფიზიკურ მატარებლებს და ამით ინფორმაციული ეკონომიკა გამოეყოფა ტრადიციულ ეკონომიკას. ინფორმაციული ეკონომიკა კი ნიშნავს უძრავ, უწონადო მოძრაობას “სინათლის სიჩქარით” და სწორედ წარმოების ამ რესურსის უწონადობა ან დემატერიალიზაცია არის თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური დამახასიათებელი ნიშანი.

მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და 2009 წელს ეროვნული ავიაკომპანიების საქმიანობა მოწმობს მგზავრების და ტვირთების ავიაგადაზიდვების ბრუნვის მნიშვნელოვან შემცირებაზე. ფინანსურმა კრიზისმა მოიტანა მნიშვნელოვანი ზარალი ევროპის, აშშ-ს, იაპონიის, რუსეთის ყველა ავიაკომპანიისათვის. აღნიშნული პრობლემა მოითხოვს იმ ფაქტორების ღრმა ანალიზის აუცილებლობას, რომლებიც გავლენას ახდენს ავიაკომპანიების საქმიანობის შედეგებზე და რომლებიც განსაზღვრავს ავიაკომპანიების მართვის ახალი მოდელის მოძიებას გლობალიზაციისა და ფინანსური კრიზისის პირობებში. XXI საუკუნეში გლობალიზაცია გადაიქცა გადამწყვეტ ფაქტორად მსოფლიო და ეროვნული განვითარებისათვის და ითვალისწინებს ციკლური განვითარების სტრატეგიის გამოყენების აუცილებლობას ავიაკომპანიების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზარზე.

თანამედროვე ეროვნული მეურნეობის სტაბილიზაციის და ზრდის პირობებში, საქართველოში დომინირებული მიდგომა – ავიაკომპანიების განვითარება შეერთების საფუძველზე – არ შეიძლება იყოს ეფექტური მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძველი. ამისათვის აუცილებელია ახალი მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რომელიც აღმოჩნდება ავიაკომპანიის მართვის შესაბამისი სასიცოცხლო ციკლის სტადიაზე და რომელიც ბიზნესსტრუქტურებს საშუალებას მისცემს, სრულფასოვნად გამოიყენოს საწარმოო პოტენციალი და თანამედროვე საბაზრო სივრცეში უზრუნველყოფის საკუთარი კონკურენციული პოზიციის გამყარება.

მსოფლიო ბაზარზე კონკურენციული სიტუაციის გამკაცრება თანმხლები გლობალიზაციის ტენდენციასთან და ხარისხის კონტროლის ამადლება, ავიაკომპანიებს კარნახობს ახალ, უფრო მკაცრ მოთხოვნებს – ავიაკომპანიის ეფექტური საქმიანობა შეუსაბამონ ინოვაციების დანერგვას და მართვის თანამედროვე მეთოდებს.

ავიაკომპანიების ადაპტაციის და ფუნქციონირება-განვითარების სტრატეგია გლობალიზაციის, ლიბერალიზაციის და კომერციალიზაციის პირობებში წარმატებით რომ განხორციელდეს, პირველ რიგში უნდა შეიცვალოს გარე საშუალებების ძირითადი თავისებურებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ავიაკომპანიების მართვის ახალი მეთოდების მოძიებისათვის. დღეისათვის მას შეიძლება მივაკუთვნოთ:

- მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის და ინტეგრაციის პროცესი;



- ფინანსური კრიზისი და განვითარებისათვის კრედიტის მიღების სირთულე;
- გარემომცველი გარემოს და ეკოლოგიის მოთხოვნების გამკაცრება. ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტის სახეობაზე გადასვლის ტენდენცია;
- გაძლიერებული კონკურენცია ალტერნატიული ტრანსპორტის მხრიდან;
- ახალი ტექნოლოგიების (მ/შ ინფორმაციული) ოპერატიულ მოხმარებასა და მართვაში დანერგვა;
- მართვის პროცესის ავტომატიზაცია საქმიანობის ყველა სფეროში და კომუნიკაციის საშუალებების სრულყოფა;
- უსაფრთხოების მნიშვნელობის გაძლიერება.

აქტიურ ფაქტორად გვევლინება აგრეთვე ავიასაწარმოებს შორის ურთიერთქმედება უშუალოდ “საჰაერო ტრანსპორტის სისტემის შიგნით”. ამას შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ავიასაწვავის ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა, აეროპორტებში მიწისზედა მომსახურება;
- მსოფლიო ავიაგადაზიდვების ბაზრის ექსპანსია;
- ძირითად აეროპორტებში გადატვირთული რიგი, რაც აიძულებს ავიაკომპანიებს, ეძებონ სხვა ავიამარშრუტების შექმნის შესაძლებლობები;
- ელექტრონულ-საინფორმაციო ცენტრის შექმნა, ავიაკომპანიების, აეროპორტების, საჰაერო-სანავიგაციო მომსახურების მოწყობილობების ურთიერთობისთვის.

აუცილებელი ფაქტორი, რომლის გარეშე შეუძლებელია ინტეგრაცია გლობალიზაციის ფარგლებში, ესაა მონაცემების მომზადებისა და გადაცემის სრულყოფა და ავტომატიზაცია. ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ავიაკომპანიებს შორის კავშირის ახალ დონეს წარმოადგენს. ქსელები ახალ ეკონომიკაში ორგანიზაციის ძირითადი თეორია და პრაქტიკა გახდა.

დღეისათვის და მომავალშიც ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საშუალება ორგანიზაციის ხანგრძლივი არსებობისა და წარმატების უზრუნველყოფისათვის, არის მომხმარებლის სურვილებზე ფიქრის ცოდნა, ბიზნესში ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნილებების ცოდნა და სწრაფვა, რომ ყველა მათგანისაგან მივიღოთ სარგებელი.

თანამედროვე ინფორმაციით გაჯერებული საზოგადოება საშუალებას გვაძლევს, სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე მათგან მივიღოთ აუცილებელი ინფორმაცია, გავითვალისწინოთ დაინტერესებული მხარეების საჭიროება. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩაითვალოს საწარმო წარმატებულ კონკურენციულ პოზიციაზე როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე.

ავიაკომპანიის სიცოცხლისუნარიანობა და წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ააგებს დამოკიდებულებას ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ავიაკომპანიის დაინტერესებულ მხარეებს მიეკუთვნებიან მისი მომხმარებლები, მომსახურებით მოსარგებლები, დამკვეთები, აქციონერები, ინვესტორები, ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები და მაკონტროლებელი ორგანოები.

ავიაკომპანიის სასიცოცხლო ციკლის სტადიის იდენტიფიკაციის მაჩვენებლები უნდა შეფასდეს და დაერთოს დინამიკის რანჟირებულ მაჩვენებლებს, როგორცაა: მოგება, შემოსავლებისა და აქტივების ზრდა. მათი გამოყენება საშუალებას გვაძლევს, მათემატიკური გამოთვლების საფუძველებზე განვსაზღვროთ საანალიზო პერიოდში ორგანიზაციის ევოლუციის ეტაპი.

მომავალი ეკუთვნის ავიაკომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან საკუთარი მართვის რესურსებით. მიაწოდებენ და გაყიდვიან მომსახურებას სასიცოცხლო ციკლის სტადიების მიხედვით. თანამედროვე ავიაკომპანიების განვითარების მოდელიდან

ჩანს, როგორ თანდათან გადადის ავიაკომპანია ერთი მდგომარეობიდან მეორეში რესურსების გამოყენების და კვლავწარმოების გზით. ავიაკომპანიების სასიცოცხლო ციკლის ფაზების ცვლილება მიმდინარეობს სამეურნეო საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ, თუმცა ეს ინიცირებულია შინაგანი პროცესებით.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, 2005.
2. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბილისი, 2009.

*Kamkhadze Tamar  
Elgendarashvili Tsira  
Achuashvili Nunu*

### **PROBLEMS OF MANAGEMENT AND FUNCTIONING OF AIRCOMPANIES UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

Integration and globalization within the framework of the preparation and transmission of data, we believe in necessary improvement and automation. Information technology represents a new level of communication between the airlines.

*ნინო ქეცბაია*

### **ფასი, როგორც მარკეტინგული ფაქტორი**

პროდუქტის ან მომსახურების ფასი, როგორც მარკეტინგული კომპლექსის ერთ-ერთი ელემენტი აქტიურად ზემოქმედებს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე, სასაქონლო მარკის იმიჯის შექმნაზე, მოთხოვნაზე. ფასი პირდაპირ და უშუალოდ მოქმედებს ორგანიზაციის მიერ მიღებულ მოგებაზე.

მარკეტინგის კომპლექსის ყველა ელემენტიდან ფასი ყველაზე მნიშვნელოვანია. გათვლილია, რომ ფასი მოთხოვნის სიდიდეზე ათჯერ მეტ გავლენას ახდენს ვიდრე რეკლამა.

პრაქტიკაში ცნობილია ფასის განსაზღვრის რამდენიმე მიდგომა. კლასიკურ, ეკონომიკურ ვარიანტში კომპანია, უპირველეს ყოვლისა, გაწეული ხარჯებიდან გამოდის. ის ანგარიშობს საქონლის თვითღირებულებას ყველა ხარჯის გათვალისწინებით და ბოლოს მასში დებს მოგების გარკვეულ ნორმას. აღნიშნული მიდგომა დღევანდელ პირობებში ოპტიმალურ გადაწყვეტილებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ბევრი კომპანიის პროდუქციის ბაზარში შეტანით და რეალიზაციით, როგორც წესი, დაკავებული არიან მარკეტოლოგები, ხოლო ფასს განსაზღვრავენ ეკონომიკური განყოფილების სპეციალისტები. როდესაც მომხმარებელი მიდის მარკეტში ან ბაზარში, მისთვის სულ ერთია, როგორია ან რამდენია მწარმოებლის ხარჯები. მომხმარებელი ორიენტირს აკეთებს შესაძენი საქონლის სარგებლიანობაზე (ფასეულობაზე). ასე რომ, სწორი იქნება თუ ფასწარმოქმნაში აქტიურად ჩაერთვებიან მარკეტოლოგები.

ფასის განსაზღვრაში მარკეტინგული მიდგომა ძალიან რთულია. ის დაფუძნებულია არა მარტო გაწეული ხარჯების ანალიზზე, არამედ ისეთ წინააღმდეგობრივ ინფორმაციებზე, როგორცაა მომხმარებლის აზრი და კონკურენციის ძალა. საბოლოო ჯამში,

ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, გავექცეთ საქონლის ჩაწოლის საშიშროებას და კომპანიის ფასების შენარჩუნებას მაქსიმალურ ნიშნულზე.

### **აუცილებელი პირობები**

სპეციალისტების აზრით, ახალ საქონელზე სწორი ფასის განსაზღვრა განსაკუთრებულ შინაგან ადლოს საჭიროებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, საჭიროა ბაზრის დეტალური კვლევის ჩატარება. პირველ რიგში საჭიროა ბაზრის განსაზღვრა: რისი მიღწევა უნდა კომპანიას ახალი საქონლის ან ბრენდის შეტანით ბაზარზე. გაზარდოს ბაზარზე თავისი წილი, მოგების მაქსიმიზაცია თუ სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე მიღებული იქნება სხვა დანარჩენი გადაწყვეტილება ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით.

მეორე – კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ იქნება პროდუქტის მყიდველი. გამომდინარე აქედან, განისაზღვრება, რომელ საფასო სეგმენტს დაიკავენ მსოფლიო საქონელი – იაფს, საშუალოს თუ ძვირს. ეს დასკვნები იმავდროულად ავიწროებს ფასის ჩარჩოებს.

მესამე ნაბიჯი – ყველა იმ ფაქტორის გაანალიზება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფასწარმოქმნაზე: გაწეული ხარჯები, კონკურენციის დონე, ბაზრის ტიპი და მისი მგრძობიარობა ფასების ცვლილებაზე და ა.შ. მაგალითად ისეთი ფაქტორი, როგორცაა ფასის ელასტიკურობა, გვიჩვენებს, როგორ შეიცვლება მოთხოვნა ფასების აწევის ან დაწევის შემთხვევაში.

ამის შემდეგ კომპანია დეტალურად ამუშავებს საერთო საფასო პოლიტიკის სტრატეგიას და განსაზღვრავს თავის ფასების სფეროში თამაშის წესებს და შემდეგ ირჩევს ფასწარმოქმნის მეთოდს.

### **სწორი ორიენტაცია**

პრაქტიკაში ფასწარმოქმნის სამ ძირითად მეთოდს გამოყოფენ. პირველი ორიენტირებულია ხარჯებზე, ანუ ორიენტაცია აღებულია მარტო წარმოების ინტერესებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენება მუშაობს მხოლოდ ძალიან სტაბილურ ბაზრებზე, სადაც გარკვევით შეიძლება მომავალი გაყიდვების მოცულობის პროგნოზირება. მეორე – ორიენტაცია მომხმარებელზე. აქ გადამწყვეტი ფაქტორია მყიდველების დამოკიდებულება შექმნილი პროდუქტის ღირებულებაზე ან, ხატონად რომ ვთქვათ, “მომხმარებელი ყიდულობს არა ხორცს, არამედ ბივშტექსის გემოს”, ამ შემთხვევაში კომპანია ვაღდებულება, დეტალურად შეისწავლოს მომხმარებლის უპირატესობები და ისე განსაზღვროს ფასები, ანუ აქცენტი აიღოს მიზნობრივ აუდიტორიაზე.

მესამე მეთოდი – კონკურენტებზე ორიენტაცია. უნდა განისაზღვროს ბაზარზე კონკურენტების რიცხვი, უშვებენ თუ არა ისინი ანალოგიურ პროდუქციას და რა ფასში ყიდიან. ამას შემდეგ კომპანია იღებს გადაწყვეტილებას, კონკურენტების ფასზე ნაკლებად თუ მეტად გაყიდოს თავისი პროდუქცია.

თბილისის ერთ-ერთ სასწავლო-სატრენინგო ცენტრში მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს ტრენინგის წამყვანი ასეთ კითხვას უსვამს: “როგორ განსაზღვრავთ თქვენ მიერ წარმოებული საქონლის (მომსახურების) ფასს?” პასუხი: “ვაჯამებთ გაწეულ ხარჯებს და ვადებთ ფასნამატს”. ეს მაგალითი შემთხვევით არ მოგვიყვანია, ერთი შეხედვით ფასის განსაზღვრის ე.წ. “ხარჯების” მეთოდი, მართლაც რომ ყველაზე საიმედოა. შეიყვან რა ფასში ყველა ხარჯს, გარანტირებული ხარ რომ არ წააგებ, სინამდვილეში კი ასეთ მიდგომას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. განსაკუთრებით იმ მწარმოებელი კომპანიებისათვის, რომელთაც ბაზარზე თავიანთი პროდუქცია შეაქვთ.

პირველი, “ხარჯების” ფასი არ გამოხატავს საბოლოო მომხმარებლისთვის საქონლის ფასეულობას. ადამიანებს ნაკლებად აინტერესებთ თუ რა დაუჯდა მწარმოებელს პროდუქტის გამოშვება. მომხმარებლები საქონლის ფასს აფასებენ თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხით. ამიტომ, თუ მყიდველს მოეჩვენება, რომ საქონელზე ფასი

მაღალია, მოთხოვნა მასზე შესაბამისად დაბალი იქნება, რაც, საბოლოო ჯამში, რეალიზაციას უქმნის პრობლემას.

მეორე, “ხარჯების” მეთოდი არ ითვალისწინებს ბაზარზე არსებულ სიტუაციას. თუ საქონელი ნაკლებად განსხვავდება ანალოგიურზე, მაშინ იძულებული ხართ, ორიენტაცია გააკეთოთ არა თქვენ მიერ გაწეულ ხარჯებზე, არამედ კონკურენტების მიერ გაწეულ ხარჯებზე. იმ შემთხვევაში თუ თქვენ მაინც გინდათ დარჩეთ ბაზარზე, მაშინ მოგიწევთ დამატებითი ხარჯების გაწევა (რეკლამაზე, promotion-ზე) მომხმარებელი რომ დაარწმუნოთ თქვენი საქონლის უპირატესობაში.

მთავარი მაინც ის არის, რომ ფასწარმოქმნის “ხარჯების” მეთოდი ერთეულ პროდუქციაზე გაწეული რეალური ხარჯების აღრიცხვის საშუალებას არ იძლევა. რითია გამოწვეული ეს? ყველაფერი მარტივია: გაყიდვების მოცულობა დიდად არის დამოკიდებული იმ ფასზე, რომელსაც ადგენს წარმოება. წარმოების მოცულობა დამოკიდებულია წარმოების მასშტაბებზე: რაც უფრო მეტი გამოდის პროდუქცია, მით იაფი ჯდება ერთეული საქონელი. იქნება ჩაკეტილი წრე. არ იცი ერთი მაჩვენებელი, ვერ განსაზღვრავ მეორეს.

ერთ-ერთი გამოსავალი რამდენიმე სცენარის დათვლაა: გაყიდვების ერთი მოცულობის პირობებში ხარჯები სხვა იქნება, მეორე ვარიანტის შემთხვევაში სხვა. ასეთი გათვლებისთვის საჭიროა ნათლად ვიცოდეთ, რომელი ხარჯებია მუდმივი, ე.ი. ის ხარჯები, რომელიც არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე, და რომელი ცვალებადი. მუდმივ ხარჯებს მიეკუთვნება შენობა-ნაგებობის გადასახადი, საამორტიზაციო დანახარჯები, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, სესხის სარგებელი და სხვა. ცვალებად ხარჯებს მიეკუთვნება ნედლეულისა და მარაგების ხარჯები, გადასახადების ოდენობა და ა.შ.

ერთეულ საქონელზე გასაწევი შესაძლებელი ხარჯების ზუსტი პროგნოზირება შეუძლია მხოლოდ იმ ფირმებს, რომელთა საერთო ხარჯების მოცულობაში ცვალებად ხარჯებს უკავია არაუმეტეს 5-10%. რაც დიდად არ აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში, როგორც არ უნდა იცვლებოდეს პროდუქციის გამოშვების მოცულობა.

“ხარჯების” მეთოდის გამოყენებამ 1976 წელს გაანადგურა მსოფლიოში პირველი სპეციალიზებული (ტესტური დამუშავებით) კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ფირმა “Vang Laboratory”. სანამ ფირმას კონკურენტი არ ჰყავდა, ბაზარი მის პროდუქციას მაღალ ფასებში იღებდა. მაღალ ფასებში კომპანიას თავისი მაღალი ხარჯები ჰქონდა ჩადებული. გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში, როცა ბაზარზე გამოჩნდა უნივერსალური პერსონალური კომპიუტერები ტექსტური რედაქტორებით, “Vang”-ის კომპიუტერების გაყიდვები კატასტროფულად შემცირდა. ერთეულ პროდუქტზე ხარჯებმა ძალზე მოიმატა, ხელმძღვანელობამ ისევ “ხარჯების” მეთოდის გამოყენებით, ფასები გაზარდა. ამ უკანასკნელმა ფირმა ფატალურ შედეგამდე მიიყვანა. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ “ხარჯების” მეთოდით ფასწარმოქმნა მხოლოდ იქამდეა ეფექტური, სამან ფირმა უშვებს უნიკალურ პროდუქტს. როგორც კი გვერდზე აღმოჩნდება ანალოგიური საქონელი, აუცილებელია ფასის პოლიტიკის შეცვლა.

### **“ხარჯების” მეთოდის პლუსები და მინუსები**

მიუხედავად ყველაფრისა, ხარჯების მეთოდის გამოყენება ფასწარმოქმნაში პოპულარულია ერთი უბრალო მიზეზით. წამყვანი კომპანიები თავინთ საქმიანობაში ატარებენ სერიოზულ მარკეტინგულ კვლევებს, გააჩნიათ დასაბუთებული ინფორმაცია ბაზრებსა და მისი განვითარების ტენდენციებზე. მათთვის უბრალოდ მიუწვდომელია ფასწარმოქმნის უფრო ვიწრო ხერხების გამოყენება.

რაც შეეხება, სავაჭრო, განსაკუთრებით საბითუმო ორგანიზაციებს, ისინი დღესაც ორიენტირებული არიან კონკურენტების ფასებზე. როგორც წესი, საშუალო საბაზრო ფასნამატი ერთნაირია, თუ რომელიმე კომპანიას გააჩნია შედარებით მომგებიანი პრაიზის იმის წყალობით, რომ მან შეძლო ხარჯების შემცირება, იპოვა რა უფრო იაფი მომწოდებელი.

“ხარჯების” მეთოდს ემხრობიან მცირე და საშუალო მარკეტების მესაკუთრეები. ისინი ცალკეული ჯგუფის საქონელზე უპირატესად აწესებენ მკაცრ ფასნამატებს. მაგ., მსხვილ სუპერმარკეტებში პამპერსები იყიდება მწარმოებლის ფასად. ახალგაზრდა ოჯახები სპეციალურად მიდიან მის შესაძენად, და, იმავდროულად, იქვე ყიდულობენ სხვა პროდუქტებსაც, რომლის ანალოგები მეზობელ მარკეტში შეიძლება უფრო იაფი ღირდეს. პამპერსმა ამ შემთხვევაში “მატყუარას” როლი შეასრულა.

“ხარჯების” მეთოდის გამოყენება მანევრირების ნაკლებ ვარიანტებს ტოვებს. თუ ფირმას მკაცრი ფიქსირებული ფასებით არ შეუძლია მუშაობა, მაშინ მას დამატებითი მოგების მისაღებად რჩება ორი გზა: შეამციროს ხარჯები ან გაყიდოს მეტი. ხარჯების უსაზღვროდ შემცირება შეუძლებელია, ხოლო მეტი რომ გაყიდოს, ჯერ უნდა დაახარჯოს გარკვეული თანხები რეკლამაზე, გამყიდველების სწავლებაზე და ა.შ. დამატებითი თანხების მოძიება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები აღიარებენ, რომ ყველაზე მისაღები მეთოდი არის ე.წ. ფასისმიერი მიდგომა, როცა ბაზრის მდგომარეობით დგინდება ფასი, ანუ სამომხმარებლო მოთხოვნით და კონკურენტების ქცევით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ საწარმოს შესაბამისი სამსახურის, შესყიდვების მენეჯერების აზრი, არამედ მარკეტოლოგების მიერ შეგროვებული ინფორმაციაც.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ერთი და იგივე საქონელი შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს. თქვენს სამზარეულოში პაკეტიდან ჭიქაში დასხმული ნატურალური წვენი ღირს ორი ლარი, იგივე წვენი კაფეში 5-7 ლარი, ხოლო ღამის კლუბებში ფასმა შეიძლება 20 ლარი შეადგინოს. იმ გარემოს, რომელშიც ადამიანს უხდება ყოფნა, შეიძლება წვენის ფასი ათჯერ გაიზარდოს.

რა არის საქონლის ფასეულობა? ეს არის ანალოგიური საქონლიდან ყველაზე კარგი ფასი (ე.წ. “განსაკუთრებული ფასი”) პლუს რაღაც მოგება, რომელსაც საქონელთან ერთად იღებს ადამიანი. ერთი შეხედვით, იმისათვის, რომ საქონელზე “სწორი” ფასი დადგინდეს, საკმარისია ვკითხოთ ადამიანებს “რამდენის გადასახდელად ხართ მზად კონკრეტულ საქონელზე ამა თუ იმ პირობებში?” მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ორიენტაციის აღება მარტო პოტენციური მომხმარებლის პასუხებზე არ შეიძლება. მომხმარებელი, სუბიექტური მოსაზრებით, ბოლომდე ვერ შეაფასებს ახალ საქონელს. მან შეიძლება შეგნებულად დაასახელოს დაბალი ფასი, რათა შემდგომ ეს საქონელი დაბალ ფასში შეიძინოს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამოსავალი ინფორმაციის მისაღებად ასეთი კითხვების დასმა აუცილებელია. ამ შემთხვევაში ფასწარმოქმნის ამოცანაა, “მყიდველის ფასს” და “წარმოების ფასს” შორის არსებული განსხვავების დიდი ნაწილი ფირმის მოგება იყოს, ხოლო დარჩენილი მცირე ნაწილი – მომხმარებლის.

როგორ დავარწმუნოთ მომხმარებელი, რომ წარმოდგენილი საქონელი უფრო ფასეულია (ღირებულია), ვიდრე კონკურენტის და მასში მეტის გადახდას აზრი აქვს? გამოსავალი ერთია: მივაკუთვნოთ საქონელს ისეთი ხარისხობრივი მანკვნილები, რომლითაც ის ანალოგიური საქონლისაგან გამოირჩევა. ეს შეიძლება იყოს გამძლეობა და მრავალფუნქციურობა – თუ საკითხი ეხება საოჯახო ტექნიკას, ტანსაცმელს. ეს შეიძლება იყოს მოსახერხებელი შეფუთვა თუ საკითხი ეხება კვების პროდუქტებს. ხოლო საბითუმო

კომპანიის იმიჯი კლიენტების წინაშე იქნება – განვადება, უფასო სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ.

### **რომელი სქემით განისაზღვრება საქონლის ფასეულობა?**

პირველ რიგში უნდა მოხდეს საქონლის ყველა უპირატესობის ჩამოთვლა და შემდეგ – მისი ფულადი შეფასება. ამის გაკეთება შეიძლება ექსპერტ-საქონელმცოდნეების და გამყიდველების გამოკითხვის გზით. თუ საქონელი ახალია, შეიძლება საცდელი (სასიგნალო) გაყიდვების გზით მომხმარებელთა აზრის გათვალისწინება. თუ საქონელს აქვს უპირატესობა, რომელიც პირდაპირ ამცირებს მომხმარებლის ხარჯებს, მაშინ გასაანგარიშებელია მისი ეკონომიკური ეფექტი. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი ტელერეკლამა: “ერთი ფლაკონი “ფერი“-თ თქვენ შეგიძლიათ ორჯერ მეტი ჭურჭლის გარეცხვა, ვიდრე ჩვეულებრივი საშუალებების დახმარებით”.

უკეთესია მომხმარებელთან საქონლის პიპოტეტურ უპირატესობებზე საუბრის გადაყვანა ეკონომიკურ სიბრტყეში. მაგ., “ჩვენი ელემენტები ორჯერ ხანგრძლივად მუშაობს”, ამ ფხვნილით შეიძლება 6-ჯერ მეტი ლაქების ამოყვანა” და ა.შ.

იმის შემდეგ, რაც განსაზღვრულია თითოეული დამატებითი ფაქტორის ღირებულება, რომლებიც უზრუნველყოფს მოცემული საქონლის ჯამურ ღირებულებას, საჭიროა “განურჩევლობის ფასის” და საქონლის “უპირატესობის ფასის” შეკრება და ეს იქნება ის თანხა, რასაც მყიდველები გადაიხდიან საქონელში, თუმცა მიღებული თანხა შესაძლებელია დაკორექტირდეს. მისი შემცირება გამოიწვევს მოთხოვნის ზღვას, მაგ., მკვეთრი ზრდა იქნება მოსალოდნელი 10%-იანი ფასდაკლების შეთავაზების პირობებში. არ ღირს წინასწარი ანალიზის გარეშე ფასის შემცირება (თუ არის ამის შესაძლებლობა), მოთხოვნა ამ შემთხვევაში გაიზრდება მხოლოდ გარკვეულ დონემდე. თუ მომხმარებლის თვალში ფასი აღმოჩნდება ძალზე დაბალი, ისინი შეწყვეტენ ამ პროდუქტის შეძენას. დაბალმა ფასმა ახალ მყიდველს შეიძლება ეჭვი გაუჩინოს საქონლის დაბალ ხარისხზე, ხოლო ძველმა მყიდველმა აღიქვას ხარისხის გაუარესების ნიშნად.

*Ketsbaia Nino*

## **PRICE AS A MARKETING FACTOR SUMMARY**

The company should define its basic tasks and aims until it selects the method of price formation. Only after this the company will view and analyze all the methods of price formation and will select the most optimal version among them. The price of the company’s goods varies between two extreme versions: very small, when it is almost impossible to gain profit out of it, and very high, when the existence of demand is excluded.

It is very difficult to determine whether, usage of which method of price formation is optimal for the market in case of rapidly changeable business environment. But one thing is certainly known, that the price should be focused on customer.

*მარინე ცუცქერიძე*

### **ბიზნესის დივერსიფიკაციაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები**

თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესი აქტიურ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. მისი გავლენით წარმოიქმნება და ვითარდება რთული საწარმოო გაერთიანებები და საერთაშორისო საბაზრო მოთხოვნებსა და პროცესებთან დაკავშირებული ფორმები, რაც მოითხოვს წარმოების დივერსიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტას

ფირმათა საწარმოო და მომსახურების სისტემის საშუალებით. დივერსიფიკაცია ძირითადად დაკავშირებულია ფირმების პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებასთან, რომელიც გამოწვეულია მასზე საბაზრო მოთხოვნის გადიდებით, ან საბაზრო კონკურენციის გაძლიერების პირობებში. მწარმოებელი ფირმების ან მათ გაერთიანებათა მიერ პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოების შედეგად ხორციელდება რთული საწარმოო კომპლექსების ჩამოყალიბება. ისინი მოწოდებულნი არიან, გაუძღონ ეკონომიკის განვითარებაში არსებულ უთანაბრობას და გააძლიერონ საბაზრო მოთხოვნისათვის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პროდუქციის წარმოება.

გლობალიზაციის გავლენით დივერსიფიკაცია განსაკუთრებით გაძლიერებულად მიმდინარეობს საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგობრივ საბაზრო სისტემებში, ასევე მშენებლობისა და ფინანსური საქმიანობის პროცესებში. ბიზნესის დივერსიფიკაციის თავისებურებას განსაზღვრავს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებაც და მასზე მოქმედი ფაქტორები, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. ასეთია ფირმათა მოგების გადიდება, ინვესტიციების გამოყენების გაფართოება, ეკონომიკის სტაბილიზაცია, ბიზნესის კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება, მრავალდარგოვან წარმოებათა გაფართოებისათვის სტიმულების გამოყენება და სხვ.

ამ მიმართულებით ბიზნესის წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს საწარმოთა მოგების გადიდება, მათი დამოუკიდებელი ასორტიმენტული პოლიტიკის გატარების გზით, რაც დივერსიფიკაციის საფუძველიცაა.

ამრიგად, ბიზნესის დივერსიფიკაცია წარმოადგენს, გლობალიზაციის პროცესების გავლენით წარმოქმნილ წარმოებათა ნომენკლატურულ-ასორტიმენტული პოზიციების განმტკიცების გზით, მათი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებას და ფირმების შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. ამიტომ ბიზნესის დივერსიფიკაცია ორი ძირითადი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს. პირველის დროს ბიზნესის წარმატებათა გადამწყვეტ საშუალებად გვევლინება მწარმოებელ ფირმებში პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება ისეთი თანაფარდობით, რომელიც აუცილებელია მისი საბაზრო შესაძლებლობის გამოსავლენად. ასევე მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროდუქციის ნომენკლატურაც. ასეთი შემთხვევისათვის დივერსიფიკაცია ემსახურება საბაზრო რისკის შემცირების მიზანს და წარმოადგენს ფირმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას.

მეორე მიმართულების დროსაც ფირმა მიმართავს ასორტიმენტული პოლიტიკის გაძლიერებას, რომელიც საბაზრო სეგმენტირების საფუძველად გამოიყენება. პროდუქციის ასორტიმენტის შევსება ხორციელდება მიზნობრივი საბაზრო მოხმარების ინტერესებთან შესაბამისად. ამ დროს პროდუქციის ასორტიმენტი უნდა მოიცავდეს ურთიერთგანსხვავებულ საქონელთა ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა მომხმარებლისათვის. იგი უკავშირდება საბაზრო სივრცეში მომხმარებელთა მოზიდვას, რომელიც სოციალური მდგომარეობის მიხედვით, თანმიმდევრულად, რამდენიმე საბაზრო სეგმენტის გავლის საშუალებით ხორციელდება.

ბიზნესის დივერსიფიკაცია დარგობრივ საბაზრო სისტემებში ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით. სამრეწველო ფირმებში დივერსიფიკაციის მიზანს ემსახურება უახლესი კონსტრუქციის სამრეწველო და სამშენებლო პროდუქციის წარმოებათა ათვისება. გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემის ფუნქციონირებაზე, რადგან ის, საბაზრო კავშირების გზით ემსახურება ცხოვრების დონეთა გათანაბრების მიზნის შესრულებას.

ამდენად, იგი დიდ გავლენას ახდენს ბიზნესის დივერსიფიკაციაზე როგორც საწარმოო, ასევე მომსახურების სისტემაში. ბიზნესის დივერსიფიკაცია მომსახურების

სისტემაში გაერთიანებულ ფორმებში გლობალიზაციის გავლენით განაპირობებს მომსახურების სხვადასხვა სახეობათა გაერთიანებას და ფირმის საქმიანობის წარმართვას შემოსავლების გადიდების მიზნით. ამით დივერსიფიკაცია მომსახურების სისტემაში ხორციელდება მისი სფეროების გაფართოებითა და მათ უახლეს სახეობათა მრავალფეროვნების საფუძველზე.

დივერსიფიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე საწარმოო და საბაზრო პროცესების რაციონალურად წარმართვაში. იგი წარმოადგენს ფირმათა სტრატეგიას, ინვესტიციური და ფინანსური გარემოს მოწესრიგების საფუძველს საბაზრო რისკის დროს. დივერსიფიკაციული სტრატეგიის საშუალებით მიღებული ეფექტი დამოკიდებულია ისეთ მაჩვენებლებზე, რომლებიც ასახავს დეფაქტორების მოქმედებას, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებაში წარმოქმნილ რეცესიული მდგომარეობის დაძლევათა, ნორმალური ეკონომიკური გარემოს წარმოქმნასა და ეკონომიკურ ზრდასთან. ამ დროს დივერსიფიკაციით შეიძლება გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე შემცირდეს არასისტემატური საბაზრო რისკი. იგი წარმოადგენს ზოგად ინსტრუმენტსაც მენეჯმენტის სფეროში, რომელიც, მმართველთა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ამცირებს საბაზრო პროცესებში მიღებულ უარყოფით შედეგებს. ის ასევე, ფირმათა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, პოზიციურთან ერთად, ოპერაციული მართვის სრულყოფის საშუალებასაც წარმოადგენს.

გლობალიზაციის პროცესი აქტიურად ზემოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე და საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებას განაპირობებს. ამ დროს წარმოიქმნება დივერსიფიკაციის აუცილებლობაც. გლობალიზაცია გავლენას ახდენს დივერსიფიკაციის შედეგებზე, რითაც მცირდება საბაზრო რისკი და ძლიერდება ბიზნესის სტრატეგია, რომელიც მიმართულია ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნისაკენ. ამით გლობალიზაცია გვევლინება როგორც წარმოებისა და მომსახურების სისტემის რაციონალური ორგანიზაციის, ასევე ბიზნესის არეთა გაფართოების, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველად.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბესაძე რ.** მდგარდი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა, სამეცნ. შრ. კრებული, ტ. I, თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
2. **ბერულავა გ.** პრივატიზაციის პოლიტიკური ასპექტება, სამეცნ. შრ. კრებული, ტომი III, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
3. **პაპავა ვლ.** არატრადიციული ეკონომიკის, თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
4. **პაპავა გ.** ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის თვისობრივი წყობის მორფოლოგიური შეცნობა, საერთაშორისო კონფ. მასალების კრებული „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
5. **წერეთელი გ.** საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები. სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. II, მეცნიერება, თბილისი, 2002.
6. **ცუცქერიძე მ.** ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვის საკითხისათვის. სამეცნ. შრ. კრებული, ტ. I, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.



**THE PECULIARITIES OF GLOBALIZATION AND ITS INFLUENCE  
ON BUSINESS DIVERSIFICATION  
SUMMARY**

The article discusses actual issues of the business diversification under Globalization.  
There are analyzed the peculiarities of business development and diversification in Georgia.

*ეკატერინე ჩოხელი*

**ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავების თავისებურებები  
მცირე კომპანიებში**

ადამიანური რესურსები არის მნიშვნელოვანი კაპიტალი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, დაწყებული ყველაზე მცირე და დამთავრებული უმსხვილესი კომპანიებით. თუ ორგანიზაციას ჰყავს კვალიფიციური კადრები, მას ეძლევა უკეთესი შანსი, დაიმკვიდროს თავი ბიზნესში და მიაღწიოს წარმატებას. თანამედროვე ეტაპზე მცირე კომპანიებისათვის განსაკუთრებით რთულია ბიზნესში უპირატესობის მიღწევა და შენარჩუნება, რადგან მსხვილ კომპანიებთან შედარებით, მათთვის დამახასიათებელია მაღალი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, ამიტომ დანახარჯების შემცირებაზე მუდმივი ზრუნვა აუცილებელია მოგების ზრდის მისაღწევად. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ადამიანური რესურსები. მცირე კომპანიაში ადამიანური რესურსების სწორი და ეფექტური მართვა ამცირებს კომპანიის დანახარჯებს, ამალღებს კონკურენტუნარიანობას და ზრდის გაყიდვების რაოდენობას.

ადამიანური რესურსების მართვა არის პროცესი, როცა კომპანია უზრუნველყოფს “ადამიანის” ნიჭის ეფექტიან გამოყენებას ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად. კომპანიებში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა უკავშირდება ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებას. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიად მიიჩნევა იმ მეთოდებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომლითაც კომპანია უზრუნველყოფს ეფექტიანი ადამიანური რესურსების მოზიდვას, სწავლება-განვითარებას და შენარჩუნებას დასახული მიზნების მისაღწევად. სტრატეგია საშუალებას აძლევს კომპანიას წინასწარ განსაზღვროს როგორი კადრებია მისი ორგანიზაციის შესაფერისი და დასახოს გზები მათი მოზიდვის, განვითარებისა თუ შენარჩუნებისთვის. ის კომპანია, რომელიც სპონტანურად არჩევს კადრებს და ასაქმებს თავის ორგანიზაციაში, ვერ აღწევს ისეთ წარმატებას იმ კომპანიასთან შედარებით, რომელსაც შემუშავებული აქვს სქემა, როგორ დააკომპლექტოს ორგანიზაცია პერსპექტიული კადრებით. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება შრომატევადი პროცესია და ისეთი პრინციპების დაცვას ეფუძნება, როგორცაა:

- ორგანიზაციის მიზნებისა და სტრატეგიის გაანალიზება;
- სამუშაო ძალის მიწოდებისა და მისი თავსებადობის შეფასება სასურველ ცოდნასთან, უნარებთან, შესაძლებლობებთან;
- პროგნოზირების განხორციელება;
- იმის განსაზღვრა, რა სჭირდება ორგანიზაციის სამუშაო ადგილების დაკომპლექტებისათვის;
- ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის შეფასება;

➤ ორგანიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისი სტრატეგიის ფორმირება (Mathis, Thomson 2005).

მცირე კომპანიაში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია კომპლექსურია და, თავის მხრივ, შემდეგი სტრატეგიების განხორციელებას მოიცავს:

- ❖ ეფექტური ადამიანური რესურსების მოზიდვის სტრატეგია;
- ❖ ეფექტური სამუშაო ძალის შენარჩუნების სტრატეგია;
- ❖ ადამიანური რესურსების სწავლებისა და განვითარების სტრატეგია.

ორგანიზაციისთვის საჭირო შრომითი რესურსის მოზიდვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც მენეჯერებისგან მოითხოვს დიდ დროსა და ენერჯიას. იგი დაკავშირებულია ისეთი ქმედებებთან, როგორიცაა: ადამიანური რესურსების დაგეგმვა, პროგნოზირება, სამუშაოების აღწერა, პერსონალის შერჩევის პროცედურების განსაზღვრა და კადრების არჩევა.

სანამ კომპანია კადრების შერჩევაზე დაიწყებს ფიქრს, აუცილებელია უპირველესად პერსონალის გეგმის შემუშავება. გეგმაში უნდა ჩანდეს, რამდენი და რა ტიპის მომუშავეები სჭირდება კომპანიას, რისი ცოდნა მოეთხოვებათ მათ და როგორ დაფინანსდებიან. გეგმა უნდა იყოს კოორდინირებული კომპანიის ბიზნესგეგმასთან, არ უნდა იყოს დეტალური ან გრძელი, ძირითადად გამოკვეთილი უნდა იყოს მთავარი საკითხები, რომელებიც შემდგომ დაედება საფუძვლად მმართველობით გადაწყვეტილებებს. კერძოდ, სასურველია გეგმაში ასახული იყოს შემდეგი საბაზისო ელემენტები: მიზნები, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი; ახალი თანამშრომლების მოძიების წყაროები; ეფექტიანი თანამშრომლების შენარჩუნების გზები; ტრენინგი და სწავლება; თანამშრომელთა დაფინანსება; სამუშაოების აღწერილობა; ორგანიზაციული სტრუქტურა. გეგმა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ თავისთავად გამოხატავდეს კომპანიის ხედვასაც და ინფორმაციას იძლეოდეს მისი საქმიანობის მიმართულების შესახებ.

ადამიანური რესურსების დაგეგმვის შემდეგ მნიშვნელოვანია ეფექტიანი მომუშავეების მოზიდვა. ამ დროს, პროფესიონალური ცოდნის შემდეგ, უპირველესია, კულტურის გათვალისწინება, რადგან კომპანიისთვის ადამიანური რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია, მან უნდა შეარჩიოს ისეთი რესურსი, რომელსაც ექნება მაღალი ფასეულობა და იგივე ან მსგავსი კულტურა, როგორიც დამკვიდრებულია ორგანიზაციაში. პოტენციური კანდიდატების შესარჩევად აუცილებელია დაცული იყოს გარკვეული თანამიმდევრობა. პირველი, უნდა განისაზღვროს ის ადგილი, არეალი, საიდანაც შესაძლებელი იქნება კადრების შერჩევა. მაგალითად, არ შეიძლება ქირურგი ვეძიოთ ავტობუსის გაჩერებაზე. მეორე, კომპანიამ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სამუშაო ადგილის შესახებ. კადრების შესარჩევად კომპანიას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები. მაგალითად, როგორიცაა:

- განცხადებების გამოქვეყნება (ზოგადი ან კონკრეტული);
- სპეციალური პროგრამების შემუშავება სკოლებისთვის;
- სტუდენტების მოზიდვასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება;
- პროფესიონალების გამოყენება;
- სახელმწიფო დასაქმების სერვისები და სააგენტოებთან ურთიერთობა.

ამის შემდეგ კომპანიამ უნდა შეარჩიოს კანდიდატები გასაუბრების, ტესტირების ან ანკეტირების მეთოდის გამოყენებით. საკადრო გასაუბრება (ინტერვიუ) პერსონალის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და უნივერსალური ფორმაა. იგი მოითხოვს გულმოდგინე მომზადებას. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შეიქმნას კომფორტული პირობები კაბინეტში ან სპეციალურ ოთახში, სადაც ტარდება გასაუბრება. აქ ყოველივე ხელს უნდა უწყობდეს საქმიან საუბარს და პრეტენდენტთა ყოველგვარი ბუნებრივი

დაძაბულობის სრულ მოხსნას. აუცილებელია, გამსაუბრებელი წინასწარ გულმოდგინედ გაეცნოს კანდიდატის ისტორიას, ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, განსახილვროს, დასვას კითხვები, რეკომენდებულია შემდეგი თანმიმდევრობით: პიროვნულ თავისებურებებზე, განათლებაზე, პრაქტიკულ ჩვევებზე, მუშაობის გამოცდილებაზე, გეგმებსა და მისწრაფებებზე, მოცემული თანამდებობის დაკავების მიზეზებზე, მუშაობის შეთავსების შესაძლებლობაზე, პირად ცხოვრებაზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ხელფასის სიდიდეზე, საქმიანი კარიერის მიზნებზე, მომავალ გეგმებზე თანამდებობის დაკავების შემთხვევაში. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, პრეტენდენტს წინადადება უნდა მიეცეს, დასვას შეკითხვები მისთვის საინტერესო საკითხებზე, რომელთა საფუძველზე ბევრი რამის გაგება შეიძლება ადამიანის შესახებ. გასაუბრების დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შედგეს შედეგის გაახრება და განხილვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მუშაობის დაწყება სხვა კანდიდატურასთან. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ყველა პრეტენდენტის გაცნობის შემდეგ, მათგან ყველაზე საუკეთესოს ამორჩევის გზით. მიუხედავად ამისა, სუბიექტური მიზეზების გამო, გასაუბრება კადრების შერჩევის არც ისე საიმედო მეთოდია იმის გამო, რომ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი მიიღება პირადი სიმპათიებისა და ანტიპათიების და არა ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

დოკუმენტების საფუძველზე პერსონალის შერჩევა ძირითადად ეყრდნობა სათანადო წესით შევსებული ანკეტებისა და კადრების აღრიცხვის პირადი ფურცლების მონაცემებს. არსებული სტანდარტული ანკეტებისა და კადრების აღრიცხვის პირად ფურცლებთან ერთად, ორგანიზაციებს (ფირმებს და ა.შ.) შეუძლიათ შეიმუშაონ საკუთარი ანკეტები. იგი შეიძლება იყოს როგორც საერთო, ისე სპეციალური, რომელიც გამიზნული იქნება პრეტენდენტთა კონკრეტული კატეგორიისათვის. ანკეტაში შეიძლება შემდეგი ხასიათის კითხვები იქნეს შეტანილი: კვალიფიკაციის დონის შესახებ სპეციალურ, ეკონომიკურ და მმართველობით ცოდნაში; ორგანიზაციულ ჩვევებზე (დაგეგმვის, კოორდინაციის, კონტროლის შესაძლებლობა); წინა სამუშაოზე ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან ურთიერთდამოკიდებულებაზე; პრინციპულობაზე; საზოგადოებრივ აქტიურობაზე; წინა სამსახურებიდან გათავისუფლების მიზეზებზე და ა.შ. ანკეტებს პუნქტების მიხედვით უდარებენ პერსონალის შერჩევის დადგენილ კრიტერიუმებს. ეს კი საშუალებას იძლევა, დადგინდეს პრეტენდენტის განათლების დონისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისობა თანამდებობის ხასიათთან და მოვალეობასთან, აგრეთვე, მზადყოფნა დამატებითი დავალებების შესრულებაზე (მაგალითად, მივლინებებში წასვლის შესაძლებლობა). ამასთან ერთად, მოცემულ შემთხვევაში ავლენენ მომავალ მუშაობაში ხელის შემშლელ ფაქტორებს.

ჩვენ მიერ განხილული ეს ორი მეთოდი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ ისინი უმეტესად ორიენტირებულია წარსულზე. ამ ნაკლოვანების გამოსწორებას ხელს უწყობს ტესტირების (ტესტები – ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენის, იმიტაციური, კომპლექსური) გამოყენება. იგი ითვლება საუკეთესო კანდიდატების არჩევის საიმედო მეთოდად. ტესტის საშუალებით შეიძლება შეფასდეს სამუშაოს შესრულების სიჩქარე და სიზუსტე, ყურადღების მდგომარეობა, სწრაფად ორიენტირების უნარი, შრომისმოყვარეობა, პიროვნული მიდრეკილებანი, საერთო შესაძლებლობანი, პრეტენდენტის ვარგისიანობა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში, სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა შემთავაზებულ ადგილზე, პროფესიონალზში, მომავალი სამუშაოსადმი ინტერესის არსებობა, პრეტენდენტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებების განვითარების ხარისხი, გონებრივ შესაძლებლობათა დონე, სწავლისადმი მიდრეკილება, ინტერესები, პიროვნების ტიპი, მახსოვრობა, ტემპერამენტი, საქმიანი თვისებები და ჩვევები,

ადამიანთა მართვის უნარი, კომუნიკაბელურობა, კეთილსინდისიერება, ლიდერული უნარები და სხვ.

დასასრულ, შერჩეული კანდიდატი ხვდება ხაზობრივ მენეჯერს პერსონალის საკითხების სპეციალისტთან ერთად და მიეწოდება დაქირავების შესახებ ინფორმაცია წერილობითი ან ზეპირი ფორმით, სადაც მოცემულია: თანამდებობის დასახელება, მუშაობის ადგილი, დაქვემდებარებულობა, ხელფასის სიდიდე და მისი მიცემის წესი, არსებული შეღავათები, გამოსაცდელი პერიოდის ხანგრძლივობა, მუშაობის დაწყების თარიღი. ამის შემდეგ ორივე მხარეს შორის ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მცირე კომპანიას თავისი ბიზნესის იდეების რეალიზაციისათვის, გარდა ეფექტური შრომითი რესურსების მოზიდვისა, სჭირდება მუდმივი ზრუნვა მის შენარჩუნებაზე. მას შემდეგ, რაც შეირჩევა პერსპექტიული კადრი, ორგანიზაცია უნდა ზემოქმედებდეს მასზე და ახდენდეს მისი საქმიანობის წარმართვას სასურველი მიმართულებით. აღიარებულია, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები კარგავენ ინტერესს სამუშაოს მიმართ, გარემოს ცვალებადობის კვალდაკვალ ეცვლებათ დამოკიდებულება მის მიმართ და ა.შ. თუ ორგანიზაცია არ ითვალისწინებს ამ გამოწვევებს, იგი ყოველთვის დადგება კომპეტენტური კადრების დაკარგვის საფრთხის წინაშე. სწორედ ამაში მდგომარეობს ადამიანური რესურსების მართვის ფილოსოფია, ორგანიზაციაში უნდა აღმოიფხვრას ის პრობლემები, რაც თანამშრომლებს უბიძგებს ორგანიზაციის დატოვებისკენ და შემუშავდეს ის ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კადრების სტაბილურობას. ამ კუთხით განსაკუთრებით ეფექტურად ითვლება შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების სისტემების გამოყენება.

შრომის ანაზღაურება მიეკუთვნება შრომის მატერიალური სტიმულირების ფორმას. შრომის ანაზღაურების მართვით მცირე კომპანიებს შეუძლიათ მოიხილონ მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური მომუშავენი, შეუქმნან მათ საწარმოში მუშაობისა და დასვენების კომფორტული პირობები. მისი საშუალებით შესაძლებელია წარმოების პროცესში ისეთი შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიებს, აანაზღაურონ გაწეული დანახარჯები და მიიღონ მოგება. ამ შედეგების მისაღწევად მცირე კომპანიებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესსტრატეგიის შესაბამისი ანაზღაურების სტრატეგიების დამუშავებასაც. ანაზღაურების სტრატეგია უნდა ემყარებოდეს კომპანიის ფასეულობებს, ინტეგრირებული იყოს პერსონალისა და განვითარების სხვა სტრატეგიებთან და უზრუნველყოფდეს ორგანიზაციის მიზნების შესაბამისი შრომის შედეგების წახალისებას. გარდა შრომის ანაზღაურებისა, მცირე კომპანიებში ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სტიმულირების ისეთი სისტემების გამოყენებას, როგორცაა პრემიები, დამატებითი შეღავათები და ბონუსები: დაზღვევა, უფასო კვება, ტრანსპორტი, სამსახურებრივი თუ სასწავლო მივლინებები, სამსახურებრივი დაწინაურება და ა.შ.

ბიზნესკომპანიებისთვის, მათ შორის მცირე კომპანიებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვას. გარემოში მიმდინარე ცვლილებები, ტექნიკისა და ტექნოლოგიების სრულყოფა, სტრატეგიების ცვლილება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და სხვ. ზრდის მოთხოვნილებას მომუშავეების პროფესიულ განვითარებაზე. ცნობილია, რომ დასავლეთის კომპანიები ამისათვის ხარჯავენ ხელფასის ფონდის მინიმუმ 10%-მდე, რადგან იგი არის ინვესტიცია, რომელიც კომპანიას უბრუნდება გაზრდილი მოგების, შემოსავლების ზრდის და წარმატების სახით, ხოლო მომუშავეს აძლევს ცოდნას, ხდის უფრო დამოუკიდებელს და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანს.

პერსონალის განვითარება, მუდმივი სრულყოფა მიიღწევა სწავლების საფუძველზე. კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს პერსონალის სწავლების შემდეგი სახეები: პირველადი სწავლება საწარმოს ამოცანებისა და მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე; სწავლება თანამდებობისადმი მოთხოვნებსა და პიროვნულ თვისებებს შორის სხვაობის სალიკვი-

დაციოდ; სწავლება საერთო კვალიფიკაციის ასამაღლებლად; სწავლება ორგანიზაციის განვითარების ახალ მიმართულებებზე სამუშაოდ; სწავლება შრომითი ოპერაციის შესრულების ახალი იდეებისა და მეთოდების ასათვისებლად ან ფორმები: წარმოებისგან მოწყვეტით (სხვადასხვა სასწავლებლებში) და წარმოებისგან მოუწყვეტად (ორგანიზაციული, დამრიგებლის მეთვალყურეობით ან უშუალო სტაჟირებითა, ტრენინგები, სააუდიტორიო სწავლება, პროგრამული სწავლება, კომპიუტერული სწავლება, დისტანციური სწავლება და თვითსწავლება და ა.შ

ამრიგად, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებით მცირე კომპანიას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს როგორ მოიხილოს პერსპექტიული კადრები, როგორ მოახდინოს მათი განვითარება და შენარჩუნება, რადგან იგი საშუალებას აძლევს კომპანიას, წინასწარ გააანალიზოს, შეიმუშაოს და გამოიყენოს ის თანამედროვე მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ხელსაყრელი იქნება მოცემულ სიტუაციაში.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
2. Benchmarking Surveys and Asset management HR survey. Retrieved October 15<sup>th</sup> 2005 from [www.prpiconsulting.com](http://www.prpiconsulting.com)
3. Mathis, Robert L. and John H. Jackson. Human Resource Management 11<sup>th</sup> Edition. Thomson South-Western, 2005.
4. Rutzick, Karen. (2005). "GAO : Managers should focus on employee performance." Retrieved October 15<sup>th</sup> 2005, from [www.bettermanagement.com](http://www.bettermanagement.com).

*Chokheli Ekaterine*

### **FEATURES OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT STRATEGY IN SMALL COMPANIES SUMMARY**

It is said in this article, that human resource is the important capital for any organizations. If organization has the qualified staff it has better chance to strengthen itself in business. At the modern stage it's especially difficult to gain and keep advantages for small companies, because as compared with large companies the heavy expenses for production unit are typical for them, that's why permanent care for curtailment of expenses is considered as a priority of small companies. Human resource correct and effective management curtails expenses of small companies, increases marketability and raises the chance of success. That is impossible without working out the human resource management strategy. With this strategy small company must determine exactly how to get staff with great potential, how to develop and keep them. For that it must work out and use modern methods and approaches, which would be based on situation analysis and guarantees making of concrete advantages and increasing the efficiency of the small company.

*ნანა ჯღარკაია*

### **ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის როლი ბიზნესის განვითარებაში**

პარადიგმული აქსიომა – განათლების მაღალი დონისა და ეკონომიკის წარმატებების ურთიერთკავშირი, უმუშევრობის დაბალი დონის შენარჩუნება და ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა (განათლების მაღალი დონის გამო); მაგრამ განათლება და მეცნიერება ვერ გადაწყვეტს ყველა ეკონომიკურ პრობლემას. პოსტსოციალის-

ტურ ქვეყნებში მეცნიერება და განათლება საკმაოდ მაღალ დონეს აღწევდა, მაგრამ ეს პოტენციური აბსოლუტურად გამოუსადეგარი აღმოჩნდა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკისათვის, – ასეთი აზრია წარმოდგენილი მსოფლიო ბანკის ექსპერტთა დასკვნაში, რომელიც გამოქვეყნდა სახელწოდებით „ინოვაციების კომერციალიზაციის ფინანსური მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან“, სადაც გაანალიზებულია ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფილი, დამოუკიდებელი ქვეყნების მეცნიერული კვლევების კომერციალიზაციის პრობლემები, ამ გამოკვლევების მიხედვით, მეცნიერულ კვლევებსა და ინოვაციებზე იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის 1, 5% რუსეთში, 1,2% – უკრაინაში, 0,8% – ესტონეთში, 0,7% – ლიტვასა და ბელორუსში, 0,4% – ლატვიაში, 0,3% – აზერბაიჯანში, 0,2% – სომხეთსა და ყირგიზეთში; საშუალოდ, ევროპისა და შუა აზიის ქვეყნები მეცნიერული და ტექნოლოგიური ძიებებისათვის ხარჯავენ მშპ-ის 0,9%-ს, ხოლო კაცობრიობა კი მეცნიერულ კვლევებზე ხარჯავს პლანეტის მშპ-ს 2,3%-ს, შედარებისათვის – აშშ მეცნიერული კვლევებისათვის „იმეტებს“ მშპ-ს 2,8%-ს, ისრაელი – მშპ-ს 5,1%-ს, ხოლო ფინეთი – 3,6%-ს.

ევროპასა და შუა აზიაში ხარჯებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის ძირითადად სახელმწიფო კისრულობს, აღნიშნული ხარჯების მესამედი კი მოდის კერძო სექტორზე. ისეთი ქვეყნებისათვის (იაპონია, აშშ, შვედეთი, ფინეთი, ირლანდია, გერმანია), სადაც აქტიურად ხდება ფულის ჩადება მეცნიერებასა და ინოვაციებში, ბიზნესსექტორის წილი დაფინანსებაში აღწევს 65-70%-ს, ხოლო სახელმწიფო კი იხდის დანარჩენ 20-30%-ს.

პოსტინდუსტრიული პროცესები ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიო სამეურნეო სისტემის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ქვეყნების უმეტესობისათვის დამახასიათებელი თანამედროვე ეკონომიკური კანონზომიერებების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ინტელექტუალიზაცია [7, გვ. 55-61].

თანამედროვე სამყაროში ცივილიზებული სახელმწიფოების განვითარების პერსპექტივა, როდესაც ისინი გადადიან პოსტინდუსტრიულ წარმოებაზე, დაკავშირებულია ინტელექტუალური კაპიტალის, როგორც ეკონომიკის ზრდაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, დაცვაზე, სწორ გამოყენებასა და კომერციალიზაციაზე. დღეს მთელ მსოფლიოში მიდის საზოგადოებრივი წარმოების ახალი დარგის – საინფორმაციო-ინტელექტუალური პროდუქტების ინდუსტრიის ფორმირება და განვითარება. ამიტომაც, ეკონომიკა, რომელიც ეფუძნება ცოდნას და ინტელექტუალურ კაპიტალს, ხდება ქვეყნების და ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორი. ინტელექტუალური კაპიტალის შექმნის და გამოყენების პროცესში ჩაბმულნი არიან საბაზრო ურთიერთობის ყველა სუბიექტები – კომერციული ბანკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვ. მათი მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკა ხდება უფრო ინფორმაციამომცველი, ტექნოლოგიური და ინოვაციაზე ორიენტირებული.

ეკონომიკის უნარი, შექმნას და ეფექტურად გამოიყენოს ინტელექტუალური კაპიტალი, წარმოადგენს ერის ეკონომიკურ ძალას.

ინტელექტუალური კაპიტალი ფართოდ მოიცავს სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს და შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობებისა და ცალკეული მიკროსისტემების განვითარების სპეციფიკას და ასახავს საზოგადოებრივი პროგრესის ტენდენციებს.

ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებულ ადგილს უთმობს „ინტელექტუალური კაპიტალის“ კვლევას. მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ასაბუთებს ადამიანის წამყვან ადგილს საზოგადოებრივი წარმოების პროცესში და მის როლს საზოგადოების განვითარებაში. ცნობილია, რომ ადამიანის აღზრდა-განათლებაზე დაბანდებული კაპი-

ტალი უფრო მაღალი უკუგებისაა, ვიდრე ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში. განათლების, ცოდნის, კულტურის, სულიერების, კომპეტენტურობის დეფიციტი გაცილებით აზიანებს, ვიდრე საქონლის ან ბიუჯეტის დეფიციტი; ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება ითვლება კაპიტალად, რამდენადაც ის აგროვებს შემოსავალს, ამიტომ განათლების დონის ამაღლება, სამუშაო ძალის სპეციალური მომზადება თვითონ ხდება კაპიტალის დაგროვების ფორმა.

უდავოა, რომ კვალიფიკაციის მაღალი დონე ამაღლებს შრომის ხარისხსა და მწარმოებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს და აჩქარებს ეროვნული სიმდიდრის ზრდის პროცესს. ადამიანი წამყვანი ფიგურაა ეკონომიკაში. მან უნდა ჩამოაყალიბოს ეკონომიკური პოლიტიკა და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი ფუნქციონირება. ამისათვის საჭიროა ცოდნა, განათლება. ყოველი განათლებული ადამიანი ერის სიმდიდრედ მოიაზრება და უახლოეს მომავალში ეს უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტი. განათლება განვითარების მხოლოდ პოტენციური ფაქტორია, ზრდის წყარო იგი მაშინ გახდება, თუ მოხდება მისი მწარმოებლურად გამოყენება [5, გვ. 225].

ადამიანის განათლება – ადამიანისეული კაპიტალის ინვესტირებას ნიშნავს და მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური წარმატებისათვის. თანამედროვე პირობებში ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ძირითად წყაროს. მისი შექმნა საჭიროებს დიდ დანახარჯებს და შემოქმედებით ენერჯიას, ინტელექტუალურ კაპიტალში ინვესტირება გვაძლევს ძალზე დიდ და დროში ხანგრძლივ ეფექტს. საინვესტიციო პერიოდი ინტელექტუალური კაპიტალისათვის განუზომლად დიდია, ვიდრე ფიზიკური კაპიტალისათვის. ფიზიკური კაპიტალისათვის ეს პერიოდი საშუალოდ 1-დან 5 წლამდე განისაზღვრება. მაგრამ ინტელექტუალურ კაპიტალში ისეთი დაბანდება, როგორც განათლებაა, საინვესტიციო პერიოდი შეიძლება 12-20 წლამდე გაგრძელდეს. განსხვავებით ფიზიკური კაპიტალისგან, ინტელექტუალური კაპიტალი არ ემორჩილება ფიზიკურ ცვეთას, მაგრამ ემორჩილება მორალურ ცვეთას, რადგან თანამედროვე სამყაროში ცოდნა სწარაფად ძველდება.

განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა გამოგონებებისა და სამეცნიერო შედეგების წარმატებულ ტექნოლოგიურ ბიზნესად გარდაქმნის პროცესი. ისინი მშპ-ს მატების 85-90%-ს უზრუნველყოფენ მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებით. ქვეყნის განვითარებისათვის მთავარია აქცენტი გაკეთდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ დასაყრდენ და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული ეროვნული ბიზნესი, რომელიც ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს – მთლიან ეროვნულ პროდუქტს. ამიტომაც, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად აქვს ქვეყანას ექსპანსირებული და ტრანსნაციონალიზებული საკუთარი ბიზნესი. შეიძლება ითქვას, საქართველოში ადგილობრივი და უცხოეთის მოწინავე ფირმების ბაზაზე შექმნილია და საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებენ ერთობლივი კომპანიები. მათი უპირატესობა ისაა, რომ პარტნიორები შედარებით უმტკივნეულოდ წყვეტენ ინვესტიციების მოზიდვასთან, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებასა და მსოფლიო ბაზარზე მის რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის სიმდიდრეს ქმნის არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციები, არამედ ინოვაციებზე დაფუძნებული ეროვნული წარმოება და ბიზნესი. ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგია დამოკიდებულია დამატებითი ღირებულების შემცველ გადაამამუშავებელ პროდუქტზე, თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ინოვაციებზე, ექსპორტის მოცულობის გაფართოებაზე.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო კლიმატი გაუმჯობესდა, მაგრამ, ამასთანავე, დაბალია ინსტიტუციური

ინფრასტრუქტურის დონე, ბიზნესის მოდერნიზაციის ხარისხი, განათლების, მეცნიერული კვლევებისა და ინოვაციების პოტენციალი. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ საქართველოში საუკუნის დასაწყისშივე განათლების დონის ინდექსი 0,89-ს შეადგენდა, რაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე (0,76) 13, ხოლო ადამიანისეული პოტენციალის განვითარების საშუალო ინდექსის მქონე ქვეყნების მაჩვენებელზე 5 პროცენტული პუნქტით მაღალია. ამ მაჩვენებლით საქართველო მრავალ ქვეყანას უსწრებდა და გამოკვლეული 177 ქვეყნიდან 63-ე ადგილზე იყო [6, გვ. 23]. თუმცა გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნების ანალოგიურად, საქართველოშიც აშკარად შესამჩნევი იყო რაოდენობრივ მახასიათებლებთან თვისებრივი (ხარისხობრივი) მახასიათებლების არაადეკვატურობა. დღევანდელ პირობებში ეს არაადეკვატურობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ინდიკატორი მეცნიერული პოტენციალია. ამითაა განპირობებული განსაკუთრებული ყურადღება მეცნიერების და ცოდნის მიმართ მთელს მსოფლიოში. ამასთან, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ინფორმაციული და ინტელექტუალური პოტენციალი (რაზეცაა დაფუძნებული XXI საუკუნის მრავალი ტექნოლოგია) შეუძლებელია შეიქმნას დროის მცირე მონაკვეთში, თუნდაც კოლოსალური კაპიტალდაბანდებისას. ამიტომაც განვითარებულ ქვეყნებში ინვესტირებენ განათლებას და არ ითხოვენ ასეთ ინვესტიციებზე მყისიერ უკუგებას, იმიტომ რომ, დარწმუნებულნი არიან, ასეთი ქმედებებით (ინვესტიციებით) დაკმაყოფილდება ბაზრების მზარდი მოთხოვნილებები ცოდნის შედეგად გაუმჯობესებული პროდუქტით.

საქართველოში მეცნიერების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შექმნა და ფუნქციონირება 2005 წლიდან, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სამეცნიერო პოტენციალის გასაძლიერებლად ხელი შეუწყოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელებას სამეცნიერო გრანტების საშუალებით. ეს ფონდი წარმოადგენს მეცნიერების რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.

საქართველოში მწვავედ დგას ინტელექტუალური კაპიტალის აკუმულირების პრობლემა. წარმოების ინფორმაციული ბაზისა და მეცნიერულ-ტექნიკურ ცვლილებებთან მიმართებაში მართვის ხარისხობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ცოდნის ახალი ფუნქციისა და მართვის მექანიზმის წარმოქმნა. საუბარია ინტელექტუალური კაპიტალის აკუმულირებაზე. საწარმოო და ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური ცვლილებების პირობებში ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება და მზარდი პროფესიური კომპეტენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ცხოველქმედებასა და წარმატებულ გამოყენებას [2, გვ. 563].

საქართველოს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნია, მაგრამ როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, დაბალია ფუნდამენტური კვლევების გამოყენებითი ასპექტების წილი. ქვეყნის ეკონომიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის პროცესს, რაც საშუალებას მოგვცემს ფუნდამენტური ტიპის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ალგორითმების გამოყენებით მეცნიერული მიღწევების ფულში კონვერტიზაციას.

ამიტომ, მზარდი კონკურენციის პირობებში, ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია ახალი გზების გამონახვა, რომელიც ინოვაციურ მიდგომებსა და თანამშრომლობის ახალი ფორმების დანერგვას ითვალისწინებს. საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკური, მიკრო- და მაკროეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას გლობალურ სივრცეში. ასეთ პირობებში პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი, ეფექტური, რომელიც ხელსაყრელ კლიმატს შექმნის ინოვაციებზე



ორიენტირებული ეროვნული ბიზნესის განვითარებისა და ცოდნის ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ბარათაშვილი ე. ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირების თავისებურებანი მსოფლიო სამეურნეო სისტემაში საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2009.
2. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, თბ., 2007.
3. ელიზბარაშვილი ე. ინტელექტუალური კაპიტალის მართვის საკითხისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2009.
4. მასურაშვილი ს. ინოვაციების ბაზრის ძირითადი მიმართულებები ბიზნესში, ჟურნ. ახალი ეკონომისტი, №2, 2008.
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2003.
6. Доклад о развития человека - 2004. Изд. Весь мир, М., 2006.
7. Щетинин В. Человеческий капитал и неоднозначность его трактовки, Мировая экономика и международные отношения, №8, 2003.

*Jgharkava Nana*

### **THE ROLE OF THE INTELLECTUALIZATION IN BUSINESS DEVELOPMENT SUMMARY**

The article describes the perspectives of developing civilized countries in modern sphere with the background of economic success. This is connected to the intellectual capital as the growth of economy and the one of the most important depended factors, its correct use and its commercialization. Despite, here is underlined the fact that in the epoch of globalization the main and basic support is national business oriented to the modern technologies and to the innovations, that makes countries wealth.

## სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექცია

ნინო აბესაძე

### კლასიფიკაციები და დაჯგუფებანი ტურიზმის სტატისტიკაში

ტურიზმი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ამიტომ საზოგადოებაში ტურიზმისა და მისი მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, თუ რა როლი აქვს მიუთვნებული ტურიზმს როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, ასევე ქვეყნის განვითარების ერთიან სტრატეგიაში, მით უმეტეს მიმდინარე ეკონომიკისა და საზოგადოების კომპლექსური ტრანსფორმაციის პერიოდში, ძალზე აქტუალურია ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების კვლევა, განვითარების კანონზომიერების გამოვლენა, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და საპროგნოზო მახვენებლების გაანგარიშება, განვითარების დაგეგმვისათვის რეკომენდაციების შემუშავება. ეს კი ნიშნავს გამართულ სტატისტიკას, სრულყოფილ ინფორმაციულ ბაზას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტურიზმის სტატისტიკის მახვენებელთა სისტემას და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიას.

ტურიზმის სტატისტიკა შედარებით ახალგაზრდაა სხვა დარგის სტატისტიკებთან შედარებით, ამიტომ დღესაც მიმდინარეობს მისი სრულყოფა და განვითარება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ ამ რეკომენდაციებით უნდა წარიმართოს ტურისტული მოვლენებისა და პროცესების გამოკვლევა, რომელიც სამ ეტაპს მოიცავს: ტურისტული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება (სტატისტიკური დაკვირვება), მიღებული სტატისტიკური მასალების მოწესრიგება, დალაგება (სტატისტიკური თავმოყრა – დაჯგუფება) და მონაცემების ანალიზი. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო და აუცილებელი ეტაპია, რადგან მათ სწორ ორგანიზებასა და ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ტურისტული ინდუსტრიის შემდგომი განვითარება, გაძლიერება და სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოება.

ამოსავალი ამ სამი ეტაპიდან სტატისტიკური დაკვირვებაა, რომლის მთავარი ფუნქცია ტურისტული მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაა. ამ სფეროში არსებული სიძნელეები ქართულ სტატისტიკას შეუდარებელს ხდის საერთაშორისო სტანდარტებთან. ამის ძირითად მიზეზად მიგვაჩნია დაკვირვების ერთიანი ორგანიზაციული ფორმის, სტატისტიკური ანგარიშგებითი ფორმის არარსებობა. ამიტომ, დღეს არსებული ტურიზმის მონაცემები ძირითადად ექსპერტული შეფასებითაა მიღებული. აქედან გამომდინარე, მონაცემთა თავმოყრა-დაჯგუფება და მათი ანალიზი ექსპერტულ შეფასებებს ეყრდნობა.

მაშასადამე, საქართველოში რეალური სურათი ისეთია, რომ ტურიზმის ობიექტური შეფასების წინაპირობები რაოდენობრივად ვერ ფასდება და ვერ აანალიზდება.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციით, ტურიზმის სტატისტიკამ მონაცემთა დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით უნდა განახორციელოს. კერძოდ, სტატისტიკური ანალიზისათვის აუცილებელია შემდეგი საკლასიფიკაციო ნიშების გამოყენება:

**საქმიანობის სახეები:** დამთავალიერებლის საქმიანობის სახეები განისაზღვრება მათი ფაქტობრივი მოქმედებით მოგზაურობის დროს.

**ასაკი:** სტატისტიკამ უნდა გამოყოს ტურისტების ასაკობრივი ჯგუფები: 0-14 წლამდე, 15-24 წლის, 25-44 წლის, 45-64 წლის, 65 წლის და მეტი.

**დანიშნულების ადგილი:** დანიშნულების ადგილი წარმოადგენს ადგილს, რომლის მონახულებაც ხდება მოგზაურობის დროს. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოსანახულებელი პუნქტი, ყველაზე უფრო დაშორებული სახლიდან (მოშორებული დანიშნულების

ადგილი). ადგილი, სადაც დროის უმეტესი ნაწილი იქნა გატარებული (მთავარი დანიშნულების ადგილი) ან ადგილი, რომელსაც მოგზაურები თვლიან მთავარ მოსანახულებელ ადგილად (მოტივირებული დანიშნულების ადგილი).

**მოგზაურობის ხანგრძლივობა:** ის დაკავშირებულია დროსთან, რომელიც მოიცავს მონახულების პერიოდს, რომელიც იზომება მიმართულების ქვეყნის ან ადგილის მიხედვით.

**ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა:** ის მოიცავს დროს, რომელიც იხარჯება მოგზაურობისას და იზომება მომდევნო ქვეყნის ან ადგილის მიხედვით.

**ერთდღიან მოგზაურობებთან** დაკავშირებით ტურიზმის სტატისტიკა უნდა ფლობდეს ქვეყანაში ტურისტების ყოფნის დროის მონაცემებს შემდეგი კლასიფიკაციით: ტურისტები, რომლებმაც ქვეყანაში დაჰყვეს სამ საათზე ნაკლები (სურვილის მიხედვით) – ორ საათზე ნაკლები და 2-3 საათი, 3-5 საათამდე – 3 საათი, 4 და 5 საათი; 6-8 საათამდე (6 საათი, 7 საათი, 8 საათი), 9-11 საათამდე, 12 საათი და მეტი.

**დამისტევიტ მოგზაურობის დროს უნდა გამოიყოს** შემდეგი ჯგუფები:

ტურისტები, რომლებმაც ქვეყანაში გაატარეს 1-3 ღამე, 4-7 ღამე, 8-28 ღამე (მათ შორის ა) 8-14 ღამე, ბ) 15-21 ღამე, გ) 22-28 ღამე); 29-91 ღამე. (მათ შორის: ა) 29-42 ღამე, ბ) 43-56 ღამე, გ) 57-91 ღამე); 92-365 ღამე. (მათ შორის: ა) 92-182 ღამე, ბ) 183-365 ღამე).

**ეკონომიკური სტატუსი:** დამთვალეირებლების დაჯგუფება ამ ნიშნის მიხედვით მოიცავს: ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას: დასაქმებულები, უმუშევრები და ეკონომიკურად პასიურ მოსახლეობას: სტუდენტები, მოსწავლეები, დიასახლისები, პენსიონერები, დანარჩენი.

**განათლების დონე:** ამ ნიშნის მიხედვით მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით ტურიზმის სტატისტიკამ უნდა გამოიყოს: განათლების არმქონე ან არასრული დაწყებითი განათლების მქონე, დაწყებითი განათლების, არასრული საშუალო განათლების, სრული საშუალო განათლების, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების, უმაღლესი განათლების მქონე ტურისტები.

**შემოსავლების დონე** – ამ ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია შესაბამის ჯგუფებად სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

ტურისტების სტატისტიკური აღრიცხვა-ანალიზისათვის მნიშვნელოვანია **ტრანსპორტის** სახეების მიხედვით მათი დაჯგუფება. ამიტომ ტურიზმის სტატისტიკამ ტრანსპორტირების სახეების შესაბამისად უნდა მოახდინოს ტურისტების დაჯგუფება და გამოიყოს შემდეგი ჯგუფები:

- საჰაერო ტრანსპორტი: რეისები განრიგის მიხედვით, რეისები განრიგის გარეშე, სხვა საჰაერო გადაზიდვები;
- წყლის (სანაოსნო) ტრანსპორტი: სამგზავრო ლაინერები და ბორნები, კრუიზები, სხვა წყლის ტრანსპორტი;
- სახმელეთო ტრანსპორტი: სარკინიგზო ტრანსპორტი, საერთაშორისო და საქალაქო ავტობუსები და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტი: დამოკიდებული განრიგზე, რეგულარული მომსახურებით, განრიგის გარეშე, ტურისტული და ჩარტერული რეისები, კერძო ავტომობილები (8 ადამიანის ტევადობით); ავტოტრანსპორტის გაქირავების სერვისი, სხვა სახმელეთო ტრანსპორტი.

მნიშვნელოვანია ტურისტების რიცხოვნობის გაანგარიშება **პროფესიული ნიშნისა და საქმიანობის** მიხედვით. ეს აუცილებელია ტურისტული კომპანიებისათვის, ვინაიდან განსხვავებული ტურისტული პროდუქტების არსებობის შემთხვევაში მომხმარებლისათვის შეთავაზებული იყოს მისთვის სასურველი მომსახურების პაკეტი. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია იძლევა რეკომენდაციას, ტურისტების დაჯგუფება პროფესიული ნიშნის მიხედვით შემდეგნაირად განხორციელდეს: კანონმდებლები, ხელმძღვანელი მუშაკები და მმართველობითი საქმიანობით დაკავებულები, მაღალკვალიფი-

ციური სპეციალისტები, ტექნიკოსები და საშუალო რგოლის სპეციალისტები, მომსახურების სფეროს მუშაკები, ვაჭრობის სფეროს მუშაკები, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის კვალიფიციური მუშაკები, სახალხო რეწვის ოსტატები და მონათესავე სფეროს სპეციალისტები, მრეწველობის დარგებში დასაქმებულები, არაკვალიფიციური მომუშავენი, სამხედრო მოსამსახურეები.

**მოგზაურობის მიზნის** მიხედვით საერთშორისო პრაქტიკაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: გართობა, რეკრეაცია და დასვენება, ნათესავეების და ნაცნობების მონახულება, საქმიანი და პროფესიული, სამკურნალო, რელიგიური, სხვა მიზნები.

სწორედ ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციით ახდენენ განვითარებული, გამართული სტატისტიკის მქონე ქვეყნები ტურიზმის ინფორმაციული ბაზის ფორმირებას. სამწუხაროდ, საქართველოში სტატისტიკა ჯერჯერობით აღნიშნულ ფუნქცია ვერ ასრულებს, მაგრამ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მიმდინარე პოზიტიური ძვრები ტურიზმის სტატისტიკაში რეფორმების განხორციელებისა და მაჩვენებელთა გაანგრიშების მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების გამოყენების რეალურ შესაძლებლობებს ქმნის.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე ნ. „ტურიზმის სტატისტიკის რეფორმირებისათვის“ - ჟურნალი: „ეკონომიკა და ბიზნესი“ №4. თბილისი, 2011.
2. Международные рекомендации по статистике туризма 2008г. Мадрид и Нью-Йорк, 2010.
3. Сбор статистических данных по туристским расходам – ВТО, Мадрид, Испания, 1995.
4. Рекомендации по статистике туризма. ВТО-2003.
5. Рекомендации по статистике туризма. ООН.Нью-Йорк, 1994.
6. Concepts, Definitions and Classifications for Tourism Statistics. Madrid, Spain, 1995.
7. www.geostat.ge
8. www.gnta.ge

*Abesadze Nino*

### **CLASSIFICATIONS AND GROUPS IN TOURISM STATISTICS SUMMARY**

The article discusses the development of tourism statistics. Are put the problems of implementing the recommendations of the International Tourism Organization in Georgia. The article discusses methodological issues of the grouping in tourism statistics and allocates the basic classification of signs.

*ნონა ახვლედიანი*

### **შერჩევითი ღაკვირვება (ბამოკვლევა) სოფლის მეურნეობათა სისტემაში**

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და მისი თანმდევი ძირეული ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების პერიოდში განსაკუთრებით იზრდება სოფლის მეურნეობათა სისტემის ეკონომიკური და სტატისტიკური შესწავლისა და ანალიზის ინტერესი, რაც იმ რეალურ ფუნდამენტს წარმოადგენს, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს, პირველ რიგში, სოფლის და შემდეგ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი საპროგნოზო გეგმები და პარამეტრები. ასეთი გაანგარიშების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყანაში ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ქვეყნის უმთავრესი ამოცანაა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ცხოვრების დონის ამაღლება, რისთვისაც აუცილებელია, სოფლის მეურნეობათა სისტემის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

გვქონდეს სრული ინფორმაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია დადგინდეს პრობლემის განვითარების თავისებურებანი, ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს შერჩევითი დაკვირვების (გამოკვლევა) მეთოდების ოპტიმალურად და მაღალ დონეზე გამოყენება სოფლის მეურნეობათა სისტემის ეკონომიკურ და სტატისტიკურ ანალიზში.

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წამოადგენს. გამოკვლევის თითოეული რაუნდი ფარავს ერთ საანგარიშო წელს და შედგება 5 გამოკითხვისაგან: საწყისი გამოკითხვა – საანგარიშო წლის იანვრის მესამე დეკადაში, I, II და III კვარტალების გამოკითხვები – საანგარიშო წლის შესაბამისად აპრილის, ივლისის და ოქტომბრის პირველ დეკადაში, და დასკვნითი, IV კვარტალის გამოკითხვა – საანგარიშო წლის მომდევნო წლის იანვრის მეორე დეკადაში. გამოკითხვები ხორციელდება ინტერვიუების მიერ უშუალო ვიზიტის გზით. ხუთივე გამოკითხვისას გამოკითხება ერთი და იგივე სასოფლო მეურნეობები (დაახლოებით 5000), რომლებიც ორსაფეხურიანი სტრატეგი-ცირებული კლასტერული შემთხვევითი შერჩევის გზით შეირჩევა საქართველოში მოქმედი დაახლოებით 810 ათასი სასოფლო მეურნეობიდან. ყოველ წელს ხდება სასოფლო მეურნეობათა სრულიად ახალი შერჩევის ფორმირება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი სასოფლო მეურნეობები შერჩევაში სრული მოცვით არიან წარმოდგენილი, ასე რომ, მათი გამოკითხვა წლიდან წლამდე სისტემატურად ხდება. მათი რაოდენობა 2009-2010 წლებში 500-დან 600-მდე მერყეობდა. გამოკვლევას ემსახურება ინტერვიუერთა ქსელი, რომელთა რაოდენობა 200-ს აღემატება. ყოველი წლის ბოლოს ტარდება ინტერვიუების ტრენინგი მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რომლის დროსაც კეთდება წლის განმავლობაში მათ მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზი, კითხვარების დახვეწის მიზნით განიხილება მათში შეტანილი ცვლილებები (თუ ასეთი არსებობს), აგრეთვე მათ მიეწოდებათ ახალ შერჩევაში მოხვედრილი მეურნეობების სია, რომლებიც მათ უნდა გამოიკითხონ მომდევნო წლის განმავლობაში.

ყოველ მუნიციპალიტეტში მუშაობს ერთი ზედამხედველი, რომლის მოვალეობას შეადგენს ინტერვიუერთა მუშაობის ორგანიზაცია, მათ მიერ სამუშაოს შესრულების და შევსებული კითხვარების ლოგიკური კონტროლი. შევსებული კითხვარები თავს იყრის რეგიონულ ოფისებში, საიდანაც ხდება მათი ტრანსპორტირება ცენტრალურ ოფისში. გამოკვლევით მთლიანადაა მოცული საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გამოკლებით. საწყისი გამოკითხვა ტარდება საწყისი გამოკითხვის კითხვარით. ამ დროს ხდება შერჩევაში მოხვედრილი მეურნეობების იდენტიფიკაცია და ფიქსირდება მეურნეობებში 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობა. I, II და III კვარტალების გამოკითხვები ტარდება კვარტალური გამოკითხვის კითხვარით. მასში ფიქსირდება მონაცემები მეურნეობაში შესამისი კვარტალის განმავლობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ. დასკვნითი, IV კვარტალის გამოკითხვა, რომელიც წარმოადგენს წლის განმავლობაში მეურნეობაში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეჯამებას, ტარდება დასკვნითი გამოკითხვის კითხვარით. მოზიდული ინფორმაციის კომპიუტერში შეყვანა ხდება სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით კითხვარების ცენტრალურ ოფისში მოზიდვიდან 15 დღის განმავლობაში. პარალელურად ხდება შეყვანილი ინფორმაციის კომპიუტერული ლოგიკური კონტროლი. სპეციალურად შექმნილი პროგრამა ავლენს იმ კითხვარებს, რომლებშიც ლოგიკური შეუსაბამობებია, აგრეთვე თვით ამ შეუსაბამობებს. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს თანამ-

შრომლები კითხვართან შედარების ან ინტერვიუერებსა და რესპონდენტებთან ტელეფონით გადამოწმების გზით ასწორებენ ამ შეცდომებს. ამჟამად კომპიუტერული კონტროლი ხორციელდება 200-მდე კრიტერიუმის საფუძველზე. შედეგად მიიღება მონაცემთა ბაზა, რომელიც თავისუფალია შეუსაბამობებისაგან თითოეული კითხვარის შიგნით. ამის შემდეგ იწყება მონაცემთა ბაზის, როგორც მთლიანის, გაწმენდა. ხდება ამოვარდნილი, არატიპური და საექვო მონაცემების გამოვლენა, მათი გადამოწმება და გასწორება. აგრეთვე ხდება კონკრეტული გამოკითხვის მონაცემების თავსებადობის შემოწმება ამავე რაუნდის სხვა გამოკითხვების მონაცემებთან. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასკვნით, IV კვარტალის გამოკითხვას, რომელიც საშუალებას იძლევა, გადამოწმდეს და პარამონიზაციაში მოვიდეს ყველა წინა გამოკითხვის შედეგები. პარალელურად ხდება მონაცემების შეწონვა გამოუპასუხებლობის გათვალისწინებით.

მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და შეწონვის დასრულების შემდეგ ხდება გამომავალი ცხრილების ფორმირება. ხდება შედეგების შედარება წინა კვარტალების და გასული წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამის შედეგებთან. მნიშვნელოვანი გადახრების არსებობის შემთხვევაში კეთდება ამ გადახრების გამომწვევი მიზეზების ანალიზი. მხოლოდ ამის შემდეგ ითვლება მონაცემები გამოსაქვეყნებლად მზად. გამოკვლევაზე დაყრდნობით, წლის განმავლობაში წინასწარი მონაცემები ქვეყნდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო საბოლოო მონაცემები – უფრო დეტალურ გეოგრაფიულ დონეზე. შერჩევის არასაკმარისი ზომა არ იძლევა საშუალებას ყველა მაჩვენებლისათვის ყველა რეგიონის დონეზე იქნეს მიღებული საიმედო მაჩვენებლები. იმ რეგიონების მაჩვენებლები, რომელთათვისაც, შერჩევის ზომის სიმცირის გამო, საიმედო მაჩვენებლების მიღება ვერ ხერხდება, ქვეყნდება სათაურით “დანარჩენი რეგიონები”. აღნიშნული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის მიზანია, მიღებულ იქნეს სარწმუნო შეფასებები ქვეყნის დონეზე (ძირითადი მაჩვენებლებისათვის მხარეების დონეზეც) წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალფეროვანი მაჩვენებლებისათვის. კერძოდ, გამოკვლევით მოცულია შემდეგი საკითხები: **ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები და მოსავალი, მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი, ძირთა რაოდენობა და მოსავალი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა, პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, სასუქებისა და პესტიციდების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენება, შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან და ამ წარმოებაზე გაწეული დანახარჯები, სასოფლო-სამეურნეო კრედიტები.** გამოკვლევის ობიექტია სასოფლო მეურნეობა (მოკლედ მეურნეობა) – დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული, მიუხედავად მისი ზომისა, საკუთრების ფორმისა თუ იურიდიული სტატუსისა, რომელშიც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება ერთიანი ხელმძღვანელობით. ერთიან ხელმძღვანელობას ახორციელებს მეურნე სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელია უმთავრეს სამეურნეო გადაწყვეტილებებზე და თავის თავზე იღებს მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ რისკს და დანახარჯს, აგრეთვე სარგებლობს სამეურნეო საქმიანობის შედეგებით.

სასოფლო მეურნეობის შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები განვიხილოთ რაჭის მაგალითზე: მიუხედავად იმისა, რომ რაჭის რეგიონი მდიდარია მიწის რესურსებით, ს/სამეურნეო მიწები აქ მაინც მცირეა. მიწის უდიდესი ნაწილი 160,0 ჰა-მდე დაკავებული აქვს ტყეებს. ს/სამეურნეო ფართობები შედგენს დაახლოებით 85,0 ათას ჰა-ს, საიდანაც 80% მოდის სათიბსა და საძოვრებზე. უშუალოდ ს/სამეურნეო კულტურებსა და სახნავ-სათეს მიწებს უჭირავს 6,5 ჰა-მდე. აღსანიშნავია, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში მოხდა ს/სამეურნეო მიწების დიდი ნაწილის – თითქმის 30,0 ათას ჰა-ზე მეტის გატყვევება, მათ შორის ონის რაიონში 17,0 ათას ჰა-ზე მეტი. განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო

ს/სამეურნეო მიწების გატყევა 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც გაუქმდა კოლმეურნეობები, შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა და ნათესი ფართობები. დღეისათვის ნათესი ფართობების თითქმის 70% გადასულია სათიბ-საძოვრებზე. 70-80-იან წლებში მარტო ონის რაიონიდან 5,0 ათას ტონაზე მეტი ხილი ბარდებოდა საკონსერვო ქარხნებს (როგორც კულტურული, ასევე ველური ჯიშები). თითქმის აღარ ითესება მარცვლეული კულტურები: სიმინდი, ლობიო და რაც ითესება, ისიც მხოლოდ პირადი გამოყენებისათვის, მისი მცირედი ნაწილი მოდის ბაზარზე, დაახლოებით 10-15%. ბოლო წლებში ერთადერთი პროგრესი იგრძნობა ხვანჭკარის ზონაში, სადაც დაიწყო ახალი ვენახების გაშენება – ბოლო 15 წლის მანძილზე გაშენდა 200 ჰა-ზე მეტი ახალი ვენახი, გაიხსნა ორი ახალი დენის ქარხანა. ოდნავი წინსვლაა მეფუტკრეობაში, ბოლო წლებში გაიზარდა ფუტკრის ოჯახების რაოდენობა და მარტო ონის რაიონში 2000 ოჯახს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბაზარზე რაჭული თაფლი ყველაზე ძვირია. ადგილზე 1 კილოგრამის ფასი 15-18 ლარის ფარგლებში მერყეობს. რეგიონში, მისი რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 6000 გაიზარდოს.

კატასტროფული მდგომარეობაა მეცხოველეობაში. რეგიონი, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდიდეს ნაწილს მეცხოველეობის პროდუქტი წარმოადგენდა, დღეისათვის სამრეწველო თვალსაზრისით ფაქტობრივად მკვდარია. ონის რაიონის მაგალითი: მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 1990 წლიდან 1996 წლამდე 8,6 ათასი სულიდან თითქმის 16,0 ათას სულამდე გაიზარდა. ამ წლიდან იწყება მასიური შემცირება. დღეისათვის რაიონში მისი რაოდენობა 5,0 ათასზე ნაკლებია. მეღორეობა – 1987 წელს იყო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – მარტო კოოპერაციულმა სექტორმა დაამზადა 160 ტონაზე მეტი ტრადიციული რაჭული ლორი, რაც ცოცხალ წონაში თითქმის 370 ტონაზე მეტია, ამის გარდა სახელმწიფოს ჩაბარდა 200 ტონაზე მეტი ცოცხალი ხორცი.

დღეის მდგომარეობით, ზოგადი გათვლით (რადგან სტატისტიკა აღარ არსებობს), ონის რაიონში, კერძო გლეხურ მეურნეობაში ძალიან მცირე რაოდენობით, დაახლოებით 2000 სულამდეა შემორჩენილი ლორი. 3 წლის წინ ჭირმა თითქმის 80%-ით გაანადგურა ლორის სულადობა. რეგიონის მოსახლეობის დასაქმებაში და მათი შემოსავლების ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატყეო სექტორს, სადაც წვრილ საწარმოებში (სახერხები, საამქროები) ტექნიკაზე (ტრაქტორები, ხე-ტყის მზიდები) დასაქმებული იყო ურავის, რიცეულის, თლულის, მთლიანად, ონის რაიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 20%. რომ ტყეთმოწყობის მასალებით რეგიონის ტყის შემატების ყოველწლიური რესურსი შეადგენს 330,0 ათას მ3-ზე მეტს. ბოლო 15 წლის მანძილზე მთელ რეგიონში სამასალე ხე-ტყის ჭრა წელიწადში არ ასცილებია 11 ათას მ3. მათ შორის ონის რაიონში ყველაზე მაღალი იყო 2001 წელი – 4.5 ათასი მ3. საშუალო ხე-ტყე საშუალოდ რეგიონში იჭრება 60 ათასი მ3-ის ოდენობით – ერთი ოჯახი (კომლი) საშუალოდ წლიურად მოიხმარს 7 მ3 საშუალო ხე-ტყეს. წლების განმავლობაში რეგიონში პრაქტიკაში დანერგილი იყო რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე კომლზე იცემოდა (ძირითადი იქ, სადაც სამასალე ხე-ტყე იჭრებოდა) 5-10 მ3 – სამასალე ხე-ტყე პირადი საჭიროებისათვის საიდანაც 80% ხვდებოდა ბაზარზე, რითაც მოსახლეობას მცირე შემოსავალი ჰქონდა. დღეს ეს თითქმის მთლიანად აკრძალულია, გადასულია კომერციულ სექტორზე. გლეხმა, მცირე მეწარმემ დაკარგა შემოსავლის წყარო. იკარგება თემის, სოფლის ტრადიციული, ისტორიული საზღვრები. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს დაეპატრონოს სოფლის საკუთრებას – მიწებს, ტყეებს, განსაკუთრებით ცუდად შემოუტრიალდა რაჭის სოფლებს თითქმის კოლექტიურად მიღებული გადაწყვეტილება, საერთო საკუთრებაში დაეტოვებინათ სოფლის კუთვნილი სათიბები და საძოვრები, ეს მიწები დღეს უკვე გაცხოველებული ვაჭრობის საგანი გახდა სახელმწიფოს მხრიდან. შეცდომა იყო დაშვებული ონის რაიონში, როდესაც

სასოფლო (საკოლმეურნეო ე.წ.) ტყეები მოვლა-პატრონობისათვის თითქმის 18 ათასი ჰა გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. მცირე ფინანსური შესაძლებლობების გამო, ადგილობრივი კვალიფიციური მეწარმეები თითქმის ვერ იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ ტენდერებში (მშენებლობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, ტყით სარგებლობა) ყველა ტენდერში იგებენ მსხვილი ფირმები, მათი მხრიდან კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ფაქტობრივად არ ხდება, რაც კვალიფიციური კადრების გადინებას იწვევს რეგიონიდან.

პროექტს – „სოფლის განვითარება რაჭა-ლეჩხუმში (RDRL)“ აფინანსებს “შევიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო”(SDC). ის ხორციელდება “qea საერ-თა-შორისო კავკასიაში და მისი პარტნიორების მიერ “ქეა აშშ”-სთან კონტრაქტის საფუძველზე. პროექტის მოსამზადებელი პერიოდი გრძელდებოდა 2008 წლის ნოემბრიდან 2009 - წლის ივლისისშუა რიცხვებამდე, ხოლო საბოლოო საპროექტო განაცხადი დამტკიცდა - 2009 წლის ივლისში. პროექტის განხორციელების პერიოდი 2009 წლის 16 ივლისი - 2011 წლის ნოემბერი.

პროექტი ხორციელდება ორგანიზაციების: აფხაზინტერკონტის (AIC), ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის (CTC), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას ჩამოყალიბდა 2 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია: “სასოფლო-საკონსულტაციო სამსახური რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთისათვის” - და არასამთავრობო ორგანიზაცია “თაკვერი XXI”.

პროექტი ფოკუსირებას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე რეგიონში და ახორციელებს საქმიანობას ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მისაღწევად პროექტი აერთიანებს 3 კომპონენტს:

- ბაზრების ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის(M4P)
- ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (DRR)
- ადგილობრივი მმართველობა

საქართველოს სოფლის მეურნეობათა სისტემის შესწავლის მიზნით შეიძლება ჩატარდეს როგორც განმეორებითი, ისე განუმეორებელი შერჩევითი გამოკვლევა. განმეორებითია ისეთი შერჩევითი დაკვირვება, რომლის დროსაც შერჩეული ნაწილი შესწავლის შემდეგ ისევ უბრუნდება გენერალურ ერთობლიობას და მონაწილეობას იღებს ახალ შერჩევაში. განუმეორებელი შერჩევისას კი პირიქით, შერჩეული ნაწილი აღარ უბრუნდება გენერალურ ერთობლიობას და ვერც მონაწილეობს მორიგ შერჩევაში. შერჩევითი დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს საკუთრივ-შემთხვევითი, მექანიკური, ტიპური და სხვა წესებით. უფრო მეტი სიზუსტისათვის ზოგჯერ მიმართავენ აღნიშნული წესების კომბინირებულ გამოყენებას. მაგალითად, სერიული შერჩევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტიპურთან ერთად, ტიპური მექანიკურთან და ა.შ. სოფლის მეურნეობათა სისტემის ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზისათვის შერჩევითი დაკვირვება გაივლის შემდეგ ძირითად ეტაპებს: 1. შერჩევითი დაკვირვების მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა; 2. შერჩევითი დაკვირვების პროგრამის შედგენა; 3. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვება; 4. მიღებული შედეგების ანალიზი; 5. ძირითადი მახასიათებლების გაანგარიშება; 6. შერჩევის შეცდომების განსაზღვრა; 7. შერჩევითი მახასიათებლების გენერალურ ერთობლიობაზე გავრცელება დაშვებულ ცდომილებათა გათვალისწინებით. შერჩევითი დაკვირვების ბოლო ეტაპზე წარმოებს შერჩევითი ერთობლიობის შესწავლის შედეგების გავრცელება გენერალურ ერთობლიობა-



ზე. კითხვაზე, თუ რამდენად გვაქვს ჩვენ ასეთი გავრცელების უფლება, პასუხს იძლევა შერჩევითი და გენერალური მახასიათებლების გაანგარიშების მეთოდის საკუთრივ-შერჩევითი დაკვირვების ჩატარებისას მნიშვნელოვანწილად გამოიყენება შერჩევის საშუალო და საზღვრითი შეცდომების გაანგარიშების ფორმულები (პროფ. ბ. გაბიძაშვილი „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“). ეს ფორმულები განსხვავებულია შესასწავლი ნიშნის საშუალო და წილობრივი მნიშვნელობებისათვის. იმ შემთხვევაში, როცა ვანგარიშობთ ნიშნის საშუალო მნიშვნელობას (საშუალო ხელფასი, საშუალო მოსავლიანობა, საშუალო შემოსავლები, საშუალო დანახარჯები და ა.შ.) შერჩევის საშუალო და საზღვრითი შეცდომები განისაზღვრება ფორმულებით:

1) განმეორებითი შერჩევისათვის:

$$ა) \quad \mu = \sqrt{\frac{\sigma^2}{n}},$$

$$ბ) \quad \Delta = t\mu = t\sqrt{\frac{\sigma^2}{n}}.$$

2) განუმეორებელი შერჩევისათვის:

$$ა) \quad \mu = \sqrt{\frac{\sigma^2}{n} \left(1 - \frac{n}{N}\right)};$$

$$ბ) \quad \Delta = t\mu = t\sqrt{\frac{\sigma^2}{n} \left(1 - \frac{n}{N}\right)}$$

იმ შემთხვევაში, როცა ვსწავლობთ წილობრივ ნიშანს (ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად მიღებული წუნდებული პროდუქტის ხვედრითი წილი, ვარგისი, ანუ ხარისხიანი პროდუქციის ხვედრითი წილი), მაშინ შერჩევის საშუალო და საზღვრითი შეცდომები საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევისათვის გაიანგარიშება ფორმულით:

1) განმეორებითი შერჩევისათვის:

$$ა) \quad \mu = \sqrt{\frac{w(1-w)}{n}}$$

$$ბ) \quad \Delta = t\mu = t\sqrt{\frac{w(1-w)}{n}}$$

2) განუმეორებელი შერჩევისათვის:

$$ა) \quad \mu = \sqrt{\frac{w(1-w)}{n} \left(1 - \frac{n}{N}\right)}$$

$$ბ) \quad \Delta = t\mu = t\sqrt{\frac{w(1-w)}{n} \left(1 - \frac{n}{N}\right)}$$

სადაც  $\mu$  და  $\Delta$  – საშუალო და საზღვრითი შეცდომებია:  $\sigma^2$  და  $w(1-w)$  შერჩევითი

ერთობლიობის დისპერსიაა საშუალო და წილობრივი ნიშნებისათვის;  $n$  და  $N$  – შესაბამისად შერჩევითი და გენერალური ერთობლიობის რიცხვია;  $t$ -სტიუდენტის კრიტერიუმი, ანუ ნდობის ინტერვალა, რომელიც გვიჩვენებს გარკვეული ალბათობით რა საზღვრებში იმოდრავებს შერჩევითი მახასიათებლები. სოფლის მეურნეობათა სისტემის შესწავლისას შეიძლება განხორციელდეს სამომენტო შერჩევითი დაკვირვება (სეზონურობის გათვალისწინებით), რომელიც გულისხმობს დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობის დაფიქსირებას წინასწარ საკუთრივ-შემთხვევითი ან მექანიკური შერჩევის წესით დადგენილი დროის მომენტების მიხედვით. დაკვირვების ჩასატარებლად ის არ მოითხოვს დროის დიდ დანახარჯებს. რაც შეეხება კომბინირებულ შერჩევით დაკვირვებას, ის შეიძლება იყოს **მრავალსაფეხურიანი**. მაგალითად, გლეხურ შინამეურნეობათა საბიუჯეტო გამოკვლევები ხშირად ორსაფეხურიანი შერჩევით წარმოებს. პირველ საფეხურზე საკუთრივ-შემთხვევითი წესით ხდება რაიონების შერჩევა, მეორეზე-გლეხების შერჩევა მექანიკური წესით წარმოებს. ტიპური შერჩევისაგან განსხვავებით, რომლის პირობებში შერჩევით ერთობლიობაში ყველა ტიპური ჯგუფი ხვდება, მრავალსაფეხურიანი შერჩევის დროს ჯგუფების მთლიანი რაოდენობიდან მხოლოდ გარკვეული ნაწილის შერჩევა წარმოებს. შერჩევითი ერთობლიობის რეპრეზენტატულობისა და დაშვებული შეცდომების ხარისხი დიდადაა დამოკიდებული შერჩევის რიცხვზე. შერჩევის მცირე რიცხვი ვერ უზრუნველყოფს გენერალური ერთობლიობის ადეკვატურად ამსახველი მჩვენებლების მაღალი სიზუსტის ხარისხს. ეს უკანასკნელი მიიღწევა შერჩევის რიცხვის გადიდების გზით. მაგრამ მეტისმეტად დიდი რიცხვის პირობებში, სამაგიეროდ, იზრდება დაკვირვების დროისა და დანახარჯების რაოდენობა. ამიტომ შერჩევითი დაკვირვების მოსამზადებელ ეტაპზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება როგორც შერჩევის ოპტიმალური რიცხვის დადგენას, ისე მთლიანად მთელი დაკვირვების მაღალ მეთოდოლოგიურ დონეზე ჩატარებას, რაშიც სტატისტიკური მჩვენებლების სწრაფად და ხარისხიანად დამუშავებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპიუტერული პროგრამის – SPSS-ის გამოყენებას.

*Akhvlediani Nona*

## SELECTIVE OBSERVATION (EXAMINATION) OF THE FARMING SYSTEM SUMMARY

In this article “Selective observation (examination) of the farming system” of Georgian village of social economic condition prospects of its development, the sampling methods of agriculture in system. Urban rural comprehensive statistical study and analysis of the real foundation, which must rely on the country’s economic and social development plans and forecasts of the main parameters, which primarily is directly related to the demographic problems. It is unfortunate, but in Georgia as well as being for all demographic aging process puts at risk the nation’s playback capabilities. The modern stage of the demographic development of the main problems in the following form adduces: low fertility levels and trends of its further reduction, high level of mortality, the natural decline of population growth depopulation, rural areas of the life-expectancy and low level of developed European countries in the world relative to population migration high level of marriage and other low-level. The socio-economic conditions on order to improve the timely and effective government policy, which should hush deep and comprehensive analysis of demographic processes. As well as the whole of the country’s demographic situation among the factors (population, employment problems, the government’s pebsions under the current inflation rate, young families and the entire country bestir allowances for newborns, pregnant women are encouraged, living wage and minimum wage gap, woman’s increasing levels of infertility. Professional Profession desirable to postpone marriage and children, social-demographic programs, funding for poor, rural areas, effective

insurance system and e.t.c) in one – one of the most important positive factor in strengthening the faith of the Orthodox beliefs promotion and population.

*Bobrivnyk Leonid*

### **CARE FOR MAN'S HEALTH - AN IMPORTANT FACTOR OF ECONOMIES GROWTH IN NATIONS OF THE WORLD**

Productive forces – the base of countries' economies, the main component of which is man. His physical and mental activities create not only material wealth, but at the same time are implemented into production, constantly improving it. Humanity passes different stages of progress, which are characterized by the type of labor: manual, machine, automatic. This last type of labor is progressing quickly today due to the introduction of cybernetics, creation of artificial intelligence and robot-technology.

Such progress in the sphere of material production is accompanied by the inevitable change of people's way of life. These changes are stipulated by the growth of urbanization and globalizing conditions of our existence. Primarily mechanization, automation with the use of cybernetics promotes a sedentary way of life, which is one of the essential factors of the overall decreasing health in humans. On the other hand, the growth of our planet's population provides a necessity of increasing food production. However, realization of this necessity due to the widening of agricultural lands is impossible, because urbanization and progress of economic industrialization reduce them. Solving this contradiction can be carried out by intensification of agricultural production, findings on a widening use of hormones and different types of "pesticides" (herbicides, insecticides, fungicides). Food, obtained from such agricultural harvested material, does not promote strengthening of health, but quite the opposite, promotes the progression of hard, chronic diseases. These two factors: sedentary way of life and the contemporary character of nutrition, based on the intake of food, which contains the above-mentioned harmful substances, and the urban mode of "fast-food" eating, promote the rise and progression of harmful chronic diseases. Such diseases call for weaker productive forces of all countries' economies, and primarily economies of industrial-developed countries.

Heart-vascular, endocrine, and cancer diseases belong to such a class of illnesses. Let us illustrate this thesis by the WHO data of these illnesses' progress in the world. According to WHO data, heart-vascular diseases (HVD) occupied first place for mortality results. WHO informs that in 2008, from HVD died 17 millions persons, composing 30 % of all deaths in the world. 7 million from the above-mentioned persons died from heart attack, 6.2 millions persons – from stroke. WHO forecasts that until 2030 nearly 23.6 millions persons will die from HVD, which according to prognosis, remains again the main cause of mortality in the world [1].

According to the International Diabetes Federation (IDF), the number of diabetics reached 366 million in 2011. The number of diabetics and people with obesity is increasing, particularly in industrially-developed countries. During the last 20 years the number of people with obesity increased by more than 3 times. The number of diabetics increased to 30 % in 2011 compared with 2010 [2]. The number of deaths, caused by diabetes, is constantly increasing. It is forecasted that the number of deaths from diabetes will increase by 2 times from 2005 to 2030, particularly among people of countries with low and middle income.

Cancer is as well one of the dangerous diseases with frequent mortality results. 7.6 million deaths, caused by cancer, took place in 2008. This number composed 13 % of all the deaths that year [3]. According to the prognosis, the mortality from cancer will increase every year, and in 2030 will reach 13.1 million. 13 European countries, that number including Belarus, Ukraine, Russia, USA, Canada, Australia, and New Zealand compose the list of the countries with the highest number of cancer diseases.

The above-mentioned diseases and diabetes complications render considerable negative effects on some people, families, and on the health service system of countries all in all. As an example, according to WHO data, the losses of Chinese national income compose 558 billions, caused by heart-vascular diseases

and diabetes in the period from 2006 until 2015. This example testifies so far as an important factor for the people's health for conditions of countries' economies, because the health of humanity is the strength of productive forces of economies.

Let us examine statistical data for the American people's health, as one of the most powerful industrially-developed countries, and, as it seems, a happy country in the world. This analysis demonstrates so far an anxious picture of the condition of people's health today in the USA. I suppose that a similar or worse situation of the condition of people's health is in the majority of other countries in the world exists.

More than 25 % Americans (residents of USA) have cholesterol levels high enough to place them at risk for heart attack, and 10 % have levels so high that doctors are quick to prescribe drug treatments. Among medicines of such type the "Lipitor", the most recommended. However, it is now known that it evokes side effects on some patients' organs. There are more than 20 million people in the USA suffering from diabetes mellitus, both insulin-dependent (Type I) and insulin-independent (Type II). Statistical data shows that every year, of the 798 thousands of new cases of diabetes diagnosed, there are unfortunately among them children and teenagers. For example, "The Center of Control and Prevention of Illnesses" informs that diagnosis – "diabetes" was established for 154 thousand of children in the past year, generally, children suffering from Type I diabetes. But nowadays there are more and more cases of Type II diabetes among children. Lately, information on a new type of "combined" child diabetes has arisen, particularly in children who are overweight.

The treatment of Type I diabetes is carried out by daily, exhausting injections (2 -5 injections daily). Type II diabetics are treated by drugs per oral, (which often evoke side effects) as well as many others synthetic drugs. In spite of adopting methods and scheme of diabetic treatment in the entire world, they are subjected to inevitable hard complications such as heart attack and strokes. These complications defeat diabetics by 2 – 4 times more often than people who do not suffer from diabetes. All diabetics are subjected, as a rule, to diabetic neuropathy of two types: angiopathy and retinopathy, which very often stipulate for lower limb amputation and blindness. Patients-diabetics compose nearly 50 % of all amputations of lower limbs in the USA. 40% of the new cases of kidney diseases are the cases of diabetics, these last complications are especially dangerous for the children who are diabetics. Among adult diabetics, 65 % suffer of hypertension. This is such an inconsolable statistic of chronic diseases. The main cause of such diseases and above-mentioned hard complications of diseases are the conditions of the blood vascular system.

More than one illness complicates the problem, demanding its solution, especially for children. Near 50 % of American adults are considered over-weight. In the last 20 years, obesity has increased by 50 % among children and 40 % among teenagers. The number of obese children and teenagers has steadily been increasing since 1970. Superfluous weight and obesity are often the cause of progression of metabolism-related diseases. One of the hard consequences of obesity is the possibility of a rise of hypertension in children. The latest statistics show that nowadays 2 million children are diagnosed as ill with hypertension. American Medical Academy demands from physicians to examine all children, checking their blood pressure. The treatment of above-mentioned illnesses only by synthetic medicines and also the medical prevention of new diseases is often ineffective, because such medicines, as a rule, evoke the harmful side effects on the organism, especially for children. That is why it is impossible to use them for a long time or throughout life.

Such a situation obliges us to address the prophetic thoughts of the ancient great doctor Hippocrates. Effective hindrance against above-mentioned hard diseases, striking children and all population of nations, can be a hindrance, based on Hippocrates' recommendation. In my opinion, it is necessary to organize the manufacture of a substance, named **inulin**, which can be produced from plant cultivated in USA and in many countries of the world. This plant is *Helianthus tuberosus* L. (others names: topinambur, sunchok, earth pear) of North-American origin (Cape Cod). Inulin belongs to fructan class. Inulin is a poly-dispersed substance which, as it was convincingly proved in authoritative medical institutions of many countries of the world

(Japan, Ukraine, Austria, Great Britain, Belgium, Australia, Russia and others), possesses preventive-curative properties, especially **long-chain inulin**, and it was recommended for use as a healthy food additive in the cure and prevention of the following diseases [4, 5, 6]:

- prevention and cure measure heart-vascular diseases (IDH), arteriosclerosis (decrease of cholesterol level, in particularly LDL, phospholipids, triglycerides);
- prevention of diabetes complications such as angio- and retinopathy;
- modification of microflora of intestines, promoting the development of Bifid bacteria and Lactobacilli and inhibition of pathogenic microflora;
- preventive measure of obesity development;
- increase of absorption and accumulation of Calcium in bones;
- strengthening of immune system and inhibition of cancer illness, specially rectal and breast;
- radio- and hepatic-protective.

Inulin is contained in many plants. A raw material for inulin production can be the usage of *Helianthus tuberosus* L. (topinambur), *Cichorium intubus* L. (chicory), *Dahlia variabilis* (dahlia). However, topinambur is the most valuable, because it can be used not only for production of inulin, but as a raw material as well for the production of a large assortment of new food with a preventive-curative meaning [7, 8, 9 and 10]. So both inulin as food additive and inulin-containing food are an effective remedy in peoples sanitation.

This thesis is based on the knowledge of unique chemical composition of topinambur tubers: besides inulin as the main curative component, in tuber's composition a considerable quantity of very important macro- and micro- elements are present, among them potassium, calcium, magnesium, and in the composition of micro-elements – zinc and silicon. Topinambur tubers all contain irreplaceable amino acids, large quantities of vitamin C, and nearly all groups of B vitamin: thiamin, riboflavin, pantotenic acid, niacin, adenine, biotin [9].

Inulin can be used separately (in capsules) as a food additive to different foods: baked goods, candies, meat products, dairy (milk, yogurts, butter, cheeses) and to different beverages. Topinambur tubers can be used for the production of the following foods: puree, pastes, juice, syrup, instant powder, powder. Puree, powder and syrup can be additives for many kinds of new preventive-curative food, manufactured in bakeries-, candies, dairy and beverages industries.

So, the food component, enriched by fructans (inulin) can become a good alternative to food components, enriched by glucans (starch), maltose, glucose, which are the main cause of the development of obesity and its grave complications. It is desirable to optimize the combination of food produced on the base of both fructans and glucans in childrens' nutrition. Such food, being in the daily ration of children and teenagers (including nutrition of children in kinder-gartens, schools, and colleges) would lead them to improved health. Adults have to include in their ration inulin or food, containing inulin, as well.

It is very important to pay attention **to the inulin capability to render radiation-protective action and strengthen the immune system of man**. Such conclusions were made by the Genetics chair of the Institute of Continuing Medical Studies of the Healthcare Ministry of Ukraine. A collaborator of this Chair, a senior research worker, L.T. Vanyurikhina carried out tests on patients, subjected to radiation, provoked by the Chernobyl catastrophe, using inulin (offered by the author of this paper) in their daily nutrition ration for two months [11]. A considerable decrease in chromosomal and achromatide breakages was observed, and sometimes the complete elimination of radiation effects was also found. After long-term consumption of LCI inulin, an increase of T-lymphocyte content and an increase of their suppressive activity was observed. An equalization of suppression percentage, and increase of immunity-compensative potential of blood was also observed. So, the medical-biological studies showed that inulin can be recommended as a radiation-protector, and be introduced into the diet of the persons who have been subjected to the action of ionization radiation.

Humanity knows many accidents in AES and in the plants of decay material [12]: September, 1944, Tennessee, USA; July, 1948, March 1949, September 1957, April 1967 (Chelyabinsk, Russia); October 1957, Great Britain; March 1979, Pennsylvania, USA; September 1999, Tokayamura, August 2004,

Mixamab, Japan. Taking into consideration that humanity is shaken by technologic disasters, connected with the usage of atomic power engineering (AES Three Mile Island, USA, 1979; AES of Chernobyl, Ukraine, 1986; AES Fukushima, Japan, 2011), and knowing that the spread of radiation pollution does not have any borders, time has come to create immediate remedies for people to protect them from the fatal radiation effect. One of such remedies can become long-chain inulin. That is why it is necessary to organize production of LCI in all countries of the world, because inulin and inulin-containing food- must be accessible for every family, every person. The author of this paper is one of the elaborators of long-chain inulin (LCI) technology.

To the point, topinambur can be cultivated in wide range of latitudes: from 65<sup>0</sup> of north latitude to 65<sup>0</sup> of south latitude, except the tropical zone. It is important that in this zone practically all industrially-developed countries are located, and countries with high-productive agriculture as well [13].

It is necessary to note that wide cultivation of *Helianthus tuberosus* L. and its hybrids is very important not only for obtaining inulin and inulin-containing food, possessing preventive-curative properties, but for its use for the solution of ecological (elimination from the Earth's atmosphere CO<sub>2</sub>, which provokes "greenhouse" effect progress due to the extremely high photosynthetic capability of *Helianthus tuberosus* L.), and energetic problems (renewable source of motor fuel) [14]. As foretold by the great scientist N.I. Vavilov, *Helianthus tuberosus* L. served and continues to serve to humanity nowadays, in a time of big catastrophes. In ancient times, people addressed attention to topinambur, especially in the days of epidemics and other misfortunes and it helped them survive. Not without the reason, topinambur again became popular in countries where considerable technologic deformation had already occurred. One of the most terrible of its consequences was the Chernobyl catastrophe. That is why topinambur spontaneously became very popular in Ukraine, Belarus, Russia, particularly in Siberia, where people are fighting for survival, being under the affect of radiation, and eating food, polluted by hard metals and by different kind of pesticides.

## REFERENCES

1. WHO. Informative bulletin, 317, September, 2011.
2. WHO. Informative bulletin, # 312, August, 2011.
3. WHO. Informative bulletin, # 297, February, 2012.
4. Bobrivnyk L.D. Plant-bogaty, tested by centuries. Beth Gavrial, # 72, September-October 2007.
5. Bobrivnyk L.D. Our meal has to our medicines our medicines have to be our meal. The Bukharian Times, 2007, # 281.
6. Bobrivnyk L.D. To attention of ills by diabetes and heart-vascular illnesses. The Bukharian Times, 2007, # 302.
7. Bobrivnyk L., Bobrovnyk H. People sanitation – an important factor in getting over the world economic crisis. *Economisti*, 2009, # 4, p. 65-77.
8. Bobrivnyk L.D., Vysotskoy V.G., Gulyi I.S. Perspective directions of topinambur usage in food industry. *Izvestia vuzov. Pishchevaya promyshlennost'*, 1990, # 4, c. 25-29.
9. Bobrivnyk L.D., Gulyi I.S., Karpovich M.S. Netradyzyni syrovynni resursy kharchovoi promysloovosti. *Visti Akademii Inzhenernykh Nauk Ukrainy*, 1994, # 1, s. 12-18.
10. Bobrivnyk L.D., Gulyi I.S., Remeslo N.V. Topinambur - netradyzyna syrovyna dlya kharchovykh I mikrobiolohichnykh vurobnyztv. *Visti Akademii Inzhenernykh Nauk Ukrainy*, 1996, # 4, c.46-54.
11. Vanyurikhina L.T. Zaklyuchenie kafedry medizinskoy genetiki Instituta povyshenia kvalifikazii vracheiy: "Inulin kak profilakticheski-lechebnoe sredstvo dlia lyudeyi, podverzhennykh deystviyu ioniziruyushchego obluchenia razlichnymi dozami", 1996, Kiev, Ukraina.
12. Grach O. Krupneishie radioaktivnye avarii vc mire. *Novoe Ruskoe Slovo*. (646) 218-6900, 28.04.2008.
13. Vanyurikhina L.T. Zaklyuchenie kafedry medizinskoy genetiki Instituta povyshenia kvalifikazii vracheiy: "Inulin kak profilakticheski-lechebnoe sredstvo dlia lyudeyi, podverzhennykh deystviyu ioniziruyushchego obluchenia razlichnymi dozami", 1996, Kiev, Ukraina.

14. Bobrivnyk L.D. Helianthus tuberosus L. – bioresource in solution of ecological, economic, and social problems of humanity. Collection of Material of International Scientific-practical Conference, Dedicated to the 65-th Anniversary since the Foundation of PAATA Gugushvili Institute of Economics and the 105-th Anniversary of Academician PAATA Gugushvili, July 2010, p. 545 -552.

15. Bobrivnyk L.D. Challenges to Humanity. Proceeding of Material of International Scientific-Practical Conference “Actual Economic Problems under Globalization. Tbilisi, October 2011, p. 238 – 240.

*Bobrivnyk Leonid*

**CARE FOR MAN’S HEALTH - AN IMPORTANT FACTOR  
OF ECONOMIES GROWTH IN NATIONS OF THE WORLD  
SUMMARY**

Man is the main component of productive forces in all of the steps of human progress, which are characterized by different kinds of labor. Industrialization, urbanization, intensification of agricultural production all stipulate for the decline of human health. These factors provoke the essential waste of the national income of countries. That is why the problem of the improvement of human health has become urgent. The author of this paper proposes one of the possible ways to solve this problem.

*გიორგი ბრეგვაძე*

**სამშენებლო სექტორის სტრუქტურული ბანკითარების  
პრობლემები გლობალიზაციის პირობებში**

სამშენებლო სექტორი მთელ მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოში, აქტუალური და სწრაფად განვითარებადი სფეროა. გლობალიზაციის პირობებში ამ სფეროს სტრუქტურულ განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სამშენებლო სექტორს თავისი სპეციფიკა გააჩნია, რაც შემდგომში მდგომარეობს: ყველა შენობასა და ნაგებობას ხუთ ჯგუფად ყოფენ.

პირველ ჯგუფში სამოქალაქო შენობებია. ამ ჯგუფში შედის საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები და სკოლები, მაღაზიები და საავადმყოფოები, კონოთეატრები და სხვა. ამ ჯგუფის შენობები, როგორც წესი, მრავალსართულიანია. აქვს ბევრი კედელი, ტიხარი, ფანჯარა, კარი და კიბე, მათ ასაშენებლად ბევრი გასაწყოები სამუშაოა შესასრულებელი. საჭიროა კედლების შეღესვა, იატაკის დაგება და სხვა რაც ამ ჯგუფის შენობებს მაღალ მოთხოვნებს უყენებს.

სამოქალაქო მშენებლობა მოითხოვს გზების, გასასვლელების, ტროტუარების, წყალსადენი მილების, კანალიზაციის, გაზის გაყვანას, აგრეთვე გამწვანებას.

ამ ჯგუფის შენობებისათვის დამახასიათებელია მასობრივი განაშენიანება. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ მარტო ერთ სახლს კი არ აშენებენ, არამედ მთელ კვარტალს, საცხოვრებელ ბინებსაც და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებსაც.

მეორე ჯგუფი მოცულობით ყველაზე დიდი სამრეწველო შენობები და ნაგებობებია. ამ ჯგუფში გაერთიანებულია მრეწველობის ყველ დარგის შენობები – მანქანათმშენებელი, ნავთობგადამამუშავებელი, საავტომობილო, საავიაციო, ცემენტისა და სხვა ქარხნები, ქსოვილების, ფეხსაცმლის, საკვების, ქაღალდის დამამზადებელი ფაბრიკები და ქარხნები, თბოელექტროსადგურები და ბევრი სხვა საწარმო. სამრეწველო ნაგებობანი ისევე მრავალფეროვანია, როგორც მრეწველობის დარგები. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, სამრეწველო შენობებს საერთოც ბევრი აქვს. შენობები დიდია, კედლები და ტიხრები ცოტა. მშენებლობამ უნდა გაუძლოს განუწყვეტლად მოძრავი მანქანებისა და დაზგების

წონას, ამიტომ ამ შენობათა კონსტრუქცია განსაკუთრებით მძლავრი და მკვიდრი უნდა იყოს.

მესამე ჯგუფი ჰიდროტექნიკური ნაგებობანია: ჰიდრაულიკური ელექტროსადგურები, კაშხალები, არხები, ნავსადგურები, სანაპიროები. წყალს დინება რომ შეუცვალონ, მშენებლებს ხშირად ახალი კალაპოტი გაჰყავთ. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის დროს საჭიროა უამრავი, მილიონობით კუბომეტრი მიწის მოთხრა და გატანა, გარდა ამისა, ათეულობით ათასობით კუბომეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის ჩასხმა. ამიტომ ჰიდროტექნიკურ მშენებლობაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მიწისა და ბეტონის სამუშაოთა სწორ ორგანიზაციას.

შემდგომი, მეოთხე ჯგუფია სატრანსპორტო ნაგებობანი. ამ ჯგუფში შედის რკინიგზები და გზატკეცილები, ხიდები, აგრეთვე დამხმარე ნაგებობანი, ვაგზლები, აეროპორტები და სხვა.

და, ბოლოს, მეხუთე ჯგუფია სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი. ამ ჯგუფში შედის მარცვლეულის სხვადასხვანაირი საწყობები, შენობები საქონლისა და ფრინველებისათვის (ბოსლები, საღორეები, საქათმეები და სხვა), სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები, შენობები, სადაც სასოფლო-სამეურნეო მანქანებს აყენებენ და სადაც მათი შეკეთება წარმოებს და სხვა.

ყველა შენობისა და ნაგებობის ჯგუფებად დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია. ნაგებობებს ჯგუფებად იმიტომ ყოფენ რომ თითოეულ ჯგუფს ესაჭიროება თავისი კონსტრუქცია, თავისი მექანიზმები, თავისი მუშაობის მეთოდი. სწორედ ამ თავისებურებებს ითვალისწინებენ შენობის აგებისას.

აქედან გამომდინარე, დღეს მშენებლობას ახორციელებს უამრავი სამშენებლო კომპანია. მაგრამ, რაც საქართველოსათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე ძალზე დიდი თანხები გამოიყოფა, მილიარდ ლარზე მეტი, რაც ბიუჯეტის 15%-ია.

მთავრობის კურსი მიმართულია ახლის მშენებლობისა და ძველის რესტავრაციისაკენ, რის შედეგადაც რესტავრაცია ჩაუტარდა და აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მაგალითად: პოლიციის შენობები, სამხედრო ყაზარმები, ასევე გზები, ხიდები, სტადიონები და სპორტული დარბაზები, შადრევნები, რკინიგზის სადგურები, სავაჭრო ცენტრები, სკოლები, სასტუმროები, საავადმყოფოები, საწარმოები და სხვა.

აშენდა და გალამაზდა, რესტავრაცია ჩაუტარდა მრავალი ქალაქის შენობა-ნაგებობებს. მათ შორისაა: სიღნაღი, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა. მიმდინარეობს ახალციხის, თელავის და, რაც მთავარია, ახალი ქალაქის – ლაზიკის მშენებლობა, რისთვისაც ძალზე დიდი თანხებია საჭირო.

საქართველოში მშენებლობას ძირითადად კერძო კომპანიები ახორციელებს. მშენებლობა უმეტესად მიმდინარეობს სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. თითქმის ყველა სამინისტრო შენობებს აშენებს და არემონტებს ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების მეშვეობით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი, რომლის ძირითად ამოცანებში შედის სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა.

ძირითადად სამშენებლო სამუშაოების შესრულებით დაკავებულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამ სამინისტროს ეკისრება გზების, ხიდების, მიწების, გვირაბების, წყალმომარაგებისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუ-



შაობისათვის განსახორციელებელი პროექტების შესრულების პასუხისმგებლობა. სამუშაოს ასრულებენ გამარჯვებული კომპანიები.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ შეიმუშავა წყალტუბოს, ვანის, ცაგერის, მარტვილის, წალენჯიხის, ლენტეხის, სურამის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ტყიბულის და ბაღდათის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სისტემები. აღნიშნულ ქალაქებში ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა მუდმივად ხდებოდა, თუმცა ამ პროექტების საშუალებით მოხდება სისტემების მასშტაბური რეაბილიტაცია, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს წყალმომარაგების პირობებს. აღნიშნული ქალაქების პროექტებიდან უმრავლესობაზე მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა ტენდერი უკვე გამოაცხადა. ტენდერის პირობები მოიცავს: ცენტრალური გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციას, სატუმბო სადგურების სარემონტო სამუშაოებს, საქლორატორების კაპიტალურ შეკეთებას, წყალსადენების ქსელების რეაბილიტაციას, მილსადენისა და სარეგულაციო რეზერვუარების მშენებლობას.

გარდა ამ სამინისტროსი, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მშენებლობას ახორციელებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. მაგალითად, ფოთსა და წყალტუბოში მთელი კვარტლები აშენდა ლტოლვილებისათვის. მშენებლობას აწარმოებენ ასევე სხვადასხვა უცხოური კომპანიები, ინვესტორები. მაგალითად “კემპინსკის” სასტუმრო თბილისში, ბათუმში “ტრამპოაერი” და მრავალი სხვა ცნობილი ფირმები. ასევე მიმდინარეობს ინდივიდუალური ბინათმშენებლობები. მათზე ნებართვებს მერია და ადგილობრივი გამგეობები გასცემენ.

ბინათმშენებლობაში არსებობს გარკვეული პრობლემები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს საქართველოში შეჩერდა დეველოპერული კომპანიების მუშაობა, ბანკები სესხს აღარ გასცემდნენ და აღარც დამკვეთები იხდიდნენ თანხას. ამ სამ სეგმენტს შორის დაიკარგა ნდობა და ქვეყანაში გაჩნდა გადაუჭრელი პრობლემა: დაუმთავრებელი მშენებლობები, დაუსახლებელი ოჯახები და უმუშევართა სიმრავლე. ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ნდობა სრულიად დაიკარგა. ამ ვითარებაში თბილისის მერიამ პასუხისმგებლობა აიღო და დაინტერესებულ სუბიექტებს შორის ნდობა აღადგინა. შეიმუშავა პროექტი “ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე”. ეს პროექტი უკვე მესამე ეტაპზეა. მერია სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში შეისყიდის ერთ კვადრატულ მეტრს 400 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში. უკვე გაფორმებული ხელშეკრულების საერთო ღირებულება 62 მილიონ დოლარს და თითქმის 155 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს აღწევს. შედეგად მივიღეთ ახალი და დასრულებული საცხოვრებელი სახლები, გადახდილი ვალები, დაბინავებული ოჯახი და ძველი თბილისის აღდგენის ეფექტური პროექტი.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია, უცხოური ინვესტორების დახმარებით აშენდეს 15 ჰესი, სადაც 30000 ადამიანი იქნება დასაქმებული. შენდება მრავალი საავადმყოფო. როკზე გაჰყავთ ახალი გვირაბი, რომელიც ბათუმთან უფრო მალე დააკავშირებს თბილისს. ასევე ყარსი ახალქალაქის მაგისტრალი, რითაც საქართველო სტამბულის გავლით ევროპას დაუკავშირდება, ასევე შუა აზიასაც.

ასე რომ, საქართველოში მშენებლობის და აღმშენებლობის ბუმი, თუმცა ყოველივე ეს ხორციელდება სახელმწიფოს და შესაბამისად ბიუჯეტის ხარჯზე. ეს, ერთი მხრივ, სამშენებლო კომპანიებს სტიმულს აძლევს და ავითარებს სამშენებლო სექტორს და, ასევე, სამშენებლო მასალების მრეწველობასაც, მაგრამ ბიუჯეტი შეზღუდულია. მიზანშეწონილი არ არის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ძირითადად მშენებლობაზე იხარჯებოდეს და მრეწველობის სხვა დარგები დაუფინანსებელი დარჩეს, ამიტომ, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ მშენებლობას სახელმწიფო ნაკლებად დააფინანსებდა და იგი კერძო სექტორის ხარჯზე განვითარდებოდა. მაგალითად, სააქციო საზოგადოებების ხარჯზე.

მუდმივად სახელმწიფო დაფინანსებით შეუძლებელია მშენებლობის სექტორის განვითარება. ამით ბიუჯეტიდან დაფინანსება სხვა დარგებს აკლდება და თანაც მოსახლეობას აწვევა მძიმე ტვირთად. პირდაპირ თუ ირიბად, იზრდება გადასახადები ბიუჯეტის შესავსებად. ასე კი დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. უმჯობესი იქნება, და ალბათ მომავალში ასეც მოხდება და ასეთი გრანდიოზული მშენებლობები ფასიანი ქაღალდების, აქციების ხარჯზე განხორციელდება. ეს ფორმა დიდი ხანია მთელ მსოფლიოში წარმატებითაა აპრობირებული. გლობალიზაციის პირობებში კი მსოფლიო გამოცდილების გაზიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები, 2011.
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები, 2011.
3. ბრეგვაძე გ. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV.
4. ჯღამაძე თ. სოციალური ეკონომიკა, №1, 1999.

*Bregvadze Giorgi*

### **THE PROBLEMS OF STRUCTURAL DEVELOPMENT OF THE CONSTRUCTIONAL SECTOR UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

This work analyzes the problems of structural development of the constructional sector in the condition of globalization and are planned those ways and tasks which will help in the improvement of the sector of the constructional structure.

*თამაზ გამსახურდია  
თეიმურაზ ფესტკენიძე*

#### **თხილის ბიზნისის განვითარება და მისი როლი ეროვნულ ეკონომიკაში**

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და მათზე ზრუნვა ხელისუფლების უზენაესი მიზანია, ამიტომ სახელმწიფოები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ იმისათვის, რომ გონივრულად გამოიყენონ ქვეყანაში არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები, წიაღისეული, მიწა, წყალი და სხვა რესურსები, რომელიც ქვეყნის ეროვნული შემოსავლის გადიდებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის იქნება მიმართული. როგორც ანალიზიდან ჩანს, ჩვენს ქვეყანაში მიწის დამუშავებისა და გამოყენების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. ამიტომ მეცნიერული კვლევებისა და გააზრებული მენეჯმენტის მიხედვით შემოთავაზებულ, შორს გამიზნული რეკომენდაციების გამოყენებით, ჩვენს ხელთ არსებული მიწის ფონდი ინტესიური დატვირთვით უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოში, ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, შესაძლებელია, სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად, უფრო მეტი თხილის პლანტაციები გავაშენოთ და გაეზარდოთ მოსავლიანობა. ამით გაეზარდოთ ქართული თხილის რეალიზაციის ხვედრითი წილი მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყნები, რომლებსაც მწირი ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრები გააჩნიათ, ამის საკომპენსაციოდ იძულებული არიან, გამოიყენონ თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიები მეურნეობის ყველა სფეროში და მათ შორის აგროსექტორშიც. ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ

მაღალი ინტელექტუარული დონე ამის საშუალებას იძლევა, თუ მას სათანადო ყურადღება მიექცევა. ქვეყნაში ამით ცხოვრების დონე საკმაოდ მაღლდება.

გასათვალისწინებელია სწრაფად განვითარებადი ქვეყნების: ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, ინდონეზიის, მექსიკისა და სხვა ბაზრების თავისებურებები, რომელთათვისაც არა მარტო სამეწარმეო რისკის მაღალი დონეა დამახასიათებელია არამედ ზრდის უდიდესი ტემპები, რომლითაც მათი ეკონომიკა ვითარდება და მოსახლეობის ცხოვრების დონე მსოფლიო სტანდარტებს უახლოვდება. ჩვენს ქვეყანაში არსებობს გარკვეული შანსები, რომ ინვესტიციები მოვიზიდოთ და დღევანდელ ეტაპზე მეტად საჭირო დარგის, თხილის წარმოების გაზრდისათვის გამოვიყენოთ. მით უმეტეს აღნიშნულ ნედლეულზე მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. თხილის წარმოებას ახლაც და პერსპექტივაშიც განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება, რადგან ქართული თხილი თავისი სასაქონლო თვისებებით მაღალკონკურენტუნარიანია.

თხილი (*corylus*), ფოთოლმცვივანი ბუჩქების, იშვიათად ხეების გვარის, თხილისებრთა ან, ფართო გაგებით, არყისებრთა ოჯახის მცენარეა. მტვრიანებიანი ყვავილები უყვავილსაფროა და მჭადა ყვავილედადაა შეკრებილი, ბუტკოიანი ყვავილები კვირტშია ჩამალული და გარეთ მხოლოდ დინგები აქვს გამოყოფილი. თითოეული ყვავილის ირგვლივ ვითარდება სამ-სამი ურთიერთშეზრდილი თანაყვავილელი, რომელიც ნაყოფის მომწიფებისას დიდდება და სხვადასხვა ფორმის ნაყოფსაფარს (ბუდეს) ქმნის. ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია. გვარი შეიცავს ოცამდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ფოთლოვანი ტყეების ზონაში. საქართველოს ტყეებში, ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრამდე, ბუნებრივად იზრდება თხილის 6 სახეობა. ჩვეულებრივი თხილი (*corylus avellana*) ბუჩქი ან 8 მეტრამდე სიმაღლის ხეა, გავრცელებულია მთელ საქართველოში, იზრდება ქვეტყედ მუხნარებში ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყეებში, სუბალპურ მენხერში, ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებერვალ-მარტში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერში. ერთი ბუჩქიდან სამ კილოგრამზე მეტი მოსავალი მოდის. მრავლდება თესლით, ძირკვისა და ფესვის ამონაყრით, იშვიათად გადაწივნით. ცოცხლობს 70-80 წელს, დეკორატიულია, იყენებენ ფერდობების გასატყიანებლად, ერთ-ორ წლიანი ღეროს – წნელად კალათების, გოდრების, ლასტების დასაწნავად. ასევე თხილის წნელისაგან შეიძლება მოიწნას სხვადასხვა სახის სუვენირები, რომლებიც შეიძლება სინტერესო და მიმზიდველი გახდეს საქართველოში ჩამოსული უამრავი ტურისტისათვის.

დათვისთხილა და პონტოური თხილი (*Corylus pontica* იზრდება გურიასა და აჭარაში), იმერული თხილი (*Corylus imeretina*), კოლხური თხილი და კახური თხილი (*Corylus cachetica*) საქართველოს ენდემებია [ქსე, ტ.V, გვ. 33].

თხილის სამშობლოდ ითვლება აზია, საიდანაც ის გავრცელდა ევროპაში და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სამეურნეო კულტურას.

დღესდღეობით მსოფლიოში თხილის მთავარი მწარმოებელი ქვეყნებია: თურქეთი, იტალია, ესპანეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და ა.შ. თხილი დიდ როლს თამაშობს ადამიანის კვების რაციონში. თხილი შეიცავს ცხიმს, პროტეინს, კარბოჰიდრატს, ვიტამინებს, მინერალებს, ფიტოსტერულ და ანტიოქსიდატურ ფენოლს. თხილის კვებითი ღირებულება ქმნის მას უნიკალურ და იდეალურ ინგრედიენტად სხვადასხვა საკვები პროდუქტებისათვის.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ თხილს ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო ღირებულებები გააჩნია.

თხილი გამოიყენება შოკოლადის, ტკბილეულის, რძის პროდუქტების, ჰალვის, სალათებისა და სოუსების დამზადებაში როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. თხილი საკვებ პროდუქტს უკეთეს სურნელსა და გემოს ანიჭებს.

სპეციალისტებთან ერთად, ბიზნესმენები უნდა დაინტერესდნენ თხილის პლანტაციების გაშენების გადიდებით, სწორად შეარჩიონ მაღალმოსავლიანობით გამორჩეული რეგიონები, ჩადონ გარკვეული ინვესტიციები, რაც დიდ რისკთან არ იქნება დაკავშირებული და ინვესტიციის უკუგების ეფექტი მაღევე მიიღება.

ჩვენი გათვლებით, თხილისაგან დამზადებული ქართული პროდუქციის თვითღირებულება უფრო დაბალი იქნება ვიდრე საზღვარგარეთიდან შემოტანილი მზა პროდუქციის თვითღირებულება და, შესაბამისად, მათი საცალო ფასებიც.

ცხადია, ადგილობრივი ნაწარმით შიდა ბაზარი გაჯერდება და მოსახლეობა ხელმისაწვდომ ფასებში შეიძენს სასურველ პროდუქტს. ამასთანავე, მცირე საწარმოების შექმნით შრომისუნარიან მოსახლეობას მიეცემა დასაქმების საშუალება და შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობა.

ბოლო დროს თხილის მიმართ ყურადღება იმდენად გაიზარდა, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხი ამ კულტურისადმი დიდ დაინტერესებას იჩენს. ამიტომ დიდი მონღოებითა და ენერჯით ერთეულებთან მეთხილეობის დარგში, რომელიც ადამიანური რესურსების დასაქმებისა და შემოსავლების გადიდების ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა. თხილი მსოფლიოში საკმაოდ დეფიციტური პროდუქტია, მისი ფასი მუდმივად იზრდება და მოსავლის მისაღებად განსაკუთრებით დიდი შრომა არ არის საჭირო. სწორედ ამიტომ, თხილის წარმოების მიმართ ლტოლვა დიდია. ამის ნათელი მაგალითია 2010 წლის აგვისტოში ზუგდიდში გახსნილი თხილის ახალი ქარხანა, რომელიც ქართულ-კანადური ინვესტიციით რამდენიმე თვეში აშენდა და მასში დასაქმებულია 180 ადამიანზე მეტი. მათი დიდი ნაწილი აფხაზეთიდან დევნილებს შეადგენს. ქარხანა უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი და ექსპორტზეა ორიენტირებული. კერძო კომპანია „ზახილნათ იმპექსი“ პროდუქციის ექსპორტს ევროპის ქვეყნებში, ეგვიპტეში, ამერიკასა და კანადაში ახორციელებს, ქარხნის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, ახლო მომავალში წარმოების გაფართოებაც იგეგმება.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მეტი შემოსავლების მიღება შეუძლია სოფლის მეურნეობის რამდენიმე მიმართულების განვითარებით (ხილი, ბოსტნეული, თხილი, ღვინო და სხვა).

თხილის, როგორც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროს, გაშენება-მოშენებას ყველა რეგიონში მისდევენ. თხილის გაშენების რამდენიმე შემთხვევა ფიქსირდება რაჭაშიც, თუმცა აქ ნიადაგი და კლიმატი თხილის უხვმოსავლიანობისათვის არახელსაყრელია. დასავლეთ საქართველოს შემდეგ თხილის პლანტაციების გაშენება დაიწყო კახეთშიც, ძირითადად ლაგოდეხსა და ყვარელში, თუმცა არსებული პლანტაციების პროდუქტიულობა დაბალია. თუ 2011 წელს მოსავლიანობამ საქართველოში ჰექტარზე 1-1.5 ტონა შეადგინა, ნორმალური მოვლის პირობებში შესაძლებელია ეს მაჩვენებელი 3 ტონამდე გაიზარდოს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სურსათის და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის 2005-2010 წწ. მონაცემებით, თხილის კულტურის ფართობი ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის ასე გამოიყურება: თურქეთი – 345 ათასი ჰა, აშშ – 11,8 ათასი ჰა, ირანი – 11 ათასი ჰა, ესპანეთი – 12,1 ათასი ჰა, საქართველო და ჩინეთი – 8-8 ათასი ჰა, ხოლო მიღებული მოსავლის მიხედვით, ასევე თურქეთი ლიდერობს – 501,6 ათასი ტონა, შემდეგ მოდის იტალია – 112,3 ათასი, აზერბაიჯანი – 18,6 ათასი, ესპანეთი – 18,3 ათასი, აშშ – 28.5 ათასი, ირანი, საქართველო, ჩინეთი – 12-12 ათასი ტონა.

უნდა აღინიშნოს, რომ თხილი, ციტრუსთან და ჩაისთან შედარებით, ფერმერებში დიდი უპირატესობით სარგებლობს, ამიტომაც საქართველოში წლიდან წლამდე

იზრდება მისი წარმოება. „თხილის საექსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორის ბეგი სიორიძის ინფორმაციით, 2010 წელს მსოფლიოში აზერბაიჯანს მესამე პოზიცია ეკავა, ხოლო 2011 წელს საქართველომ თხილის წარმოებაში გაუსწრო აზერბაიჯანს. საქართველო უკვე ყოველწლიურად 35 ათას ტონა თხილს აწარმოებს, რომლის ექსპორტირება მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება.

თხილის წარმოების ხვედრითი წილის მიხედვით საქართველოს რეგიონები ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდება: თხილის კულტურას სამეგრელო-ზემო სვანეთის მეხილეობის ზონაში 10114 ჰა უჭირავს (65,1%), გურიაში – 3 339 ჰა (21,5%), იმერეთში – 1305 ჰა (8,41%), აჭარაში – 275 ჰა (1,8%) და კახეთში – 388 ჰა. თხილის ნარგავების შედარებით მცირე რაოდენობა მოდის ქვემო ქართლზე, შიდა ქართლის – სამაჩაბლოს, მცხეთა-მთიანეთის და რაჭა-ლეჩხუმის მეხილეობის ზონებზე. ამ მონაცემების საფუძველზე, დღეისათვის საქართველო თხილის კულტურით დაკავებული ფართობის მიხედვით, ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილზეა თურქეთის, იტალიის, აზერბაიჯანის შემდეგ და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ესპანეთი, ირანი, აშშ და ჩინეთი.

სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ექსპორტში უმსხვილესი სასაქონლო პოზიციის მიხედვით მიწინავე პოზიციებს თხილი და ღვინო იკავებს, ხოლო ბოლო ინფორმაციით, ექსპორტის წილში 4% უჭირავს თხილს. (გასულ წელს 64 035 900 აშშ დოლარი), ხოლო ღვინოს – 2,5% (39 269 ათასი აშშ დოლარი)

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოებული თხილი საექსპორტოდ ძირითადად გერმანიასა და იტალიაში გადის, აგრეთვე ერაყში, სირიაში, ჩინეთში, როგორც ხელმისაწვდომი წყაროებიდან შევიტყვეთ, საქართველოში ისრაელიდან ჩამოსული იყო ბიზნესმენთა ჯგუფი, რომლებიც თხილის შესყიდვით არიან დაინტერესებულნი. ებრაელი ბიზნესმენების ქართული თხილით დაინტერესებას ხელი იმან შეუწყო, რომ ბოლო დროს ისრაელსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ისრაელი თხილის ახალ მომწოდებელს ეძებს.

ექსპორტიორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხარისხით ქართული თხილი თურქულს არაფრით ჩამოუვარდება. თუმცა ბევრად უფრო იაფია, რასაც თურქი მარკეტოლოგების დამსახურებად მიიჩნევენ. მსოფლიო ბაზარზე თურქები თხილის ძირითადი გამყიდველები არიან და უმეტესწილად ქართული და აზერბაიჯანული თხილიც მათ გააქვთ გასაყიდად. ეს ნიშნავს, რომ მოგების წილი, რომელიც, წესით, ქართველ ტრეიდერებს უნდა რჩებოდეთ, თურქეთში რჩება, ეს ხდება ჩვენი მარკეტინგული სამსახურის უნიათობის გამო.

90-იან წლებამდე საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენებას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას, რადგან მასზე მოთხოვნა და შესყიდვის ფასი (50-80 თეთრი) დაბალი იყო, ხოლო შემდგომ ბუმის პერიოდი დადგა, რადგან მოთხოვნა გაიზარდა ქართულ თხილზე, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთაც და მისი საექსპორტო არეალის გაფართოებამ გამოიწვია პროდუქციის ღირებულების ზრდა. 2010 წელს ქართული თხილი საერთაშორისო ბაზარზე დაახლოებით 5-7 ლარად. ადგილობრივ ბაზარზე 1კგ ნედლი თხილი 2-2,5 ლარად, ხოლო ხმელი თხილი 4-5 ლარად იყიდებოდა.

საქართველოში 2011 წელს თხილის უხვი მოსავალი მოვიდა, მაგრამ თურქეთში, მცირე მოსავლიანობის გამო, ბაზარზე მოთხოვნა და ფასი მნიშვნელოვნად ამალდა. ადგილობრივ ბაზარზე თხილის შესყიდვის ფასი შესაბამისად გაიზარდა. მაგ., თუ სექტემბრის დასაწყისში თხილს გადამამუშავებელი ქარხნები მოსახლეობისაგან 1კგ თხილის 2,60-2,70 ლარად იბარებდნენ, მომდევნო თვეებში 3,80-3,90 ლარს მიაღწია. სპეციალისტების ვარაუდით, როცა მარაგები ამოწურვაზე იქნება მისული, მოსალოდნელია თხილის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, რეალიზაციის თვალსაზრისით, ევროპაში ქართულ თხილს საუკეთესო პოზიცია უჭირავს გერმანიაში, ხოლო აზიის ბაზარზე - ერაყსა და ავღანეთში. საგულისხმოა ისიც, რომ 2010 წელს თხილის პატარა პარტიებმა ირანსა და ჩინეთშიც შეაღწია. ქართული თხილისათვის სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის 10 პროცენტის ნიშის ათვისება. ბაზრის მოთამაშეები იმედოვნებენ, რომ საქართველოში არსებობს იმის პოტენციალი, რომ მომავალში, მსოფლიო ბაზრის უფრო მეტი მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, მსოფლიოში, ბოლო პერიოდში თხილზე მოთხოვნა ყოველწლიურად დაახლოებით 2%-ით იზრდებოდა, რაც საქართველოში წარმოების მოცულობის ზრდის საშუალებას იძლევა. ამიტომ თხილის პლანტაციების გაშენების პროცესი არ წყდება. აფხაზეთის მიწაზე, კერძოდ გაღში, თხილი უხვი მოსავლიანობით გამოირჩევა და გაღელები მას მოვლა-პატრონობას არ აკლებენ, რაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა. თუ ადრე გაღელებს დიდი რისკის ფასად თხილი ჩასაბარებლად ჩამოჰქონდათ ზუგდიდში, დღესდღეობით ისინი ამ საფრთხის წინაშე არ იმყოფებიან, თხილის გადამამუშავებელი ქარხნები ადგილზეც გაიხსნა და, როგორც ამბობენ, თხილი რუსეთშიც გააქვთ.

ასევე თხილის პლანტაციების გაშენება დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, კერძოდ თხილის ნარგავები ფეხს იკიდებს და ხარობს ახმეტაში. 2011 წელს ახმეტის რაიონში, სოფლებში – სათიანო და საბუე – შპს „დორანის“ მიერ აშენდა თხილის გადამამუშავებელი ქარხნები, სადაც ადგილობრივი 70 მუშახელია დასაქმებული. როგორც კომპანიის დირექტორი მ. ზირაქაშვილი აღნიშნავს, ამ ეტაპზე ახმეტაში თხილი 50 ჰექტარზეა გაშენებული და კიდევ გრძელდება გაშენება, მაგრამ საკუთარი მოსავლის მიღებამდე ქარხანა მოსახლეობისაგან შეისყიდის თხილს. მოხდება, მისი გადამამუშავება და ექსპორტირება.

საქართველოში თხილის ბაზრის სტრუქტურა სამი მიმართულებით ვითარდება: 1) სადისტრიბუციო კომპანიები, 2) თხილის გადამამუშავებელი ქარხნები და 3) თხილის კულტურის მომყვანი ფერმერები. დისტრიბუტორები ძირითადად წვრილი ფერმერებიდან იბარებენ თხილს, ხოლო ამ მიმართულებით მსხვილი მეურნეობები ახლა იდგამს ფეხს. ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაცია “თხილის საექსპორტო კომპანია” სამი წელია ბაზარზე ოპერირებს. მას საკუთარი თხილის პლანტაციები არ გააჩნია და ნედლეულს ძირითადად გურიაში ფიზიკური პირებისაგან ყიდულობს. კომპანიამ 2009 წელს 1200 ტონა თხილი შეისყიდა, ხოლო 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი 1400 ტონას გაუტოლდა და დღესაც წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას.

თხილის დამამუშავება შემდეგ ტექნოლოგიურ პროცესებს მოიცავს: თხილის გაშრობა, დაკალიბრება, დატეხვა-გარჩევა-დაფასოება. “თხილის საექსპორტო კომპანიის” დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მეგი სიორიძე ამბობს: თხილი ძირითადად ევროპის ბაზარზე იყიდება, სადაც მოთხოვნა გარჩეული თხილის გულზეა, ხოლო აზიის ბაზარზე მიმზიდველი გაუტეხავი თხილი და კაკალია. ქართული გარჩეული თხილის ფასი ევროპის ბაზარზე 5,2 დოლარია. ერაყში კი ნაჭუჭიანი თხილი 2,1 დოლარი ღირს. ევროპაში თხილის ბაზარზე იოლად არ გავსულვართ, ეს მრავალწლიანი შრომის შედეგია. გარკვეულწილად ჩვენი წარმატება იმანაც განაპირობა, რომ შესაბამისი სერტიფიკატი მოვიპოვეთ.

ქართული თხილის ექსპორტში მოწინავე პოზიციები უჭირავს უკრაინას, ყაზახეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, საგულისხმოა ისიც, რომ ქართული თხილი ავსტრალიაში და აშშ-შიც იყიდება, ნაწილი რუსეთის ბაზარზეც ხვდება.

ექსპორტზე გადის ძირითადად ანაკლიური ჯიშის თხილი, რომელიც სამეგრელოს რეგიონში მოდის.

ადგილობრივ ბაზარზე თხილის მსხვილი მომხმარებელია საკონდიტრო საწარმო “ბარამბო” და სხვა საკონდიტრო საწარმოები, მაგრამ წარმოებული თხილის საერთო მოცულობაში მათ დაბალი ხვედრითი წილი აქვთ. დარწმუნებული ვართ მომავალში, თხილის მოთხოვნა გაიზრდება სხვადასხვა ქართული საკონდიტრო ნაწარმის, შოკოლადისა და ჰაღვის წარმოებაში.

თხილის წარმოება წინა პერიოდში ფერხდებოდა რთული საკრედიტო პირობების გამო. 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, თხილის გადამამუშავებელი ქარხნების საქმიანობა ადგილობრივ ბაზარზე უფრო გააქტიურდა, თუ გასულ წლებში ბანკები ბიზნესსესებს 18–20 პროცენტით გასცემდნენ, ახლა საპროცენტო განაკვეთი 13%-მდე დაიწია.

რაც უფრო მეტად განავითარებენ და სრულყოფენ მენეჯმენტს თხილის ქართველი ექსპორტიორები, მით უფრო ეფექტური იქნება თხილის ბიზნესი ჩვენში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გასაუმჯობესებელია თხილის ჩაბარება-შესყიდვის პროცესის ორგანიზაცია, რადგან დღევანდელი სიტუაცია ამ სფეროში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აუცილებელია, თხილის ექსპორტიორებმა გაითვალისწინონ თხილის წარმოების არეალის გაფართოების ტენდენციები და მეტი მიმღები პუნქტები გახსნან იმ რეგიონებში, სადაც ეს კულტურა მნიშვნელოვნად და ფართოდაა წარმოდგენილი.

როგორც ექსპერტები აფასებენ, ქართული თხილის საექსპორტო პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. დღესდღეობით ათვისებულია თხილისათვის ვარგისი მიწის რესურსის დიდი ნაწილი. ფერმერების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლანტაციებში თხილის ჯიშების შერჩევისა და ნედლეულის ხარისხობრივად ერთგვაროვნების უზრუნველყოფის ორგანიზაციას.

შიდა რეზერვების, ნოვაციების, სწორი სტრატეგიული ხედვის ეფექტურად გამოყენების პირობებში თხილის ბიზნესი კიდევ უფრო წარმატებული გახდება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საქმეში.

*Gamsakhurdi Tamaz*

*Pestvenidze Teimuraz*

## **NUT BUSINESS DEVELOPMENT AND ITS ROLE IN NATIONAL ECONOMY SUMMARY**

The paper discusses nuts, as the useful properties of the plant, which belongs to one the oldest crops; its role and importance of the working population in employment and incomes to enlarge. Nuts are characterized as an essential component of chocolate, fall, confectionery, sweets, salads and other food products for the manufacturing.

Because of the convenient climatic zone, it is possible to plant more and more nut plantations.

To compare nut with tea, it has more advantages. So every year its manufacturing increases. It is realized what position distribution takes place in Europe. And Asia also the paper discusses its future prospects, the improvement of the processes of its submission and purchase, and also the trends of the expansion of its manufacturing and opening submission points.

It is emphasized that in case of affective use of its inner reserves, newness, right strategic view, nut business will be more successful and it will play important role in the building of the country as economy.

**გლობალიზაციის გავლენა სოფლის მეურნეობის  
დარბოზრვი სტრუქტურის სრულყოფაზე**

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი თავისებურებაა. მას გააჩნია ისეთი ტენდენციები, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნის ერთმანეთთან როგორც დაახლოებაში, ისე მათი ურთიერთდამოკიდებულების გააქტიურებაში. იგი, მსოფლიო მასშტაბით, უწყობს ხელს როგორც რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ისე რესურსდამზოგავი და ნაკლებნარჩენიანი ახალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას, ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას და სხვა.

ეკონომიკური გლობალიზაცია განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლით, როგორცაა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე. გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციების გაძლიერება. ინფორმაციების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი, ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი და საიმპორტო ბარიერები. ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია და აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას [1].

გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია და მისი ძლიერი გავლენა დღეს გარდაუვალია. ამ მოვლენისათვის დამახასიათებელია ცალკეული ქვეყნის მეურნეობრივი კომპლექსის მსოფლიო მეურნეობის ერთიან სისტემაში ინტეგრაციის პროცესი, რითაც იგი ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ დარგს, თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში მისი სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო. იმის გარდა, რომ, მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ის აწარმოებს სურსათს, რომლის უზრუნველყოფის ქვეშ იგულისხმება სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ისეთი მდგომარეობა, როდესაც მიღწეულია პიროვნების, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს მდგრადი განვითარება, ამავე დროს ეს დარგი გადამამუშავებელ მრეწველობას აწვდის ნედლეულს.

2000 – 2010 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. სახელდობრ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობა 2%-ით, ანუ 41 ათასი კაცით შემცირდა და სოფლის მოსახლეობის პროცენტულმა შეფარდებამ მთელ მოსახლეობასთან 47% შეადგინა (ანუ სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ ნაკლები ადამიანი, რომელიც ქმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მინიმალურ რაოდენობას). სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, ნადირობისა და თევზჭერის ხვედრითმა წილმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში 20,6%-დან 7,3%-მდე იკლო. 15,5%-დან 6,7%-მდე შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში. გაიზარდა სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი, ხოლო შემცირდა თითქმის ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება.

სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში შეიცვალა მემცენარეობის და მეცხოველეობის ხვედრითი წილი. 2000 – 2010 წლებში მემცენარეობის პროდუქციის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში 48%-დან 42%-მდე შემცირდა, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციისა 52%-დან 58%-მდე გაიზარდა. ასევე გადიდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ხვედრითი წილი 2%-დან 3%-მდე. 335,5 ათასი ჰექტარით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი. ცვლილება დაფიქსირდა აღნიშნული კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურაში. კერძოდ, გაიზარდა მარცვ-



ლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ფართობის ხვედრითი წილი 63,3%-დან 69,5%-მდე; კარტოფილის და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა – 15,2%-დან 17%-მდე. ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობის ხვედრითი წილი 2000 წელს 11,4% იყო, ხოლო 2010 წელს აღნიშნული კულტურების ხვედრითი წილი, სხვა კულტურებთან ერთად, 10%-მდე შემცირდა. ასევე იკლო საკვები კულტურების ხვედრითმა წილმა 10,1%-დან 3%-მდე.

2000 – 2010 წლებში შემცირდა ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში. ასე მაგალითად, – ხორბლის წარმოებამ იკლო 41,0 ათასი ტონით; კარტოფილისამ – 73,2 ათასი ტონით; ბოსტნეულისამ – 178,5 ათასი ტონით; ბაღჩეული კულტურებისამ – 39,1 ათასი ტონით; ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თიბვამ – 14,4 ათასი ტონით.

ამავე პერიოდში ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა ტოლი იყო: ხორბლისა 1,0 და 1,1 ტ; კარტოფილისა 8,9 და 11,1 ტ; ბოსტნეულისა 9,3 და 7,1 ტ; ბაღჩეულისა 9,8 და 15,2 ტ; ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახისა 1,1 და 4,5 ტ.

აღნიშნულ წლებში მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავების, მათ შორის, ხილის (250 და 124,1 ათასი ტ); ყურძნის (210,0 და 120,7 ათასი ტ) და ჩაის (24,0 და 3,5 ათასი ტ), ხოლო გაიზარდა ციტრუსის (40,0 და 52,1 ათასი ტ) წარმოება.

ამავე პერიოდში დაფიქსირდა მეცხოველეობის ცალკეული ქვედარგის შემცირების ტენდენცია. მაგ., იკლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 128 ათასი სულით; ღორისამ – 333,1 ათასი სულით; ფურ-კამეჩისამ – 84,6 ათასი სულით; ფრინველის რაოდენობამ – 1304 ათასი ფრთით, ხოლო გაიზარდა ცხვრისა და თხის სულადობა 26,3 ათასი სულით და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 213,9 ათასი სკით.

მეცხოველეობის ცალკეული ქვედარგის შემცირება მნიშვნელოვნად განაპირობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (72,6 ათასი სული), ღორის (66,2 ათასი სული), ცხვრისა და თხის (29,7 ათასი სული) და ფრინველის (2347,2 ათასი ფრთა) დაცემის ფაქტებმა. მოყვანილი მონაცემებით ნათლად ჩანს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების არა მარტო დაბალი დონე, არამედ შემცირების ტენდენცია.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება მთლიანად, და მათ შორის სასურსათო პრობლემა, უნდა განიხილებოდეს ეროვნულ და გლობალურ დონეებზე მათი გადაწყვეტის აუცილებლობიდან გამომდინარე, რამდენადაც სურსათის უკმარისობა მოსახლეობის არასრულფასოვან კვებას უკავშირდება და მსოფლიო გლობალური პრობლემის – შიმშილის უმთავრესი მიზეზი ხდება.

სასურსათო პრობლემის ეროვნულ დონეზე გადაწყვეტის ქვეშ ვგულისხმობთ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების იმ დონით განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული სახის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების არა მარტო დაკმაყოფილებას, არამედ მის ექსპორტსაც, რისთვისაც დღის წესრიგში დგება ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოების აუცილებლობა და შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში აქტიური მონაწილეობა, რომლის გარეშე შეუძლებელია არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევა და აგროსასურსათო კომპლექსის რაციონალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამ პრობლემის დარეგულირება გაჭირდება აგროსასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის ზრდისა და იმპორტის შემცირების, მათი საბაჟო რეგულირების, ამ საკითხებთან დაკავშირებით სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნისა და სხვათა გარეშე.

საქართველო გარკვეული ზომით ჩართულია გლობალურ პროცესებში, თავის მხრივ, გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მისი საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონით განისაზღვრება. დღეისათვის ქვეყნის სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული ზომით

დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რასაც ადასტურებს ბოლო წლებში მოსახლეობის ერთ სულზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემცირების ტენდენციაც. ამ მაჩვენებლის მიხედვით 2000 – 2010 წლებში ხორბლის წარმოება შემცირდა 5 კგ-ით; სიმინდისა – 17 კგ-ით; ბოსტნეულისა – 2 კგ-ით; ხილისა – 7 კგ-ით; ყურძნისა 10 კგ-ით; ხორცისა – 6 კგ-ით; რძისა – 7 კგ-ით. უმნიშვნელოდ გაიზარდა მხოლოდ კარტოფილისა და კვერცხის წარმოება.

ამ და სხვა მიზეზების გამო საქართველოს ბაზრები დღეისათვის მთელი რიგი სხვადასხვა სახის იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (ხორბალი და სხვა მარცვლეული, ხორცი და ხორც-პროდუქტები, თევზი, შაქარი და სხვ.) არის გაჯერებული. ამასთან, სურსათის მრავალი სახის წარმოება ქვეყანაში ჯერ კიდევ იმპორტით შეძენილი ნედლეულის და მასალების გამოყენებას ემყარება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ხორბალს, შაქრის ლერწამს, ყავას, რძის ფხვნილს, თევზის პროდუქტებს, ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს. ჩვენი აზრით, აღნიშნული სახის სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო ნედლეულის იმპორტი კვლავ მისაღები იქნება უახლოესი მომავლისათვის [3].

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 2000 წელს 256006,8 ტონას და 54201,4 ათას აშშ დოლარს შეადგენდა. 2005 წელს შესაბამისად 429830,5 ტონა და 88492,4 ათასი აშშ დოლარი იყო. ბოლო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა აღნიშნული პროდუქტების იმპორტი.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტს, რომელიც 2000 წელს 35641,5 ტონასა და 26956,4 ათას აშშ დოლარს, ხოლო 2005 წელს შესაბამისად 106046, 9 ტონას და 88693,8 ათას აშშ დოლარს შეადგენდა [5].

ამასთან, საქართველოს საექსპორტო პროდუქციის წარმოების დიდი შესაძლებლობა გააჩნია. ესენია: ყურძნის ნატურალური ღვინო, კონიაკი, შამპანური, მინერალური წყლები, ხილი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, ციტრუსი, თხილი, დაფასოებული მაღალხარისხიანი ჩაი, საადრეო კარტოფილი, ფერმენტირებული თამბაქო და სხვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო წლების მანძილზე ეს ტენდენცია არ იცვლება როგორც იმპორტთან, ისე ექსპორტთან დაკავშირებით, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტთან შედარებით იმპორტის წინგამსწრებ ტემპში გამოიხატება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ექსპორტში მზა პროდუქციის ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტი ჭარბობს, რაც არასასურველი ტენდენციაა. ვფიქრობთ, აუცილებელია ქვეყანაში უფრო სწრაფად გაიზარდოს მაღალი ტექნოლოგიით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ გამოშვებული მზა სასურსათო პროდუქცია კონკურენტუნარიანი იქნება სხვა ქვეყნების ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის მზა პროდუქციისათვის მსოფლიო ბაზარზე მყარი სეგმენტის დაკავების შესაძლებლობას.

გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობითაც განისაზღვრება. ინვესტიციების მოზიდვა და მისი მიზანმიმართული განთავსება ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის საშუალებაა.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო საერთაშორისო საზოგადოებებისა და ფონდების ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რომ ამ დარგში რიგი ხელსაყრელი და სტრატეგიული ეკონომიკური ამოცანები გადაჭრილიყო. ქვეყანაში ასეთი დარგები ძირითადად აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებია. ამდენად, პირველ ეტაპზე ეკონომიკის გამოცოცხლება უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ერთობლივი ჩარევით, სოფლად მცირე ბიზნესის, საოჯახო და ფერმერული მეურნეობების, აგრეთვე, ცალკეული პრიორიტეტული დარგების განვითარებისაკენ იყო მიმართული.

მსოფლიო ბანკის (IDA), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) TACIS-ისა და დასავლეთის სხვა კომპეტენტური ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო რეფორმის განხორციელება, მიწის საკუთრების იურიდიული აღიარება და პირველადი რეგისტრაცია საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გაწევისა და ინვესტიციების გამოყოფის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იყო მიჩნეული.

EU – Tacis, ITACA – პროექტით პირველი მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ იყო მიმართული. პროექტი ითვალისწინებდა მიწის რეფორმას, რომლის საფუძველზე შემუშავდა თბილისის მახლობლად მცირე სოფლის პროექტი მიწის შესაფასებელი სამუშაოების, მიწის კადასტრისათვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად და მიწის რეგისტრაციის ჩასატარებლად. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ აქ მიღებულ ინფორმაციას მსოფლიო ბანკი უფრო დიდი მასშტაბის მქონე პროექტების დასამუშავებლად გამოიყენებდა. პროექტი ასევე ითვალისწინებდა ფერმერთა ასოციაციების ფორმირებას, ორგანიზაციულ რეფორმას, სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის განვითარებას და განათლების მიმართულებით სწავლების დონის გაუმჯობესებას სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ კოლეჯებში. აღნიშნული პროექტები 1995 – 1997 წლებში განხორციელდა.

საქართველოში 1993 წლიდან საქმიანობდნენ სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ფონდები და ორგანიზაციები:

ნოუ ჰაუ ფონდი (ბრიტანეთი), რომელმაც 1993 წლიდან საქართველოში დაიწყო მუშაობა. ფონდის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის ეკონომიკური პოლიტიკის კურსის შერჩევა და სამინისტროს რეორგანიზაციაში დახმარება. ასევე, კერძო სექტორში ჩაისა და ციტრუსების კულტურათა მდგომარეობის ინტენსიური შესწავლა და დახმარება მათი რეაბილიტაციის მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

ტრაი-ვალი გროუერსი (TVG). ამ ორგანიზაციის მიზანი იყო, დახმარება გაეწია კერძო ფირმებისათვის სიმინდისა და ხორბლის თესლის წარმოებაში, ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა.

საერთაშორისო გადარჩენის კომიტეტის ხელშეწყობით შეიქმნა მცირე მოცულობის პროექტი, რომელიც მხარს უჭერდა მცირე ზომის კომერციულ საქმიანობას სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით დასავლეთ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისათვის. ეს პროექტი ოთხ საჩვენებელ ფერმაში ამოქმედდა.

გერმანულმა ფირმა „მარტინ ბაუერმა“ მეჩაიეობის განვითარებისთვის 1996-1997 წლებში გარკვეული ინვესტიცია ჩადო და ერთობლივი ძალებით წალენჯიხის ჩაის ფაბრიკაში შეიქმნა ახალი ტექნოლოგიის ხსნადი ჩაის წარმოება, რომელსაც სპეციალისტებმა კარგი შეფასება მისცეს.

ფირმა ეი სი დიმ ქვეყნის აგროსექტორს ტექნიკური დახმარება გაუწია, რაც ითვალისწინებდა მარცვლეულით ქვეყნის მომარაგებას.

ამერიკულმა საერთაშორისო საზოგადოება „ქეამ“ განახორციელა პროექტი მესტიისა და წალკის რაიონებში კარტოფილის წარმოების მიმართულებით [2].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტები ერთ-ორ წელიწადში მთავრდებოდა, იმ პერიოდისათვის მათ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინეს.

ბოლო წლების მანძილზე (2006-2011) ქვეყნის ძირითად კაპიტალში იზრდებოდა ინვესტიციები 3524,2 მლნ ლარიდან 4009,0 მლნ ლარამდე. მათ შორის სოფლის მეურ-

ნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და თევზჭერაში 353,2 მლნ ლარიდან 457,8 მლნ ლარამდე. ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში ბოლო სამი წლის მანძილზე 8719,8 ათასი აშშ დოლარით შემცირდა. ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოს ომის მოვლენებმა და სხვა მიზეზებმა, რომლებიც, გარკვეული ზომით, განაპირობებს ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო კლიმატს.

მოყვანილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული მდგომარეობისა, ამ დარგს გააჩნია განვითარების პოტენციური შესაძლებლობები შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა და დაფინანსების წყაროების მოზიდვის შემთხვევაში (ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები), დარგს სავსებით შეუძლია ქვეყნის შიგა ბაზრის გაჯერება ადგილობრივი წარმოების პროდუქციით, და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება. იმისთვის, რომ განხორციელდეს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული დონით დაკმაყოფილება და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის პოზიციების განმტკიცება, საჭიროდ მიგვაჩნია: სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, გადამამუშავებელი საწარმოების, სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია; სოფლის მეურნეობაში შექმნილი სასაქონლო პროდუქციის შემსყიდველი სტრუქტურის შექმნა; ამ დარგისა და გადამამუშავებელი საწარმოების ინტეგრაცია. სოფლად კოოპერირების სხვადასხვა ფორმის განვითარება. საგარეო ბაზარზე გასატანი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის ხელშეწყობა. პრიორიტეტულ დარგებში ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა, აგროსერვისცენტრების და სასაწყობე მეურნეობების შექმნა, სოფლად კომპიუტერული საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ჩამოყალიბება, სანერგე, სათესლე და საჯიშე მეურნეობების აღდგენა-განვითარება და სხვა.

სოფლის მეურნეობის დაგრობრივი სტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით ახლო მომავალში ამ დარგის განვითარების პრიორიტეტად მარცვლეული კულტურების განვითარება უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ქვეყანაში წარმოებული მარცვლეულით დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილების ფიზიოლოგიური ნორმის დაახლოებით ნახევარი მაინც. კარტოფილის და ბალჩეულის წარმოებამ შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ მნიშვნელოვნად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე და, გარკვეული ზომით, შესაძლებელი იყოს მათი ექსპორტიც.

ტექნიკური კულტურებიდან ქვეყანაში წლების მანძილზე მნიშვნელოვანი იყო შაქრის ჭარხალი, რომლის აღდგენამ და განვითარებამ შეიძლება მინიმალურად (15%) მაინც დააკმაყოფილოს შაქარზე მოსახლეობის მოთხოვნილება. მცენარეულ ზეთზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს მზესუმზირის წარმოება და, შესაბამისად, მზესუმზირის გადამამუშავებელი საამქროების ფუნქციონირება,

აგრარული სფეროს დარგებიდან განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიეცეს დიდი ტრადიციების მქონე და ქართული ბიზნესის სახის შემქმნელ დარგებს: მევენახეობას და მეღვინეობას, მეხილეობას და საკონსერვო მრეწველობას, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობას.

მეცხოველეობაში დღეს არსებული მდგომარეობა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ახლო მომავალში აუცილებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობის ზრდა, ფრინველის ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების ამაღლება, რისთვისაც ამ დარგს გარკვეული რეზერვები და პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია იმისათვის, რომ ძირითადი სახეობის სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკმაყოფილდეს ადგილობრივი

წარმოების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით. ყოველივე ამას ხელს შეუწყობს დარგში ჩადებული ინვესტიციების მიზნობრივი გამოყენება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მიკროსესხების და საკრედიტო კავშირების ქსელის განვითარება და სხვა.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ასათიანი რ. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2010.
2. დათუნაშვილი ლ. „ინვესტიციების როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში (საქართველოს სოფლის მეურნეობის მაგალითზე)“. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი 1, თბილისი, „მეცნიერება“, 2001.
3. სილაგაძე ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო“, თბილისი, 2011.
4. ჯავახიშვილი რ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მისი შედეგების დაძლევის ძირითადი მიმართულებები. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟ. „ეკონომისტი“, №4, თბილისი, 2011.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობა – სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005, 2011.
6. საქართველოს საგარეო ვაჭრობა – სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2010, 2011.

*Datunashvili Lina*

### **THE EFFECT OF GLOBALIZATION ON THE DEVELOPMENT OF STRUCTURE SECTOR OF AGRICULTURE SUMMARY**

The article analyzes the sectoral structure of Georgian agriculture, existing level of the sector development and its real state in the context of globalization effect.

The attention is paid on the effect of economic globalization in agriculture namely: The involvement level of the sector in foreign, trade of the country (exporting, import) and on the character of foreign investment in agriculture. With regard for globalization effect there are proposed issues for the development of agriculture and its sectoral structure.

*ნუგ ზარ თოდუა*

### **საქართველოს აგროსასურსათო ბაზრის განვითარების ტენდენციები სოციალური მარკეტინგის ბამოყენების საფუძველზე**

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ეკოლოგიის საკითხები. დღეისათვის ეკოლოგია და მარკეტინგი აყალიბებს ახალ მიდგომებს აგრობიზნესის სფეროში, რომლებიც სასურსათო ბაზარზე მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ [1]. ამასთან, ბუნებრივი რესურსებისა და სურსათის დეფიციტის პირობებში, აუცილებელია მოიძებნოს ოპტიმალური თანაფარდობა მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და საზოგადოების სურვილს შორის, რათა არ დაზიანდეს და შენარჩუნდეს ადამიანთა საარსებო გარემო [2]. ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება სოციალური მარკეტინგი,

როგორც ბიზნესის წარმართვის თანამედროვე კონცეფცია [3]. სამწუხაროდ, სოციალური მარკეტინგის პოპულარიზაცია საქართველოში დაბალ დონეზეა [4]. არადა, იგი მარკეტინგის ახალი მიმართულებაა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული განვითარებულ ქვეყნებში. მას უდიდესი როლი ენიჭება ბიზნესის სოციალურად ორიენტირების საქმეში, კერძოდ, საზოგადოების ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაში [5].

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან თავის დაღწევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს წარმოების მართვის ის ორგანიზაცია, რომელიც სოციალურ მარკეტინგს ეფუძნება. განვითარების თანამედროვე ეტაპზე აგრო-ბიზნესის მთავარი პრიორიტეტია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების გაფართოება [6]. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელმაც, თავისი მცირეწილიანიობიდან გამომდინარე, აქცენტი არა წარმოების მასშტაბებსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ პროდუქციის ხარისხობრივ მახასიათებლებზე უნდა გააკეთოს. მით უმეტეს, რომ უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები და გარემო, რომელიც აქ საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ტრადიციები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი, ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას. ეს უპირატესობა, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გადიდებით უნდა რეალიზდეს [7].

აგრობიზნესში სოციალური მარკეტინგის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მომხმარებელთა ეკოლოგიურ ცნობიერებაზე. ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციის მოზღვაგების ეპოქაში და, შესაბამისად, მომხმარებელს საკმაო ინფორმაცია აქვს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ეკოლოგიური ცნობიერება მარტოოდენ ინფორმაციულ დონეზე ცოდნას კი არ გულისხმობს, არამედ ამ ცოდნის რაციონალურ და ემოციონალურ შეთვისებას, რომელიც გამოხატულებას პოვებს შესაბამის ქმედებებში. სწორედ ეკოლოგიური ცნობიერების ზრდა არის სოციალური მარკეტინგის როლი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა ზეწოლა აგროსაწარმოებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოების საქმიანობაში მყარად უნდა დაიკავოს ადგილი სოციალურმა მარკეტინგმა, რომელიც ტრადიციული მარკეტინგის მოთხოვნებს კი არ ცვლის, არამედ მარკეტინგული ინსტრუმენტების მეშვეობით უბიძგებს აგროსაწარმოებს უფრო ეკოლოგიური პროდუქტების საწარმოებლად [8].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის ძირითადი მიზანი იყო იმის გაგება, თუ რას ფიქრობენ ქართველი მომხმარებლები საქართველოს ბაზარზე არსებული სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. კვლევა შესრულდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფების გამოყენებით. საქართველოს სამ რეგიონში (თბილისში, სენაკსა და ზუგდიდში) შეიქმნა ფოკუს-ჯგუფები, რომლებშიც შეირჩა ათ-ათი მონაწილე, როგორც მომხმარებელი, ასევე ფერმერი. თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა ანკეტა. კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა რაოდენობრივ კვლევას სტრუქტურული ანკეტის მეშვეობით. სულ გამოკითხა 300-ზე მეტი რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, რომელთა უმეტესობა იყო თბილისიდან, ზუგდიდიდან, ფოთიდან და სენაკიდან. გამოკითხვამდე ანკეტას ჩაუტარდა წინასწარი ტესტირება რესპონდენტთა მცირე ჯგუფზე. შედეგი იყო დამაკმაყოფილებელი. რაოდენობრივი მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა გამოკითხვა ელექტრონული ფოსტის და პირდაპირი გამოკითხვის საშუალებით.

რესპონდენტთა 38%-ს შეადგენდა მამაკაცები, ხოლო 62%-ს – ქალები. ასაკის მიხედვით რესპონდენტები დაიყო სამ ჯგუფად: 35 წლამდე ასაკის (42%), 35-დან 55 წლამდე ასაკის (35%) და 55 წელზე ზევით (23%). შემოსავლების მიხედვით რესპონდენტები დაიყვნენ 4 ჯგუფად: 300 ლარამდე შემოსავლის მქონე რესპონდენტები (60%), 300-დან 600-ლარამდე (12%), 600-დან 1000 ლარამდე (18%) და 1000-ლარზე მეტი შემოსავლის მქონე (10%).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მომხმარებლები სასურსათო პროდუქტის შერჩევას დიდ ყურადღებას აქცევენ სავაჭრო მარკას. კერძოდ, გამოკითხულთა 5%-ისთვის სავაჭრო მარკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 53%-სათვის კი მნიშვნელოვანი. მომხმარებელთა 19% მიიჩნევს, რომ სასურსათო პროდუქტების შერჩევას სავაჭრო მარკა მათთვის არც ისე მნიშვნელოვანია, 14% თვლის, რომ მცირედ მნიშვნელოვანია, ხოლო 9 %-ის აზრით – აბსოლუტურად უმნიშვნელოა.

სასურსათო პროდუქტის შერჩევას ქართველი მომხმარებლები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნაწარმის ეკოლოგიურ სისუფთავეს. როგორც აღმოჩნდა, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესპონდენტთა 81%-ისთვის, ხოლო მნიშვნელოვანი – 14%-ისთვის. საკმაოდ მცირეა (5%) იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც სასურსათო საქონლის შეძენის დროს ასეთ მახასიათებელს უმნიშვნელოდ მიიჩნევენ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მძიმე ეკონომიკური და სოციალური ფონის მიუხედავად, რესპონდენტთა 95%-სათვის გადაწყვეტ ფაქტორს მაინც პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე წარმოადგენს. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროდუქციის შერჩევას ქართველი მომხმარებლები ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ ხარისხს. კერძოდ, რესპონდენტთა 37%-სათვის პროდუქციის შეძენისას იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხოლო 44%-სათვის კი მნიშვნელოვანი. რესპონდენტთა 16% მას თვლის მცირედ მნიშვნელოვნად, ხოლო 3% საერთოდ უმნიშვნელოდ მიიჩნევს.

მომხმარებლის მიერ სასურსათო პროდუქტის შერჩევაზე ასევე გავლენას ახდენს მისი ფასი. მარკეტინგული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მომხმარებლების 9%-სათვის იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 26%-სათვის მნიშვნელოვანი, 37%-სათვის მცირედ მნიშვნელოვანი, 23%-სათვის კი არც ისე მნიშვნელოვანი. მომხმარებელთა მხოლოდ 5% მიიჩნევს, რომ პროდუქტების შერჩევას ფასი მათთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა.

მარკეტინგული კვლევის საშუალებით განვსაზღვრეთ აგრეთვე, თუ როგორია სასურსათო პროდუქტის შერჩევის დროს ცალკეული მახასიათებლის (სავაჭრო მარკა, პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე, ხარისხი, ფასი) რეიტინგი. როგორც მოსალოდნელი იყო, სასურსათო პროდუქტის შერჩევას მომხმარებლები ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროდუქტის ეკოლოგიურ სისუფთავეს (რეიტინგი 0,32) და ხარისხს (რეიტინგი 0,27), ხოლო შემდგომ სავაჭრო მარკას (რეიტინგი 0,21) და ფასს (რეიტინგი 0,20). ამასთან, გავარკვიეთ ისიც, თუ როგორ იცვლება დასახელებული მახასიათებლების რეიტინგები შემოსავლების ცვლილებასთან ერთად. კვლევის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ვარიაციები (იხ. ცხრილი 1). კერძოდ, სოციალურად უფრო დაბალ ფენაში, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება პროდუქციის ფასი და მეორე ადგილზეა ეკოლოგიური სისუფთავე. შემოსავლების მატებასთან ერთად, რესპონდენტებში წინა პლანზე იწევს პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე და სავაჭრო მარკის დასახელება, რომლებსაც მოსდევს ფასი. აღსანიშნავია, რომ ხარისხისადმი დამოკიდებულება, შემოსავლების მიუხედავად, უცვლელია.

**პროდუქტის მახასიათებლების რეიტინგები მომხმარებელთა შემოსავლების მიხედვით**

№	მახასიათებლები	შემოსავლები (ლარებში)			
		<300	300-600	600-1000	>1000
1	საეჭრო მარკა	0.20	0.21	0.24	0.28
2	ეკოლოგიური სისუფთავე	0.26	0.29	0.31	0.33
3	ფასი	0.34	0.30	0.25	0.19
4	ხარისხი	0.20	0.20	0.20	0.20

ასევე საინტერესოა იმის დადგენა, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები ეკოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას ფართო მოხმარების სხვადასხვა საქონელთან მიმართებით. კვლევის შედეგად მივიღეთ პრიორიტეტების შემდეგნაირი განაწილება: პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი უპირატესობას აძლევს კვების პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავეს (რეიტინგი 0,34), რომელსაც მოსდევს პარფიუმერია-კოსმეტიკის ნაწარმი (რეიტინგი 0,22), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (რეიტინგი 0,18), ავეჯი (რეიტინგი 0,16) და საყოფაცხოვრებო ტექნიკა (რეიტინგი 0,10).

კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება აგრეთვე დასკვნების გაკეთება იმის შესახებ, თუ რომელ საინფორმაციო წყაროებს ეყრდნობიან მომხმარებლები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შერჩევისას. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შერჩევისას მომხმარებელთა 47% ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას, 26% – პროდუქციის ეტიკეტს, 20% – სატელევიზიო რეკლამას და 7% – ახლობლის რეკომენდაციას. ის ფაქტი, რომ პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავის შესახებ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი თავის სუბიექტურ მოსაზრებას ეყრდნობა, მიგვითითებს იმაზე, რომ მეწარმეებმა აუცილებლად უნდა გაზარდონ თავიანთი ძალისხმევა მომხმარებლებში ნდობის მოსაპოვებლად.

საკმაოდ საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რამდენად გათვითცნობიერებულნი არიან რესპონდენტები საკუთარი ეკოლოგიური უფლებების შესახებ და რამდენად აქტიურად იცავენ ისინი ამ უფლებებს. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ (66%-მა) არ იცის ასეთი უფლებების არსებობის შესახებ, 30% გათვითცნობიერებულია ეკოლოგიური უფლებების შესახებ, მაგრამ არაა აქტიური დასახელებული უფლებების დაცვაში. მხოლოდ 4%-ს მიუძღვრება სპეციალური ინსტანციებისთვის საკუთარი ეკოლოგიური უფლებების დასაცავად. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უდიდესი ნაწილისათვის პრიორიტეტულია პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე, მომხმარებელთა ცნობიერება ამ მიმართულებით არასახარბიელო მდგომარეობაშია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა გარკვეული ვარიაციები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, 35 წლამდე ასაკის რესპონდენტებში უფრო მაღალია საკუთარი ეკოლოგიური უფლებების შესახებ გათვითცნობიერების დონე, მაგრამ შეინიშნება პასიურობა აღნიშნული უფლებების დაცვაში. საკუთარი ეკოლოგიური უფლებების დაცვაში ყველაზე აქტიურია 35-დან 55 წლამდე ასაკის რესპონდენტები.

ქართველი მომხმარებლების მოსაზრება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ხარისხისა და ფასის ურთიერთდამოკიდებულებასთან მიმართებით, საკმაოდ შთამბეჭდავია. კერძოდ, რესპონდენტების 74%-ს გამართლებულად მიაჩნია ის ვარაუდი, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ფასი უნდა აღემატებოდეს მის საბაზრო ფასს. მომხმარებელთა



ასეთი განწყობა, ცხადია, მეწარმეებს გარკვეულ პერსპექტივებს უსახავს, რათა გააუმჯობესონ საკუთარი წარმოების ეკოლოგიზაცია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა იმის გაგებაც, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შესაძენად რესპონდენტები დამატებით რამდენს გადაიხდიან. როგორც კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა 53% მზადაა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შესაძენად გადაიხადოს 5-10%-ით მეტი ჩვეულებრივ პროდუქტთან შედარებით. რესპონდენტების 19%-მა აღნიშნული მზაობა გამოხატა 10-20%-იანი ფასნამატის შემთხვევაში, 16% თანახმაა გადაიხადოს 20-30%, ხოლო 12% ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შესაძენად 30%-ზე მეტს გადაიხდის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემოსავლის ცვლილებიდან გამომდინარე, გარკვეული ვარიაციები შეინიშნება. კერძოდ, 300 ლარამდე შემოსავლების მქონე რესპონდენტთა უმეტესობისათვის (54%) მისაღებია 5-10%-ანი სხვაობა, 20%-სათვის 10-20%-იანი სხვაობა, 15%-სათვის 20-30%-ანი სხვაობა, ხოლო 11%-სთვის 30%-ზე მეტი სხვაობა. 300-დან 600 ლარამდე შემოსავლის მქონე რესპონდენტთა უმრავლესობამ (40%-მა) მზაობა განაცხადა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტში 20-30%-ით მეტს გადაიხდის. 600-დან 1000 ლარამდე შემოსავლის მქონე რესპონდენტთა 45% ასევე მზადაა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტში გადაიხადოს 20-30%-ით უფრო მეტი, ხოლო 1000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე მომხმარებელთა 42% აცხადებს, რომ გადაიხდის 20-30%-ით უფრო მეტს. ამასთან, ამ სეგმენტის 24% მზადაა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტში 30%-ზე უფრო მეტი გადაიხადოს.

გარკვეული ვარიაციებია აგრეთვე რესპონდენტთა ასაკობრივი განსხვავებებიდან გამომდინარე. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტში 5-10%-ით მეტის გადახდაზე, უმეტესწილად, თანახმაა 55 წელს გადაცილებულ რესპონდენტები (ამ ასაკის რესპონდენტთა 70%), 10-20%-ით მეტის გადახდაზე, უმეტესწილად, თანახმაა 35 წლამდე ასაკის რესპონდენტები (ამ ასაკის რესპონდენტთა 50%). 20-30%-ით მეტის გადახდაზე, უმეტესწილად, თანახმაა 35-დან 55 წლამდე ასაკის რესპონდენტები (ამ ასაკის რესპონდენტთა 33%), ხოლო 30%-ზე მეტის გადახდაზე, უმეტესწილად, თანახმაა 35-დან 55 წლამდე ასაკის რესპონდენტები (ამ ასაკის რესპონდენტთა 13%).

მარკეტინგული კვლევის დროს საკმაოდ საინტერესოა იმის განსაზღვრა, ეკოლოგიური სისუფთავის თვალსაზრისით თუ რომელი ქვეყნის პროდუქციას ანიჭებენ უპირატესობას ქართველი მომხმარებლები. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა უმეტესობა (58%) ამჯობინებს ქართული წარმოების პროდუქციას, ხოლო 42% - უცხოურს. ეს მონაცემები მიგვითითებს იმაზე, რომ ბევრი სირთულეების მიუხედავად, ქართველ მომხმარებლებს მაინც აქვთ ნდობა ეროვნული წარმოების პროდუქციისადმი, რაც ქმნის დადებით ფონს ქართველი მეწარმეებისათვის, რათა მათ დაამზადონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ამასთან მიმართებით, მივიღეთ მნიშვნელოვანი ვარიაციები ასაკობრივ ჯგუფთან დაკავშირებით. კერძოდ, 35 წლამდე ასაკის რესპონდენტთა 65%, ეკოლოგიური თვალსაზრისით, უპირატესობას ანიჭებს უცხოურ პროდუქციას. ქართული წარმოების პროდუქციის მიმართ ყველაზე ლოიალურია 55 წელს გადაცილებული რესპონდენტები. აღნიშნული სეგმენტის 67%, ეკოლოგიური სისუფთავის თვალსაზრისით, ამჯობინებს ქართული წარმოების პროდუქციას.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილი არიან რესპონდენტები ქართული პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავით, კვლევამ წარმოაჩინა არასახარბიელო სიტუაცია. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა მხოლოდ 2% გამოხატავს აშკარა კმაყოფილებას ქართული წარმოების პროდუქტებისადმი, 11% ზოგადად კმაყოფილია, 49% - ნეიტრალური პოზიციას იკავებს, 20% უკმაყოფილოა, ხოლო 5% ძალიან უკმაყოფილო. ასევე საინტერესოა იმის გაგება, ეკოლოგიური სისუფთავის თვალსაზრისით თუ რა ტიპის ობიექტებში შეძენილ პროდუქციას ანიჭებენ უპირატესობას რესპონდენტები.

აღმოჩნდა, რომ ამ კუთხით რესპონდენტების 72% უპირატესობას ანიჭებს სუპერმარკეტებს, ხოლო 38% – აგრარულ ბაზრებს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ქართველი მომხმარებელი მზადაა გადაიხადოს უფრო მაღალ ფასი ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქციაში, რადგან სურს ბუნებრივი ნედლეულისგან და ბუნებრივი მეთოდებით წარმოებული სურსათი მოიხმაროს და დაცული იყოს დაბინძურებული და ფალსიფიცირებული პროდუქციისგან. ვფიქრობთ, ქართველი მომხმარებლების მზაობა, გადაიხადონ უფრო მაღალი ფასი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, არის მნიშვნელოვანი სტიმული ჩვენს ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარებისათვის, რომელსაც თავისი ბუნებრივი რესურსებისა და სურსათის წარმოების ტრადიციული მიდგომებიდან გამომდინარე, დიდი პერსპექტივები გააჩნია.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Joseph j. Belonax. Jr., Food marketing, 2006.
2. Трунин С. Маркетинг качества жизни в условиях социально ориентированной рыночной экономики. Волгоград, 2008.
3. Andreasen A.R., Herzberg B. Social Marketing applied to economic reforms, Social Marketing Quarterly, Vol. 11. No. 2, 2005
4. ჯაში ჩ. სოციალური მარკეტინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. თბილისი, 2009.
5. Andreasen A. Social Marketing 21 century. Georgetown University, 2006
6. Лукина А. Экологический фактор в современном маркетинге. Москва, 2003.
7. კოლუაშვილი პ., ზიზიბაძე დ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2006.
8. AGRICULTURAL AND FOOD MARKETING MANAGEMENT  
<http://www.fao.org/DOCREP/004/W3240E/W3240E01.htm>

*Todua Nugzar*

### **GEORGIA'S AGRIFOOD MARKET DEVELOPMENT TRENDS BASED ON APPLICATION OF SOCIAL MARKETING SUMMARY**

Under existing conditions of the world economic globalization ecological issues are of the utmost importance. For today, ecology and marketing are forming the new approaches in the agrobusiness environment in order to fully satisfy customer needs. Social marketing that plays significant role in the social orientation of business such as satisfaction of ecological and social demands of society, serves to the resolution of these problems. Social marketing development in agrobusiness fully depends on the ecological consciousness of customers that must provide customers impact on agroindustry to create additional incentives for enterprises conducting their activities in agrobusiness to produce ecologically pure products. Hence, the main objective of our survey is to find out what Georgian customers think about the ecological condition of foodstuffs in the market of Georgia.

Based on the survey, rating of characteristics effecting customer choice of foodstuffs according to their incomes have been defined, the importance of ecological factor on the choice of different products of regular use have been measured, the influence of informational sources on the choice of ecologically pure products have been revealed, the level of respondents awareness about their ecological rights have been found out. The data testifying the readiness of customers of different age and income to pay prime prices for ecologically pure products have been provided in the work as well as the role of manufacturer's country in the customers perception of ecologically pure products and preferences of various objects in providing ecologically pure products have been illustrated. Based on the conducted survey, the conclusion have been made about customers readiness to pay higher prices for ecologically pure products that serves as an

important stimulus for development of agribusiness in Georgia that has got a big perspective based on its natural resources and traditions in manufacturing of foodstuffs.

*Кильницкая Елена*

## **ВЛИЯНИЕ ЦЕН НА РЕЗУЛЬТАТЫ ДЕЯТЕЛЬНОСТИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ УКРАИНЫ ВО ВРЕМЯ КРИЗИСА**

**Актуальность темы.** Цена – наиболее важный показатель для предприятия, поскольку ее главная функция заключается в обеспечении дохода от продажи товаров. Все предприятия, реализующие товары принимают решение по ценам за различными маркетинговыми каналами, учитывая период продажи и региональные особенности и другие факторы. Определение цены часто зависит от трудностей, возникших на предприятии в предыдущий период, и не отражают изменений, которые произошли за это время. На предприятиях, имеющих монопольную власть на рынке, ценообразование является объектом внимания государственных структур.

**Проблема исследования.** Важным элементом методологии оценки и прогнозирования результатов деятельности в аграрном секторе экономики является установление активности и направления (характера) действия циклических факторов, определения фазы цикла, периода времени переходов цикла в следующую фазу, его динамики на перспективу. Интересным и неизученным в этом аспекте есть опыт хозяйствования сельскохозяйственных предприятий в период финансово-экономического кризиса. Подавляющее большинство факторов влияния на конечные экономические результаты деятельности предприятий определяется в стоимостном выражении, поэтому цена является основным, важным индикатором для принятия управленческих решений. На современном этапе процесс ценообразования в аграрном секторе осложняется не только особенностями внутренней сферы обращения, но и влиянием международных отношений, торговли и мирового рынка. В результате национальные цены производства превращаются в мировые, и наоборот, мировые в национальные, что подчеркивает многоаспектность, сложность механизма ценообразования и его определяющее влияние на результаты деятельности предприятий.

**Цель исследования.** Оценить влияние цен на результаты деятельности сельскохозяйственных предприятий Украины в период кризиса.

**Методика исследования.** Теоретической и методологической основой исследования определены диалектический метод познания и системный подход к изучению социально-экономических явлений и процессов, правовые нормы по вопросам управления ценообразованием предприятий Украины, научные труды отечественных и зарубежных ученых-экономистов, личные наблюдения автора. В процессе исследования использовались общие и специальные научные методы, основанные на объективных законах экономики: метод теоретического обобщения, анализа и синтеза – для изучения формирования цен на продукцию сельскохозяйственных предприятий, разнообразные приемы экономико-статистического метода (статистическое наблюдение, сравнение, табличный, графический, индексный) – при разработке массива статистических данных и наглядной иллюстрации исследуемых явлений; монографический метод – применяется обоснование необходимости повышения роли аграрного сектора в смягчении последствий финансово-экономического кризиса; абстрактно-логический – для обобщения результатов исследований, формулирования выводов и предложений.

**Результаты исследований.** Механизм ценообразования в условиях рыночных отношений проявляется через цены, их динамику, тенденции и направления. Динамику цен формируют два важных фактора – стратегический и тактический. Стратегический – это фактор долгосрочного, перспективного результата. Тактический фактор может часто меняться в днях, часах, регионах, отраслях, предприятиях, по объектам рыночной инфраструктуры. Оба факторы очень важны в

условиях рыночной экономики и ими нужно в совершенстве овладеть и научиться пользоваться. Первый фактор ставит в наиболее благоприятные условия те предприятия, которые имеют современную технику, технологию, пользуются передовыми методами организации труда. Второй – те предприятия, которые в совершенстве и оперативно умеют пользоваться конъюнктурой рынка. В этом случае требуется гибкость, тщательная подготовка производства и производственной инфраструктуры, детальное изучение рынка, а также высокопрофессиональные исполнители (кадры). Однако наибольшую уверенность в успехе и выигрыш получают на рынке те предприятия, которые имеют возможность параллельно использовать эти два фактора [5, с. 297].

В Украине разработана и функционирует автоматизированная система сбора, накопления и обработки данных о юридических лицах всех организационно-правовых форм хозяйствования, обособленных подразделений юридических лиц, находящихся на территории государства и за его пределами. Это Единый государственный реестр предприятий и организаций Украины. Согласно данным реестра количество субъектов - действующих предприятий по организационно-правовым формам хозяйствования в Украине в 2000-2011 гг. имеет тенденцию к росту (табл. 1).

Таблица 1

**Количество субъектов Единого государственного реестра предприятий и организаций Украины по организационно-правовым формам хозяйствования**

(на начало года)

Виды предприятий	2001р.	2006р.	2007 р.	2008 р.	2009 р.	2010 р.	2011р.	2011р. до2001р. , %
Всего предприятий	834886	1070705	1133200	1187020	1228888	1258513	1294641	155,07
Хозяйственные общества	260362	363288	388188	416530	438967	451811	475674	182,70
Частные предприятия	192168	248211	258536	270331	278574	283697	285821	148,73
Кооперативы	29892	30790	31429	33257	34324	35063	34772	116,33
Фермерские хозяйства	38561	48918	49801	50023	50126	49764	49514	128,40
Государственные предприятия	9965	7562	7359	7213	6975	6811	6661	66,84
Коммунальные предприятия	13713	16688	16755	16636	136336	15994	15726	114,68
Совместные предприятия	6798	5291	5148	5068	5013	4954	4925	72,45
Ассоциация	2516	2751	2841	2953	3057	3125	3180	126,39
Корпорация	609	824	842	849	862	866	872	143,19
Консорциум	57	80	84	84	89	92	92	161,40
Концерн	380	406	403	400	396	390	387	101,84
Другие формы хозяйствования	279865	345896	371814	383676	274169	405946	417017	149,01

Источник: построено по данным [4]


За 10 лет их число увеличилось с 834,9 тысяч предприятий в 2000 г. до 1,3 млн. в 2011г., то есть в полтора раза. Даже в период финансово-экономического кризиса (2008-2010 гг.), когда росла убыточность хозяйственной деятельности и активно осуществлялась процедура банкротства предприятий, их количество в Украине увеличивалось. Это свидетельствует о процессах

разукрупнения и дробления масштабов и объемов деятельности хозяйствующих субъектов национальной экономики.

В течение 2000-2011 гг. наибольшими темпами растет количество хозяйственных обществ – 182,7% и частных предприятий – 148,73%. В структуре обществ наибольшую часть занимают общества с ограниченной ответственностью и акционерные. На начало 2011 года их количество составило соответственно 443,2 тыс. и 28,7 тыс. предприятий. Жесткость рыночной экономики, условия чистой усовершенствованной конкуренции научили товаропроизводителей объединять капитал, ресурсы, предпринимательские способности для обеспечения финансово-экономической устойчивости и использования преимуществ монопольной власти на рынке. Это подтверждает увеличение количества различных видов объединений предприятий, которые сейчас популярны. В частности, количество ассоциаций возросла с 2516 в 2000 г. до 3180 предприятий (на 26,39%), корпораций – с 609 до 872 (на 43,19%), консорциумов – с 57 до 92 (на 61,4%), концернов с 380 до 387 (на 1,84%).

Отрицательным явлением для национальной экономики является сворачивание деятельности совместных предприятий с иностранными инвестициями. За 2000-2011 гг. их количество уменьшилось на треть и составило 4625 предприятий. Это свидетельствует о неблагоприятной инвестиционной среде в Украине для размещения иностранного капитала. Наибольшими темпами уменьшилось количество государственных предприятий Украины.

Предпринимательская деятельность реализуется в различных формах, отраслях и сферах экономической деятельности (рис. 1).




**Рис. 1. Структура субъектов Единого государственного реестра предприятий и организаций Украины по видам экономической деятельности на 1 января 2011 года, %**

Источник: построено по данным [4]

Наибольший интерес предпринимателей сконцентрирован сейчас в сфере услуг: в торговле – 25% от всех предприятий страны, финансово-страховой деятельности – 15%, коммунальные услуги, культура, спорт охватывает 14%, государственное управление, образование, здравоохранение – 10%. Значительно меньший удельный вес предприятий в производственной деятельности: промышленность – 10%, строительство, транспорт, связь – 10% и наименее в сельском хозяйстве – 7%.

Либерализация цен на капитальные ресурсы и многократная их переоценка сильно ослабили темпы развития сельскохозяйственных предприятий. Негативные тенденции развития агропромышленной сферы привели к частичной потере управления затратами, денежными потоками,

доходами. Результаты анализа динамики цен (рис. 2), свидетельствуют о колебании индекса инфляции в Украине за период 2000-2010 гг. в очень широких пределах (100,8-128,2%). В этот период, индекс цен производителей промышленной продукции варьируется от 106,5% до 135,5%. Наибольшая дифференциация индекса наблюдается в реализации продукции сельскохозяйственными предприятиями: от 87,4% до 155,8%. Так, наибольший размах вариации индексов цен (68,4 процентных пункта) проявляется в сельскохозяйственной деятельности, что указывает на максимальный экономический риск аграрного бизнеса среди всех отраслей и сфер экономической деятельности Украины.




**Рис. 2. Динамика индексов потребительских цен, цен производителей промышленной сельскохозяйственной продукции в Украине, %**

Источник: собственные исследования на основе материалов Госкомстата Украины [4].

Следует отметить резонанс данных кризисного периода 2008 года, когда индекс инфляции в стране составил 125,5%. Цены на промышленную продукцию достигли своего пика повысившись до уровня 135,5% к предыдущему году, а цены сельскохозяйственной продукции увеличились лишь до 110,3%. Не смотря на максимальное повышение цен в промышленности, в период кризиса в Украине резко увеличилась доля убыточных предприятий этой отрасли. По данным Государственной службы статистики Украины в 2009 году чистый убыток предприятий составил: в промышленности – 14,2 млрд. грн., в строительстве – 4,4 млрд. грн., в торговле и ремонтной сфере услуг - 13,9 млрд. грн., операции с недвижимым имуществом – 14,2 млрд. грн., коммунальные услуги, культура, спорт – 3,6 млрд. грн. Согласно информации Государственного департамента по вопросам банкротства в течение 2007 года возбуждено 13792 дел о банкротстве, в 2008 году – 11338, а в 2009 году – 15642. Аналогичные тенденции имеют место и за рубежом.

В развитых европейских странах на 10 000 тыс. компаний приходится 75 банкротств. До 2007 г. можно было наблюдать тенденцию снижения случаев банкротства в странах Европейского Союза, однако мировой финансовый кризис вызвал увеличение количества неплатежеспособных предприятий во всем мире. В 2009 году были признаны банкротами около 185 тысяч предприятий (рис. 1).



**Рис. 1. Динамика корпоративных банкротств в странах Европы**

Источник: построено по данным InsolvenciesinEurope 2008/2009 [Электронный ресурс]. - Режим доступа: [www.uc/se/source.php?id=1089619](http://www.uc/se/source.php?id=1089619)

По данным всемирного банка и Международной финансовой корпорации позиция Украины в рейтинге «Ведение бизнеса» по индикатору «закрытие бизнеса» является низкой по сравнению с другими странами мира и за последние годы к лучшему не изменилась. В 2009 году Украина заняла 145 место среди 181 страны мира, бизнес климат которых исследовался. В 2010 году – 145 место среди 183 стран. Это свидетельствует о наличии в украинском законодательстве [1] препятствий для процедуры банкротства. Украина имеет низкий рейтинг по показателю закрытия бизнеса и в сравнении с другими регионами (Восточная Европа и Центральная Азия) – 26 позиция из 27, опережая в 2010 году только Албанию [3].

Интересен факт формирования положительного значения чистой прибыли и рентабельности операционной деятельности в деятельности сельскохозяйственных предприятий Украины (табл.2). Сравнивая темпы роста цен и объемов продукции сельскохозяйственных предприятий, можно определить реальный экономический уровень конечных экономических результатов их хозяйствования. В среднем за 2006-2010 гг. ежегодные темпы роста объемов реализованной продукции сельскохозяйственных предприятий составили 122,11%. Вместе с тем рост объемов реализованной продукции сельскохозяйственных предприятий фактически имел место только в период финансового кризиса 2008-2009 гг. В другие годы периода исследования, увеличение объемов продукции происходило только за счет роста цен.

**Конечные экономические результаты  
деятельности сельскохозяйственных предприятий Украины**

Показатель	2006 г.	2007 г.	2008 г.	2009 г.	2010 г.	В среднем за 2006-2010 гг.
Объем реализованной продукции, млн. грн.	37287,4	50812,4	69634,5	87446,8	102291	69494,4
Доля сельскохозяйственной продукции в итоге общего объема продукции (работ, услуг),%	1,8	2,0	2,1	2,9	2,8	2,32
Индекс темпов роста объемов реализованной продукции, %	94,7	136,3	137,0	125,6	117,0	122,11
Индекс роста цен сельскохозяйственной продукции, %	102,4	138,0	110,3	106,4	130,0	117,42
Соотношение темпов роста объемов продукции с темпами роста их цен	0,92	0,98	1,24	1,18	0,9	1,04
Чистая прибыль, млн. грн.	2478,2	6916,5	5789,2	7584,8	17276,0	8008,9
Индекс темпов роста чистой прибыли, %	86,1	279,1	83,7	131,0	227,8	161,54
Рентабельность операционной деятельности, %	10,0	19,0	12,9	14,7	23,2	15,96
Доля предприятий, получивших убыток, в % к общему количеству	31,7	27,3	28,6	30,5	30,5	29,72

Несмотря на прибыльную, рентабельную деятельность сельскохозяйственных предприятий Украины в течение 2006-2010 гг., финансовый кризис также негативно повлиял на их финансовые результаты. В 2008 г. уровень чистой прибыли был меньше предыдущего года на 16,3% и рентабельность операционной деятельности уменьшилась на 6,1 процентных пункта от уровня 2007 г.

Выводы. В течение 2006-2010 гг. количество действующих предприятий в экономике Украины динамично увеличилось. Вероятно, это связано с дроблением капитала, ресурсов, пространственной раздробленностью и деконцентрацией предприятий на территории страны. Одновременно значительно увеличились темпы роста различных видов объединений предприятий (корпораций и консорциумов). Жесткость рыночной экономики, условия чистой усовершенствованной конкуренции научили товаропроизводителей объединять капитал, ресурсы, предпринимательские способности для обеспечения финансово-экономической устойчивости и использования преимуществ монопольной власти на рынке Украины.

Такие же процессы имеют место в сельскохозяйственных предприятиях. Мировой кризис привел к росту количества финансово неплатежеспособных предприятий, особенно в промышленности, строительстве и сфере услуг. В Украине эти процессы ускорились вследствие высокой зависимости экономики от экспортных рынков, чрезмерной материало-и энергоемкости производства. Возобновление экономического роста в национальном хозяйстве было осуществлено за счет аграрного сектора. Этот факт подтверждает формирование положительного значения чистой прибыли, рентабельности операционной деятельности и другие финансовые результаты сельскохозяйственных предприятий Украины, по сравнению с другими отраслями и сферами экономической деятельности.



Дальнейшие направления развития и повышения эффективности работы сельского хозяйства Украины требуют оценки хозяйственной деятельности, конечных экономических результатов, рентабельности при условии сравнения темпов их изменений с темпами изменения цен на их продукцию. Цены должны соответствовать как конъюнктуре рынка, экономическим условиям региона, развития производительных сил и типа экономики, так и интересам производителей и продавцов товара. Сельскохозяйственная деятельность в Украине ориентируется в первую очередь на отечественных потребителей и поэтому имеет меньшую зависимость от внешних рынков. В результате аграрный сектор Украины имеет меньшую зависимость от финансово-экономического кризиса, чем другие отрасли и сферы деятельности и должен быть приоритетным в системе антикризисного управления национальной экономики. Целью развития сельскохозяйственных предприятий может быть: модернизация производства, поддержка малого предпринимательства; формирование социальной и производственной инфраструктур.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Закон України «Про відновлення платоспроможності боржника або визнання його банкрутом» від 30 червня 1999 р. № 784 // Офіційний сайт «Законодавство України» [Електронний ресурс]. – Режим доступу: [www.zakon.rada.gov.ua](http://www.zakon.rada.gov.ua)
2. Борейко В.І. Роль агропромислового комплексу в розвитку національної економіки / В.І. Борейко // Економіка АПК. – 2011. – № 10. – С.18-22.
3. Державний департамент з питань банкрутства [Електронний ресурс]. – Режим доступу <http://www.sdb.gov.ua>
4. Діяльність суб'єктів господарювання України за 2010 рік / За редакцією І.М. Жук. – К.: Держкомстат України, 2011. – 448 с.[Електронний ресурс]. – Режим доступу <http://www.ukrstat.gov.ua>
5. Цены и ценообразование. Учебник для вузов, 4-е изд. / Под ред. В.Е. Есипова. – СПб: Издательство «Питер», 2004. – 464 с.

*Kilnitskaya Elena*

#### EFFECT OF PRICE ON RESULTS OF ACTIVITIES OF AGRICULTURAL ENTERPRISES IN UKRAINE DURING CRISIS SUMMARY

In the article was identified the dynamics of enterprises in Ukraine for organizational and legal forms of entities in times of crisis. Was held the analysis of the current state of price index and the economic results of agricultural enterprises for 2000-2010 years. Established their influence and relationship. Was presented companies rated enterprises in Ukraine for closing business. Was established that the activity of agricultural enterprises had most contributed to the restoration of Ukraine's economic growth after the crisis.

*პაატა კოლუა შვილი  
გოგოლა მარგველა შვილი*

**აბრარული წარმოება მეცნიერებაზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურა – ასე მიაჩნიათ ევროპაში, საქართველოში?**

ყველასათვის ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობა სტრატეგიულად და კულტურულად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. სტრატეგიულად იმიტომ, რომ მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომაც, სასურსათო

უსაფრთხოება ქვეყნის სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს. კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ჩვენი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ამარა არ ტოვებს. სახელმწიფო აყალიბებს მკაფიო პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მათ აღსრულებას. საქართველომაც, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ჩვენი აზრით, საქართველოს პრიორიტეტები ამ სფეროში ორი მიმართულებისაა. ერთი, სოფლის, როგორც ყოფის შენარჩუნება და მეორე, სასურსათო უსაფრთხოების განმაპირობებელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება. აგრარული პოლიტიკის ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მისი მეცნიერული უზრუნველყოფა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: „**2010-2011 წწ. განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (კვლევითი ინსტიტუტების) რეორგანიზაცია სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებად - დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებად მიერთების გზით. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის თანდათანობითი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას. . .**”

აგრარული მეცნიერება, მისი არსებობა-არარსებობის საკითხი საქართველოში ერთი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული (აგრეთვე, უნივერსიტეტის კერძო მფლობელზე). ეს უკანასკნელი გარემოება მას შემდეგ წარმოიქმნა, როცა 2010 წლის ბოლოს კვლევით ორგანიზაციებს მთავრობამ ჩამოართვა იურიდიული პირების სტატუსი და განყოფილებების უფლებებით შეიყვანა უნივერსიტეტებში.

ძნელია მსოფლიოში იპოვო მეორე ქვეყანა, სადაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიერთებულ – „**დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში**” თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდეს ერთ საშტატო ერთეულს. საინტერესოა, ერთი საშტატო ერთეულის მქონე დაწესებულებას შეიძლება თუ არა ეწოდოს „დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული” და საერთოდ, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ავტორებს თვითონ თუ სჯერათ, რომ ასეთი რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს „**საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას**”?

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაზე ვერაფერს გეტყვით, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია, მაგრამ, ის კი ფაქტია, რომ **აგრარული მეცნიერება სულს დაფავს საქართველოში.** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულმა რეორგანიზაციამ ნებისთნე უნებლიედ, განსაკუთრებული სისატიკით ჩაკლა იგი ჩვენს ქვეყანაში.

#### **მოვიყვანო ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგალითს.**

1946 წელს საქართველოში დაარსდა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მედიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის განვითარება გამოაცხადა. მათ კარგად ესმოდათ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა დარგის მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას აგრარულ სფეროში.

მოგესხებათ, ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებაა. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა. მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც 220 ათასი ჰა დაჭაობებული, 205 ათასი ჰა დამლაშებული და ბიცობი, მილიონ ჰა-ზე მეტი სხვადასხვა ხარისხით ეროზირებული ნიადაგია, აუცილებელი შეიქმნა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების პრობლემებზე პროფილირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ასე დაარსდა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტი.

ითვლებოდა რა მეტაურ დაწესებულებად ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის დარგში აკად. მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი, მოწოდებული იყო, დაემუშავებინა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მეცნიერული საფუძვლები. უმთავრეს ამოცანას შეადგენდა: ქვეყნის ნიადაგური საფარის შესწავლა, მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-გაუმჯობესება, მიწების რაციონალურად გამოყენება; ეროზიის პროგნოზირების, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების შემუშავება; დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების და კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მელიორირებული ნიადაგების გაკულტურებისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება; სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მინერალური და ორგანული სასუქების დოზებისა და შეფარდებების დადგენა მაღალი ხარისხის და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად; სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების ადგილებში წყობიდან გამოსული ნიადაგების რეკულტივაცია და ამგვარი ფართობების სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურებით ათვისების ტექნოლოგიური რეკომენდაციების შემუშავება.

ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები – აკადემიკოსები: მ. საბაშვილი (ინსტიტუტის პირველი დირექტორი), დ. გედევანიშვილი, მ. დარასელია, შ. ჭანიშვილი, ი. სარიშვილი, ა. მენაღარიშვილი, ო. ონიანი, ო. ზარდალიშვილი, გ. მარგველაშვილი. პროფესორები: გ. ტალახაძე, ა. ვოზნესენსკი, ს. ცინცაძე, ვ. ჩხიკვიშვილი, ვ. ამბოკაძე, ბ. კლაპატოვსკი, ი. ბარათაშვილი, გ. კოსტავა, გ. ახვლედიანი, ნ. კვარაცხელია, ა. გოგატიშვილი, ვ. მაჭავარიანი, ნ. იაშვილი, ი. გოგობერიძე, ზ. ხუნდაძე, რ. პეტრიაშვილი, რ. მარდალეიშვილი და მრავალი სხვა. მათი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შესრულებულია ჩვენი ქვეყნის ნიადაგური საფარისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული მთელი რიგი თეორიულად თუ პრაქტიკულად უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომლებმაც ასახვა პოვა 60-ზე მეტ მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოში, 15 სადოქტორო და 105 საკანდიდატო დისერტაციაში, 2000-ზე მეტ სამეცნიერო შრომაში. მათ მიერ შექმნილი ინტელექტუალური პროდუქციის წარმოებაში გამოსაყენებლად შედგენილი და გამოცემული იყო ეკონომიკურად მაღალი ეფექტის მომცემი 150-ზე მეტი მეთოდური მითითება და რეკომენდაცია, რომელიც დანერგილი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ასი ათასობით ჰექტარ ფართობზე და რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გასული საუკუნის 50 - 80-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის ეს მოკლე მიმოხილვა, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შექმნის მის მიერ გაწეულ ნაყოფიერ მუშაობაზე.

**რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ამ პრობლემასთან დაკავშირებით:**

ბოლო 20 წელიწადში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების სფერო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეროზირებული, დამლაშებული, ჭაობიანი, მკვავე, მწირი

ნიადაგების ყოველწლიურ მოვლაში სახელმწიფოს როლის გაქრობამ ამ სფეროში დიდი პრობლემები შექმნა:

– ეროზიასთან ბრძოლის შესუსტების გამო აღინიშნა ეროზიული პროცესების გააქტიურება. ეროზიის საზიანო მოქმედებით აიხსნება, ძირითადად, ის რომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში 100 ათას ჰექტრამდე სახნავი ფართობი გადაირიცხა ნაკლებ ინტენსიურ სავარგულებში.

– კოლხეთში, ძირითადი სამედიკალინო ქსელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათანადო მეთვალყურეობის გარეშე დარჩა. ყოველივე ამის შედეგად დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი, რის გამოც დღეისათვის კოლხეთის ზონაში ადრე დაშრობილი 140 ათასი ჰექტრიდან 45 ათასი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი გამოეთიშა სოფლის მეურნეობის სავარგულებს და კვლავ ჭაობად იქცა. მეორადი დაჭაობების პროცესი, მედიკალინური სიტუაციის დროთა განმავლობაში თანდათან გაუარესების კვალდაკვალ, ინტენსიურად განვითარდება და სულ მალე დაშრობილი მიწების 80-90%-ზე გავრცელდება.

– ანალოგიური მდგომარეობაა დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებზე, სადაც, საირიგაციო და სადრენაჟო ქსელის მოშლის შედეგად, ადრე განმლაშებულ ნიადაგებზე, რომლებზეც თავის დროზე უდიდესი კაპიტალდაბანდება იყო ჩადებული, ინტენსიურად მიმდინარეობს მეორადი დამლაშების პროცესები. იგივე სურათია მუხავე ნიადაგებზე (330 ათასი ჰა), სადაც 40 ათასი ჰა პრაქტიკულად გამოსულია მწყობრიდან.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის გადიდების შესაძლებლობა განსაზღვრულია. აგროპროდუქციაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა ძირითადად ფართობის ერთეულზე მოსავლის გადიდებით უნდა დაკმაყოფილდეს. ამიტომ დაბალნაყოფიერი მიწის გაკეთილშობილებას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, სოციალური განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

**განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ პრობლემაზე:**

90-იანი წლებიდან დაწყებული, პრაქტიკულად ყურადღების მიღმა დარჩანიდა ინტენსიურად წავიდა ნიადაგების დეგრადაციის, ზოგიერთ რაიონში ნახევრად გაუდაბნოების დაწყების პროცესი. ქვეყანაში გაჩნდნენ ისეთი მოიჯარეები და ფერმერები, რომელთა უმეტესობას ადრე კავშირი არ ჰქონია სოფლის მეურნეობასთან. დაწვრილერთეულეულ საოჯახო ფერმებში უგულვებელყოფილია აგრონომების, ნიადაგმცოდნე-აგროქიმიკოსების, მიწათმომწვობების, მცენარეთა დაცვის სპეციალისტების, მედიკალინების ცოდნა და ა.შ., რის გამოც, **უფრო გაძლიერდა და დაჩქარდა ნიადაგების გაღარიბებისა და ნაყოფიერების დაცემის შეუქცევადი პროცესი. ეს პრობლემა არამარტო გლეხობის, არამედ სახელმწიფო პრობლემად გადაიქცა.**

ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. ქვეყანას უნდა ჰყავდეს ნიადაგმცოდნეები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია აგრარულ უნივერსიტეტში აწ გაუქმებული ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სპეციალობის აღდგენა. ამასთან, უნდა გვხსოვდეს, რომ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნა და მათი ინტეგრაცია გადამშუშავებელ საწარმოებთან (წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა), არის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა.

საქართველოს მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 70%-ზე მეტი დარბია საკვები ელემენტებით, რაც აგროკულტურათა დაბად და უხარისხო მოსავლიანობას განაპირობებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ყველა მხარეში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის - **ჰუმუსის მწვავე დეფიციტი**

და მისი ბალანსი უარყოფითია. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა კრიტიკულ დონეს მიაღწია, ქვეყანაში პრაქტიკულად შეწყვეტილია ნიადაგების გამოკვლევის სამუშაოები. არ ხდება ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი და, შესაბამისად, – მისი მართვა. ნიადაგის განოყიერება, მათი გამოყენების შესახებ შესაბამისი ცოდნის არქონის გამო, ძირითადად, არაეფექტიანად, ელემენტარული წესების დაუცველად ტარდება. ნიადაგში შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა არ წარმოებს ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე. ადგილი აქვს აგროქიმიკატების უკონტროლო გამოყენებას. ყოველივე ამის გამო სახეზეა მიწის საკმაოდ დიდი ფართობის აგრარული ბრუნვიდან ამოვარდნის რეალური საშიშროება, რისი დაშვების უფლებაც ჩვენს ქვეყანას არ აქვს.

სწორედ ახლა, როცა ასეთი უმძიმესი მდგომარეობაა ამ სფეროში და რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, ფაქტობრივად გააუქმეს და გაასხვისეს ესოდენ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი ექსპერიმენტული ბაზებით. თუმცა, სამინისტროს ვებგვერდზე ჩამოთვლილ რეორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის ფორმალურად მ. საბაშიძის სახ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მეღიორაციის ს/კ ინსტიტუტიცაა – ერთი საშტატო ერთეულით (1990 წელს ინსტიტუტში მუშაობდა 160 კაცი, მათგან 90 მეცნიერ-თანამშრომელი, 5 მეცნიერებათა დოქტორი და 36 მეცნიერებათა კანდიდატი; 2004 წელს – 70 კაცი, მათგან 2 აკადემიკოსი, 3 მეცნიერებათა დოქტორი, 32 მეცნიერებათა კანდიდატი; 2011 წელს – 2 მეცნიერებათა კანდიდატი, თითოეული 0,5 განაკვეთზე, სულ 1 საშტატო ერთეული).

**დღეს, სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებული მავანი და მავანი დილემანტი კითხულობს – „რას აკეთებენ მეცნიერები?“, და იქვე თვითონვე პასუხობენ: „არაფერს არ აკეთებენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები“.**

**ამ კატეგორიის ადამიანების გასაგონად გვინდა ვთქვათ: ბატონებო, მეცნიერები ვერ დააფინანსებენ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.**

ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პრობლემის გადაწყვეტა მისი მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არაა ერთადერთი. პრაქტიკულად, მისი ბედი გაიზიარა აგრარული პროფილის თოთხმეტმა სხვა ინსტიტუტმაც.

ჩვენის მხრივ, აგრარიკოსი მეცნიერები მზად ვართ, აქტიურად ჩავეერთოთ ამ პროცესში და მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს უპირველესი და შეუცვლელი ეროვნული სიმდიდრის – ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებაზე ზრუნვა, მიწაზე საკუთრების ფორმის მიუხედავად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ამ მიწაზე დამკვიდრებული ყოველი თაობის ვალია, იზრუნოს მის დაცვაზე, ნაყოფიერების ამაღლებაზე და ასე გადასცეს იგი შთამომავლობას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ეტაპზე, ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯების გარკვეული ნაწილი სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს (სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში). დარწმუნებული ვართ, თითოეული დახარჯული ლარი უმოკლეს დროში მოგებით დაუბრუნდება ქვეყნის ბიუჯეტს.

**დასასრულ, საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება ანსხვავებს:**

ა) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებასა და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზა-

ცია. ევროპული სტანდარტების თანახმად, ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა – სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული;

ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.

ევროპული (და მსოფლიო) პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან მათი აზრით: „**სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა.**“

გვინდა მოვეუწოდოთ ხელისუფლებას, გამოიხინოს გონიერება და ნუ ჩაკლავს საქართველოში აგრარულ მეცნიერებას. ასეთი რეორგანიზაცია კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას, მით უფრო ეკონომიის თვალსაზრისით (აგრარული მეცნიერების დაფინანსება არასდროს ყოფილა ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის 0,1%-ზე მეტი, მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნების 3-4% ფარგლებშია).

აქვე ერთი ჭეშმარიტებაც გვინდა შევასხენოთ მთავრობას. ინოვაციური პროდუქტის შექმნას სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი შრომის ანაზღაურება (სტიმული) ესაჭიროება, რაც, სამწუხაროდ, აგრარული მიმართულების კვლევითი ინსტიტუტების უდიდეს ნაწილში არ არსებობს. ამდენად, ე.წ. ოპტიმიზებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის პირველ რიგში ხსენებული პრობლემების მოგვარებაა აუცილებელი.

**და ბოლოს**, სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

- სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა;
- მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია;
- განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების საჭიროება. ამიტომ, ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად, დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები რამდენიმე დებულებით ხელმძღვანელობენ:

- გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის პოტენციალს შეიცავს;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებასა და ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს;
- სოფლად ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტის, ენერჯითა და წყლით მომარაგება აუცილებელია, იქ მოსახლეობის შესანარჩუნებლად და ტურიზმის განსავითარებლად;
- ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება სოფლად, ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;
- სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

**IS AGRICULTURAL PRODUCTION CONSIDERED AS SCIENCE-BASED  
INDUSTRY IN EUROPE, IN GEORGIA?  
SUMMARY**

The existence of Agricultural Science of Georgia depends on a decision of the rector of one University (as well as on the owner of a private university). The latter circumstance took place in the end of 2010 when the government deprived the research organizations the status of legal rights persons and assigned them as departments of universities.

It is difficult to find another country in the world, where the number of employees in “independent scientific - research units” connected to the higher education institutions consists of just one staff unit. Reorganization carried out by the Ministry of Education and Science, accidentally or involuntarily broke down the agricultural science in our country.

Two conditions distinguish the research system of Georgia from the European system (and, generally, the world's):

- Ministry of Agriculture does not participate in research planning, funding and result using process. It does not have any single research organizations. The Ministry shall be based on a research;
- The research system is not composed of the legal persons.

European (and world) practice is not familiar with such situation, as they say: “Agriculture is a science-based industry”.

*დავით კუხალაშვილი  
მზევინარ კუხალაშვილი-გურული  
თეა კუხალაშვილი*

**კონფლიქტები და მათი ზეგავლენა ნავთობის და ბაზის მარაგებზე**

განვითარებული ისტორიული პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოში სახელმწიფოთა სტატუსი მათი ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის მანქანებზე და დამოკიდებული, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის და ეროვნული უსაფრთხოების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორიცაა.

სახელმწიფოთა თვითუზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რადგან ენერგეტიკის განვითარება ქვეყნის და საწარმოო ძალების განვითარების პროცესებთან მჭიდრო კავშირშია.

ისტორიული პროცესების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია:

1. *ქვეყნის საკუთარი (არსებული და პერსპექტიული) რესურსების ხარჯზე.*

2. *ენერგომარაგების იმპორტის ხარჯზე* (რაც უცხო ქვეყნებზე მიზანმიმართულ ეკონომიკურ დამოკიდებულებას შეიძლება დაუკავშირდეს. მისი აღკვეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მონოპოლისტ იმპორტიორთა შესაძლო შენიღბული და დამაზიანებელი ქმედებების დროული გამოვლენაა);

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო ენერგეტიკული რესურსების ნაკლებობას განიცდის.

ისტორიული პროცესების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლს უკავშირდება სახელმწიფოებს შიგნით და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტები.

ძალადობრივი კონფლიქტები, ძირითადად, მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ამოწურვის ფონზე, სახელმწიფოთა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიღატაკეს უკავშირდება.

კონფლიქტების ისტორიის ანალიზით, კონკრეტული მიზნების მისაღწევად ძალადობრივი კონფლიქტების ინსპირირებისათვის მყარ დასაყრდენ ძალად სწორედ ასეთი ტიპის სახელმწიფოები და მოსახლეობა ითვლება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების კვლევებით დადგენილია, რომ ბუნებრივი რესურსები კონფლიქტების წარმოშობის, განგრძობადობის და დაფინანსების წყაროდ ითვლებიან... [1]. მისი როლი დიდია სამოქალაქო ომებში.

XX საუკუნის დასასრულს, საქართველოში ინსპირირებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ საფუძველი დაუდო ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვების (მათ შორის დამაზიანებელი) და რეალიზაციის ორგანიზებულ პროცესებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ბუნებრივ რესურსებზე უცხო ქვეყნების მასშტაბური, ზოგჯერ დამაზიანებელი კონტროლი უზრუნველყო.

პროცესებში მსგავსება შეიმჩნეოდა სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებშიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, პოსტსაბჭოურ სივრცეში სახელმწიფოთა შორის და სახელმწიფოებში ინსპირირებული ძალადობრივი კონფლიქტების ერთ-ერთი ორგანიზატორი რუსეთის ფედერაცია იყო. მის ძირითად მიზანს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალური და პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციით, განვითარების პროცესების (მათ შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის) შეფერხება და, ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, სადაზვერვო კონტროლის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. დამაზიანებელი ქმედებების საბოლოო მიზანი კი დარღვეული სივრცის სრული კონტროლის აღდგენაში მდგომარეობდა.

ამ პერიოდიდან დღემდე, პოსტსაბჭოურ სივრცეზე და საერთოდ მსოფლიოს მასშტაბით, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული და სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ, საკუთარი ანალოგიური ინტერესების სასარგებლოდ მოქმედი ქვეყნები სხვადასხვა ფორმით არიან ჩართულები რუსეთის მხრიდან დამაზიანებელი ქმედებების შემცირებაში ან საერთოდ განეიტრალებაში, რასაც დარღვეულ სივრცეზე განფენილი ქვეყნების ბაზრების და სიმდიდრეების ათვისების პროცესებიც თან სდევს.

ფაქტობრივად სახეხა ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის, რაც ვითარების უმოკლეს ვადაში გამოსწორების ალბათობას პრაქტიკულად გამორიცხავს. ეს კი კონფლიქტების მიზანმიმართული განგრძობადობისაკენ მიანიშნებს.

მსოფლიოში *არადღეგნადი რესურსის – ნავთობის მარაგების* ამოწურვა ექსპერტთა [2] 2008 წლის გათვლებით, 40,9 წელიწადში უნდა მოხდეს.

ნავთობის მარაგებზე კონტროლის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს დომინირების ხარისხს მსოფლიოში, რაც სახელმწიფოებზე ზეწოლის გამოყენების საუკეთესო ინსტრუმენტად გამოიყენება.

ნავთობისათვის ბრძოლის ისტორია მრავალი ვიწრო და ფართო მასშტაბების საბრძოლო კონფლიქტებით არის მდიდარი, მათ შორის:

☛ 1880 წლისათვის მსოფლიო ბაზრებზე დომინირებისათვის ბრძოლა ამერიკულ და ფრანგულ კომპანიებს შორის მიმდინარეობდა [3], რომლის ერთ-ერთ შედეგად 1883 წელს რუსეთის ბაზრიდან ამერიკული ნავთობკომპანიის განდევნა უნდა მივიჩნიოთ.

ამ პერიოდში ფრანგულ და ამერიკულ კომპანიებს შორის ომის პირობებში ბაქოსა და ბათუმში (5 მილიონი რუბლის) ინვესტიციების ჩადების უზრუნველყოფის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის საბანკო სექტორი. ყოველივე ეს კომპანიების



სახელმწიფო (ინტერესების) დონეზე მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე წარმოდგენელი იქნებოდა.

☛ დენიელ ერგინი [4] მიიჩნევს, რომ ნავთობის მნიშვნელობაზე წარმოდგენები I და II მსოფლიო ომის მიმდინარეობისას კიდევ უფრო გაიზარდა. უფრო მეტიც, მისი აზრით, ორივე ომში გერმანიამ, როგორც ამ ნედლეულის არმქონე სახელმწიფომ, ნავთობის მარაგებზე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ბრძოლები განახორციელა.

\* 1991 წლის იანვარ-თებერვალში ერაყსა და 32 ქვეყნისაგან შემდგარ კოალიციას შორის საბრძოლო მოქმედებები, კუვეითში ერაყის შეჭრას მოჰყვა. კონფლიქტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კუვეიტის მხრიდან ერაყის კუთვნილი ნავთობის საბადოდან ნავთობის უკანონო გადაქაჩვა გახდა.


\* 1991 წელს სპარსეთის ყურის კონფლიქტი ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია „ოპეკის“ დესტაბილიზაციის [5] მიზნით განხორციელდა.

\* 2011 ნავთობის მარაგებზე კონტროლის მიზნით ლიბიაში სამოქალაქო ომის ინსპირირებაში, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთმაც [6] (როგორც ხელისუფლებისათვის იარაღის მიმწოდებელმა. სწორედ ეს იარაღი დაურიგა ხელისუფლებამ ყველა მხარდამჭერს) და საფრანგეთმაც (აჯანყებულებზე იარაღის მიყიდვით);

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოსათვის მნიშვნელოვანი, ნავთობით მდიდარი ძირითადი სახელმწიფოების ჩამონათვალი [7] ასე შეიძლება გამოვსახოთ:

N	სახელმწიფო	ნავთობის მარაგები (ბარელი)
1	საუდის არაბეთი	262 600 000 000
2	ვენესუელა	211 200 000 000
3	კანადა	175,200,000,000
4	ირანი	137,000,000,000
5	ერაყი	115,000,000,000
6	კუვეიტი	104 000 000 000
7	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	97,800,000,000
8	რუსეთი	60,000,000,000
13	ამერიკის შეერთებული შტატები	20,680,000,000
19	აზერბაიჯანი	7,000,000,000
58	თურქეთი	270 400 000
103	სომხეთი	0


უახლესი ისტორიის განმავლობაში საქართველოში ნავთობის მოხმარების სტატისტიკა ასე გამოიყურება [8]:



მოსმარების თვალსაზრისით 2010 წელს 2009 წლის თანხვედრილი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ირაკლი ჩომახიძის კვლევით [9], 1987 წელს საქართველოში 3322 ათასი ტონა ნავთობი მოიპოვებოდა, ხოლო პერიოდების მიხედვით მოპოვების სტატისტიკა ცხრილისა და დიაგრამის სახით ასე შეიძლება გამოვსახოთ:

პერიოდი (წლები)	ათასი ტონა	ათასი ტონა
1981-1987	3322	183
1988-1993	186	88
1994-2000	67	110
2001-2005	99	66,6



იმავე კვლევაში აღნიშნულია, რომ სს „საქნავთობის მონაცემებით“, 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნავთობის გეოლოგიური მარაგი შეადგენს 1381, ხოლო ამოსადები მარაგი – 525 მილიონ ტონას.

განხილულ მიმართულებაზე ენერგეტიკული უსაფრთხოების დადებით მაჩვენებელზე მიაწინებს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.

მიუხედავად ამისა, საქართველომ კვლავ უნდა იზრუნოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის, რადგან: „კასპიური ენერგომატარებ-

ლების საბადოების და სატრანზიტო გზების კონტროლისათვის ბრძოლა შემდგომშიც გაგრძელდება და ამ ბრძოლის შუაგულში საქართველო იქნება მოქცეული“ [10].

**ამრიგად, არააღგენადი რესურსის – ნავთობის მარაგების** თვალსაზრისით საქართველო მუდმივად დამოკიდებული იქნება იმპორტზე, რაც ყოველთვის უკავშირდება ბაზრების დასაპყრობად ბრძოლას, რომელშიც უპირატესობა უკვე, მსგავსი განფენის შესაბამისად, ტრანსპორტირების სიიფით გამორჩეულ სახელმწიფოებს ე.ი. სამეზობლოს ექნება.

ნედლეულის სიმდიდრით გამორჩეული სახელმწიფოები **რუსეთი, ირანი და აზერბაიჯანი** საქართველოს ბაზრებზე შეღწევადობის (**საკუთარი (მათ შორის უხარისხო) პროდუქციის რეალიზაციის, ჩვენს ქვეყანაში არსებულ მარაგებზე კონტროლის უზრუნველსაყოფად**) და ამ მიზნისათვის კონტროლის უზრუნველყოფი ძირითადი ჯგუფის მნიშვნელოვანი კონკურენტები იქნებიან;

**სომხეთი**, როგორც **ნედლეულის საერთოდ არმქონე სახელმწიფო, რუსეთის** კონტროლს დაქვემდებარებული, **ინსპირირებული** ე.წ. ყარაბახის **კონფლიქტის** გამო აზერბაიჯანთან პრობლემის მოსაგვარებლად ვერ ითანამშრომლებს და ძირითადად **დამოკიდებული** იქნება **რუსეთსა და ირანზე**.

მიღწეული ვითარებით ამ ქვეყნების მიზნების სასარგებლოდ **მონოპოლისტ იმპორტიორებზე არასასარგებლო მუდმივი დამოკიდებულების ინსპირირების საფრთხეები გაზრდილია, რაც, ამ კუთხით შესაძლოა დაუკავშირდეს ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შეფერხებას. ეს კი ამ მიმართულებით ენერგეტიკული უსაფრთხოების დაბალ მაჩვენებლებზე მიანიშნებს.**

მასშტაბური მარაგების არარსებობის მიუხედავად, **საქართველოში არსებულ ნავთობის მარაგებზე დამაზიანებელი კონტროლის უზრუნველყოფის საშიშროება დაინტერესებული ქვეყნების მხრიდან კვლავ არსებობს.**

ვითარების სიმძიმეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მუდმივად არსებობს სახელმწიფოთა სტრატეგიული და სასიცოცხლო ინტერესების თანხვედრა.

როგორც ნავთობის მარაგების შემთხვევაში, არააღგენად ბუნებრივ რესურსზე – **ბუნებრივი აირის მარაგებზე კონტროლი** სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტია. ამ შემთხვევაშიაც გაზის მარაგებზე კონტროლის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ისტორიაც მრავალი ვიწრო და ფართო მასშტაბების საბრძოლო კონფლიქტებით არის „გამდიდრებული“, მათ შორის:

☞ „ცივი ომის“ პერიოდიდან დღემდე, ავღანეთში სისტემატიური საომარი კონფლიქტები, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან (მათ შორის ნავთობისა და გაზის სატრანზიტო გზად გამოყენება) ერთად ბუნებრივი აირის მარაგებზე კონტროლის უზრუნველყოფას ემსახურება.

ჯერ კიდევ 1960 წელს [11] საბჭოთა კავშირის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს მასშტაბური ბუნებრივი აირის მარაგები, რაც საკუთარ სახელმწიფოში ყოველწლიურად 2,5 მილიარდი მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის გადაქაჩვას უზრუნველყოფდა;

☞ სამხრეთ ამერიკაში მდებარე სახელმწიფო ბოლივია ბუნებრივი აირით მდიდარი სახელმწიფოა და 1990 წლიდან მის მასშტაბურ ექსპორტს ახორციელებს, მაგრამ ქვეყანა სიღარიბეში ცხოვრობს და ხშირია ძალადობრივი კონფლიქტები (მათ შორის 2003 წელს 80 ადამიანი დაიღუპა) [12] ქვეყნის შიგნით, რომლის ძირითად წყაროს, ბუნებრივი აირის ექსპორტის საწინააღმდეგო მასობრივი პროტესტები წარმოადგენს.

☞ 2008 წელს [13] ისრაელის შეჭრა დახას სექტორში ბუნებრივი აირის მასშტაბურ მარაგებზე კონტროლის მიზნით განხორციელდა.

☛ 2010 წელს [14] სწორედ ხმელთაშუა ზღვაში ისრაელის მიერ ბუნებრივი აირის მოპოვება კონფლიქტის წყარო გახდა ისრაელსა და თურქეთს შორის.

მსოფლიოში **ბუნებრივი აირის** მარაგების რაოდენობა 2008 წლისათვის 6,342,411 ტრილიონ მ<sup>3</sup> შეადგენდა, ხოლო 2009 წლის იანვრის მდგომარეობით [15], საქართველოსათვის მნიშვნელოვანი, ბუნებრივი აირით მდიდარი ძირითადი სახელმწიფოების ჩამონათვალი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

N	სახელმწიფო	ბუნებრივი აირის მარაგები (მილიონი კუბური მეტრი)
1	რუსეთი	47570000
2	ირანი	29610000
3	ყატარი	25260000
4	თურქმენეთი	7940000
5	საუდის არაბეთი	7319000
6	ამერიკის შეერთებული შტატები	6731000
7	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	6071000
26	აზერბაიჯანი	849500
80	საქართველო	8495
81	თურქეთი	8495
82	სომხეთი	0

მსოფლიოში ბუნებრივი გაზის მარაგების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მარაგების ამოწურვა 60-200-250 წლის შემდგომ არის ნავარაუდები [16-17-18].

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით [19], საქართველოში ბუნებრივი აირის მარაგი პრაქტიკულად უცვლელია.

ამ მიმართულებით ენერგეტიკული უსაფრთხოების დადებით მაჩვენებლად ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის არსებობა უნდა ჩაითვალოს.

**ბუნებრივი აირის მარაგების** თვალსაზრისით საქართველო მუდმივად დამოკიდებული იქნება იმპორტზე, რაც ბაზარების დასაყრდენად ბრძოლის პირობებში უპირატესობა უკვე ასეთი განფენის შესაბამისად, მარაგებით მდიდარ და ტრანსპორტირების სიიფით გამორჩეულ სახელმწიფოებს ე.ი. სამეზობლოს ექნება.

▶ ◀ **რუსეთი, ირანი და აზერბაიჯანი** საქართველოს ბაზრებზე შეღწევადობის და ამ მიზნისათვის კონტროლის უზრუნველყოფი ძირითადი ჯგუფის მნიშვნელოვანი კონკურენტები იქნებიან;

▶ ◀ ბუნებრივი აირის **საერთოდ არმქონე სახელმწიფო სომხეთი, ინსპირირებული** ე.წ. ყარაბახის **კონფლიქტის** მაკონტროლებელი სახელმწიფოს, **რუსეთის** ხელშეწყობით აზერბაიჯანთან პრობლემის მოსაგვარებლად ვერ ითანამშრომლებს და ძირითადად **დამოკიდებული** იქნება **რუსეთსა და ირანზე**.

▶ ◀ ამ შემთხვევაშიაც **მონოპოლისტ იმპორტიორებზე არასასარგებლო მუდმივი დამოკიდებულების ინსპირირების საფრთხე მაღალია, რაც შესაძლოა დაუკავშირდეს ამ კუთხით ადგილობრივი რესურსების გამოყენების შეფერხებას. ყოველივე ამ მიმართულებით ენერგეტიკული უსაფრთხოების დაბალ მაჩვენებელზე მიანიშნებს.**

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. Michael Ross. `Natural Resources and Civil War: An Overview with Some Policy Options. <http://siteresources.worldbank.org>;
2. `Erdöl-Daten weltweit Reserven, ressourcen weltweit. [www.agenda21-treffpunkt.de](http://www.agenda21-treffpunkt.de);
3. Brita Asbrink. `The War over the oil market. [www.branobelhistory.com](http://www.branobelhistory.com);
4. Ергин Даниел. `Добыча. Всемирная история борьбы за нефть, деньги и власть. [www.gumer.info](http://www.gumer.info);
- PRESIAN GULF WARS. The Columbia Encyclopedia. Copyright, 2007. Columbia university Press. [www.infoplease.com](http://www.infoplease.com);
5. `OILL AND WAR: THE ARTIFICES OF 20TH CENTRY HISTORY. Wold Summit on Sustainable Development Johannesburg, 2002. [www.wrm.org.uy](http://www.wrm.org.uy);
6. Война в Ливии стоила России четырех миллиардов долларов. <http://top.rbc.ru>;
7. Нефть-разведанные запасы, 2011. <http://iforma-tsiya.ru>;
8. Georgia Oil – consumption. [www.indexmundi.com](http://www.indexmundi.com);
9. ირაკლი ჩომახიძე. „საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკის სტრატეგიული პრობლემები და განვითარების პოტენციალი.“ (დისერტაცია-ტმკ ხარისხის მოსაპოვებლად.) თბილისი. 2006. გვ. 77-79;
10. მალხაზ მაცაბერიძე. „რუსეთის აგრესიამ საქართველოს წინააღმდეგ მეზობელი ქვეყნებიც დააზარალა“ ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“ №3(19), 2008. <http://www.aaf.ge>;
11. „The War is Worth Waging“: Afghanistan's Vast Reserves of Minerals and Natural Gas The War on Afghanistan is a Profit driven "Resource War". [www.globalresearch.ca](http://www.globalresearch.ca);
12. Jason Wilcox. `Bolivia: Civil Unrest and Natural Gas." ICE Case Studies Number 166, December, 2005. <http://www1.american.edu>;
13. Michel Chossudovsky. `War and Natural Gas: The Israeli Invasion and Gaza's Offshore Gas Fields." [www.intifada-palestine.com](http://www.intifada-palestine.com)
14. Armed conflict with Turkey a "matter of time" as Erdogan vows to send warships with next flotilla. <http://israelinsider.net>;
15. Proved Natural Gas Reserves of the World. <http://world.bymap.org/NaturalGasReserves.html>;
16. Erdgas-Reserven reichen noch für 200 Jahre. [www.welt.de](http://www.welt.de);
17. Energy crisis is postponed as new gas rescues the world. [www.telegraph.co.uk](http://www.telegraph.co.uk);
18. ბუნებრივი აირის მარაგები მსოფლიოს 250 წელი ეყოფა. <http://geonews.ge>;
19. Natural gas - proved reserves. [www.indexmundi.com](http://www.indexmundi.com);

*Kukhalashvili Davit*

*Kukhalashvili-Guruli Mzevinar*

*Kukhalashvili Tea*

## CONFLICTS AND THEIR EFFECT ON OIL AND NATURAL GAS RESERVES

### SUMMARY

The countries fighting for the domination in the world, the countries fighting for strategic partnership with them by formation of the positive social opinion and its spread by diplomatic and the other channels showed constant care for the countries rich or poor with resources. In order to establish the desirable position constant study, usage or reasonable creation of existing heavy political and social – economic conditions by the interested states was constantly accomplished.

Analyze of the historic processes shows that from the side of state fighting for the domination by usage of the heavy social, economic and political conditions inspiration of the different scale conflicts in states or between the states is more often. One of the general conditions of ensuring of the prospective

development of the states is organization of the self-ensuring process with the different types of resources. From this point of view one of the interesting directions is the issue discussed in our work: “**Conflicts and its Development on oil reserves end on Natural Gas Reserves**”.

*Маркосян Ашот  
Мартиросян Тигран  
Симонян Армине*

## **ГЛОБАЛИЗАЦИЯ И МЕЖДУНАРОДНЫЕ ВОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

Возникновение и развитие жизни на земном шаре связано с водой. И не случайно, что начиная с древних времен и до наших дней у многих народов вода была объектом поклонения и обожествления, поскольку без нее не было бы жизни. Начиная с тех времен, когда цивилизация только делала свои первые робкие шаги, первое, чему научились люди в процессе формирования их начальных отношений с природой, стало укоренение правильного поведения по отношению к воде и использование возможностей воды для своих повседневных нужд. С древних времен человек понял, что без воды он просто не может существовать, следовательно неслучайно также, что в сказках и легендах или в иных формах народных сказаний многих народов мира вода представляется как жизнетворная среда, отсюда, видимо, возникло выражение бессмертная вода, которое является еще и свидетельством того, что эта жидкость обладает свойством делать бессмертным [1].

Вода, в частности, приобрела важное значение на заре цивилизации, когда первые поселения человека строились на берегах рек, озер и морей, становясь колыбелями человеческой цивилизации, основной средой и условием естественного развития. И хотя человечество с тех древних времен развилось, однако осталось «родным» воде и неотъемлемым от нее. Неотъемлемым как в прямом, так и в переносном смысле. Дело в том, что на пороге третьего тысячелетия  $\frac{3}{4}$  мирового экономического потенциала сосредоточено в относительно узком прибрежном поясе, который имеет «глубину» 500 км. В этом поясе живет  $\frac{2}{3}$  населения мира, и там сосредоточена большая часть мегаполисов.

Мощный заряд развития на земле человеческая политика получила с переходом на орошаемое земледелие, поскольку этим значительно повысилась урожайность и продуктивность, что дало возможность людям увеличить дополнительный результат, который является материальной основой умственной и творческой работы. Вот почему, вода – мощное средство развития цивилизации. Более того, когда еще слабо развиты производственные силы, очень часто государства появляются и исчезают с исторической арены лишь по причине того, насколько удачно или неудачно они строят свои оросительные системы.

Вода была и теперь продолжает оставаться источником и средством богатства. Это доказывает прошедший путь человечества и его настоящее, и так будет тем более в будущем, в условиях глобализации. Особую роль в водных отношениях играют вопросы регулирования трансграничных рек. Для управления трансграничными водными ресурсами следует учитывать институциональные, правовые, этнические, политические, культурные, исторические и экологические факторы. Следует также провести изучение подземных водных ресурсов, не включенных в рамки более ранних исследований и составить регистр трансграничных подземных вод [2].

Для получения глобального представления о трансграничных водных ресурсах можно рассмотреть список тех стран, границы которых пересекаются с трансграничным бассейном. Из 19 речных бассейнов совместно используют 5 и более стран. Бассейн реки Дунай охватывает территории 17 стран. Другие 5 международных бассейнов (Конго, Нигер, Нил, Рейн и Замбези) совместно используют 9 и 11 стран. Остальные 13 бассейнов (Амазонка, Ганг-Брахмапутра-Мегна,

озеро Чад, Тарим, Аральское море, Иордания, Кура-Аракс, Меконг, Тигр-Евфрат, Волга, Ла Плата, Неман и Вистула) используют 5-8 стран.

Для эффективного управления и использования трансграничных водных ресурсов праворегулирующее поле обеспечивается несколькими десятками международных документов. Для обеспечения доступности и совместного использования разными странами трансграничных водных ресурсов был предложен ряд принципов. Первый из принципов - это абсолютная территориальная автономия, которая известна также, как доктрина Гармона. В 1895 г. генеральный прокурор США Джадсон Гармон выразил мнение об управлении водами реки Рио Гранде, которые использовались совместно с Мексикой. Согласно Гармону, государство, на территории которого образовался международный водосток, имеет право бесплатно и полностью располагать водами данного водостока, не считаясь с интересами других прибрежных государств и невзирая на ущерб, который данное управление водой может принести соседнему государству. Однако, несмотря на то, что это мнение было очень выгодным для тех стран, в которых преобразовывались трансграничные водные ресурсы, оно было раскритиковано рядом ученых и международных общественных учреждений. Второй принцип основан исключительно на территориальной целостности. Он определяет право прибрежной страны требовать, чтобы государство, находящееся выше водостока, обеспечило природное течение реки по территории своей страны. Ясно, что такой подход дает возможность ничтожного использования воды для государства, где образовался трансграничный водный ресурс, а все прибрежные страны почти полностью лишены прав использования международного водостока. В сущности, этот принцип просто является противоположностью доктрине Гармона, так как в противоположность ему, этот принцип дает полное право на использование воды только последнему государству, расположенному по низу течения международной реки. В результате, и этот принцип подвергся критике и не был принят как международная юридическая норма. Третий принцип основан на ограниченной территориальной автономии или на ограниченной территориальной целостности и определяет, что каждое государство имеет право на пользование водами проходящих через него международных рек, но, в то же время, обязано обеспечить такое пользование, которое не препятствовало бы пользованию воды, прилежащих к реке государств. Очевидно, что по сравнению с двумя вышеуказанными, этот принцип предъявляет четкие ограничения в управлении трансграничными водными ресурсами и подтверждает право всех прибрежных стран на пользование международными водостоками, но, в то же время, он не предлагает какого-либо механизма в урегулировании водных отношений, следовательно он неработоспособен. По четвертому принципу, предлагается с участием представителей всех прибрежных стран создать межгосударственный орган, который и обсудит проблему использования водных ресурсов международного бассейна реки и определит право каждого государства на трансграничные водные ресурсы, а также доступный для пользования объем воды для данного государства. В реальности, этот подход является идеалистическим развитием третьего принципа. Очевидно, что в основном, решение, предложенное данным межгосударственным органом, не может равномерно учитывать интересы всех прибрежных стран, которые в действительности конкурируют в использовании большей доли трансграничных водных ресурсов, поэтому решение, данное межгосударственным органом, не будет принято государством, чьи интересы полностью не учитываются. Очевидно, что приведенные принципы имеют серьезные недостатки.

По нашему мнению, управление трансграничными водными ресурсами в ближайшее время не может осуществляться согласно нормам существующих правовых документов. Принимая во внимание, что доктрина Гармона противоречит принципам безопасности экосистемы, а конвенция ООН «По охране и стабильному использованию трансграничных водных потоков и международных озёр» (Хельсинки, 1992г.) - принципам образования водных ресурсов и несправедливости их безвозмездного предоставления одним государством другим (которые обратны принципам платного предоставления нефти, газа и других природных ресурсов), новый подход к регулированию

международными водными бассейнами должен быть основан на сочетании принципов их формирования, максимального управления ими в стране и обеспечения стабильности трансграничных водных экосистем.

Республика Армения имеет свои проблемы по использованию трансграничных водных ресурсов. В частности, это касается трансграничных рек Аракс, Ахуриян, бассейна Кура-Аракс. С целью равноправного совместного использования потенциала рек Аракс и Ахуриян следует пересмотреть договор между СССР и Турцией, заключенный в 1976г. В текст нового договора, согласно [3], следует включить положения об использовании предпаводковых вод ниже створа плотины; использовании рек, впадающих в Ахуриянское водохранилище, в том числе, о зарегулировании новых объемов.

С целью улучшения управления и мониторинга трансграничных поверхностных водных ресурсов бассейна Кура-Аракс, предлагается пересмотреть существующие правовые документы и гармонизировать их с требованиями Водной рамочной директивы ЕС. Предлагается разработать план управления бассейном рек Кура-Аракс, который должен быть совместно разработан и утвержден представителями всех пяти трансграничных стран, с учетом интересов каждой стороны в процессе использования водных ресурсов. Также предлагается на региональном уровне создать специальную комиссию, состоящую из признанных специалистов, которая во время периодических совещаний будет представлять и обсуждать подходы и приоритеты сторон.

При использовании водных ресурсов, всегда надо помнить, что хотя 70% территории земного шара покрыто водой, однако для питья годна лишь ее малая часть, которая крайне неравномерно распределена на суше. Несмотря на подобную ситуацию, важность воды и, в частности, ее ценность была недооценена (в народе и по сей день употребляется понятие “цена воды”, что равносильно низкой цене, понятию “почти даром”), что стало последствием того идеологического положения, что во время социализма природные ресурсы, а вода является одним из них, не имеют цены, они – дары природы, поскольку не являются результатом человеческой деятельности. Развитие с подобными лозунгами и менталитетом, конечно же, долго продолжаться не могло. Уже более двадцати лет, как не существует коммунизма, как такового, и в республиках бывшего СССР сформировались независимые страны с рыночной экономикой. Естественно, что эти отношения не могли развиваться и не углубляться и в водной среде. Однако к этому следует подойти с некоторой оговоркой. Несмотря на то, что вода считается товаром (на сегодняшний день это наиболее распространенная точка зрения во многих странах мира, а также в нашей республике), однако она – особенный товар, поскольку право пить воду и использовать ее дано человеку свыше, со дня рождения. Это обстоятельство приобретает наибольшую остроту у необеспеченных слоев населения, о чем не следует забывать во время разработки экономической политики.

В глобальном плане, оросительная система во всем мире не носит «рыночного» характера. Подтверждением этому служит тот факт, что почти во всех странах эта система «держится» за счет других сфер (в основном, промышленности и сферы обслуживания). Например, только за один год во всем мире из других отраслей экономики системам орошения выделяется более чем 600 млрд долларов. Однако, на сегодняшний день в большей части стран стоит задача перехода системы орошения на самоокупаемость. Это серьезное социально-экономическое и политическое мероприятие, на которое можно идти, сводя к минимуму те отрицательные последствия, которые возникнут на его пути.

Человек, будучи главной производственной силой, посредством использования возможностей науки и техники оказывает воздействие на природу. Часто, возможно и независимо от него, с целью обеспечения экономического роста, воздействие человека на окружающую среду приводит к отрицательным результатам, и на сегодняшний день считается одной из основных проблем XXI века, поскольку человеческий (или техногенный) фактор в системе взаимоотношений человек-природа достиг того состояния, когда дальнейшее развитие человеческой цивилизации находится под угрозой.



Например, наводнения, которые были замечены летом 2003г. в пустыне Сахара и Лас-Вегасе, тысячные человеческие жертвы по причине жары в Европе и другие катаклизмы, происходящие в разных частях мира, свидетельствуют о том, что человек обязан меньше загрязнять природу, в том числе и воды; сформировать заботливое и сердечное отношение к той среде, в которой находится он и его достижения.

Из сказанного следует, что вода – основное условие наличия жизни на Земле. Особенностью воды является тот факт, что человеческий организм не может существовать без воды, она имеет жизненно важное значение для здравоохранительных узлов сельских и городских общин, необходима для ведения всех видов сельскохозяйственной деятельности. Таким образом, вода – решающий и наиглавнейший натуральный ресурс. С этой точки зрения можно со всей ответственностью утверждать, что без воды невозможно существование жизни на Земле.

В отличие от солнца, света и воздуха, воды могут находиться в собственности государства, общин или частных. Только этой причины достаточно, чтобы вода считалась не только природным, но и экономическим ресурсом. Это истинно даже в том случае, когда во многих странах не установлено какой-либо цены на водопотребление и не требуется выплаты какой бы то ни было суммы за использованную воду. Потребители наслаждаются физической доступностью пресной воды, поставляемой государственными или частными компаниями, однако, фактически, ее стоимость никак не измеряется. В последнем случае расходы на воду в большинстве своем возмещаются посредством сбора фиксированных выплат с потребителей воды.

Платная ли вода или нет, мы должны осознавать, что для многих общин накопление и распределение пресной воды требует задействования рабочей силы, а также гражданских инженерных инфраструктур, таких, какие существовали еще в Древнем Египте, Императорском Китае и в период цивилизации Инков. Так что, и по этой причине вода всегда была и остается экономическим ресурсом. В последнее время это понятие с целью поддержания качества воды по причинам установления экономических и финансовых ценностей со стороны законодательства, малочисленности воды и возникновения соответствующей конкуренции среди потребителей, а также развития тенденций приватизации инфраструктур государственного сектора в мире начиная с конца XX века получило более широкое и глубокое понимание.

Поскольку вода – настолько важная биологическая и социальная потребность и на сегодняшний день широко принимается как экономический ресурс, возникает потребность изучения гидроэкономики – предмета экономики водных ресурсов. Поскольку ни одна экономическая школа не устанавливает содержания экономических подтем, то ответ на этот вопрос содержит в себе элемент особого подхода. В качестве предметов, изучаемых гидроэкономикой, можно установить: охрану природной среды рек, озер, болот, русел рек и прибрежных вод; осушение земель; надзор над наводнениями и защита берегов; программы, связанные с безопасностью запруд; предложение пресных вод; использование воды со стороны домашних хозяйств, сельского хозяйства, промышленности и других секторов экономики; переработка и удаление сточных вод.

Как видно из вышеуказанного, данное определение не включает в себя рыболовства, пароходства или организации отдыха, связанного с водой (туризма). Несмотря на то, что гидроэкономист выражает некоторую «симпатию» по отношению к данным сферам, однако последние наиболее приемлемы в качестве составляющих элементов экономических предметов, соответственно, рыбной ловли, а также транспорта и организации отдыха. В то же время, гидроэкономисты могут ожидать разделения своей заинтересованности охраной природы с экономистами охраны природы; анализ безопасности запруд станет наиболее обоснованным благодаря раскрытию сходств с экономикой энергетики, и исследование спроса воды сельских хозяйств будет наиболее эффективно благодаря экономике сельского хозяйства. Ни человеческая культура, ни политэкономия никогда не делятся на отдельные и своеобразные стороны. Иными словами, основная задача экономики водных ресурсов направлена на исследование взятия (сбора,

накопления), охраны и распределения вод, а также их использования и удаления сточных вод с использованием рабочей силы.

Благодаря исследованию вышеуказанных предметов гидроэкономики становится возможным сформулировать те задачи, с которыми она сталкивается. И опять же, индивидуальный подход здесь необходим. Задачи, с которыми сталкивается гидроэкономика, и которые могут выражаться как необходимый с ее стороны путеводитель критериев для анализа и развития политики, следующие:

- поставка в домашние хозяйства, сельское хозяйство, производство и в другие сектора экономики воды пользователям в достаточном количестве и соответствующего качества;
- обеспечение доступности питьевой воды для домашних хозяйств с низкими доходами;
- обеспечение сохранения воды во время поставки и использования;
- очистка (от загрязнения) воды от выбросов населения, сельского хозяйства и производства;
- предотвращение злоупотреблений монопольной позицией служб, предоставляющих услуги по поставке пресных вод и отводу сточных вод;
- охрана сельских и городских общин от наводнений и осушение наводненных земель;
- поддержание восстановления гидроциклических возможностей подземных и наземных водных течений;
- охрана животных видов и природной среды во всех окрестностях пресных и прибрежных вод;
- сокращение и ликвидация (исключение) международных противоречий, связанных с водой;
- обеспечение разумного использования направленных на эти цели правительственных расходов.

Отметим важную роль воды как природного ресурса, имеющего жизненно важное значение для человечества. Создание новых механизмов управления и экономических рычагов, а также определение путей улучшения качества водных ресурсов является одной из приоритетных проблем XXI века. С этой точки зрения, по нашему мнению, независимо от местоположения, следует аккумулировать пресную воду с целью дальнейшей обработки и использования для питьевых нужд человечества и ирригации. В этом аспекте, редчайшая возможность предоставляется в Армении. Поднятием уровня воды оз.Севан до своих естественных отметок – уровня середины XX века, без больших капитальных вложений можно аккумулировать более 20 млрд м<sup>3</sup> пресной воды питьевого качества. Отметим, что для возведения плотин, с целью аккумуляции такого объема воды необходимо 50 млрд долларов.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Маркосян А.Х., Мартиросян Г.А., Токмаджян О.В. Экономика водных ресурсов //С-П(б), изд. ВНИИГ им.Б.Е.Веденеева, 2005, 508с.
2. Movsisyan A., Simonyan A. Some Aspects of Transboundary Groundwater Resources Management; Proceedings of the 32nd Congress of IAHR “Harmonizing the Demands of Art and Nature in Hydraulics”. Italy, 2007, Vol. 2, p. 468.
3. Андриасян А.С., Габаян Г.С., Токмаджян О.В., Мовсисян А.А. Некоторые вопросы межгосударственного управления Ахурянским водохранилищем //Ереван, Агронаука, 2008, N11-12, с. 536-539.

*Markosyan Ashot  
Martirosyan Tigran  
Simonyan Armine*

#### GLOBIALISATION AND INTERNATIONAL WATER RELATIONS SUMMARY

Water is a unique natural phenomena and the fundamental condition for the life on the Earth, and at the same time water must be not only natural but also economic resource. The paper deals with problems of water resources management and protection. Creation of new management and economical tools as well as

defining ways to improve water resources quality is one of priority issues of the 21st century. It is suggested to accumulate sweet water to further treatment of water to satisfy drinking and irrigation water requirements, no matter where is the place. In this aspect, only by raising the level of Lake Sevan waters to achieve its natural, mid 20 century watermark, without large capital investment, it is possible to store over 20 milliard m<sup>3</sup> sweet water of potable quality. It should be noted that to erect a dam to store water of such quantity only 50 milliard US dollars are needed.

## *მარინა მეტრეველი*

### **მომსახურების ხარისხის სახელმწიფო პოლიტიკა და გლობალიზაცია**

გლობალიზაცია მომსახურების სხვადასხვა სახეებით უზრუნველყოფს მსოფლიო სავაჭრო სისტემას. მომსახურების სფერო განვითარებადი ქვეყნებისთვის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს.

მომსახურების სხვადასხვა სახეებით გლობალური ვაჭრობა თანდათანობით აღიარებული მიმართულებად გვევლინება ეროვნული ეკონომიკაში და ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში ექსპორტის სფეროს კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გადაცემას. მომსახურების ეროვნული ბაზრების გლობალური გამჭვირვალობის შედეგად მიღებულმა სარგებელმა, პოტენციურად, შესაძლებელია გადააჭარბოს კიდევ საერთაშორისო ვაჭრობის ყველა სხვა სფეროდან მიღებულ მოგებას.

სოციალური მომსახურებების სფეროს ინტენსიფიკაცია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის ფართო შესაძლებლობებს ქმნის – მომსახურების ეროვნული ინდუსტრიის სფეროში უცხოელ მომწოდებლებთან კონკურენციისა და თანამშრომლობის გზით ამ ქვეყნებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ საკუთარი ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დარგებში, როგორცაა სატრანსპორტო ლოჯისტიკა და ადმინისტრაციული და ფინანსური მომსახურება, რადგან, ხშირად, სწორედ ამ დარგების განვითარების არახელსაყრელი მდგომარეობა აფერხებს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში.

თანამედროვე, მომსახურებაზე ორიენტირებული ეკონომიკის, სოციალურ მომსახურებათა სფეროს განვითარების პრიორიტეტად ითვლება მისი ისეთი სექტორის ინტენსიური განვითარება, როგორცაა ტურიზმი. ტურიზმს, როგორც ეკონომიკის დარგს, საგანგებო ადგილი უკავია იმ დარგთა შორის, რომლებიც ხასიათდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე მკვეთრად გამოხატული ორიენტაციით. ეკონომიკის იმ დარგებისაგან განსხვავებით, რომელთა პროდუქცია ტრანსპორტირების გარეშე მომხმარებელამდე ვერ მივა, ტურიზმი იწვევს ადამიანთა მრავლობით მიგრაციებს რეკრეაციული რესურსების თავმოყრის ადგილებისაკენ. ტურისტული რესურსების მოხმარება ხორციელდება მათი ლოკალიზაციის ადგილას და არ საჭიროებს მათ „ამოღებას“. ტურიზმი ბუნებრივი რესურსების გამოყენების საქმეში ხშირად „პიონერის“ სახით გვევლინება. ის პირველი მოიხმარს სამეურნეო წრებურნვაში ადრე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ ელემენტებს: მაღალ მთებს, ეგზოტიკურსა და უნიკალურ ლანდშაფტებს, მღვიმეებს, ჩანჩქერებს და ა.შ., ანუ, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ტურიზმი არ მოითხოვს ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და შემდგომ გადაამუშავებას, ის მთლიანად იყენებს ბუნებრივ კომპლექსს (ლანდშაფტს) ე.წ. „ამოღების“ გარეშე.

სოციალურ მომსახურებათა თანამედროვე სფეროს ყველა სექტორს შორის მხოლოდ ტურიზმს გააჩნია ის აუცილებელი პოტენციალი, რომლის წყალობითაც მას შეუძლია, გახდეს ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სექტორი:

– ტურიზმი არის ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის მძლავრი გენერაციის ფაქტორი;

– ტურიზმი ხასიათდება ანტიკრიზისული მდგრადობით, რითიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დამატებით მდგრადობას;

– ტურიზმი იმთავითვე ატარებს ღია და გლობალურ ხასიათს, რითაც ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლებას.

ტურისტულ მომსახურებათა ეროვნული ბაზარი დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ბუნებრივი რესურსების ტურისტული დანიშნულებით მიმართვა; სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე; ადამიანური კაპიტალის ხარისხი; ტურისტულ მომსახურებათა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა; ტურისტული კომპანიების სტრატეგიის ხარისხი.

ტურისტულ მომსახურებათა ბაზარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოებებისთვის, როგორც ტურისტული პროდუქტის წარმოებისა და მომსახურებათა ახალი სახეობების განვითარებისათვის საჭირო რესურსი, რადგან იგი ტრადიციულ ტურისტულ რეგიონებში მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების მიღების საშუალებას აძლევს. აღნიშნული მიზნების მიღწევა ორგანიზაციულ-მმართველობით ასპექტში შესაძლებელია ადგილობრივი დაგეგმვისა და პროგრამირების საშუალებების აქტიური გამოყენებით. ქვეყნის ტერიტორიის დიფერენციაცია ტურისტულ რეგიონებად, მოცემულ რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორების განვითარების სტიმულირებით, უნიკალურ შესაძლებლობათა იდენტიფიკაციისა და დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ რეგიონებში, სადაც აღინიშნება ტურისტული მარშრუტებისა და ღირსშესანიშნაობების კონცენტრაცია, ტურიზმის განვითარებამ შესაძლებელია შეზღუდოს ეკონომიკური საქმიანობის ტრადიციული დარგები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა), მაგრამ შექმნას ახალი ეკონომიკური ორიენტირები და სოციალური ღირებულებები, რაც განაპირობებს ადგილობრივი თანასაზოგადოების დამოკიდებულებას ტურისტული სეზონის პერიოდებში ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე. ამ თვალსაზრისით, რეგიონულ-ეკონომიკური დაგეგმვა გულისხმობს ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას. შესაბამისად, ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, შესაძლებელია ადგილობრივი წარმოების ახალი ბაზრების გენერატორი გახდეს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის კონცენტრაციამ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში შესაძლებელია ტურისტულ მომსახურებათა ბაზრების განვითარების დონეებს შორის დისპროპორცია გააძლიეროს და პრაქტიკულად შეაფერხოს ტურისტულ მომსახურებათა საერთო-ეროვნული ბაზრის ფორმირება. ასეთ შემთხვევებში, რეგიონები მსხვილი ტურისტული კომპლექსებით, სულ უფრო ემსგავსებიან იმ ქალაქებს, სადაც ძნელია დასვენებისთვის შესაფერისი პირობების პოვნა, მაშინ, როდესაც სწორედ ასეთი პირობები წარმოადგენს ტურისტულ მოგზაურობათა მთავარ მიზანსა და ტურისტთა მოტივაციას.

თანამედროვე ტურიზმს გააჩნია ტურისტული პროდუქტის მაქსიმალური დივერსიფიკაციის უდიდესი შესაძლებლობები, რომელიც მას მიმზიდველს ხდის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებისთვის. ეროვნული ტურიზმის სტრატეგიული განვითარების ოპტიმალური ვარიანტი თანხვედრაში უნდა იყოს ტურიზმის სხვადასხვა (ტრადიციულ და ალტერნატიულ) მიმართულებებთან, რაც ქვეყანას ტურისტული პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენების საშუალებას მისცემს.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საუკეთესო გარემოს ადგილი აქვს ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობების პირობებში. ტურისტულ-რეკრეა-

ციულ სფეროში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ოპტიმალური მოდელის ფორმირებისთვის საჭიროა: კანონმდებლობის სრულყოფილი სისტემა, ფინანსური სისტემის დაწესებულებების სიძლიერე, ზედმეტად ჩარევის პოლიტიკური ტრადიციის აღმოფხვრა.

ევროკავშირის ისტორიაში პირველად, “ლისაბონის შეთანხმებაში” შევიდა თავი, რომელიც მიექვანა ტურიზმის რეგულირებას და რომელიც აყენებდა ტურიზმის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი სამეწარმეო კლიმატის უზრუნველყოფის მოთხოვნას.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ევროპის ტურისტული ბრენდის განვითარების ძირითადი ეკონომიკური ინსტრუმენტებია:

- ტურიზმზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების ჯგუფებისთვის ან იმ პირებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ ტურიზმში აქტიური მონაწილეობის მისაღებად საჭირო ეკონომიკური რესურსები (“სოციალური ტურიზმი”);

- მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვის ხარისხისა და ტურისტული პროდუქტების სტანდარტიზაციის დონის გაუმჯობესება მრავალი სხვადასხვა ენის, ნორმისა და არსებული სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით;

- ინოვაციების, როგორც ტურიზმის სფეროში გლობალური კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორის დანერგვის ხელშეწყობა.

ტურისტულ მომსახურებათა ბაზრის სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს არა მხოლოდ ტურისტული პროფილის მომსახურებათა გაწვევის, არამედ კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, პრეზენტაციებისა და სხვა საქმიანი კორპორაციული ღონისძიებების, ასევე, სპეციალიზებული მოგზაურობების განვითარების შესაძლებლობას. სფერო, რომელშიც სახელმწიფოს ეკისრება ტურისტული ბაზრის ძირითადი მონაწილეებისთვის კონკურენციის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, არის ეკონომიკური სივრცე, რომელიც იქმნება ტუროპერატორის, ტურაგენტისა და ტურისტული მომსახურებების საწარმოების ურთიერთქმედების შედეგად. ტურისტულ მომსახურებათა ბაზრის რეგულირების სპეციფიკას განაპირობებს მისი პროდუქტის უნიკალურობა. გლობალიზაციის პირობებში, ახალი ბაზრების ათვისების მიზნით, ტურიზმის სექტორის საწარმოები შეიმუშავენ ახალ სტრატეგიებს. ტურიზმის ახალი სტრატეგია უნდა ქმნიდეს ტურიზმის მაქსიმალური განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის ამ სექტორის, ანუ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის წილის ზრდის ეკონომიკურ წინაპირობებს (*ცხრილი 1*). ზემოაღნიშნული, ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის ვალდებულებით, იმპერატიულ ხასიათს ანიჭებს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას.

საქართველოს ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობები მთლიან შიდა პროდუქტში  
(საბაზრო ფასებში, მილიონი ლარი)

პერი- ოდი	სასტუმ- როებისა და კემპინგე- ბის მომსახუ- რება	რესტორ- ნების, ბარების, სასადილო- ების მომსახუ- რება და მზა საკვების მიწოდება	სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტები- სათვის დახმარების აღმოჩენა	სარკი- ნიგზო ტრანს- პორტი	სხვა სახმელე- თო ტრანს- პორტი და საზღვაო და კაბოტა- ჟური წყლის ტრანს- პორტი	საჰაერო ტრანს- პორტი	ქვეყნის მშპ საბაზ- რო ფასებ- ში
I 06	18.3	48.1	33.6	15.6	90.0	13.4	2,835.0
II 06	17.8	48.6	43.0	17.0	52.7	11.5	3,356.4
III 06	21.6	62.0	40.4	17.6	69.9	15.7	3,626.6
IV 06	22.6	78.4	42.5	15.4	66.2	10.3	3,971.9
<b>2006</b>	<b>80.3</b>	<b>237.1</b>	<b>159.6</b>	<b>65.6</b>	<b>278.8</b>	<b>50.9</b>	<b>13,789.9</b>
I 07	31.0	48.7	31.1	12.6	87.3	8.8	3,413.6
II 07	18.7	57.5	39.7	13.6	75.1	10.8	4,082.8
III 07	20.1	76.3	50.2	16.3	94.1	16.9	4,531.0
IV 07	23.1	77.6	50.9	14.9	108.2	17.6	4,966.4
<b>2007</b>	<b>92.9</b>	<b>260.0</b>	<b>171.9</b>	<b>57.5</b>	<b>364.7</b>	<b>54.1</b>	<b>16,993.8</b>
I 08	23.7	69.7	38.4	10.7	96.9	12.3	4,195.4
II 08	23.8	74.5	44.1	15.7	77.6	16.0	4,944.7
III 08	24.4	75.5	35.7	13.7	91.1	25.0	4,751.0
IV 08	17.9	86.2	38.4	13.9	91.4	14.9	5,183.8
<b>2008</b>	<b>89.8</b>	<b>305.9</b>	<b>156.6</b>	<b>54.0</b>	<b>357.0</b>	<b>68.1</b>	<b>19,074.9</b>
I 09	15.0	69.4	43.1	10.2	53.0	12.5	3,971.0
II 09	13.4	70.3	49.5	11.3	57.3	13.5	4,275.2
III 09	17.4	68.7	56.6	13.5	60.4	19.1	4,590.4
IV 09	16.3	75.9	56.1	13.9	75.1	15.2	5,149.3
<b>2009</b>	<b>62.1</b>	<b>284.3</b>	<b>205.3</b>	<b>49.0</b>	<b>245.8</b>	<b>60.4</b>	<b>17,986.0</b>
I 10*	16.8	67.7	57.9	13.6	53.7	10.5	4,294.2
II 10*	20.9	82.0	65.6	15.5	61.5	15.5	5,044.1
III 10*	28.8	90.7	73.7	17.6	74.2	18.1	5,394.8

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ეროვნული ადინისტრაცია, 2011.

ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგია გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში საჭიროებს სერვისზე ორიენტირებული ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებასა და ეროვნული ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ახალი მოდელის შემუშავებას – შედეგად, ტურიზმის სექტორში წარმოებული ბიზნესის ახალი მოდელის შემუშავებასაც.

ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის პრაქტიკული მოდელის წარმოდგენა შესაძლებელია იქნას შემდეგი ელემენტებით:

1. ქვეყანამ უნდა მოიპოვოს საერთაშორისო ტურისტული იმიჯი, რა შემთხვევაშიც იგი აღიქმება როგორც სახელმწიფო, რომელიც გასწევს საერთაშორისო სტანდარტების

მაღალი ხარისხის მომსახურებას და ადგილობრივ და უცხოელ მომხმარებელს შესთავაზებს ტურისტულ მომსახურებათა ფართო დიაპაზონს;

2. ქვეყანაში სტაბილიზებული უნდა იყოს საქმიანი სფერო მათთვის, ვინც მონაწილეობს ტურისტულ ბიზნესში (კერძოდ, უნდა არსებობდეს ტურისტული საწარმოების შექმნის მაქსიმალური თავისუფლება);

3. ფორმირებული უნდა იყოს ტურიზმის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტული წარმოებისა და ინფრასტრუქტურის გრძელვადიან განვითარებას ტურისტული ბიზნესის ძირითადი სუბიექტების კონცეფციებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით;

4. ტურიზმის სფეროში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტური ღონისძიებების გატარებასთან ერთად, უნდა შეიქმნას ფინანსური რესურსების კონცენტრაციისა და ტურისტული ინდუსტრიის დაფინანსების წინაპირობები;

5. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ტურისტული ბიზნესის განვითარების სფეროში უნდა იყოს მაქსიმალურად დეცენტრალიზებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტურიზმის სტრატეგიული მიზნები და ძირითადი ფორმები უნდა განსაზღვრავდეს მისი განვითარების შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს:

- ტურისტული სექტორის წარმომადგენლების უფლებებისა და შესაძლებლობების ზრდა ეროვნულ ეკონომიკაში;

- ქვეყნის მიმზიდველობის გაუმჯობესება ტურიზმისა და მოგზაურობისათვის;

- ტურიზმის ალტერნატიული ფორმების მოცულობის ზრდა;

- უცხოელი ტურისტების სეზონური დინამიკისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე რეგიონებში.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პოლიტიკის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ XX საუკუნის დასასრულს მსოფლიოში გლობალიზაციის საერთო პროცესმა ტურიზმის სფეროში ბიძგი მისცა საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმების გაღრმავებას. ამ პროცესს თან სდევს ტურისტთა გადაადგილების პირობებში ლიბერალიზაციის მექანიზმების განვითარება და ტურისტული მომსახურების მწარმოებელი კომპანიების კონკურენტული გარემოს კიდევ უფრო გამკაცრება. გლობალიზაციის პროცესების შესაბამისად, ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული იდენტურობის – მისი ეკონომიკის, გარემოსა და კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. მეტრეველი მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, თბ., 2011.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ეროვნული ადინისტრაციის ინფორმაცია, 2011.

3. Promotion of trans-national thematic tourism products in the European Union as means of sustainable tourism development, european commission, 2011.

4. Trends and skill needs in tourism, Olga Strietska-Ilina, Manfred Tessaring, (eds), Cedefop Panorama series; 115, Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 2005.

5. [http://ec.europa.eu/enterprise/newsroom/cf/\\_getdocument.cfm?doc\\_id=6453](http://ec.europa.eu/enterprise/newsroom/cf/_getdocument.cfm?doc_id=6453)

6. <http://cendoc.esan.edu.pe/fulltext/e-documents/SkillTourism.pdf>

**NATIONAL TOURISM STATE POLICY AND GLOBALIZATION  
SUMMARY**

Globalization provides the world trade system with different services. The field of service in the economic respect is one of the most important sectors in developing countries.

The priority in the development of the social services field of modern, service-oriented economies is the intense development of such of its sector as tourism is. Of all the sectors of the modern field of social services, only tourism has the potential to become one of the most dynamically developing segments of the national economies.

For the first time in the history of the European Union, the Lisbon Treaty included the chapter devoted to the regulation of tourism, demanding the creation of favorable entrepreneurship climate for small and medium-size tourist enterprises.

The new strategy in tourism should create economic preconditions for its highest possible development and growth of the share of the given sector of the national economy, i.e. tourism in the country's gross domestic product. The above-mentioned makes the state policy of development of tourism with the obligation of direct support of tourist business imperative.

The new strategy of tourism development in terms of the global economic crisis needs speedy development of service-oriented economies and development of a new model of the national business state regulation, and consequently, development of the new business model in tourist sector.

*ეთერ ნარიშანიშვილი*

**მიწების გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივი საფუძვლები**

აგრარული პოლიტიკის სწორი მიმართულებით განვითარება ყველა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ქვაკუთხედი. მისი მიზანია ქვეყნის უზრუნველყოფა საკვები პროდუქტებით, ამ სფეროში მოსახლეობის ნაწილის დასაქმება, ფერმერული მეურნეობების წახალისება და ამით აგრარული სექტორის გაძლიერება. აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მიწის რეფორმა, რომელმაც ძირეულად შეცვალა ჩვენში მიწათსარგებლობის და მიწის ფლობის მრავალი ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობა. მცირე სამოქმედო არეალის გამო, გლეხის საქმიანობა მისსავე საკუთარ მეურნეობაში უაღრესად შეზღუდული იყო. კოლმეურნეობებში დასაქმებულ გლეხთა საკარმიდამო ნაკვეთის ნორმა განისაზღვრებოდა კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად, რომელიც არ აღემატებოდა 0,50 ჰა-ს. სოფლად მცხოვრები ყოფილი საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, მედიცინის და განათლების სპეციალისტების საკარმიდამო ნაკვეთის მაქსიმალური ოდენობა 0,25 ჰა-მდე იყო, ხოლო სხვა სფეროში მომუშავეებს კიდევ უფრო ნაკლები – 0,15 ჰა ეძლეოდათ, რაც, რა თქმა უნდა, არასაკმარისი იყო საკვებ პროდუქტებზე ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მიწის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა მიწის მესაკუთრეთა ფენა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მიწის ბაზრის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, რაც წარმოუდგენილია მიწის რეგისტრაციის გარეშე, რომელიც აღიარებს და იცავს მესაკუთრეთა უფლებებს, იძლევა რეფორმის პროცესში დაშვებული შეცდომების აღმოჩენის და გამოსწორების საშუალებას, არეგულირებს ურთიერთობებს მიწის მესაკუთრესა და სახელმწიფოს შორის, იცავს ნებისმიერი მოქალაქის უფლებას, შეუზღუდავად მიიღოს საჯარო რეესტრში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია და სხვა. მიწის წლიური საპექტარო გადასახადი და სხვადასხვა სახის სარეგისტრაციო მოსაკრებლები უდიდესი ეკონომიკური



პოტენციალია, რომელიც ბევრი რაიონის ბიუჯეტში ძირითად ნაწილს შეადგენს. როგორც მიწის რეფორმის, ასევე რეგისტრაციის საწყისი ეტაპი ჩვენს ქვეყანაში ხარვეზებით წარმართა, რაც აუცილებლად მოითხოვს მეცნიერულ შესწავლას, განზოგადებას ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. მიწის რეფორმა, მიწის რეგისტრაცია, ახალი პროცესებია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყნისათვის. მის შედეგად წარმოიშვა ისეთი პრობლემები, როგორცაა მიწის წლიური გადასახადის ამოღება, ქონების გადაცემისას ქონების საბაზრო ფასის განსაზღვრა აუდიტის მიერ, მცირეკონტურიანი ნაკვეთების კონსოლიდაცია, სარეგისტრაციო მოსაკრებლების გადასახადის გადახდის გარეშე მომხმარებელთა ვინაობა, მიწის რაციონალური და ეფექტური გამოყენება, რომელიც ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მიწის რეფორმა და მისი შედეგები კი სხვადასხვა დროს მრავალი მეცნიერის მიერ იქნა შესწავლილი და შეფასებული, მაგრამ უშუალოდ მიწის რეგისტრაციის შესახებ მეცნიერული ნაშრომები საკმაოდ მცირეა. მიწის თავისებურება, რომ იგი სივრცობრივად შეზღუდულია და შეუძლებელი. მისი შეცვლა წარმოების რომელიმე სხვა საშუალებით, ამჟამად მიწის რაციონალურად გამოყენების პრობლემას. მიწის რაციონალური გამოყენება, მასზე კონტროლის გაძლიერება, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის ეკონომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ ტერიტორია ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული, ეს კი, საბოლოო ჯამში, ტერიტორიის და სამუშაოების სწორი ორგანიზაციის საფუძველია. ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა, საკვები პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. მიწის გამოყენება შესაძლებელია სხვა ფაქტორებთან ერთად, კომპლექსში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაკვეთის გარე საზღვრებს, ფართობს, ფორმას, მის მდებარეობას და სხვა. წარმოების განლაგებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოების პერსპექტივა, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, ტერიტორიის ოპტიმალური განლაგება და ზომები. თუ რეფორმის შედეგად მოხდა დიდი საწარმო მასივების დანაწევრება, 1960-70-იან წლებში წარმოებდა მცირე ფართობების სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამსხვილება, რაც ასევე გაუმართლებელი იყო. მიწის გამოყენების, განაწილების და დაცვის თაობაზე სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის ყალიბდება გარკვეული ურთიერთობები – საადგილმამულო ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება მიწის სამართლის ნორმებით. საადგილმამულო ურთიერთობას, ისე, როგორც სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს, გააჩნია რამდენიმე ელემენტი: – სამართლის ნორმა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მიწის ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის დროს – სამართლის სუბიექტი, ანუ საადგილმამულო ურთიერთობებში მონაწილე. სამართლის ობიექტი – ინდივიდუალურად გარკვეული მიწის ნაკვეთი, რომლის თაობაზედაც წარმოიქმნება საადგილმამულო ურთიერთობა. სახელმწიფოს მმართველობის სფეროში საადგილმამულო ურთიერთობის ობიექტია ქვეყნის მთლიანი მიწის ფონდი, მისი ცალკეული ნაწილები და ნაკვეთები. კერძო მესაკუთრეთა საადგილმამულო ურთიერთობის ობიექტია მიწათსაკუთრების მთლიანი ფართობი, მისი შემადგენელი ნაწილებითა და ცალკეულ ნაკვეთებით – საადგილმამულო სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსი, ანუ მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი, რომლებიც მოქმედებს სამართლის ნორმების ზუსტ შესაბამისობასთან; დასახული აქვთ მიზანი, რომლის მისაღწევადაც ყალიბდება მოცემული საადგილმამულო ურთიერთობა. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის თავისებურებანი, რომლებიც გააჩნია სუბიექტსა და ობიექტს. სუბიექტის როლში – დაინტერესებულია მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფით. მიწის ბუნებრივ თვისებათა სიჭრელისა და მისი სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობის მრავალფეროვნების არსებობის გამო შეიძლება წარმოიქმნას საადგილმამულო ურთიერთობათა ნაირგვარობა. ერთი ასეთი ურთიერთობა

ყალიბდება სოფლის მეურნეობაში, მეორე – მრეწველობაში, მესამე – სატყეო მეურნეობაში, მეოთხე – დასახლებული პუნქტების მშენებლობაში და ა.შ. ეს განაპირობებს საადგილმამულო ურთიერთობათა კლასიფიკაციის აუცილებლობას. მიწის ძირითადი სამეურნეო დანიშნულების მიხედვით, სამართალურთიერთობათა შემადგენელი ყველა ელემენტი იქ იძენს თავის მნიშვნელობას. ასე რომ, საადგილმამულო სამართალურთიერთობას აგრარულ სექტორში აქვს თავისი სამართლებრივი ნორმები, თავის ობიექტი, ჰყავს სუბიექტები, გააჩნია თავისი სამართლებრივი შინაარსი, რაც გამოხატულია მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენების განხორციელების უფლებამოსილებასა და ვალდებულებებში. საადგილმამულო სამართალურთიერთობათა კლასიფიკაცია შეიძლება აიგოს სხვა ნიშნების მიხედვითაც, იმისდა მიხედვით, თუ საადგილმამულო სამართალურთიერთობათა რა თავისებურებები გვინდა გამოვყოთ და გამოვთვალოთ. თავისი იურიდიული მნიშვნელობა აქვს საადგილმამულო სამართალურთიერთობებს მათი სუბიექტების მიხედვით. ამ ურთიერთობათა მონაწილე შეიძლება იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, სახაზინო მეურნეობა, კოოპერატიული მოქალაქე და ა.შ. საადგილმამულო სამართალურთიერთობა თავისი შინაარსით ხასიათდება იმ უფლებებით და ვალდებულებებით, რომლებიც განსაზღვრავს მონაწილეთა ქცევებს. ასე მაგალითად, მოქალაქის უფლება მიწის ნაკვეთის მიღებაზე შეესაბამება სახელმწიფოს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს მოქალაქე მიწის ნაკვეთით. მეიჯარის უფლება, რომელმაც მიწის ნაკვეთი გასცა იჯარით, შეესაბამება მოიჯარის ვალდებულებებს, თავის დროზე გადაუხადოს მეიჯარეს იჯარის ქირა. საადგილმამულო სამართალურთიერთობები ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს მარეგულირებელი და სამართალდაცვითი. მარეგულირებელი სამართალურთიერთობები არის საადგილმამულო ურთიერთობები, დარეგულირებული მიწის სამართლის ნორმებით, რომლებიც გამოიხატება ურთიერთობაში მონაწილეთა მიერ პოზიტიური (დადებითი) მოქმედების შესრულებაში. საადგილმამულო ურთიერთობა შეიძლება იყოს მატერიალური (რომელიც წარმოიქმნება მატერიალური სამართლი ნორმების საფუძველზე) და პროცესუალური (პროცესუალური ნორმების საფუძველზე). მატერიალური სამართლებრივი ნორმები, ეს ისეთი ნორმებია, რომლებიც ადგენს საადგილმამულო სამართალურთიერთობათა მონაწილეების ვალდებულებებსა და რომელიმე არსებით სამართალს. საადგილმამულო ურთიერთობას, რომელიც ამ ნორმებს შეესაბამება, მატერიალური ჰქვია. სახელმწიფო ვალდებულია მიწების მართვის პროცესში დაიცვას როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო მესაკუთრის ინტერესი, ხელი შეუწყოს მიწის ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებების გატარებას. სახელმწიფოს, აუცილებლობის შემთხვევაში, უფლება აქვს ჩამოართვას მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი მისი საფასურის ანაზღაურებით. მეზობლები ვალდებული არიან, ანგარიში გაუწიონ ერთმანეთს მომიჯნავე ფართობის გამოყენების დროს, საჭიროა შეთანხმება, როცა ერთი მხარე აზარალებს მეორეს. საადგილმამულო ურთიერთობა უნდა აღვიქვათ არა როგორც მხოლოდ სტატისტიკური, არამედ ასევე დინამიკაშიც. საადგილმამულო ურთიერთობა შეიძლება წარმოიქმნას, შეიცვალოს და შეწყდეს. მათი განვითარება, მუდმივი მოძრაობა გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმებით. სამართლებრივი ნორმა მიუთითებს იურიდიულ ფაქტზე (მოქმედება, უმოქმედობა, მოვლენა და ა.შ.), რომელიც წარმოშობს ურთიერთობის მონაწილეთა გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს (მიწების მოზომვა, ჩამოჭრა, გამოყოფა, საზღვრების შეცვლა, ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, იჯარით გაცემა და ა.შ.). ამასთან, ის გამომდინარეობს საადგილმამულო ურთიერთობათა მოძრაობი ბუნებიდან. საადგილმამულო ურთიერთობის წარმოქმნის საფუძველია მიწაზე სხვადასხვა სახის გარიგების იურიდიული ფაქტი. საწყისია დაინტერესებული პირის განაცხადი, ნების გამოხატვა, შემდგომში – შეთანხმება, ხელშეკრულება ამ გარიგების აღსრულების თაობაზე. მიწათსაკუთრების, მიწათსარგებლობის ან მიწის იჯარით

მიღების უფლების ძირითადი დოკუმენტის მიღებისა და რეგისტრირების შემდეგ მიწის მესაკუთრე თუ მოსარგებლე უფლებამოსილია გამოიყენოს მიწა დადგენილი წესების შესაბამისად. მიწების გამოყენების დროს წარმოიქმნება სარენტო ურთიერთობები, ანუ ურთიერთობა, დაკავშირებული მიწის სავარგულების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავლების მითვისება-განაწილებასთან, ასევე შეიძლება წარმოიქმნას სამართალდაცვითი ურთიერთობები, როცა არსებობს ამა თუ იმ უფლებრივი რეჟიმის დარღვევის საშიშროება. ამდენად, საადგილმამულო სამართალურთიერთობათა წარმოქმნა და განვითარება ხდება მიწის სამართლის რეალურ ცხოვრებაში. ცვლილებები მიწის სამართალურთიერთობაში, რომლებიც ხდება მიწების გამოყენების პროცესში, ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ მოქმედებათა თუ მოვლენათა შემდგომი ევოლუციის პროცესსა და სამართლის განვითარებასთან. ასე მაგალითად, მოიჯარეს თუ გაუუარესდა წარმოების პირობები უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების გამო (გვალვა, წყალდიდობა და სხვა), უფლებამოსილია, მოითხოვოს ცვლილებების შეტანა ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ასევე მოიჯარე, მიწის ნაყოფიერების გაზრდის შემთხვევაში, მოითხოვს ხელშეკრულების გადახედვას და სხვა. საადგილმამულო სამართალურთიერთობათა კომპლექსის შეწყვეტა ხდება კონკრეტული მიწის ნაკვეთის გამოყენების შეწყვეტის ერთდროულად. ასეთი შეწყვეტის საფუძველია ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გაყიდვის შესახებ ან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის აუცილებლობის შესახებ. მიწის სამართალურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს (იურიდიული ფაქტი) მიწის მესაკუთრის ან მოსარგებლის გარდაცვალება ან იჯარის ვადის გასვლა. უარის თქმა მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე და ა.შ. საადგილმამულო სამართალურთიერთობის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიძლება ნაკვეთის ნაწილი ექვემდებარებოდეს გარკვეული ღონისძიების გატარებას, გაყიდვას, განუქებას, ჩამორთმევას და სხვა.

**ბამოყენებული ლიტერატურა**

1. აგრარული რეფორმა და მისი გატარება ცხოვრებაში. ეროვნული სემინარის მასალები, თბილისი, 2002.
2. აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პირველი და მეორე რივის ღონისძიებათა შესახებ. თბილისი, 2002.
3. ანდლულაძე რ., დოღონაძე გ. საქართველოს მიწის ფონდი და მათი ინტენსიურად გამოყენების გზები. თბილისი, 1987.
4. ბურკაძე ვ. აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ტ. III.
5. დოღონაძე გ. მიწის რეფორმის მიმდინარეობის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. შრომათა კრებული, ტ. I. (XXVI), თბილისი, 1998.

*Narimanishvili Eter*

**JURIDICAL BASIS OF LAND USAGE AND SECURITY  
SUMMARY**

Thus, agricultural policy of the country has one main reason to increase agriculture and satisfied inhabitant's require about the food production. Using the land is possible with the other factors, in this case the area, borders, shape and locations have the great role. As aboard as in Georgia land location is regulated by the government. This kind of regularity is called sanitary and hygienic rules, nature security complex activities, limited plans of the land and regularity of relationship between the neighbors.

**მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების  
პერსპექტივები საქართველოში**

მეხილეობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მეხილეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, ამავე დროს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის. ხეხილის ნარგავები საქართველოს ყველა რაიონშია, მათ შორის ისეთ მაღალ რაიონებში, როგორცაა ყაზბეგის, ბოგდანოვკის, მესტიისა და სხვა, მაგრამ მათ აქ მეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი. საქართველოში ხეხილის ნარგავების ტიპები ორნაირია და წარმოდგენილია როგორც მთლიანი ბაღების, ისე ცალკე ნარგავობათა ერთეული ძირების სახით. ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მიხედვით, მეხილეობა საქართველოს რაიონებში მეტ-ნაკლებადაა განვითარებული. მეხილეობის ძირითად რაიონებში ხეხილი მეტ-წილად გაშენებულია მთლიან ფართობებად და დიდ მასივებად, ამავე დროს, აქ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ცალკე ნარგავებიც. იმ რაიონებში, სადაც მეხილეობა დამხმარე დარგია, ნარგავების მეტი ნაწილი ერთეული ძირებისაგან შედგება. ხეხილის ბაღების ყველაზე დიდი საერთო ფართობია შიდა ქართლში, სამხრეთ ოსეთის დაბლობის ზონით, აქ თავმოყრილია ქვეყნის მთელი ნარგავობის თითქმის მესამედი. მეხილეობის ცალკეულ ზონებს შორის, მათი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების შესაბამისად, განსხვავდება ხეხილის ჯგუფების შეფარდება. კურკოვანი ხილის ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდია თბილისის საგარეუბნო ზონაში – ქვემო ქართლში, აქ კურკოვნებს მთელი ფართობის მესამედი უჭირავს, დიდია კურკოვანი ხეხილის ხვედრითი წონა, აგრეთვე, იმერეთში, აფხაზეთსა და კახეთში. კაკლოვნები გავრცელებულია და დიდი ხვედრითი წონა აქვთ ხეხილის ბაღების საერთო ფართობში, უმთავრესად შავიზღვისპირა ზონებში: გურიაში, აჭარაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. ამ მხარეში კაკლოვნებიდან უმთავრესად გავრცელებულია თხილის კულტურა. ქვეყნის დანარჩენი ზონებიდან კაკლოვნებს შედარებით ხვედრითი წონა აქვთ კახეთში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ამ სამ ზონაში უმთავრესად გავრცელებულია კაკლის კულტურა. ხეხილის კულტურების უმრავლესობა ყველა რაიონში გვხვდება, გამონაკლისს შეადგენს ქართლის რაიონები, სადაც, შედარებით მკაცრი კლიმატური პირობების გამო, თითქმის სრულიად არ არის სუბტროპიკული კულტურები – ლეღვი, ბროწეული და სუბტროპიკული ხურმა. ქვეყნის მეხილეობის ძირითადი ზონების (შიდა ქართლი, მესხეთი) ხეხილის ბაღებში უმთავრესად გავრცელებულია ვაშლის კულტურა, ამ რაიონებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე მსხალსა და ქლიავს, სუსტადაა წარმოდგენილი კაკალი, ხოლო თხილის კულტურა თითქმის არ გვხვდება. ხეხილის ბაღების პასპორტიზაციის დროს აღირიცხა აგრეთვე მთლიანი ბაღების სარწყავი ფართობები, როგორც ცნობილია, საქართველოს მეხილეობის ძირითად ზონებში – ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და მესხეთში ატმოსფერული ნალექების სიმცირისა და წლის პერიოდების მიხედვით მათი არათანაბარი განაწილების, აგრეთვე, ხშირი და ძლიერი ქარების გამო, ხეხილის ბაღების მორწყვა აუცილებელია. ქვეყნის დანარჩენ რაიონებში ხეხილის ნარგავები ურწყავადაც ხარობს, მაგრამ ზოგიერთ წელს საჭიროებს მორწყვას. სარწყავი ხეხილის ბაღები ყველაზე მეტია შიდა ქართლსა და სამხრეთ ოსეთის ზონაში, შემდეგ მესხეთსა და ქვემო ქართლში. ქვეყნის სხვადასხვა ზონების ხეხილის ბაღებში ნარგავების სიმეჩხრე მეტ-ნაკლებია, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თვალსაჩინოდ დიდია სიმეჩხრე მეხილეობის მთავარ ზონებში. ყველაზე მეჩხერი ნარგავები აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის ზონაშია, სადაც, მიუხედავად ხეხილის ნარგავების საერთო სიმცირისა, სიმეჩხრე აღწევს მთელი ნარგავების თითქმის მეოთხედს. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია განვლილ შვიდწლეულში ხეხილი ბაღების გაშენების მეტად დიდი, არსებულ

შესაძლებლობებთან შეუფერებელი გეგმიური დავალებებით, რომელთა შესრულებისათვის მეურნეობები ხშირ შემთხვევაში იძულებულნი იყვნენ დაერღვიათ ხეხილის გაშენებისა და შემდგომი მოვლის სავალდებულო აგროწესები. მიუხედავად იმისა, რომ მეხილეობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და მთელი რიგი რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაინც მისი განვითარება არ არის სასურველი და შესაძლებელ დონეზე. მეხილეობის ცალკეული ზონებისა და მეურნეობების კატეგორიებს შორის მიღებულ პროდუქციაში ხეხილის ჯგუფების მიხედვით თვალსაჩინო განსხვავებაა, რაც ნარგავების ჯგუფობრივი შედგენილობისა და ხილის მოსავლიანობის სხვაობიდან გამომდინარეობს.

საქართველოს ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები ფართო შესაძლებლობას ქმნის ქვეყნის უმრავლეს რაიონებში მაღალი ინტენსიური, მრავალდარგობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ამასთანავე, ბუნებრივი პირობების თვალსაჩინო სხვაობა იწვევს განსხვავებულ ზონებში ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო დარგის ან კულტურის უპირატესი განვითარების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობას. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისას, რაც ამჟამად ერთ-ერთ ძირითად ამოცანადაა მიჩნეული, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის შემდგომ დახვეწასა და გაღრმავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის საკითხის დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კომპლექსური განვითარების აუცილებლობა ტექნიკურად და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული დარგების შეთანაწყოებით. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალდარგობრივი მეურნეობა გულისხმობს არა უნივერსალურს, არამედ ისეთს, რომელიც გარკვეულ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებში საუკეთესო შედეგს მოგვცემს, დამატებითი და დამხმარე დარგები კი რაციონალურად იქნება შეთანაწყობილი მთავარ დარგთან. საქართველოში მეხილეობა ამჟამად ფართოდაა გავრცელებული და მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკაში. ამავე დროს, გარკვეულადაა ჩამოყალიბებული მთელი რიგი რაიონები და მიკრორაიონები, სადაც ეს დარგი წამყვანია. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მეხილეობის სწორი განლაგების, შემდგომი გაღრმავებული სპეციალიზაციისა და პერსპექტიული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის დასახვა-შედგენა. საქართველოში მეხილეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით კარგი პირობებია და მას ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა არსებული შესაძლებლობა. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ საქართველოს მეხილეობის ძირითადი რაიონების უმრავლესობაში, მეხილეობასთან ერთად, კარგი პირობები აქვს აგრეთვე მევენახეობას, ამიტომ ცალკეული რაიონების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მისი განვითარებაც. მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ მეხილეობის განვითარების როგორც ქვეყნის, ისე რაიონული და ცალკეული მეურნეობების პერსპექტიული გეგმის შედგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტები, სახელდობრ: მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა, ქვეყნის ცალკეული რაიონების მნიშვნელობა და სასურველი ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების შესაძლებლობა, ხეხილის ბაღების გასაშენებლად შესაფერისი ფართობების არსებობა, მიწის მასივების ათვისების სიადვილე, როგორც პლანტაჟის გაკეთების, ისე ხეხილის ბაღების შემდგომი დამუშავების სამუშაოთა მექანიზებული წესით წარმოების შესაძლებლობის თვალსაზრისით და სხვა. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეხილეობის მიზანშეწონილი შეთანაწყოების აუცილებლობა სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებთან თითოეულ ზონაში, რაიონსა და თვით მეურნეობაშიც. ხეხილის ბაღების გაშენების გეგმის ცალკეული რაიონების მიხედვით დადგენისას

მხედველობაში მიიღება მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა, ახალი ხეხილის ბაღების გაშენების ტერიტორიული შესაძლებლობანი, ხარისხოვანი პროდუქტების მიღება და სხვა. ამ მომენტის გათვალისწინებით, გენერალური პრესპექტივებისათვის ყველაზე დიდი ფართობის გაშენება ნავარაუდევია შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, იმერეთში, კახეთში და სხვა. მეხილეობის პერსპექტიული განვითარების საკითხის დამუშავებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გასაშენებელი ბაღებისათვის ხეხილის ჯგუფების, კულტურებისა და ჯიშების სწორად შერჩევას, მათ განლაგებას ამა თუ იმ ზონის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. ხეხილის ჯგუფების შეფარდება ცალკეულ ზონაში, პირველყოფლისა, დამოკიდებულია არსებულ ბუნებრივ პირობებზე, რომელთაც ამ ჯგუფებში შემაჯავალი ხეხილის ცალკეული კულტურები განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ. გარდა ამისა კულტურის განვითარება ამა თუ იმ ზონაში გამოწვეულია ეკონომიკური პირობებით, როგორცაა ბაზრისა და ხილის გადასამუშავებელი ქარხნების სიახლოვე, გზების მდგომარეობა, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, სახელმწიფო დაკვეთა და სხვა. გენერალური პერსპექტივებით გათვალისწინებულია კურკოვანი კულტურების ხვედრითი წონის ამადლება იმ ზონებში, სადაც ამ ჯგუფის ხეხილისათვის ხელშემწყობო პირობებია. ეს გამოწვეულია კურკოვანი კულტურების მსხმოიარობაში ადრე შესვლით, ხეხილის სიუხვის უფრო სწრაფად გაზრდით. ამავე დროს, ამ კულტურების პროდუქცია შემოდის ადრე პერიოდში, როცა ხილის ნაკლებობა იგრძნობა.

საქართველოში გავრცელებული ხეხილის სახეობათა შორის 16 კულტურას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს და მათგან სასაქონლო პროდუქციას დებულობენ, მაგრამ ქვეყანაში ყველა ხეხილოვან კულტურას თანაბარი ხვედრითი წონა არ აქვს. ცალკე კულტურების ხვედრითი წონა ჯგუფების შიგნით ზონების მიხედვით დადგენილია ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით და გამოხატულია ფართობების პროცენტული შეფარდებით. თითოეული კულტურის ჯიშობრივი შედგენილობა დამოკიდებულია აგრეთვე ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებსა და სახელმწიფო დაკვეთაზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები მეტად ჭრელია, რითაც გამოწვეულია ხეხილის გავრცელებული ჯიშების სიმრავლე, რადგან ერთი და იმავე ჯიშის სამეურნეო ღირებულება ყველგან ერთნაირი არ არის. საქართველოს რაიონებში გავრცელებულია 100-ზე მეტი ვაშლის, მსხლის 60-მდე, კომშის 20-მდე, ქლიავის 30-ზე მეტი, ატმის 40-მდე, ბლის 16, ალუბლის 14, გარგარის 10, თხილის 15, ნუშის 15, ხურმის 10, ლედვის 30-ზე მეტი ჯიში და სხვა. სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია ვაშლის 18, მსხლის 15, კომშის 7, ქლიავის 9, ტყემლის 6, ბლის 8, ალუბლის 4, ატმის 20, გარგარის 5, თხილის 9, ნუშის 4, ხურმის 5 ჯიში. სტანდარტულ ჯიშებად გამოყოფილია მაღალხარისხოვანი, ბუნებრივ პირობებს შეგუებული კარგი გემური თვისებების ან მაღალი ტექნიკური ნიშან-თვისებების ჯიშები. თითოეული ზონისათვის სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილი ჯიშები უზრუნველყოფილია დამამტვრიანებლებით, რომლებიც შერჩეულია სტანდარტული ჯიშებიდან. პერსპექტივაში ხილის საერთო მოსავალი თვალსაჩინოდ გაიზრდება, ერთი მხრივ, მოსავლიანობის გადიდების, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდა ნარგავების თანდათან მსხმოიარე ასაკში შესვლასთან დაკავშირებით. არსებული ხეხილის ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი ბაღების გაშენებამოვლა, ხეხილის პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამადლება ერთნაირად დიდი მნიშვნელობის ამოცანებია. საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ბოლო პერიოდში მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეხილეობის, შემდგომ აღმავლობას და დასახული გეგმის წარმატებით შესრულებას.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ლ. მეხილეობა, თბილისი, 1984.
2. სეფიშვილი ფ. მეხილეობა. თბილისი, 1984.
3. ჭიპაშვილი ვ. მეხილეობა. თბილისი, 1984.
4. ქეშელაშვილი მ. მეხილეობა. თბილისი, 1988.
5. ვარძელაშვილი მ. მეხილეობა. თბილისი, 1988.
6. მორჩილაძე თ. მეხილეობა. თბილისი, 1988.

*Narimanishvili Eter*

## MODERN CONDITIONS OF HORTICULTURE AND PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA SUMMARY

Thus, economic conditions to develop the horticulture in Georgia is the best. Above mention issue has the great role but it is not developed with its high quality yet. We will foresee that viticulture is also developed in these regions where the horticulture has been developed. From all of them it would be better if we foresee development of the regions until we planned them. Of course it is needed to foresee arranging of horticulture and viticulture where will they produce and which zone, district and agriculture. The arrangements activities which are being done by our government will accomplice agriculture in Georgia especially horticulture. It will be the first steps to flourish our agriculture and complete our future plans successfully.

*ზურაბ ნოზაძე*

## სახელმწიფო ბუნებრივი ეროვნული პარკების და სახელმწიფო აღკვეთილი ტერიტორიების ბამოყენების და დაცვის საკითხები

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმს. საქართველო მდიდარია უნიკალური ბუნებრივი რესურსებით, გააჩნია უძველესი კულტურა, რომლის ჰარმონიული ათვისება და ბამოყენება საშუალებას მოგვცემს, მაღალ დონეზე ავიყვანოთ ტურისტული ინდუსტრია.

ტურიზმის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს სახელმწიფო ბუნებრივი პარკების და სახელმწიფო აღკვეთილი ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური ათვისება, მისი სრულფასოვანი დაცვა და განვითარება.

სახელმწიფო ბუნებრივი ეროვნული პარკი წარმოადგენს ტერიტორიას (ბუნებრივ კომპლექსს), რომელსაც გააჩნია ეკოლოგიური, ისტორიული, ესთეტიკური ფასეულობა, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების ხელსაყრელი შეთანაწყობა. ბუნებრივი ეროვნული პარკები იქმნება ამ კომპლექსების შესანარჩუნებლად, ერთდროულად რეგულარული ტურიზმისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფორმით დასვენებისათვის, სამეცნიერო გამოკვლევის ჩასატარებლად, ბუნებრივი გარემოს დაცვის მრავალი საკითხის გადასაწყვეტად. ბუნებრივი ეროვნული პარკის ტერიტორიას შეიძლება შეუერთოთ სხვადასხვა მიწათმოსარგებლეთა მიწები. მიწის ნაკვეთები, წიაღისეული, წყლის სივრცე, რომელიც შედის ბუნებრივი ეროვნული პარკის შემადგენლობაში, ბუნებრივი ობიექტები და კულტურული ლანდშაფტის ელემენტები, დაცულია ინტენსიური სამეურნეო ბამოყენებისაგან. ბუნებრივი ეროვნული პარკების ტყეები პირველი ჯგუფის ტყეებს მიეკუთვნება და სატყეო სამეურნეო საქმიანობის წარმოებისას განსაკუთრებული რეჟიმით ხასიათდება.

ეროვნული ბუნებრივი პარკები იქმნება მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე, განიხილავს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხებს.

ბუნებრივ ეროვნულ პარკებს ჰყავს ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი, ექსკურსიამდლოლი, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლები და დაცვის სპეციალური სამსახური.

სახელმწიფო ბუნებრივი ეროვნული პარკების ტერიტორიაზე (აკვატორიაზე) აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არღვევს ბუნებრივ კომპლექსებს ან ამცირებს ბუნებრივ და კულტურულ ფასეულობას ტერიტორიაზე, აგრეთვე ემუქრება ბუნებრივი ობიექტების შენარჩუნებას.

ბუნებრივი ეროვნული პარკების ტერიტორიაზე (აკვატორიაზე) ტარდება ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია ბუნებრივი კომპლექსების შენარჩუნების ან აღდგენისათვის, ადგილმდებარეობის ესთეტიკური მიმზიდველობის გაზრდისათვის, დამსვენებელთა ორგანიზებული დასვენების ფორმების გაუმჯობესებისათვის.

ბუნებრივი ეროვნული პარკების საზღვრებში ნებადართულია ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, რომელიც შეთანაწყობილია პარკების მიზნებთან – მეურნეობის ტრადიციული ფორმებით წარმოება, კუსტარული და სახალხო რეწვა, აგრეთვე ცალკეული ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია კუსტარულ და სახალხო რეწვასთან. ბუნებრივ ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს მუზეუმი და სხვა კულტურულ-განმანათლებელი ობიექტები, რომლებიც პასუხობენ პარკის ამოცანებს. ბუნებრივი ეროვნული პარკის ტერიტორია იყოფა დაცვისა და გამოყენების განსხვავებული რეჟიმის ზონებად.

პარკში გამოიყოფა ზონა ნაკრძალის რეჟიმით, სადაც აკრძალულია სამეურნეო საქმიანობა და მოსახლეობის დასვენების მოწყობა, ხოლო გამოყოფილია ზონა, მოსახლეობის ორგანიზებული მასობრივი დასვენებისათვის, სადაც განსაზღვრულია პარკის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება და მოკლედროითი დასვენება. ისინი აღჭურვილნი არიან ტურისტული ბილიკებით, საყურებელი ფართობებით, სქემებითა და ანშლაგებით ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, საყოფაცხოვრებო ობიექტების განლაგების შესახებ. პარკში გამოიყოფა ზონები მნახველების საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის, სადაც განლაგებულია კემპინგები, სასტუმროები, მოტელი, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და სხვადასხვა მომსახურების დაწესებულებები.

– ბუნებრივი ეროვნული პარკის დაცვის ორგანიზაცია აკისრია ღირექტორს. პარკის ყველა თანამშრომელი მოვალეა აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარკისა და პარკის რეჟიმის დაცვაში.

ბუნებრივი ეროვნული პარკები, გარდა ტურიზმისა და მოსახლეობის დასვენების, განმანათლებელი ფუნქციისა, სხვა ფუნქციებსაც ასრულებენ. მაგალითად, ბუნებრივი ლანდშაფტების და კულტურის ძეგლების დაცვას მის ტერიტორიაზე.

ბუნებრივი ეროვნული პარკების ორგანიზაცია უნდა გაგრძელდეს შემდგომაც და გეოგრაფიულად უფრო მეტი ტერიტორიები უნდა მოიცვას სხვადასხვა ზონებში.

**სახელმწიფო ადკვეთილი ტერიტორიები** წარმოადგენს ბუნებრივი ლანდშაფტის ნაკვეთს, რომლის დანიშნულებაა ბუნების კომპონენტების დაცვა, კვლავწარმოება და აღდგენა.

სახელმწიფო ადკვეთილი ტერიტორიები იქმნება მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე და დანიშნულების მიხედვით იყოფა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტერიტორიებად.

სახელმწიფო ადკვეთილი ტერიტორიები იქმნება განსაზღვრული დროით, რომელიც საჭიროა დასახული, აუცილებელი ამოცანის შესასრულებლად და აგრეთვე მუდმივი.



კოლმეურნეობები, სატყეო მეურნეობები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომელთა ტერიტორიაზეც წარმოიქმნა აღკვეთილი ტერიტორიები, მოვალენი არიან, დაიცვან მასში დადგენილი რეჟიმი.

აღკვეთილი ტერიტორიები თავისი ერთობლიობით ასრულებს ბუნებრივი რესურსების დაცვის, აღდგენის, კვლავწარმოების ფუნქციებს და იცავს საერთო ეკოლოგიურ ბალანსს.

თავისი დანიშნულებით სახელმწიფო აღკვეთილი ტერიტორიები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ლანდშაფტური, ანუ კომპლექსური – რომლის დანიშნულებაცაა განსაკუთრებული ფასეული ბუნებრივი ლანდშაფტებისა და კომპლექსების დაცვა და აღდგენა.

- ბიოლოგიური (ბოტანიკური და ზოოლოგიური) – ფასეული სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული დანიშნულების იშვიათი და გადაშენების პირას მდგომი მცენარეებისა და ცხოველების სახეობების დაცვა და აღდგენა.

- პალეონტოლოგიური – რომლის დანიშნულებაცაა წიაღისეულის ობიექტებისა და კომპლექსების ცალკეული სახეობების შენარჩუნება.

- ჰიდროლოგიური (ჭაობის, ტბის, მდინარის, ზღვის და სხვა) – რომლის დანიშნულებაცაა ფასეული წყლის წყაროებისა და კომპლექსების შენარჩუნება და აღდგენა.

- გეოლოგიური (ნიადაგური, ტორფის, მინერალური და სხვა) – მისი დანიშნულებაცაა ფასეული არაცოცხალი ბუნების ობიექტებისა და კომპლექსების შენარჩუნება.

სახელმწიფო აღკვეთილ ტერიტორიაზე შეიძლება ჩატარდეს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

აღკვეთილი ტერიტორიების რეჟიმი უნდა იყოს გათვალისწინებული რაიონის მიწათმოქმედების სქემაში. აღკვეთილი ტერიტორიების დაცვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივმა სპეციალურმა ინსპექტორებმა, ბუნების დაცვის სხვადასხვა დარგის თანამშრომლებმა და სპეციალისტებმა.

საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების გამო, გააჩნია დიდი პოტენციალი ტურიზმის განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ბუნებრივი ეროვნული პარკებისა და აღკვეთილი ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომ უფრო მოვიზიდოთ საზღვარგარეთის ტურისტები. ამ მიზნის მისაღწევად მეტი კაპიტალდაბანდებისა და ინვესტიციების ჩადება დაგვიჭირდება აღნიშნული ტერიტორიების გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Г. Я. Кукушкин. Государственное планирование природопользования. Москва „ Мысль” 1991.
2. Раяшкас Р. Л., Суткайтис В. Н. Окружающая среда и проблема планирования. Москва, „Наука”, 1981.
3. Урсул А. Д., Романович А. Л. Безопасность и устойчивое развитие, Москва, 1993.

*Nozadze Zurab*

### **PROBLEMS OF USE AND DEFEND OF STATE NATURAL NATIONAL PARKS AND STATE LIMITED TERRITORIES SUMMARY**

In the article there is discussed the important role of the state natural national parks and state limited Territories in development of tourism in Georgia. There are also given their use and defend questions in detail and their developing proposals.

## **DEVELOPMENT OF PENSION SYSTEMS OF UKRAINE AND GEORGIA IN CONDITIONS OF MODERN CHALLENGES**

**Introduction.** Pursuit of forming high social standards has become one of the outstanding features of modern society. Achievement of this goal requires considerable financial resources and is possible only providing advanced economy. Therefore the main problem, which researchers and academicians of Ukraine and Georgia are trying to solve, is search for universal (general) model of pension system. In addition to improvement in social security system, theoretically it must also contribute to efficient national economic development. Conceptual focus of modern pension system assumes diversified approach to formation of pension assets. Such approach allocates more uniformly responsibility for generation of future pension payments and has a more effective potential for raising their level. There are three main pension system types: obligatory state pension system (joint system of obligatory retirement insurance), defined contribution pension system and non-state pension system [1]. Depending on the features of economic and social development (and also on other factors) conceptual structures are being formed which include different pension system components that meet specific national requirements. However, in spite of apparent differences, pension system transformations take place in conditions of more widening of globalization processes in all areas of social development – from aggravation of crisis developments (negative demographic trends etc.) to global imbalances. All this predetermines existence of general problems. Such prominent researchers and academicians as G. Degtyarev, I. Sazonets, V. Shelest, Ya. Dyachenko, B. Zaitchuk, L. Kapitsa, Yu. Ivanov and many others devoted their works to the study of problems related to pension system development in modern conditions. At the same time, problems related to pension system development make many aspects of this process controversial. That is exactly why further studies are needed and are of immediate interest.

Thus, the objective of this paper is to review some aspects of the functioning of pension systems in Ukraine and Georgia in the context of contemporary society, to identify a scope of outstanding problems and to draft proposals for improvement of the concept of pension system reform in the line of efficient social and economic development.

**Problem description.** Within the framework of our study it should be pointed out that pension system reform is a part of transformational processes that take place in community. Pension system financial equilibration depends on stability and competitiveness of the economy and generally is based on labor relations. It was noted that growth of shadow economy took place in 1970-s and had been already basically formed at the moment of gaining independence by the countries under consideration [2, p. 69]. Under present-day conditions shadow economy metamorphoses vigorously and assumes new features. Both Ukraine and Georgia have selected mixed forms of basic pension security (pension coverage) in substitution of socialist system of social maintenance. Three-level pension system in Ukraine includes pay-as-you-go pension scheme and financial defined contributions of state pension insurance and also non-state pension schemes (personal pension plan) [3]. Its fundamental distinction has become introduction of insurance principles, which attached scale of pension to salary (income) level and years of insurance. As to pension system in Georgia, it also has obligatory state pension insurance system, which, as does the system in Ukraine, covers retirement, disability and survivor's pension insurance [4, 5]. In addition to this system, defined contribution pension system based on individual accounts of insured parties is developing. We must note that success of any type of pension system depends on the coverage by it of the community of participants. As a rule, fulfillment of this condition is determined by status in employment of economically active population, provided that this correlation is traced both within each specific period and in intergenerational cut-out. Thus, one of the main factors that specify pension system conceptual features is demographic situation, the main parameters of which are shown in Table 1.

**Table 1. The main demographic characteristics of Ukraine and Georgia**

Parameter	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
Population (million):							
Ukraine (million):	47,3	46,9	46,6	46,3	46,1	45,9	45,7
Georgia (million):	4,3	4,4	4,4	4,4	4,3	4,3	4,2
Natural population growth factor							
Ukraine (per 1000 of population)	- 7,0	- 7,6	- 6,4	- 6,2	- 5,3	- 4,2	- 4,4
Georgia (per 1000 of population)	1,12	1,16	1,18	1,17	1,11	1,01	0,91
Labor force (million):							
Ukraine (million)	22,2	22,3	22,2	22,3	22,4	22,2	22,1
Georgia (million)	2,04	2,02	2,02	1,97	1,92	1,99	1,94
Employed (million):							
Ukraine (million)	18,7	18,9	19,0	19,2	19,3	18,4	18,4
Georgia (million)	1,78	1,74	1,75	1,70	1,60	1,66	1,63
Employment (% of workforce):							
Ukraine (%)	84,2	84,8	85,6	86,1	86,2	82,9	83,3
Georgia (%)	87,3	86,1	86,6	86,3	83,3	84,4	84,0
Numbers of pensioners:							
Ukraine, thousands	14348,0	14065,0	14050,0	13937,0	13819,0	13750,0	13721,0
Georgia, thousands	895,1	902,1	985,4	836,9	842,2	838,5	835,9

Sources: Asian Development Bank, State Statistic Committee of Ukraine, National Statistics Office of Georgia

Complementary analysis of parameters shows existence of similar negative demographic trends. All said above gives ground to insist on the opportunity of more and more growing impact of this factor on the development of pension systems of both countries. This speaks for necessity to work out strategy for demographic sanitation in the longer term. It is reasonable to note that potential for development of pension system in general is determined by the level of development of the economy. The main parameters of its development speak for financial capabilities to fulfill social functions of the state (see Table 2).

**Table 2. The main parameters of economic development of Ukraine and Georgia**


Parameter	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
GDP (official exchange rate, billion dollars):							
Ukraine (billion dollars)	2560	2630	2823	3048	3118	2658	2770
Georgia (billion dollars)	14,3	15,7	17,2	19,6	19,8	19,1	20,3
Growth rate of GDP, %:							
Ukraine, % against previous year	12,1	2,7	7,3	7,9	2,3	-14,8	4,2
Georgia, % against previous year	5,9	9,6	9,4	12,3	2,3	-3,8	6,4
GDP (per capita, PPP), thousands of dollars							
Ukraine, dollars	5,4	5,6	6,1	6,6	6,8	5,8	6,1
Georgia, dollars	3,3	3,6	3,9	4,4	4,5	4,3	4,6
Scale of pension							
Ukraine, dollars	78,3	80,6	94,7	148,8	116,7	125,1	140,9
Georgia, dollars/GEL	-/18	16,2/28	-/38	-/55	-/70	-/75	48/80
Average monthly nominal salary of							

employees:							
Ukraine, UAH	590,0	806,0	1041,0	1351,0	1806,0	1906,0	2239,0
Georgia, GEL	156,6	204,2	277,9	368,1	534,9	556,8	597,6
Average pension in nominal salary proportion, %:							
Ukraine, %	39,4	53,6	50,5	45,9	55,6	49,7	52,4
Georgia, %	11,5	13,7	13,7	14,9	13,1	13,5	13,4
Share of population under poverty threshold:							
Ukraine, %	65,6	56,3	49,7	27,2	16,1	15,5	23,9
Georgia, %	-	-	-	6,4	8,4	9,9	9,7

Sources: Asian Development Bank, State Statistic Committee of Ukraine, National Statistics Office of Georgia.


It is noted that direct correlation of the level of insurance payments and scale of pension makes pension system more reasonable and contributes to the cutback of such phenomenon as evasion of payments [8, p. 91]. It follows herefrom that the more inadequate is the correlation of parameters of insurance payments and scales of pension, the more participants of pension relations are inclined to avoid official effecting of employment relations and salary (income), reporting and paying insurance fees. This leads to significant negative consequences and has an impact on complication of procedures for administration of insurance payments in the Pension Fund offices through the need in strengthening the supervising function, increase in procedures for enforcement of declared liabilities and other negative factors shown in Figure 1.

**Figure1. Dependence of adequacy of pension system parameters and pension system administration**



It is noted that shadowing process of economic relations has evolutionary character. With part of business activity being transferred in electronic space and growth of share of incomes being formed in financial sector, manifestation of shadow relations in this and other areas increased considerably [9, p. 191-193] that affords ground to present them in a structured fashion as shown in Figure 2.

**Figure 2. Structural and logical diagram of shadowing in economy**



Sources: *Economic Statistics, the author's definition*

We may note that shadow areas, although they gravitate toward some kinds of activity, are spread to all economic relations. In the context of development of saving forms of pension insurance this bears considerable risks related to the problems of capitalization of pension assets. Development of modern forms of concealment of business activity and labor relations has an impact on formation of methods for their evaluation. It should be pointed out that pension system being a comprehensive structure reflects in it all manifestations of shadowing in the area of business activity which are shown through methods of evaluation in Table 3.

**Table 3. Methods for evaluation of shadow economy for the purposes of pension system functioning**


Methods	Scales of shadow economy shall be evaluated by means of the following	Reflection in pension system
<b>Integral:</b>		
- Commodity flows	Tracing commodities and services from producer to customer through use of data on resources, input-output balance, balances of certain type of production on the basis of quantities	Affords ground to define unrecorded labor cost (labor relations), concealed expenses for remuneration of labour (income) and pension liabilities
- Alternative evaluation of added cost of the branches	Evaluation of consumption of resources and production output taking into account their specifics	Affords ground to define unrecorded labor cost (labor relations), concealed expenses for remuneration of labour (income) and pension liabilities
- Alternative calculations of households	Correlation of incomes and costs for certain commodities and produce	Affords ground to define unrecorded labor cost (labor relations), concealed expenses for remuneration of labour (income)
<b>Indirect:</b>		
- Data on employment and labor force survey	System information gathering from different official sources of account of work, any other status of a person	Affords ground to define balance of business activity (employment)
- Data of administrative sources	System information gathering from different official sources of account of	Affords ground to define scopes of business activity, non-recorded labor costs (labor

	other objects participating in business activity (earth, structures and others)	relations) and concealed expenses for remuneration of labour (incomes)
- Data on volume of employment in certain kinds of professional activities	By calculating volume of work done and services rendered	Affords ground to define scopes of business activity, non-recorded labor costs (labor relations) and concealed expenses for remuneration of labour (incomes)
- Data of special inspection of households	By polling of acquisition expenses (definite kinds of commodities, services)	Affords ground to define balance of income and expenditure
- Data of comparative analysis of expenses and output of products	By comparing with economic entities in respect to similar kinds, volumes, types of ownership and others	Affords ground to define scopes of business activity, non-recorded labor costs (labor relations) and concealed expenses for remuneration of labour (incomes)
- Data of combined inspections of households and non-corporative enterprises	By comparative analysis of output of one kinds of products and consumption of other kinds of products	Affords ground to define scopes of business activity, non-recorded labor costs (labor relations) and concealed expenses for remuneration of labour (incomes)
- Data of state structures	By giving special information to be taken into account within staff authority	Affords ground to define scopes of business activity, non-recorded labor costs (labor relations) and concealed expenses for remuneration of labour (incomes)
<b>Macromodel:</b>		
- Global indicators	By estimating economic growth through correlation of output of industrial products and growth of consumption of primary resources	Affords ground to define unrecorded labor cost (labor relations), concealed expenses for remuneration of labour (income) and pension liabilities
- Monetary models	By analyzing demand for quick cash	Affords ground to define unrecorded labor cost (labor relations), concealed expenses for remuneration of labour (income) and pension liabilities
<b>Social</b>		
Correlation of pension and salary medium scale	By analyzing statistical indicators	Shows the measure of real correlation adequacy
Correlation of medium pension scale and living wage	By analyzing statistical indicators	Shows the measure of real correlation adequacy
<b>Subjective</b>		
- Q-data, public opinion polling data, application in person (say so) data	By evaluating by an individual any given aspects of business activity, labor relations, remuneration of labour, social security system	Affords ground to define unrecorded labor cost (labor relations), concealed expenses for remuneration of labour (income) and pension liabilities and to evaluate adequacy of indicators being proclaimed

Sources: *Indicators of World Development, Economic Statistics, the author's definition.*

It should be stressed that labor and pension relations have their own specific character based on personal participation in the formation of labor relations, remuneration of labour and pension assets of all participants of the pension system. Thus, it follows that for efficient development of pension system one of the major problems is the right arrangement of actions for de-shadowing pension and related to them economic relations. We think that administration of this work must take into account specific character of these relations and cover the whole of their scope (see Figure 3).


**Figure 3.:**



Source: the author's definition

We point out that processes of shadowing economic and pension relations and respective breaches of a law are diversified in their nature. They potentially cover all areas of pension and economic system and endanger the adequate formation of pension assets (chances for implementation of citizens' constitutional rights for pension provision) in the longer term. To our opinion, this affords ground to insist on practicability of forming a concept for prevention of illegal activities in the area of retirement insurance (pension fund scheme) through special social institution – subdivision of social police. And it is reasonable that functions of this subdivision shall be focused on the following lines (shown in Figure 4)

**Figure 4. Focus of attention for social police**



Source: the author's definition

As a summary we may conclude that pension system mechanism as one of the instruments for improving efficiency of national social and economic development in the present-day conditions has not become a powerful means to activate and deshadow processes that take place in economics, business activity, labor relations and salary (income). It is hindered by a number of objective and judgmental factors which are beyond the frameworks of pension system and are comprehensive in their nature. In order to solve

the problems listed in this article we consider that it is necessary in the frameworks of pension system to do as follows:

1. To work out a strategy for optimization of demographics in the longer term.
  2. To specify a system of incentives to activate voluntary participation in all forms of retirement insurance (pension fund scheme).
  3. To extend methods for evaluation of shadow economy to the area of pension relations.
  4. To work out a concept for functioning of social police for prevention of illegal actions in the area of generating pension assets and implementation of citizens' constitutional rights on pension provision.
- Implementation of the above measures would enable to activate the process of development of all types of retirement insurance (pension coverage), to improve pension system financial stability, to activate economic activity of market participants and business entities, to deshadow labor relations and salary (income) that ensures improvement in social security of pensioners for the purposes of further social and economic development.

#### REFERENCES

1. Whitehous, E. *Pensions Panorama: Retirement-Income Systems in 53 countries*, Moscow, Ves Mir Publishers.
2. Dyachenko, Ya. (2006) 'Legalization of the economy in the system of macroeconomic regulation', *Finance of Ukraine*, 2, 68-77.
3. Verkhovna Rada of Ukraine (2003) 'Act of Ukraine dd. 09.07.2003 No 1058. On Obligatory National-Level Retirement Insurance' accessed at <http://zakon1.rada.gov.ua>, 19. 03.12.
4. Insurance and Pension assessment. Georgia accessed at [http://www.google.ru/wrl&sa=t&ret=jeq=pension\\_reform](http://www.google.ru/wrl&sa=t&ret=jeq=pension_reform), 22. 03.12.
5. Asian Development Bank. Pensions and Pension Reform in Georgia accessed at <http://beta.adb.org/publications-and-pension-reform-georgia>, 16. 03.12.
6. State Statistic Committee of Ukraine accessed at <http://www.ukrstat.gov.ua>, 24.03.12.
7. National Statistics Office of Georgia accessed at [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=149&lang=eng](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=149&lang=eng), 02.04.2012.
8. Holzmann, R., Hinz, R. (2005) 'A warm Existence in Old Age in the 21<sup>st</sup> Century; Pension Systems and Reforms in International Perspective', accessed at [http://siteresources.worldbank.org/INTPENSIONS/Resources/Old\\_Age/\\_nc\\_Supp\\_Full\\_Rus.pdf](http://siteresources.worldbank.org/INTPENSIONS/Resources/Old_Age/_nc_Supp_Full_Rus.pdf), 18.03.2012
9. Shelest, V. (2007) 'Shadow financial operations: types and ways of prevention', *Topical Problems of the Economy*, 3, 190-195.
10. Kapitsa, L. (2008) *Indicators of World Development*, Moscow, MGIMO(U) (Moscow State University for International Relations) Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation.
11. Ivanov Yu (2006) *Statistical Economics*, Moscow, Infra-M.

#### ზურაბ რევიშვილი

#### საქართველოს აბრარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიის დადგენისა და განხორციელების აქტუალური საკითხები

აგრარული მოდელის სწორად დადგენას და სათანადო სექტორული და ქვესექტორული სტრატეგიების განხორციელებას, ჩვენი აზრით, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამ ქმედებებზე დამოკიდებული ქვეყანაში არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარება და სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა, არამედ სოფლის მოსახლეობის მიგრაციის, როგორც ქალაქებში, ისე ქვეყნის გარეთ, შეჩერება, მთლიანად სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური განვითარება.

აგრარული პოლიტიკის მოდელის დადგენა, რაც საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული იდეების, მოსაზრებების განხილვას და



კრიტიკულ შეფასებებს, არგუმენტირებული პოზიციების გაზიარებას, გააზრებას, შეჯერებას და ქვეყნისათვის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას უნდა დაეფუძნოს. შერჩეული მოდელის დანერგვა და სათანადო სტრატეგიის განხორციელება დამოკიდებულია ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტი) მიერ სათანადო კანონების მიღებასა თუ მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებებზე, რადგან სწორედ სათანადო კანონმდებლობით მიიღწევა აგრარული მოდელის თვისებრივი ჩარჩო-პირობების ფორმირება.

ქვეყნის აგრარული მოდელის ფორმირება ასევე დამოკიდებულია ეროვნული დონის გადაწყვეტილებებზე, მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე, მაკროეკონომიკურ ჩარჩო-პირობებზე, ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს მთლიანად აგრარული სექტორის თუ მისი ქვესექტორების ეფექტურ ფუნქციონირებას. სათანადო აგრარული მოდელის ფორმირებასა და სტრატეგიის განხორციელებაში განმსაზღვრელი როლი უკავია სამთავრობო ქმედებებს, მის მიერ გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებასა და ეტაპობრივ განხორციელებას.

აგრარული მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ისტორიული განვითარების თავისებურებებს, ბუნებრივ-გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ყოფით პირობებს, ადამიანთა ფსიქო-სოციალურ და ეთნო-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ ხასიათს, ადამიანთა კოლექტივისტურ თუ ინდივიდუალისტურ პრიორიტეტებს; საქმიანობათა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციულ-ორგანიზაციულ ფორმებს და სხვა. ერთ-ერთი საუკეთესო ორიენტირი მოდელისა და სტრატეგიის განსაზღვრისას, სტრუქტურული ცვლილებების დაგეგმვისას, არის სექტორის შედარებითი ბუნებრივ-კლიმატური უპირატესობა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოო მიმართულებების განვითარებაში, რომლებსაც შეუძლიათ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განაპირობონ მსოფლიო ბაზრებზე სექტორის ეფექტური კონკურენცია.

ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო განვითარების ეროვნული საბჭო, რომელშიც უნდა გაერთიანდნენ სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის ეკონომიკური მოდელირების წამყვანი, ავტორიტეტული სპეციალიტები, შინამეურნეობების (გლეხები, ფერმერები) თუ აგრობიზნესის, დამოუკიდებელ ექსპერტთა და ხელისუფლების ღირსეული წარმომადგენლები. ეროვნული საბჭოს უპირველეს მიზანს უნდა შეადგენდეს ქვეყნის აგრარული მოდელისა და სათანადო სტრატეგიების შემუშავება, სექტორის პრობლემების დადგენა რეგონებსა და ქვეყნის დონეზე და მათი დაძლევის რეგონული თუ ეროვნული გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და მთავრობისათვის შეთავაზება.

აგრარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, ორ პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას უნდა შევხვით [4, გვ. 605-609]. პირველის მიხედვით, საჭირო არ არის აგრარული პოლიტიკის აქტიურად განხორციელება; აგრარულ სექტორში ჩაურევლობა, მისი მიშვება განაპირობებს აგრარული სექტორის თავისუფალი განვითარების სტიმულირებას, თვითრეგულირებას. ასეთი ზრდის პერსპექტივის ორიენტირად მიიჩნეოდა კარგად ფუნქციონირებადი ბაზრების როლი და მწარმოებელთა აქტიური ქმედებები. ამ თვალსაზრისით, გადაჭარბებული პოლიტიკა უშედეგოა ფერმერებისათვის და მხოლოდ ფასების რეგულირებითა და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებით მიიღწეოდა სექტორის განვითარება.

პრინციპულად განსხვავებულ პოზიციას ავითარებენ აგრარულ პრობლემათა საკითხებზე მომუშავე ცნობილი დასავლელი ეკონომისტები [1, გვ. 566-593; 2, გვ. 107-183; 3, გვ. 15-32; 425-47]. მათი მიდგომები პრინციპულად საპირისპიროა თავისუფალი საბაზრო მიდგომის და სექტორში ჩაურევლობისა, ისინი წინა პლანზე აყენებენ სახელმწიფოს წამყვან როლს აგრარული სექტორის სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარების ხელშეწყობაში; ამახვილებენ ყურადღებას სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებაზე,

ისეთი სტრატეგიის განხორციელებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნის მაღალ სტრუქტურებს, მაღალ დასაქმებას, სიღარიბის შემცირებას; თვლიან, რომ სოფლის მეურნეობას შეუძლია ითამაშოს მრავალმხრივი როლი; საუბრობენ დაბალანსებულ ზრდაზე, “ურთიერთდაკავშირებულ სტრატეგიებზე”, რომელიც ავითარებს სურსათის წარმოებას და, ამავე დროს, ხელს უწყობს მთლიანად ქვეყნის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი და სხვ.) ეფუძნება “ფართოსაფუძვლიან” სტრატეგიას, რომლის მიზანია მთლიანად სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდება და ფერმების უმეტესობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფერმების, მაქსიმალურად მოცვა [2, გვ. 107-118].

აღნიშნულ ქვეყნებში ცდილობენ, შეამცირონ და აღმოფხვრან სიღარიბე სოფლის მოსახლეობაში. ამგვარი სტრატეგია ხელს უწყობს “უნიმოდელური”, ერთსტრუქტურული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამკვიდრებას და გაძლიერებას, ეხმარება მცირე ზომის ფერმებს სამუშაო ძალის მაქსიმალურად ჩართვასა და მიწის რაციონალური გამოყენების გზით წარმოების ნაყოფიერების ზრდაში. ამგვარი სტრატეგია ხელს უწყობს ადვილად გაგრძელებადი სიახლეების, ისეთი, როგორიცაა მაღალპროდუქტიული თესვებისა და სასუქების რაციონალურად კომბინირების დამკვიდრება და მარტივი წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფა. ამ ტექნოლოგიებს აქვთ სწრაფი გაგრძელების ტენდენცია სხვადასხვა ზომის ფერმებს შორის. ამგვარად, ეს სტრატეგია მიისწრაფის, მოიცვას მცირე და საშუალო ფერმების უმეტესი ნაწილი, რომლებიც წარმოადგენენ მუდმივად მნიშვნელოვან უმრავლესობას. თუ ფერმების უმრავლესობას აქვს 1 ჰა ან ნაკლები მიწა, სიახლეები სწორედ ამგვარი მცირე ზომის მეურნეობაზე უნდა იყოს მისადაგებული. ეს არ ნიშნავს, რომ მან არ მოიცვას საშუალო ან მსხვილი ფერმა, მაგრამ უმთავრესი აქცენტი მაინც უნდა გაკეთდეს მცირე ზომის ფერმებზე.

“ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგიის საპირისპიროდ, რიგი ქვეყნები ეწვიან “დუალისტურ”(ორმხრივი) სტრატეგიას [2, გვ. 149-153]. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და რიგი სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნები. დუალისტური სტრატეგია განაპირობებს “ბიმოდელურ”, ორსაფეხურიანი, ორდონიანი სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას. იგი გულისხმობს მცირე რაოდენობის მსხვილი მიწათმფლობელების და დიდი რაოდენობის მცირე გლეხური მეურნეობების არსებობას. “დუალისტური” სტრატეგია აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე და სრულიად იგნორირებს, არ ითვალისწინებს მცირე, გლეხური მეურნეობების პრობლემებსა და საჭიროებებს. ქვეყნები, რომლებიც ამგვარ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიას ახორციელებენ, ვერ ახერხებენ სოფლად ფართოდ გაგრძელებული სიღარიბის დაძლევას და მთლიანად სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

აგრარული მოდელის მნიშვნელოვან ელემენტებს შეადგენს: მიწის ბაზრის რეგულირების ფორმები და მექანიზმები, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების პრინციპები, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმებისა და ზომების განსაზღვრა, სასოფლო მეურნეობების სავარგულების მინიმალური და მაქსიმალური ზომების დადგენა, მეურნეობების ოპტიმალური ზომების ფომირებისათვის ხელშეწყობა და სხვა [5]. აგრარული მოდელი მნიშვნელოვნად განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, მიწის საკუთრებისა თუ საიჯარო ფორმების დომინირებით. საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მინიმალური და მაქსიმალური ზომები, იჯარით გაცემული ფართობების ზღვრული ოდენობები და მნიშვნელოვანწილად სატყეო დანიშნულების მიწების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები და პირობები აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტებია.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა ახორციელებს მიწის ბაზრის კონტროლს [5, გვ. 231-239]. არიან ქვეყნები მიწის ბაზრის ლიბერალური რეჟიმით, უფრო გაადვილებული მიწის ყიდვა-გაყიდვითა და საიჯარო ურთიერთობებით, თუმცა ამ ქვეყნებშიც არის შეზღუდვები. დასავლეთევროპული ქვეყნების კანონმდებლობა, ძირითადად, უარყოფითადაა დამოკიდებული იურიდიულ პირებზე მიწის გაყიდვის საკითხისადმი. უმეტეს ქვეყნებში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სოფლის მეურნეობის განხორციელებისათვის სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.

უმრავლეს ქვეყნებში არ არის დაპირისპირება მიწაზე საკუთრებისა და იჯარის ფორმებს შორის. ქვეყნების გამოცდილებები ცხადყოფს, რომ მიწათსარგებლობის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია როგორც ერთი, ისე მეორე ფორმით და ეკონომიკურად თუ იურიდიულად, არ უნდა იზღუდებოდეს რომელიმე მათგანი. თითოეულ ქვეყანაში ამ საკითხის გადაჭრა ეროვნული პირობებიდან და მეურნეობრივი მიზანშეწონილობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლების მქონე რიგი ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაში მიწის ყიდვის ან იჯარის უფლების მისაღებად მიდევალი ან მოიჯარე უნდა იყოს ადგილობრივი მცხოვრები, მას უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლება, ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება; ასევე, აშკარად შეიმჩნევა მსხვილი მიწათმფლობელური სისტემების დაშლის ტენდენცია, რათა ცალკეული პირების ხელში არ მოხვდეს მიწის დიდი მასივები.

სსრკ-ს დაშლის შემდგომ, საქართველოს, ისე, როგორც სხვა რესპუბლიკებს, უნდა გადაეწყვიტა სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, რეფორმირების საკითხი, რომლის სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, პოლიტიკოსთა და მეცნიერთა შორის არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები, რაც იმ პერიოდისათვის მოითხოვდა ამ საკითხის მეცნიერულ განხილვას, პოზიციათა შეჯერებას და ქვეყნის ინტერესის მომცველი სათანადო აგრარული წესრიგის პოლიტიკის შემუშავებას.

საქართველოში 1992 წელს, ყოველგვარი კონცეპტუალური თუ სტრატეგიული გააზრების გარეშე, დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევი განაწილება და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ქონების გაუაზრებელი დაშლა და, ხშირ შემთხვევაში, ძარცვაც. მიწების განაწილების პროცესი, ნაჩქარევად განხორციელების გამო, მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობდა. მთლიანად განაწილების პროცესმა აჩვენა, რომ ის თითოეული რეგიონისათვის საჭიროებდა სათანადო გააზრებას და კონკრეტული მიწის რესურსების და სავარგულების გაადგილების, სარგებლობის პირობების სრულად გათვალისწინებას. ასევე, უნდა განსაზღვრულიყო სასოფლო შინამეურნეობების ოპტიმალური ზომები როგორც ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე.

საქართველოს სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლზე გაანგარიშებით, საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 3,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (გაანგარიშებულია 2003 წ. სავარგულების მთლიან ფართობზე – 3023,5 ათას ჰა-ზე), აქედან დაახლოებით 1,38 ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,51 ჰა სათიბ-საძოვარი. ფაქტობრივად 2003 წელს (1 აპრილისათვის) სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლს, პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთების (0,15–0,25 ჰა) ჩათვლით, საკუთრებაში გადაეცა 690,1 ათასი ჰა ფართობი (საშუალოდ – 0,89 ჰა); ამ პერიოდისათვის მთლიანად საქართველოში საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მთლიანი რაოდენობის 25,2%. ამასთან ერთად, 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა (საშუალოდ -11,8 ჰა) და 4,2 ათას იურიდიულ პირზე გაიცა 432,0 ათასი ჰა (საშუალოდ – 102,9 ჰა) [6, გვ. 1-3. 7 გვ. 1-4].

საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2% ფლობდა 0,5 ჰა-ზე ნაკლებს; 0,5-0,99 ჰა მიწას ფლობდა მეურნეობების 32% ე.ი. 1 ჰა-ზე ნაკლებს ფლობდა მეურნეობების 75,2%; მეურნეობების მხოლოდ 18,3%-ს გააჩნდა 1-1,99 ჰა-მდე; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა – შინამეურნეობების 1,4 %-ს. აღსანიშნავია, რომ სასოფლო მეურნეობების მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია და მნიშვნელოვნადაა ერთმანეთს დაცილებული [8].

უნდა აღინიშნოს, რომ “მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის” რეფორმირებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის საჯარო რეესტრში რეგისტრირების გადატანის შემდგომ შეუძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებისა და გადანაწილების საკუთრებითი თუ საიჯარო ფორმების ამსახველი ცვლილებების სტატისტიკური ინფორმაციის მოკვლევა. ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილების (საკუთრება, იჯარა; შინამეურნეობზე, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებზე, უცხოელ მოქალაქეებზე) ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის დადგენასა და პუბლიკაციას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა გააჩნია.

მიწის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ საქართველოს აგრარული პოლიტიკის მოდელი და სტრატეგია მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, სასოფლო შინამეურნეობათა საშუალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს მეტად დიდი მეურნეობების და შესაბამისად მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას. სავარგულების პრივატიზებისა თუ ყიდვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ და სოფლისმეურნეობრივი გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს როგორც საბაზრო ძალების ზეგავლენით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. ვფიქრობთ, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს ოპტიმალური ოჯახური მეურნეობების შენარჩუნებას. იგი არ უნდა უწყობდეს ხელს არც ძალიან მსხვილი მეურნეობების შექმნას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას.

საქართველოში, ჩვენი აზრით, გამომდინარე არსებული ვითარებიდან და სასოფლო შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან, საჭიროა მიწების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შინამეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ამავე დროს, ადგილობრივი მიწის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მიწის ზღვრული სიდიდე.

აგრარული სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების გაერთიანებისაკენ, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნისაკენ. ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მოსახლეობის საჭიროებების და მოთხოვნის შესწავლას, მარკეტინგული მომსახურების განვითარებას, სოფლად აქტიურად მოქმედი საკრედიტო კავშირების ორგანიზებას.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-სადემონსტრაციო სადგურები, რომლებიც განახორციელებენ ჯიშთა გამოცდას, შერჩევასა და დარაიონებას, სასელექციო სამუშაოების ჩატარებას. საჭიროა შეიქმნას და გაფართოვდეს სოფლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების და ტექნიკური მომ-

სახურების რაიონული ცენტრები, რომლებიც იტვირთავენ მცირე, საშუალო და მსხვილი შინამეურნეობების ინფორმაციულ, საკონსულტაციო და ტექნიკურ მომსახურებას, ხელს შეუწყობენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმარებიან ფერმერებს ტექნიკის შეძენასა და რემონტის განხორციელებაში, ახალი ჯიშების და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარე ბაზრებზე სწორ ორიენტაციაში.

აგრარულმა სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტულობის გადიდებას. მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. ამგვარი სასოფლო შინამეურნეობების გაერთიანებანი უნდა უადვილებდეს მის წევრებს ერთობლივად კრედიტების აღებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო მასალების ერთობლივ შეძენას, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოებასა და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. John W. Mellor & Bruce F. Johnston. "The Role of Agriculture in Economic Development". 1961. American Economic Review, Vol.51, no. 4, 1961.
2. T.P Tomich, P.K. Kilby, and B.F. Johnston. Transforming Agrarian Economies: Opportunities Seized, Opportunities Missed. Ithaca, New York: Cornell University Press, 1995.
3. Roger D. Norton. Agricultural Development Policy: Concepts and Experiences, Published: John Wiley & Sons Ltd, West Sussex, England, 2004; Cop.: FAO of the UN, 2004.
4. ზ. რევიშვილი. საქართველოს აგრარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიის განსაზღვრის საკითხისათვის. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დარსებიდან 65-ე წლისთავისადმი და აკად. პ. გუგუშვილის 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2010.
5. ზ. რევიშვილი. სასოფლო შინამეურნეობების ზომების სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამ.-ბა, თბ., 2008.
6. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2001 წ. მდგომარეობით, თბ., 2001.
7. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2003 წ. მდგომარეობით, თბ., 2003.
8. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

*Revishvili Zurab*

### **LIVE ISSUES OF DETERMINATION AND REALIZATION OF AGRICULTURAL POLICY MODEL AND STRATEGY OF GEORGIA SUMMARY**

Is proposed an idea to create National Agricultural Board, which shall take into consideration rural population interests, when elaborating and solving Georgian agricultural model and strategy.

The article analyzes some policy models and strategies, their importance for economic development; estimates effects of “dualistic agricultural strategy” and “broad based strategy” on the agrarian structure.

*რუსუდან სირბილაძე*

### **ეკონომიკის გლობალიზაცია და ტურიზმის განვითარება**

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა გლობალიზაციის პროცესშია. ამას არც ეკონომიკა ჩამორჩება. ყველა ქვეყანა ვაჭრობს სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციით. ეკონომიკური სუბიექტები ქმნიან და მოიხმარენ საქონელს და მომსახურებას. გლობალიზაცია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. აქედანვე მიმდინარეობს მსოფლიო საზოგადოების განვითარება თითქმის ერთნაირად. დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების უმეტესობა, ადრე თუ გვიან, სხვადასხვა სახით ხვდება გლობალიზაციის პროცესის ფარგლებში. საზოგადოების წევრებს თავისი ზოგადი წარმოდგენა და დადებითი ან უარყოფითი შეხედულება აქვს ამ პროცესის შესახებ. მეცნიერულ დასკვნებში უამრავი სხვადასხვა განმარტება გვხვდება, თუმცა საბოლოოდ გლობალიზაციაში თავმოყრილია 5 ძირითადი აუცილებლობა:

1. ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა;
2. გლობალური საერთო-საკაცობრიო პრობლემების აღმოცენება;
3. რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიოზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება;
4. ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესის გავრცელება მსოფლიოზე;
5. ქვეყნების მიერ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა.

ეს ზოგადი განმარტებები დეტალურად და ბოლომდე გლობალიზაციის არსს არ ხსნის და პასუხს არ სცემს ძირითად ეკონომიკურ პრობლემებზე: რა, როგორ, ვისთვის და ვინ. მრავალი ავტორის აზრით, გლობალიზაცია არის ურთიერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს წამყვან მოთამაშეს ან მოთამაშეთა ჯგუფს შეუძლიათ ისეთი პროცესების ინიცირება და მათზე ამა თუ იმ ჯგუფის გავლენის მოხდენა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებს მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე მსოფლიო მრავალი პრობლემის წინაშე დგას. 21-ე საუკუნეში დედამიწაზე განსაკუთრებული მოვლენები მიმდინარეობს. მათი შეფასება ძალიან რთულია, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდება. კერძოდ, დედამიწაზე კლიმატის ცვლილებას აქვს ადგილი. საინტერესოა ასევე რა მომავალი აქვს კულტურის გლობალიზებას საზოგადოებაში. გლობალიზაცია მოქმედი პროცესია, რომელიც ჩვენთვის უცნობი კანონებით ვითარდება. ბუნებრივი გარემოდ გაავლენას ახდენს საზოგადოების მენტალიტეტზე, კულტურის თავისებურებებზე, ტრადიციებზე, ფოლკლორზე. კულტურების ხელოვნური შერწყმით, მათი გაქრობისკენ სწრაფვით გლობალიზაციური პროცესების მმართველი მთავრობების საქმიანობამ კაცობრიობა შეიძლება კიდევ უფრო დიდი გლობალური პრობლემების წინაშე დააყენოს, ამის სიმპტომები მრავლადაა ლოკალური კონფლიქტების და სხვათა სახით. ამ საშიშროებაზე ამახვილებს ყურადღებას უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ილია მეორე. თავის ქადაგებაში ის ამბობს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საშიშ დროში, გლობალიზაციის დროს არსებობს სუბიექტი და ობიექტი, მაგრამ ქართველმა უნდა იცოდეს რისი დათმობის უფლებაც არ გვაქვს, ყოველივე ის წმინდა, რაც ჩვენს მამა-პაპას ჩვენთვის დაუტოვებია, ეს ეროვნული თვითმყოფადობაა, რისი დაკარგვის უფლებაც არც ერთ ქართველს არ აქვს. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები ადრინდელ მნიშვნელობას კარგავს. გლობალიზაცია ბუნებრივად იწვევს იმ

ხალხების და კულტურების ასიმილაციას და ზოგჯერ სრულ გაქრობას, რომლებიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არახალი მოვლენაა, ისტორიულად ცნობილი ყველა იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი, დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო, არ უნდა გვეშინოდეს ინტეგრაციის. საქართველოს დიდი ისტორია და გამოცდილება აქვს და, იმის მიუხედავად, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველო უძლიერესი იმპერიების გავლენას განიცდიდა, ღვთის ნებით და განგებით და ჩვენი წინაპრების ძალისხმევით არასდროს არ დაგვიკარგავს თვითმყოფადობა. გლობალიზაცია მჭიდრო კავშირშია ეკონომიკასთან, ეკონომიკა ადამიანთა ურთიერთობის სფეროა, სადაც ადამიანები ჩართულნი არიან ეკონომიკაში ან აწარმოებენ, ან მოიხმარენ პროდუქციას. პროდუქციის წარმოება ურთულესი პროცესია, სადაც მწარმოებელიდან მომხმარებელამდე საქონლის მიწოდება მრავალ მნიშვნელოვან საფეხურს მოიცავს. ამ საფეხურების წარმატებით გავლა ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას განაპირობებს. ეკონომიკური გლობალიზაცია, ანუ სამეურნეო და გაცვლითი ურთიერთ-თანამშრომლობა, ექსპორტი და იმპორტი მსოფლიოში დიდი ხანია დაწყებულია. გლობალიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ვაჭრობა, თუ ექსპორტ-იმპორტზე იქნება საუბარი, ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, რადგან მისი მიზანია ვაჭრობაში ჩართული მხარეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ამის გამო ხორციელდება გაცვლითი ურთიერთობები, რაც გლობალიზაციის პროცესში ექსპორტ-იმპორტში პოულობს ასახვას. ქვეყნებს გააჩნიათ აბსოლუტური და შედარებით უპირატესობები პროდუქციის წარმოებაში, ის პროდუქცია, რომელიც ქვეყანაში წარმოების დროს უფრო ძვირი ჯდება ვიდრე ამავე პროდუქციის სხვა ქვეყნიდან შემოტა, ასეთი პროდუქცია აუცილებლად იმპორტით უნდა შემოვიტანოთ. თუმცა თუ ქვეყანაში ისეთი პროდუქცია შემოდის, რომელიც ქვეყანაში წარმოებისას უფრო იაფი ჯდება, მაშინ ეს ეკონომიკის განვითარებას და გლობალიზაციას ხელს შეუშლის. თავისუფალი ვაჭრობა და გლობალიზაცია იძლევა იმის შესაძლებლობას რომ გათანაბრდეს სხვადასხვა ქვეყნების და სხვადასხვა მწარმოებლების შესაძლებლობები. გლობალიზაციას, როგორც წესი, პოლიტიკური ინსტიტუტები ეწინააღმდეგებიან, რადგან მათ სპეციალური ინტერესები ამოძრავებთ. სინამდვილეში, გლობალიზაციით სარგებელს იღებენ მწარმოებლები. ადამიანები, რომელთაც უფრო ფართო არჩევანი აქვთ, გლობალიზაცია მათ აძლევს შანსს, გადალახონ მათივე მთავრობების მიერ შექმნილი ბარიერები და იყვნენ მეტად თავისუფალნი. გლობალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების ხარისხთან. თანამედროვე ეპოქაში უდიდესი ადგილი უჭირავს ინტერნეტს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ინფორმაციები უფრო მოხერხებული ფორმებით მიაწოდონ ერთმანეთს, ასევე მიიღონ ინფორმაცია ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

მაღალი ტექნოლოგიები გლობალიზაციის პირობებს კიდევ უფრო აჩქარებს.

გლობალიზაციის ეკონომიკური ასპექტები დამოკიდებულია საერთაშორისო ინსტიტუტებზე, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციები. ეს ინსტიტუტები თავიანთი მისიით გლობალური ეკონომიკური პროცესების დახვეწასა და ხელის შეწყობას ემსახურება, რათა შემცირდეს ეკონომიკური კრიზისების ალბათობა და ხელი შეეწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი გზაა თანამედროვე ტურიზმის განვითარება, რამაც განაპირობა ტურისტული პროდუქტის შემუშავების აუცილებლობა, ტურისტული ნაკადების ფორმირება და ამ პროცესებთან დაკავშირებული საკითხების გააზრება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი იქნება ტურიზმის მდგომარეობის გეოგრაფიული გააზრება და განაწილება. თუმცა ამ

მიმართებით მსოფლიო პროცესების ზეგავლენით მუდმივი ცვლილებები მიმდინარეობს. ტურიზმის კვლევის დროს ქვეყნები დაჯგუფებულია არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით. გამოყოფენ 5 რეგიონს:

1. ევროპის რეგიონი – სადაც შედის ყველა ევროპული ქვეყანა, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, შუა აზიისა და ყაზახეთის ჩათვლით, ამ რეგიონში შედიან ხმელთაშუა ზღვისპირეთის ისეთი ქვეყნებიც, როგორებიცაა თურქეთი, კვიპროსი და ისრაელი.

2. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, ჩრდილო, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ავსტრალია და ოკეანის ქვეყნები.

3. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი – აზიის, დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ქვეყნები, ეგვიპტე და ლიბია.

4. აფრიკის რეგიონი – აფრიკის ყველა ქვეყანა, ეგვიპტის და ლიბიის გამოკლებით.

5. ამერიკის რეგიონი – ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნები.

რეგიონალიზაცია შესაძლებლობას იძლევა, ვიმსჯელოთ ტურისტულ სარეკრეაციო რესურსების კომპლექსზე და სატრანსპორტო შესაძლებლობებზე. რეგიონებს შორის არსებული ტიპოლოგიური განსხვავებები განაპირობებს ამ რეგიონების სხვადასხვა შესაძლებლობებს ტურისტული ნაკადების მიზიდვაში. რეგიონების სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა ზომით მონაწილეობას იღებს ტურისტული ბაზრების ათვისებაში.

რეგიონის ფარგლებშიც კი, განსხვავებული შესაძლებლობებისა და გამოცდილების გამო, არსებობს საერთაშორისო ტურიზმის ლიდერი და აუტსაიდერი ქვეყნები. ტურიზმმა ხელი შეუწყო ხალხთა კულტურული ურთიერთგამიდრების პროცესს. ასევე ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას, კეთილდღეობის ამადლებას, რასის, სქესისა და რელიგიის განურჩევლად, ასევე ადამიანის უფლებების საყოველთაო პატივისცემის გავრცელებას.

სხვა ქვეყანაში ან თუნდაც იმავე ქვეყნის სხვა რეგიონში ვიზიტი კულტურული კონტაქტის მრავალ შესაძლებლობას იძლევა. სწორად წარმოებული ტურისტული პოლიტიკა აუცილებლად მოითხოვს ტურიზმის ეკოლოგიზაციას, ანუ მომსახურების პროცესში ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებას. ახალი სასტუმროების დაპროექტება – მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი არქიტექტორები, დიზაინერები, მხატვრები, გამოიყენება ადგილობრივი მასალები, ხალხური შემოქმედებითი ტრადიციები, დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელი. ბევრ ქვეყანაში დაწესებულია შეზღუდვები, რომელთა თანახმადაც, სასტუმროში მომუშავე პერსონალის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი შეიძლება იყოს უცხოური წარმომავლობის, რაც გზას უხსნის ადგილობრივ კადრებს. ტურიზმი შეიძლება გახდეს ადგილობრივი სოცო-კულტურული გარემოს განვითარების საშუალება. ტურიზმისგან შემოსული თანხებით შეიძლება აშენდეს და შეკეთდეს სკოლები, გზები, საავადმყოფოები. ასევე ტურისტებისათვის მოწოდებული სხვადასხვა გასართობი ღონისძიება ალამაზებს მოსახლეობის ერთფეროვან ცხოვრებას. ყოველივე ეს წარმოაჩენს განვითარებად ქვეყნებს, ხოლო, რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, სოციალურ-კულტურული ზემოქმედება ნაკლებად მოქმედებს სტაბილური და მრავალფეროვანი ეროვნული ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებზე. ტურიზმს თავისი პრობლემებიც გააჩნია. ტურიზმი მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა თვითმყოფად ადგილობრივ კულტურაზე და ნერგავს მასობრივი ტურისტული ბაზრის უსახო კულტურას. სასტუმროების მშენებლობისას სამშენებლო კომპანია ყიდულობს ტერიტორიას, ანგრევს მასზე არსებულ ნაგებობებს, აშენებს სასტუმროებს, რომელსაც შემდეგ სხვა სასტუმრო კომპანია ყიდულობს. სასტუმროს მშენებლობის და



ექსპლუატაციის პროცესში კვალიფიციურ სამუშაოს ასრულებენ ჩამოსული სპეციალისტები, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცოტა და შავი სამუშაო რჩება.

თაობებს შორის გაუცხოება იზრდება, ახალგაზრდა თაობა უფრო ადვილად ეგუება ცხოვრების ახალ პირობებს, ვიდრე უფროსი თაობა, რომელიც ძირითადად ტრადიციული ღირებულებების მიმდევარია. თანამედროვე ტურიზმი ხელს უწყობს აქტიურ სოციო-კულტურულ გარდაქმნებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ცხოვრების ტრადიციული წესიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე ფორმებზე გადასასვლელად. ტურიზმის განვითარებას თანამდევნი ეფექტებიც აქვს. იზრდება დანაშაული, პროსტიტუცია, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე გარკვეული ფაქტორები ახდენს გავლენას. კერძოდ, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული და გეოპოლიტიკური. ზოგადად, ტურისტული ბაზარი მგრძნობიარეა როგორც მსოფლიოში, ასევე ცალკეულ რეგიონებში. ტურისტულ პროდუქტზე ფასების ზრდის ტემპი თუ ჩამორჩება ინფლაციის ზრდის ტემპს, მაშინ ტურიზმი ვითარდება, ხოლო თუ ფასების ზრდის ტემპი ტურისტულ პროდუქტზე უფრო მაღალია ინფლაციის ზრდის ტემპზე, ეს ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას. ბოლო საუკუნეებში, ტურიზმის უპრეცედენტო ზრდას, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ტურისტულ პროდუქტზე ფასების ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა ინფლაციის ზრდის ტემპს. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობა დღითიდღე იზრდება, თან მოჰყვება ტურისტულ პროდუქტზე – მოგზაურობასა და დასვენებაზე ფულის დახარჯვის და გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი. ბოლო დროს გამოიკვეთა მოგზაურობაში გადაბმულად ყოფნის ხანგრძლივობის შემცირების ტენდენცია. გამოიკვეთა იმ ადამიანთა რიცხვიც, რომელთაც სამოგზაუროდ წასასვლელად ყველაზე მეტი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ. ტურისტული ბაზრის განვითარებაზე გავლენას ახდენს ანაზღაურებადი შევებულებების ხანგრძლივობის ზრდა, წინა პერიოდებთან შედარებით პენსიაზე ადრეულ, იმიგრაციული შეზღუდვების შემცირება, მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობის შემცირება, გვიანი ქორწინებისა და უშვილო ოჯახების რაოდენობის ზრდა. ისე, როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც მაღლდება მოსახლეობის კულტურისა და განათლების დონე, ამან გამოიწვია სამეცნიერო, სპორტული, საქმიანი და სხვა პროექტების გაფართოების მდგრადი ტენდენცია, თანამედროვე ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის კონტაქტების გაფართოებას მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონთან, სწორედ ამაში მდგომარეობს ეკონომიკის გლობალიზაციის და ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა.

*Sirbiladze Rusudan*

## **GLOBALIZATION OF ECONOMY AND THE TOURISM DEVELOPMENT**

### **SUMMARY**

Modern world economy and politics are the process of globalization goes back from the second period of the twentieth century. Our society has its general opinioin about this process. Globalization focuses on 5 basic aspects. 1. Abolishing borders among countries, 2. Evolution of global problems, 3. Obtaining the power over the world. 4. Spreading any social process throughout the world. 5. Loosing its own cultural inheritance. Globalizacion is an active process. which is run by unknown Laws. National identification is such Kind of thing, that shouldnot be lost. No Georgian has the right to lose it. In the process of the world globalization, political and economic borders of the states lose its importance Globalization is very close to economy.

It gives the chance of equal possibilities to all enterpreneurs of different countries. Economic aspects of globalization depend on Inteenational Instituitors. Modern turizm development is one way of developofing

the international collaboration. It helps to develop peace and welfare despite race, gender and religion. tourism politics demands the ecologization of tourism, usage of ecological technologies with the help of money obtaining from tourism new schools, new hospitals, new motorways will be built different kind of entertaining programmes will be held that will develop economy on the whole.

*ბადრი სოსელია  
მზია ზუბიაშვილი*

### **საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სოციალურ-ეკონომიკური ბლოკალიზაცია**

საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (სსტ) ფუნქციონირების საკითხი არსებითად დაკავშირებულია მის სოციოლოგიურ ანალიზთან ქალაქის სფეროში. ფუნქციონირებს რა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, სსტ მოწოდებულია, უზრუნველყოს საზოგადოების მოთხოვნილება იაფი, მოხერხებული და ეკოლოგიური მობილურობით. ის წარმოადგენს ქალაქის არსებობის და განვითარების აუცილებელ ელემენტს და სტრატეგიულად მნიშვნელოვან სოციალურ რესურსს ქალაქის მომსახურების არსებობისა და ცხოვრების დონის უზრუნველყოფისათვის.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ სერიოზული ცვლილებები შექმნა ქალაქის ცხოვრებაში. თანამედროვე პირობებში ვლინდება წინააღმდეგობა ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სოციალური ინსტიტუტის ტრადიციულ ფუნქციებსა და მათი განხორციელების რეალურ შესაძლებლობებს შორის, რაც გამოიხატება მოსახლეობისათვის მისი სოციალური დანიშნულების შემცირებაში. საზოგადოებრივი ტრანსპორტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქალაქის სივრცის ტოტალური ავტომობილიზაციის პირობებში, რათა ის გახდეს ტრანსპორტის მობილურობის რეალიზაციის მზარდი პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი ფაქტორი [1].

ტრანსპორტის ობიექტებისა და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფაში გამოსატუმლა სამეცნიერო-ტექნიკურმა განვითარებამ, რაც ხელს უწყობს თანამედროვე ტრანსპორტზე ყველა ფენის ხელმისაწვდომობას, არათუ ვერ შეძლო სასურველი მობილურობის გაზრდა, არამედ ქალაქები მიიყვანა სოციალური საფრთხის ზღვარზე – მოძრაობის სიჩქარის შემცირება, საცობები, ეკოლოგიის დაბინძურება, ავარიები.

ამგვარად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის (სტ) დისფუნქციური ინსტიტუტი არა მარტო არ უზრუნველყოფს ქალაქის სივრცის კომფორტულ ორგანიზაციას, არამედ ზღუდავს ქალაქის მცხოვრებთა ძირითად ცხოვრებისეულ მოთხოვნებს: დრო, ფული, ჯანმრთელობა. მობილურობის ეფექტურობა მკვეთრად ეცემა და ცხოვრებისეულ სივრცეს მით უფრო მეტად განსაზღვრავს საცხოვრებელი ადგილი. არსებული სიტუაციის უბრალო ლოგიკური ანალიზიც კი საშუალებას იძლევა, გავიგოთ მიმდინარე სიტუაციის დისფუნქციის ძირითადი მიზეზები, როდესაც სტ ვერ ასრულებს თავის ამოცანას – მობილურობის უზრუნველყოფას, ხოლო მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ტრანსპორტის ფუნქციონირების გამოცდილება არ შეიძლება იყოს ჩვენი პრობლემების გადაწყვეტის დოგმა და მზა რეცეპტი. ცხადია, პრობლემის წყარო არსებობს არა ტექნიკურ, ორგანიზაციულ ან ეკონომიკურ სფეროებში, არამედ გამოდის საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების სფეროდან და წარმოადგენს სოციოლოგიური კვლევის საგანს.

ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების ცხოვრებაში აქტუალობას იძენს ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის როლისა და ადგილის სოციოლოგიური გააზრების, ცვალებადი მსოფლიოს პირობებში მისი ფუნქციონირების განსაკუთრებულობის გადახედვის აუცილებლობა.

სსტ-ის ინსტიტუტის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური კვლევის საფუძვლები ჩადებული იყო მ. ვებერის, ე. დიურკტემის და კ. მარქსის შრომებში.

სოციოლოგიის შექმნის პერიოდში საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეიცნობოდა როგორც "მგზავრების სივრცეში გადაადგილების საშუალება" (კ. მარქსი), "ინსტიტუტი, როგორც ქალაქის ფუნქციონირების დამხმარე" (მ. ვებერი), ძალა, რომლის არარსებობა "საზოგადოებაში იწვევს სიცარიელეს" (ე. დიურკტემი). XIX საუკუნის შუა წლებში უკიდურესად სუსტად განვითარებული სსტ აღიქმებოდა, როგორც გადაადგილების მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებელი სოციალური ინსტიტუტი, რომლის გარეშეც "მთელი ორგანიზმი (ქალაქი) გამოდიოდა წყობიდან" (გ. სპენსერი).

ტ. პერსონის სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა თეორიამ საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის როლი აამაღლა "სოციალურ სისტემაში სოციალური წესის აღდგენისა და შენარჩუნების უზრუნველყოფის" დონემდე "ინდივიდების ქცევის მარეგულირებელი განსაკუთრებული სრულფასოვანი ნორმატიული კომპლექსური სისტემის" საშუალებით. აქტიურად განვითარებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით მობილურობის უზრუნველყოფა გახდა "საზოგადოებრივად მიღებული ქცევის ნიმუში და აზროვნების ჩვევა" (ტ. ვებლენი), "სპეციფიკური სოციალური ნიმუშის დადგენა" (ე. ხიუზი). მ. კასტელსი, დჟ. ური და ფ. აშერი გვარწმუნებენ, რომ თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მობილურობის საკითხი იჩენს სულ უფრო მეტად განმსაზღვრელ ფაქტორს და ეს ტენდენცია უბრუნდება "სოციალური ცვლილების მძლავრ ვექტორს" (ზ. ბაუმანი) [2].

ე. გიდდენსის, პ. სოროკინის, პ. ბურდიეს და სხვათა ნაშრომები მობილურობის იდეიდან მივიდნენ სივრცის ათვისების იდეამდე. ამ უკანასკნელმა განსაზღვრა, რომ სივრცე არის განსაკუთრებით დეფიციტური თანამედროვე სიმდიდრე, ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი განსაზღვრა, როგორც კაპიტალის თავისებური ფორმა, სივრცის ათვისების ინსტიტუტი.

ქალაქის საზოგადოებრივი ინსტიტუტი გვევლინება როგორც სოციალური ფენომენი, რომელიც არის ქალაქის სივრცის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. მისი დანიშნულებაა ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მობილურობაში. ისტორიულად, სახელდობრ, სტ-მა და მისმა ინფრასტრუქტურამ ჩამოაყალიბა თანამედროვე ქალაქებისა და მეგაპოლისების სივრცობრივი კარკასი. სტ შეიქმნა და ინსტიტუციურად გაფორმდა საზოგადოების ფორმირების ადრეულ სტადიაზე, როგორც სატრანსპორტო მომსახურების ეკონომიურობისა და პროფესიონალიზმის ეფექტური საშუალება, მისი მნიშვნელობა იზრდებოდა ქალაქების ზრდასთან ერთად. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა და სამეცნიერო-ტექნიკურმა განვითარებამ განაპირობა მობილურობის სწრაფი და სრული ინდივიდუალობა. სტ-ის მდგომარეობა ქალაქის გარემოს მიმზიდველობისა და ჰუმანურობის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია.

სსტ-ის ინსტიტუციური მსოფლიო გამოცდილება წარმატებით შესრულებული ფუნქციების მოწმეა. სივრცის ათვისების სიტუაცია საქართველოში კარდინალურად საწინააღმდეგოა. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინსტიტუტის ფუნქციონირება არაეფექტურია, რაც ვლინდება სოციალური ფუნქციების არაორგანიზებულობაში. არაეფექტურობის ძირითადი მიზეზებია ქცევის გამოკვეთილი სტანდარტების და სოციალურ-სატრანსპორტო ნორმების (სიჩქარე, უსაფრთხოება, ეკონომიურობა, ინფორმაციულობა, კომფორტი, მიუწვდომლობა, ეკოლოგია, სტატუსი) უქონლობა; სოციალური ნორმების დარღვევისათვის სანქციების დამუშავებული საკანონმდებლო სისტემის არარსებობა; სსტ-ის ინსტიტუტის სიკეთისა და მომსახურების მიუწვდომლობა; სტ-ით მგზავრების გადაყვანის მომსახურების წილის შემცირება ეკონომიკაში.

სატრანსპორტო პრობლემა გარკვეულ დრომდე ხდებოდა მოძრავი შემადგენლობის ტექნიკის სრულყოფით გვარდებოდა. ეს მიმართულება უკვე ვეღარ იძლევა დიდ ეფექტს. ამჟამად დღის წესრიგშია სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზაციის საკითხების გადახედვის აუცილებლობა [3].

ქალაქის ორგანიზებულობის ზრდასთან ერთად საქალაქო ტრანსპორტისადმი მოთხოვნილებები განუწყვეტლივ მატულობს, თუმცა ძალიან ხშირად წარმოიშობა ხოლმე შეუსაბამობა თანამედროვე სამგზავრო ტრანსპორტის ტექნიკურ შესაძლებლობებსა და მათ რეალურ გამოყენებას შორის. ტრანსპორტის რეალური სიჩქარე უმსხვილეს ქალაქებში ზოგჯერ არ აღემატება ქვეითის სიჩქარეს. სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სიჩქარის ზრდა აფართოებს ქალაქის ტერიტორიის მიწვდომის რადიუსს, იწვევს დროის ეკონომიას, მგზავრის და მძღოლის დადღივობის შემცირებას.

ჩვენ ვთავაზობთ სტ-ის სიჩქარის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობას.

– ერთ-ერთი მათგანია გამოყოფილი ზოლები, რისი განხორციელებაც, სიჩქარის გაზრდის გარდა, შეამცირებს ავარიულობის შემთხვევებსაც;

– ანალოგიურ ეფექტს მოგვცემს სტ-ის გაჩერებებზე განსხვავებული საფარის მოწყობა, რაც აიძულებს მძღოლს, შეჩერდეს გამოყოფილ საფარზე, სხვა სახის ტრანსპორტს კი კანონით აკრძალავს მონიშნულ საფარზე შესვლა. ეს მეტად საშური საქმეა, რამდენადაც სსტ-ით მგზავრთა მიღებული ტრავმების 70% მოდის სტრანსპორტო საშუალებებში ჩასხდომასა და მათგან გამოსვლაზე. აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება საჭიროა გაჩერების პუნქტების უკეთესად მოწყობისა და მძღოლთა კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობით (განსხვავებული საფარი მონიშნება გაჩერების დატვირთვის შესაბამის ზომებში);

– სტ-ის სიჩქარეს მნიშვნელოვნად ამცირებს პარკირება. ეს მეთოდი მუნიციპალ-ლიტეტმა გადმოიღო საზღვარგარეთიდან, თუმცა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ უცხოეთში პარკირება გამოყენებულია არა გამზირებზე, არამედ ე.წ. „საძინებელ რაიონებში“, სადაც მოძრაობა ნაკლებია. პარკირებამ შეამცირა მოძრაობის ზოლების რაოდენობა და შესაბამისად სტ-ის სიჩქარეც.

– სასურველია ტრანსპორტირების სატარიფო ღირებულების დიფერენცირება ზონების მიხედვით ისე, რომ ე.წ. „საძილე რაიონის“ ზონაში მგზავრობის საფასური იყოს მინიმალური, ცენტრში მისასვლელი უფრო მეტი, ხოლო ცენტრის გავლით – მაქსიმუმი. ვთავაზობთ, რათა საერთოდ ცენტრისათვის შეიქმნას მოძრაობის განსხვავებული წესები;

– უნდა აღინიშნოს, რომ სამარშრუტო ტაქსების გამოყენება გარკვეულწილად აუმჯობესებს მგზავრობის ხარისხს, მაგრამ, ამავე დროს, იზრდება გზის დატვირთვა და საწვავის ხარჯი, მაშინ, როდესაც ავტობუსთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება ერთი სამარშრუტო ტაქსით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. ჯერ კიდევ არ სრულდება ის შეღავათები, რაც უნდა განხორციელებულიყო პირველი გადაადგილების შემდეგ ყველა მგზავრისათვის და შეღავათები საერთოდ პენსიონერებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. ავტობუსის შესაბამისი მგზავრბრუნვის ასათვისებლად სამარშრუტო ტაქსების რიცხვის გაზრდა საფრთხეს უქმნის ეკოლოგიურ გარემოს, მაშინ, როდესაც სსტ-ის ფუნქციონირება ისედაც მძიმე ეკოლოგიურ დატვირთვას ახდენს ქალაქის გარემოზე;

– სავალალოა, რომ ქალაქს ემსახურება სამარშრუტო ტაქსების პირობითად მხოლოდ ოთხი ფირმა, რომელთა მონოპოლისტური საქმიანობა უარყოფითად აისახება მომსახურებაზე. რაც უფრო მეტი იქნება ფირმების რაოდენობა, მით უფრო გაიზრდება სსტ-ის მომსახურების ხარისხი;

– მგზავრი, რომელიც იხდის მგზავრობის საფასურს, ყოველნაირად დაცული უნდა იყოს მოსალოდნელი საფრთხისაგან. ამიტომ ვთავაზობთ, სავალდებულო გახდეს თითოეული მათგანის დაზღვევა. სტ-ის მგზავრების დაზღვევა საშური საქმეა.

სამგზავრო გადაყვანათა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ამის მიზეზია შრომის საზოგადოებრივი დანაწევრება, წარმოების კონცენტრაცია და ქალაქების ზრდით გამოწვეული ურბანიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები და სატრანსპორტო ტექნიკის განვითარება. ამიტომ უნდა გაიზარდოს გამოკვლევების ნაკადი ამ დარგში და დამუშავდეს ახალი საქალაქო სატრანსპორტო საშუალებების პროექტები, დაიხვეწოს მოძრაობის ორგანიზაციის ახლებური სისტემები, რაც გააუმჯობესებს სტ-ით მგზავრების გადაყვანის მანქანებლებს.

მსოფლიო ეკონომიკა განიცდის გლობალიზაციას. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ დაარღვია სავაჭრო-ეკონომიკური საზღვრები და ინტენსიური გახდა სახელმწიფოთა შორის მატერიალური ნაკადების გაცვლის პროცესი.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეროვნული მეურნეობის განვითარების, ასევე მოსახლეობის უსაფრთხო და სწრაფი გადაადგილების თვალსაზრისით. ადგილმდებარეობის შეცვლაზე დროის დანახარჯების შემცირება საშუალებას აძლევს მას, დაზოგილი დრო გამოიყენოს როგორც პირადი, ისე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.

ჩვენი სამშობლო სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანაა. საქართველოს ფარგლებში ტვირთი იცვლის ტრანსპორტის რამდენიმე სახეს. აქედან გამომდინარე, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო გადაზიდვების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარებას და მის გონივრულ ინტეგრაციას ევრაზიის სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემებში. დღეს სწორედ ტრანსპორტი უზრუნველყოფს მატერიალური ნაკადების გლობალურ სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნილებსამებრ მიწოდებას და მწარმოებლური ფირმების კონკურენტუნარიანობას, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საფუძველია.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ეყრდნობა სამ მთავარ მამოძრავებელ ძალას. ესენია – ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა და ტრანსპორტი. ტრანსპორტი თავის თეორიას და მეთოდოლოგიას აშენებს ისეთ მეცნიერულ დისციპლინებზე, როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, მექანიკა, სხვადასხვა სახის მასალები და მათი დამუშავება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ლოგისტიკა, ეკონომიკა, სოციოლოგია და სხვა. უახლესი მიღწევები ამ სფეროში მოიცავს სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის მომხმარებელთა უპირატესობის გაცნობიერებას, მის ალტერნატიულ მოდელებს, სატრანსპორტო სერვისის სფერო ორიენტირებულია ისეთი საკითხების შესწავლაზე, რომლებიდანაც ირკვევა, თუ როგორ აკეთებენ მომხმარებლები არჩევანს და როგორ შეიმუშავებენ თავიანთ პროგრამებს ის სატრანსპორტო კომპანიები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ მომხმარებლებთან თანამშრომლობისათვის.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართო პროფილის ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ერთნაირად კარგად ფლობენ ტრანსპორტის სფეროს ყველა მხარეს (ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური) და სიღრმისეულად აქვთ გააზრებული ტრანსპორტის და ეკოლოგიური გარემოს ურთიერთგავლენის გლობალური საკითხები ენერგომატარებლების ხარჯის და გარე სამყაროს ტრანსპორტისაგან დაბინძურების მინიმიზაციის თვალსაზრისით.

ტრანსპორტის სფეროს მაღალი დონის სპეციალისტი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფლობს ანალიზისა და პროგნოზირების უნარს, შეუძლია ინტელექტუალური სისტემების ეფექტურად მართვა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება, ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა და გამოყენება. ყოველივე ეს კი გახდება ქვეყნის ინტერესების დაცვის და ეკონომიკის განვითარების მთავარი გარანტი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ნუგზარ ნავაძე, ვასილ ქართველიშვილი, თეიმურაზ გორშკოვი. სამგზავრო საავტომობილო გადაზიდვები. სტუ, თბილისი, 2009.
2. И. С. Ефремов, В. М. Кобозев, В. А. Юдин. Теория городских пассажирских перевозок. Москва, 2011.
3. О. В. Бочарова. Функционирование общественного транспорта в социальном пространстве транспорта. Бочарова Оксана Викторовна, автореферат, Саратов, 2011.

*Soselia Badri  
Zubiashvili Mzia*

## **PUBLIC TRANSPORT AND SOCIAL-ECONOMIC GLOBALIZATION SUMMARY**

This work describes traditional functions of the Public Transport Social Institute and shows the real abilities how to realize these functions and how to solve the problems.

*თენგიზ ქავთარაძე  
მზია ქავთარაძე*

## **აბრარული ურთიერთობების განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენის თეორიული პრობლემატიკა**

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ხელი-სუფლებისა და მოაზროვნეთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნდა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ეროვნული მეურნეობის გარეშე, სამყაროსთან იზოლირებითა და სხვა ქვეყნებთან მხოლოდ მინიმალური ეკონომიკური კონტაქტების დამყარებით, საკუთარი მოსახლეობისათვის უზრუნველყონ ნორმალური ცხოვრების დონე.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფართო განვითარება ჰპოვა ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. სულ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, რომელიც დღეისათვის ყველა ეროვნული მეურნეობისათვის მაღალ საფეხურზეა ასული. გლობალიზაციის პროცესში აუცილებელია, თანდათან, ეტაპობრივად წარიმართოს აბრარული ურთიერთობების ჩართვა. მით უმეტეს, თანამედროვე მსოფლიოს გააჩნია გლობალიზაციაზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი ტექნიკური არსენალი. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობის მნიშვნელოვან, ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი გამოყენება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ განვითარებადი ქვეყანაში, შეწონილი მიკროეკონომიკური პროგრამისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის პირობებში შემოდის უცხოელი ინვესტორი. სწორედ ასეთი პირობების დაცვით გათავისუფლებული კაპიტალი არის ეფექტიანი; წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გვეყავს კრედიტორები და არა პარტნიორები, ქვეყანა ვერ გამოვა სილატაკიდან და ვალებიდან.

აბრარული ურთიერთობების განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენის თეორიულ პრობლემებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიწის რეფორმას, როგორც აბრარული რეფორმების ძირითად საფუძველს. საქართველოში დაწყებულმა აბრარულმა რეფორმამ დააჩქარა სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების განსახელმწიფოებრიობის პროცესი, მოსახლეობისათვის დამატებითი საკარმიდამო, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა. შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმა

რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სწრაფად წარიმართა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგები არადადამაკმაყოფილებელია.

სოფლად რეფორმები განხორციელდა ზედაპირულად, ყოველგვარი ნორმატიული ბაზის მომზადების გარეშე, რის გამოც ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განვლილ პერიოდში წარმოება კატასტროფულად დაეცა (2004 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1980-1990 წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით – 70 პროცენტით).

1993 წელს საპრივატიზაციოდ გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მიწის ფართობი შეადგენდა 287,0 ათას ჰექტარს, 1994 წელს შესაბამისად – 396,1 ათასს, 1997 წელს კი – 930,0 ათას ჰექტარს. პრივატიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულად გამოცხადდა 1997 წლის 1 აპრილს; რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, იგი დიდი დაგვიანებით, თითქმის პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულების ბოლოს შეიქმნა. მაგალითად, 1996 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ), 1996 წლის 28 ივლისს – საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, 1997 წლის 7 აპრილს – „აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“ და ა.შ. პირველი ეტაპის დასრულებისათვის (1997 წლის 1 აპრილი) პრივატიზებული უნდა ყოფილიყო 930 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ფაქტობრივად აღმოჩნდა 844 ათასი ჰექტარი, ანუ 90, 7%.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ისინი, ვისაც კერძო საკუთრებაში ჰქონდათ მიღებული მიწის ნაკვეთები, დაიყვნენ სამ კატეგორიად. მოქალაქეებს, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვნენ ფერმერულ მეურნეობაში უფლება ჰქონდათ, მიეღოთ კომლზე 1,25 ჰა მიწის ნაკვეთი; სოფელში მცხოვრებ პირებს, რომელნიც არ იყვნენ ჩართული ფერმერულ მეურნეობაში, ასევე განათლების კულტურის საჯარო, ჯანდაცვისა და ა.შ. სისტემებში მოღვაწეთ შეეძლოთ მიეღოთ 0,75, ხოლო ქალაქში მცხოვრებ პირებს – 0,25 ჰექტარი.

მიწის ნაჩქარევი რეფორმისა და პრივატიზაციის შედეგად საქართველოში მიწის დანაწევრება მოხდა. დაირღვა საყოველთაოდ აღიარებული ნაკვეთის დაუნაწევრობის განუყოფლობის პრინციპი. 1,25 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი ძალზე მცირეა ფერმის ფუნქციონირების ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობისათვის; საყურადღებოა, რომ აშშ-ში ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ 190 ჰა მიწის ფართობი მოდის; 90-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს თითო კოლმეურნეობაზე საშუალოდ 1800 ჰა მიწის ფართობი მოდიოდა.

მიწის რეფორმის დაწყებამდე უნდა ჩატარებულიყო მიწების სრული ინვენტარიზაცია. უნდა დაედგინათ საზღვრები ცალკეულ ნაკვეთებზე, უნდა შეედგინათ გეგმა ნახაზი, კადასტრი – ნიადაგის ხარისხის თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა და ბოლოს, პასპორტიზაცია. ამას მოითხოვდნენ მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის სპეციალისტები, ამერიკელი კონგრესმენი, აგრარიკოსი კუპერ ევანსი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები: ე. მ. გილბერტი, ე. ჯ. არმისონი, ქართველი სპეციალისტები: ლადო ჭანტურია, ოთარ საღარეიშვილი და მრავალი სხვა. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 1996 წელს გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში. მაგრამ ეს არ მოხდა, სამაგიეროდ სამუშაოების წარმოება დაიწყო უკუღმა პირდაპირ მიწის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი პასპორტების დარიგებით, სადაც მოცემული არ არის საძოვრები, კადასტრის სხვა მონაცემები და ა.შ.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის წინ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა ე.წ. „იმატრიკულაციის წესი“, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწა 10-20 წლის ვადით, გამოცდის მიზნით, პირობით გადაეცემა მეურნეს, რომელმაც ამ დროის მანძილზე უნდა დაამტკიცოს, რომ იგი კარგი მეურნეა. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მიწა მის საკუთრებაში. საქართველოს კანონში: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების

შესახებ”, რომ გაეთვალისწინებინათ „იმპერიკულაციის წესი”, ჩვენი სოფლის მეურნეობა დღეს უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ამრიგად, საქართველოში ფუნქციონირებს ძირითადად კერძო წვრილი ოჯახური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა საერთო რიცხვი მილიონზე მეტია, ხოლო მიწის ნაკვეთები 4 მილიონზე მეტი. ფირმის საშუალო სიდიდე დაახლოებით 2,7 ჰა ტოლია, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 92-93% შეადგენს; კერძო სექტორის ხელში მოექცა სოფლის მეურნეობის წარმოება, მაგრამ შედეგი მაინც დაბალია. მცირე ზომის ოჯახური მეურნეობები კარნაქტილ ნატურალურ მეურნეობას ეწევიან (მათი მცირე მოცულობის გამო ნაკლებად გამოიყენება მექანიზაცია); ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო ვერ ხერხდება დარგის ტექნიკური შეიარაღება, საწარმოო სიმძლავრეთა განახლება, ვერ ინერგება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები. აგრარული სექტორი მხოლოდ 20-25%-ით აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების სურსათით; ბაზარზე 70%-მდეა იმპორტული კვების პროდუქტები, ხოლო ზღვრულ დასაშვებ ნორმად მიღებულია 25-30%.

მიწის რეფორმის ხასიათს ბევრად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების და, აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებები. აგრარული რეფორმების განხორციელების შედეგად რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა წარმოგვიდგება რეგიონული, რაიონული და სათემო მოწყობის სახით. სათემო მოწყობა მოიცავს სოფლებს, რომელთაც, სამწუხაროდ, სოფლის სტატუსი არ გააჩნიათ. კერძოდ, სოფლებს საერთო სარგებლობაში არ ემაგრებათ ტყე, სათიბი, საძოვარი, სარეზერვო მიწები და სხვა. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ ბევრი რაიონის მსგავსად, გორის რაიონის სოფლის მცხოვრებლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზებას ამ ფორმით მხარს არ უჭერენ, ჯერ ერთი, რაიონი მცირემიწიანია და მიწის სარეზერვო ფონდი არ გააჩნია. მეორეც, კანონი უპირატესობას მოიჯარეებს ანიჭებს, ხოლო თუ ამ ადამიანების ვინაობით უფრო ღრმად დავინტერესდებით, აღმოჩნდება, რომ მთელი მიწის ფართობები 2-3 კაცის ხელშია, ვინც ადრე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ პირებად ითვლებოდა. მოგვიანებით ამ ადამიანებმა შპს-ები შექმნეს და კორუფციული გარიგებების ხარჯზე მიწები იჯარით თავად აიღეს. ახლა გლეხები ითხოვენ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებისას უპირატესობა სოფლის მკვიდრ მოსახლეობას მიენიჭოს. აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს ძველი საიჯარო ხელშეკრულებების გადახედვას, არის აზრი, რომ მიწის პრივატიზება სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს; საინტერესოა, როგორ უნდა განვითარდეს სოფელი, როდესაც მიწის სარეზერვო ფონდი არ არსებობს, როდესაც სოფელში ახალი კომლი იქმნება, შესაბამისად მას ახალი მიწის ნაკვეთი სჭირდება. თუ ფიქრობენ, რომ ასობით პექტარი მიწის მესაკუთრე მოწყალეობას გაიღებს და საკუთარი მიწის ფართობს დააქუცმაცებს, ძალიან ცდებიან, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცით როგორ მოხდება ჩვენი ქვეყნის სასაზღვრო ზოლში არსებული მიწების პრივატიზება. სასაზღვრო ზოლი თუ გაიყიდება, კერძო მესაკუთრე ქვეყანას უკეთ როგორ დაიცავს?.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მიწის რეფორმის უადრესი სირთულის გამო, ქვეყნის მიწათსარგებლობაში დაშვებულია მნიშვნელოვანი ხარვეხები; დღევანდელ ეტაპზე მთავარი უარყოფითი ფაქტორი პრობლემის ცოდნის მქონე საქმიანი კადრებისა და სათანადო ფინანსური სახსრების მწვავე დეფიციტია; პროფესორ თ. კუნჭულიას ცნობით, საქართველოს სოფლის (დაბის) და რაიონის 961 საკრებულოში მიწათმოწყობის საკითხებზე მუშაობს მხოლოდ 560 თანამშრომელი, ანუ საკრებულოთა დიდ ნაწილს მიწის რეფორმის განხორციელებისას არ ჰყავს არამცთუ კვალიფიციური კადრი, არამედ ამ ხაზით, საერთოდ არ გააჩნიათ საშტატო ერთეული [2]. ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობაში,



ადგილების მიხედვით, იგნორირებულია ხალხის ტრადიციული მონაპოვრების, ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გამოვლინება და დღევანდულობას მისადაგება.

სანამ ქვეყნის კუთხეების მიხედვით სოფლების მოწყობის მასალას შევხებოდეთ, ვნახოთ, ეს საკითხი როგორაა ასახული ზოგადად ლიტერატურაში; როგორც ირკვევა გერმანულ ტომებში სოფლის თემის (მარკის) მიწები ორ ნაწილად იყოფოდა, ერთი იყო სახნავ-სათესად გამოსადეგი ადგილები, რომელიც თემის წევრებს შორის იყო დაყოფილი, ხოლო მეორე – საერთო სათემო სარგებლობაში მყოფი მიწები: საძოვარი, ტყე, ჭაობი. მიწის კერძო მფლობელობაში გადასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის სრულ საკუთრებას, მიწა ერთდროულად რჩებოდა გვარის და ტომის მფლობელობაში, მაშინ, როდესაც ფრანგებში სახნავი ნაკვეთები ცალკეული ოჯახების კერძო მფლობელობაში იყო, საძოვარი, ტყე და სხვა ადგილები სოფლის საკუთრებაში რჩებოდა [3].

ციმბირში პირველ გადმოსახლებულთა მიწათსარგებლობის ხუტორულ განსახლებებში სოფელი იბრძოდა მიწის თავისუფალი დაკავების წინააღმდეგ რის შედეგადაც იქმნებოდა საძოვრებით სარგებლობის თანაბარი უფლება. კერძო მფლობელობაში იყო მიწების მხოლოდ ერთი ნაწილი – სახნავები. ტყე და საძოვარი საერთო სარგებლობაში რჩებოდა. სოფლის თემში პერიოდულად ხდებოდა მთელი მიწების გადანაწილება და მის წევრებს შორის სახნავი მიწები ნაწილდებოდა წელიწადში ერთხელ, ხოლო დანარჩენი გაშვებული ადგილები ყოველ წელიწადში.

ხევსურეთში სოფელ შატილის მაგალითზე, სათიბებს ყოველ წელიწადს ანაწილებდნენ კენჭისყრის წესით. სოფლის თემის გადაწყვეტილებით, ხევსურეთში სათიბები იყოფოდა ყოველ წელს ან ორი, სამი და ხუთი წლის ვადითაც, რადგან ეს ადგილები სოფლის განკარგულებაში შედიოდა. ოჯახს მისი გაყიდვის უფლება არ ჰქონდა.

გადავხედოთ საქართველოს კიდევ ერთ კუთხეს – თუშეთს. მართალია, აქ სახნავების მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახებზე იყო დაყოფილი და ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად გადანაწილების საგანი ხდებოდა, მაგრამ ეს გაყოფა დროებით ხასიათს ატარებდა, რადგან სოფელი მიწის მთელ ფონდებს პერიოდულად ანაწილებდა კომლებზე.

საინტერესოა რამდენ ხანში ხდებოდა მიწების გადანაწილება? ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფელი დამოუკიდებლად წყვეტდა ამ საკითხს არსებული სიტუაციის შესაბამისად. ზოგან ეს ხდებოდა 5–10 წლით, სანამ სოფელში მცირემიწიანი და უმიწო ოჯახები არ მომრავლდებოდა.

სასოფლო და სათემო საძოვრებზე ყველა მეთემე თანაბარი უფლებით სარგებლობდა. არავის შეეძლო ეს მიწები მიესაკუთრებინა ან იმდენად ბევრი საქონელი ჰყოლოდა, რომ საძოვრებად თემის სხვა წევრები შეევიწროვებინა და ამით მეთემეთა შორის საერთო საძოვრებით სარგებლობის თანაბარუფლებიანი პრინციპი დაერღვია. თუშეთის მთებით ძირითადად საშუალო მეცხვარეები სარგებლობდნენ, დიდი ბინის პატრონები კი შირაქსა და თრიალეთს შორის მომთაბარეობდნენ ან დაღესტნის მთებს ე.წ. ლეკიმთებს ქირაობდნენ. მოხრობელთა გადმოცემით, მართალია მათ არავინ უკრძალავდა თავიანთ მთებში ასვლას, მაგრამ საკუთარი მეურნეობის მასშტაბები აიძულებდა, სხვაგან ეძიათ საძოვარი. ამ მხრივ საინტერესოა მთიულეთის ეთნოგრაფიული მასალა. აქ პატარა მცირერიცხოვან ოჯახებს, რომელთაც სხვაზე მეტი პირუტყვი ჰყავდათ, სოფელი საბალახოს ახდევინებდა, რადგან ისინი მეტ ადგილებს იკავებდნენ, სხვას ავიწროვებდნენ და ამით საძოვრებით სარგებლობის თანაბარუფლებიანობის პრინციპებს არღვევდნენ. ეს კანონი არ ვრცელდებოდა მხოლოდ დიდ ოჯახებზე, რადგან მათ მეტი მოთხოვნილება ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, აქაც იყო გარკვეული ზღვარი, რის ძალითაც გუდამაყარში დიდი ოჯახებიც კი სოფელს სასაძოვროს უხდიდნენ [3].

გლობალიზაციის პირობებში აგრარული ურთიერთობების განვითარებას აფერხებს ის გარემოება, რომ ქვეყანას არ გააჩნია აგროსასურსათო სექტორის განვითარების

სტრატეგია. აღნიშნული დარგის სტრატეგიული განვითარების გარეშე შეუძლებელია სოფლად ადგილობრივ პირობებთან მისადაგებული მეცხოველეობის დარგის ფუნქციონირება. მაგალითად, ადრე ყველა სოფელს, ხეობას, ცალკეულად აღებულ მცირე ტერიტორიულ ერთეულს ჰქონდა თავისი მთაც და ბარიც და პირუტყვის მოძრაობა ხდებოდა მთაშიც და ბარშიც, ეწეობოდა დროებითი სადგომები, პარალელური სამეურნეო ბაზები და ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ხდებოდა სამეურნეო რესურსების გეგმაზომიერი და თანამიმდევრული ათვისება. მაგალითად, სოფ. გოგაშენი გაშენებულია ჯავახეთის მთის კალთებზე ზ. დ. დაახლოებით 1800 მ სიმაღლეზე. სოფელს გარს აკრავს ჯავახეთის მთის შესანიშნავი ველები, მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. გაზაფხულზე პირუტყვი სოფლისპირა საძოვარზე გამოდიოდა. მაისის შუა რიცხვებიდან ნიალის მთაზე მიჰყავდათ, შემოდგომაზე კი კვლავ სოფელში ბრუნდებოდნენ. დეკემბრიდან მეწველი პირუტყვი ბაგურ კვებაზე გადადიოდა, ცხვარი და მშრალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი კი ჭაჭკარში ჩაჰყავდათ (მტკვრის ხეობაში ვარძიის გვერდით მდებარე ადგილებში). აქ შედარებით თბილი კლიმატია, ნიადაგი თოვლის თხელი საფარით იფარება, ისიც მალე დნება. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ჭაჭკარში ერთ თვეს ამყოფებდნენ და შემდეგ სოფელში აჰყავდათ, ცხვარს კი უმეტესობა დასძრავდა ნიალის იალაღებზე [3]. საინტერესოა, გოგაშენელ ფერმერებს დღეს თუ შეუძლიათ საუკუნეებით ნაცადი მეცხოველეობის გაძლოის სისტემის გამოყენება? ჩამოთვლილი საძოვრები ან პირუტყვის გადასარეკი ტრასები გოგაშენელი მეცხოველეებისათვის დღეს ფუნქციონირებადია თუ არა?.

ვიზიარებთ იმ აზრს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწა სოფელს იჯარით მიეცეთ და სახელმწიფოსთან ის იყოს ანგარიშვალდებული. ამით სოფელს საკუთარი ფინანსები გაუჩნდება, რითაც თავად შეაკეთებს ხიდსაც, გზასაც და სხვ. ამ საქმეში წავგადგებოდა ისრაელის გამოცდილება. ქვეყანა, რომელსაც ნიადაგის მაგივრად ქვიშა აქვს, ყოველწლიურად ექსპორტზე მილიონობით ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქციას უშვებს. მხოლოდ გორის რაიონში ყოველწლიურად ასი ათასი ტონა ხილი მოდის, მაგრამ იმის გამო, რომ ფაქტობრივად არ არის მოსავლის დიდი ნაწილის რეალიზაციისა და გადამუშავების შესაძლებლობა, მთელი წლის ნაშრომი იკარგება. ამიტომ სახელმწიფომ თავიდან კი არ უნდა მოიცილოს სასოფლო-სამეურნეო მიწები, არამედ სუბსიდირება უნდა მოახდინოს ამ სექტორში. აშშ-ში ვერც ერთი წლის ბიუჯეტს ვერ ნახავთ, სადაც ფერმერებისათვის მნიშვნელოვანი დახმარება არ იყოს გამოყოფილი და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მსოფლიოს ყველა კუთხეში და ყველა დროში არსებობს ეკომიგრანტების პრობლემა. ერთიც ვნახოთ, სტიქიამ ჩვენი ქვეყანა არ დაინდო, საინტერესოა, საჭიროების შემთხვევაში, სად გამოიხატავს სახელმწიფო ეკომიგრანტებისათვის ახალ ტერიტორიებს, თუ მის მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს მთლიანად შეეღებება.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია რ. გლობალიზაცია და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პრობლემები. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამ. შრ. კრებული, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი 2003.
2. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, „მეცნიერება“, 1997.
3. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982.
4. ვაჟა-ფშაველა, ხევსურები, თხზ. სრული კრებული. თ. IX, თბილისი, 1964. გვ. 46.

5. თენგიზ ქავთარაძე. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

*Kavtaradze Tengiz*

*Kavtaradze Mzia*

**THEORETICAL PROBLEMS OF GLOBALIZATION INFLUENCE  
ON THE DEVELOPMENT OF AGRARIAN RELATIONS  
SUMMARY**

The article deals with the issues of economic integration of national economics among countries in the conditions of globalization, is investigated the mechanism of gradual engagement of agrarian relations in the conditions of globalization; is analyzed the issue of distribution and redistribution of agrarian lands in the development tendencies of agrarian relations; are shown the forms of ethnographical traditional structure of rural land use in alpine kettle-breeding of Central Caucasus, the considering of which in the conditions of globalization will stipulate the solution of theoretical problems of regional system.

*ქეთევან ქველავიძე*

**ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა საქართველოში  
ტურიზმის სტრუქტურული სრულყოფისათვის გლობალიზაციის პირობებში**

ეკონომიკის მსხვილი აგრეგირებული დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვა) განვითარებასთან ერთად შეიმჩნევა, ასევე, მომსახურების სფეროს დარგების ხვედრითი წილის ზრდა. ასეთი სფეროს დარგს განეკუთვნება ტურიზმის დარგი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი და რომელიც დღეს საქართველოში მიჩნეულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად. ტურიზმის ინდუსტრია არის მრავალფეროვანი, ფრაგმენტირებული და მრავალსექტორული. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში გლობალური ეკონომიკის განვითარებაში ტურიზმის აქტიურობამ დანიშნულ პუნქტებში შეიძლება სერიოზული სოციალ-კულტურული და ეკოლოგიური შედეგები გამოიწვიოს. ეს შედეგები შეიძლება იყოს პირდაპირი, ირიბი, დადებითი ან უარყოფითი. ტურიზმი წარმოადგენს ეკოლოგიაზე დამოკიდებულ გლობალური ეკონომიკის დარგს.

ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის ტურიზმის დარგს ესაჭიროება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი, რომელიც მოიცავს რესურსების ისეთ სახეს, როგორცაა: ბუნებრივი სიმდიდრე, ბუნებრივ სამეურნალო, ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი, რეკრეაციული, არქიტექტურული, არქეოლოგიური, საკურორტო, სანახაობითი, და ა.შ., აგრეთვე ისეთი მოვლენები, რომლებსაც შეუძლია მოგზაურების დროს ტურისტთა ინტერესების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სხვა. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები განსაზღვრავენ რეგიონში ტურიზმის განვითარების სპეციფიკას და გვევლინება შესაბამისი პროდუქტის წარმოების ბაზისად. ყოველი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის პოტენციალი ხელს უწყობს რეგიონში ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების ხელშეწყობას და განვითარებას.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვხვდებით ერთდროულად მთასაც, ბარსაც და ზღვასაც და ეს ყოველივე კი განაპირობებს იმას, რომ ამ პატარა ქვეყანაში ერთდროულად წარმოდგენილია დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა, (დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან დამთავრებული მარადიული თოვლითა და მყინვარების ზონით), იშვიათი

ველური ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, უნიკალური ტყეები, ველური მდინარეები, მდიდარი ფლორა და ფაუნა – გვაძლევს იმის უფლებას, არსებითი ყურადღება გავამახვილოთ ისეთ საკითხზე, როგორცაა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ბიომრავალფეროვნება და მისი როლი ტურიზმის სტრუქტურულ განვითარებასა და სრულყოფაზე. საქართველოს შემთხვევაში ის მეტად აქტუალურია როგორც ეროვნული, ისე რეგიონული და გლობალური თვალსაზრისით.

ბიომრავალფეროვნების სიმრავლე ქვეყანას ანიჭებს ტურიზმის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს როგორც რეგიონებში, ისე მის პერიფერიებში. ბიომრავალფეროვნება საერთაშორისო ეკოლოგიური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია. მისი შენარჩუნება არაერთი ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა. იგი XIX საუკუნის ბოლო ხანებიდან ჩნდება სამეცნიერო ლიტერატურაში. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარმოს დაცვის და მდგრადი განვითარების სამიტზე, მიღებულ იქნა კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ“. მას საქართველო 1994წ. შეუერთდა. ამჟამად ეს კონვენცია მსოფლიოს 180 სახელმწიფოს აერთიანებს. ამ კონვენციის მიხედვით ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა და გაატაროს ეფექტური ღონისძიებები. ბიომრავალფეროვნება განიხილება სამ დონეზე – ლოკალურ (ბიომრავალფეროვნება ცოცხალი ორგანიზმების ერთი ადგილსამყოფელის ფარგლებში), რაიონულ (სხვადასხვა ადგილსამყოფელის მრავალფეროვნება) და რეგიონულ (დიდი რეგიონების მრავალფეროვნება).

მსოფლიოში ცოცხალი ორგანიზმების მიახლოებითი რიცხვიდან, რომელიც 13 მილიონს შეადგენს, შესწავლილია მხოლოდ 1/10. უმაღლეს მცენარეთა საერთო რაოდენობა უდრის 270 ათასს. ბიომრავალფეროვნების სიმრავლით ქვეყნების პირველ ხუთეულში შედის: ბრაზილია, კოლუმბია, ჩინეთი, ინდონეზია და მექსიკა. ბიომრავალფეროვნების ყველაზე მცირე რაოდენობა ისლანდიასა და კუვეიტშია. საქართველო უმაღლეს მცენარეთა სახეობების მიხედვით მსოფლიოში 63-ე ადგილზეა, ხოლო ევროპაში მე-5-ზე. ჩამოვრჩებით იტალიას, ესპანეთს, საბერძნეთს და საფრანგეთს. ცხოველთა სახეობის საერთო მრავალფეროვნებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბრაზილია, ხოლო ევროპაში – საქართველო. ჩვენს ქვეყანაში ცოცხალი ორგანიზმების შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნება მკაფიოდ უკავშირდება ბუნებრივ პირობებს (ძირითადად სითბოსა და ტენის განაწილებას). იმ ქვეყნებში, სადაც წარმოდგენილია ნოტიო ტროპიკული და სუბტროპიკული ლანდშაფტები, ბიომრავალფეროვნება მაღალია, ზომიერი სარტყლის ქვეყნებში მისი მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია, ხოლო არიდულ და პოლარულ რეგიონებში – უმნიშვნელო. ბიომრავალფეროვნების დასადგენად იყენებენ სპეციალურ მაჩვენებელს, რომელსაც აქტუალური ბიომრავალფეროვნების საშუალო ინდექსს (ABI) უწოდებენ და იგი 2700 უდრის. ამ ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 36-ე, ხოლო ევროპაში 1 ადგილზეა. ჩვენი ქვეყანა ასევე პირველ ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ჩვენს განედზე ან უფრო ჩრდილოეთით მდებარეობენ.

დედამიწაზე ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ, გლობალური მნიშვნელობის 200-მდე ეკორეგიონში (სადაც თვითონივეა მსოფლიოს ფლორის და ფაუნის უდიდესი ნაწილი – 95%) გამოარჩევენ 25 ყველაზე კრიტიკულ ეკორეგიონს, სადაც კავკასიის ეკორეგიონს არა მარტო გლობალური, არამედ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, რომლის ფართობიც 580 000 კმ<sup>2</sup>-ია. საქართველოს კავკასიის ეკორეგიონში პირველი ადგილი უკავია. საქართველოსთვის ბიომრავალფეროვნებას და მის შენარჩუნებას უდიდესი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. იგი უდიდესი პოტენ-

ციალის მატარებელია ტურიზმის განვითარებისათვის. საქართველო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF)-ის მიერ პროგრამულად აღიარებულია შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით იქნა აღიარებული: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ეკოლუციური პროცესები, ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებები, მცენარეულობის ტიპების და ბიომების მრავალფეროვნება (ჭაღის ტყეები, ნახევარუდაბნო, სტეპი, არიდული მენხერი ტყეები, ფართოფოთლოვანი, წიწვოვანი და შერეული ტყის ბიომები, სუბალპები, ალპები, სუბნივალური და ნივალური ბიომები, ჭაობები და შიდა წყლები). ყოველივე ეს ხელს უწყობს, საქართველოში განვითარდეს ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორცაა ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ბუნების მოყვარულთა ტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, სამეცნიერო ტურიზმი, სამთო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვა. ეკოტურიზმის ძირითადი მიზანია – მოგზაურობა ბუნებაში ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებითა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურულ-სოციალური ინტერესების დაცვით. საქართველოს ბუნებას ჯერჯერობით შემორჩენილი აქვს პირველადი სახე. ბევრ შემთხვევაში სწორედ ბიომრავალფეროვნების პირველადი სახე და დიდი სასურსათო ბაზა ხიბლავს როგორც ეკოტურისტებს, ისე ჩვეულებრივ ტურისტებს. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია კონკრეტულ ბუნებრივ არეალში ეკოტურიზმის, აგროტურიზმის და სხვა სანახაობების სისტემური და კატეგორიზებული ინვენტარიზაცია. ეს ღირსშესანიშნაობები შეიძლება დაფიქსირდეს სამ კატეგორიად: ძირითადი სანახაობები (რომლებიც არეალის დათვალიერების მთავარი მიზნებია); დამატებითი სანახაობები (რომლებიც დამატებით მიმზიდველობას ანიჭებენ კონკრეტულ არეალს და განაპირობებენ ტურისტის უფრო დიდხანს ყოფნას) და დამხმარე სანახაობები (ფიზიკური აღჭურვილობები და სხვა სახის ტურისტული მომსახურება).

ეკოტურიზმის ღირსშესანიშნაობები ვერ მოიცავს ბიომრავალფეროვნების მთელ რესურსულ სპექტრს მოცემულ რეგიონში. ტურიზმის ეს მიმართულებები ბიომრავალფეროვნების სარესურსო ბაზის ყველაზე მიმზიდველი ელემენტების ბაზარზე გასატანად შერჩევაა. ისინი ბიომრავალფეროვნების რესურსებს ეკონომიკურ ღირებულებას სძენენ, ისე რომ, მისი ყველა მონაწილე უკიდურესად დაინტერესებულია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით.

ეკოტურიზმის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს მოგზაურობა ბუნებრივ რეზერვატებში – დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე (ეროვნული პარკები, ნაკრძალები, ადკვეთილები და სხვ.), ეს საკმაოდ აქტიური მიმართულებაა. დაცული ტერიტორიების ახლებური სისტემა გამოირჩევა მრავალფეროვნებით. დაცული ტერიტორიების არსებობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, რითაც ის ასევე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივასაც ითვალისწინებს. დაცული ტერიტორიების შექმნა ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ფორმებს, ტურიზმის სტრუქტურულ სრულყოფას.

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის ნაკრძალი – შეიქმნა ჯერ კიდევ 1912 წელს. ამჟამად დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 323 000 ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია. დაცული ტერიტორიის დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. საქართველოში 16 სახელმწიფო ნაკრძალი, 9 ეროვნული პარკი, 15 ადკვეთილი, 22 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია. ყოველი ბუნებრივი რეზერვატი უნიკალური და განსხვავებულია ბიომრავალფეროვნების მხრივ.

ეკოტურიზმი მდგრადი განვითარების ის სეგმენტია, რომლის მიმართ დაინტერესებაც ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. მიახლოებითი მონაცემებით, მსოფლიოში 700 მლნ ადამიანი მოგზაურობს, აქედან 12-30% უპირატესობას ეკოტურიზმს ანიჭებს. საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით (რეკრეაციის მიზნით ჩამოსული ვიზიტორი 23%-ია) მნიშვნელოვნად გაიზარდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, წელს დაცულ ტერიტორიებზე 300 000 ვიზიტორი სტუმრობდა, აქედან 53 000 უცხო ქვეყნის მოქალაქე (ისრაელი, გერმანია, პოლონეთი და ა.შ.) და 247 000 ადგილობრივი ვიზიტორი. ტურისტების უმრავლესობა იმერეთის მდვიმეთა დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა – 152 000 ვიზიტორი. ვიზიტორთა ზრდა განაპირობა ახალმა ტურისტულმა რეზერვატებმა (იმერეთის მდვიმეები, სათაფლიის კომპლექსები, ბორჯომ-ხარაგაულის პარკი, სპელეო-პალეონტოლოგიური ტურები, სამთო ველოსიპედის ტრასების დაგება და სხვა). ეროვნული პარკების განვითარების მიზნით, 2011 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტომ 10 მლნ ლარამდე გრანტი მოიპოვა.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ძირითად კერას, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, განაპირობებს ტყე, რომელიც ჩვენი ქვეყნის საგანძურია. იგი ინარჩუნებს ბიომრავალფეროვნების უდიდეს ნაწილს და სხვა ეკოსისტემებთან შედარებით სახეობათა მაქსიმალურ რაოდენობას მოიცავს (განსაკუთრებით გამოირჩევა ტროპიკული ტყეები, რომელთაც ჩვენი პლანეტის მხოლოდ 8% უჭირავს და ბიომრავალფეროვნების 90%-ია თავმოყრილი). ქვეყნის ტერიტორიის 6,95 მლნ ჰექტრიდან სახელმწიფო ტყის ფართობი 3005,5 ათასი ჰექტარია. უსაზღვროა ტყის, როგორც: 1) ბუნებრივი რესურსის (ადამიანი მოიპოვებს მერქანს, სამეურნეო და სამეურნალო საშუალებებს და საკვებს); 2) ბუნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტის (ტყე იცავს ნიადაგს, ამარაგებს ატმოსფეროს და გარემოს ჟანგბადით, ინარჩუნებს ტენს, ბიომრავალფეროვნებას, ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს და ა.შ.); 3) ეკონომიკური და სოციალური (ადამიანების დასაქმების საშუალება, ტყის ტერიტორია დასვენებისა და ტურიზმის საუკეთესო ადგილია, ტყეები ინარჩუნებენ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს) ფუნქციის დანიშნულებას.

დღევანდელი გადმოსახედიდან მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს ეკოლოგიური და ტექნოგენური დამანგრეველი გლობალური მოვლენები (გლობალური დათბობა, მჟავე წვიმები, სმოგი, მეწყერები, ღვარცოფები, გაუდაბნობა და ა.შ.), რასაც კიდევ ემატება ადამიანის არასწორი სამეურნეო საქმიანობა (ბუნებრივი რესურსების გამოყენების არნახული მასშტაბები, ცოცხალი ორგანიზმების მიგრაციის გზებზე სამეურნეო საქმიანობა და სხვ.) და ეს ეკოლოგიური კრიზისის საფრთხის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს. აშკარა გახდა პლანეტის დეგრადაციის სიმპტომების მკვეთრი გამოვლინება, რამაც კაცობრიობა სერიოზულად დააფიქრა. ამ საქმეში ტურიზმსაც შეაქვს თავისი, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, წვლილი. ეკონომიკურ განვითარებაში ამ დარგის როლის გაზრდისათვის აუცილებელია ტურიზმის სტრუქტურული განვითარება და მისი სრულყოფა, რისთვისაც საჭიროა მისი განვითარების ეკოლოგიური შედეგების როგორც გლობალურ, რეგიონულ, ისე ადგილობრივ მასშტაბებში განხილვა და სწორი დაგეგმვის განხორციელება. ამის საუკეთესო საშუალებას იძლევა, პირველ რიგში, ცალკეულ რეგიონებში ბიომრავალფეროვნების დღევანდელი რეალური მდგომარეობის შესწავლა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში, რეგიონში ტურიზმის განვითარების სპეციფიკას და გვევლინება შესაბამისი ტურისტული პროდუქტის წარმოების ბაზისად. ჩვენდა სამწუხაროდ, ეკონომიკურმა და ეკოლოგიურმა კრიზისებმა მსოფლიოს ბიომრავალფეროვნება საგრძნობლად შეამცირა: ორი საუკუნის მანძილზე გადაშენდა ძუძუმწოვართა 180 სახეობაზე მეტი, ამდენივე სახეობის ფრინველი, ხერხემლიანთა 215 სახეობა, გადაშენების პირასაა 400 სახეობა და ა. შ. ვერც საქართველო გადაურჩა ამ კრიზისებს. მძიმე დაღი

დაასვა 1990-იანი წლების კრიზისმა, 2008 წლის ომმა, როდესაც უმოწყალოდ გაიჩეხა და გადაიწვა ტყის უდიდესი მასივები (ცნობილია, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად 150000 კმ<sup>2</sup>-მდე ტყე ნადგურდება), რასაც შემდგომ მოჰყვა გაძლიერებული გეოდინამიკური მოვლენები და ეკოლოგიური კატასტროფები, რითაც დაზარალდა როგორც ბუნება, ისე მოსახლეობა. საქართველოს ფაუნდიდან 141, ხოლო ფლორიდან 56 სახეობა შეტანილია წითელ წიგნში. აქედან 9 სახეობა გადაშენების პირასაა. ბიომრავალფეროვნების შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე ბრაკონიერობა; გადაჭარბებული ძოვება; მცენარეთა და ცხოველთა სახეობების უკანონო გაქრობა; მდინარეების და წყალჭარბი სავარგულების, ჰაერის, ნიადაგის დაბინძურება; ტურისტული რეგიონების გადამეტებული დატვირთვა ტურისტების მიერ; ახალი მიწების ათვისება (როგორც სამეურნეო, ისე ტურისტთა განთავსების მიზნით); საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობა; ქალაქების ზრდა; ტურისტებისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა.

ტურიზმის განვითარებას თან მოსდევს ტურისტული რესურსების მიზანშეუწონელი ხარჯვა, რაც, ხშირად გამოწვეულია დანიშნულების პუნქტში ტურისტების მზარდი რაოდენობით, ადგილობრივი მოსახლეობის და ადგილობრივი მმართველი ორგანოების მიერ უკონტროლო, დაუგეგმავი, მარტო მოგებაზე ორიენტირებული და ბუნების მიმართ დამღუპველი მოქმედებებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტურიზმის განვითარება (განსაკუთრებით საქართველოში) გარემო ბუნებაზე დამოკიდებული ინდუსტრიაა, მისსავე ინტერესებში შედის გარემოზე ზრუნვა და მისი დაცვა. ამის მიღწევა კი საკმაოდ რთულია განსაკუთრებული ღონისძიებების გატარების გარეშე.

საქართველოში ტურიზმისათვის საინტერესო ბიომრავალფეროვნების ძირითადი კერა მთის მასივებსა და ტყეზე მოდის (ზღვის სანაპირო ამ მხრივ ნაკლებად საინტერესოა). ძირითადი კურორტები მთიან რეგიონებშია განლაგებული (ბორჯომი, ბაკურიანი გუდაური, შოვი, ბახმარო, ლეპარდე, კოჯორი და ა.შ.). სწორედ აქაური უნიკალური ტურისტული რესურსი იზიდავს უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტს, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას. ტურიზმის განვითარება ასევე დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. მაგრამ საქართველოს რეგიონებში ამ შემთხვევაში ეს ცვლილებები ნაკლებად შეიმჩნევა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობა არ არის დაინტერესებული ამ დარგის განვითარებით იმის გამო, რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, თუ რას წარმოადგეს ტურიზმი, რისთვის უნდა იყვნენ აქ ტურისტები და რა როლი აკისრია ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის განვითარებაში. ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლეობა ამ თვალსაზრისით არც ბუნებას უფროთხილდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოსახლეობის დაინტერესება ამ სფეროთი. მათ რეალურად უნდა დაინახონ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სიკეთე (გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა) და კერძო მეწარმეებისათვის სახელმწიფო სტრუქტურებიდან მხარდაჭერა, რათა შეიცვალოს მათი დამოკიდებულება ჩამოსული ტურისტის მიმართ და, რასაკვირველია, იმ ბუნების მიმართაც, რომელიც ქმნის ტურიზმის განვითარების ისეთი მიმართულებებს, როგორცაა ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და ა.შ.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია, გულდასმით იქნეს შესწავლილი ყოველი ტურისტული რეგიონის დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობა (რაც ბოლო წლებში საგრძნობლად გაუარესდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში), რაც საშუალებას მოგვცემს, სწორად მოვახდინოთ დანიშნულების პუნქტში გამტარუნარიანობის გათვლა. ეს კი ხელს შეუწყობს სწორად დაგეგმვით ტურისტების რაოდენობა და აქტივობები, სატრანსპორტო საშუალებებით დატვირთვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, დაბინძურება და მუდმივი ეკოლოგიური გარდაქმნები, სწორი მენეჯმენტური და მარკეტინგული კვლევების ჩატარება და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდული ვ. საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით და მისი სრულყოფის პერსპექტივები, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IV, 2011.
2. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი, 2011.
3. ქველაძე ქ. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, საქ. ეკონომიკის და სამართლის უნივერსიტეტი. საუნივერსიტეტო შრომის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული თბ. 2010.
4. ბერუჩაშვილი ნ., ელიზბარაშვილი ნ. შესავალი გეოგრაფიაში, 2006.
5. <http://dpa.gov.ge>

*Kveladze Ketevan*

### THE IMPORTANCE OF BIODIVERSITY IN GEORGIA FOR THE DEVELOPMENT OF TOURISM UNDER GLOBALIZATION SUMMARY

Biodiversity brings enormous opportunities to the development of tourism in the whole country. The latter concerns regions as well as the central parts of the countries. For Georgia biodiversity is the best resource for the development of the following directions of the tourism: eco-tourism, agro-tourism, alpine tourism, wine tourism and etc.

For every citizen is the essential obligation for them to care about the defending and maintaining of biodiversity.

*ნანა შარაბიძე*

### ქუთაისის ტურისტული მიმზიდველობის ანალიზი

გლობალიზაციის ერთ-ერთი ყურადსადები და ანგარიშგასაწვეი თანმდევი პროცესი მოსახლეობის მობილურობის გაადვილებაა, რაც გამოხატულებას პოვებს როგორც მიგრაციის გააქტიურებაში, ასევე ტურისტებისა და მოგზაურების რაოდენობის ზრდაში. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში წელიწადში 700 მილიონი ადამიანი უპირატესობას ანიჭებს დასვენებას არა საკუთარ სახლში, ან შვეებულების სხვა გარემოში გატარებას. ამიტომ აქტიურად სარგებლობს სხვადასხვა სახის გასვლითი ან საერთაშორისო ტურების მომსახურებით. 2020 წლისათვის ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება და იგი 1,6 მილიარდი გახდება. ამდენად, ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკაშიც ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კერძოდ, აუცილებელია სერიოზული ღონისძიებების განხორციელება ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისის გაუმჯობესებისათვის და, რაც მთავარია, საჭიროა გააზრებული და გონივრული მუშაობა მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი მსოფლიო ტურისტული ბაზრისათვის ახალი, მიმზიდველი, კონკურენტული და ეფექტური ტურების შემუშავებისა და შეთავაზებისათვის. უახლოეს ათწლეულებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის როლი მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ამიტომ თითოეულ რეგიონში მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის კვლევისა და მისი პერსპექტივების გაანალიზების მიზნით, რათა რეგიონმა თუ ქალაქმა წარმატებით შეძლოს საკუთარი ნიშის დაკავება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ტურისტულ სივრცეში.




წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია ქუთაისის ტურისტული მიმზიდველობის კვლევა და ანალიზი არსებული სიტუაციის ობიექტურად შეფასებისა და უახლოესი სამომავლო პერსპექტივების, შესაძლებლობებისა და გეგმების სწორად და მიზნობრივად განსაზღვრისათვის. აღსანიშნავია, რომ კვლევისა და ანალიზის პროცესში გათვალისწინეთ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე რიგი უცხოელი ტურისტების მოსაზრებები და შეხედულებები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული ანკეტების მეშვეობით მოსახლეობის შერჩევითი გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხვის შედეგების დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი მოვახდინეთ კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. გამოკითხვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ აწსუ ტურიზმის სპეციალისტების სტუდენტები.

სულ გამოკითხა 171 ადამიანი. მათ შორის გამოვყავით ოთხი ასაკობრივი ფოკუს-ჯგუფი: 18 წლამდე – 37 ადამიანი, ძირითადად, სკოლის მოსწავლეები; 18-25 წელი – 71 ადამიანი. მათ შორის: 63 სტუდენტი, 3 საჯარო მოსამსახურე, 3 თვითდასაქმებული, 2 უმუშევარი; 25-40 წელი – 27 ადამიანი. მათ შორის: 14 საჯარო მოსამსახურე, 5 თვითდასაქმებული, 8 უმუშევარი; 40 წლის ზემოთ – 36 ადამიანი. ამათგან: 23 საჯარო მოსამსახურე, 8 თვითდასაქმებული, 5 უმუშევარი. ასევე 7 უცხოელი ტურისტი.

გამოკითხვაში მონაწილეთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ნაჩვენებია დიაგრამაზე 1.



**დიაგრამა 1. გამოკითხვაში მონაწილეთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:**


**1.18 წლამდე, 2. 18-25 წელი, 3. 25-40 წელი, 4. 40 წლის ზემოთ.**

საგულისხმოა, რომ ქუთაისის, როგორც მიმზიდველი ტურისტული გარემოს, აუთენტურობა არა მარტო უცხოელებში, არამედ ჩვენი ქვეყნის მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორისაც საკმაოდ დაბალია. ამას ადგილობრივი მოსახლეობაც კარგად აცნობიერებს. ამიტომაც კითხვაზე: „მიგაჩნიათ თუ არა ქუთაისის ტურისტებისათვის მიმზიდველად და საინტერესოდ“ გამოკითხულთა უმრავლესობა – 68,4% უარყოფით პასუხს იძლევა და საჭიროდ მიიჩნევს ინფრასტრუქტურისა და ტურისტული ობიექტების მოწესრიგება-განახლებასა და ახალი ტურისტული ტურების შემუშავებისათვის სერიოზულ მუშაობას. ინფრასტრუქტურისა და ტურისტული ობიექტების მოწესრიგება-განახლება, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და პროგრამების ფარგლებში, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. თუმცა, რიგ შემთხვევებში შესრულებული სამუშაოების (მაგალითად, პალმების ხეივანი აღმაშენებლის გამზირზე, ოპერის ექსტერიერი, შადრევანი ცენტრალურ მოედანზე და სხვა) მიზანშეწონილობა, ხარისხი და ადეკვატურობა აზრთა სხვადასხვა-

ობასა და კამათს იწვევს. ამჯერად, აღნიშნულ საკითხებზე არ შევჩერდები. მინდა ყურადღება გავამახვილო ქალაქის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ახალი გარე და შიდა ტურების შემუშავებისა და შეთავაზების მნიშვნელობას, ფორმასა და შინაარსზე.

გარე ტურების ორგანიზებისას მნიშვნელოვანია ისეთი აქცენტების შერჩევა, რაც ადვილად გასაგები და ნაცნობია უცხოელთათვის. იტალიელი ტურისტების აზრით, ქუთაისის წარმოჩენისათვის აქცენტები უნდა გაკეთდეს ისეთ ობიექტებს, ფაქტებსა და მოვლენებზე, რაც მსოფლიოში ბევრისთვისაა გასაგები და საინტერესო. მაგალითად, როგორცაა სათაფლიის გამოქვაბული და მასში დაცული დინოზავრის ნაკვალევი. ისინი საინტერესოდ მიიხივენ არგონავტების ლეგენდასაც, თუმცაღა, მატერიალური და ფაქტობრივი მასალის არარსებობა ამ თემის განვითარებას ნაკლებად ეფექტურს ხდის. ამდენად, სერიოზული, კარგად გააზრებული და დიდი მოცულობისა და ფინანსური დანახარჯების სამუშაოა შესასრულებელი ქუთაისის ავთენტურობის ასამაღლებლად. კერძოდ, აუცილებელია მსოფლიო მედიასა და წამყვან ტურისტულ არხებსა და პროგრამებში, ინტერნეტსა და სხვადასხვა ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე მაღალპროფესიულად შესრულებული, საინტერესო და შინაარსიანი ვიდეო-რგოლების სისტემატური ჩვენება ქალაქის წარსულს, აწმყოსა და მომავალზე. ზოგადად, ტურისტული შეთავაზება უნდა ეფუძნებოდეს იმ ისტორიულ ტრადიციებს, გამოცდილებასა და მიღწევებს, რაც ამა თუ იმ რეგიონს გააჩნია. ქუთაისის შემთხვევაში ეს არის მისი მნიშვნელოვანი ღვაწლი და დიდი წვლილი ქართული სახელმწიფოებრიობის, სულიერების, კულტურისა და განათლების საქმეში ზოგადად და განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში.

შიდა ტურების ორგანიზებისას მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ჩვენ მიერ გამოკითხული მოსახლეობის აზრი. კერძოდ, გამოკითხულთა აზრით, ქუთაისის ეფექტურად და მიმზიდველად წარმოჩენისთვის მიზანშეწონილი და პერსპექტიულია ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და რელიგიური ტურების შემუშავება. გამოკითხულთა შეხედულებების განაწილება ნაჩვენებია დიაგრამაზე 2.



**დიაგრამა 2. ქუთაისის წარმოჩენისთვის მიზანშეწონილი და პერსპექტიული ტურები: 1. ისტორიულ-კულტურული, 2. შემეცნებითი, 3. რელიგიური, 4. სხვა**

ქართულ სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და განვითარების პროცესში ქუთაისის ისტორიული როლისა და ადგილის ამსახველი და დამადასტურებელი ისტორიულ-კულტურული ძეგლები მწირად არის შემორჩენილი. თუმცა, სოლომონ მეფის სასახლეში – „ოქროს ჩარდახში“ მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული და იგი საინტერესო ტურისტულ ობიექტს განეკუთვნება, სადაც შესაძლებელია ისტორიულ-შემეცნებითი ანიმაციური ტურის ორგანიზება. მნიშვნელოვანი შენაძენია ქალაქისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ახალ კეთილმოწყობილ ისტორიულ შენობაში გადატანა.

ქუთაისში წარმატებით შეიძლება განხორციელდეს კულტურულ-შემეცნებითი ტური: „ქუთაისი – XIX-XX საუკუნის ქართული კულტურის აკვანი“. ტურის ორგანიზებისთვის დრამატულ თეატრში, ოპერასა და ყოფილ გიმნაზიაში (ამჟამინდელი I სკოლა) შესაძლებელია მოეწიოს იმ ცნობილ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა (ა. წერეთელი, ზ. ფალიაშვილი, „ცისფერყანწელები“, მ. ბალანჩივაძე, ნ. ნიკოლაძე და ა.შ.) საქმიანობის ამსახველი კუთხეები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვებს ქვეყნის ისტორიაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქუთაისში ჩაყარა საფუძველი ქართულ კონოხელოვნებას. სამწუხაროდ, ვ. ამაშუკელის სახლი და იქ დაცული ექსპონატები გასული საუკუნის 90-იან წლებში განადგურდა, მაგრამ ყოფილი კინოთეატრის „რადიუმის“ (შემდგომ „კომუნა“) კედელთან შესაძლებელია მემორიალური კუთხის მოწყობა ლეგენდარული კინო- ოპერატორისა და მისი ფილმის ამსახველი მასალით. ვფიქრობ, ახალმა სპორტის სასახლეში მუზეუმის ფუნქციაც უნდა შეითავსოს და იქ ქალაქის მკვიდრთა დიდი სპორტული ტრადიციები და მიღწევები უნდა აისახოს.

საინფორმაციო-შემეცნებითი ტურები შეიძლება მოეწიოს მოზარდთათვის ახალ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ცენტრში (პარლამენტი, მთავრობის სახლი, იუსტიციის სახლი), სადაც ქალაქისა და რეგიონის ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ კანონმდებელთა და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობას.

ამრიგად, ქუთაისის ტურისტული მიმზიდველობის ასამაღლებლად გარკვეული წინაპირობები და პერსპექტივები არსებობს. ამასთან, აუცილებელია სერიოზული, კარგად გააზრებული, დიდი მოცულობისა და ფინანსური დანახარჯების სამუშაოს შესრულება, რათა მნიშვნელოვნად ამაღლდეს ქუთაისის, როგორც მიმზიდველი ტურისტული გარემოს, ავთენტურობა როგორც უცხოელებში, ასევე ქვეყნის მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორისაც.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. შარაბიძე ნ. ტურისტული კომპანიების საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრის თავისებურებანი თანამედროვე პირობებში. „ეკონომიკის და ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“ ქუთაისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი, 2011 წლის 5-6 ნოემბერი.
2. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტმასალები (<http://www.ghn.ge/>, <http://www.georgia.travel/travel/index.php?page=10&sub=5&lang=1>).
3. დურგლიშვილი ნ. სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი. თბილისი, 2006.

*Sharabidze Nana*

### **THE ANALYSIS OF THE ATTRACTIVENESS OF KUTAISI FOR TOURISTS SUMMARY**

The aim of work is to research and analyze the attractiveness of Kutaisi for tourists. On the basis of the results an objective assessment of the real situation was made for the proper determination and focused prospects and opportunities. It is shown that certain prerequisites and prospects to increase the attractiveness of Kutaisi for tourists exist there. In this case, a serious, well thought-out work with a significant financial cost is necessary to improve the authenticity of Kutaisi, both among foreigners and among adolescents and youth of our country.

**უმუშევრობა სოფლად, მიზეზები და პერსპექტივები**

მოსახლეობის დასაქმების და უმუშევრობის საკითხი ყველა ქვეყნისათვის პრობლემატურია. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე საქართველოში საკმაოდ მაღალია და იგი 17% აღწევს (მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 10%-ია. მაგ., ჰოლანდიაში 4.4%-ია). საქართველოს ეკონომიკურ დარგთა შორის უმუშევრობის მაღალი დონით განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლის მეურნეობა, რაც განპირობებულია მთელი რიგი ნეგატიური ფაქტორით. ძირითად ფაქტორად, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმებასა და უმუშევრობაზე, მიგვაჩნია აგრარული რეფორმის ხარვეზებით გატარებული მიწის პრივატიზაცია.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები ჩატარდა, მათ შორის იყო აგრარული რეფორმა, რომელმაც აამოქმედა მიწის პრივატიზებით მიწაზე კერძო საკუთრების, იჯარის, გირაგნობის კანონები, მიწაზე პირველი რეფორმა 1992 წ. განხორციელდა. გაუქმდა და დაიშალა მთელი რიგი საცდელ-საჩვენებელი, ჯიშთა გამოცდის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და სხვა. გაუქმდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მათ მფლობელობაში არსებული სავარგულები დაქუცმაცდა პატარ-პატარა ნაკვეთებად და დაექვემდებარა პრივატიზაციას.

პრაქტიკულად, მთლიანად მოიშალა საბჭოთა პერიოდში არსებული საირიგაციო და სადრენაჟო ქსელები. გაუქმდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მათ ამორტიზაციას თან დაერთო ისიც, რომ, ლითონის ჯართი უპირველესი მნიშვნელობის საექსპორტო საქონლად იქცა, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მექანიზაციის გაჩანაგებას. ფუნქციონირება შეწყვიტა ხილ-ბოსტნეულის და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელმა საამქროებმა, რომელთა დანადგარებიც ასევე ჯართად გაიყიდა. მოიშალა აგრონომიული და ვეტერინალური მომსახურება, სოფელი დარჩა სასუქების, შხამქიმიკატების, ვაქცინების და, რაც მთავარია, მათი გამოყენების მცოდნე სპეციალისტების გარეშე.

მთელ რიგ სოფლებში მოიშალა და გაუქმდა ინფრასტრუქტურის ისეთი ელემენტები როგორც არის საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კინოთეატრი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, სადაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობა იყო დასაქმებული.

სოფელში მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი დამსაქმებლების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებით მოსახლეობამ დაკარგა სამუშაო ადგილები. კერძო სტრუქტურებმა, როგორც არის მაგ., ფერმერული მეურნეობები, რომლებმაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, სოფლის მეურნეობაში ფეხი ვერ მოიკიდა, მოსახლეობა ვერ დაასაქმა. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ 2010 წ. I კვარტლის მიხედვით, ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რიცხვი წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7%-ით შემცირდა.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სოფლად აგრობიზნესი ფერმერული მეურნეობის სახით ვერ განვითარდა, ეს სოფლის მეურნეობის წარმოების რისკიანობაა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, რომელმაც საანგარიშო წელი ზარალით დაამთავრა, სოფლის მეურნეობაა. ყველა ქვეყნის აგროსექტორი მთავრობის პროტექციონიზმით სარგებლობს, რისი თქმაც საქართველოს აგროსექტორზე არ შეგვიძლია.

აშშ-ს 2008 წ. სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილმა გრანტების თანხამ 10 მილიონს, ხოლო 2009 წ. 49 მილიონს მიაღწია, 2011-2012 წწ. განსაზღვრულია 55-55 მილიონის გამოყოფა.

მაგ., აშშ-ს სოფლის მეურნეობაში სუბსიდირება 2 პრინციპით ხდება: ერთი მხრივ, ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ ჩეკები და პირდაპირ ფულადი გზაწინდები სახელმწიფო ხაზინისაგან. მეორე მხრივ, სახელმწიფო იყენებს ბერკეტებს საზღვარგარეთელ კონკურენტებთან და ართულებს ანალოგიური საიმპორტო პროდუქციის შემოსვლას. შედეგად მომხმარებელი სამამულო პროდუქციას იძენს.

მაგალითად, თურქეთში სოფლის მეურნეობის სექტორი გამოირჩევა მთავრობის მაღალი მხარდაჭერით (ისევე, როგორც ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფოს ყოველწლიური სუბსიდირება აგრარული სექტორისათვის 4 მილიარდ დოლარს აღემატება).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გამოთვლით, პროცენტულად, სუბსიდირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ახალ ზელანდიასა (თავისი შემოსავლის 2%-ს მთავრობისა და სუბსიდირების სახით იღებს) და ავსტრალიაში (4%) ფიქსირდება, აშშ-ში კი ეს მაჩვენებელი 16%-ია, კანადაში 22%, ევროკავშირის ქვეყნებში 32%, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ შვეიცარიას აქვს და ის 68%-ს შეადგენს [4].

საქართველოს სოფლის მოსახლეობა ძირითადად იმ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის (1,2 ჰა) იმედზე დარჩა, რომელიც მიწის პრივატიზების შედეგად გლეხებს მიეცათ უსასყიდლოდ სტატისტიკური მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საშუალო სულადობრივი ნორმა საქართველოში 0,5 ჰა-ს შეადგენს, ხოლო ერთ მცხოვრებზე დასამუშავებლად ვარგისი მიწა 0,2 ჰა. მიწით უზრუნველყოფის ეს მაჩვენებელი მეტად დაბალია და ჩამოუვარდება მრავალი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს.

მიუხედავად მიწის ნაკვეთების სიმცირისა, ეს ფართობებიც კი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უქონლობის გამო, დღესაც დარჩენილია დაუმუშავებლად და აუთვისებელია.

ოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 47% სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი. სამაგიეროდ, კატასტროფულად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებებში.

1996 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთლიან ეროვნულ დოვლათში 33%-ზე მეტს შეადგენდა, სადღეისოდ კი 4-ჯერ შემცირდა და 8,3%-ს არ აღემატება.

უმუშევრობა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვა გურია-სამეგრელოს რეგიონმა. ამ რეგიონში მოსახლეობის ძირითადი დამსაქმებელი ჩაის კულტურა იყო. ჩაის კულტურის მოვლა, მოყვანა-კრფვით დასაქმებული მეჩაიეები ეკონომიურად უზრუნველყოფილნი იყვნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც აიჩეხა აკადემიკოს ქსენია ბახტაძისა და სხვა გამორჩენილი სელექციონერების მიერ რუდუნებით გამოყვანილი უნიკალური ქართული ჩაის პლანტაციები, ჩაის ფოთლის მკრეფავეები აღარ იყვნენ საჭირო. ასეთივე ბედი ეწია საქართველოში მეაბრეშუმეობასაც. მეაბრეშუმეობას, როგორც უნიკალურ და შემოსავლიან დარგს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. განსაკუთრებით იმერეთის რეგიონის მოსახლეობას დაეტყო მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის სოფლის მეურნეობის წარმოებიდან ამოღება. იმერეთის თითქმის ყველა ოჯახი დასაქმებული იყო მაღალანაზღაურებადი აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობით და ოჯახი დამატებით შემოსავალს ღებულობდა.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, სტატისტიკური მონაცემებით ყველაზე მეტი დასაქმებული ითვლება სოფლის მეურნეობაში, რადგან მათ გააჩნიათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

ოფიციალური მონაცემებით, 2003 წ-ის შემდეგ სოფლის მეურნეობაში წარმოება შემცირდა 15%-ით (ეკონომიკის დანარჩენ დარგებში საშუალოდ გაიზარდა 40%-ით). ასევე შემცირდა შრომის მწარმოებლურობა, შემცირდა სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ეკონომიკური ზრდა არ შეინიშნება სოფლის მეურნეობაში,

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობაზე მოდის (გრაფიკი 1).

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ დასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა. თუ პირმა გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში ერთი საათი მაინც იმუშავა შემოსავლის მიღების მიზნით, ითვლება დასაქმებულად. ამ კატეგორიაში შედის 15 წლის და უფროსი ასაკის პირები. ზედა ასაკის ზღვარი არ არის დაწესებული. აქედან გამომდინარე, პენსიონერები, რომლის პენსიის ოდენობა საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იძულებულია მონახოს დამატებითი შემოსავალი თავის გადასარჩენად დროებითი სამუშაო თუგინდ ერთი საათი კვირაში, ჩაითვლება დასაქმებულად (მაგ., თავის მიწის ნაკვეთზე). ასევე ყველა თვით დასაქმებული რომელიც კვირაში ერთი საათი მაინც იმუშავეს, ითვლება დასაქმებულად, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ის პირი (15 წლის ზევით საპენსიო ასაკამდე) უნდა ჩაითვალოს უმუშევრად, რომლებიც არ არიან დასაქმებული, არ აქვთ შემოსავალი საარსებო მინიმუმი მაინც და ეძებს სამუშაოს. თუ ასეთი კრიტერიუმით შევაფასებთ მდგომარეობას, მაშინ საქართველოში 16%-ზე მეტი აღმოჩნდება უმუშევარი.

შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი მოსახლეობამ სხვადასხვაგვარად გამოიხატა, ზოგმა მიატოვა საერთოდ სოფელი და მიაშურა ქალაქს (რასაც ხელი შეუწყო გლობალურმა ურბანიზაციის პროცესმა), განსაკუთრებით ქალებმა დატოვეს ოჯახები და გავიდნენ საზღვარგარეთ, საიდანაც ეხმარებიან ოჯახის წევრებს.


სოფელი დატოვა ახალგაზრდა ბავშვიანმა ოჯახებმა (სკოლებისა და საბავშვო ბაგების შემცირების გამო). სოფლები დაცარიელდა. სოფლად საცხოვრებლად დარჩენილია მოსახლეობის არააქტიური ნაწილი (უმთავრესად მოხუცები), რის გამოც მათი მწარმოებლურობა მეტად დაბალია.


შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი გზა, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის, ჩაის კულტურისა და მეაბრეშუმეობის აღდგენაა, რომელიც დაასაქმებს მოსახლეობას, ქალებს დააბრუნებს ოჯახში, ხოლო ქვეყანას გაუჩენს ძვირადღირებულ საქსპორტო ნედლეულს, რაზედაც ჯერ კიდევ წინა საუკუნეში მიგვითითებდა ილია ჭავჭავაძე.

„მიწის და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისთვის, როგორც მაგალითად პურია (კონკრეტულ შემთხვევაში სიმინდი – თ. ჩ.) ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს თუ უწინ როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ესლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია...

სულ სხვა იქნებოდა, რომ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც რუსეთის ჰავისა და მიწის მიზნით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნიდან შემოგვაქვს და რუსეთიდან გვაზიდინა. ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა. ჯერ ერთი ესა, რომ სასყიდელი უფრო იაფად დაგვიჯდებოდა და მეორე ჩვენი გასაყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ესლა იაფად სასყიდ ჭირნახულს ვახმართ, რომ უფრო ძვირფასს რასმეს მოვახმართ, ორგზის მოგებაში ვიქნებით” [2].

მთლიან მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი და უმუშევრობა სოფელში (%) [3]



 სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში

 უმუშევრობა სოფელში

ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ ყურადღება მიაქცია ქვეყნის აგრო-სექტორში შექმნილ სიტუაციას და მდგომარეობის გამოსასწორებლად განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები. ასე მაგ., ა/წ. აპრილის თვეში საქართველოში შემოიტანა 150 ტრაქტორი “ბელორუსი”, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას დაურიგდათ ერთჯერადი დახმარება – 30 ლარი ვაუჩერის სახით, ასევე გლეხის მიერ მოყვანილ პირველად სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მოიხსნა დღგ-ს გადასახადი. აქედან გამომდინარე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანდათან აღსდგება სოფლის მოშლილი ინფრასტრუქტურა, სოფელი დაიბრუნებს თავის ფუნქციას, რაც სასიკეთოდ წაადგება მთელ ქვეყანას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ჩხეიძე თ. მიწის რესურსების ოპტიმალურად გამოყენება, როგორც სიღარიბის დაძლევის საწინდარი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. კონფ. მასალები, 2010.
2. ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ.VII, 1956, გვ. 64-65.
3. ძნელაძე გ. საქართველოს ანტიკრიზისული რეფორმების 2010 წლის კურსი - შეიცვალა თუ არა მიმართულება ვექტორმა? – სსკგც-ს ბიულეტენი №118, 2011.
4. [banksandfinance.ge/village/1944-სოფლის-მეურნეობა.html](http://banksandfinance.ge/village/1944-სოფლის-მეურნეობა.html) – კრიზისმა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაზარდა ...
5. [european.ge](http://european.ge) – ბუჩუკური ს. ქართული სოფელი, 2011-03-03. [european.ge/?page=statistics&id=61](http://european.ge/?page=statistics&id=61)

*Chkheidze Tinatin*

**RURAL UNEMPLOYMENT, CAUSES AND PERSPECTIVES  
SUMMARY**

In the article the condition of employment and unemployment is examined in Georgian villages. After the abolition of soviet forms of production the majority of people employed in agrarian sphere were left without jobs. As for private sector, farmers were not able to create additional jobs.

In Guria-Samegrelo unemployment was more severe problem by the fact of derogation of tea culture and its production. Because of cutting tea plants the workers of it were left without any function. The same is true for the population of Imereti; in this case the main factor was the end of production of natural silk.

By the way of restoring the tea and silk production population will be employed and the country will get the competitive export production.

*ეთერ ხარაიშვილი*

**ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს შერჩეულ მუხრანოვებში**

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში დღეს დაბალი პროდუქტიულობის დონე აღინიშნება. ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8.0%-მდე შემცირდა<sup>31</sup>, რის გამოც ქვეყანაში ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12%-ია დაკმაყოფილებული. აგროსასურსათო პროდუქტების დეფიციტის შევსება იმპორტის ხარჯზე მიმდინარეობს. დღეისათვის საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების თითქმის 70% იმპორტირებულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სექტორში დასაქმების სტაბილურად მაღალი დონეა შენარჩუნებული, ნათელია, რომ აგროსასურსათო სექტორი არაეფექტიანად ფუნქციონირებს და დაბალია პროდუქტიულობა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაუარესდა სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლებიც.

საქართველოში აგროსასურსათო სექტორის განვითარების პარადოქსული ტენდენცია ჩამოყალიბდა: ბოლო ხუთი წლის მანძილზე დაახლოებით 50%-ით გაიზარდა ფასები მხოლოდ იმ სურსათზე, რომელიც ქვეყანაში იწარმოება ან რომლის წარმოებაც ადგილობრივი რესურსული პოტენციალით არის შესაძლებელი. ამავე პერიოდში მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა თითქმის განახევრდა – მეცხოველეობის 40%-ით, ხოლო სასურსათო თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 34%-მდე შემცირდა<sup>32</sup>.

აგროსასურსათო სექტორში დაბალია არა მარტო პროდუქტიულობა, არამედ დასაქმებულთა შემოსავლებიც. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6%-ს შეადგენს, ანუ სოფლის მეურნეობის წარმოების 94% განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის<sup>33</sup>. აღნიშნულის გამო სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა 53% საარსებო მინიმუმის ზღვარს დაბლა იმყოფება, აქედან 23% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. FAO-ს მონაცემებით, 2003-2009 წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი 29%-ით შემცირდა<sup>34</sup>. აგროსასურსათო სექტორის განვითარების ასეთი დონის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების ინოვაციური სტიმულირებით განვითარება, რაც გამოიწვევს ფერმერული მეურნეობების რესურსული პოტენციალის ამოქმედებას, შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ეფექტიან გამოყენებას, კაპიტალის კონცენტრაციას, პროდუქციის წარმოებისა და დივერსიფიკაციის გზების მოძიებას. მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა სწორედ ინოვაციებითა და ახალი ტექნოლოგიებით შეძლეს აგროსასურსათო წარმოების განვითარება<sup>35</sup>.

<sup>31</sup> www.geostat.ge

<sup>32</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, თბილისი, 2011, გვ. 47, 68,81.

<sup>33</sup> www.geostat.ge

<sup>34</sup> www.fao.org/corp/statistics

<sup>35</sup> www.ick.ge/ka/articles/5000-2011-03-07-06-16-33.html



ევროკავშირში ინოვაციური პოლიტიკა სახელმწიფო მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა. ევროკავშირში შეთანხმდნენ ინოვაციური საწარმოს ცნებაზეც. ინოვაციურია საწარმოა თუ ბოლო სამი წლის მანძილზე ერთ-ერთი წლის დანახარჯი კვლევაზე ბრუნვის 15%-ს აღემატება და კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე. ევროკავშირში სამეცნიერო კვლევებზე მშპ-ის 2% იხარჯება, აშშ-ში ეს მაჩვენებელი 2.7%-ია, იაპონიაში – 3.1%. დასახელებული მაჩვენებლები განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით (მაგალითად, შვედეთში – 3.6%, ფინეთში – 3.2%)<sup>36</sup>.

საწარმოთა ინოვაციურ განვითარებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო დახმარება შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

1. კვლევის პრიორიტეტებისა და სტრატეგიების განსაზღვრა;
2. ინოვაციური განვითარებისათვის მცირე საწარმოთა დახმარება;
3. მომსახურების სფეროში ინოვაციურ და ორგანიზაციულ პროცესებზე მხარდაჭერა;
4. ინოვაციური განვითარების მიმართულებებსა და დანერგვის სფეროში საკონსულტაციო უზრუნველყოფა;
5. საინოვაციო კლასტერების შექმნისათვის დახმარება და სხვ.

ბოლო პერიოდში ინოვაციური განვითარება კონკურენტუნარიანობის ამადლებისა და რეგიონული განვითარების მთავარი მექანიზმი გახდა, რაც, თავის მხრივ, აჩქარებს კლასტერების ჩამოყალიბების პროცესს. „...ინოვაციური ღონისძიებები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ხელს შეუწყობს ფირმათაშორის კლასტერებისა და ქსელების წარმოქმნას...“<sup>37</sup>.

დღეს საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციური განვითარების ტენდენციები გამოკვეთილი არ არის. მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ფერმერულ მეურნეობათა მცირე მასშტაბებია. ერთი შინამეურნეობის საკუთრებაში საშუალოდ 1.32 ჰა მიწის ფართობია, რაც, თავის მხრივ, 2-3 ნაკვეთად არის დანაწევრებული. 5.0 ჰა-ზე უფრო ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთების წილი ფერმერული მეურნეობების საერთო რაოდენობაში 98.4%-ს შეადგენს. მიწის საერთო ფართობში კი ამ ზომის ნაკვეთების წილი 63.4%-ია<sup>38</sup>. ასეთ პირობებში შეუძლებელია წარმოების მასშტაბზე ორიენტირება და მაშასადამე, პროგრესული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა. თავის მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ გართულებულია ბაზარზე უპირატესობის მოპოვება.

მიწის ფართობების მიხედვით სამი ჯგუფის ფერმერულ მეურნეობას გამოვყოფთ: 1. მცირე მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ; 2. საშუალო მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს საკუთარი და ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ; 3. მსხვილმასშტაბიანი, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ გასაყიდად აწარმოებენ<sup>39</sup>.

პირველი ტიპის მეურნეობებს საკუთრებაში ერთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთები აქვთ, მათი წილი მეურნეობათა საერთო რაოდენობაში 20%-ია და აღნიშნული ჯგუფი ნაკლებად ექვემდებარება ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებს. მეორე ტიპის მეურნეობებს საკუთრებაში გააჩნიათ ერთიდან სამ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, მათი წილი 75%-ია და მათთვისაც ძნელია ახალი ტექნოლოგიების შეტანა წარმოებაში და ინოვაციებზე ორიენტირება; მესამე ტიპის მეურნეობები შედარებით მსხვილმასშტაბურია, მათ სარგებ-

<sup>36</sup> Goldberg I. *at al. Public Financial Support for Commercial Innovation*. Europe and Central Asia Knowledge Economy Study Part I. Chief Economist's Regional Working Paper Series, Vol.1, no.1, World Bank, 2006.

<sup>37</sup> European Cluster Alliance ([www.proinno-europe.eu/doc/eca\\_copenhagen.pdf](http://www.proinno-europe.eu/doc/eca_copenhagen.pdf))

<sup>38</sup> 2004 წლის აღწერის მონაცემები.

<sup>39</sup> ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 101.

ლობაში არსებული სავარგულები ხშირ შემთხვევაში 100 და მეტ ჰექტარს შეადგენს. მეურნეობათა მთლიან რაოდენობაში მათი ხვედრითი წონა 5%-ია და აღნიშნული ჯგუფი, როგორც მასშტაბის, ასევე ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეძლებს ინოვაციურ განვითარებას.

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა განვითარება მიკროზონალურ პირობებზე დამოკიდებული. ბაზარზე ორიენტირებული პროდუქტების წარმოება, მიზანშეწონილია, ამ ზონების მიხედვით განვითარდეს და ამ მიმართულებითვე განისაზღვროს ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში მიუღწეველი იქნება საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება. სახელმწიფომ რეგულირების მექანიზმების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს კრედიტების ხელმისაწვდომობა ინოვაციების დანერგვისა და გამოყენების, ასევე, ახალი პროდუქტების წარმოების დროს. 2011 წლის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებში აგროსასურსათო სექტორის წილი მთლიანი თანხის მხოლოდ 0,3%-ია. კომერციული ბანკების დაბალი ინტერესი სექტორის მიმართ აიხსნება აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში ასრებული მაღალი რისკებით, ასევე ნაკლები მიმზიდველობითა და ფერმერების მცირე გამოცდილებით ბიზნესგეგმების შემუშავებაში.

ექსპერტული შეფასებით, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მინიმუმ ხუთჯერ გაზრდის შესაძლებლობა არსებობს. ამასთან, გამოკვეთილია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ქართულ აგროსასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. ინოვაციური სისტემების დანერგვით სექტორი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ განვითარებაში და, რაც მთავარია, გადაჭრის სიღარიბისა და - შევრობის პრობლემებს.

ინოვაციების სტიმულირებასა და რეგულირებაში წამყვანი როლი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო პოლიტიკა შემდეგი სტრატეგიული მიზნების მიღწევზე უნდა იყოს ორიენტირებული: 1. საშუალოვადიან პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვნად ჩანაცვლება ქართული პროდუქტებით; 2. ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციით ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე პოზიციების მოპოვება; 3. აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდა; 4. პროდუქტისა და სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; 5. სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებზე დაფინანსების გაზრდა; 6. ინოვაციების განხორციელებისათვის საჭირო ინტელექტუალური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაციაკონკრეტული პროგრამებისა და ინიციატივების დაფინანსებით; 7. ინოვაციების სტიმულირების სფეროში კონკურენციის წახალისება სხვადასხვა ფინანსური სუბსიდიებითა და შეღავათებით; 8. ინოვაციური რისკების ნაწილობრივი ან სრული დაზღვევის უზრუნველყოფა; 9. ინოვაციების მხარდაჭერისა და სტიმულირებისათვის საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, ინოვაციური პროდუქტების ავტორთა ინტელექტუალური უფლებების დაცვა; 10. ინოვაციური პროცესების სოციალური და ეკოლოგიური მიმართულების შესაბამისად რეგულირება, სოციალური სტაბილურობისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პირობებში; 11. საქართველოს რეგიონების მიხედვით ინოვაციათა გავრცელების პირობების შედარებით გათანაბრება; 12. ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება და რეგულირება სტრატეგიის ჩარჩოებში; 13. ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია და სხვ.

ფერმერული მეურნეობების ინოვაციური გზით განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება ფერმერების ცოდნის დონის ამაღლება ახალი ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული კონიუნქტურის შესახებ. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრარული მეცნიერების განვითარებას, ამ სფეროში სწავლების, კვლევისა და კონსულტირების ეფექტიანი სისტემის შექმნას. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, განისაზღვროს უმაღლესი განათლების სისტემაში სასოფლო-სამეურნეო სწავლებისა და

კვლევების პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრები, შეიქმნას აგროსასურსათო სექტორში არსებული პრობლემების შესახებ საინფორმაციო ბაზა, ჩატარდეს ტრენინგები აგრობიზნესის აქტუალურ პრობლემებზე და მეწარმეობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, შეიქმნას საჩვენებელი ფერმერული მეურნეობები, მოხდეს მათი საქმიანობის შესწავლა-განზოგადება, განხორციელდეს ფერმერებისა და მეცნიერების საზღვარგარეთ სწავლებისა და სტაჟირების ხელშეწყობა.

*Kharaishvili Eter*

## **INNOVATIVE DEVELOPMENT PROBLEMS IN FARMS OF GEORGIA**

### **SUMMARY**

The article analyzes the current situation in farms of Georgia and reveals the problems that hinder innovative development of these farms.

From the point of view of innovative development three main groups of farms are studied: 1. small farms, which produce goods only for self-consumption 2. medium-sized farms, which produce goods for their own consumption and for the market; 3 large ones, which produce goods only for sale. Based on the analysis, it's concluded that the first type of farms don't have possibilities for introducing innovations. Involvement of new technologies in production process and focusing on innovations is connected with some difficulties for the second type of firms as well; and the third type of firms, because of both their scale and financial capacities are able to introduce innovations.

Directions of agri-food sector development are evaluated according to the conditions of micro zones. The recommendation is given that it's advisable to develop production of the market oriented goods according to these zones.

*მამუკა ხუსკივაძე*

### **დებარდირებადი მიწების რეკულტივაციის ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი**

საქართველოში პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესი და ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება, რომელიც არსებითად ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეუზღუდავ გამოყენებას ეფუძნება, მიმდინარეობს რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრინციპების დაცვისა და გათვალისწინების გარეშე. ამის შედეგად ადგილი აქვს ბუნებრივი კაპიტალის (განსაკუთრებით მიწის რესურსების) დეგრადაციასა და მნიშვნელოვან დანაკარგებს. უარყოფითი შედეგები გროვდება და სულ უფრო მასშტაბურად იჩენს თავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებში.


სპეციალურ ლიტერატურაში მიწა განიმარტება, როგორც გარემო ბუნების ნაწილი, რომელიც აერთიანებს ურთიერთგანპირობებულ ელემენტებს (ბიოლოგიური გარემო, გეოლოგიური გარემო, წყალი, ატმოსფერული ჰაერი და სხვა). ის წარმოადგენს სივრცობრივ, გადაუადგილებელ ბაზისს და ადამიანთა საზოგადოების სამეურნეო საქმიანობისა და ცხოვრების აუცილებელ საშუალებას.

მიწის დეგრადაცია არის პროცესი, რომელსაც განაპირობებს მათზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედება, ხოლო დეგრადირებული მიწების ქვეშ იგულისხმება მიწები, რომლებსაც მთლიანად ან ნაწილობრივ აქვს დაკარგული ნაყოფიერება და სხვა სასარგებლო თვისებები.

დეგრადირებული მიწების რეკულტივაცია გულისხმობს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია მათი ხარისხისა და სასარგებლო თვისებების აღდგენასა და შენარჩუნებაზე.

დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ფუნქციონალური როლი ბუნებათსარგებლობის სფეროში მნიშვნელოვანია. რეკულტივაცია წარმოადგენს არა მხოლოდ კვლავწარმოების პროცესის ნაწილს, არამედ, როგორც რესურსგამოყენების პროცესის რეგულატორს, როგორც ქმედით ინსტრუმენტს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მიწის რესურსების, დაცვის საქმეში.

დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები. შესაბამისად, რეკულტივაციის ეფექტიანობის მაჩვენებლები შეიძლება შემდგენიარად წარმოვიდგინოთ (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1.

რეკულტივაციის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებს წარმოადგენს რეკულტივაციის შედეგად მიღებული ეფექტები და მის განხორციელებაზე გაწეული დანახარჯები.

დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის შედეგად მიღებული ჯამური ეფექტი არის ინტეგრალური მაჩვენებელი და შეიძლება გამოვსახოთ შემდგენიარად.

$$\sum \Xi = \Xi_{\text{ეკოლ}} + \Xi_{\text{ეკონ}} + \Xi_{\text{სოც-დემოგრაფ}} \quad (1)$$

სადაც:

$\Xi_{\text{ეკოლ}}$  არის რეკულტივაციის განხორციელების შედეგად მიღებული ეკოლოგიური ეფექტი;

$\Xi_{\text{ეკონ}}$  – რეკულტივაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტის ამსახველი პარამეტრი;

$\Xi_{\text{სოც-დემოგრაფ}}$  – რეკულტივაციის პროცესით წარმოქმნილი სოციალურ-დემოგრაფიული ეფექტი.

აბსოლუტური ეფექტი, რომელიც მიიღება რეკულტივაციის შედეგად, განიხილება, როგორც სხვაობა რეკულტივაციის განხორციელებით მიღებულ ჯამურ ეფექტსა და რეკულტივაციაზე გაწეულ დანახარჯებს შორის. მაშასადამე, მივიღებთ, რომ

$$\Sigma_{\text{აბსოლუტული}} = \Sigma \exists - R \quad (2)$$

სადაც:

$\Sigma \exists$  არის ჯამური ეფექტი,

ხოლო  $R$  რეკულტივაციაზე გაწეული დანახარჯები.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკულტივაციაზე გაწეულ დანახარჯებს დიდი მნიშვნელობა აქვს და არსებით ზეგავლენას ახდენს აბსოლუტურ ეფექტზე. რეკულტივაციაზე გაწეული დანახარჯები უკავშირდება რეკულტივაციის პროცესს, რომელშიც შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი: მოსამზადებელი, შუალედური და დამამთავრებელი. აქედან გამომდინარე, საერთო დანახარჯებიც არის ინტეგრალური პარამეტრი და შედგება რეკულტივაციის თითოეულ ეტაპზე გაწეული დანახარჯების ჯამისაგან. მაშასადამე,


$$R = R_{\text{მზად}} + R_{\text{შუალედ}} + R_{\text{დასრულებული}}$$

ამჟამად, სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ეფექტიანობის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდიკური მიდგომა, თუმცა მათ ვიწროდარგობრივი ორიენტაცია აქვთ და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის პერიოდს ასახავენ, რაც, მათი გამოყენების შემთხვევაში, არ იძლევა რეკულტივაციის ეფექტიანობის ობიექტურად განსაზღვრის და რეკულტივაციის ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალურის შერჩევის საშუალებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკური საფუძვლების სრულყოფა. კერძოდ, ისეთი მეთოდიკის შემუშავება, რომელიც ადაპტირებული იქნება საბაზრო ეკონომიკურ სისტემასთან და მოახდენს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების, კვლავწარმოებისა და დაცვის შეფასებების ინტეგრირებას. ამასთან, ასეთი მეთოდიკით შესაძლებელი უნდა იყოს არა მხოლოდ მიწების რეკულტივაციის საერთო, არამედ შედარებითი ეფექტიანობის გაანგარიშება. შედარებითი ეფექტიანობის გაანგარიშება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ის ახასიათებს რეკულტივაციის ერთი ვარიანტის ეკონომიკურ უპირატესობას მეორესთან მიმართებაში.

შედარებითი ეფექტიანობის გაანგარიშებისას გასათვალისწინებელია ე.წ. “ნაცრენობითი ზარალი”, ვინაიდან რეკულტივაციის პროცესი ვერ უზრუნველყოფს გარემო ბუნებისადმი მიყენებული ზარალის სრულად ნეიტრალიზებას.

ჩვენი აზრით, დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდიკა შეიძლება შემდგენიარად წარმოვიდგინოთ (იხ. ნახაზი 2).



სადაც:

$Z$  არის დეგრადირებული მიწების რეკულტივაციით მიღებული ჯამური ეფექტი (ლარებში);

$E_1$  – რეკულტივაციის შედეგად წყლის რესურსების, წყლის ობიექტების, ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენისა და ხარისხის გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეფექტი (ლარებში);

$E_2$  – ბიომრავალფეროვნების აღდგენითა და ხარისხის გაუმჯობესებით მიღებული ეფექტი (ლარებში);

$E_3$  – ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენით მიღებული ეფექტი (ლარებში);

$E_4$  – ტერიტორიულ-რეკრეაციული მახასიათებლების გაუმჯობესებით მიღებული ეფექტის ამსახველი პარამეტრები (ლარებში);

$E_5$  – ატმოსფერული ჰაერის ნივთიერი შემადგენლობის გაუმჯობესების და სისუფთავის ხარისხის ზრდით წარმოქმნილი ეფექტი (ლარებში);

$E_6$  – მიკროკლიმატის ხარისხის ამაღლებით გამოწვეული ეფექტი (ლარებში);

$E_7$  – დამატებითი პროდუქციის მიღების შესაძლებლობით გამოწვეული ეფექტი (ლარებში);

$E_8$  – რეკულტივაციის შედეგად გარემო ბუნების ელემენტების სპეციფიკური თვისებების გამოყენების შედეგად მიღებული ეფექტი (ლარებში);

$E_9$  – ქვეყნის (რეგიონის) ატრაქტიულობის (მიმზიდველობის) გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეფექტი;

$E_{10}$  – სპეციფიკური ეფექტი, მიღებული დანახარჯების შემცირების შედეგად (ლარებში);

$R_1$  – დანახარჯები რეკულტივაციის მოსამზადებელ ეტაპზე (ლარებში);

$R_2$  – დანახარჯები, რომელიც საჭიროა რეკულტივაციის შუალედურ ეტაპზე (ლარებში);

$R_3$  – დანახარჯები დამამთავრებელ (დასკვნით) ეტაპზე (ლარებში);

$K$  – დეგრადირებული მიწების რეკულტივაციაზე კაპიტალური დანახარჯები (ლარებში);

$M$  – რეკულტივაციის საექსპლუატაციო დანახარჯები (ლარებში);

**W** – დანახარჯების ნორმატიული კოეფიციენტი (მისი შემოღება აუცილებელია, ვინაიდან დანახარჯების გაწევა ხორციელდება სხვადასხვა დროს და შესაძლებელია სხვადასხვა ეკონომიკური კონიუნქტურის არსებობა);

**Q** – ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შედეგად დარჩენილი ზარალის ამსახველი მაჩვენებელი.

დეგრადირებული მიწების რეკულტივაციის ეფექტიანობის გაანგარიშების შემოთავაზებული მეთოდის ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მიწის, როგორც კატეგორიის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ თვითონ მიწა, როგორც საცხოვრებელი ადგილი და წარმოების საშუალება, არამედ მთლიანი ბუნებრივი პირობების ერთობლიობა;

- რეკულტივაციას ექვემდებარება ყველა დეგრადირებული ტერიტორია და ეკოსისტემები;

- რეკულტივაცია, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს დეგრადაციის გამომწვევი პროცესების პარალელურად.

- რეკულტივაციის პროცესი შედგება სამი აუცილებელი, თანმიმდევრობით განსხორციელებელი ეტაპებისაგან;

- რეკულტივაციის შედეგები ვლინდება როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ დონეებზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Ворончихина Е.А. Рекультивация нарушенных ландшафтов. П., 2010.
2. <http://ecomoscow.ru/modules/wfchannel/index.php?pagenum=89&PHPSESSID=6c20d99a69fb15725f37d135b9b06100&PHPSESSID=5944d85b6b16fd9be60eb74be7929d24>
3. Продан М. Н. Технология рекультивации нарушенных земель. Сборник научных трудов. Часть II. Природообустройство и рациональное природопользование – необходимые условия социально-экономического развития России. – Москва, 2005.

*Khuskivadze Mamuka*

### **SOME ISSUES OF IMPROVEMENT OF EFFICIENCY CALCULATION METHODICS OF DEGRADED LAND RECULTIVATION SUMMARY**

In the article some problems concerning the efficiency calculation methodics of degraded land recultivation are considered.

The main indices which determine the efficiency of degraded land recultivation (including ecologic, economic and social-demographic indices) are given.

Some way of improvement of efficiency calculation methodics of degraded land recultivation is formulated on the basis of specific principles.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტი გლობალიზაციის პირობებში**

გლობალიზაციის გაღრმავების კვალობაზე ნებისმიერი ბიზნესსტრუქტურისთვის სულ უფრო რთულდება მენეჯმენტის ძირითადი ამოცანის – ბაზარზე ხანგრძლივი და სტაბილური დამკვიდრების პოტენციური შესაძლებლობა. ამჟამად მენეჯერთა საქმიანობის წარმატება განისაზღვრება არა იმდენად ბაზრის ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირებით, რამდენადაც საკუთარი საწარმოებისათვის ახალი ბაზრების შექმნა-მოძიებით, რომლებიც პასიურად კი არ რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, არამედ თავად ცვლიან ბაზრებს და ოპერატიულად რეაგირებენ სოციალური სფეროს ყველა ცვლილებაზე.

ბიზნესსტრუქტურებისთვის ფასეულობათა ზრდის ფაქტორები შეიძლება იყოს მათი შემოსავლების მატება, საწარმოო ან საფინანსო რისკის შემცირება, სწორი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა. ასევე ორგანიზაციებისთვის ფასეულობათა ზრდის ერთ-ერთ თვალსაჩინო საშუალებას წარმოადგენს ახალ აქტივებში ინვესტირება, რომელსაც დამატებითი შემოსავლები მოაქვს.

ჩვეულებრივ, კაპიტალის ბაზრები კარგად იღებენ მენეჯერთა ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც აქციებზე შემოსავლების, დივიდენდების ან ძირითადი საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ზრდას იწვევს, ანუ ბაზრები კეთილსაიმედოდ რეაგირებენ მაშინ, როდესაც ვლინდება ფირმის აქციების ფასეულობის ზრდის დამადასტურებელი ნიშნები. ამასთან, ბაზრების ენთუზიაზმი მნიშვნელოვნად იცვლება ფირმის ოპერაციების რისკების შეფასებისას.

სტრატეგიული და გრძელვადიანი გეგმების ზუსტი და მკაფიო პარამეტრების ხვედრითი წილის შემცირებისა და პროგნოზირების დროებითი ჰორიზონტების ზრდის კვალობაზე, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება სამომავლო რისკები. ამდენად მენეჯმენტის ძირითადი ორიენტირი არა მოგების მაქსიმალური ზრდა, არამედ რისკების გაგლენის ელიმინაცია ხდება.

გლობალიზაციამ არსებითად გააფერმკრთალა საზღვრები და ბარიერები პარტნიორობისა და კავშირებისთვის, ასევე ნებისმიერი რესურსის (საფინანსო, მატერიალური, ადამიანური, ენერგეტიკული და ა.შ.) გადაადგილებისთვის. საერთაშორისო მენეჯმენტში ახალი ბაზრების მოძიების, დაპყრობისა და შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანესია პარტნიორების შერჩევა, შეფასება და ურთიერთობის აწყობა. წლიდან წლამდე ფართოვდება ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე მსხვილი კონსორციუმების დამკვიდრების პროცესი, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, თავისი გასაღების პროგრამების განხორციელების მიზნით, არ ცნონ და დაარღვიონ როგორც მორალური, ისე სხვა ბარიერები. ხშირად პარტნიორობისთვის ირჩევენ ახალგაზრდა, მზარდი პოტენციალის მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც ახალი ბაზრების ათვისების რეალური შესაძლებლობა აქვთ არა წარმოებისა და ურთიერთობების შემდგომი გაზრდისა და გაღრმავებისათვის, არამედ მხოლოდ მათი ქმედების შეჩერებისა და კონსერვაციის მიზნით.

როგორც ცნობილია, მენეჯერებისა და ზოგადად მენეჯმენტის საქმიანობის ეფექტიანობა განისაზღვრება არა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, სიხშირის და მნიშვნელოვნების ან სხვა რაიმე კრიტერიუმის მიხედვით, არამედ მხოლოდ ეკონომიკური მიღწევებისა და შედეგების მეშვეობით.

ნებისმიერ ბიზნესსტრუქტურაში მხოლოდ მენეჯერის გადასაწყვეტია რა უფრო მნიშვნელოვანია: ბაზარზე საკუთარი წილის ზრდა თუ ჩადებულ ინვესტიციის მწარმოებლურობის ამაღლება. ამ უკანასკნელზე არჩევანის შეჩერებისას სწორედ მან უნდა დაადგინოს სად უკეთესია ახალი ან გამოთავისუფლებული თანხის ინვესტირება – მოქ-



მედი წარმოების რენტაბელობის ზრდაში თუ ახალი სახეობის მომსახურების ან ნაკეთობის წარმოებაში.

როგორც წესი, „საბაზრო აღლოთი“ დაჯილდოებული მენეჯერები ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში გაცილებით უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე მართვის თანამედროვე მეთოდებით განსწავლული და უახლესი კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი მენეჯერები. კომპეტენტური მენეჯერებისა და თანამშრომლების მოძიება და შენარჩუნება ბევრად რთულია, ვიდრე კაპიტალის მოძიება ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად.

ხელმძღვანელისა და ხელქვეითების ურთიერთობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ორგანიზაციის წარმატებასა და რენტაბელობას, რომელიც არა მხოლოდ ტექნიკური განსაზღვრებაა, არამედ ადამიანის რეალური ინტელექტუალური განწყობა და აზროვნების სტილი.

ადამიანები არსებითად განსხვავდებიან ცოდნით, გამოცდილებით, ინტელექტუალური შესაძლებლობებით, აზროვნების და მოქმედების სტილით. სწორედ ეს განსხვავებულობა განაპირობებს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სირთულეს და, ამავე დროს, ინტერესის განსაკუთრებულ სფეროს. მენეჯერს, რომელიც ფიქრობს, რომ საწარმოში ყველა თანამშრომელი ერთნაირია, არ უნდა ჰქონდეს წარმატების იმედი.

ხელმძღვანელობასა და ხელქვეითებს შორის არასახარბიელო ურთიერთობა ადრე თუ გვიან გავლენას მოახდენს ბაზარზე საწარმოს მდგომარეობაზე, და არა მხოლოდ შრომის დაბალი მწარმოებლურობის გამო, არამედ კლიენტებთან ურთიერთობის გამოც. საწარმო თანამშრომელთა ერთობლიობაა და ამიტომ, ნებისმიერი ადამიანი, ამა თუ იმ საწარმოზე ფიქრისა და მსჯელობისას, უწინარესად იქ დასაქმებულებს წარმოიდგენს, რომლებთანაც უკვე ჰქონია შეხება რაიმე ფორმითა და დოზით. ამდენად ხელმძღვანელობის „არსებობა-შენარჩუნება“ დამოკიდებულია თანამშრომელთა საქმიანობასა და ბაზარზე. თავის მხრივ, საწარმოში მენეჯმენტსა და ხელქვეითებს შორის საქმიანი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში სწორედ ხელმძღვანელობას აქვს გადამწყვეტი როლი.

დღეისათვის, ზოგადად, ადამიანური რესურსი ყველაზე უნიკალური და ძვირადღირებული რესურსია. თუმცა ამჟამად ამ რესურსის მაღალ ფასზე საუბარი ჩვენს ქვეყანაში ნაადრევია. მაგრამ გლობალიზაცია, სხვა მრავალ სიკეთესა და უარყოფით მოვლენასთან ერთად, ამ რესურსის დაჩქარებულ ფარდობით დეფიციტსა და გაძვირებასაც გამოიწვევს. ამიტომ მენეჯერებისათვის სულ უფრო აქტუალური ხდება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ოპტიმიზაცია.

ადამიანური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციისათვის უმნიშვნელოვანესია თავად სამუშაო ადგილების ოპტიმიზაცია, რომელიც კომპეტენტური სპეციალისტების მიერ მათი სრულყოფილი აღრიცხვითა და ატესტაციით უნდა განხორციელდეს, გამოვლინდეს მოძველებული, ასევე არასრულად დატვირთული და დუბლირებული სამუშაო ადგილები. შემდგომ ეტაპზე მოხდეს მათი რეორგანიზაცია, საჭიროების შემთხვევაში კი ლიკვიდაცია. განისაზღვროს ახალი და რაციონალური სამუშაო ადგილების საჭირო რაოდენობა და შეიქმნას სამუშაო ადგილების სრულყოფილი ჩამონათვალი და აღწერილობა.

სამუშაო ადგილების ოპტიმიზაციასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული დასაქმებულის ვალდებულებებისა და უფლებების არეალის ზუსტ და მკაფიო განსაზღვრას, ასევე პერსონალური პასუხისმგებლობის საზღვრების დადგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია უპასუხისმგებლობა, დუბლირება სამუშაოთა შესრულებაში და მხედველობის არიდან მთელი რიგი სამუშაო ელემენტებისა და უბნების მიჩქმალვა.

ვალდებულებების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია 3 ასპექტი:

1. თანამდებობრივი ვალდებულება – ძირითადი ფუნქციების ჩამონათვალი, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შეასრულოს დასაქმებულმა;

2. განათლების დონე – მოთხოვნები, რომლებიც წაყენება დასაქმებულს სპეციალურ განათლებასთან, ასევე საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ცოდნასთან დაკავშირებით;

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები – მომუშავეს სპეციალური მომზადების დონე, რომელიც აუცილებელია დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილი შესრულებისთვის.

ოპტიმიზებული სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების ბალანსის შედგენა, ცხადია, საინვესტიციო პროცესების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ამ ორი კომპონენტის – შრომითი რესურსებისა და ინვესტიციების თანაბარზომიერი განვითარება მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ამოცანაა.

ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას ახალი თანამშრომლების მოძიება და ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვა და ადაპტაცია ესაჭიროება. საწარმოში ახალი თანამშრომლების მიღებისას მენეჯერები უნდა აცნობიერებდნენ, რომ იწვევენ არა მხოლოდ სამუშაო ძალას, არამედ ადამიანს მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, თავისებურებებითა და ნაკლოვანებებით. გლობალიზაციის პროცესი ამ სირთულეებს კიდევ უფრო აღრმაავს.

მენეჯერებს ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გათვალისწინება უწევთ. სწორედ აქ ვლინდება მათი პროფესიული ცოდნის და „საბაზრო ალღოს“ დონე.

მოლოდინის თეორიას ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ამიტომ მენეჯერმა უნდა ჩამოაყალიბოს ქვეშევრდომებისთვის მოლოდინის მაღალი, მაგრამ რეალური დონე. თავად მოლოდინის თეორია ითვალისწინებს სამ ურთიერთკავშირს:

1. შრომის დანახარჯები – შედეგები;
2. შედეგები – დაჯილდოება (წახალისება);
3. დაჯილდოება – ვალენტურობა (დაკმაყოფილება დაჯილდოებით).

ოპტიმალური ორგანიზაციული გადაწყვეტილების მისაღებად საწარმოში პერსპექტიული მენეჯერების მომზადების ოპტიმალური გარემო უნდა შეიქმნას. სწორედ ამ გარემოების იგნორირება ხდება საწარმოთა უმრავლესობაში, რაც გამოწვეულია მოქმედი მენეჯერების პოტენციური კონკურენტების მიმართ შიშით. დევიზის – „ხელმძღვანელობა ნიშნავს მოერიო საკუთარ თავს“, იგნორირება ნებისმიერი ბიზნესსტრუქტურის განვითარების დამაბრკოლებელია..

რაც შეეხება ადამიანური რესურსების და ზოგადად სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, დღეისათვის, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებითია სამუშაო ძალის გადამზადება, ანუ ე.წ. მცირე პროფესიების ათვისება მათი პროფესიული არეალის გაფართოების მიზნით.

ამ მოთხოვნების რეალიზება ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის საკმაოდ რთულად განსახორციელებელია, ამიტომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა, რაც პროფესიული განათლების სისტემის რეანიმაციასა და დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად განვითარებაშია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების“ 2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „2011 წელს ავტორიზაცია გაიარა კერძო 16-მა და 5-მა პროფესიულმა კოლეჯმა. 2010–2011 წლების მანძილზე ავტორიზებულად ითვლებოდა 20 სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი, მათგან სამმა შეიცვალა სტატუსი და გაიარა ავტორიზაცია, როგორც

საზოგადოებრივმა კოლეჯმა. ავტორიზებულად ითვლება ასევე 24 კერძო პროფესიული კოლეჯი.

2011 წელს 23 უმაღლესი და 4 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს“.

ამდენად, არსებული რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობისათვის, ასევე საქართველოს და, ზოგადად, საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, პროფესიული განათლების რეფორმის მიზნად დასახა ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და პიროვნების თვითრეალიზაციას.

*Bichikashvili Tamar*

## **THE HUMAN RESOURCE MANAGEMENT UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

The globalization has reduced the barriers and boundaries for the partnership and any resources including human resources movement.

In order to establish on a new market the large consortia are breaking moral as well as other barriers. Often they chose for the partnership young organizations with increasing potential, but not for the plans for future developing and deepening the production, on the contrary for the purpose of the action to stop and conservation.

Accurate and clear strategic options to reduce and forecasting temporary growth of horizons are the reasons for geometrically increasing future risks. The main focus is on elimination of risk management.

The human resource is being the most unique and an expensive. At present, it is early to talk about a high price of the resources in our country. But, the globalization due to many kindness and negative events will cause an accelerated relative deficit and a rising price of the resources.

It becomes more actual for the managers to optimize human resources management.

For the purpose of optimizing usage of human resources the most important is to optimize the working places.

Given the current reality, Georgian Government in order to get closer to European and International educational space as well as for satisfying Georgia's generally and International Labor Market's needs, have worked out a plan for a new educational reform which implies to create a new professional education system oriented on the demands of the market and will support country's economic development and a person's self realization.

*თამარ ქობლანიძე*

*მაია ვეშაგური*

### **ტერიტორიის ბრენდინგის თეორიული ასპექტები და მისი როლი ტურიზმში**

პოსტინდუსტრიალიზაციისა და საყოველთაო გლობალიზაციის ეპოქას თანამედროვეობის რეალიაში შემოაქვს ისეთი გაგება, როგორცაა ლაცე ბრანდინგ – ადგილის, სივრცითი ლოკალიზაციის მქონე გეოგრაფიული ობიექტის, სხვაგვარად – ტერიტორიის ბრენდინგი. იგი სრულიად ახალი ფენომენია, თუმცა რიგი ავტორებისა მას გაცილებით დიდი ისტორიის მქონე მოვლენად მიიჩნევენ – ადამიანები ინტუიციურად იყენებდნენ ტერიტორიის წინ წაწევის ამა თუ იმ სტრატეგიებს (რელიგიური და საერო), რათა რესურსების მოზიდვის სასარგებლო პირობებისთვის მიეღწიათ. ქალაქის წინ წაწევა

რელიგიური ცენტრის შექმნის გზით მომლოცველების მოზიდვის საშუალებას იძლეოდა, ხოლო ეკლესიის მსახურთა რაოდენობის ზრდას თან სდევდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. რელიგიური გენეზისი აქვთ საუნივერსიტეტო ბრენდად ცნობილ ქალაქებსაც, რამდენადაც თავდაპირველად უნივერსიტეტები მონასტრების ბაზაზე იქმნებოდა. ქალაქების საერო სპეციალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. შუა საუკუნეებში ბაზრობები არა მხოლოდ ვაჭრებს იზიდავდა, არამედ გართობის ცენტრის ფუნქციასაც ითავსებდა – იქ მიემართებოდა ქუჩის არტისტებისა და მკითხავთა ნაკადები.

90-იანი წლების ბოლოსათვის ბრენდინგის სფეროს კლასიკოსმა საიმონდ ანჰოლტმა ინგლისური ჟურნალის ფურცლებზე პირველად გამოიყენა ფრაზა «Nation branding», რითაც სათავე დაუდო მეცნიერული აზრის ახალ მიმართულებას და ბრენდ-მარკეტინგის სფეროში მოღვაწე უდიდესი რაოდენობის სპეციალისტთა თვითრეალიზაციის ახალ ჰორიზონტებს.

ტერიტორიის ბრენდინგი – ქალაქების, რეგიონების, გეოგრაფიული ზონებისა და სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაა, რომლის მიზანია საერთაშორისო ბაზრების დაპყრობა, ინვესტირების, ტურისტების, ახალი მცხოვრებლებისა და კვალიფიციური მიგრანტების მოზიდვა. ადგილის ბრენდინგის კონცეფციის ძირითად არსს წარმოადგენს ფართო საზოგადოებრიობამდე ტერიტორიის უნიკალობაზე წარმოდგენის დაყვანა. ბრენდი უნდა ასახავდეს ტერიტორიის სტილს, ატმოსფეროსა და განწყობას.

ბრენდი არ არის მხოლოდ სავაჭრო ნიშანი ან ტერიტორიული სიმბოლო. ტერიტორიის ბრენდი ესაა:

- აღნიშნულ სივრცეში მცხოვრები საზოგადოება;
  - ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთქმედების მოდელი;
  - პროდუქტი, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე იწარმოება და ასახავს მის იდენტურობას;
  - სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალურ ფუნქციონირებას;
  - რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა;
  - შრომისა და ყოფის კულტურა, ავთენტური მოვლენები, რომლებიც იზიდავს ტურისტებს.
- კრეატიული ვიზუალური იერსახე – ეს არის მხოლოდ სიმბოლო, რომელიც ხაზს უსვამს ტერიტორიული ბრენდის ყველა ჩამოთვლილი ატრიბუტის არსებობას.

თანამედროვე პირობებში ტერიტორიის ბრენდინგის განვითარებაში გამოიკვეთა შემდეგი მთავარი ტენდენციები:

ა) ტერიტორიის მარკეტინგი და ბრენდინგი ხდება სახელმწიფო ორგანოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აქტიურად ოპერირებენ ტურიზმის გლობალურ ბაზარზე. ეს ფაქტი აისახება არა მხოლოდ ქალაქის მარკეტინგული სამსახურების თუ ტურისტული ოფისების ჩამოყალიბებაში, არამედ ახალი თანამდებობრივი პოზიციების - ქვეყნების ბრენდ-მენეჯერების შექმნაშიც (მაგ., აშშ-ში);

ბ) შეიმჩნევა ტერიტორიის ბრენდინგის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც პირდაპირი კონკურენტები ჰყავთ ტერიტორიების ბაზრებზე;

გ) ტერიტორიისა და მასში წარმოებული საქონლის ბრენდების ურთიერთზეგავლენის ზრდა, რომელიც ქმნის სისტემურ სინერგიულ ეფექტს ეკონომიკური მდგრადობის სახით და ორივე მხარის ხანგრძლივ საბაზრო კონკურენტუნარიანობას;

რეალიზებული ტერიტორიის ბრენდ-პროექტის ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყოფა მაჩვენებლების 5 ჯგუფი:

1. ტერიტორიის ბრენდინგის სტრატეგიული ეფექტიანობის მაჩვენებლები. სტრატეგიული მიზანი შეიძლება იყოს, მაგალითად, ტერიტორიაზე 5 მლნ ტურისტის მოზიდვა;

2. **ტერიტორიის ბრენდინგის კომუნიკაციური ეფექტიანობის მაჩვენებლები.** ეს არის ტერიტორიის ბრენდის ცნობადობის ზრდის დინამიკა, მიზნობრივი მომხმარებლების ბრენდისადმი დამოკიდებულება, ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობების ცოდნა და ა. შ.;

3. **ტერიტორიის ბრენდინგის მიმდინარე ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები:** ბრენდინგზე გაწეული დანახარჯები, მიზნობრივი პროგრამის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები;

4. **ტერიტორიის (ამ შემთხვევაში ქალაქის) სიმბოლური ბრენდ-კაპიტალის დინამიკის მაჩვენებლები.** მათ მისაღებად აუცილებელია ქალაქების ჩართვა ასეთ შეფასებას დაქვემდებარებულ ქალაქთა შემადგენლობაში,

5. **ტერიტორიის ბრენდინგის ეფექტიანობის ნორმატიული მაჩვენებლები.** ყოველწლიურად უნდა მოხდეს მათი განსაზღვრა და კორექტირება ბრენდინგის ეფექტიანობის ბენჩმარკინგული კვლევების საფუძველზე მსოფლიოს სხვა ქალაქებში. ეს ტერიტორიული ორგანოების მმართველ ჯგუფს საშუალებას მისცემს, მკაფიო წარმოდგენა იქონიოს ბრენდინგის ეკონომიკური და სხვა სახის ეფექტიანობის დონეზე, რაც განაპირობებს ქალაქის ბრენდ-ბიუჯეტის ფორმირებისადმი მათ ოპტიმალურ მიდგომას.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დაუცხრომელი პოლემიკაა იმის თაობაზე, მისაღებია თუ არა სასაქონლო და კორპორაციული ბრენდინგის სტანდარტები ტერიტორიული წარმონაქმნების ბრენდინგისათვის. პირობითად შესაძლებელია მათ შორის არსებული განსხვავებების ქრონოლოგიაც, მაგალითად:

ა) **თუ შექმნის მიზეზად** კორპორაციის ბრენდინგში დომინირებს ეკონომიკური (შემოსავლების მაქსიმიზაცია საქმიანი რეპუტაციის შექმნის და ბიზნესპარტნიორებში პოზიტიური ნდობის ფორმირების ხარჯზე, აქციათა ღირებულების ზრდა) და სოციალური მიზნები (კორპორაციის ხანგრძლივი მდგრადობის უზრუნველყოფა ლოიალური სამომხმარებლო აუდიტორიის შექმნით), ტერიტორიის ბრენდინგში დომინანტი სოციალური ფაქტორებია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება პოტენციური ინვესტორებისათვის ქალაქის მიმზიდველი იერსახის ფორმირების ხარჯზე და მას მოსდევს ეკონომიკური მიზნები: ქალაქის ბიუჯეტში შემოსავლების მაქსიმიზაცია, ქალაქის ფასიანი ქაღალდების ღირებულების ზრდა;

ბ) **მომხმარებელთა მიზნობრივი სეგმენტები:** კორპორაციაში მას წარმოადგენს შიდა (საკუთარი პერსონალი) და გარე (პოტენციური პარტნიორები, მყიდველები, მიმწოდებლები, შუამავლები, ბანკები, სახელმწიფო და ა. შ.) აუდიტორია. ადგილი აქვს მომხმარებელთა მაღალ ერთგვაროვნებას და მართულობას. ტერიტორიის ბრენდინგის შიდა მიზნობრივ სეგმენტებს წარმოადგენს მოსახლეობა, ადგილობრივი მეწარმეობა, ხელისუფლების ორგანოები, გარე სეგმენტს კი – პოტენციური მყიდველები (ტურისტები, ინვესტორები, ემიგრანტები). ისინი გამოირჩევიან ერთგვაროვნების დაბალი მაჩვენებლით და, შესაბამისად, ნაკლებად მართუ-ლნიც არიან. შიდა მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება გართულებული და ძვირია;

გ) **ბრენდ-პლატფორმა (ბრენდის იდენტიფიკაცია):** კორპორაცია აქ ასახავს ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას, რაც აიოლებს მომხმარებლის მიერ ბრენდის ცნობადობას. ტერიტორიის შემთხვევაში კი ბრენდის პლატფორმა არ შეიძლება აიგოს ერთ კონკურენტულ უპირატესობაზე.

დ) **ბრენდის დიზაინი (ვიზუალური პოლიტიკა)** კორპორაციაში შეირჩევა თავისუფლად, ხოლო ტერიტორიის ბრენდინგი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ჰერალდიკას. მისასაღებელია ქალაქის სიმბოლოების და ღირსშესანიშნაობების გამოყენება;

ე) **ბრენდის სასიცოცხლო ციკლი** კორპორაციისთვის შეიძლება იყოს მოკლეც და გრძელციკ, ხოლო ტერიტორიისთვის არსებითად უფრო გრძელია, ვიდრე კორპორაციისათვის;

ვ) **კორპორაციას ბრენდის გაყიდვის შესაძლებლობა** აქვს, ტერიტორიის ბრენდი კი არ იყიდება;

**ხ) ბრენდ-მენეჯმენტი:** კორპორაციულ ბრენდს ახასიათებს შეთანხმებული, გეგმიური, ცენტრალიზებული თვითდაფინანსება, ხოლო ტერიტორიის ბრენდი კი გამოირჩევა დაბალი ცენტრალიზაციით, მაღალი შეთანხმებულობით (დაინტერესებულ მონაწილეთა დიდი რიცხვის გამო) და ერთობლივი დაფინანსებით;

**თ) ბრენდინგის სუბიექტად** ტერიტორიის ბრენდინგის შემთხვევაში გამოდიან ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალური ორგანოები, ადგილობრივი მეწარმეობის სტრუქტურები, არაკომერციული ორგანიზაციები (სხვადასხვა ასოციაციები, სააგენტოები, ამხანაგობები, კლუბები და ა. შ.), ხოლო კორპორაციული ბრენდინგის დროს კი – კორპორაციული ტომენეჯმენტი და მისი ბრენდ-მენეჯერი.

ამ განსხვავებების მიუხედავად, კორპორაციებისა და ტერიტორიის ბრენდინგს აერთიანებს სტრატეგიული წინაპირობა – მართვადი მომავლის სახის შექმნის შესაძლებლობა.

ტერიტორიის ბრენდის შემუშავებისას გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

1. კონკურენტისგან განსხვავებული ინდივიდუალობის შექმნა;
2. სიმართლის თქმა პოზიტიურ ასპექტებზე აპელირებით;
3. დაინტერესებული მხარეების აღფრთოვანების გამოწვევა;
4. საელჩოების ჩართვა ბრენდის პოპულარიზაციის საქმეში;

თანამედროვე პირობებში ადგილის ბრენდინგი გამოდის, როგორც ტერიტორიული წარმონაქმნის სტრატეგიული განვითარების ახალი, დამატებითი, მაგრამ აუცილებელი ელემენტი. ტერიტორიის ბრენდი სპეციფიკურ, შეკუმშულ, სტრუქტურირებულ, პოზიციონირებულ, ემოციურ და ირაციონალური შეფერილობის ვარიანტში გამოხატავს სრულყოფილ იდეას, რომელიც უკავშირდება ტერიტორიის განვითარების პერსპექტივებს აწმყოსა და მომავალში.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ბოლო რამდენიმე წელია ინტენსიურად ცდილობს, საქართველო მიმზიდველი გახადოს უცხოელი ტურისტებისთვის. გამოყენებული სტრატეგიებიდან პრიორიტეტულია ტერიტორიის ბრენდინგი. ასე მაგალითად, 2007 წელს პირველად გაკეთდა საქართველოს ბრენდინგი, როდესაც ჩვენი ქვეყანა შეიფუთა, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი და გავიდა საერთაშორისო ბაზარზე. შეიქმნა საქართველოს ტურიზმის ლოგო და სლოგანი, რომლითაც მან მოახდინა საკუთავი თავის წარდგენა მსოფლიოში.

2011 წლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თემას: „საქართველო, როგორც ტურისტული ქვეყნის ბრენდინგი“. სააგენტო აცხადებდა, რომ „2011 წლის განმავლობაში ბრენდის პლატფორმა პრაქტიკულად უცვლელი დარჩება. ჩამოყალიბდება მისი სხვადასხვა მიმართულებით განვითარების გზები. შეიქმნება ბრენდის წიგნი, რომელიც შეასრულებს ბრენდის გამოყენების სახელმძღვანელოს ფუნქციას, მთელი შემდგომი წლის განმავლობაში. დაიხვეწება და გამდიდრდება ტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ბრენდის პლატფორმის განუყოფელ ნაწილს. შემდეგი წლის განმავლობაში განისაზღვრება ძირითადი სლოგანი.“

2011 წელს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ სახელმწიფო სვანეთის ბრენდინგზე მუშაობდა. „ეცდილობთ, რომ სვანეთის ბრენდინგი განვახორციელოთ და სვანეთის შესახებ ვებგვერდი შევქმნათ, სადაც კურორტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია განთავსდება, რომელიც განკუთვნილი იქნება არა მარტო ტურისტებისათვის, არამედ სვანეთის მოსახლეობისთვისაც.“ ასევე 2011 წელს მომზადდა ყვარლის ბრენდინგის პროექტი.

2012 წლიდან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის რებრენდინგის კონცეფციაზე, რამდენადაც საქართველოს

პირველმა ბრენდმა თავისი თავი ამოწურა და ოთხი წლის მერე საჭირო გახდა მისი განახლება. კომპანია ACT -სთან ერთად ჩატარებულმა კვლევამ განსაზღვრა ქვეყნის ბრენდ-შეტყობინება – სტუმართმოყვარეობა, ბუნება და ექსკლუზიურობა.

2012 წელს დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც კახეთში ტურიზმის განვითარებას შეეხება. პროექტის ფარგლებში რეგიონის ტურისტულ ბრენდინგს ბრიტანული კომპანია „Co.Startegy and Desing Limited“ განახორციელებს. პროექტის ფარგლებში უკვე მომზადდა ლოგო, სადაც ძირითადი მიმართულებებია: კულტურული ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი და ღვინის ტურიზმი. ასევე შეიქმნა სლოგანი: „Find Your Own Kakheti“ ანუ „აღმოაჩინე შენი კახეთი“. კახეთის პოპულარიზაციის ფარგლებში მომზადდა ასევე სპეციალური ვებგვერდი [www.Kakheti.travel](http://www.Kakheti.travel), სადაც ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ზოგადად რეგიონზე და ასევე მიმდინარე და დაგეგმილ მოვლენებზე.

უცხოელი ექსპერტების აზრით, ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია მიზნის მისაღწევად და ქვეყნის ცნობადობის გასაზრდელად. ვიზიტორთა ზრდის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, კარგ იდეასა და კარგად რეალიზებული ბრენდინგის ღონისძიებებს აუცილებლად მოჰყვება ტურისტული ნაკადების კიდევ უფრო მეტი მატება ახლა უკვე იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოს ნაკლებად იცნობენ და სადაც პოტენციურ ტურისტთა მაღალანაზღაურებადი ფენა ცხოვრობს.

ტერიტორიული ბრენდინგის მომსახურების ბაზრების ზრდის ტენდენცია განაპირობებს ამ სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნის გაზრდასაც, რამდენადაც მათი ეფექტური მუშაობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნების კონკურენტუნარიანობასა და ტურისტული ნაკადების მოზიდვაში.

#### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ცხელი მარკეტინგი ცხელი სეზონის წინ. საქართველოს ეკონომიკა, №5, 2011.
2. ბახტაძე ე. ადგილის მარკეტინგი, როგორც ტურიზმის მარკეტინგის თანამედროვე თეორია. II საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: “ტურიზმი; ეკონომიკა და ბიზნესი” ბათუმი. 04.06-05.06.2011.
3. Anholt S. Competitive Identity: The New Brand Management for Nations, Cities and Regions / S. Anholt. – 1-st edition. – Palgrave Macmillan, 2007.
4. Anholt S. Places: Identity, Image and Reputation / S. Anholt. – Palgrave Macmillan, 2009.
5. Балдерьян И. Маркетинг территории: учебное пособие / под науч. ред. д-ра экон. наук, профессора Г.Л. Багиева. – СПб.: Изд-во СПбГУЭФ, 2007.
6. Попов. А. В. О понятии PLACES BRANDING. Материалы II Региональной научно-практической конференции “Географическое Изучение Территориальных Систем. ПЕРМ. 2008.
7. [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)

*Koblianidze Tamar  
Veshaguri Maia*

#### **THE THEORETICAL ASPECTS OF BRANDING OF TERRITORY AND ITS ROLE IN TOURISM SUMMARY**

The branding of territory – is a strategy of competitiveness of cities, regions, geographical zones and states and its goal is to conquer international markets, to attract tourists, new residents, investors and qualified migrants. The basic idea of the branding of territory is the unique territory to get known to wider society.

The brand of territory is not only visual, or slogan. It is: 1.The society living in the specific area 2.The model of interaction between business and government.3.The product which is produced in specific area and in which its identity is reflected. 4. Social infrastructure which provides local population with normal functioning. 5. Investment appeal of the region, standard of work and life.6.Authentic events which attract tourists.

In modern conditions, in development of the branding territory the following basic tendencies were defined:

- a) The marketing of territory and the branding are becoming important parts of political and social-economical activities implemented by state bodies.
- b) The significant increase in the budget of branding of territory
- c) The increase of territories and interaction between brands which are produced there. This makes synergic effect, which means economical sustainability. It also creates long market competitiveness between both sides.

There are differences between territorial and corporative brandings which is reflected in the reasons of creation; in the target segments of customers; in the design of the brand(visual politic); in the life-cycle of the brand; in the potentials of sales and in the subjects of branding.

The national administration of Georgian tourism intensively tries to make the country more attractive for tourists. Priority is to use the strategy of the branding of territory. In 2007 it was realized branding of Georgia for the first time. Then the working has continued on the branding projects of Svaneti and Kvareli. Since 2012 the national administration of tourism has been actively working on the rebranding conceptions of Georgia, as a tourism country. The research, made with the help of the company called ACT, defined the brand-message of the country-hospitality, nature and exclusiveness. The rebranding of Georgia will be made by the invited experts. Also British company “Co.Strategy and Design Limited” will make the branding of Kakheti , its slogan is “Find Your Own Kakheti”.

*ნაირა ლევდაშვილი*

**კომუნიკაციური პროცესი და მართვის ეფექტიანობა სოციალურ-კულტურული სერვისისა და ტურიზმის სფეროში**

მართვაში კომუნიკაციების მნიშვნელობა მეტად დიდია. განსაკუთრებით ეს ითქმის სერვისის ინდუსტრიის და ტურიზმის საწარმოებში. აქ, ხელმძღვანელის თითქმის ყველა მოქმედება, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად არის შესრულებული, მოითხოვს ინფორმაციის ეფექტურ გაცვლას, ანუ კომუნიკაციებს. ტერმინი „კომუნიკაცია“ წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „communico“ და ნიშნავს ზოგადს, ერთიანს. მართლაც, ინფორმაციის გადამცემი ცდილობს, ინფორმაციის მიმღებთან დაამყაროს ერთობა, ერთიანობა.

ორგანიზაციებში კომუნიკაციური პროცესების შესახებ წარმოდგენები კომუნიკაციების შემდეგ განმარტებებს ეფუძნება: კომუნიკაცია (ერთდროული აქტი) ეს არის ინფორმაციის გადაცემა მისი წყაროდან მიმღებზე ამ უკანასკნელის ქცევის შეცვლის მიზნით. კომუნიკაცია (კომუნიკაციური პროცესი) არის მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა. კომუნიკაციური პროცესის ძირითადი მიზანია ინფორმაციის გაგების უზრუნველყოფა.


ყოველგვარი მმართველობითი საქმიანობა ეფუძნება ინფორმაციის გაცვლას. მართალია, კომუნიკაცია და ინფორმაცია ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. კომუნიკაცია ინფორმაციასაც შეიცავს და მისი გადამცემის გზებსაც. იმ არსების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება



მართვის სუბიექტების ურთიერთქმედება, მის კომუნიკაციურ სტრუქტურას ქმნის. თუ იგი მთელ ორგანიზაციას ეხება, მაშინ სტრუქტურა გლობალურია, ხოლო თუ მხოლოდ ორგანიზაციის ნაწილს, მაგალითად, ქვედანაყოფს, მაშინ – ლოკალური.

თუ ურთიერთქმედება მხოლოდ ერთი, რომელიღაც ცენტრალური რგოლით ხორციელდება, მაშინ სტრუქტურა არის ცენტრალიზებული, ხოლო თვით რგოლი არა მხოლოდ შუამავლის, არამედ ვერტიკალური კავშირების მქონე კომუნიკაციის წყაროს და კონტროლიორის როლში გამოდის. კომუნიკაციის სტრუქტურა შეიძლება იყოს პოლიცენტრულიც და დეცენტრალიზებულიც. პოლიცენტრული სტრუქტურა გულისხმობს რამდენიმე თანაბარუფლებიანი სუბიექტის არსებობას, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის კონცენტრაციას და გადანაწილებას, დეცენტრალიზებული სტრუქტურის დროს ინფორმაციის დიდი ნაკადი გვერდს უვლის ცენტრალურ რგოლს. კომუნიკაციურ სტრუქტურაში პარალელური და ურთიერთგადამკვეთი არხების არსებობა მოწმობს მის სირთულეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება მოხდეს ინფორმაციის დამახინჯება ანდა გაყვალბება.

ინფორმაციის აღქმის ხასიათის მიხედვით კომუნიკაციები იყოფა პირდაპირ (ანუ მიზნობრივ), ირიბ და შერეულ კომუნიკაციებად. პირდაპირ კომუნიკაციებში ინფორმაციის მიზანი მის ტექსტშია ჩადებული. ირიბ კომუნიკაციებში ინფორმაციის მიზანი სტრიქონებს შორის იკითხება. კომუნიკაციების კლასიფიკაციის შესახებ იხ. ნახაზი 1.



**ნახ. 1. კომუნიკაციის კლასიფიკაცია**

კომუნიკაციები ხელმძღვანელობისათვის შემდეგი მიზეზების გამო არის მნიშვნელოვანი:

- ხელმძღვანელები კომუნიკაციებზე ხარჯავენ დიდ დროს, ექსპერტების აზრით, 75-95%-ს;
  - კომუნიკაციები უზრუნველყოფს მართვის ძირითადი ფუნქციების რეალიზაციას;
  - კომუნიკაციის ხელოვნება აუცილებელია ხელმძღვანელთა ნების და ქმედითი ავტორიტეტის გამოსახატავად.
- საწარმოს კომუნიკაციურ სტრუქტურებში ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირები გამოიყოფა. ისინი შრომის დანაწილებას უკავშირდებიან.


შრომის ჰორიზონტალური დანაწილება არის მთელი სამუშაოს კომპონენტებად დანაწილება, ანუ წარმოებისა და შემსრულებლების მიხედვით შრომის საერთო პროცესის დაყოფა საქმიანობის კერძო, უწყვეტ, განცალკევებულ სახეებად. შრომის ჰორიზონტალური დანაწილება ფუნქციონალური და კვალიფიციური ნიშნებით ხდება. შრომის ფუნქციონალური დანაწილება არის მუშაკთა დასპეციალება საქმიანობის ცალკეულ სახეებზე. ასეთ შემთხვევაში საერთო საქმიანობიდან გამოიყოფა ცალკეული ფუნქციები და მათი შემსრულებლები (მაგალითად, რეკლამის მენეჯერი).

შრომის კვალიფიციური დანაწილება ეფუძნება შრომითი საქმიანობის სირთულეს, მისი შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაციას. სერვისისა და ტურიზმის სფეროში ამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტებიც კი არსებობს. ისინი კვალიფიკაციის სხვადასხვა დონისთვის საჭირო თანამდებობრივი ვალდებულებების და ძირითადი ჩვევების და ცოდნის ჩამონათვალს და აგრეთვე, პროფესიული განათლების საჭირო დონის ცნობებს შეიცავს. კვალიფიციური მოთხოვნების და შრომითი კანონმდებლობის ბაზაზე მუშავდება თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც პასუხისმგებელ მუშაკთა ფუნქციებში, ვალდებულებებსა და უფლებებზე შეიცავს ცნობებს.

სერვისისა და ტურიზმის პრაქტიკაში უპირველესად შრომის ჰორიზონტალური დანაწილების ორი სქემაა გავრცელებული:

1. ტურისტული მიმართულებების მიხედვით;
2. სამუშაოს შინაარსის მიხედვით.

ტურისტული მიმართულების მიხედვით შრომის ჰორიზონტალურ დანაწილებას მიმართავენ მსხვილი, მრავალპროფილური ტუროპერატორები (ნახ. 2). სწორედ ასეთ ორგანიზაციებში იქმნება სპეციალური ქვედანაყოფები, მაგალითად: „დასვენება ეგვიპტეში,“ „დასვენება თურქეთში“ და ა.შ. შრომის ასეთი ორგანიზაციის დადებითი მხარე არის მენეჯერის ვიწრო სპეციალიზაცია, რომელთაც ამ მიზეზით ზედმიწევნით კარგად იციან ყველაფერი ამ მიმართულების შესახებ. მაგრამ მას აქვს ნაკლიც. მისი ნაკლი ის არის, რომ შრომის ასეთი ორგანიზაციის დროს პრაქტიკულად შეუძლებელია მუშაკთა ურთიერთ-მონაცვლეობა. თუ მიმართულების მენეჯერი ამ ან სხვა მიზეზით არ იმყოფება სამუშაო ადგილზე, მაშინ ეს მიმართულება მოცდება. ამის გარდა, ნაკლია ისიც, რომ პოტენციურ კლიენტს, რომელიც არჩევს სად დაისვენოს, დასჭირდება ცალ-ცალკე მიმართოს ცალკეული მიმართულების მენეჯერებს, რის გამოც მას დიდი დრო დაეკარგება.




**ნახ. 2. ტურისტული მიმართულებების მიხედვით შრომის ჰორიზონტალური დანაწილება**

მრავალპროფილიანი ტუროპერატორების შემთხვევაში, რომელთაც მაინცდამაინც დიდი სიდიდე არა აქვთ, უფრო ლოგიკურია შრომის ჰორიზონტალური დანაწილება სამუშაოს შინაარსის მიხედვით. ასეთი სტრუქტურის მქონე ტუროპერატორებს ექნებათ შემდეგი განყოფილებები:

- ტუროპერატორული (იგი შეიმუშავებს ტურისტულ პროდუქტს);
- ტურაგენტები (მუშაობს სააგენტოებთან, აკონტროლებს ტურისტების გამგზავრებას და ა.შ.);
- საეიზო (მუშაობს ტურისტებისათვის ვიზების მიღებაზე);
- სარეკლამო;
- ფინანსური;
- მარკეტინგული და ა. შ.

შრომის ჰორიზონტალური დანაწილების ამ ფორმის დადებითი, გარდა მენეჯერის მაღალი პროფესიონალიზმისა, კიდევ ის არის, რომ როგორც სასტუმრო, ისე ავიაკომპანია და ისე ტურისტული სააგენტო თანამშრომლობს ერთ მენეჯერთან, რომელსაც ეხება საქმიანობის ერთი სფერო (ნახ. 3).




**ნახ. 3. შრომის ჰორიზონტალური დანაწილება საქმიანობის სახის (სამუშაოს შინაარსის) მიხედვით**

ბოლო დროს ტურიზმში შრომის დანაწილების მესამე სტეპაც გამოჩნდა. მას შერეული სტეპა ეწოდება. ასეთი სტეპით მომუშავე ტურისტული ორგანიზაციის სტრუქტურაში ვხვდებით დანაყოფებს, შექმნილს სამუშაოს სახის მიხედვით, ასევე დანაყოფებს ტურისტული მომსახურებების მიხედვით. არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომის ვერტიკალური დანაწილება. შრომის ვერტიკალური დანაწილება – ეს არის დაქვემდებარებულობის კავშირები და იგი წარმოიშობა ისეთ ორგანიზაციებში, რომელთაც მართვის რამდენიმე დონე აქვთ.

შრომის ვერტიკალური დანაწილება შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

- საერთო ხელმძღვანელობა – საწარმოს საქმიანობის ძირითადი, სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება;
  - ტექნოლოგიური ხელმძღვანელობა – სტრატეგიული და ტაქტიკური დაგეგმვა, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, ორგანიზაციების მუშაობის რენტაბელობის უზრუნველყოფა;
  - ოპერატიული ხელმძღვანელობა – ოპერატიული გეგმების შემუშავება და შემსრულებლებამდე დაყვანა, შემსრულებელთა განთავსება სამუშაო ადგილებზე, საწარმოო პროცესის მსვლელობის სისტემატური კონტროლის ორგანიზაცია;
  - ადამიანური რესურსების მართვა – ორგანიზაციის შრომითი რესურსების შერჩევა, განთავსება და განვითარება.
- ორგანიზაციაში, მართვის დონეების მიხედვით, მენეჯერთა მიერ შესრულებული მოვალეობები შეიძლება წარმოვიდგინოთ ნახ. 4-ის მიხედვით.



**ნახ. 4. ორგანიზაციის მართვის დონეები**

ამ სქემაზე მოცემულ მართვის დონეების მიხედვით მენეჯერთა ფუნქციების კლასიფიკაციას მეტად ზოგადი სახე აქვს. იგი შეიძლება შეიცვალოს იმასთან დამოკიდებულებით, თუ რა სახის სიდიდის, რა დარგობრივი და ტერიტორიული თავისებურებების მქონე ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე.

ორგანიზაციის მართვის ყველა დონის ხელმძღვანელები ახორციელებენ არა მხოლოდ მმართველობით, არამედ აღმასრულებელ ფუნქციებსაც. მაგრამ, ხელმძღვანელობის მართვის დონის ამადლებასთან ერთად, აღმასრულებელი ფუნქციების წილი იკლებს. მართვის უმაღლეს დონეზე იგი მენეჯერთა სამუშაო დროის 10%-ია, საშუალო დონეზე – 50% და ქვედა დონეზე – დაახლოებით 70%. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ მენეჯერი ასრულებს როგორც მმართველობით გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ დავალებას, ისე სპეციალობის მიხედვით შესასრულებელ დავალებას. მართვის დონის ამადლების კვალობაზე სპეციალობის შესაბამისი დავალების ხვედრითი წონა მცირდება, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი დავალების ხვედრითი წილი კი იზრდება.

შრომის ვერტიკალური დანაწილება აუცილებელია წარმატებული გუნდური მუშაობისათვის. ვერტიკალური იერარქიის ცენტრალური მახასიათებელია თითოეულ დონეზე პიროვნებათა ფორმალური დაქვემდებარებულობა. უმაღლეს საფეხურზე მდგომ პირს შეიძლება თავის დაქვემდებარებაში ჰყავდეს საშუალო რგოლის რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში მოღვაწეობენ. მათაც, თავის მხრივ,

შეიძლება ჰყავდეთ რამდენიმე დაქვემდებარებული ხაზობრივი ხელმძღვანელი. ერთ ხელმძღვანელისადმი დაქვემდებარებულ პიროვნებათა რიცხვი წარმოადგენს კონტროლის დიაპაზონს, ანუ ობიექტების ზღვრულ რაოდენობას, რომელთა მართვა შეიძლება ეფექტურად. კონტროლის დიაპაზონის საშუალო სიდიდე არის 7-10. მართვის მაღალ „ეშელონებზე“ იგი 4-5-ია, ქვედა, უბრალო ოპერაციების შესრულებისას კი – 20-30 და შეიძლება მეტიც.

კონტროლის ვიწრო დიაპაზონის დროს ხელმძღვანელს მჭიდრო კონტროლი აქვს დაქვემდებარებულებთან, ხარისხიანად მართავს მათ. კონტროლის ფართო დიაპაზონის დროს კი, შეიძლება ხელმძღვანელი ისე გადაიტვიტოს, რომ მხედველობიდან დაკარგოს სტრატეგიული მიზნები.

ორგანიზაციის შიგა სპეციალიზაცია, რასაც იწვევს შრომის დანაწილება, მეტად ამაღლებს მის პოტენციურ ეფექტიანობას. ამ პოტენციალის რეალიზაციისათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოახდინოს ორგანიზაციის ცალკეულ სპეციალიზებულ ქვედანაყოფთა ინტეგრაცია და კოორდინაცია. კოორდინაციის აუცილებლობა განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე მსხვილ ტუროპერატორებთან, სადაც სამუშაო ჰორიზონტალურადაც და ვერტიკალურადაც, მკვეთრად დაყოფილია. ვერტიკალური კოორდინაცია გულისხმობს, რომ მენეჯერები აკონტროლებენ დაქვემდებარებულთა საქმიანობას, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე. ჰორიზონტალური კოორდინაცია კი გულისხმობს ერთი დონის თანამშრომელთა კონტაქტს. თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა კოორდინაციის ფორმალურ მექანიზმებს არ შექმნის, მაშინ იქ დასაქმებულები სამუშაოს ერთად ვერ შეასრულებენ. ასეთ დროს ორგანიზაციის მართვის სხვადასხვა დონეები, ფუნქციონალური ზონები და ცალკეული ადამიანები, საკუთარი, კერძო და არა ორგანიზაციის საერთო ინტერესებზე იქნებიან ორიენტირებულნი. იგივე ითქმის ინტეგრაციაზე. ინტეგრაცია წარმოადგენს ორგანიზაციის საერთო მიზნის მიღწევაში მისი ყველა ქვესისტემის ძალისხმევის გაერთიანებას. ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი პირობა არის მიზნების ერთიანობა. სწორედ ერთი მიზანი არ აძლევს საშუალებას ქვედანაყოფს, რომ ორგანიზაცია სხვადასხვა მიმართულებით წარმართონ.

*Ghvedashvili Naira*

**COMMUNICATION PROCESS AND EFFICIENCY OF MANAGEMENT IN THE FIELD  
OF SOCIAL-CULTURAL SERVICE AND TOURISM  
SUMMARY**

Any kind of managerial activities are based on the exchange of information. It is true that communication and information are interrelated concepts, but they are different from each other. Communication contains information and the ways of its expression also. First of all two schemes of horizontal divisions of labor are spread in the practice of service and tourism: 1. According to the tourism direction 2. According to the content of the labor.

The combination of these channels, that supports interaction of subjects of management, creates its communicative structure. If it applies to the entire organization, structure is global, but if it applies to only a part of the organization, for example to subdivision, than it is local.

**რეგიონული სოციალური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები  
გლობალიზაციის პირობებში**

დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემების კვლევას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მსოფლიოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების შესწავლა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის იმ ქვეყნებისათვის, სადაც ეკონომიკური განვითარების საბაზისო მაჩვენებლების შედარებით დაბალი დონის პირობებში მაღალი ეკონომიკური ზრდის დადებითი ეფექტები ნაკლებად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებსა და ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონზე.

გლობალიზაციის კვალბაზე შრომისა და კაპიტალის მოძრაობის თანმდევ პროცესებთან ერთად (რაც უკავშირდება შრომისა და კაპიტალის გადაადგილებას, ეკონომიკის რესტრუქტურისაციას, დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირებასა და უმუშევრობის ზრდას), მხედველობაშია მისაღები ის პროცესები, რასაც რეგიონებში აქვს ადგილი. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, რეგიონებში ეკონომიკურ ზრდას თან არ ახლავს მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებითი გაუმჯობესება და დასაქმებულთა რიცხოვნობის ადეკვატური გადიდება, რაც ეკონომიკური და სოციალური სფეროს მარეგულირებელი საბაზრო მექანიზმების ჩამოყალიბებლობით არის განპირობებული, ხელს უწყობს შემოსავლების განაწილების უთანაბრობასა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალურ დაუცველობას განაპირობებს.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაუბალანსებლობის პირობებში პანაცეად გამოდის უმუშევართა მასობრივი მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში, რაც, ეთნოლინგვისტური ფრაქციონალიზაციის მკვეთრი ზრდისა და სოციალური გამორიყვის ახალი ფორმების ჩამოყალიბებასთან ერთად, სოციალურ აფეთქებებსაც განაპირობებს. ამის მაგალითს, ბოლო პერიოდში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განვითარებული მოვლენები წარმოადგენს.

სადღეისოდ მიმდინარე პროცესები დღის წესრიგში აყენებს მსოფლიოში ახალი სოციალური წესრიგის დამყარებისა და სოციალური პროგრესის სფეროში არსებული ჩავარდნების რეგიონალიზაციის საკითხს, რაც პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებშიც სოციალური სფეროს რეგულირების მექანიზმები დაცილებულია მსოფლიოში დამკვიდრებული ნორმებისა და სტანდარტებისაგან. შესაბამისად, დემოკრატიის განვითარების დაბალი დონის პირობებში ადგილი აქვს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ხელყოფას. ამავდროულად, ოფიციალური სტატისტიკა თავს ვერ ართმევს მდგრადი და ბალანსირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგების გაზომვის, შეფასებისა და წარმოჩენის საკითხებს.

თუ გამოვალთ საქართველოში არსებული მდგომარეობიდან, პოსტკრიზისული პერიოდის სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი საერთაშორისო მიდგომებთან ადაპტაციის საფუძველს რამდენიმე მაგისტრალური მიმართულების განვითარება წარმოადგენს. პირველი – სოციალური მონიტორინგის ადეკვატური სისტემის შემოღებას უკავშირდება, რაც საერთაშორისო დონეზე გაზომვადი ინდიკატორების სისტემის შემოღებასა და უნიფიკაციას გულისხმობს.

ამჟამად ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ინდიკატორების სისტემა, რომელიც სრულად ასახავს სოციალური უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებს როგორცაა: დასაქმებისა და შრომითი მოწყობის შესაძლებლობები, შრომის პირობები,

უსაფრთხო სამუშაო გარემო, სამუშაო დროის გამოყენება, დროითი სტრესი, მწარმოებლურობა, მობილურობა, შემოსავლების პოლარიზაცია, პიროვნული და ოჯახის უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, ოჯახის მდგომარეობა, ადეკვატური და მისაღები საბინაო პირობები, ცხოვრების ხარისხი, სოციალური ინფრასტრუქტურისადმი მისაწვდომლობა, სოციალური სოლიდარობა და სოციალური თანასწორობა, სოციალური ჩართულობა, სოციალური მოხმარება და სოციალური მხარდაჭერის ქსელის განვითარება, სოციალური დაცვა, სადაზღვევო სქემებში მონაწილეობა და მრავალი სხვა. აღნიშნული ინდიკატორები მთლიანობაში სოციალური ინდიკატორების სრულიად ახალი წრის ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომლებმაც პასუხი უნდა გასცეს საზოგადოების განვითარების მონიტორინგის იმ ახალ მოთხოვნებზე, რომელიც მსოფლიოში ბოლო პერიოდში იმკვიდრებს ადგილს. არ არის ჩატარებული შესაბამისი სტატისტიკური კვლევები. დღემდე არ არის შესწავლილი და რეგიონიზებული სამუშაო ძალის მიგრაციის მასშტაბები. არ არის ჩატარებული გენდერული დისბალანსის, დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთა დისკრიმინაციის, ოჯახური თუ სხვა სახის ძალადობის შემთხვევების კვლევა. ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების არარსებობა ნოყიერ საფუძველს ქმნის შრომითი ურთიერთობების სფეროში დარღვევების, დისკრიმინაციისა და დაუცველობის სხვადასხვა ფორმების დასამკვიდრებლად; მეთოდოლოგიური და ფინანსური პრობლემების გამო არ არის ჩატარებული ტრეფიკინგის შემთხვევების მრავალპროფილური სტატისტიკური კვლევები, რაც შესაბამის სამთავრობო ორგანოებს საზღვარგარეთ ემიგრირებული ჩვენი თანამემამულეების დაუცველობისა და მათზე ძალადობის ფაქტების დაფიქსირებისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას მისცემდა.

მეორე მიმართულება გულისხმობს სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური ბაზის სრულყოფას, სოციალური სფეროს რეგულირებისა და განსაკუთრებით სოციალური შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. ამ მიმართებით განსაკუთრებით მოსაწესრიგებელი და მისახედია არალეგალური შრომითი მიგრაციის საკანონმდებლო რეგულირების საკითხები. ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის გაცვლისა და შრომითი მიგრაციის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების არარსებობა, პრივატიზებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობებში ადგილობრივი მუშახელის დასაქმების შესახებ შეთანხმებებისა და კვოტების უქონლობა დამატებით მოტივაციას ქმნის დაუსაქმებელი მოსახლეობის საზღვარგარეთ მიგრირებისათვის, რაც, არცთუ ისე იშვიათ შემთხვევებში, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების არარეალიზებული პიროვნული შესაძლებლობების, იმედგაცრუებისა და სიდუხჭირის საფუძველი ხდება და დამატებით სირთულეებს ქმნის არა მარტო ჩვენი, არამედ მასპინძელი ქვეყნებისათვისაც.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რეგიონული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, სოციალური დაცვის ადეკვატური სისტემის შემუშავება, ასევე, სოციალური დაცვისა და უმწეოთა დახმარების სფეროში საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზაცია და კონსოლიდაცია სოციალური დაცვის ახალი მექანიზმების შემუშავებისა და ახალი რეგიონული ინსტიტუტების შექმნის მიმართულებით.

პოსტკრიზისული საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში ჩამოყალიბებული ტენდენციები და მისგან გამომდინარე სოციალური შედეგები, რიგ შემთხვევებში, არათუ იმეორებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში არსებულ ვითარებას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, უფრო დრამატულ ფორმებს იღებს და გლობალიზაციის პირობებში მას გადამდები ზეგავლენა გააჩნია სხვა ქვეყნებისათვისაც. აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს სოციალურ სფეროში ახალი

მსოფლიო წესრიგის დამყარების, სოციალური პოლიტიკის შემუშავების სფეროში თანამშრომლობისა და მონიტორინგის უნიფიცირებული მექანიზმების დანერგვის აუცილებლობას.

ადეკვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია, კომპლექსურად შეფასდეს პოსტკრიზისული პერიოდის საქართველოს სოციალური პოლიტიკის ფორმირების წინაპირობები. განხორციელდეს ეკონომიკური და სოციალური რეფორმის ძირითადი მიმართულებების ანალიზი გარდამავალ და პოსტკრიზისულ პერიოდებში. მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკისა შეფასება, მოსახლეობის უკიდურესად გაჭირვებული ფენების სოციალური მხარდაჭერის, უმწეოთა ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემის, უმუშევართა მომზადებისა და დასაქმების პროგრამული ღონისძიებების მხრივ. აუცილებელია განისაზღვროს რეფორმის სოციალური ხარჯები, რეფორმების ალტერნატიულობა, რეფორმის წარმატების, მარცხის ან ნაწილობრივი წარმატების მიზეზები, განისაზღვროს პოლიტიკის ცვლილებების გადაუდებელი აუცილებლობა უახლოეს მომავალში.

აღნიშნული მიმართულებით გაწეული ძალისხმევის ძირითადი შედეგი უნდა გახდეს სოციალური დაცვის ეფექტური სისტემის ფორმირება, თავისუფალი შრომის ბაზრის ჩამოყალიბების მექანიზმების განსაზღვრა, წინადადებების შემუშავება უმწეოთა სოციალური დაცვის რეგულირების მექანიზმების ასამოქმედებლად.

ეკონომიკური ზრდისა და სოციალური თანასწორობის დაბალანსების მახასიათებელ მანკვებელთა თანამედროვე სისტემისა და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა მთავრობას დაეხმარება სწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში, მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების პრევენციისათვის საჭირო ადეკვატური ღონისძიებების გატარებაში.

*Chikovani Elene*

## **PROBLEMS OF FORMATION REGIONAL SOCIAL POLICY UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

Article discusses actual problems of formation regional social policy in conditions of globalization. Characterizes importance of problems related to labour migration in processes of formation regional social policy. Article emphasizes the necessity of the establishment new set of indicators for the monitoring social conditions of population according to the International standards. Gives measures necessary for the improvement of the institutional base, main directions of formation adequate social policy and social protection system taking into the account peculiarities of the regional development. Author substantiates the inevitability of mobilization and consolidation of efforts of International organizations in elaboration new mechanisms and creation of new regional institutes in the aim of the social protection of the vulnerable groups of population.

*ემზარ ჯულაყიძე*

## **ორგანიზაციის გუნდური მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორები**

ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობა მენეჯერისა და დაქვემდებარებული პერსონალის ინტერესების თანხვედრაა. ამასთან, როგორც მენეჯმენტის ისტორია, ასევე მეცნიერული გამოკვლევები და პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ ადამიანი თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად მხოლოდ მაშინ გამოავლენს, როცა ის სათანადოდაა მოტივირებული. ადამიანში მოტივირების განსაკუთ-



რებული მნიშვნელობის აღსანიშნავად დავსვათ და შევეცადოთ სწორი პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: რატომ ამჯობინებენ ხოლმე ადამიანები ერთ სამუშაოს მეორეს? რატომ რეაგირებენ ისინი სხვადასხვაგვარად ერთსა და იმავე მოტივზე? რატომაა რომ ერთ შემთხვევაში თავდაუზოგავად, მაქსიმალური მობილიზებითა და მონდომებით მუშაობენ, სხვა შემთხვევებში კი – ზერეულად და უინტერესოდ? რასაკვირველია, აქ მთავარია იმის გარკვევა, თუ რა იწვევს ორგანიზაციაში ადამიანთა მოტივირებას და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მათ იმუშაონ მაქსიმალური ძალისხმევითა და მაღალი შედეგიანობით.

სამწუხაროა, მაგრამ დღესაც არცთუ ისე ცოტა ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ ადამიანთა წარმატებული საქმიანობის მთავარი და ხშირად ერთადერთი მოტივი მატერიალური დაინტერესებაა. ამ ფაქტორის ძალზე დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, განსაკუთრებით დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი დიდი მონდომებითა და თავდავიწყებით მუშაობს, თუმცა მას არ აკმაყოფილებს ხელფასის დონე. ასე რომ, ფული ყოველთვის და ყველაფერს არ წყვეტს და ორგანიზაციის წარმატებაც მხოლოდ მას არ უკავშირდება.

წარმატებული მოტივირება ის არის, როცა შრომის შედეგები წარმოქმნის მოტივაციას და არა პირიქით, როგორც ამას აქამდე მივიჩნევდით. სწორედ ასეთი მიდგომით მივალთ მაღალი კულტურის, ღია, თვითსწავლებადი გუნდის ცნებამდე, რომელშიც მთელი ორგანიზაციის წარმატება პირდაპირ აისახება მასში მომუშავე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე.

სკეპტიკოსები საკითხს შემდეგნაირად სვამენ: პიროვნება უფრო ეფექტურად მუშაობს თუ ჯგუფი? ჩვენი აზრით, უფრო რაციონალური იქნებოდა საკითხის შემდეგნაირად დასმა: რა ფაქტორები განაპირობებს ორგანიზაციის გუნდური მუშაობის ეფექტურობას? ორგანიზაციის გუნდური მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორების მრავალგვარობის მიუხედავად, არსებობს ოთხი ძირითადი ფაქტორი, რომლის სწორი აღსრულება ორგანიზაციის წარმატებას განაპირობებს. ესენია: მიზანი, როლები, პროცესი და გუნდში პიროვნებათშორისი ურთიერთობები.

**გუნდის მიზანი** (სასურველი შედეგი). იმისათვის, რომ გუნდი ეფექტურად ფუნქციონირებდეს, მისი წევრები სრულად უნდა იზიარებდნენ ორგანიზაციის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. მათ ერთნაირად უნდა ესმოდეთ ის, თუ რისთვის არსებობს ორგანიზაცია და რა არის მისი სასურველი შედეგი. მენეჯერთა გარკვეულ ნაწილს ზედმეტად მიაჩნია დაქვემდებარებულებში ორგანიზაციის მიზნებზე საუბარი. არადა, თუ მათ მიზანი სხვადასხვანაირად ესმით, ეს მკვეთრად აფერხებს საქმის კეთებას და გარკვეულ პრობლემებს უქმნის ორგანიზაციას. ორგანიზაციის (გუნდის) მენეჯერს კარგად უნდა ესმოდეს ამ ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა და მეტიც – იცოდეს, რომ ამ ფაქტორის სირთულეს ისიც კი განაპირობებს, რომ მას ამ პროცესში ორი განსხვავებული როლი აქვს შესასრულებელი. ერთი, როგორც გუნდის ლიდერის და მეორე, როგორც გუნდის რიგითი წევრის. ამ ორ როლს სრულიად განსხვავებული შესრულება სჭირდება, თუმცა ორივეს ერთმანეთთან გადაჯაჭვული საერთო მიზნები უნდა აკავშირებდეს.

**პიროვნების როლი გუნდში** (ვინ რა უნდა აკეთოს). პიროვნებაზე გაპიროვნებული საქმიანობის ფორმალური აღწერა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დაგვეხმაროს გუნდში როლური პრობლემების გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ როლური ქცევა ხშირად სიტუაციურად იცვლება. მაგალითად, ფეხბურთში თავდამსხმელს თავისი როლი აქვს, დამცველს – თავისი, მაგრამ კონკრეტულ თამაშში მათი ქცევა ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული: ვინ არის მოწინააღმდეგე, როგორია ანგარიში და მრავალი სხვა. ამიტომ, ორგანიზაციის წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა გუნდის ცალკეულ

წევრთა როლის გაურკვევლობა სხვა წევრების მხრიდან. ანუ, არ იცის, თუ რას მოელის მეორისაგან, რაზედაც მისი სათანადო ქცევა უნდა ააწყოს.

**გუნდის მართვის პროცესი** (როგორ ვიმუშაოთ). გუნდის მართვის პროცედურებსაც შეთანხმება სჭირდება. მას განეკუთვნება შემდეგი საკითხები: როგორ მოხდება ინფორმაციის გაზიარება და გადაწყვეტილების მიღება, როდის და როგორი სახის შეკრებები იქნება, შექმნილ კონკრეტულ სიტუაციებში როგორი ტაქტიკა უნდა ავირჩიოთ და სხვა. მენეჯერმა უნდა იცოდეს, რომ გუნდის საქმიანობა პროცედურული მიზეზების გამო შეიძლება არაეფექტური გახდეს და დაპირისპირებაც კი გამოიწვიოს.

**პიროვნებათშორისი ურთიერთობები.** გუნდის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ენდობიან, მხარს უჭერენ, პატივს სცემენ, კომფორტულად გრძნობენ ერთად თავს გუნდის წევრები. როდესაც პირველი სამი ეტაპი წარმატებით სრულდება, ანუ აღამიანები შეთანხმებულად მიიწვევენ მიზნისაკენ, მათი როლები და მოლოდინები გარკვეულია, მუშაობის პროცესი და პროცედურები შეთანხმებულია და გუნდი შეწყობილად მუშაობს, მაშინ მიზნის მიღწევაც ადვილდება, ნდობაც ყალიბდება და მათ შორის ურთიერთობაც შესანიშნავია. გუნდის წევრებს ერთად მუშაობის სურვილი უჩნდებათ.

წარმოდგენილი მოდელი იერარქიულია, ანუ ჯერ უნდა განისაზღვროს გუნდის მიზანი, შემდეგ როლები, პროცედურა და ბოლოს – პიროვნებათშორისი ურთიერთობები. ამ თანმიმდევრობის უგულვებელყოფაც კი იწვევს პრობლემებს. მაგალითად, თუ გუნდის შენებას კარგი ურთიერთობით დაევიწყებთ, მას შეიძლება არ ექნეს სათანადო ეფექტი, რადგან მის წევრებს გზადაგზა მოუწევთ მიზნის, როლებისა და პროცედურების გარკვევა, რამაც შეიძლება გუნდის მართვაში პრობლემები შექმნას და მეტიც, კარგად აწყობილ პიროვნებათშორის ურთიერთობებში გარკვეული დაძაბულობაც კი გამოიწვიოს. გუნდურ მუშაობას თავისი თამაშის წესები აქვს:

- გუნდის თითოეული წევრი სხვა წევრებს თანაბარ პარტნიორებად უნდა აღიარებდეს, ანუ ყველას აქვს თავისი ძლიერი მხარე და პირადი უნიკალური როლი;

- სიტუაციიდან გამომდინარე, გუნდის წევრთა როლები იცვლება და სხვადასხვა სიტუაციებში, შესაძლებელია, ლიდერობაც სხვადასხვა წევრმა იკისროს;

- გუნდის ყველა წევრის თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება, ამიტომ თითოეულ მათგანს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი და მისი აზრი იყოს დაფასებული და აღიარებული;

- მოსმენა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საუბარი, რადგან თუ მოსმენა ვერ ხერხდება, არც საუბარს აქვს აზრი და მნიშვნელობა;

- კონფლიქტები არ იმალება, არამედ იგი დისკუსიის საგანი ხდება და გუნდის თვითგანვითარების საფუძველს წარმოადგენს;

- ჯგუფის შიგნით შესაძლებელია ჯანსაღი კრიტიკა და არა გაკიცხვა, განსჯა ან პიროვნების შედეგების შეფასება;

- სწავლისადმი მოთხოვნილებას მუდმივი ყურადღება ექცევა, რადგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდის კომპეტენტურობასა და განვითარებას;

- გადაწყვეტილებების მიღება ხდება არა უმრავლესობის, არამედ ყველას თანხმობით, კონსენსუსის პრინციპით.

უნდა აღინიშნოს, რომ გუნდში სტრატეგიის რეალიზაციის საკითხი არის ყველაზე რთული და შრომატევადი ნაწილი გუნდის მართვაში. სტრატეგიის დანერგვის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ გუნდი შეიკრას, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. წინააღმდეგ შემთხვევაში სტრატეგიის დანერგვის პროცესი უშედეგო იქნება. მაგალითად, ფეხბურთის კარგი გუნდი არ ნიშნავს მხოლოდ კარგ ფეხბურთელებისგან შემდგარ ნაკრებს. გუნდის თითოეული წევრის მიზანია, თუ რამდენად ძლიერი იქნება ის უშუალოდ

გუნდში. რადგან მათი პოპულარობა და წარმატება სწორედ გუნდის წარმატებებს უკავშირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი პირადი წარმატების მიღწევა შეუძლებელი ხდება. ამასთან, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის გუნდები, რომლებიც განსხვავდებიან როგორც მიზნების, ასევე როლების, პროცედურებისა და ურთიერთობის მხრივაც. თუმცა რა გუნდზეც არ უნდა ვმსჯელობდეთ, მისი წევრები სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთშემავსებელ სტრატეგიებს ასრულებენ. ფაქტობრივად, გუნდის სტრატეგია – ეს არის მისი თითოეული წევრის სტრატეგიათა ერთობლიობა და გუნდის შედეგი დამოკიდებულია ამ სტრატეგიათა კოორდინაციის ხარისხზე. ამდენად, ეს ორი, გუნდისა და მისი თითოეული წევრის სტრატეგია, ერთმანეთთან ლოგიკურ მთლიანობაში უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან არ შეიძლება გუნდის სტრატეგია და მისი წევრთა სტრატეგიები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდეს.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ეჯიბაძე ო. მართვის მომავალი, ელექტრონული ჟურნალი, „საზოგადოებრივი მეცნიერებები“, [www.education.ge](http://www.education.ge)
2. თანამედროვე მენეჯმენტი, თქვენი წარმატების მეგზური, Business Cafe.wordpress.com 2010/02/17.
3. მარკოზაშვილი ნ. ჟურნალი – ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. [www.sapientisat.ge](http://www.sapientisat.ge)
4. ცომაია აკ. სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. <http://www.nesgeorgia.org/publicationsa.php>.
5. ჯულაყიძე ე., ჯულაყიძე შ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011, 156 გვ.

*Julakidze Emzar*

### **DETERMINATE FACTOR OF THE TEAM WORK OF ORGANIZATION SUMMARY**

Indispensable condition for successful operation of organization is an interest coincidence of manager and personnel staff which is achieved through enough motivation. The successful motivation is when the results of the work make motivation and not on the contrary, as we admitted before. Only through such kind of approach can make personnel staff into the team, in which success of the whole organization is directly reflected on prosperity of the staff.

In spite of variety of determinate factors of the team work, the most significant is four principal factors, and their fulfillment stipulates success of organization. They are: goal, roles, process and interpersonal relations in the team. Besides, we should know that presented model is hierarchical. Thus, at first should be determined the goal of the team, than roles, procedures and finally- interpersonal relations. To ignore their sequence shall cause problems. The goal of each member of the team is to be powerful in the team as their popularity and success is related to success of the team. In other case their personal success shall be unachievable.

*Аббасов Эминь Октай оглы*

## ТЕХНИКО-ТЕХНОЛОГИЧЕСКАЯ НЕЗАВИСИМОСТЬ КАК ФАКТОР ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ СТРАНЫ

### I. Взаимосвязь между инвестиционной активностью и технологической независимостью страны

На пороге XXI в. инвестиционная активность в странах промышленных держав ускорялась и приобретала все большие масштабы. Эта активность ведет к основательному обновлению материального производства и повышению качества потребления населения.

Технико-технологическая независимость как составная часть экономической безопасности страны, в значительной степени определяется ее научно-техническим потенциалом. Не случайно устойчивый рост экономики требует повышения инвестиционной активности. Инвестиционный процесс непосредственно связан с технико-технологическим развитием страны, отражает все стадии производственного процесса со стороны движения инвестиционных товаров.

Обеспечение экономической безопасности страны во многом связано с осуществлением инвестиционной политики. На современном этапе процесс совершенствования инвестиционной деятельности должен подчиняться технико-технологической независимости страны. А с этим непосредственно связан отбор того, куда и на что будут тратиться средства капитальных вложений и как будет решена проблема создания новой техники и технологии. Поэтому критерием эффективного соотношения между затратами инвестиционных средств и созданием новых технологий в условиях совершенствования инвестиционной деятельности является создание условий для непосредственного обеспечения экономического роста и подъема уровня жизни людей. Поэтому это оказывает влияние на активизацию инвестиционной деятельности и на темпы роста отдельных отраслей экономики.

Инвестиции осуществляются путем капитальных вложений, то есть затрат на создание новых технологий, расширение, реконструкцию и модернизацию действующих технико-технологий. В экономической литературе термин инвестиции (от латинского – *investio* – одеваю) обычно переводится как капитальные вложение. Однако в действительности капиталовложения есть инвестиции, трактуемые в широком смысле слова. В узком же смысле слова под инвестициями понимают долгосрочные вложения капитала в промышленность, сельское хозяйство, транспорт и другие отрасли экономики, как внутри страны, так и за границей с целью получения прибыли. Выделяют два основных вида инвестиций: реальные и финансовые. Реальные инвестиции представляют вложение капитала непосредственно в основной капитал.<sup>40</sup> С этой целью может быть применен и заемный капитал, в том числе, кредит банка. Банк становится инвестором. Финансовые инвестиции означают вложение капиталов в ценные бумаги, а также помещение капитала в банки. В составе финансовых инвестиций выделяют портфельные – вложения в ценные бумаги. Кроме этих основных видов существуют и так называемые интеллектуальные инвестиции (покупка патентов, лицензий, ноу-хау, подготовка и переподготовка персонала, вложения в научно-исследовательские работы и т.п.).

В прямых инвестициях определенная часть вкладывается в виде строительных материалов, оборудования и других материальных ресурсов, которые производятся в стране инвесторов. В связи с этим можно отметить, что хотя аналогичные товары и производятся в самой стране – объекте

---

<sup>40</sup> Реальные инвестиции иногда называют прямыми, что расходится с американской терминологией, согласно которой последними являются инвестиции в фирму, составляющие более 10% ее капитала. В мировой практике к зарубежным прямым инвестициям относят такие, которые формируют более 25% капитала фирмы.

инвестирования. *Поэтому эти инвестиции работают на экономику другой страны. Это также может влиять на экономическую безопасность.*

Мнение о том, что технико-технологии, полученные по связанным иностранным кредитам, как правило, не позволяют производить конкурентоспособную продукцию, морально устарело. Вместе с этим иностранным кредитом, которые заемщики как правило, вынуждены приобретать поставляемые технику и технологию по ценам, превышающим мировые. Эти кредиты рассчитаны в конечном итоге на создание рабочих мест и поддержку отраслей в самой стране местонахождения иностранного инвестора.<sup>41</sup>

Мировая практика показала, что некоторые промышленные страны на государственном уровне запретили любые иностранные инвестиции, которые угрожают национальной безопасности. Правда, вложения иностранных инвестиций для устойчивого развития экономики становятся одним из условий стабилизации в экономике. Поэтому интерес к иностранным инвестициям проявляли не только финансовые власти страны инвестирования, но и иностранные финансово-правительственные круги инвестора. Правительства некоторых стран переходного периода интересовало, насколько зависимость от иностранных инвестиций способна вести к утрате экономической независимости, хотя иностранные инвестиции рассматривались как эффективное средство ускорения экономического развития. Даже иностранные инвестиции могут ускорять экономическое развитие переходного периода и вести к состоянию экономической зависимости.

Современная мировая практика свидетельствует, что бесконтрольное продвижение иностранных инвестиций в национальные экономики приводит к установлению ими опосредованного контроля стран – инвесторов. Необходимо найти баланс между выгодами от масштабных иностранных инвестиций и экономической независимостью экономики страны.

## **II. Инвестиционная безопасность в системе экономической безопасности**

В современной рыночной экономике проблемы инвестиционной безопасности страны стоят в центре внимания отечественных и зарубежных ученых экономистов.<sup>42</sup> Частичное рассмотрение проблемы показывает угрозы, связанные с инвестициями в производственную, финансово-кредитную сферу. В этом же статье мы обращаем внимание на инвестиционную безопасность как целостную систему.

Инвестиционной безопасностью является способность национальной экономики оживлять инвестирование на макро- и микро- экономическом уровне хозяйственной системы поддерживающие темпы роста и конкурентоспособность экономики в перспективе. По определению некоторых экономистов, инвестиционная безопасность в системе экономической безопасности реализуется по нижеследующим направлениям:

во-первых – обеспечение общей достаточности инвестиций для устойчивого развития экономики;

во-вторых – балансирование отраслевой и территориальной структуры инвестиций;

в-третьих – снабжение инвестиционного процесса, реализуемых инвестиционных проектов научно-технологическим содержанием.

Каждый из этих направлений зависит от определенных экономических показателей, отражающих уровни инвестиционной безопасности. Среди этих показателей важное значение имеет динамика и структура инвестиций в основной капитал. В этом показателе выражаются виды экономической деятельности, функциональная структура инвестиций, источники финансирования инвестиций и другие.

---

<sup>41</sup> Логинов Е.Л. Системные проблемы экономической безопасности. Москва, 2007, с.58.

<sup>42</sup> Нарышкин С. Инвестиционная безопасность как фактор устойчивого экономического развития // Вопросы экономики. 2010, №5, с. 16-25; Кричевский Н. Инвестор сердится. А собственно почему? // Экономическая безопасность. 2008, №10; Керimli И., Сулейманов Н. Основы национальной экономики. Баку, 2001, с.190-205.

Одно из важных направлений реализации инвестиционной безопасности, которое является общей достаточности инвестиции, выражает доля (норма) накопления в валовом внутреннем продукте (ВВП). Удельный вес накопления в ВВП или норма накопления – обобщающий макроэкономический показатель выражающих социально-экономических факторов, регулирующих объем и структуру инвестиционной деятельности. Как свидетельствует мировой опыт, норма накопления имеет весьма устойчивый характер и колеблется в относительно небольших размерах (примерно 3-4 процентных пунктах). Опыт США и других западных стран показывает, что не было ни одного случая выхода из кризиса без повышения нормы накопления.

В период 1996-2010 годов, когда создавалась ведущая часть накоплений в основных фондах нашей республики, которые действуют и сейчас, то только ¼ часть инвестиционных вложений была непосредственно связана с обновлением этих фондов. Остальная часть инвестиций направлялась на поддержку базового уровня производства, что вело к падению фондоотдачи, подмене реального накопления возрастающими размерами капитального ремонта, формированию ремонтного характера воспроизводства основных производственных фондов.

Чтобы устранить отрицательные явления в сфере накопления и обеспечения инвестиционной безопасности страны, по нашему мнению, следует прежде всего:

во-первых, преодолеть «ремонтный» характер накопления;

во-вторых, экономически стимулировать научно-технический прогресс и внедрение его результатов в производство;

в-третьих, интенсифицируя производство, резко сократить инвестиционный цикл;

в-четвертых – не допускать возведения новых сооружений по устаревшим проектам.

В связи с тем, что производственному накоплению принадлежит решающая роль во всем процессе накопления, необходимо создать соответствующие условия для поддержания его на надлежащем уровне. Среди них главнейшим является высокий или постоянно возрастающий уровень эффективности производства и использования капиталовложений, иначе говоря, повышение отдачи производственных затрат. Поэтому важнейшей чертой современной инвестиционной безопасности должно быть такое повышение эффективности производства, которое смогло бы расширить границы реального накопления и стабилизировало норму производственного накопления. Это одно из существеннейших положений, которое должно быть заложено в современную концепцию инвестиционной безопасности.

Нормы накопления должны устанавливаться в каждый данный момент на таком уровне, который позволяют научно-технические новшества и чтобы общество имело бы возможность эффективно их реализовать и сориентировать в направлении обеспечения инвестиционной безопасности. В противном случае, если отсутствуют рациональные нововведения, то и накопление станет не целесообразным. Если они есть, то средства для их внедрения в производство следует в первоочередном порядке выделять из накоплений.

В условиях, когда научно-технический прогресс заторможен, промышленность способна поддерживать нормы накопления (а в будущем, возможно, и ее повышение) только экстенсивным путем наращивания традиционно устаревшей техники и технологии. От такой формы накопления следует решительно отказаться как от бесперспективной. Поэтому машиностроение должно обновлять техническую базу производства, то есть переходить на изготовление новых поколений техники примерно через 5-6 лет, чтобы своевременно обеспечить ею все отрасли промышленности. Чтобы этого достичь необходимо примерно раза в 2-3 ускорить цикл обновления продукции машиностроения. На основе научно-технического прогресса обеспечивается более половины прироста эффективности использования накоплений.

Для обеспечения инвестиционной безопасности важное значение имеют структура инвестиции, их составных частей, в том числе, вложение иностранных инвестиций. Эти структурные элементы инвестиционного процесса, их характеристики непосредственно связаны с переориентацией

инвестиций с нефтяной отрасли на ненефтяной сектор Азербайджанской экономики, прежде всего на отрасли обрабатывающей промышленности. Эффективно регулировать отраслевую структуру инвестиций можно только при осуществлении инвестиций за счет бюджетных средств. В условиях переходного периода для вложения инвестиционных средств первоначально используется смешанное финансирование инвестиционных проектов. Здесь особую роль играет использование средств Инвестиционного фонда. Такой механизм инвестирования для иностранных инвесторов практически неприменим. Поэтому поступления иностранных инвестиций в национальную экономику связаны с интересами национальной безопасности.<sup>43</sup>

Практика показывает, что в условиях рыночной экономики государственное регулирование отраслевой структуры иностранных инвестиций ограничено. Здесь государство использует косвенные рычаги, которые регулирование осуществляют не только на макроэкономическом уровне, но и на уровне отдельных отраслей и предприятий. Многие страны мира, либерализуя свою внешнеэкономическую деятельность, создают экономическое равноправие национальных и иностранных инвесторов. Но здесь необходимо балансировать интересы в пользу национальных, исходя из требования экономической безопасности страны.

При комплексном подходе для изучения характеристики показателей инвестиционной безопасности, необходимо учитывать специфику организационной формы хозяйствования различных регионов, отраслей и предприятий страны. Основная цель должна быть направлена на преодоление значительных разрывов в уровне их социально-экономического развития.

В условиях рыночной экономики, в связи с инвестиционной безопасностью, роль государства характеризуется в двух направлениях: во-первых, оно выступает одновременно и как инвестор, и как регулятор инвестиционной деятельности. Государство организует инвестиционные вложения, направленные на обеспечение жизненных потребностей страны в целом и с учетом приоритетных целей экономического и социального развития общества. Структура и составные элементы инвестиционной безопасности в системе экономической безопасности показаны на **Рис. 1**.

Система регулирования инвестиционной безопасности должна формироваться в контексте целей и задач развития экономики страны. С позиций экономической безопасности необходима разработка критериев государственной поддержки отдельных инвестиционных проектов и программ. Для этого необходим четкий механизм регулирования инвестиционной деятельностью. Структура регулирования инвестиционной безопасности должна базироваться исходя из инвестиционной политики государства, определяющей приоритетные направления развития отдельных отраслей экономики.

Мировая практика показывает, что в системе экономической безопасности на передний план выходят проблемы инвестиционной безопасности страны. Решение этой проблемы обеспечивается основательной модернизацией национальной экономики. В этом процессе ключевое место занимает формирование долговременной инвестиционной политики. Государственная инвестиционная политика включает выбор критериев государственной поддержки в широком смысле. Эта поддержка осуществляется в нижеследующих формах:

во-первых – принятие законов, обеспечивающих регулирование интересов участников инвестиционного процесса;

во-вторых – уточнение долгосрочной инвестиционной стратегии с учетом показателей экономической безопасности;

в-третьих – прямого финансирования экономических, социальных, научных и других подобных объектов;


в-четвертых – государственная поддержка инвестиционной инфраструктуры;

---

<sup>43</sup> Иванова Е.А. Обзор нового законодательства об ограничении иностранных инвестиций в стратегические секторы экономики // нефть, газ и право. 2008, №3.

в-пятых – приоритетность инвестиционной политики на макро- и микроэкономическом уровне.

**Рис. 1. Структура регулирования инвестиционной безопасностью в системе экономической безопасности.**



Вышеуказанные формы регулирования зависят от выбранной инвестиционной политики, а следовательно, от выбора инвестиционной модели, при которой экономический рост основан на масштабном увеличении инвестиций в реальный сектор экономики.



**TECHNICAL-TECHNOLOGICAL INDEPENDENCE  
AS A FACTOR IN THE ECONOMIC SAFETY OF THE COUNTRY  
SUMMARY**

This activity increased the technical innovation of material production areas, and qualitative changes in the population consumption. Being the integral part of the safety of national economy, the technical and technological independence define the scientific-technical potential.

It is not strange, that the stable growth of the economy in its turn demand the raise of investment activity.

Investment process strictly depends on to the technical technological development of the country, express all stages of the production process by motion of the investment goods.

*ოთარ ანგურიძე*

**გლობალიზაციის პირობებში ფისკალური სტაბილურობის მნიშვნელობა**

21-ე საუკუნის გლობალურმა კრიზისებმა (თუმცა შეიძლება ითქვას, ერთმა საკმაოდ გახანგრძლივებულმა კრიზისმა) ნათლად აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს მოქნილ და ეფექტიან ფისკალურ პოლიტიკას ამ კრიზის(ებ)თან გამკლავების საქმეში. ამას ადასტურებს ეკონომიკურად მოწინავე სახელმწიფოების და სხვადასხვა სოლიდური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული მოხსენებები, ანგარიშები რეკომენდაციები და ა.შ. [3, 4, 5, 6, 8] კრიზისების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ფისკალური არასტაბილურობა სახელდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, საერთაშორისო გამოცდილება საქართველოს რეალობაშიც იქნეს გაზიარებული და საზოგადოების მხრიდან ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაეთმოს.

შეერთებული შტატების „დიდი დეპრესია“ გახდა ფინანსური სექტორის სრულყოფის დასაწყისი და მას შემდეგ მუდმივად განიცდის განვითარებას.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 15 წელია მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისებმა უწყვეტი სახე მიიღო და, მისი მცოცავი ხასიათიდან გამომდინარე, ინაცვლებს ერთი ქვეყნიდან მეორეში, მეორედან – მესამეში და ა.შ. შესაბამისად, არსებული ვითარება იძლევა იმის საფუძველს, რომ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტების, საერთაშორისო ორგანიზაციების და მოწინავე სახელმწიფოების ძირითადი საზრუნავი პრობლემა გამხდარიყო. პრობლემად, რომელმაც შეიძლება ძალიან დიდი ზიანი მიაყენოს მრავალ განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოს, რადგან ხშირად კრიზისების მასშტაბები ძალიან მძიმე შედეგებს განაპირობებს.

ფინანსური კრიზისები აქტიურ გავლენას ახდენს ფინანსურ სისტემაზე, რადგან ნებისმიერი კრიზისი საზიანოა ეკონომიკური ზრდისათვის. მაგრამ, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ადეკვატურად გამოყენების შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია ამ რისკების ნიველირება. ამიტომ მსოფლიოში იქმნება ახალი სტანდარტები, რომლებიც მიმართულია სწორედ ფინანსური სტაბილურობისაკენ.

გლობალიზაცია დიდი დადებითი ეფექტის მომტანი უმეტესად განვითარებული და ეკონომიკურად მოწინავე სახელმწიფოებისთვის არის. გლობალიზაციის კრიტიკოსები ხშირად აკრიტიკებენ როგორც ვეშაპს, რომელსაც სურს შედარებით ჩამორჩენილი ეკონომიკების ჩაყლაპვა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნეში გლობალიზაციის ეკონომიკური შესაძლებლობების არგამოყენება ქვეყნის ეკონომიკის არგანვითარებას ნიშნავს. გლო-

ბალიზაცია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის შეიძლება იყოს დადებითი შედეგის მომტანი თუ მისი შესაძლებლობები მიზნობრივად და სწორად იქნება გამოყენებული.

2009 წლის პიტსბურგის G-20 შეხვედრის შემდეგ მკაფიოდ გაცხადდა, რომ დაბალანსებული და მდგრადი ზრდის გლობალური ვექტორი უმთავრესად გადავიდა ფინანსურ და ფისკალურ სტაბილურობაზე. არსებობს საერთო კონსენსუსი, რომ ფინანსური და ფისკალური სტაბილურობა წარმოადგენს ჯანმრთელი და კარგად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემის ცენტრალურ სვეტებს.

ბოლო წლებია ფინანსების ნაკადების მიმართულების ზრდა სამრეწველო ეკონომიკების საზღვრებსა და ინდუსტრიულ და განვითარებადი ბაზრების ეკონომიკებში საგრძნობლად გაიზარდა. ამავე დროს, ეკონომისტები იხილავენ ფინანსური გლობალიზაციის სარგებელს და ხარჯებს. ზოგი ეკონომისტის მტკიცებით, კაპიტალის ასეთი დინება აფერხებს გლობალურ ფისკალურ სტაბილურობას. სხვა მოსაზრებებით, კაპიტალის დინების გასწვრივ ზრდამ დაადასტურა ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა.

OECD 18 ქვეყნის 1984–2007 წლების მონაცემების საფუძველზე კაპიტალის შემოდინებას მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი აქვს რეალურ კრედიტებზე პირად სექტორში, ბინებზე ფასების ზრდაზე და ბინათმშენებლობაში, რაც იპოთეკური ბაზრის განვითარებას იწვევს.

ძნელია მისცე განსაზღვრება ფინანსურ სტაბილურობას, რადგან ეს არ წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებელს. ცნებას აქვს მრავალი მასშტაბი, რომელსაც შეუძლია აღწეროს ფინანსური სისტემის სხვადასხვაგვარობა.

ფინანსური სტაბილურობა ხელს უწყობს ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ფინანსური სექტორის მუშაობა იქნება უწყვეტი პრობლემების არსებობის შემთხვევაშიც კი. ამგვარად, ხდება რესურსების ეფექტური განაწილება და აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს კრიზისებს ადეკვატურად და მისი მოქმედების წესით.

ფინანსური პოლიტიკა მჭიდროს არის დაკავშირებული ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკასთან. რომელთა სტაბილურობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის.

მონეტარული პოლიტიკა და გადახდის სისტემების სიცოცხლისუნარიანობა არის ცენტრალური ბანკის საკვანძო მისია. ფისკალური პოლიტიკა კი ცენტრალური მთავრობის, რომელიც ახორციელებს საბიუჯეტო პოლიტიკას და სახელმწიფო ფინანსების მართვას.

სახელმწიფო ხარჯები არის აუცილებელი, მაგრამ პოლიტიკურად რთული გასატარებელი. გრძელვადიან პერიოდში შეიძლება ამან სერიოზული საფრთხე შექმნას, რადგან სახელმწიფო ხარჯების ზრდა იწვევს მშპ-ს ზრდის ტემპის შემცირებას.

მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკით მიღებულია, რომ ბიუჯეტის დეფიციტმა არ უნდა გადააჭარბოს GDP-ს 3%-ს და ვალის მშპ-სთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 60%-ზე მაღალი.

ამ პოზიციიდან განვიხილოთ რიგი ქვეყნების მდგომარეობა.


**ცხრილი 1.** საბიუჯეტო ბალანსის თანაფარდობა მშპ-სთან, რეიტინგისა და პროცენტების მიხედვით [7, გვ. 422]

რეიტინგი	ქვეყანა	ნორმა
3	აზერბაიჯანი	13,6
10	სინგაპური	5,3
21	ესტონეთი	0,2
39	არგენტინა	-1,7

48	მოდლოვა	-2,5
50	ჩინეთი	-2,6
52	თურქეთი	-2,6
64	გერმანია	-3,3
67	რუსეთი	-3,6
80	მექსიკა	-4,1
85	იტალია	-4,6
87	საქართველო	-4,8
89	დანია	-4,9
92	სომხეთი	-4,9
105	უკრაინა	-5,8
122	პორტუგალია	-7,3
128	პოლონეთი	-7,9
134	ესპანეთი	-9,2
135	იაპონია	-9,5
136	საბერძნეთი	-9,6
138	გაერთიანებული სამეფო	-10,4
139	აშშ	-10,6

ცხრილში მოცემულია საბიუჯეტო ბალანსი მსოფლიო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს მხოლოდ 22 ქვეყანას აქვს დადებითი თანაფარდობა მშპ-სთან. ის ქვეყნები კი, რომლებიც ცნობილია განვითარებული ეკონომიკებით, როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალი დეფიციტური ბიუჯეტებით გამოირჩევიან. საქართველო კი 143 ქვეყანას შორის 87-ე ადგილს იკავებს და მისი დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში შეადგენს – 4,8%-ს. ცხრილში ქვეყნები შერჩეულია მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. მოცემულია ის ქვეყნები, რომლებმაც დაძლიეს ფინანსური კრიზისები და რომლებიც ამჟამად ებრძვიან ან კრიზისის ზღვარზე იმყოფებიან. საბიუჯეტო ბალანსის დაცვა თანამედროვე მსოფლიოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

**დიაგრამა 1.** ფისკალური ბალანსის თანაფარდო მშპ-სთან განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებში [5, გვ. 27]



მთავრობა უნდა ატარებდეს ფისკალური პოლიტიკის მართვის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- *გამჭვირვალობა.* აუცილებელია ფისკალური პოლიტიკის მიზნების და პოლიტიკის განხორციელების და საჯარო ანგარიშების გამოცემა;
  - *სტაბილურობა* მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკის პროცესში;
  - *პასუხისმგებლობა* საჯარო ფინანსების მართვისას;
  - *სამართლიანობა*, მათ შორის თაობების მიმართ;
  - *ეფექტურობა* გადაწყვეტილებების მიღებაში ფისკალური პოლიტიკის ფორმირებისას.
- საჯარო ვალი და უარყოფითი საბიუჯეტო ბალანსი განიხილება კრიზისის მთავარ მიზეზად. ხშირად პოლიტიკოსები საბიუჯეტო დეფიციტის შესავსებად იღებენ დამატებით ვალს, რაც იწვევს არასტაბილურობას და ქმნის რისკფაქტორს კრიზისთან მიმართებაში.


**ცხრილი 2. სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან, რეიტინგისა და პროცენტების მიხედვით [7, გვ 426]**

რეიტინგი	ქვეყანა	ნორმა
5	ესტონეთი	6,6
7	რუსეთი	9,9
11	აზერბაიჯანი	10,8
20	ჩინეთი	17,7
42	მოდღოვა	29,8
66	საქართველო	39,1
68	სომხეთი	39,4
76	უკრაინა	40,5
80	თურქეთი	41,7
82	მექსიკა	42,7
88	დანია	44,3
91	არგენტინა	47,8
102	პოლონეთი	55,7
108	ესპანეთი	60,1
120	გაერთიანებული სამეფო	77,2
122	გერმანია	80
128	პორტუგალია	83,3
132	აშშ	91,6
136	სინგაპური	97,2
138	იტალია	119
141	საბერძნეთი	142
142	იაპონია	220,3

ცხრილში მოცემულია ქვეყნების სახელმწიფო ვალის პროცენტული თანაფარდობა მშპ-სთან მიმართებაში 2010 წლის მიხედვით. თუმცა 2011-2012 წლებში რამდენიმე ქვეყანაში ეს მონაცემები მკვეთრად შეიცვალა ფინანსური კრიზისებიდან გამომდინარე. სახელმწიფოს ვალის აღება, ძირითადად, დეფიციტური ბიუჯეტის შესავსებად და ქვეყნის ეკონომიკური სიმყარეების მიზნით სტრატეგიული დარგების დასაფინანსებლად სჭირდება. ასეთ შემთხვევაში გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ბოლო წლებში საქართ-

ველოში სახელმწიფო ვალის პროცენტული თანაფარდობა მშპ-სთან მიმართებაში მცირდება და ეს დადებითი ტენდენცია გრძელდება. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიმცირე არა ვალის მოცულობის სიმცირიდან გამომდინარეობს, არამედ ამას განაპირობებს მშპ-ს წლიური ზრდა.

**დიაგრამა 2.** სახელმწიფო ვალის თანაფარდო მშპ-სთან განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებში [5, გვ.27]



ინვესტიციების ზრდა ყოველთვის დიდ როლს თამაშობს ეკონომიკურ ზრდაზე. ეს განსაკუთრებით სწორია ინვესტიციების სტრატეგიულ სექტორში მაღალი პოზიტიური შედეგების მისაღებად, როგორცაა ინფრასტრუქტურა, კვლევა და ტექნოლოგიური ინოვაციები, გარემო, ალტერნატიული ენერჯეტიული წყაროები, ბიოტექნოლოგიები და ა.შ. მათ შეუძლიათ გაზარდონ კონკურენტუნარიანობა და პროდუქტიულობა. საუკეთესო გზა სახელმწიფო ფინანსებისა ზრდისა და ვალის შემცირების არის სტრუქტურული რეფორმებით მშპ-ს ზრდა და მაღალი ინვესტიციები სტრატეგიულ მიმართულებებში.

სტაბილური ზრდა მოითხოვს ფისკალურ სტაბილურობას და გრძელვადიან ფისკალურ კონსოლიდაციას; მაგრამ ფისკალური სტაბილურობა და ფისკალური კონსოლიდაცია, ორივე მოითხოვს მტკიცე მდგრად განვითარებას. ისინი ცალსახად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

ბოლო ფინანსურმა კრიზისმა რომელმაც გამოიწვია მსოფლიო რეზერვების ვარდნა და საპროცენტი განაკვეთების ზრდა, შეასუსტა გლობალური მოთხოვნა და მიწოდება, განსაკუთრებით გაზარდა საინვესტიციო ღირებულება და საგარეო ვალის მომსახურება.

ფისკალური პოლიტიკა სრულად არის პასუხისმგებელი საჯარო სექტორის ეკონომიკის შემცირებასა და ზრდაზე. მას გააჩნია ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა.

სახელმწიფო ხარჯების და შემოსავლების მართვა გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და შემდეგ მთელ ეკონომიკაზე. სუსტი მხარეები მნიშვნელოვნად აისახება არა მარტო ინდივიდუალურ ეკონომიკაზე, არამედ ბაზრებზე, ფინანსური შუამავლებზე და მთელი მსოფლიოს გარშემო არსებულ ეკონომიკებზე და ა.შ. ეს დამოკიდებულია ფინანსურ განვითარებაზე, ფისკალურ სტაბილურობასა და მის სამართლებრივ როლზე.

მნიშვნელოვანია მთავრობამ და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მათივე პასუხისმგებლობით ისე შეიმუშაონ ფისკალური პოლიტიკა და წლიურ ბიუჯეტი, რომ ხელი შეუწ-

ყონ ეკონომიკურ განვითარებას და ვალის მდგრად ზრდას, რითაც მიიღწევა ფისკალური სტაბილურობა.

ფინანსური სტაბილურობა (ხშირად ჩანს, როგორც ფინანსური კრიზისის თავიდან აცილების საშუალება) გახდა მიზანი საერთაშორისო ფინანსური არქიტექტურის როგორც ინდივიდუალურ ეკონომიკაში, ასევე ცენტრალურ ბანკებში. ამავე დროს, ფისკალური განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ განვითარებაში. ფისკალურ სტაბილურობას და ფისკალურ განვითარებას ცენტრალური როლი უკავია სამართლებრივ და მონათესავე ინსტიტუტებში.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოში ფინანსური კრიზისების სერიები გრძელდება, საერთაშორისო სტანდარტები მთლიანად მიმართულია ფინანსური სტაბილურობის მიზნისაკენ. ნათელია, რომ ეკონომიკური კრიზისები საზიანოა ეკონომიკური ზრდისთვის. ფინანსური სისტემის ეფექტურად მუშაობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის, თუმცა (როგორც ეკონომიკური კრიზისების არსებობა გვიჩვენებს) ფინანსებს, როგორც ყოველთვის, მოაქვს რისკები.

მართალია, დაბალი საპროცენტო განაკვეთები ეხმარება ეკონომიკის აღდგენას და ხელს უწყობს ფინანსურ ბაზრებს, თუმცადა, ხშირ შემთხვევაში, არ არის საკმარისი კრიზისიდან თავის დასაღწევად და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მრავალ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ფისკალურ პასუხისმგებლობას, რომელსაც ხშირად სამართლებრივი სტატუსი გააჩნია და რომლის საფუძველზეც მთავრობებს ეკისრებათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა მათ მიერ განხორციელებულ ფისკალურ პოლიტიკაზე.

პასუხისმგებლობა მთავრობას აკისრებს, გააკეთოს მთელი კონცენტრაცია, რომ მიზნები და პოლიტიკა მიმართული იყოს მთლიანი შემოსავლების და ხარჯების ბალანსისაკენ და ვალის პერიოდულობაზე, საითკენაც კანონმდებლობაც უნდა იყოს მიმართული. ვალი შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1 წლამდე), საშუალოვადიანი (5 წლამდე) და გრძელვადიანი (5 წელზე ზევით).

ფისკალური სტაბილურობა და მდგრადობა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

ფისკალური ინდიკატორები. შეიცავს ფისკალურ პოლიტიკაში რაოდენობრივ განსაზღვრას. რიცხვითი სამიზნე შეიძლება იყოს დადგენილი ვალის დეფიციტი, მთლიანი შემოსავლის, მთლიანი ხარჯების ან კონკრეტული ხარჯების კატეგორიები. ისინი შეიძლება პროცენტულად შედარდეს მთლიან შიდა პროდუქტთან და გაკეთდეს ზრდის ტემპის მაჩვენებელი.

შემოსავლების მიზანი. კანონი შეიძლება მოითხოვდეს გონივრულ სტაბილურობას შემოსავლებში/მშპ. მოიცავს საგადასახადო განაკვეთებს ან/და საგადასახადო ბაზას. სამართლებრივად შეიძლება მოითხოვდეს, მთავრობას (პარლამენტს) დააკისროს ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც შეესაბამება სტაბილურობის გონივრულ ხარისხს და საგადასახადო განაკვეთის დონეს და ბაზას მომავალი წლისთვის.

ვალის მდგრადობა. ასეთ დროს პასუხისმგებლობა მოიცავს ვალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სამიზნეების აქცენტის გაკეთებას (მაგალითად, შეამციროს ვალი მინიმუმ მშპ-ს 60%-მდე).

სტაბილურობის ბალანსი. ზოგიერთი სახელმწიფო ყურადღებას ამახვილებს წმინდა ვალზე (1998-2008 წლებში ბრიტანეთის საინვესტიციო წესი მდგომარეობდა იმაში, რომ ვალის ციკლურობა დადებითად ყოფილიყო შენარჩუნებული). ქვეყნებში რომლებიც ფლობენ დიდ ფინანსურ აქტივებს და ბუნებრივ რესურსებს, შეიძლება დამატებით იქნეს მიღებული სპეციალური კანონი სიჭარბეების და შემოსავლების სამართავად.

ფისკალური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღების მნიშვნელოვანი მოტივია. კანონი მთავრობას მკაცრი ფისკალური ანგარიშგების მოთხოვნებს აკისრებს და ცდილობს გააუმჯობესოს ფისკალური პოზიცია.

ამრიგად, ფისკალური პოლიტიკა და მისი სტაბილურობა წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც უნდა გამახვილდეს მნიშვნელოვანი ყურადღება კანონმდებლების თუ მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან.

შესაბამისად,

– აუცილებელია ქვეყანის მიმართულებით წამოსული ინვესტიციების ნაკადები მიმართული იქნეს სტრატეგიული დარგების განსავითარებლად, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;

– შემუშავდეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც კაპიტალის შემოსვლის შემთხვევაში შეამცირებს ფინანსურ რისკებს;

– განისაზღვროს მართებული ვალის პოლიტიკა მისი შემცირების უზრუნველსაყოფად.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (2011) – „ფინანსური სტაბილურობის ანგარიში“.
2. Bassanini f. Reviglio E. (2011) – “Financial stability, Fiscal consolidation and long-term investment after the crisis”.
3. Central bank of west African states (2005) – “financial stability and macroeconomic management in the west African Monetary Union”.
4. IMF (2012) – Fiscal Monitor.
5. IMF (2012) - World Economic Outlook.
6. IMF working paper (2010) - Fiscal Affairs Department – “Should Advanced Countries Adopt a Fiscal Responsibility Law?”.
7. Ortiz G. – “Comments on Frederick Mishkin`s paper “Financial Stability and Globalization: Getting it right”.
8. World Economic Forum - “The Global Competitive Report 2011-2012”.

*Anguridze Otar*

### **THE ROLE OF FISCAL STABILITY UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

Economic crises of XXI century clearly showed the importance of the fiscal policy for the overall economic development of the countries. Especially, negative budget balance and non stable state debts is reckoned as the main source of economic crises. That is why international organizations put great efforts to solve these problems.

Above mentioned problems is active not only for the relatively to less developed countries but also to all the countries of the world. Because every crises causes the decrease of the international reserves and increases demand of external debts. All this measures are of cause in the short term effective and in the long run it creates severe problems for the coming generations in terms of justice. That is why it is important that every financial flow that is essentially debts should be used to finance only the most important and strategic development directions of the country.

Fiscal stability occupies a very important role in economic development.

Accordingly, fiscal stability and its stability represent that important question which deserves appropriate attention from the governments.

**საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების ისტორია და ბაჰევიტილები (1997 – 2012)**

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ გარდამავალი პერიოდის აუცილებლობა გამოიწვია არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის, არამედ, აგრეთვე, სამართლებრივი ბაზის შეცვლის აუცილებლობამ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საკანონმდებლო ბაზა მოცემულია კანონში “სახელმწიფო ვალის შესახებ”, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 5 მარტს. თუმცა მანამდე ზოგადი სახელმწიფო ბაზა შექმნა საქართველოს კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 25 აგვისტოს. სწორედ ამ კანონების საფუძველზე იქნა გამოშვებული პირველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები<sup>44</sup>.

წინამდებარე სტატიის მიზანია, სწორედ ამ პერიოდიდან საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ისტორიის ერთად თავმოყრა და ანალიზი, განვლილი პერიოდის გამოცდილების განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან მოცემულია პრობლემის გარკვევის ცდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების დასადგენად, რაც ხელს უშლის ამ ინსტრუმენტს<sup>1</sup>:

1. იყოს მოთხოვნილი ინვესტორთა ფართო წრისათვის ადვილად გაყიდვადი ინსტრუმენტი, დახვეწილი აღრიცხვიანობისა და რეესტრის წარმოების წესით;

2. იყოს ბიუჯეტის შევსების დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი, იყოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს სრულფასოვანი ინსტრუმენტი ღია ბაზრის ოპერაციების წარმოების დროს.

საკითხის აქტუალობა იზრდება მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიჩნეულია ქვეყნების სუვერენული ვალის საკითხი, ანუ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და ვალის პროცენტების მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების სიმძიმე.

**სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები 1997 წელს**

1997 წლის მეორე ნახევარში საქართველოს საფინანსო სისტემაში დამკვიდრდა ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულების ფორმით, ხოლო 2006 წლიდან მას საშუალოვადიანი სახელმწიფო სახაზინო ობლიგაცია დაემატა.

სახაზინო ვალდებულება არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. სახაზინო ვალდებულების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით<sup>45</sup>.

სახაზინო ობლიგაცია არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. სახაზინო ობლიგაციების გამოშვება ხდება 1-დან 10 წლამდე დაფარვის ვადით, კუპონის 6 (ექვს) თვეში ერთხელ გადახდით<sup>46</sup>.

**აუქციონები ისტორიულ ჭრილში**

28 დღიანი სახაზინო ვალდებულებების პირველი აუქციონი 1997 წლის 21 აგვისტოს შედგა. 1997 წლის განმავლობაში 28 დღიან აუქციონებზე საპროცენტო განაკვეთი

<sup>44</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ხაზინა [www.mof.ge](http://www.mof.ge); საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge).

<sup>45</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი: <http://nbg.ge/index.php?m=472>.

<sup>46</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი: <http://nbg.ge/index.php?m=472>.



მერყეობდა 25%-დან 52%-მდე წლიური (დეკემბერში), ხოლო 91 დღიან აუქციონებზე 37%-დან 60%-მდე წლიური (დეკემბერი)<sup>47</sup>.

1997 წლის საემისიო გეგმამ და შედეგმა ნათლად აჩვენა, რომ დისკონტის ზედა ზღვარი არ არსებობდა და საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალი და მერყევი იყო. კომერციული ბანკები საკუთარი ფინანსური სიტუაციიდან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთის სხვადასხვა დიაპაზონში განლაგდნენ—„ძვირი” რესურსის (50% ქვედა ზღვარის ინვესტირება), საშუალო სიძვირის მქონე ბანკები (35% და ზევით დისკონტით) და „იაფი” რესურსის ბანკები (მინიმუმ 20 პროცენტი წლიური).

ჯამურად, 1997 წელს განთავსებელმა თანხამ მხოლოდ 6416000 ლარი შეადგინა, რაც უმნიშვნელო ციფრი იყო და რაც ყველაზე საინტერესოა, ამ მცირე რაოდენობის ბაზრის პირობებში, 1997 წლის ბოლო აუქციონზე ადგილი ჰქონდა ემისიის შეუვსებლობას—ანუ, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი სიდიდის პროცენტის თანხაც კი განთავსდებოდა<sup>48</sup>.

რასაკვირველია, 1997 წელს არსებული საპროცენტო განაკვეთის პირობებში სახაზინო ვალდებულების ძირითადი დანიშნულების აღსრულება — სახელმწიფოსთვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი დაფინანსების მიღება მსხვილი ინფრასტრუქტურული საკითხების მოსაგვარებლად, ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნებოდა ვიდრე რეალობას.

### **სახაზინო ვალდებულებათა ბაზარი 1998 წელს**

1998 წლის 5 მარტიდან ქალაში შედის საქართველოს კანონი “სახელმწიფო ვალის შესახებ”, რომლის მიხედვით, 1998 წელს დაგეგმილი იყო 32 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისიის გზით მობილიზება, ხოლო ჯამობრივმა (ფაქტობრივმა) ემისიამ 51 500 000 ლარი შეადგინა<sup>49</sup>.

1998 წლის პირველ ნახევარში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. გაიზარდა ბანკების რიცხვი, აუქციონებს დაემატა რიგი უცხოური ბანკი თუ საფინანსო ინსტიტუტი. ამან გამოიწვია საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი დაცემა (განსაკუთრებით მეორე კვარტალში). 28 დღიანი აუქციონების პროცენტი დაეცა 37-დან 29 პროცენტამდე, ხოლო 91 დღიანი აუქციონების საპროცენტო განაკვეთი დაეცა 49-დან 20-მდე წლიური.

ამ პერიოდში ბაზარზე გამძაფრდა კონკურენცია და გამოჩნდნენ ახალი მონაწილეები, მათ შორის საერთაშორისო ინვესტორები. კომერციული ბანკების ის კატეგორია, რომლებიც ვერ აბანდებდნენ საკუთარ რესურსს აუქციონებზე პროცენტის დაცემის პირობებში, აქტიურად მუშაობდნენ კლიენტურასთან და ამით აქტიურ კონკურენციას უწევდნენ “იაფი” რესურსის ბანკებს. 1998 წლის სექტემბრამდე, 1997 წელთან შედარებით, შეინიშნებოდა სადისკონტო განაკვეთის დაცემა და გარკვეული “გაყინვა” 25-30%-ის ფარგლებში.

ამ პერიოდში ემისიის და შიდა ვალის თანხამ მიაღწია 18 000 000 ლარს, თუმცა 1998 წლის საფინანსო კრიზისმა კორექტივები შეიტანა და ბანკებში ნაღდი ფულის შემცირების კვალობაზე, მკვეთრად „ავარდა” სახაზინოებში ინვესტირების პროცენტი — 60%-მდე და სახელმწიფო იძულებული გახდა, სექტემბრის დამლევსათვის საემისიო თანხა 15 000 000-მდე შეემცირებინა და შეეწყვიტა სახაზინო ვალდებულებების ემისია.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1997 და 1998 წლებშიც ვერ მოხერხდა სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ძირითადი პარამეტრების შესრულება და დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არაადეკვატურად მაღალი იყო.

### **პოსტკრიზისული ვითარება 1999 – 2003 წწ.**

<sup>47</sup> წყარო: დ. ასლანიშვილი, ჟურნალი “ფასიანი ქაღალდების ბაზარი”, № 8, 2000.

<sup>48</sup> წყარო: ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკის აუქციონები, 1997 და 1998 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები.

<sup>49</sup> წყარო: ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, 1997 და 1998 წწ. ბიუჯეტი.

1999 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა რიგი საკანონმდებლო ნორმატივი, რამაც სტიმული მისცა საქართველოს ბანკებს, უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სახაზინო ვალდებულებათა აუქციონებში.

1999 წლის აგვისტოში კომერციულ ბანკებს ნება დაერთოთ ეროვნულ ბანკში მოზიდული სახსრების სავალდებულო რეზერვის 2% შეეფოსოთ სახაზინო ვალდებულებებში ინვესტირების გზით. აღნიშნულ სახსრებზე ეროვნული ბანკი არიცხავდა 10% წლიურ განაკვეთს, რაც, ბუნებრივია, ყველა ბანკის ინტერესში შედიოდა (ამ ნორმის გარეშე პროცენტი მოზიდულ სახსრებს საერთოდ არ ერიცხებოდა).

ამ პერიოდის მთლიანი საქართველოს საბანკო სივრცის მასშტაბით, აღნიშნული თანხა 4 მილიონ ლარს აჭარბებდა და 1999 წელს 18 აგვისტოს განახლებულ სახაზინო ვალდებულებათა პირველ ემისიაზე, რომლის ოდენობა 500 000 ლარი იყო, ხოლო ვადიანობა 28 დღე, საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა საშუალოდ 14,76% განაკვეთით. მეორე 28 დღიან აუქციონზე, რომელიც 1999 წლის 15 სექტემბერს გაიმართა, ემისიის მოცულობა 700 000 ლარი იყო. საშუალო საპროცენტო განაკვეთი – 13,62%. ოქტომბერში შედგა სამთვიანი ემისია, რომლის მოცულობა 900 000 ლარი იყო, ხოლო საშუალო საპროცენტო განაკვეთი – 15,84%. ცხადია, ემისიის ასეთი სიმცირე და აღნიშნული ნორმატიული აქტი განაპირობებდა საპროცენტო განაკვეთის მცირე პროცენტს. ამასთანავე, ლარის კურსის ცვლილება ვერ ახდენდა რაიმე გავლენას აღნიშნულ პარამეტრზე. თუმცა, ეს ღონისძიებები ვერ განავითარებდა აღნიშნულ ბაზარს და ასეთი მოცულობით ვერ იქცეოდა ბიუჯეტის შევსების რეალურ წყაროდ. სულ 1999 წლის განმავლობაში განთავსებულ იქნა 4.8 მლნ ლარის ემისია. ამის მიუხედავად, ბოლო 3 თვიან აუქციონზე, რომლის მოცულობა 1 მლნ ლარი იყო, მოთხოვნამ მხოლოდ 148 000 ლარი შეადგინა, ანუ კვლავ დაფიქსირდა ემისიის არშევსების ფაქტი.

მომდევნო 2000 წელს ემისიების მოცულობამ და აუქციონების ინტენსიურობამ იმატა. გაიზარდა ბანკების აქტიურობა. 2000 წელს საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 6-დან 48 წლიურ პროცენტამდე 28 და 91 დღიან სახაზინო ვალდებულებებზე. 2000 წელს გამოშვებულმა ემისიამ 36.7 მლნ ლარი შეადგინა<sup>50</sup>.

2001 წელს მომხდარი საპროცენტო დინამიკა და არსებული მდგომარეობა უკვე საპროცენტო განგაშის ნიშნებს შეიცავდა. ჯამურად ემისიამ 39.7 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა საპროცენტო განაკვეთი 14-დან 109 პროცენტამდე მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ 2001 წლის მეორე ნახევარში შეწყდა 28 დღიანი სახაზინო ვალდებულებების ემისია და აქცენტი 91 დღიან სახაზინო ვალდებულებებზე იქნა გადატანილი.

ვითარება უფრო დაიძაბა მომდევნო 2002 წელს. ამ წელს მომხდარი ამბები კლასიკური ფინანსური პირამიდის მაგალითია:

ჯამურმა ემისიამ 257 მლნ ლარს გადააჭარბა, ხოლო მოთხოვნა 353 მლნ ლარი იყო. ხშირი იყო აუქციონების საერთოდ არშევსების ფაქტები, ხოლო მაქსიმალურმა პროცენტმა ერთ აუქციონზე 390.99 პროცენტი წლიური შეადგინა! რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება საჭიროებს რიგ განმარტებას. პირველ რიგში, გაუგებარია ასეთ პირობებში რატომ აგრძელებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი ემისიებს, როდესაც შეეძლო გაცილებით იაფად მოეზიდა რესურსი (თუ ამის საჭიროება იყო) საერთაშორისო ინსტიტუტებიდან. მეორე საკითხია ქართული ბანკების რესურსის სიძვირე, რომლებიც ამ პერიოდში 40 – 50% წლიური მომგებიანობის ფარგლებში მუშაობდნენ, ხოლო მესამე საკითხია, რომ პროცენტების სიძვირეს განაპირობებდა

<sup>50</sup> წყარო: “საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი”, სახაზინო ვალდებულებების ბაზრის 2002 წლის მიმოხილვა, [www.investgroup.ge](http://www.investgroup.ge).

საქართველოს ეროვნული ბანკის მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რაც არ აძლევდა კომერციულ ბანკებს საშუალებას, უფრო იაფად მოეზიდათ რესურსი და განთავსებინათ ის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში. ამასთანავე, იმატა აუქციონების ოდენობამ – ჩატარდა 58 აუქციონი, ანუ ყოველ კვირას ხორციელდებოდა ემისია, რვაჯერ 2002 წლის განმავლობაში ერთ დღეს ორი სხვადასხვა ვადის სახაზინო ვალდებულებათა ემისიის განთავსება ხორციელდებოდა, რაც არაკომპეტენტური პოლიტიკისა (არ სრულდებოდა ემისიის გრაფიკი) და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის შედეგი იყო. ამ ვითარებამ ინვესტორებში ჩამოაყალიბა სახაზინო ვალდებულების მიმართ ორგვარი მოთხოვნა – საემისიო თანხა და სიდიდე, ვადიანობა, თუმცა განმსაზღვრელი იყო ინვესტირების საპროცენტო განაკვეთი. რეალურად, ბაზარზე სპეკულაციურმა, ე.წ. „ცხელმა“ ფულმა მოიკიდა ფეხი და აუქციონებში ძირითადი იყო ინვესტორისთვის მაღალი სარგებლის (პროცენტის) მიღება. ამ წლებში მოქმედმა ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ ემისიის გრაფიკის შედგენისას არც სეზონური ფაქტორები გაითვალისწინეს, როდესაც ქართულ კომერციულ ბანკებს განსაკუთრებით უჭირთ რესურსის გაცემა (ზამთრის პერიოდი) და ხშირ შემთხვევაში ემისიები საერთოდ შეუვსებელი რჩებოდა (მინისტრები დავით ონოფრიშვილი, ზურაბ ნოღაიდელი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე). ანუ ემისიების დაგეგმვასა და განთავსებაში სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა. მიუხედავად ემისიების ზრდის ასეთი ტემპისა და საოცრად დიდი საპროცენტო განაკვეთისა, ჯამური შიდა „ცოცხალი“ ვალი 2002 წლის ბოლოს მხოლოდ 57.5 მლნ ლარი იყო<sup>51</sup>, ხოლო 200 მლნ ლარის ემისია წინა და მიმდინარე პერიოდის ემისიათა გადაფარვას მოხმარდა.

2003 წელს ემისიის მოცულობამ მცირე კლება განიცადა – გამოშვებულ იქნა 222.1 მლნ სახაზინო ვალდებულება, ჩატარდა 49 აუქციონი, ჯამურმა მოთხოვნამ 369 მლნ ლარს გადააჭარბა. 2003 წლის ბოლოს დადგა შემდეგი შედეგი – ჯამური შიდა ვალი 73.5 მლნ ლარს გაუტოლდა. იმატა აუქციონების საშუალო ვადიანობამ და მან 131.43 დღე შეადგინა. 2003 წელს დაფიქსირებულმა მაქსიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა 198 პროცენტი წლიური შეადგინა. 2003 წელს მხოლოდ ვალის მომსახურებაზე 30 მლნ ლარი იქნა გახარჯული, რაც რიგი სამინისტროების 2003 წლის წლიურ ბიუჯეტს უტოლდებოდა ან აღემატებოდა.

2003 წელს, ანალოგიურად 2002 წლისა, პასუხგაუცემელია კითხვები, თუ რატომ არ შეჩერდა ემისიები, რატომ გაგრძელდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რატომ არ ამუშავდა დისკონტის ზედა ზღვარი და რატომ შედგა ისეთი განთავსების გრაფიკი, რომელიც რეალობას არ პასუხობდა.

აღსანიშნავია, რომ სიტუაცია შედარებით გამოსწორდა 2003 წლის ბოლო კვარტალში, რადგან მიმდინარე მწვავე პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუშალა აუქციონების ჩატარებას და შიდა ვალი 90 მლნ ლარიდან 73.5 მლნ-მდე იქნა დაყვანილი<sup>52</sup>.

### **სახაზინო ვალდებულებები ბაზარი ახალ პოლიტიკურ რეალებში 2004 – 2005 წწ.**

2004 წლიდან მოყოლებული, სახაზინო ვალდებულებების ბაზარს გამკაცრებული ადმინისტრირების პირობებში სხვა დანიშნულება მიენიჭა. ამ წლიდან მოყოლებული, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და მიმდინარე ხარჯების გასტუმრება სახაზინო ვალდებულებების ემისიის გზით აღარ ხორციელდებოდა და ხაზინას აღარ ესაჭიროებოდა დიდი ოდენობით შიდა ვალის აღება.

<sup>51</sup> წყარო: “საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი”, სახაზინო ვალდებულებების ბაზრის 2002 წლის მიმოხილვა [www.investgroup.ge](http://www.investgroup.ge).

<sup>52</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, შპს “საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი”, სახაზინო ვალდებულებების ბაზრის 2003 წლის წლიური მიმოხილვა – [www.investgroup.ge](http://www.investgroup.ge); საქართველოს ეროვნული ბანკი – [www.nbg.ge](http://www.nbg.ge).

ეს საპროცენტო განაკვეთების დინამიკაზეც აისახა. განსაკუთრებით ეს 2004 წლის მეორე ნახევარში აღინიშნა. გამოშვებულ იქნა 139.3 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულება, ხოლო საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 11-დან 42.7-მდე. საშუალო პროცენტმა კი 28.5 შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების საშუალო ვადა ერთ წელს გაუტოლდა.

2005 წელს ემისიამ მხოლოდ 34.9 მლნ ლარი შეადგინა. მინიმალურმა განაკვეთმა 7.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო მაქსიმალურმა – 19.9 პროცენტი. 2005 წლის ბოლო აუქციონზე თავი იჩინა ბანკების “შეთანხმებულმა” პოზიციამ და განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, ყოველგვარი გარე ფაქტორების გარეშე, 9-დან 20 პროცენტამდე იქნა „აწეული”, რაც არსებული არაჯანსაღი წესების და ბანკების პრივილეგირებული მდგომარეობის არსებობის ბრალი იყო. ამ ფაქტორების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მცირე მოცულობის და ამ გზით მოზიდული რესურსის სიძვირე საერთაშორისო ბაზართან შედარებით – საერთაშორისო ბაზარი – 3 – 5 % წლიური განაკვეთი<sup>53</sup>, ხოლო საქართველოს პირობებში – 18 – 20 პროცენტი წლიური<sup>54</sup>, ასევე ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების ბუმის პირობებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახაზინო ვალდებულებების ემისიის შეწყვეტის თაობაზე. ამ მხრივ პასუხგაუცემელია, თუ რატომ არ მოხდა 2004 წლის დასაწყისში ემისიების შეწყვეტა, რადგან ბიუჯეტში რესურსის მობილიზება პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

უცნობია, თუ რატომ მოხდა ემისიების შეწყვეტა მხოლოდ 2005 წლის მეორე ნახევარში. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით სავსებით რეალური იყო დაბალ პროცენტში დამატებითი რესურსის მოზიდვა. სახაზინო ვალდებულება ანტიფლაციური ინსტრუმენტია და ეროვნულ ბანკს შეეძლო ამ ინსტრუმენტით ინფლაციის უკეთ მართვა. ამასთანავე, ინვესტორთა დამატებით ინტერესს გაუღვივებდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შექმნა და ეს გაზრდიდა საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას. ამ მხრივ საკამათოა საქართველოს ფინანსტა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2004 – 2005 წლებში წარმოებული პოლიტიკა სახაზინო ვალდებულებების მიმართ.

#### **სახაზინო ობლიგაციების გამოშვება 2006 – 2007 წწ.**

2005 წლის ბოლოდან ეკონომიკურმა გამოცოცხლებამ და ფინანსური ადმინისტრირების გამკაცრებამ, რასაც თან ერთვის ინვესტიციების შემოდინება, ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობას, დაეწყო წინა პერიოდებში დაგროვილი ვალის „სექიურიტიზაციის” პროცესი.

საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის 20 მარტს გააფორმეს შეთანხმება “საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ”, რომლის საფუძველზე, 2006 წლის 17 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ არსებული საქართველოს მთავრობის 832.9 მლნ ლარის დავალიანებიდან 48 მლნ ლარი ყოველწლიურად გადაფორმდება “ობლიგაციებად”, რომელთა ვადიანობა არის 16 – 60 თვე. დავალიანება სრულად დაიფარება 2030 წელს. აღნიშნული ობლიგაციები, ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის. ამის საფუძველზე 2006 და 2007 წწ. ბაზარზე გამოტანილი და გაყიდული იყო 58 მლნ სახაზინო ობლიგაცია, რომლის საკუპონო საპროცენტო განაკვეთი 13% წლიური იყო, ხოლო თვით სახაზინო ობლიგაციის წლიური დისკონტი 11 – 15% ფარგლებში იყო მოქცეული<sup>55</sup>. 2008 და 2009 წელს სახაზინო ობლიგაციების ემისიას აღვილი არ ჰქონია.

#### **2009 – 2012 წწ. ემისიები**

<sup>53</sup> წყარო: [www.bloomberg.com](http://www.bloomberg.com); [www.cnn.com](http://www.cnn.com).

<sup>54</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge).

<sup>55</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge).

2009 წელს განახლდა სახაზინო ვალდებულებების ემისია. შეიცვალა აუქციონის ჩატარების მეთოდები, შემოღებულ იქნა დისკონტის ზედა ზღვარი, აუქციონების ჩატარება ხორციელდება ელექტრონული სისტემა – Bloomberg –ის მეშვეობით. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა სახაზინო ვალდებულებების საჯაროობის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორის – მათი ღია და ფართო წრისათვის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტა. მათი განთავსება და გადაყიდვა მხოლოდ კომერციული ბანკების პრივილეგიაა.

გატარებულმა ადმინისტრირებამ და განსაკუთრებით დისკონტის ზედა ზღვარმა, აგრეთვე კრიზისის პირობებში ბანკებში არსებული თანხების ინვესტირების სირთულეებმა (პრობლემები საკრედიტო კუთხით) რადიკალურად შეცვალა ვითარება.

2009 წელს აგვისტოდან დეკემბრამდე ჩატარდა 28 აუქციონი, ჯამური საემისიო თანხით 270 მლნ ლარი, ვადიანობა მერყეობდა 6 (ექვსი) თვიდან 1 წლამდე. საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 4-დან 8.72 პროცენტ წლიურამდე, ხოლო საშუალო წლიური განაკვეთი 5.6-დან 6.3 პროცენტ წლიურამდე<sup>56</sup>. რასაკვირველია, ეს საპროცენტო განაკვეთი გაცილებით უფრო მისაღებია, ვიდრე წინა პერიოდში არსებული დინამიკა, თუმცა აქ დიდად გავლენა იქონია სახელმწიფოს მხრიდან ბანკებზე გაცემულმა დიდი ოდენობით დახმარებამ და სესხებმა. 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში დონორების მიერ გამოყოფილმა რესურსებმა, ეროვნული ბანკის მხრიდან ქართული ბანკების დაფინანსების (სესხის გაცემის მხრივ, შემხვედრი ტრანსაქციების სახით) პოლიტიკამ და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობა ეს საპროცენტო დინამიკა. თუ ამას დაუმატებთ კრიზისის გამო შექმნილ უმძიმეს საკრედიტო ფონს და არგადახდების (ვერგადახდების) პრობლემას მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის მხრიდან კომერციულ ბანკებზე, ნათელია, რომ კომერციულმა ბანკებმა გაცილებით უსაფრთხო, თუმცა დაბალშემოსავლიანი სახაზინო ვალდებულებები არჩიეს ეკონომიკის რეალური სექტორის დაფინანსების სანაცვლოდ. ეს ტენდენცია მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა. 2010 წელს ჩატარდა 42 აუქციონი, ხოლო ჯამურმა საემისიო თანხამ 463 მლნ ლარი შეადგინა, ვადიანობა მერყეობდა 6 (ექვსი) თვიდან 1 წლამდე. საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მეტი რხევის მქონე იყო 2009 წელთან შედარებით და ის წლიურ 3.91-დან 15.42-მდე მერყეობდა, ხოლო თვიური საშუალო საპროცენტო განაკვეთი წლიური 5.2-დან 13.2-მდე იცვლებოდა. აქტიური იყო სახაზინო ობლიგაციების ბაზარიც – მისმა მოცულობამ 145 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ვადამ 2 წელი. წლიური განაკვეთი 9.37-დან 15.9 პროცენტამდე მერყეობდა, ხოლო კუპონის განაკვეთი 10.2-დან 15.6 წლიურ პროცენტამდე<sup>57</sup>.

2010 წლის და 2009 წლის შედგენის შედარებისას თვალსაჩინოა მოზიდული რესურსისა და მისი საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რაც სიტუაციის გაუარესებას მოწმობს.

2011 წელს 163 მლნ სახაზინო ობლიგაცია იქნა განთავსებული. საპროცენტო განაკვეთისა და კუპონის შემოსავლიანობა არ გაუარესებულა 2010 წელთან შედარებით. ამასთანავე, მოხერხდა 5 (ხუთ) წლიანი სახაზინო ობლიგაციების განთავსებაც. ამ მხრივ მოხერხდა სახაზინო ობლიგაციების გრძელვადიანობის პრინციპის გაძლიერება. 2011 წელს გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების ჯამური ემისია 250 მლნ ლარი იყო, ხოლო საპროცენტო განაკვეთი გაჯერდა საშუალო წლიური 9 – 11 პროცენტის ფარგლებში<sup>58</sup>.

ანუ 2011 წელს მოხერხდა სახაზინო ვალდებულებების ბაზრის გაფართოება, საპროცენტო განაკვეთის სტაბილიზება და გარკვეული დაწევა.

<sup>56</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

<sup>57</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

<sup>58</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2012 წელს გრძელდება სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების გრძელვადიანობის პროცესის გაძლიერება და საპროცენტო განაკვეთის შემცირება. 2012 წლის აპრილის მიწურულს 115 მლნ ლარის სახაზინო ობლიგაცია იქნა განთავსებული, მათ შორის პირველად მოხერხდა 10 (ათი) წლიანი ობლიგაციის გამოშვება. შედარებით იკლო სახაზინო ვალდებულებების ემისიამ და 2012 წლის ბოლოს მხოლოდ 40 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა იკლო 6.8 პროცენტამდე.

დაჯამებული სურათი შემდეგია: საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტში 673 მლნ ლარია მოზიდული სახაზინო ვალდებულებათა და ობლიგაციების ემისიების გზით

**დასკვნა**

1997 წლიდან დაწყებული ქართული სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციის ემისია და განვითარების ისტორიის ეტაპების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ამ ინსტრუმენტმა კარდინალური ცვლილებები და შინაარსობრივი ტრანსფორმაცია განიცადა. დღეის მდგომარეობით ეს ინსტრუმენტი ნაწილობრივ პასუხობს მისი გამოშვების რიგ ამოცანას, თუმცა არასრულად. კვლავ რჩება რიგი პრობლემა, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული კუთხით, რაც ხელს უშლის სახელმწიფო ფასიან ქაღალდს მისი განვითარებას გზაზე:

1. ის არის მოთხოვნადი ინვესტორთა ფართო წრის მიერ, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი, ადვილად გაყიდვადი და გადაყიდვადი ინსტრუმენტი, რადგან მხოლოდ კომერციულ ბანკებს აქვთ პირველადი დილერის უფლება;
2. ის იქცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების წყაროდ, თუმცა არასაკმარისად დაბალპროცენტიანია, არ არის ადეკვატურად გრძელვადიანი და შეიცავს სავალუტო, ინფლაციურ და რიგ სხვა რისკს;
3. ის არის ეროვნული ბანკის ინსტრუმენტი ღია ბაზრის ოპერაციების წარმოების დროს, თუმცა ჯერჯერობით ვერ ხერხდება მისი სრულყოფილად გამოყენება

**ცხრილი 1. 1997 – 2012 წწ. სახაზინო ვალდებულებებსა და ობლიგაციებზე დაფიქსირებული წლიური მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთები**

წელი	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2009	2010	2011
მაქსი- მალური პრო- ცენტი	60	60	24	47.8	109.9	390.99	198.77	42.7	19.8	15	11	8.72	15.9	15.5

*Aslanishvili David*

**STATE SECURITIES MARKET IN GEORGIA, ITS FUNCTIONING, HISTORY AND LESSONS SUMMARY**

In this article is shown the historical trends of Georgian State Securities market and its tools - Georgian Treasury Bills and Georgian Treasury Bonds. The mission of this Article is the monitoring of the market, its tendency and rates, state policy, rules, participants and market transparency. Here is shown the past and the present conditions, obstacles and importance of State Securities for the country development and for the investment attractiveness.

*თამარ ბედოშვილი*  
*ქეთევან ფაცინაშვილი*

**გლობალიზაციის პროცესები მსოფლიო ტურიზმში**

XX საუკუნის დასასრულს გაჩნდა ახალი ტიპის ეკონომიკა – გლობალური ეკონომიკა. მისი განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა ძირითადი სახე – საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება, მართვა, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გავრცელება, ბაზრების ფუნქციონირება – ხორციელდება გლობალური მასშტაბით. მ. კასტელსი გლობალურ ეკონომიკას განსაზღვრავს, როგორც “ეკონომიკას, რომელსაც შესწევს უნარი, იმუშაოს როგორც ერთიანმა სისტემამ რეალური დროის რეჟიმში მთელი პლანეტის მასშტაბით”. გლობალიზაციის საფუძვლად ითვლება მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ტურიზმმა, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთმა ფორმამ, ამჟამად უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია და მისი წილი მსოფლიოს მომსახურების ექსპორტის სტრუქტურაში განუხრელად იზრდება.

გლობალიზაციის პროცესები ტურისტულ ბაზარზე შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ტექნოლოგიების შეცვლით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით, საქმიანი აქტიურობის ინტერნაციონალიზაციით, საერთაშორისო ტურიზმის რეგულირების მექანიზმის შექმნით.

გლობალურ ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს ელექტრონული კომერცია. ტურბიზნესში ელექტრონულმა ვაჭრობამ შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ტურპროდუქტების წარმოება და გავრცელება, მოთხოვნების მოცილებით ისეთ დამატებით სტრუქტურებში, როგორცაა განმანაწილებელი ქსელები, ტუროპერატორები – ბითუმად მოვაჭრეები და ტურაგენტები. ტელეკომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიები შესაძლებლობას გვაძლევს, მივიღოთ ინფორმაცია ნებისმიერი მანძილიდან და დროის ნებისმიერ რეჟიმში, მათ შორის **online**-შიც. სწრაფი ტემპებით გაიზრდება ტურისტების სატრანსპორტო მომსახურების ინდუსტრია.

გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში აქტიურ როლს თამაშობენ ტრანსნაციონალური კომპანიები. XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საერთაშორისო კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური დამოკიდებულებების განვითარების უმნიშვნელოვანეს ელემენტად ითვლება. ბოლო ათწლეულში მათი მძაფრი განვითარება ასახავს საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებას, შრომის საერთაშორისო განაწილების გაღრმავებას.

90-იანი წლების ბოლოსთვის მსოფლიოში 60 ათასამდე საერთაშორისო კომპანია ფუნქციონირებდა. ისინი თავიანთი ქვეყნების საზღვრებს გარეთ 250 ათასამდე შვილობილ საწარმოს აკონტროლებდნენ. თითქმის ყველა უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაცია ეროვნული კუთვნილების მიხედვით “ტრიადას” – სამ ეკონომიკურ ცენტრს: აშშ-ს, EC-ის (წყნარი ოკეანის) ქვეყნებს და იაპონიას მიეკუთვნება.

ტურისტულ ტრანსნაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ შეცვალონ მოგზაურობების შიგა ბაზრის სტრუქტურა და ტურისტული პროდუქტის წარმოების რენტაბელობა. **ჯერ ერთი**, პატარა ქვეყანაში, სადაც ტურიზმის ბაზრის ტევადობა არ არის საკმარისი წარმოების მასშტაბიდან ეკონომიის მისაღებად, **მეორე**, ტრანსნაციონალური კომპანიები ინვესტიციებს მიმართავენ იმ დესტინაციებში, რომლებიც უზრუნველყოფს ზღვრულად მაღალ შემოსავლებს და ამით ხელს უწყობს ტურიზმის ეროვნულ ინდუსტრიაში ჩადებულ კაპიტალზე საშუალო შემოსავლის ზრდას. **მესამე**, ნაკადში გასვლითი ტურიზმის პროდუქტების წარმოებაში ჩაშვებით ისინი აგდებენ ფასების დონეს შიგა ბაზარზე.

**მეოთხე.** გასვლით ტურიზმზე დახელოვნებული ტრანსნაციონალური კომპანიები ბაზირების ქვეყნის ბაზარზე მონოპოლისტურ სარგებლობას იღებენ. თუკი მას აქვს ოლიგოპოლიური სტრუქტურა, კორპორაციები ერთიანდებიან ბლოკებში თავიანთი საბაზრო პოზიციების დასაცავად. და, **ბოლოს**, ტრანსნაციონალური კომპანიები ეროვნულ ეკონომიკაზე შუალედურ ზეგავლენას ახდენენ ტურისტული ნაკადების საშუალებით.

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია და იმართება ეკონომიკური კანონებით. სწორედ ამიტომ, ტურიზმმა ქვეყნის ეკონომიკურ ბლოკში მისი კუთვნილი პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ მეწარმეთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ, თუ რომელი დარგები მიაჩნიათ პერსპექტიულ დარგებად საქართველოში, რომელთა განვითარებაც მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის და ამ სფეროში დასაქმებული მეწარმეებისათვის, – დაადასტურა ტურიზმის პრიორიტეტულობა. გამოკითხულთა 66%-მა ყველაზე პერსპექტიულ დარგად ტურიზმი დაასახელა.

ბოლო 50 წელია მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ტემპები და მასშტაბები რამდენჯერმე აჭარბებს ზოგადად ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებს. საინტერესოა, რომ ანალოგიური სურათია საქართველოშიც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ტურიზმის განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება და ჯეროვანი ყურადღება დარგის განვითარებას ჯერ კიდევ არ ენიჭება, საქართველოშიც საერთო ეკონომიკის ზრდის ტემპებს (2000 წლიდან დაწყებული) 2-3 ჯერ აჭარბებს ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები (ამაზე მიუთითებს ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის უწყების ოფიციალური მონაცემებიც).

საერთაშორისო ტურიზმის, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის ინსტრუმენტის, გამოყენება პერსპექტიულია განვითარებადი ბაზრებისათვის, სადაც დიდია უმუშევრობა და დიდი რაოდენობითაა გადაუჭრელი რეგიონული პრობლემები. როდესაც საკითხს ვიხილავთ ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკაში მისი როლის შესახებ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რეგიონების განვითარების პრობლემას, მით უმეტეს ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, რომელიც მრავალფეროვანი რეგიონული ინფრასტრუქტურით ხასიათდება და სადაც დიდი ტურისტული რესურსული პოტენციალია გამოყენებული. საქართველოს რეგიონების განვითარების თანამედროვე მაღალკონტრასტული დიფერენციაციის პირობებში მეტად აქტუალურია სახელმწიფოს მიზანდასახული მონაწილეობა და აქტიური საქმიანობა ქვეყნის ტერიტორიული განვითარების რეგულირების პროცესში. კერძოდ, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტის გამოსავლენად, ქვეყნის რეგიონული განვითარების შესაძლო გამოთანაბრების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და მათი რეალიზაციის სამეურნეო მექანიზმების ასამოქმედებლად.

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევის მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ დღეისათვის არ არსებობს რეგიონული განვითარების რომელიმე დომინირებადი მოდელი. რეგიონული ეკონომიკური სისტემის განვითარების შესახებ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში მრავალი საყურადღებო თეორია და კონცეფცია არსებობს, მაგრამ, ცხადია, რომ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოგვარება გლობალიზაციის პირობებში მარტო ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით შეუძლებელია. შესაბამისად, ობიექტური აუცილებლობით არის ნაკარნახევი ამ მიმართულებით მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლა და მათი გამოყენება ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით.

XX საუკუნეში განვითარებული ინტეგრაციული პროცესების უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო ევროკავშირის წარმოშობა და განვითარება. მისი ევოლუციის შესწავლა ძალიან სასარგებლოა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გაგებისა და



რეგიონული განვითარების რეგულირებისათვის. ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ძირითად ფორმას წარმოადგენს პროგრამები ან ერთობლივი განვითარების გეგმები, აგრეთვე ევროკავშირის საინიციატივო, ანუ საკუთარი პროგრამები.

ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უპირველესი გაცხადებული პრიორიტეტია. სექტორი, რომელსაც უდიდესი შემოსავლების მოტანა შეუძლია და არაერთი მომიჯნავე სფეროს განვითარებისთვის სერიოზული ბიძგის მიმცემიც იქნება, დღეს საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების მინიმალური დოზით არის ათვისებული. თუმცა, ბოლო წლების მანძილზე მინიმალური ზრდა მაინც შეინიშნება. ეს კი, თავისთვად, ხელს უწყობს სისტემის დივერსიფიცირებას და სხვადასხვა ტიპის დამსვენებელზე ორიენტირებული სპორტული, დასასვენებელი თუ გამაჯანსაღებელი კომპლექსების დაგეგმარებას და მშენებლობას.

თანამედროვე გარემოში ტურიზმს სულ უფრო მეტი და საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრება, რომელთაგან გამოვყოფთ ტურიზმის, როგორც ტერიტორიის იმიჯის ფორმირების ფაქტორს. ტერიტორიის დადებითი სახე, ანუ მისი იმიჯი, ბრენდი, ყალიბდება უამრავი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად – ეს არის ეკონომიკის განვითარების დონეც, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, მომსახურის სფეროს განვითარების ხარისხი, რეკრეაციული რესურსების არსებობა, ტერიტორიის ეკოლოგიური შედგენილობა, ასევე მისი საერთო ინვესტიციური მიმზიდველობა. ტერიტორიის დადებითი იმიჯის ფორმირებაზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა და ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს განვითარების ხარისხი.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. იაკობიძე დ. “საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი” თბ., “კომენტარი”, 2009.
2. კვარაცხელია ნ. აგროტურიზმი – საქართველოს რეგიონული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. ჟურნალი: “ეკონომიკა”, №12, 2005.
3. მარგველაშვილი მ. ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2002.
4. მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2001.
10. შუბლაძე ვ. საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის კონტექსტში). სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 2004.
11. ჩიკვაიძე თ. ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ახალი პარადიგმა: არსი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟ. “კომერსანტი”, №2, 2007.

*Bedoshvili Tamar  
Patsinashvili Ketevan*

### **GLOBALIZATION PROCESSES IN WORLD TOURISM SUMMARY**

Tourism is one of the big economical, high income and very dynamical sphere, where are worked more than 260 million people. For its part comes 7% common volume of investments, 5% all income tax and third of commercial service. Tourism get influence on such junction sectors as are transport and communication, trade, building, rural economic, production public service's goods at international tourism day – this is one sphere of social-economics, which will become fast development industry in many countries. Now world's every seven working place comes at tourism business.

There are a lot of scientists' works about problems of tourism development, which review deferent aspects of Georgia's tourism resources. There are discussed scientific works of Georgian scientists: M. Metreveli, M. Margvelashvili, V. Shubladze, N. Kvaratskhelia and K. Arabuli, where is clearly shown modern world's tourism demands and that real possibility, which Georgia has for integration at international tourism market.

*ნატალია გვერდწითელი  
მარიამ მათიაშვილი*

**სამომხმარებლო ფასების ინდექსი,  
როგორც ინფლაციის ბაზომის ძირითადი ინსტრუმენტი**

საბაზრო ურთიერთობის პირობებში ფასებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საბაზრო პროცესების ნორმალურად წარმართვაში, არამედ მისი განვითარების (ცვლილებების) ორიენტაციის განსაზღვრაში. ნებისმიერი საქმის წარმატებით განხორციელება საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია ფასების გონივრული პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების გარეშე.

სტატისტიკაში ფასების დონეთა ცვლილების (დინამიკის) დასაბუთებულად შესწავლა საინდექსო მეთოდით წარმოებს. კერძოდ, ანგარიშობენ ფასების სხვადასხვა ინდექსს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხობრივ მაჩვენებელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სამომხმარებლო ფასების ინდექსს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის ძირითადი დანიშნულებაა სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების შეფასება.

სამომხმარებლო ფასების საინდექსო მეთოდი მაკროეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით წარმოებს ინფლაციის შეფასება, შემოსავლების ინდექსაცია, წარმოების მიმდინარე დანახარჯების დონის, სტრუქტურისა და დინამიკის განსაზღვრა და სხვა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა.

**ფასების ინდექსი და ინფლაციის სტატისტიკური გაზომვა**

დღეისათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსი ერთადერთი მაჩვენებელია, რომლის საშუალებითაც იზომება ქვეყანაში ინფლაციის დონე.

ინფლაცია ნიშნავს ფასების საერთო დონის ამადლებას, რომელიც განპირობებულია ბრუნვაში მყოფი ფულადი მასისა და მისი საქონლით უზრუნველყოფას შორის წონასწორობის დარღვევით. დისპროპორცია აღმოცენდება სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული მიზეზით, როგორცაა ინფლაციური მოთხოვნის წარმოშობა (ფულის ემისია, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საქონლით, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების წინმსწრები ზრდა წარმოების გადიდებასთან შედარებით და სხვ.) და დანახარჯების დონის ზრდა (ნედლეულისა და მასალების ფასების ზრდა).

ინფლაციის ადეკვატური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მაჩვენებელთა ეფექტური სისტემის გამოყენებით. მსოფლიო პრაქტიკაში ინფლაციის დონის საერთო დახასიათებისათვის გამოიყენება ორი მაჩვენებელი: **სამომხმარებლო ფასების ინდექსი**, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ინფლაციის დონე სამომხმარებლო ბაზარზე და **მთლიანი ეროვნული პროდუქტის დეფლატორი (მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი საქართველოში)**, რომელიც აფასებს ინფლაციის დონეს სახელმწიფოში წარმოებული და

მოსმარებული მთლიანი დოვლათის მიხედვით. ეს მაჩვენებელი უმეტეს ქვეყნებში სისტემატურად ცხადდება (ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად).

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიანგარიშება ე. ლასპეირესის ფორმულის მიხედვით. ეს ფორმულა წმინდა სახით სტატისტიკაში გამოიყენება საცალო ფასების ინდექსის ასაგებად. ამ შემთხვევაში ინფლაციის დონე ნებისმიერ პერიოდთან შედარებით განისაზღვრება ფორმულით:

$$I_a = \frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0}$$

$p_1$  არის საქონლის ფასი მიმდინარე პერიოდში;  $p_0$  – საქონლის ფასი საბაზისო პერიოდში;  $q_0$  – საქონლის მოცულობა საბაზისო პერიოდში.

ლასპეირესის ფორმულა გვიჩვენებს ახალი ფასების (საანგარიშო პერიოდის) და ძველი ფასების (საბაზისო პერიოდის) შეფასებას საბაზისო პერიოდში გაყიდული საქონლის მასის მიხედვით. ე. ლასპეირესის ინდექსს დღეს ფართო გამოყენება აქვს სამომხმარებლო ფასების სტატისტიკურ შესწავლაში.

ინფლაციის დინამიკა (ინფლაციის ტემპი) განისაზღვრება ინფლაციის პროცენტული ნორმით შემდეგი ფორმულით:

$$N = \frac{I_t - I_{t-1}}{I_{t-1}} \times 100$$

სადაც  $I_t$  არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი საანგარიშო პერიოდში;

$I_{t-1}$  – სამომხმარებლო ფასების ინდექსი საბაზისო პერიოდში.

ინფლაციის ნორმა უჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა ინფლაციის დონე დროის მოცემულ პერიოდში.

ინფლაციის გასაზომად გამოიყენება აგრეთვე ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, მოცემულ პერიოდში რამდენით გაუფასურდა ან განმტკიცდა ფულადი ერთეული (ეროვნული ვალუტა). ამ დროს გამოიყენება შეფასება:

$$\frac{1}{I_p}$$

მაგალითად, ფასების ინდექსმა 2006 წლის დეკემბერში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, შეადგინა 115.2 %. ე. ი. ფასები გაიზარდა 15.2%-ით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლარის მსყიდველობითუნარიანობა შემცირდა 13.2%-ით.

$$\frac{1}{1,152} = 0,868$$

$$(1 - 0,868) \cdot 100 = 13,2\%$$

ქ. თბილისში ინფლაციის დონისა და დინამიკის შესწავლის მიზნით, ჩვენ გავაანალიზეთ ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია. მიღებულმა შედეგებმა ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა ბოლო წლებში ქ. თბილისში მიმდინარე სამომხმარებლო ფასების

ცვლილებებსა და ინფლაციურ პროცესებზე გარდა ამისა, ჩვენ ჩავატარეთ შედარებით ანალიზი თბილისისა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების მიხედვით (ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი).

სამომხმარებლო ფასების ინდექსის დონეები და ინფლაციის მაჩვენებლები ქალაქების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

**სამომხმარებლო ფასების წლიური ინდექსები ქალაქების მიხედვით  
(დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან)**

წლები	თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	გორი	თელავი
2000	105,0	104,8	103,9	102,8	104,0
2001	104,1	101,6	102,9	105,7	99,1
2002	107,1	103,5	102,3	103,3	99,7
2003	107,2	104,0	105,8	115,3	105,0
2004	107,4	105,5	109,9	108,1	110,1
2005	105,8	107,2	107,4	105,6	105,6
2006	106,3	114,6	110,8	110,0	112,7
2007	111,5	111,5	107,5	110,6	109,3
2008	106	105,2	104,8	102,9	106,6
2009	103,3	106,3	97,7	101,6	97,1
2010	111,2	110,5	112,4	108,7	115,2
2011	101,5	103,3	102,9	103,2	101,4

აქ სხვადასხვა პერიოდებთან მიმართებაში განვიხილავთ, ქალაქების მიხედვით გამოვითვლით და ცხრილის სახით წარმოვადგენთ ინფლაციის ტემპის პროცენტულ ცვლილებას მოცემულ 5 ქალაქში:

**ინფლაციის ტემპის პროცენტული ცვლილება**

წლები	თბილისი	ქუთაისი	ბათუმი	გორი	თელავი
2004/2000	1.5	1.1	2.5	2.9	2.5
2005/2000	1.2	1.5	1.9	2	1.4
2006/2000	1.3	3	2.8	3.6	3.2
2005/2004	0.8	1.3	0.7	0.7	0.6
2006/2005	1.08	2	1.5	1.8	2.3

**სამომხმარებლო ფასების ინდექსების გაანგარიშების თავისებურებანი გ. პააშეს, ე. ლასპეირესისა და ი. ფიშერის ინდექსების გამოყენებით**

XIX საუკუნის ბოლოდან სამომხმარებლო ფასების სტატისტიკურ კვლევაში დღემდე წარმატებით გამოიყენება მხოლოდ ორი ფორმულა: პირველი ფორმულა ეკუთვნის გერმანელ სტატისტიკოსს გ. პააშეს, ხოლო მეორე ფორმულის ავტორია მისივე თანამემამულე ე. ლასპეირესი.

სამომხმარებლო ფასების სტატისტიკურ კვლევაში, გ. პააშესა და ე. ლასპეირესის ინდექსებთან ერთად, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ასევე გამოიყენება ამერიკელი ეკონომისტის ი. ფიშერის ინდექსი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ფიშერის ინდექსს ნაკლები გამოყენება აქვს, ვიდრე ე. ლასპეირესისა და გ. პააშეს ინდექსებს.

გ. პააშეს, ე. ლასპეირესისა და ი. ფიშერის ინდექსებს გააჩნია განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი:

გ. პააშეს ფორმულა იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად შეიცვალა საქონელზე ფასი საბაზისო პერიოდთან შედარებით. ანუ პააშეს ფორმულა გვიჩვენებს ახალი და ძველი ფასების შეფარდებას საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის მასის მიხედვით:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}$$

სადაც  $p_1$  არის საქონლის ფასი საანგარიშო პერიოდში (ახალი ფასები);  $p_0$  – საქონლის ფასი საბაზისო პერიოდში;  $q_1$  – გაყიდული საქონლის მოცულობა საბაზისო პერიოდში.

ე. ლასპეირესის ფორმულა გვიჩვენებს ახალი ფასების (საანგარიშო პერიოდის) და ძველი ფასების (საბაზისო პერიოდის) შეფარდებას საბაზისო პერიოდში გაყიდული საქონლის მასის მიხედვით. ე. ლასპეირესის ინდექსს დღესაც ფართო გამოყენება აქვს სამომხმარებლო ფასების სტატისტიკური შესწავლის მსოფლიო პრაქტიკაში:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0}$$

$p_1$  არის საქონლის ფასი საანგარიშო პერიოდში;  $p_0$  – საქონლის ფასი საბაზისო პერიოდში;  $q_0$  – საქონლის მოცულობა საბაზისო პერიოდში.

ი. ფიშერის ინდექსი წარმოადგენს კვადრატულ ფესვს გ. პააშესა და ე. ლასპეირესის ინდექსების ნამრავლიდან, ე.ი.:

$$I_F = \sqrt{\frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0} \times \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}} \quad \text{ანუ}$$

$$I_F = \sqrt{I_p^p \times I_p^L}$$

საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოები სამომხმარებლო ფასების ინდექსს ლასპეირესის ფორმულის საფუძველზე ითვლიან.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან უპირატესობას ანიჭებდნენ პააშეს სამომხმარებლო ფასების ინდექსს, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისიდან ლასპეირესის ინდექსი პოულობს მეტ გამოყენებას ინგლისში, გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთსა და ა.შ.

საზღვარგარეთის თეორიასა და პრაქტიკაში ინფლაციის კვლევაში საინდექსო მეთოდი ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან გამოიყენება, თუმცა მაშინ კონკრეტული ინდექსების კონსტრუქციები შედარებით მცირე რაოდენობით იყო. ამჟამად ინფლაციის შესწავლაში შესაძლებელია უკვე მრავალი ინდექსის მოდიფიკაციის გამოყენება. მათგან ფართოდ გამოიყენება გერმანელი მეცნიერების – პააშესა და ლასპეირესის მიერ სხვადასხვა დროს შედგენილი აგრეგატული ინდექსის ფორმულები. მათი გამოყენების მასშტაბები სხვადა-

სხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, საქართველოში ოფიციალური სტატისტიკური ორგანოები სამომხმარებლო ფასებისა და ინფლაციის გასაზომად უმეტესად ლასპეირესის ინდექსს იყენებენ. ზოგიერთ ქვეყანაში, პირიქით, უფრო ფართო გამოყენება აქვს პააშეს ფორმულას. რაც შეეხება ფიშერის ინდექსს, მისი პრაქტიკაში გამოყენება შეზღუდულია.

#### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. გაბიაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. მე-4 შვესებული და გადამუშავებული გამოცემა. “უნივერსალი”, თბ., 2011.
2. ფიშერი ს., დორნუში რ., შმალენზი რ. ეკონომიკა IV ტომი, თბ., 1998.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბ., 2011.
4. ჟურნალი: “ეკონომიკა და ბიზნესი”, №6, 2011.
5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
6. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
7. [www.presa.ge](http://www.presa.ge)

*Gverdtsiteli Natalia  
Matiashvili Mariam*

#### **CONSUMER PRICE INDEX, AS THE BASIC INSTRUMENT OF MEASURING INFLATION SUMMARY**

In the article we have discussed the percentage change of inflation according to the 5 basic cities in Georgia (Tbilisi, Kutaisi, Batumi, Gori, Telavi). The ratio analysis has shown us that the highest percentage change of inflation is given in Kutaisi and the lowest one – in Telavi.

It is significant to study the inflation problem in each country. One of the basic instruments to solve this problem is statistical methods and among them – index methods. The official statistical organs in Georgia use the Laspeyres formula for measuring price index.

*Завадская Юлия*

#### **РАЗВИТИЕ ОРГАНИЧЕСКОГО АГРОПРОИЗВОДСТВА В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ**

Развитие современной рыночной среды характеризуется усилением процессов глобализации, без учета влияния которой построение конкурентоспособный бизнес практически не возможно. Начало изучения этого явления датируется 80-ми гг. прошлого века и носит весьма противоречивый характер. Переход к глобальному измерению построения экономических отношений стал возможен за счет достижений научно - технического прогресса и, как результат, прогрессивных общественных достижений, олицетворяет принципиально новые возможности решения насущных проблем человечества. Глобализация - явление неоднозначное, многоаспектное и наряду с проявлением положительных своих сторон привносит в международное экономическое пространство усиления негативных тенденций, существующих в нем. В частности, явление глобализации отождествляется с экспансией западноевропейскими странами мирового рынка, углублением поляризации мировой экономики, интенсификации техногенной нагрузки на окружающую среду и т.д. Так или иначе, глобализация является существенным внешним фактором определения вектора развития хозяйственной деятельности субъектами рыночной системы.

Параллельно с развитием процесса глобализации приобретает все большее распространение теория устойчивого развития. Эта теоретическая доктрина основывается на триедином подходе к развитию общества: экономической, социальной и экологической. Устойчивое развитие и глобализация носят противоречивый характер относительно друг друга. В основном, концепция устойчивого развития приобретает реализацию в рамках национальных экономик и дает возможность определенным образом нивелировать негативные проявления глобализационных процессов. В рамках парадигмы устойчивого развития развивается практика органического агропроизводства, что обеспечивает определенную возможность синхронизации развития обоих вышеуказанных процессов. В то же время, формирование рынка органической агропродовольственной продукции находится под существенным влиянием глобализации и выходит за пределы национальных экономик.

К проблематике развития органического производства все больше уделяется внимания. При этом, одни грани этого вопроса изучены в большей степени, другие – практически не затронуты. Определенные аспекты становления органического производства в условиях глобализации освещены в работах Е. Бойко, М. Кобеца, В. Артыш и др. Тем не менее, указанный вопрос изучен не в полной мере и нуждается в дальнейшем исследовании.

Целью исследования является изучение тенденций развития органического агропроизводства в условиях глобализации. Объектом исследования есть процесс развития рынка органической продукции в глобализированной экономической среде. Предметом исследования является совокупность теоретико-методологических и практических аспектов развития органического агропроизводства в условиях глобализации.

Теоретической и методологической основой исследования являются диалектический и системный методы познания процессов и явлений. Кроме того, в процессе исследования использовались такие общие и специальные методы как абстракции, обобщения и др.

Современная мировая экономика становится все более интегрированной, что обусловлено глобализацией. Это явление сопровождается повышением мобильности товаров, капитала, трудовых ресурсов и др. вне национальных рынков. Такие процессы приводят к интеграции национальных экономик, их взаимосвязи и взаимовлияния. По мнению некоторых ученых, сейчас происходит эволюция этих связей с учетом синергетического эффекта, что приводит к образованию нового качества функционирования экономической системы. Определяющим фактором явление глобализации является и при формировании рынков агропродовольчих товаров. Не есть исключением рынок органической агропродовольственной продукции.

Органическое движение по своей сути нивелирует много отрицательных аспектов глобализации. Органическое сельское хозяйство выросло с фундаментальной критики промышленного способа производства продуктов питания, а именно из не учета промышленных методов хозяйствования экологической составляющей ввиду использования синтетических химических веществ, механизации, ирригации, стандартизации семян и др. Вследствие такого расхождения большинство организаций органического сельского хозяйства были вовлечены в движение антиглобалистов. Кроме того, явлению глобализация характерна способность крупных субъектов хозяйственной деятельности оказывать давление на малых производителей продукции относительно вопроса сокращения расходов, а не поиска направлений устойчивого улучшения качества. Эти тенденции отслеживаются и в органическом секторе [4].

Несмотря на существующие противоречия, рынок органической продукции также претерпевает глобальных изменений. Основанием к глобализации экономических явлений есть международное разделение труда за счет международной кооперации и специализации, позволяющие эффективно использовать имеющиеся ресурсы страны. Учитывая необходимость максимально удовлетворять спрос, всегда будет потребность импортировать и, соответственно, экспортировать органические продукты из-за сезонности и необходимости расширения ассортимента. Подтверждение этого факта дает сравнительная характеристика стран-лидеров по показателям спроса на органическую

продукцию и количеству земель привлеченных под производство органической продукции в мире (табл. 1). Сейчас крупнейшие страны-потребители органической продукции практически не являются ее основными производителями.

*Таблица 1*

**Страны-лидеры по показателям: спрос на органическую продукцию и количество земель привлеченных под производством органической продукции в мире (на 01.01.2010)**

Спрос на органическую продукцию		Количество земель привлеченных под производством органической продукции	
Страна	млн. евро	Страна	млн. га
США	17835	Австралия	12,00
Германия	5800	Аргентина	4,40
Франция	3041	США	1,95
Великобритания	2065	Китай	1,85
Италия	1500	Бразилия	1,77
Канада	1284	Испания	1,33
Швейцария	1023	Индия	1,18
Япония	1000	Италия	1,11
Испания	905	Германия	0,95
Австрия	868	Уругвай	0,93

*Источник:* построено автором на основе [6].

Интегрированность органического сектора определенным образом осложняется наличием регионального разграничения в системе стандартизации органической продукции. При этом, число стран, внедряющих национальные стандарты на органические продукты с целью протекционизма национальных производителей растет.

Способствует глобализации рынка органической продукции вхождение в указанную сферу известных транснациональных корпораций (ТНК) таких как Heinz, Danone, Pepsi Co. Большинство из этих компаний вошли в отрасль органической пищевой промышленности путем инвестирования в предприятия, занимающиеся производством органической продукции. Другим проявлением глобализации есть схожесть потребительского спроса. Хотя потребители покупают органические продукты под влиянием целого ряда причин, которые варьируются в зависимости от географических факторов региона, культуры и социально-экономических факторов, однако можно отметить некоторые общие характеристики в их поведении при выборе органических товаров. При этом, «глобальный» потребитель органической продукции проживает в городских районах, как правило, в большом городе, требователен к качеству, происхождению и методам производства продуктов питания, хорошо образован, имеет средний или высокий уровень дохода, который дает ему возможность платить за органические продукты [1].

Не все производители органической продукции смогут удержать свои позиции под давлением глобализации. Многие мелкие производители будут выбывать из этой сферы. Но те хозяйствующие субъекты, производство которых будет соответствовать стандартам, предъявляемым новыми условиям, получат большие возможности. Учитывая выше сказанное, предприятия, которые производят широкий ассортимент продукции целесообразно при таких обстоятельствах выбрать вектор на специализацию. Например, в Южном Тироле в Италии фермеры выращивали зерновые, абрикосы и многие продукты для собственного потребления. Сейчас на территории этой долины преобладают яблоневые сады. Некоторые из этих садов является органическими и каждое третье органическое яблоко, продаваемое в Европе происходит с Южного Тироля [3].



Глобализация увеличивает возможности реализации органической продукции ее производителями на международном рынке. Рынок органической продукции, по состоянию на 2009 г. достигал 54,9 млрд. дол. США., При этом, отслеживается тенденция к дальнейшему его стремительному росту. Такая ситуация возникает в результате привлекательности органической продукции и для производителей и для потребителей за счет ряда своих специфических свойств.

Структура земель, привлеченных под производством органической продукции в мире за 2009 г. следующая: с 37,2 млн. га органических земель 23 млн. га составляют пастбища, 5,5 млн. га - пахотные земли (значительная доля используется для выращивания зерновых), 2,4 млн. га - многолетние культуры. Наиболее распространенные сельскохозяйственные органические культуры: кофе (0,54 млн. га), оливки (0,49 млн. га), какао (0,26 млн. га), орехи (0,2 млн. га) и виноград (0,19 млн. га) [6]. Такая структура земель обусловлена и отражает структуру глобального спроса на органическую продукцию. В частности, это утверждение подтверждает распределение органических товаров в структуре потребления в странах ЕС, который сформирован следующим образом: 22% - молоко, молочные продукты и яйца, 17% - свежие фрукты и овощи, 11% - мясо, 11% - хлебопродукты, 10% - вино, 5% - фруктовые и овощные соки, 3% - деликатесы, 1% - морепродукты, 1% - замороженные продукты, 19% - др. Структура рынка органических продуктов европейских стран, являющихся крупнейшими потребителями, приведена в табл. 2.

**Таблица 2**

**Структура рынка органических продуктов европейских стран, 2009 г. (%)**

Продукты	Швейцария	Германия	Велико-британия	Франция	Италия
Фрукты та овощи	18	36	32	27	29
Молочные продукты	9	17	24	16	21
Яйца	7	5	4	7	7
Мясо	8	14	9	9	7
Хлебобулочные изделия	16	15	9	16	8
Детское питание	8	9	15	10	18
Замороженные продукты	7	2	2	1	2
Другое	28	2	5	14	8

*Источник:* построено автором на основе [5; 6].

Датский исследовательский центр органических продуктов питания и сельского хозяйства (DARCOF) инициировал проведение исследования потенциальной роли органического сельского хозяйства в глобальной перспективе. В результате, было обосновано принятие специальных правил торговли этой продукцией в рамках ВТО как один из методов содействия распространению органической продукции и упрощения доступа товаропроизводителей на различные рынки [2]. Такой подход позволит упростить развитие глобального рынка органической продукции. Однако, при осуществлении указанного предложения необходимо будет значительное внимание уделить вопросу гибкости и возможности адаптировать эти стандарты к разным условиям ведения хозяйственной деятельности.

Учитывая, что рынок органической продукции возник относительно недавно и находится на стадии своего становления, то очевидным является тот факт, что он содержит значительное количество незаполненных ниш. Конечно, выход в новую сферу бизнеса обусловлен значительной рискованностью ведения такой деятельности. Как отмечает Ю. Пахомов, страна, которая войдет в глобальное пространство «проложенной лыжной», может еще снять некоторые сливки и одновременно избежать потерь от рисков, неизбежных для первопроходцев [7]. Однако, несомненным является наличие многочисленных преимуществ позиции «первопроходца». Выход на рынок органической продукции субъектам хозяйствования предоставляет потенциальные

возможности для приобретения доминирующего положения на нем и превращения в дальнейшем на влиятельных субъектов глобальной экономики.

Таким образом, развитие мировой экономической системы вышло на новый качественный этап формирования, обусловленный влиянием глобализационных процессов. Глобализация носит весьма противоречивый характер и вызывает ряд как положительных так и отрицательных сдвигов. Диспаритет условий жизни, углубления социального неравенства, ухудшение состояния окружающей среды вызвали появление и распространение теории устойчивого развития, и, в соответствии с ней, развитие ряда экологоэкономических методов ведения хозяйственной деятельности. Одним из таких методов является производство органической продукции.

Рынок органической продукции находится под влиянием международных трансформаций и синхронизируется с процессами, происходящими в глобальном пространстве. Глобальное измерение рынка органической продукции дает возможность уравнивать глобальный спрос и глобальную предложение на органические товары. Сейчас отслеживаются родственные характеристики потребителей органической продукции в мире, что дает основания утверждать о создании «глобального» потребителя. Ассортимент органической продукции, представленный на международном рынке, отличается в зависимости от региона. Дальнейшее развитие глобального рынка органической продукции осложняется отсутствием специальных унифицированных правил торговли, принятых в рамках международных организаций.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Globalisation of the Organic Food Industry [Электронный ресурс]. – Режим доступа до докум.: <http://www.organicmonitor.com/r1407.htm>
2. Global Development of Organic Agriculture: Challenges and Promises [Электронный ресурс]. – Режим доступа до докум.: <http://orgprints.org/view/projects/DA3-GLOBALORG.html>
3. Globalisation as a Challenge or Opportunity for Organic Farming [Электронный ресурс]. – Режим доступа до докум.: <http://orgprints.org/view/projects/DA3-GLOBALORG.html>
4. Organic Agriculture and Globalization [Электронный ресурс]. – Режим доступа до докум.: [http://www.ifoam.org/organic\\_facts/politics/pdfs/OA\\_Globalization\\_Background\\_Paper.pdf](http://www.ifoam.org/organic_facts/politics/pdfs/OA_Globalization_Background_Paper.pdf)
5. The Organic Market in Europe. [Электронный ресурс]. – Режим доступа до докум.: [http://www.sippo.ch/internet/osec/en/home/import/publications/food.-ContentSlot-98296-ItemList-61735-File.File.pdf/SIPPO\\_Manual\\_18.04.2011\\_final.pdf](http://www.sippo.ch/internet/osec/en/home/import/publications/food.-ContentSlot-98296-ItemList-61735-File.File.pdf/SIPPO_Manual_18.04.2011_final.pdf)
6. Willer, Helga and Lukas Kilcher (Eds.) (2011) The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends 2011. FiBL-IFOAM Report. IFOAM, Bonn and FiBL, Frick].
7. Пахомов Ю. Україна і виклик глобалізації / Ю. Пахомов // День. – 2001. – №189 (07.08.01). – С. 2.

*Zavadskaya Yuliya*

#### ORGANIC AGRICULTURAL PRODUCTION'S DEVELOPMENT UNDER GLOBALIZATION SUMMARY

In this article conditions of organic production market's formation under the influence of global processes are researched. We argued that the favourable factor of organic production market's formation is the application of standardized demands of organic goods. The perspectiveness of organic tendency in global environment as a determining factor of durable progress of business system's introduction was substantiated.

Key words: globalization, market, organic production.

## **РЫНОЧНЫЙ МЕХАНИЗМ ВЗАИМОДЕЙСТВИЯ ПРОИЗВОДСТВА И ПОТРЕБЛЕНИЯ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ**

Изучение реагирования рыночной экономики на глобальные вызовы и ее устойчивость в современный период гораздо сложнее исследования стационарных процессов. Поэтому разработка проблем взаимодействия производства и потребления как составной части теории рыночной экономики не только необходимая, но и чрезвычайно сложная, многоплановая задача.

Развитие рыночных отношений делает крайне необходимым и чрезвычайно важным глубокое и всестороннее исследование системы законов общественного воспроизводства, механизма их взаимодействия и использования. Определяющим условием в решении этой задачи является обеспечение взаимодействия и взаимообусловленности производства и потребления, а также научное исследование сущности экономических категорий, раскрывающих наиболее эффективные формы их проявления.

Усиленное внимание к этим проблемам объясняется активным реагированием рыночной экономики на глобализационные проблемы. В период длительного господства административно-командной системы хозяйствования, базирующейся на догматическом убеждении о несовместимости рынка и экономики, в свое время привело к глубокой деформации системы экономических отношений. Результатом этого стали резкая несбалансированность производства и потребления, хроническая дефицитность товаров, непрерывно растущая инфляция, снижение уровня жизни народа. Несбалансированность потребительского рынка до сих пор остается одной из актуальных проблем современной экономики. Это обуславливает необходимость регулярного пересмотра действующей парадигмы отношений производства и потребления. Проявления их, как в дефицитной экономике, так, и в рыночной, а также разработки теоретической модели механизма их взаимодействия в условиях рыночного хозяйства глобального периода.

Важно подчеркнуть, что взаимосвязь: *производство* → *потребление* в экономической литературе нередко характеризуется как поверхностная связь и, по сути, поверхностное явление. В этом случае возникают закономерные вопросы о сути и образовании внутренней и поверхностной связи производства и потребления. Чтобы ответить на эти вопросы необходимо раскрыть механизм взаимодействия производства и потребления, являющегося составным элементом системы хозяйствования в целом.

Современный рынок представляет собой совокупность экономических отношений между покупателями и продавцами в процессе купли-продажи товаров и услуг, взаимодействующих как самонастраивающаяся система в рамках определенного государственного регулирования. Рынок не является чем-то застывшим и раз навсегда данным. Первоначально рынок возник стихийно, и представлял он из себя тогда самонастраивающуюся систему, в которой согласно теории Смита А. осуществлялась свободная игра рыночных сил (принцип «Laissez-faire» - *невмешательства*).<sup>59</sup>

Рыночный механизм обладает большими преимуществами. Он способен оперативно изменять объем и структуру производства, приспособлявая ее к потреблению (за счет изменений производства и цен); наладить целесообразное и рациональное распределение ресурсов; рыночный механизм устанавливает цены, соответствующие реальным затратам, вынуждает потребителя выбрать рациональную структуру потребления. Рынок выступает, таким образом, как определенный саморегулятор производства, приводит объем и структуру производства в соответствие с объемом и структурой потребления, стимулирует рост производительности труда, снижение издержек и повышение качества продукции, обуславливает структурные сдвиги в экономике и устанавливает новые пропорции в экономике. Рыночные отношения выступают тем механизмом, который

---

<sup>59</sup> Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. В 2-х т. Л.: Гос. Соц.-экон. изд-во, 1931.

органично связывает производство с потреблением.

Благодаря действию законов товарного производства, особенно закона спроса и предложения, функционирующего посредством гибкой системы цен, отражающей индивидуальные предложения в соответствии с изменениями спроса, достигается сбалансированность рынка товаров и услуг. В рыночном хозяйстве стоимость товаров и услуг определяется не индивидуальными издержками товаропроизводителя и не их индивидуальными характеристиками качества товара. В процессе внутриотраслевой и межотраслевой конкуренции рынок, с одной стороны, постоянно выявляет средние издержки всей совокупности производителей данного товара, а с другой – определяет конечный спрос на товары. В результате и со стороны издержек производства, и со стороны структуры спроса определяется рыночная стоимость товара. На ее основе в зависимости от соотношения спроса и предложения формируются рыночные цены. Этот механизм вынуждает производителя подстраивать свое производство под постоянно меняющиеся условия рынка и принимать меры по снижению своих индивидуальных издержек или повышению качества и ассортимента продукции. Таким образом, рынок обеспечивает удовлетворение запросов потребителей. В нормальной рыночной экономике существует определенный избыток предложения над платежеспособным спросом, что является важнейшим условием конкуренции между производителями за потребителя. Причем, чем больше такое превышение, тем шире свобода выбора у потребителя. Следовательно, тем полнее учитываются производством структура и объем общественных потребностей.

Система рыночного саморегулирования без особых сбоев функционировала примерно около трех столетий. Но она выявила свою несостоятельность уже во время первого экономического кризиса перепроизводства в 1825 г. и особенно в период мирового экономического кризиса в 1929-1933 гг. Оказалось, что «свободный» рынок не всемогущ, есть проблемы, которые рынок сам не в состоянии решить. К таким проблемам относятся: развитие социальной сферы, культуры, фундаментальной науки, экологии и т.п. Они исторически возникали перед рынком и под их действием рынок трансформировался. Повышение уровня обобществления производства и его взаимодействия с окружающей природой приводят к усилению экономической роли государства в жизни общества. В результате этого ни в одной развитой стране в современных условиях нет стихийного свободного рынка.

Имея в виду, производство и потребление, необходимо отметить, что как первое, так и второе – это не только непосредственно иное друг для друга, но и взаимосредство (при возникновении каждого из них, возникает и другое). Главной чертой взаимодействия производства и потребления, в современных условиях является усиление воздействия потребностей и потребления на производство. Отсюда возникает необходимость исследования этих связей. Если, в условиях перехода к рыночной экономике, взаимосвязь потребностей и производства существовала в слаборазвитых формах, то в условиях набирающей скорость развития рыночной экономики, производство ориентировано на прямое удовлетворение спроса потребителей.<sup>60</sup>

Удовлетворение потребностей всех классов и социально-профессиональных групп населения говорит о производственной зрелости и положительно влияет на дальнейшее развитие и совершенствование производства ради человека. Когда Азербайджан переходил от командной экономики к рыночной, он использовал положительный опыт развитых государств и рациональные положения о взаимосвязи производства и потребления, а именно:

- Об объективной обусловленности развития потребностей уровнем развития производительных сил, производительности труда, расширением производительных функций экономики;
- О расширенном воспроизводстве потребностей в потреблении;

---

<sup>60</sup> Керимли И.А., Сулейманов Н.М. Основы национальной экономики. Баку, 2001, с.127.

- О первичности «действительных потребностей», выразителем которых является состав и полезная масса продукции в натуральном выражении;
- О возрастании на высоких уровнях экономического развития роли потребительского производства (воспроизводства человека), связанного со всем спектром человеческих качеств, с развитием, как потребностей человека, так и его способностей;
- О сохранении независимо от формы общественного производства соотношений между жизненными потребностями общества и количеством конкретного труда, идущего на их удовлетворение, зависимости нормы их проявления от типа экономики (продукт в натуральном хозяйстве, меновая стоимость в товарном производстве).

Недооценку этого и даже отрицание, экономика уже наказала и может еще больше наказать в случае пренебрежения объективными законами функционирования взаимодействия потребностей и производства.

К изучению потребностей важно подходить с позиций системного подхода, то есть с выявления внутренних связей между потребностями и производством, а также, вытекающей из них потребности производства. Необходимо выяснение механизма формирования функциональных (материальных, физических) потребностей в предметные потребности, то есть, потребности в качественно определенных продуктах, благах и услугах. Объективной основой такой конкретизации служит то, что каждая обобщающая потребность может быть удовлетворена обширным набором конкретных предметов и услуг.

Актуальной задачей приспособления взаимодействия потребностей и производства в рыночной экономике, является соответствие натуральной позиции, в которой отражена продукция, удовлетворяющая, в основном, физические потребности населения, а также промежуточные и сырьевые потребности производства. Необходима увязка конечных потребностей населения с ресурсами производства и ресурсными возможностями. Подчеркивая этот момент, отметим, что потребности развиваются вместе со средствами их удовлетворения и в непосредственной зависимости от развития последних.

Надо признать, что такая объективная действительность не сразу нашла свое отражение в практике перехода Азербайджанской экономики к рыночным отношениям. В результате, экономике страны в период после 1991 г. до 2010 г. трудно было удовлетворять не только общественные потребности, но и даже повседневное потребление продуктов питания. Вполне закономерно то, что в становлении рыночных связей рациональная связь возможностей общественного производства с общественными потребностями выражается более концентрированно. Поэтому важнейшей функцией механизма взаимодействия производства и потребления в Азербайджане, является тесная и рациональная увязка производственных возможностей с потребностями. Это внутренний, объективный и материальный порядок для достижения более высокого уровня производства и потребления. Единственной и реальной основой достижения высокого уровня производства и потребления является повсеместное управление взаимообеспечением развития потребностей и средствами их удовлетворения. При этом главное внимание должно быть направлено на развитие средств удовлетворения потребностей с адекватными экономическими рычагами и хозяйственными инструментами для обеспечения успешной взаимообусловленности потребностей и средств их удовлетворения. В качестве конкретных инструментов экономического воздействия на процесс тесной и рациональной увязки производственных возможностей с потребностями населения выступают натурально-стоимостные межотраслевые балансы.<sup>61</sup>

Преимущества натурально-стоимостного межотраслевого баланса ведения рациональной

---

<sup>61</sup> Недостатки, сложившиеся в прежней системе планирования, ее бюрократизация – не повод, чтобы обращаться к стихийности и отказываться от планирования. Рынок не приемлет директивного планирования, а индикативное (предпочтительное) должно развиваться в условиях рыночных отношений. Есть процессы и явления, которые сам рынок в принципе не может регулировать (например: фундаментальная наука, образование, культура, оборона, экология и т.п.).

увязки производственных возможностей с потребностями народа не в бюрократической регламентации, а в научно-обоснованном, экономически целесообразном и социально-эффективном решении стратегических задач. В государственном регулировании можно и необходимо считать главным:

- формирование целостной структуры внутренних пропорций народного хозяйства;
- развитие базовых отраслей сферы материального производства, сферы услуг и т.д.;
- рациональные нормативы потребления различных благ и услуг, устанавливаемые исходя из научных представлений о размерах потребностей в соответствующих благах и услугах;
- различные меры и средства общественного воздействия на психологию людей, их вкусы, потребительские привычки и т.д.

Научно-технический прогресс также оказывает важное влияние и на эту, казалось бы, весьма далекую от него область формирования потребностей. Создавая условия для роста производства отдельных товаров в размерах, необходимых для обеспечения рационального потребления, научно-технический прогресс, тем самым, способствует не только формированию, но и удовлетворению рациональных потребностей. Только на основе достижения научно-технического прогресса в производстве, можно создавать товары, наилучшим образом отвечающие качественным параметрам рационального потребления. Производство с помощью научно-технического прогресса «не только лежит у истоков» инициирования потребностей в новых товарах и услугах и стимулирует их рост, но и само испытывает на себе воздействие этого роста, постоянно углубляясь и совершенствуясь под влиянием потребностей.

Из вышеизложенного следует вывод о необходимости целостного перехода к рыночному механизму, увязки роста потребностей и производственных возможностей, а также выявления конкретных направлений создания форм и методов регулирования, производства и потребностей и обогащения содержания самого рыночного механизма взаимодействия производства и потребления. Весьма закономерно, что раскрытие потенциальных возможностей укреплению увязки роста потребностей и производственных возможностей содержит ответ на данный вопрос применительно к сегодняшнему дню. Причем, она открывает как качественные, так и количественные характеристики данных направлений.

Качественные моменты содержания рыночного механизма взаимодействия производства и потребления должны быть, во-первых, направлены на выявление внутренних связей между размерами реальных потребностей населения и ресурсными возможностями, а также вытекающих из них потребностей производства и, во-вторых, обеспечивать усиление социальной ориентации производства в соответствии с его действительной ролью в жизни общества. Этим должно обеспечиваться диалектическое единство роста потребностей и средств его удовлетворения и определение путей решения перспективных и текущих задач в данной области. Не случайно практика перехода к рыночной экономике показала исключительное значение решительного поворота к социальной сфере, в которой решаются многие сегодняшние и завтрашние проблемы. Здесь реализуются итоги экономической деятельности, затрагивающие жизненные интересы народа. Последние рассматриваются в органическом единстве с улучшением условий труда и повышением культуры. В этом единстве главным средством реализации итогов экономической деятельности выступает человек. Этому должна быть посвящена вся реформа общественного воспроизводства. В то же время, чтобы резко увеличить объем ресурсов, направляемых на удовлетворение потребностей народа, придать ему лучшее качество может только человек, работник, добросовестно, творчески и заинтересованно относящийся к делу. В практику же, по нашему мнению, целесообразно внедрить такой показатель, как *ресурсы для потребления*, который более точно, чем существующие показатели (фонд потребления, непроизводственные капитальные вложения), характеризует социальные аспекты воспроизводства, поскольку включает кроме потребительских ресурсов еще и ресурсы на развитие сферы труда и охрану окружающей среды.

Вполне закономерным является то, что все возрастающее воздействие потребностей человека на производство достигается через повышение творческой активности масс, через включение на полную мощность всех присущих экономике мотиваций к труду.<sup>62</sup> Это порождается самим современным производством, когда становятся правилом постоянные переговоры в техническом бизнесе, а вместе с тем и в функциях рабочих, и в общественных комбинациях процесса труда. Таким образом, включение на полную мощность всех присущих экономике мотиваций к труду невозможно достигнуть без соответствующего преобразования процесса производства. Дух смелости и новаторства, инициатива и предприимчивость неотделимы от задачи резкого увеличения объема и улучшения качества товаров-услуг, направляемых на удовлетворение потребностей народа. Это условие является не только важным, но и определяющим в рыночном механизме взаимодействия производства и потребления. Без этого невозможно достичь высшей производительности труда на основе его более полного использования возрастающей силы творческого труда. Отсюда необходимость не просто дальнейшего увеличения объемов потребления материальных благ и услуг, но такого изменения их структуры и структуры потребностей людей, которые обеспечили бы приоритет социального характера потребления товаров и услуг.

С этой точки зрения, при обосновании перспектив ресурсного обеспечения производства и потребительского сектора экономики, следует исходить из приоритета социальных процессов в рыночном механизме взаимодействия производства и потребления. Центр тяжести переносится с достижения целевых показателей сбалансированности производства и потребления на создание адекватных современному этапу социальных механизмов их взаимного обеспечения.

*Kerimov Fikret*

## **MUTUAL MARKET MECHANISM OF THE PRODUCTION AND CONSUMPTION UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

The global processes implemented in the modern world quickly speed up the integration to world in the national economy of the each country. Reaction of the market economy becomes stronger to the mutual influence of the both process. The inner structure of modern market economy and its development inclination are kept in the focus of attention. One of the most important blocs in the structure of market economy is the mutual influence of consumption and production.

*მარიამ მათიაშვილი*

*ნატალია გვერდწითელი*

### **ჯანდაცვის მდგომარეობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ცვლილებების ანალიზისათვის ჩვენ მოვახდინეთ შესაბამისი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საანალიზო პერიოდად ავირჩიეთ უახლოესი ათი წელი, ანუ 2000–2010 წლები.

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში 2000–2010 წლებში მომხდარი ცვლილებების გამოსავლენად გავაანალიზოთ ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები, რისთვისაც გამოვიყენეთ შესაბამისი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი).

<sup>62</sup> Яременко Ю.В. Приоритеты структурной политики и опыт реформ. В 3 кн., М.: Наука, 1999; и др.

	2000	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
1. ექიმების რიცხოვნობა სულ, ათასი	21.1	21.4	20.3	20.6	20.0	20.3	20.6	21.2
2. საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა სულ, ათასი	26.2	21.6	21.1	20.2	19.3	19.6	18.6	19.3
3. საავადმყოფოების რიცხვი, ერთეული	229	246	242	244	245	244	241	259
4. საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი, ათასი	21.2	17.8	17.1	16.5	14.6	14.1	13.6	12.1
5. ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა, დღე	10.1	8.6	7.7	7.4	7.3	6.8	6.2	6.4
6. ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რიცხვი, ერთეული*	1015	1113	1123	1124	1140	1090	1604	1691
7. ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა სიმძლავრე (ერთ ცვლაში ავადმყოფთა მიღების საშუალო რიცხვი), ათასი	95.8	94.3	92.1	88.0	84.8	87.4	87.4	87.5
8. ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რიცხვი წლის განმავლობაში (მათ შორის პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი	5499	7583.9	7739	8081.7	6961.8	7530.1	7073.7	7623.3

ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ექიმების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი რიცხოვნობა. მათი აბსოლუტური მნიშვნელობა 2010 წელს 2000 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა (21,1-დან 21,2 ათასამდე) და ზრდის ტემპმა შეადგინა 100.47%. ასევე უმნიშვნელო ცვლილება განიცადა მისმა შეფარდებითმა მაჩვენებელმა: 2010 წელს, ისევე, როგორც 2000 წელს, საშუალოდ ყოველ 1000 ადამიანზე მოდიოდა დაახლოებით 5 ექიმი (2010 - 4.757, 2000 - 4.778).

ექიმების რიცხვის ზრდის საპირისპიროდ, 2000 – 2010 წლებში დაფიქსირდა საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება და კლების ტემპმა შეადგინა 73.8%. საინტერესოა, ასევე, ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის თანაფარდობა: თუ 2000 წელს საშუალოდ 10 ექიმზე დაახლოებით 12 საშუალო მედპერსონალი მოდიოდა, 2010 წლისთვის ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 9, რაც მიუთითებს ამ მაჩვენებლის 3 ერთეულით შემცირებაზე.

ჯანდაცვის სფეროს დახასიათებისას საინტერესოა ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის – საავადმყოფოების რიცხვის ცვლილების განხილვა. 21-ე საუკუნის პირველ ათ წელიწადში დაფიქსირდა ამ მაჩვენებლის რიცხვითი მნიშვნელობის საგრძნობი ზრდა. მისი აბსოლუტური მნიშვნელობისთვის ზრდის ტემპმა 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, შეადგინა 113.1%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2000–2010 წლებში საავადმყოფოების რიცხვის ზრდის მიუხედავად, საავადმყოფოებში საწოლების რიცხვის თითქმის განახევრება (კლების ტემპმა შეადგინა 56.86%) დაფიქსირდა. საინტერესოა ასევე შეფარდებითი მაჩვენებლების შედარება: თუ 2000 წელს საშუალოდ 1 საავადმყოფოზე მოდიოდა დაახლოებით 93 საწოლი, 2010 წელს იმავე მაჩვენებელმა შეადგინა დაახლოებით 47



ერთეული (მაშასადამე, განხილულ პერიოდში მოხდა თითქმის 2-ჯერ შემცირება). აქვე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იმავე პერიოდის განმავლობაში (2000–2010) საავადმყოფოებში საწოლების რიცხვის სტაბილურად ყოველწლიური შემცირება დაფიქსირდა.

ქვეყანაში საავადმყოფოების რაოდენობის ცვლილების განხილვის შემდეგ საინტერესო იქნება დავაკვირდეთ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რიცხვის ცვლილებას. 2000 წლიდან 2010 წლამდე მოხდა მათი რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა და ზრდის ტემპმა შეადგინა 167%. თუ ამ მაჩვენებელს დინამიკაში განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ 2009–2010 წლებში დაფიქსირდა მკვეთრი ზრდა, რაც განპირობებულია იმით, რომ 2009 წლიდან ეს მაჩვენებელი მოიცავს სოფლის ამბულატორიებსაც.

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ასევე ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა დღეებში. 2000–2010 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით დაფიქსირდა ამ მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება და კლების ტემპმა შეადგინა 63%. აღნიშნული მაჩვენებლისთვის კლების ასეთი ტემპის გამომწვევი მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, საავადმყოფოში განთავსებისთვის საჭირო გადასახადების ზრდა, ასევე საავადმყოფოების აღჭურვა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და თანამედროვე მიდგომები, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს პაციენტის უფრო სწრაფ გამოჯანმრთელებას და მის გაწერას.

ჯანდაცვის სფეროში მომხდარი ცვლილებების დასახასიათებლად, სხვა ძირითად მაჩვენებლებთან ერთად, შეგვიძლია ასევე დავაკვირდეთ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მოსახლეობის მიმართულების რიცხვს წლის განმავლობაში. ეს მაჩვენებელი 2010 წელს 2000 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (ზრდის ტემპია 138.23%), რაც, ჩემი აზრით, განპირობებულია სადაზღვევო სფეროს განვითარებით როგორც კორპორატიულ, ასევე სახელმწიფო პროექტების მიმართულებით (მაგ., სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაზღვევა, საჯარო სკოლის პედაგოგების დაზღვევა), რომლის ფარგლებშიც, მთავრობის სათანადო დადგენილებების თანახმად, მოსახლეობისთვის ამბულატორიული მომსახურების მიღება ხდება შესაბამისად ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში.

განხილული ძირითადი მაჩვენებლების შემდეგ, ვფიქრობთ, საინტერესოა დავაკვირდეთ ქვეყანაში ექიმების რაოდენობის სტრუქტურულ ცვლილებას და განვიხილოთ სხვადასხვა სპეციალობის ექიმების ხვედრითი წილი ექიმების მთლიან რაოდენობაში. საანალიზო პერიოდში, ანუ 2000–2010 წლებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაფიქსირდა ექიმების საერთო რიცხოვნობის უმნიშვნელო ზრდა (ზრდის ტემპი 100.47%).

2000 წელს ექიმების მთლიან რაოდენობაში წამყვანი სპეციალობებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილით წარმოდგენილები იყვნენ: თერაპევტები (12.2%), პედიატრები (10.9%), მეან-გინეკოლოგები (5.8%), სტომატოლოგები (6.4%), ქირურგები (5.4%), ყველაზე მცირე ხვედრითი წილით კი: სამკურნალო ფიზიკულტურისა და სპორტის ექიმები (0.4%), ფთიზიატრები (0.9%), დერმატოვენეროლოგები (1.4%), ოტოლარინგოლოგები (1.7%).

2010 წელს კი ანალოგიური დაკვირვებისას ვიღებთ შემდეგ შედეგებს: ყველაზე დიდი ხვედრითი წილი აქვთ შემდეგი სპეციალობის ექიმებს: მეან-გინეკოლოგები (7.1%), თერაპევტები (6%), პედიატრები (5.7%), ქირურგები (5.1%), სტომატოლოგები (4.7%); ყველაზე მცირე ხვედრითი წილი კი: სამკურნალო ფიზიკულტურისა და სპორტის ექიმები (0.2%), ფთიზიატრები (0.7%), დერმატოვენეროლოგები (1.2%), ფსიქიატრები და ნარკოლოგები (1.5%). თუ ამ მაჩვენებლებს დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ექიმების მთლიან

რაოდენობაში სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით ექიმების ხვედრითი წილი უმნიშვნელოდ შეიცვალა.

2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, ექიმების მთლიან რაოდენობაში მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი სპეციალობებისთვის დაფიქსირდა შემდეგი კლების ტემპები: თერაპევტები – (49.47%), მეან-გინეკოლოგები – (91.55%), პედიატრები – (52.64%). რაც შეეხება თერაპევტების რიცხოვნობის ასეთ მკვეთრ კლებას, ვფიქრობ, ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ამ წლების განმავლობაში ზოგადი პროფილის თერაპევტებმა კვალიფიკაცია გაიარეს სხვადასხვა სპეციალობებში და, შესაბამისად, მათი გადანაწილება მოხდა სხვა, უფრო ვიწრო სპეციალობების მიხედვით.

აღნიშნული მონაცემების განხილვით ჩვენ დავახასიათებთ ქვეყანაში ექიმების საერთო რაოდენობისთვის დაფიქსირებული ცვლილებები. ახლა კი საინტერესო იქნება ანალოგიურად გავანალიზოთ საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობის ცვლილება სპეციალობების მიხედვით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2000–2010 წლებში დაფიქსირდა საშუალო სამედიცინო პერსონალის აბსოლუტური მნიშვნელობის შემცირება (კლების ტემპი 73,8%). კონკრეტულად 2000 წელს მთლიან რიცხოვნობაში საშუალო მედპერსონალი ცალკეული სპეციალობების მიხედვით წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: ფერშლები - (9.99%), მედღები - (62.54%), მეანები - (5.44%), ფერშალ-ლაბორანტები - (7.06%), რენტგენო-ლაბორანტები - (1.68%). როგორც ვხედავთ, ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყვნენ მედღები, შემდეგ ფერშლები, ფერშალ-ლაბორანტები, მეანები, რენტგენო-ლაბორანტები. იგივე სიტუაცია მცირე პროცენტული სხვაობით დაფიქსირდა 2010 წელსაც: ყველაზე მაღალი ხვედრი წილით მედღები - (68.9%), შემდეგ ფერშლები - (8.13%), ფერშალ-ლაბორანტები - (7.29%), მეანები - (3.8%), რენტგენო-ლაბორანტები - (2.18%).

საანალიზო პერიოდში (2000 – 2010 წლები), საშუალო სამედიცინო პერსონალისთვის ცალკეული მიმართულებების მიხედვით შემდეგი სტრუქტურული ცვლილებები დაფიქსირდა: ფერშლები - (კლების ტემპი 60%), მეანები - (კლების ტემპი 51.6%), მედღები - (კლების ტემპი 81.3%), ფერშალ-ლაბორანტები - (კლების ტემპი 76.2%), რენტგენო-ლაბორანტები - (ზრდის ტემპი 95.9%).

ჯანდაცვის სფეროში მომხდარი ცვლილებების გაანალიზებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ მოსახლეობის ავადობაზე, განვიხილოთ როგორც მისი აბსოლუტური მნიშვნელობები, ასევე სტრუქტურული ცვლილებები დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით.

საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული დაავადების რიცხოვნობა პირველად დადგენილი დიაგნოზით, საანალიზო პერიოდში (2000–2010) თითქმის სამჯერ გაიზარდა. აბსოლუტური მნიშვნელობები 2000 წელს შეადგენდა – (412.8), 2010 წელს – (1170.1), შესაბამისად, ზრდის ტემპია – 283.5%. აბსოლუტური მნიშვნელობის მსგავსად, ძალიან მკვეთრი ზრდა გამოვლინდა დაავადებათა თითოეული ჯგუფის მიხედვით. ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის – ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები – დაფიქსირდა დარეგისტრირებულ ავადმყოფთა რიცხვის შემცირება (კლების ტემპია 66.4%). დანარჩენი ჯგუფებისთვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაფიქსირდა რიცხვითი მნიშვნელობების მკვეთრი ზრდა. დავახასიათოთ დაავადებათა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით გამოვლენილი აბსოლუტური მნიშვნელობების ცვლილებები: საჭმლის მომწელებელი სისტემის ავადმყოფობები (542.3%), შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები (339.4%), სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები (291.7%), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმების ჩართვით მიმდინარე დარღვევები (255.6%), ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები (243.7%), ტრავმები, მოწამვლები

და გარეშე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები (239.9%), სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები (220.7%), სიმსივნეები (205%), თანდაყოლილი ანომალიები (203.6%), კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები (185%), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (166.7%), ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები (135.7%).

მონაცემების ასეთი მკვეთრი ზრდა გამოწვეულია რეგისტრაციის გაზრდით (გაუმჯობესებით), ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობისა და მიმართვიანობის გაზრდით, ასევე სამედიცინო დახვეწის სისტემის დანერგვით და გაფართოებით. ამასთან, 2009 და 2010 წლებში წინა წლებთან შედარებით მონაცემების ზრდა აიხსნება იმით, რომ 2009 წლიდან აღნიშნული მოიცავს სოფლის ამბულატორიებში რეგისტრირებულ შემთხვევებსაც. ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა დაავადებების უფრო სრულყოფილად აღრიცხვისთვის 2006 წლიდან საქართველოში დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-10 ვერსიის მიხედვით მოხდა ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების დამოუკიდებელ კლასებად გამოყოფა.

დაავადებათა აღნიშნულ ჯგუფებთან ერთად, საინტერესოა განვიხილოთ აივინფექციის, შიდსის შემთხვევების რაოდენობა. საანალიზო პერიოდში დაფიქსირდა როგორც მთლიანად (ყველა) რეგისტრირებული შემთხვევის, ასევე ახალი შემთხვევების მკვეთრი ზრდა. 2000 წელს აივინფექციის 186 შემთხვევა დაფიქსირდა, 2010 წელს კი იმავე მაჩვენებელმა 2609 შეადგინა. აქედან ახალი შემთხვევები 2000 წელს იყო 79, 2010 წელს კი – 439. შესაბამისად, სულ რეგისტრირებული შემთხვევებისთვის დაფიქსირდა ზრდის ტემპი – 1402.7%, ახალი შემთხვევებისთვის კი ზრდის ტემპი – 555.7%.

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოში ჯანდაცვის განვითარება 2000 – 2010 წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებით ხასიათდება. ამ ცვლილებების დიდ უმრავლესობას დადებითი ხასიათი აქვს, თუმცა ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით შეინიშნება უარყოფითი მომენტებიც. მაგალითად, მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლები დაავადებათა ცალკეული ჯგუფების მიხედვით საანალიზო პერიოდში გაიზარდა, მაშინ, როდესაც საწოლების რიცხვი საავადმყოფოებში თითქმის განახევრდა. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი დაავადების ზრდაზე, როგორცაა აივინფექცია, ანუ შიდსი: თუ 2000 წელს დაფიქსირდა 186 შემთხვევა, 2010 წელს მან შეადგინა 2609, ანუ ეს მაჩვენებელი გაიზარდა დაახლოებით 14-ჯერ. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია სათანადო სოციალური პოლიტიკის გატარება.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. მე-4 შვესებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.
2. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №2, თბ., 2011.
3. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
4. [www.presa.ge](http://www.presa.ge)
5. [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

**THE MODERN TENDENCIES OF HEALTHCARE IN GEORGIA  
SUMMARY**

According to our statistical analysis, the development of healthcare in Georgia in 2000-2010 can be characterised by important qualitative and quantitative changes. Although, the majority of these changes have positive characteristics, the reforms have some negative elements, as well. For instance, prevalences of many diseases have been increased during the research period, while the stationary capacity in hospitals has been reduced to almost half of what was before. In addition, special attention should be paid to the raised incidence of diseases such as HIV infection and AIDS; this index, being 186 in 2000, became 2609, around 14 times amplified, in 2010. Developing the appropriate social policy is essential to solve this crucial problem.

*ირაკლი მაკალათია*

**სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სიმდიდრის დაგროვებაში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად აღიარების საკითხი დაისვა XVII საუკუნის მეორე ნახევარში ფიზიოკრატული სკოლის მიერ. ფ. კენე სიმდიდრის წყაროდ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ შრომას თვლიდა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელმა უილიამ პეტიმ ყურადღება მიაქცია სიმდიდრის ორ ფაქტორს – შრომასა და მიწას. „ვაჭრობა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მას არ შეუძლია სიმდიდრის გამრავლება, ერის გამდიდრება მხოლოდ წარმოების გზით შეიძლება მოხდეს.“

საქართველოს, ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების ასპექტით, სოფლის მეურნეობას, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგის განვითარებას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის იმ პრიორიტეტულ დარგს, რომლის აღორძინებაც საშუალებას იძლევა, ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკური დოვლათის მომტანი გახდეს.


საქართველოს უდიდესი აგრარული პოტენციალი გააჩნია, რომლის სათანადოდ გამოყენება ვერ ხერხდება. ქვეყანას რეალურად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მთავარია მოხდეს იმ პოტენციალის რეალიზაცია, რომელიც შემდგომში სოფლის მეურნეობის განვითარებას გამოიწვევს.

ბოლო წლებში, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად, იზრდება როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა. ხოლო, რაც შეეხება მათ პროცენტულ შემადგენლობას მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობაში, 2011 წლისათვის ქალაქის მცხოვრებლები შეადგენდა 53%-ს, ხოლო სოფლის – 47%-ს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, ამასთან, ეს თანაფარდობა ბოლო 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად არც დარღვეულა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველო ტრადიციულად აგრარულ ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება და ამ დარგის განვითარების დიდი პოტენციალიც გააჩნია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში მცხოვრებლად დარგისტრირებულთაგან, შრომისუნარიანი მამაკაცების დიდი ნაწილი სამუშაოდ ან ქალაქშია წასული, ან უცხოეთში. სოფლის მეურნეობის წახალისების შემთხვევაში კი შესაძლებელია ეკონომიკის ამ დარგში სოფლიდან წასული იმ სამუშაო ძალის უკან

დაბრუნება და დასაქმება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში უმთავრეს როლს შეასრულებს.

**სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში<sup>63</sup>**  
(პროცენტობით)

დიაგრამა №1



ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). მშპ-ის ზრდის მიუხედავად, მშპ-ის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობას მცირე პროცენტული წილი უჭირავს და, ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ წლების განმავლობაში ხასიათდება კლების ტენდენციით, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითი მოვლენაა ქართულ ეკონომიკაში. სოფლის მეურნეობაში არ იწარმოება იმ ღირებულების პროდუქცია, რომელიც მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გახდებოდა მშპ-ის ფორმირებაში. მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში 2011 წელს ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობისა (17,3%) და ვაჭრობის (17,3%) დარგები, შემდგომ პოზიციებს იკავებს სახელმწიფო მმართველობა (11,7%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,6%) და სოფლის მეურნეობა (9,3%).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობასა და მეცხოველეობას წლების განმავლობაში თითქმის თანაბარი ხვედრითი წილი უჭირავთ. მაგ., 2010 წლის მონაცემებით, მემცენარეობამ მთლიან გამოშვებაში შეადგინა 40%, ხოლო მეცხოველეობამ – 57%. ეს თანაფარდობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვეყნის მთავრობამ სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ მიმართული ეკონომიკური პოლიტიკა თანაბრად უნდა გაატაროს როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის დარგის ასაღორძინებლად.

განვიხილოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში არსებული ვითარება.

სოფლის მეურნეობის კულტურების მთლიანი ნათესი ფართობების შემცირება 1998 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. 1998-2010 წლების პერიოდში ნათესი ფართობები 616,1 ათასი ჰა-დან 275,3 ათას ჰა-მდე შემცირდა. რაც შეეხება 2003-2010 წლების პერიოდს, სოფლის მეურნეობის მემცენარეობის დარგის განვითარებისაკენ კონკრეტული ნაბიჯები

<sup>63</sup> იხ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010. თბილისი 2011, გვ. 17 და [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo)

არ გადამდგარა. შედეგად ნათესი ფართობები 2-ჯერ და უფრო მეტად არის შემცირებული და შესაბამისად შემცირებულია მემცენარეობის პროდუქტების წარმოება<sup>64</sup>.

**ხორბლის ნათესი ფართობი** მცირდება 117,3 ათ. ჰა-დან 50 ათ. ჰა-მდე, ხოლო მისი წარმოება 225,4 ათ. ტონიდან 48,4 ათ. ტონამდე. **სიმინდის ნათესი ფართობი** – 197,6 ათ. ჰა-დან 108,6 ათ. ჰა-მდე, მისი წარმოება კი – 461,9 ათ. ტონიდან 141,1 ათ. ტონამდე. **ლობიოს ნათესი ფართობი** – 10,7 ათ. ჰა-დან 7,2 ათ. ჰა-მდე, წარმოება კი 12,1 ათ. ტონიდან 5,8 ათ. ტონამდე. **კარტოფილის ნათესი ფართობი** – 37,6 ათ. ჰა-დან 21,2 ათ. ჰა-მდე, წარმოება 425,2 ათ. ტონიდან 228,8 ტონამდე. **ბოსტნეული ნათესი ფართობი** – 40,4 ათ. ჰა-დან 24,4 ათ. ჰა-მდე, ხოლო მისი წარმოება 430,1 ათ. ტონიდან 175,7 ათ. ტონამდე.

მსგავსად მემცენარეობისა, არასახარბიელო სურათია მეცხოველეობაშიც. 2003-2010 წლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1 242 500 სულიდან 1 049 400 სულამდე შემცირდა, ღორის – 473 800 სულიდან 110 100 სულამდე, ცხვრისა და თხის – 722 200 სულიდან 653 900 სულამდე. შესაბამისად, ამ პერიოდში ხორცის წარმოება შემცირდა 1,9-ჯერ, ხოლო რძის – 1,3-ჯერ. მოცემულ წლებში შემცირებულია როგორც კვერცხის, ასევე მატყლის წარმოება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან ფულად შემოსავლებში ყოველ წელს მცირდება, ხოლო 2003-2010 წლებში 10,2%-დან შემცირდა 6,7%-მდე. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები მცირე ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ქვეყნის მთლიან შემოსავლებში. რაც შეეხება სოფლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წონა ფულად შემოსავლებში 2010 წელს შეადგენდა 16,6%-ს, მაშინ, როცა პენსიებისა და დახმარებების ხვედრითმა წონამ 21,4% შეადგინა. ასეთი ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო, რომელიც ტრადიციულად აგრარულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება და ხასიათდება ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ვერ ახერხებს მის სათანადოდ ათვისებასა და გამოყენებას, რათა მატერიალური დოვლათის მომტანი გახდეს როგორც ქვეყნისათვის, ასევე ამ დარგში დასაქმებულთათვის.

უმუშევრობის დონე ქალაქში უფრო მაღალია ვიდრე სოფელში, თუმცა ეს მაჩვენებელი სულაც არ მიანიშნებს იმაზე, რომ სოფლის მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემა არ არსებობს. საქართველოს რეგიონებში დასაქმებული მოსახლეობის (რომლის უმრავლესობასაც ძირითადად სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვს) უმეტესობა თვითდასაქმებულთა რიცხოვნობაში ითვლება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ გააჩნიათ 1 ჰექტარი ან მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი. ამდენად, თვითდასაქმებულთა ეს ნაწილი რეალურად დასაქმებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამის გაუთვალისწინებლობა საქართველოში უმუშევრობისა და დასაქმების შესახებ მდგომარეობის შეფასებისას, არასწორ სურათს იძლევა. შედეგად მივიღეთ, რომ **2010 წელს უმუშევრობის დონემ სოფელში შეადგინა 7.9%, ხოლო დასაქმების დონემ – 65.5%**<sup>65</sup>. სოფელში 1 097 100 სამუშაო ძალიდან დასაქმებულია 1 010 900 კაცი, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩივს, რომ სოფელში დასაქმებულ ადამიანებში თვითდასაქმებულების წილი შეადგენს 82.5%-ს, ანუ 815 700 დასაქმებულიდან უმეტესობა ოჯახში უსასყიდლოდ მომუშავე წევრები არიან.

სურსათის შექმნაზე გაწეული ხარჯები სამომხმარებლო ფულად ხარჯებში 2010 წელს შეადგენდა 41,4%-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის მიერ სურსათის შექმნაზე საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება და ამ

<sup>64</sup> იხ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010. თბილისი 2011, გვ. 35-40

<sup>65</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

შემთხვევაში სასურსათო პროდუქტებზე მაღალი ფასები უარყოფითად მოქმედებს როგორც მომხმარებელთა ქცევაზე, ასევე ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.


შინამეურნეობებში კვების პროდუქტების შექმნაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მნიშვნელობები ყოველ წელს იზრდება, მაშინ, როცა ამავე შინამეურნეობებში მცირდება ისეთი კვების პროდუქტების მოხმარება, როგორებიცაა: პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, კვერცხი, ხილი, ყურძენი, ბოსტნეული და კარტოფილი, შაქარი, თაფლი, შოკოლადი და საკონდიტრო ნაწარმი. კვების პროდუქტების შექმნაზე გაწეული ხარჯების ზრდა კი მიღწეულია თითოეულ ამ პროდუქტზე ფასების ზრდით<sup>66</sup>.

წლიური ინფლაციის დონის დინამიკაში განხილვისას საინტერესო სურათს იძლევა სამომხმარებლო ფასების ინდექსები გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით. ჩვენ არ განვიხილავთ ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებლების სანდოობას, მხოლოდ ინფლაციისა და სასურსათო საქონელზე ფასების ზრდას შორის არსებული კორელაციური კავშირის ტენდენციებს ვაჩვენებთ. მაგ., თუ 2011 წელს ინფლაციის დონე შეადგენდა 2%-ს, სასურსათო საქონელზე ფასების ზრდამ 1% შეადგინა<sup>67</sup>. ტენდენცია თითქმის უცვლელია წინა წლებშიც. ამ ორ მოვლენას შორის არსებობს მაღალი კორელაციური კავშირი (0.919), რომლის მიხედვითაც, სასურსათო საქონელზე ფასების 1%-ით ზრდა გამოიწვევს ინფლაციის 0.5%-ით ზრდას. შესაბამისად, სასურსათო საქონელზე დაბალანსებული ფასები ინფლაციაზე ბრძოლის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ მოხდეს სასურსათო საქონელზე ფასების კლება, საჭიროა განვითარდეს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. სამამულო წარმოებით მიღებული პროდუქციის დაბალი ფასები იმპორტირებულ საქონელთან შედარებით მიღწეული იქნეს ამ პროდუქტებზე დაბალი თვითღირებულებით. აქ უკვე უნდა მოხდეს სახელმწიფოს ჩარევა, რომ მთელი რიგი საშუალებებით უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შედარებით დაბალი თვითღირებულება.

### სურსათის ექსპორტი და იმპორტი საქართველოში (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა №2



<sup>66</sup> იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, გვ. 20 და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2010, გვ. 50.

<sup>67</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2010, გვ. 230.

განვიხილოთ სურსათის ექსპორტი და იმპორტი საქართველოში (დიაგრამა №2). როგორც დიაგრამიდან ჩანს, სურსათის იმპორტი საქართველოში იზრდება წლების განმავლობაში, 2011 წელს კი სურსათის იმპორტმა 5-ჯერ გადააჭარბა ექსპორტს. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ მოცემულ წელს, სურსათის იმპორტი ქვეყნის მთლიან იმპორტში შეადგენდა 14,3%-ს, მაშინ, როცა სურსათის ექსპორტის წილმა ქვეყნის მთლიან ექსპორტში 8,6% შეადგინა.<sup>68</sup>

2003-2011 წლებში ხორბლის იმპორტი 27,9 ათ. ტონიდან გაიზარდა 325,1 ათ. ტონამდე, ხოლო კარტოფილის იმპორტი კი 0,8 ათ. ტონიდან 21,8 ათ. ტონამდე. თავის მხრივ, ხორცის იმპორტი გაზრდილია 8-ჯერ, ბოსტნეულის კი – 23-ჯერ.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებისათვის ბანკების მიერ შეთავაზებული დაბალ საპროცენტო განაკვეთიანი სესხები, ამ ადამიანებს საშუალებას მისცემს, გაზარდონ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ხარჯები, ამასთან ერთად ამ დარგში დასაქმებულთათვის შეღავათების მიცემა (სათესლე მასალის გლეხებისთვის უფასოდ დარიგება ან შეღავათიან ფასებში მიყიდვა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობა და სხვ.) წარმოადგენს დასაქმებულთა სტიმულს, აწარმოონ მეტი პროდუქცია ვიდრე ამას დღეს აკეთებენ და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მეტი შემოსავალი მიიღონ, რაც მომავალში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდასაც გამოიწვევს. ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური ღონისძიებების გატარება წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულებასაც შეამცირებს და გლეხს შესაძლებლობა მიეცემა, მის მიერ წარმოებული პროდუქცია ქართულ ბაზარზე უცხოეთიდან იმპორტირებულ პროდუქტზე ნაკლებ ფასად გაიტანოს და მას კონკურენციაც გაუწიოს, ხოლო ეროვნული წარმოების პროდუქციის ბაზარზე ჭარბი რაოდენობით გამოსვლა კი გამოიწვევს საზღვარგარეთიდან შემოტანილი ანალოგიური პროდუქციის ჩანაცვლებას და მისი ექსპორტირების შესაძლებლობას. უცხოეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის შემცირება კი დამატებითი სტიმული გახდება ადგილობრივი მწარმოებლებისათვის. ცხადია, თავისუფალ საბაზრო პირობებში ამის მიღწევა ძნელია, მაგრამ ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას იმპორტირებულ საქონელზე ხარისხის კონტროლის გამკაცრებით, რაც, ერთი მხრივ, მომხმარებელს დაიცავს უხარისხო პროდუქციისგან, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივ მწარმოებელს ქართულ ბაზარზე გასვლის მეტ შესაძლებლობას მისცემს.

დღეისათვის საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების სათანადოდ გამოყენება და სოფლის მეურნეობის აღორძინება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს, უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, თბ., 2011.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2010.
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2007.
4. www.geostat.ge

<sup>68</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=751&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo)



**PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF AGRICULTURAL ECONOMY IN GEORGIA  
SUMMARY**

The article „Prospects for the agricultural economy development in Georgia” discusses the modern situation of the agricultural economy in Georgia.

The situation in the fields of plant and livestock of the Georgia agriculture is described there. There are researched employment and unemployment problems in the village.

Food expenditure in the cash expenditure on consumption has been calculated. Correlation connection between inflation rates and increases in food prices have been revealed and have been made appropriate conclusions.

Also there have been observed the figures of export and import of food products in dynamics and the ways of rural development in Georgia have been presented.

*Мамедова Натаван Расим*

**КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТЬ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ  
В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛЬНОГО ФИНАНСОВОГО КРИЗИСА**

Конкурентоспособность на сегодняшний день является одним из актуальных вопросов во всем мире. Это наиболее важный путь достижения экономического роста и устойчивого социального развития. Определение конкурентоспособности имеет достаточно широкие рамки охвата. Вокруг понятия конкурентоспособности до сих пор не существует консенсуса. Это вполне понятно для термина, являющегося пограничным между теорией и практикой, между экономическими исследованиями и экономической политикой. Единственная сфера согласия, которая появилась в последнее время, состоит в том, что конкурентоспособность – действительно ключевая концепция. Вряд ли найдется промышленно развитая страна, которая бы не пыталась проанализировать конкурентоспособность своей экономики. Для многих из них это даже стало ключевым приоритетом, и лучшим примером здесь является Европейский Союз, подход которого представлен в Лиссабонской стратегии.

Self-presentation/ Self-disclosure	High	Blogs	Social networking sites (e.g., Facebook)	Virtual social worlds (e.g., Second Life)
	Low	Collaborative projects (e.g., Wikipedia)	Content communities (e.g., YouTube)	Virtual game worlds (e.g., World of Warcraft)

**Figure 3.** Classification of Social Media by presence/media richness and self-presentation/self-disclosure

*Source: Kaplan/Haenlein, 2010, p.62*

There are a lot of opportunities, why the companies must use social media, in their marketing activities and in my opinion, these opportunities are most important for Georgian companies in real time.

As it was mentioned, because of its rapidly growing popularity social media is the top of the agenda for the management of many companies nowadays. There are different lists of chances social media offers to businesses available in different studies.

Social media costs almost nothing and at the same time it works for branding as soon as company gets its name in front of the right people. Social media gives possibility to build relationships with consumers, detect and correct customer problems or complains, get customer feedback and input on new product designs or changes. Social media sells products and services when opportunities arise and cast a wide net to catch the target market (Zimmerman/Sahlin, 2010, p.15-20).

Social media gives benefits to the different areas of the company: internal communications, customer relationship, public relationship and sales (Thomas/Barlow, 2011, p.133-175).


Brown (2010) mentions that companies can acquire new customers, gather feedback from the customers or communities, raise awareness of the community efforts and connections, build own community network. "The beauty of social media is that the benefits can apply to you no matter who you are or what your business is – independent practitioner, librarian, government agency, corporation or non-profit" (Brown, 2010, p.49).

So it is a good possibility for Georgian companies, establish and increase their brand names online and they will became well-known in many counties.

Success of the social media campaign depends on correct usage and control (as it is possible) the behavior of participants of social media. There are many social media participants which have different level of engagement in social media.

Bernoff and Li (2007) introduced The Social Technographics Ladder, a report explaining the classification of people according to how they use social technologies. Authors divided them in different groups as it is in the figure below. It is The Social Technographics Ladder which shows what the different groups of participants do: (Brooke, 2010).






**Figure 3. Social Media Ladder**  
 Source: Forrester Research, 2010

According to this ladder companies can examine how they are represented in any subgroups and determine which types of strategies to use to reach their customers. There are different overviews about how to build successful social media of the company available in different sources. Most of the theories have mentioned the same preconditions of successful social media engagement.

According to Kreutzer (2012) there are several main steps in order to build successful and efficient social media of the company. For a better understanding of these steps, he proposes “Social-Media-House” (chart 4):



**Figure 4. Social-Media-House**

Source: How to use social media effectively and efficiently: The social media house, Kreutzer, 2012

In the beginning company should analyze the status quo of the social media usage which means the identification of the characteristics and expectations of own target groups, evaluation of third parties regarding the company's activities and evaluation of relevant social media activities of the competitors'. After analyzing the current usage of social media companies should develop a social media concept. It means identification of the targets company wants to achieve with social media engagement, strategies and instruments they want to use for it, responsibilities, budget and guidelines for social media and ways to control it. The third step is choosing the appropriate social media platforms and integration of all measurements taken offline and online into the social media employed. The final important step for social media engagement is social media monitoring.

In Georgia social media is a new field, but it becomes more and more popular. Companies in Georgia are presented on social media but there are many rooms of improvement. The companies working in B2B industry don't see the usage of social media. Companies which are from B2C industry use almost all social media platforms, but there is lack of measurement and monitoring system. Also all companies, even which are exporting the products abroad, are using social media only for Georgian customers.

The main problem is that there is lack of information and not enough number of experts in Georgia. Most companies have no responsible persons of social media.

David Birmann, Social media expert in Georgia, in his interview, which was published in Commercant Magazine in January 2012, mentioned, that last year was "social media discovery year" for Georgian companies. But he sees many mistakes in there campaigns. Companies do not think about the targets they want to achieve with social media. Another problem he mentioned is lack of social media professionals and information in this area. (Commercant, 2012).

I hope that our companies will study, how they can use this possibility affectively and this field will become major platform for introduce Georgian product to the Global market.

*Rukhaia Nino*

## **SOCIAL MEDIA MARKETING – OPPORTUNITY FOR GEORGIAN EXPORTERS SUMMARY**

No one will refuse the importance of export for countries economic stability and I think all Georgian economists are worried by increasing difference between export-import. In my opinion in global economy, Georgia can produce competitive product for global market, for example, in agricultural field. But it needs a lot of money to introduce the companies, brands or products to the foreign market and as a rule, Georgian companies and farmers have no enough money for promoting proper marketing campaign. In this topic, I want to talk about social networking and Social Media Marketing, as an opportunity for Georgian companies on the way to global market. Here you can see the major platforms of social media, the advantages of using social media marketing and also analyze of situation in Georgia in this field.

*ნინო სამკეკელაშვილი*

### **დასაქმების და უმუშევრობის პრობლემები და მისი ბაზარის გზები საქართველოში**

შრომის უფლება ადამიანის უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო უფლებათა რიგს მიეკუთვნება, ნებისმიერი საზოგადოების წევრთა უმრავლესობისათვის შრომითი შემოსავალი ფიზიკური არსებობისა და მატერიალური კეთილდღეობის საფუძველია. ამასთან, შრომა არის პიროვნების თვითრეალიზაციის, საზოგადოებაში დამკვიდრების, მისი გონებრივი და სულიერი პოტენციალის გამოვლენის საშუალება. ამის გამო უმუშევრობა აღიარებულია არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ პრობლემად. სწორედ ამიტომ, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება მიზანმიმართულად ზრუნავს საკუთარი მოქალაქეების დასაქმებაზე, ებრძვის უმუშევრობას.

დასაქმება და უმუშევრობა აუცილებლად დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესთან. ცხადია, ეკონომიკური ზრდა მთლიანობაში ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, მაგრამ, თავის მხრივ, დასაქმების სტრუქტურა, მისი ეფექტიანობა (მწარმოებლურობა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვით ეკონომიკის განვითარების დინამიკაზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაჩვენებელი, რომლის ქვეშ იგულისხმება 15 და მეტი წლის ასაკის ადამიანები, რომლებიც დასაქმებულია ან უმუშევარია.

დასაქმებულად კი ითვლება 15 და მეტი წლის მოსახლეობა, რომლებიც დაკავებულია ეკონომიკური საქმიანობით.

• **დაქირავებულ მუშაკად** ითვლება პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების მიღების მიზნით, აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულებაში ყოფნის, ავადმყოფობის, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

• **თვითდასაქმებულად** ითვლება პირი (მესაკუთრე), რომლის დასაქმების მიზანია მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღება, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

შრომის სტატისტიკაში გამოიყენება ორი მაჩვენებელი:

- უმუშევრობის დონე;
- უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობა.


**უმუშევრობის დონის მაჩვენებელი** გამოიყენება უმუშევრობის მასშტაბების შესაფასებლად და გაიანგარიშება როგორც ოფიციალურად დარეგისტრირებულ უმუშევართა წილი მთლიანად დასაქმებულთა რიცხოვნობაში.

**უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობა** ახასიათებს მუშაობაში წყვეტილობის საშუალო დროს.

პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისმა და მოუწყობელმა საგარეო ურთიერთობებმა ექსტრემალური ვითარება შექმნა საქართველოში და ძალზე გაამწვავა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით რეგიონებში. ყოველივე ეს აისახა შრომის ბაზრის განვითარებაზე: მკვეთრად შემცირდა დასაქმება, წარმოიშვა რეგიონული და გენდერული დისპროპორციები, გაიზარდა უმუშევრობა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოს ყველა ხელისუფლება დღის წესრიგში აყენებდა უმუშევრობის აღმოფხვრასა და სიღარიბის დამარცხებას. ამჟამად, მიუხედავად რეფორმებისა, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ რჩება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გადაუღალახავ პრობლემად.


მთელი მოსახლეობის რიცხოვნობა ჩვენს ქვეყანაში 2010 წელს საქსტატის მონაცემებით იყო 4436,4 ათასი ადამიანი. აქედან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა იყო – 2350,5 ათასი ადამიანი, ხოლო სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა კი – 2085,9 ათასი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობად ითვლება 15 და მეტი წლის მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია ეკონომიკური საქმიანობით და უმუშევრები (ნახ. 1).

ნახ. 1-დან ჩანს, რომ 2005 წლიდან 2010 წლამდე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შემცირდა 79 ათასი ადამიანით. ეს გამოწვეულია ორი გარემოებით: ჯერ ერთი, შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტი ყოველწლიურად იკლებს მოსახლეობის ბუნებრივი მატების თანდათანობითი შემცირების გამო, რაც რამდენიმე ათწლეულია მიმდინარეობს; მეორეც, გარე მიგრაციაში მონაწილეობს სწორედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.




ნახ. 1. სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი)

2010 წელს დასაქმებულების რიცხოვნობა 2005 წელთან შედარებით 116,5 ათასი კაცით შემცირდა (იხ ნახ. 2). სამუშაო ადგილების უმეტესი წილი კერძო სექტორზე მოდის.



ნახ. 2. დასაქმებული მოსახლეობის დინამიკა წლების მიხედვით (ათასი კაცი).

2005-2010 წლებში დაქირავებულების რიცხვი გაიზარდა 18,1 ათასი კაცით, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხვი კი შემცირდა 136,2 ათასი კაცით (ნახ.3). ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კერძოდ ახალი სამუშაო ადგილები იქმნება, მაგრამ მათი შენარჩუნება ყოველთვის ვერ ხერხდება.




ნახ. 3. დასაქმებულებიდან დაქირავებულები და თვითდასაქმებულები (ათასი კაცი)

ნახ. 3-დან ჩანს, რომ 2010 წლის მდგომარეობით, მთლიანად დასაქმებულებში თვითდასაქმებულთა რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება დაქირავებულთა რაოდენობას. ასეთი მოვლენა დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ეს ხდება მესაკუთრეთა ხვედრითი წილის გაზრდის ხარჯზე.


2005-2010 წლებში საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მაქსიმალური დონე დაფიქსირდა 2009 წელს. ნახ. 4-დან ჩანს, რომ 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, რამდენადმე შემცირდა, თუმცა ამ მაჩვენებლების მიხედვით რთულია ცვლილებების ტენდენცია დადებითად შეფასდეს, ვინაიდან უმუშევრობის 18.7 ათასით შემცირების მიუხედავად, იგი წლების მანძილზე განუწყვეტლივ იზრდებოდა, მაგალითად 2010 წელს, 2007 წელთან შედარებით, 55,9 ათასით გაიზარდა.

უმუშევარი მოსახლეობის დინამიკა (ათასი კაცი) (ნახ. 4)



მოყვანილია უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში (პროცენტებში).

უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში (პროცენტებში) (ნახ. 5)



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის უსასყიდლოდ მომუშავე წევრები, რომლებიც თვითდასაქმებულთა უმრავლესობას წარმოადგენენ, არ არიან რეალურად დასაქმებულები. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხებათ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლის უმრავლესობასაც ძირითადად სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვთ. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულთა რიცხოვნობაში ითვლება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ გააჩნიათ 1 ჰექტარი ან მეტი

ფართობის მიწის ნაკვეთი. ამდენად, თვითდასაქმებულთა ეს ნაწილი რეალურად დასაქმებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამის გაუთვალისწინებლობა საქართველოში უმუშევრობისა და დასაქმების შესახებ მდგომარეობის შეფასებისას არასწორ სურათს იძლევა, რაც კარდინალურად შეცვლის ნახ. 5-ის მონაცემებს.

უმუშევრობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის განსაკუთრებულად დამახასიათებელი ნიშანია, თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან გამოკვეთილი ხასიათი მან საქართველოში მიიღო. 2007 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონემ 13,3% შეადგინა, ხოლო 2010 წელს იგი 17%-მდე გაიზარდა.

უმუშევრობისა და დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის ამსახველ ოფიციალურ სტატისტიკას მრავალი მკვლევარი და ექსპერტი სამართლიანად აყენებს ეჭვის ქვეშ. ასევე არის კიდევ სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი (ექსპერტული შეფასებით თითქმის მილიონამდე ადამიანი), რომლებიც, როგორც საქართველოს მოქალაქეები, შრომით საქმიანობას ეწევიან უცხოეთის ქვეყნებში (ძირითადად არალეგალურად) და საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან დადებული არალეგალურად მცხოვრებთა რეადმისიის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მათი დიდი ნაწილი, შესაძლებელია, უკან, საქართველოში დააბრუნონ რაც გამოიწვევს დასაქმების პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას.

ჩვენი აზრით, ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ ეტაპზე უმუშევრობის პრობლემის დაძლევის მიმართულებით, შეიძლება მოკლედ შემდგენილად ჩამოყალიბდეს:

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების დონისკვეთრად ამალღების მიზნით საჭიროა შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა.

- საჭიროა დაზუსტდეს უმუშევართა რიცხოვნობა. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს უმუშევართა რაოდენობისა და დონის მეცნიერულად არგუმენტირებული მეთოდიკა, რომლის მიხედვით გათვლებიც საფუძვლად უნდა დაედოს დასაქმების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებას.

- მიზანშეწონილია გადაიხედოს და შესაბამისი კორექტივები იქნეს შეტანილი ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში იმ კუთხით, რომ წინა პოლანზე წამოიწიოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების პრობლემამ.

- რადიკალურად უნდა შეიცვალოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კადრების მომზადების დაგეგმვის ტექნოლოგია. იგი უნდა დაეფუძნოს შრომის ბაზრის მოთხოვნილებათა პროგნოზულ პარამეტრებს.

- ქვეყნის საგადასახადო სისტემა მაქსიმალურად უნდა იქნეს ორიენტირებული არა მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებაზე.

- უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს ახალი შრომითი კანონმდებლობა, რომელიც თანაბრად დაიცავს დამსაქმებლისა და დასაქმებულთა ინტერესებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრავს დაქირავებულ მუშაკთა სოციალურ გარანტიებს.

- უნდა შემუშავდეს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების, ბიზნესის სფეროში მონოპოლიზაციის აღკვეთის სპეციალური პროგრამები. მთავრობის სტრუქტურაში უნდა შეიქმნას შესაბამისი ანტიმონოპოლისტური სამსახური.

- უნდა შემუშავდეს ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკის დასაქმებადტევად დარგებში ინვესტიციების მოზიდვას.

• უნდა აღდგეს და განვითარდეს უმუშევართა დასაქმების ინსტიტუტები. სამუშაოს გარეშე მყოფ ადამიანებს კანონმდებლობით უნდა განესაზღვროს მათი არსებობისა და შემდგომი რეაბილიტაციისათვის საკმარისი სოციალური გარანტიები.

ამრიგად, პერსპექტივაში, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ტემპებზე, მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებაზე, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე და სამუშაო ძალის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

*Samchkuashvili Nino*

**PROBLEMS OF EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT  
AND ITS SOLVING WAYS IN GEORGIA  
SUMMARY**

In the article is considered present situation employment and unemployment in Georgia. Nowadays in spite of reforms unemployment and poorness still is one of the insuperable problem in our country. So we give some recommendation how to solve these problems. It is analyzed active population (labor force), employed and unemployed persons, and unemployment rate.

In perspectives to solve the problems of employment and unemployment will be significantly dependent of rate of independent economical development, business development, investment climate growth, employment quality and competition increase.

*კონსტანტინე სულამანიძე*

**რისკების მართვა საბანკო ფინანსურ-ანალიტიკურ საქმიანობაში**

საბანკო საქმიანობის რისკების მართვა კომპლექსური პროცესია, რომლის დროსაც ბანკის მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს ყველა იმ რისკის პროგნოზი, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ბანკის ყოველდღიურ საქმიანობასთან. მსხვილ უნივერსალურ ბანკებში, სადაც საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრია წარმოდგენილი, რისკის მართვა რთულია და ბანკის მენეჯმენტისაგან ძალისხმევას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მენეჯმენტმა თითოეული ტრანსაქციის დონეზე და ბანკის საქმიანობის ყველა მიმართულების შესწავლისა და ღრმა ანალიზის საფუძველზე უნდა მოახდინოს რისკის დროული იდენტიფიცირება ყველა საბაზრო ფაქტორის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ საბანკო საქმიანობას თან სდევს მრავალი სახის რისკი, ბანკები მაინც მოწოდებული არიან, შეინარჩუნონ საიმედოობა და მდგრადობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რისკების მართვა წარმოადგენს ბანკის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას. იგი გულისხმობს: *ჯერ ერთი*, საბანკო საქმიანობაში რისკების ძირითადი სახეების განსაზღვრას; *მეორე*, რისკების ზემოქმედების ანალიზს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; *მესამე*, რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი მიდგომების ანალიზს; *მეოთხე*, რისკების მართვის თანამედროვე სისტემების და მეთოდების ჩამოყალიბებას; და, ბოლოს, *მეხუთე*, რისკების მართვაზე კონტროლის დაწესების საკითხების შესწავლას, რისკის შეფასებასა და მასზე მონიტორინგის განხორციელებას; აღნიშნული საკითხების მეთოდურ-ლოგიკური თანმიმდევრობა დაედო საფუძველად ჩვენ მიერ საბანკო საქმიანობაში რისკების მართვის პრობლემების შესწავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ საბანკო ფინანსურ-ანალიტიკურ საქმიანობაში რისკების ძირითადი სახეები და შემდეგ – თანმიმდევრობით ზემოთ აღნიშნული საკითხები.

საბანკო საქმიანობის პრაქტიკა გვჩვენებს რომ, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი რისკი ძალიან ხშირად გამოიყენება, თვით რისკის ცნების მრავალმხრივობის გამო, იგი შეიძლება სხვადასხვანაირად განვმარტოთ, ყველაზე უფრო ფართო გაგებით, რისკს უწოდებენ ამა თუ იმ მოვლენის მომავალში მოახლოების გაურკვეველობას.


რაც შეეხება რისკის უფრო კონკრეტულ განსაზღვრას, მასზე მოქმედებს ეკონომიკის დარგის მდგომარეობა, რომელიც ამ რისკს წარმოშობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო საქმიანობაში რისკი ნიშნავს იმის ალბათობას, რომ შეიძლება წარმოიშვას ისეთი მოვლენა, რომელიც არასასურველად იმოქმედებს მოგებაზე ან კაპიტალის მოცულობაზე. ნობელის პრემიის ლაურეატი მერტონი რისკს განმარტავს, როგორც ალბათობას დანაკარგების ზრდის და არა შემოსავლების შემცირების<sup>75</sup>, რასაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით შემდეგი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე: 1. მოსალოდნელი რისკების დივერსიფიკაციისათვის იქმნება სარეზერვო ფონდები; 2. რისკები უშუალოდ კაპიტალის ინვესტიციებთან არის დაკავშირებული და არა შემოსავლების მიღებასთან; 3. გაწეული კაპიტალდაბანდებებიდან არაყის არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი შემოსავლის მიღების სიდიდე. 4. გაწეული ხარჯების მოცულობა შეიძლება წინასწარ განსაზღვროს, ხოლო რისკების წინასწარ გათვალისწინებით შემოსავლების მიღების შესაძლებლობების განსაზღვრა შეუძლებელია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რისკების მართვის ფუნქცია მოიცავს და ამასთანავე გულისხმობს საბანკო საქმიანობის ყველა მიმართულების ანალიზს და არა მხოლოდ ერთ მიმართულებაზე ყურადღების გამახვილებას. მთელი რიგი ფინანსური რისკები დაკავშირებულია აქტიურ ოპერაციებთან, უპირველეს ყოვლისა ბანკის საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობასთან, შენატანების მოზიდვასთან, დეპოზიტებთან, ფასიან ქაღალდებთან. საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე ნაშთები ასევე დაკავშირებულია მრავალ რისკთან, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემა განსაზღვრავს ექვს ძირითად საბანკო რისკს: 1. საკრედიტო; 2. ლიკვიდობის; 3. საბაზრო; 4. საოპერაციო; 5. რეპუტაციული; 6. საკანონმდებლო. ყურადღებიდან არ უნდა გამოვგრიჩხვთ ის ფაქტი, რომ ბანკი ახორციელებს ერთდროულად აქტიურ და პასიურ ოპერაციებს, მისი ზეგავლენის შეზღუდვისათვის განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობის უზრუნველყოფასაც. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცალკეულ შემთხვევაში რისკის წარმოშობა დაკავშირებულია არსებობის პირობებთან სახელმწიფოს რეგულირების შეუსაბამობასთან. სწორედ ამიტომ აღვნიშნავთ, რომ ბანკის სტრატეგიულ ამოცანებს შორის რისკების მართვა მთავარ ამოცანას წარმოადგენს. საბანკო პრაქტიკაში რისკების უამრავი სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, მათგან სამი მთავარი კატეგორია გამოვყოთ: ფინანსური, ფუნქციონალური და ბანკისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა გარეგანი რისკები. ფინანსური რისკები დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან, კერძოდ იგი გულისხმობს საბანკო საქმიანობის მოცულობაში, შემოსავლებში, ღირებულებებში, აქტივების და პასივების სტრუქტურაში ცვლილებებს. ფუნქციონალური რისკები კი წარმოიშობა, როდესაც შეუძლებელია დროული და სრული მოცულობით ბანკის საფინანსო-სამეურნეო პროცესის გაკონტროლება, მოვარგოვით და გაგაანალიზოთ შესაბამისი ინფორმაციები. ფუნქციონალური რისკები არანაკლებ საშიშია, ვიდრე ფინანსური რისკები, მაგრამ ფუნქციონალური რისკების შეფასება რაოდენობრივად ფაქტობრივად ძალიან ძნელია. საბოლოო ჯამში, ფუნქციონალურ რისკებს ასევე მივყავართ ფინანსური დანაკარგების გაწვევამდე. ყურადღებას იმსახურებს იმის აღნიშვნაც, რომ ფინანსური და ფუნქციონალური რისკები თავის მხრივ იყოფა ქვესისტემებად, ქვეკატეგორიებად.

<sup>75</sup> Зви Боди, Роберт Л. Мертон. Финансы. «Вильямс». М., 2000, стр 328-329.



ასე მაგალითად, ფინანსური რისკები იყოფა: საკრედიტო რისკად, ლიკვიდობის რისკად, მიზნობრივ რისკებად, საპროცენტო განაკვეთების რისკად, საბაზისო რისკად, სავალუტო რისკად, საბაზრო რისკად, ინფლაციის რისკად, გადახდისუნარიანობის რისკად. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე და გავაანალიზოთ მათ შორის ურთიერთკავშირი. აღნიშნული საკითხის ნათლად წარმოდგენისათვის იხილეთ სქემა №1.

სქემა №1. ფინანსური რისკების სტრუქტურა



**საკრედიტო რისკი** ფართო გაგებით ნიშნავს შესაძლებელი ფინანსური დანაკარგების მიღებას, რომელიც წარმოებს კონტრაგენტების, უპირველეს ყოვლისა მსესხებელთა მხრიდან ვალდებულებათა შეუსრულებლობების გამო. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დარგობრივი რისკი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მსესხებლის დარგის განვითარებასა და მსესხებლის ქვეყნის მდგომარეობასთან. საკრედიტო რისკი ნათლად ჩანს ფასიანი ქაღალდების პორტფელის დაკრედიტების, ბანკთაშორისი ოპერაციების, სავალუტო ოპერაციების, გრანტის საფუძველზე მუშაობისას, ნაწარმოები ფასიანი ქაღალდების და დილერების საქმიანობაში.

**ლიკვიდობის რისკი** ეწოდება მის უნარს, დააკმაყოფილოს თავის დროზე თავისი მეანაბრებების და სხვა კრედიტორების მოთხოვნები. ლიკვიდობის რისკი განპირობებულია იმით, რომ ბანკი შეიძლება იყოს არასაკმარისად ლიკვიდური, ან პირიქით, მეტად ლიკვიდური. არასაკმარისად ლიკვიდური რისკი – ეს არის რისკი იმის გამო, რომ ბანკს არ შეუძლია დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები ან ამისათვის ბანკი

იძულებულია, არამომგებიან პირობებში გაყიდოს თავისი ცალკეული აქტივები. რაც შეეხება მეტად ლიკვიდურ რისკს, ეს არის ბანკის შემოსავლების დანაკარგების რისკი, რომელიც განპირობებულია მაღალლიკვიდური აქტივების ნაჭარბით და როგორც შედეგი დაბალი შემოსავლიდან აქტივების დაფინანსებით. ლიკვიდობის საკითხს თუ პრაქტიკულად მიუვდებით, დავინახავთ, რომ ყოველგვარი საბანკო ოპერაცია მოქმედებს ლიკვიდურობაზე, მაგრამ მთავარია შევნიშნოთ ისიც, რომ არსებობს ბანკის ლიკვიდობაზე განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორი, რომლებიც არსებობს ბანკის კონტროლის ფარგლებს გარეთ და მასზე ზემოქმედების განსაზღვრა შეუძლებელია.

ლიკვიდობა საწარმოების, მათ შორის ბანკის ლიკვიდობა ნაწარმოებია აქტივების ლიკვიდობის ტერმინისაგან. ტერმინი ლიკვიდობა ნიშნავს ფულად საშუალებებში აქტივების მოკლე დროში გარდაქმნის შესაძლებლობებს. აღნიშნული, თავის მხრივ, განისაზღვრება ორი ფაქტორით: აქტივების ნაღდ ფულად გარდაქმნის სიჩქარით და მათი ფულად გადაქცევის იძულებით პროცესში აქტივების რეალური ღირებულების შენარჩუნებით. აქვე გვინდა ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ ბანკის შესაძლებლობები, უნარყ, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, მნიშვნელოვნად განისაზღვრება მისი აქტივების ლიკვიდურობით, მაგრამ ცნება – ბანკის შესაძლებლობები უფრო რთულია, ვიდრე აქტივების ლიკვიდობა. ბანკის შესაძლებლობებს განსაზღვრავს სამი ფაქტორი: აქტივების ლიკვიდობა, პასივების მდგომარეობა და ფულადი საშუალებების მოძრაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, არასაკმარის ლიკვიდობას გადახდისუუნარობამდე და საკრედიტო ორგანიზაციის კრახამდე მიყვავართ. თუ საკრედიტო ორგანიზაცია დროულად ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს როგორც მეანაბრეების, ასევე სხვა კრედიტორების მიმართ და ეს მდგომარეობა ცნობილი ხდება, ამ შემთხვევაში წარმოიშობა ე.წ. “თოვლის კომის ეფექტი”, ანუ დეპოზიტების შემცირებისა და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ნაშთების გადინების ზვავისებური პროცესი, რომელსაც უკვე სრულ გადახდისუუნარობამდე მიყვავართ.

ბანკის ლიკვიდურობის რისკი რომ განვსაზღვროთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ხშირად შეუძლებელია, ვინაიდან ლიკვიდობის რისკზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომელიც ბანკის საქმიანობის ფარგლებს გარეთ იმყოფება და ბანკის მხრიდან გაკონტროლებას არ ექვემდებარება. საბანკო პრაქტიკაში ლიკვიდობის რისკის შესაფასებლად მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება, რომელიც მთლიანად ბანკის ლიკვიდობას კი არ აფასებს, არამედ ახასიათებს ბანკის ლიკვიდობის ერთ-ერთ მომენტს, მის შემადგენელ ერთ-ერთ მხარეს, ნაწილს.

ამ მიმართულებით ლიკვიდობის ყველაზე ცნობილ მაჩვენებელთა ჯგუფს მიეკუთვნება ბალანსის ლიკვიდობის კოეფიციენტები. ყველაზე მარტივ კოეფიციენტს, რომელიც ახასიათებს მხოლოდ აქტივების ლიკვიდობის ხარისხს, წარმოადგენს ლიკვიდური აქტივების შეფასება საკრედიტო ორგანიზაციის აქტივების ჯამთან. იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ პასივების მუდმივობა, გამოიყენება კოეფიციენტები, რომლებიც გამოსატყვევს ლიკვიდური აქტივების შეფასებას ყველაზე უფრო არამუდმივ პასივებთან. სხვა მაჩვენებლები, რომლებიც ნაკლებად ასრულებენ ლიკვიდობას, ეს არის თანაფარდობა ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებსა და ყველაზე უფრო მუდმივ პასივებს შორის, ასევე კრედიტებსა და დეპოზიტებს შორის თანაფარდობის მაჩვენებელი და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშების დროს პრინციპული მნიშვნელობა აქვს გავარკვეოთ და ვუპასუხოთ კითხვას, რომელი აქტივები ჩავთვალოთ ლიკვიდურად? პასუხი იქნება არაერთგვაროვანი. ბანკის მიმართ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს წარმოიშობა ერთი ძირითადი პრობლემა, შეიძლება განვიხილოთ თუ არა ლიკვიდურად საკრედიტო დაბანდებები, რომლებიც დაიფარება დროის უახლოეს პერიოდში, მაგრამ ამ დროის მოახლოებამდე მას ნულოვანი ბრუნვა ახასიათებს.

ცენტრალური ბანკის მიდგომიდან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივები იყოფა: მაღალლიკვიდურ აქტივებად (რომელშიც არ შეაქვთ უახლოეს საკრედიტო დაბანდებები, რომელთა დაფარვა უახლოეს პერიოდში მოხდება) და უბრალოდ ლიკვიდურ აქტივებად (რომელთა დაფარვა გათვალისწინებულია უახლოეს 30 დღეში). აღნიშნული მაჩვენებლები გამოიყენება არა ზედამხედველობის თვალსაზრისით, არამედ რისკზე შიდაკონტროლის განსახორციელებლად და, აქედან გამომდინარე, 30 დღე აქტივების ლიკვიდობის მიკუთვნებისათვის, ჩვენი აზრით, მოითხოვს დაზუსტებას, იგი მეტად მომატებულია დროის მიხედვით და მიზანშეწონილია მისი 2,5 - 3-ჯერ შემცირება. ყურადღებას იმსახურებს იმის აღნიშვნაც, რომ საბანკო პრაქტიკაში ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლებმა ფართო განვითარება მიიღოს მისი გამოყენების სიმარტივის გამო, მაგრამ მათ, ჩვენი აზრით, ერთი პრინციპული ნაკლოვანება აქვთ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ასეთი მიდგომის დროს ბანკი განიხილება არა როგორც ფუნქციონალური ორგანიზაცია, არამედ, როგორც აქტივების და პასივების პორტფელის ხარისხის მიხედვით, რომელიც მზად არის ლიკვიდობისათვის. ასეთი დაშვებები სავსებით მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს არა საზედამხედველო ან ინვესტორების მხრიდან ბანკის გარეგანი ანალიზისათვის, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელია ბანკის შიდა მმართველობითი მიზნის განხორციელებისათვის. აღნიშნულის გამოსასწორებლად აუცილებელია ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი შეივსოს და მას დაემატოს ფულადი საშუალებების მოძრაობის შეფასება, რომლის ცენტრალური ელემენტია ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ანგარიშის შედგენა. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ფულადი საშუალებების მოდინება და გადინება და მათ შორის სხვაობა.

საბანკო სისტემის ძირითად სახეებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფინანსური რისკები. აღნიშნული ტერმინი გამოხატავს იმას, რომ საბანკო რისკების მთელი ჯგუფი, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკთან ერთად, წარმოადგენს ფინანსური რისკების განმსაზღვრელ საფუძველს. ფასობრივი რისკები დაკავშირებულია აქტივების შემოსავლების და ღირებულების, ასევე ბანკის ვალდებულებათა გაუთვალისწინებელ შესაძლებელ ცვლილებებთან. ფასობრივი რისკების ამ ჯგუფიდან გამოიყოფა სამი მთავარი განსაზღვრული რისკი: საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი, საბაზრო რისკი და სავალუტო რისკი<sup>76-77</sup>.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი ეხება საკრედიტო დაბანდებებს და ასევე ვალდებულებებს. საბაზრო რისკი ეწოდება აქტივების ღირებულების ბაზარზე ცვლილებებს, ხოლო სავალუტო რისკს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს აქტივებსა და პასივებზე, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირების პროცესში ფასების ცვლილებებთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სავალუტო რისკის და საპროცენტო განაკვეთების რისკის ცვლილებას საბანკო საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია და ამ მიზეზით მათ ცალკე გამოყოფენ. რაც შეეხება დანარჩენებს, კერძოდ ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილების რისკს, ფასობრივ რისკებს მიაკუთვნებენ. აქ მხედველობაში გვაქვს არა ფასობრივი რისკების ჯგუფი, არამედ ფასობრივი რისკის ერთეული; მსგავსად შეიძლება განვიხილოთ ცალკე ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებების რისკთან ერთად, ასევე საბაზრო რისკი.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების რისკი – ეს არის რისკი იმისა, რომ ბანკის მოგების სიდიდეზე უარყოფითად მოქმედებს საპროცენტო განაკვეთის გაუთვალისწინებელი საერთო დონის ცვლილება. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების რისკი

<sup>76</sup> ი. კოვზანაძე. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი? 2001. გვ. 127 – 128.

<sup>77</sup> Ковзанадзе И.К. Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформированных стран. М., «Финансы и статистика», 2005, с. 232-235.

წარმოიშობა, როგორც საბაზრო ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთების არამყარობის შედეგი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პასიური და აქტიური ოპერაციების მიხედვით, მიუხედავად ამ ოპერაციებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულებისა, პროცენტის განაკვეთები ერთიმეორისგან განსხვავდება, მაგრამ ასევე არსებობს ამ ოპერაციებისათვის საპროცენტო განაკვეთების საერთო სტრუქტურა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ როდესაც დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს აქვთ შემცირების ტენდენცია, შესაბამისად ეცემა პირდაპირი მსესხებლების დაკრედიტების განაკვეთებიც. თუ საპროცენტო განაკვეთები მცირდება, ამ შემთხვევაში ბანკს ეძლევა საშუალება, იაფად მოიზიდოს ფონდები, მაგრამ, ამასთანავე, თავისი საშუალებების განთავსებით იღებს ნაკლებ შემოსავალს. როცა ადგილი აქვს საწინააღმდეგო ტენდენციას, მაშინ აქტიური ოპერაციებიდან შემოსავლები იზრდება და შესაბამისად იზრდება მოზიდულ რესურსებზე გადახდების მოცულობაც. ამრიგად, ლიკვიდობის რისკის მსგავსი ყოველი ბანკი განიცდის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკის გაგლენას<sup>78</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, ყველა შემთხვევაში ბანკს შეუძლია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების რისკის ნაწილი გადაიტანოს კლიენტებზე. მაგრამ ასეთი პოლიტიკის მიზანშეწონილობის შესახებ, რომელსაც “აგრესიულს” უწოდებენ, საჭიროა ორი მოსაზრების გათვალისწინება: **პირველი**, მეტად ტრივიალურია და ეხება ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის ინტენსივობას. რა გვაქვს მხედველობაში? თუ კლიენტისათვის ბანკის შეცვლა ძნელია, მაშინ საპროცენტო განაკვეთის დაცემის მოლოდინში კრედიტზე, სასწრაფო შენატანებსა და დეპოზიტებზე წესდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები; **მეორე**, მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცენტო განაკვეთების სტრატეგიული მართვის გეგმა არ არის ნათელი, კერძოდ, ბანკს გადააქვს რა რისკის მნიშვნელოვანი ნაწილის ცვლილება მსესხებელზე, ამ შემთხვევაში ბანკი მიდის რისკზე, რომ გამოიწვიოს მისი გადაუხდელობა და შესაბამისად დაკარგავს უფრო მეტს, ვიდრე ნორმალური გადახდის შემთხვევაში.

საბანკო საქმიანობაში ასევე საჭიროა გამოიყოს საბაზისო რისკი. საბაზისო რისკი, რომელიც საწინააღმდეგოა საპროცენტო განაკვეთის შეცვლის რისკთან, იგი დაკავშირებულია არა საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ცვლილებებთან, არამედ საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურაში ძვრებთან, სხვა სიტყვებით, იგი უკავშირდება ცალკეული საპროცენტო განაკვეთების ასიმეტრიულ მოძრაობას. მაგალითად, ბანკს შეუძლია გაატაროს ყველა დონისძიება, რომ მიაღწიოს აქტივების და პასივების დაფარვისას დროში დაფარვის შეუსაბამობას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი არ იქნება ლიკვიდური, თუ საპროცენტო განაკვეთები კრედიტების მიხედვით განისაზღვრება ბანკთაშორისი ბაზრის განაკვეთების საფუძველზე, ხოლო დეპოზიტების მიხედვით განაკვეთები პირდაპირ ამ ბაზარზე არ არის მიბმული. ნებისმიერმა შეუსაბამობამ საბაზრო განაკვეთების მოძრაობაში, რომელიც განსაზღვრავს აქტივების და პასივების შემოსავლებს, შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების ან დანაკარგების მიღება და, აქედან გამომდინარე, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, რაც ყოველთვის თან სდევს საბანკო საქმიანობას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ხდება აქტივების და მოზიდული სახსრების წყაროების უცხოური ქვეყნის ვალუტაში გამოყენება. საკრედიტო რისკი განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა შორის მხოლოდ ნაწილი ექვემდებარება ნორმალური სწორი საბაზრო ძალების მოქმედებას.

<sup>78</sup> გ. ცაავა, თ. აბრამია, დ. ცაავა. ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. გამომცემლობა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2007. გვ. 77 – 79, გვ. 87 – 88.

სავალუტო რისკზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან ერთად, მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური სიტუაცია, სავალუტო რეგულირების პოლიტიკის ცვლილება და სოციალური დაძაბულობის ხარისხი<sup>79</sup>. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვეყნოთ სავალუტო რისკის სამი მთავარი შემადგენელი ნაწილი: **პირველი** ეს არის გაცვლითი კურსის ცვლილება, მხედველობაში გვაქვს უცხოურ ვალუტაში დაბანდების პროცესში გაცვლითი კურსის გაუთვალისწინებელი ცვლილება; **მეორე** გულისხმობს კონვერტაციის რისკს, რომელიც დაკავშირებულია გაცვლითი ოპერაციების შეზღუდვასთან და **მესამე**, წარმოდგენილია ღია საკრედიტო პოზიციით, რომელიც წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ბანკის უცხოური ვალუტების მოცულობის და უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების განხორციელებებთან შეუსაბამობა.

საკრედიტო რისკის გეგმაში სავალუტო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს ლიკვიდობის კრიზისი ან გახდეს მსესხებლის მხრიდან საკრედიტო რისკის წარმოშობის ფაქტორი. სავალუტო რისკი არსებობს ყველა საბანკო ოპერაციაში, რომელიც ხორციელდება უცხოური ვალუტით. ამ შემთხვევაში სავალუტო ორგანიზაციას რისკების ფაქტორებზე მხოლოდ უმნიშვნელო ზემოქმედება შეუძლია და, აქედან გამომდინარე, მისთვის მთავარია დაიცვას თავისი ინტერესები რისკების დროულად განსაზღვრის მეშვეობით და ამით ნაწილობრივ მაინც შეზღუდოს მათი შესაძლებელი უარყოფითი შედეგები.

რაც შეეხება საბაზრო რისკს, იგი განპირობებულია საბაზრო ფაქტორების შესაძლებელი ზემოქმედებით. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ტერმინ საბაზრო რისკს აიგივებენ ფასობრივ რისკთან. აღნიშნული იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ფასობრივი რისკის ჯგუფიდან გამოყოფენ სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკს. ამ შემთხვევაში ფასობრივი რისკის ჯგუფის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საბაზრო რისკი; კლასიფიკაციისადმი ასეთი მიდგომის დროს ტერმინები “საბაზრო რისკი” და “ფასობრივი რისკი” სინონიმურ ცნებებად გვევლინება. იმ მოსაზრებების მომხრეები, რომლებიც თვლიან პრაქტიკაში ყოველდღიური აქტივების შეფასებას საბაზრო ღირებულებით, ემყარება იმას, რომ ასეთი მიდგომა სწორად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას. მათი აზრით, ასეთი მიდგომით საბაზრო ღირებულება იმ წუთშივე აისახება აქტივებსა და პასივებზე. ყველაზე უფრო მკაცრ შეფასებას გულისხმობს დღის ბოლოს აქტივების შეფასება ყველაზე დაბალი საბაზრო ფასით.

დასაფლეთის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ასეთი მიდგომა, საბანკო ბალანსის მუხლების შეფასების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მსჯელობის საგნად არის გადაქცეული და დანიის მსგავსად მხოლოდ პატარა ქვეყნები იყენებენ ამ მიდგომას.

ყურადსაღებია იმის აღნიშვნაც, რომ თანამედროვე პირობებში ბანკები ითვალისწინებენ საბაზრო რისკებს ორი მთავარი მიზეზის გამო. **პირველი**, ის არის, რომ, ბალანსის მუხლებით, რისკების მოცულობა უპირველესად აქტივების ცვლილების დროს იცვლება და, აქედან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდების პორტფელის შედგენილობაც, მისი სტრუქტურა შესაბამისად განიცდის ცვალებადობას. **მეორე** მიზეზია ის, რომ რისკის მიზეზი დაკავშირებულია აქტივების საბაზრო ღირებულებით შეფასებასთან და გულისხმობს ძირითადი კაპიტალის ღირებულების განსაზღვრასაც.

თანამედროვე პირობებში საბაზრო რისკის შეფასება ღებულობს განსაკუთრებულ აქტუალურ მნიშვნელობას იქნეს. ამაზე მეტყველებს 1996 წლის იანვარში საბანკო ზედამხედველობა ბაზელის კომიტეტის მიერ მიღებული შესწორება რისკის გათვალისწინებით საბანკო კაპიტალის საკმარისობის შესახებ პროცედურასთან დაკავშირებით. ამ

<sup>79</sup> ლ. ქოქიაური საბანკო საქმიანობის საფუძვლები, ტომი II. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005. გვ 379–380.

შესწორებიდან გამომდინარე, საკრედიტო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ დაამუშაონ თავისი შიდა საბანკო მოდელი საბაზრო რისკის შეფასების გათვალისწინებით კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიტალის ადეკვატურობის რისკს არც ფედერალური სარეზერვო სისტემა და სავალუტო საზედამხედველო სააგენტო ცალ-ცალკე არ განიხილავენ. ის მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რისკს, ვინაიდან ნებისმიერი რისკით გამოწვეული ზარალის დაფარვა ადვილად არის შესაძლებელი კაპიტალური რეზერვებით. შესაბამისად, კაპიტალის ადეკვატურობა ბანკის მდგომარეობის და საიმედოობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია და ამიტომ, ვფიქრობ, რომ კაპიტალის ადეკვატურობის რისკს საქართველოს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ბანკის საქმიანობაზე არაერთგვაროვნად მოქმედებს ინფლაციის რისკი<sup>80</sup>. განსაკუთრებით ნათელი ხდება ინფლაციის უარყოფითი ზემოქმედება ბანკის აქტივების გაუფასურებაზე, რომლებიც ფულად საშუალებებსა და ფინანსურ დაბანდებებს შეადგენენ. ბანკი გასცემს კრედიტს და ის განსაზღვრულ დროში უბრუნდება გაუფასურებულ მდგომარეობაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაღალი ინფლაციის დონემ ცალკეული მომენტისათვის შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს საბანკო ოპერაციებიდან შემოსავლები, მაგრამ საბანკო საქმიანობის რეალურად გაუმჯობესების მდგომარეობაზე არ იმოქმედოს.

მეორე ფაქტორი, რომელზეც დადებითად მოქმედებს ინფლაცია, ეს არის ბანკის შემოსავლების მოცულობის ზრდა მსესხებლების გადახდისუნარიანობის ამალგების მეშვეობით, მაგრამ, როგორც საბანკო პრაქტიკა გვიჩვენებს, რისკის ეს ფაქტორი არსებითად დაგვიანებით მოქმედებს.

გადახდის უუნარობის რისკი ყველა სხვა დანარჩენი რისკებიდან არის ნაწარმოები. იგი დაკავშირებულია იმ საშიშროებასთან, რომ ბანკი ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები იმიტომ, რომ ბანკის დაგროვილი დანაკარგების მოცულობა აჭარბებს საკუთარი კაპიტალის მოცულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არგადახდების ლიკვიდობას მიყვავართ პირველ რიგში ბანკის მხოლოდ დროებით ტექნიკურ გადახდისუუნარობამდე, რაც გამოიხატება ცენტრალური ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სადებეტო სალდოს წარმოშობაში, რეალური გადახდისუუნარობა კი ვლინდება პირდაპირი გაკორტრების ცნებასთან კავშირში. საკუთარი კაპიტალის უარყოფითი მდგომარეობა, არასაკმარისობა გვიჩვენებს, რომ ბანკის მიერ ყველა აქტივების რეალიზაციის შემთხვევაშიც, მას არ ყოფნის საშუალებები, გაასწოროს ანგარიშები კრედიტორებთან. ამ შემთხვევაში ხდება ბანკის ლიკვიდაცია ან მესაკუთრის შეცვლა, საბანკო ოპერაციებზე ლიცენზიის გამოთხოვა. მაგრამ ლიცენზიის გამოთხოვა გვიჩვენებს, რომ ბანკი ვერ გაუმკლავდა ლიკვიდობის მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო ბანკის საქმიანობის არსებობის შეწყვეტა ნიშნავს მისი, როგორც საწარმოს ლიკვიდაციას.

რისკების განხილვის ლოგიკიდან გამომდინარე, გავაანალიზოთ ფინანსური რისკების სახეები, მათ შორის ერთიანობა, თავისებურება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ახლა განვიხილოთ რისკების მეორე კატეგორია – ფუნქციონალური რისკები.

ფუნქციონალური რისკები, ფინანსური რისკებიდან განსხვავებით, წარმოიშობა, სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებთან ერთად, სისტემური ჩავარდნებით. ფუნქციონალურ რისკებს ადგილი აქვს ცალკეული სპეციალური სიტუაციების დროს და ამიტომ, ფინანსური რისკებისგან განსხვავებით, ძნელია მათი ფულადი ერთეულის საზომით გამოხატვა. როგორც წესი, საკრედიტო ორგანიზაციები ცდილობენ თავიანთ საქმიანობაში

<sup>80</sup> ვ. გოგოხია. საბანკო საქმე (ლექციების კურსი). გამომცემლობა “ინოვაცია”, თბ., 2006. გვ. 270 – 271.

ფუნქციონალური რისკების მინიმიზაცია. შიდააუდიტის, დოკუმენტების ბრუნვის, ცალკეული ოპერაციების შიდა მეთოდის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით და, საერთო ჯამში, მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფით მოახდინონ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფუნქციონალური რისკების კლასიფიკაცია მოიცავს: სტრატეგიულ რისკს, ტექნოლოგიის რისკს, ოპერაციულ რისკს, ახალი პროდუქტების და ტექნოლოგიების დანერგვის რისკს. საბანკო საქმიანობაში მათი როლის ნათლად დასანახად აუცილებლად მიგვაჩნია გავაანალიზოთ თითოეული ცალ-ცალკე და ავსსნათ მათი მართვის მნიშვნელობა საბანკო საქმიანობაში, საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფაში.

სტრატეგიული რისკი გამოხატავს შეცდომებს სტრატეგიულ მართვაში. იგი დამოკიდებულია: **ჯერ ერთი**, საბანკო ორგანიზაციის მიზნის არასწორ განსაზღვრაზე; **მეორე**, მისი განხორციელების არასწორ რესურსულ უზრუნველყოფაზე; და **მესამე**, მთლიანად საბანკო საქმეში რისკების მართვის არასწორ მიდგომებთან.

კადრების და ფინანსური რესურსების არასწორი უზრუნველყოფის პირობებში ამბიციურმა მიზნებმა შეიძლება, დანაკარგებთან ერთად, რეპუტაციის დაქვეითება გამოიწვიოს. აღნიშნულის კლასიკურ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დაუსაბუთებელი მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელება უძრავ ქონებაში ან გაუმართლებელი გასვლა ახალ რეგიონულ ბაზრებზე.

სტრატეგიული შეცდომების სხვა მაგალითია ნაწარმოები ფინანსური ინსტრუმენტებით განხორციელებული სარისკო ოპერაციების შეუფასებლობა, რაც გამოიხატება განვითარების მოცემული მიმართულებისათვის რისკების მართვის შესაბამი სისტემის არარსებობაში.

ტექნოლოგიური რისკი დაკავშირებულია საბანკო საქმიანობაში სხვადასხვა ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებასთან და ამიტომაც უწოდებენ მას ტექნოლოგიურ რისკს. აღნიშნული რისკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოწყობილობების მუშაობაში ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საჭიროა დამატებითი ხარჯების გაწევა, ასევე ამ რისკის არსში იგულისხმება არასანქცირებული შიდა საბანკო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დაშვება. მართალია, ტექნოლოგიური რისკი დამახასიათებელია ნებისმიერი საწარმოების მუშაობისათვის, მაგრამ საბანკო საქმიანობაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ფუნქციონალური რისკის შემადგენელ ნაწილს, სტრატეგიულ და ტექნოლოგიურ რისკთან ერთად წარმოადგენს, ოპერაციული, ანუ არაეფექტური რისკი. აღნიშნული რისკის არაეფექტურობა დაკავშირებულია საშიშროებასთან, რომელიც წარმოიშობა ბანკის მიერ თავის ოპერაციებსა და მათ შედეგიანობას შორის შეუსაბამობის გამო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ბანკში, სხვა საწარმოებთან შედარებით, უფრო რთულია განვსაზღვროთ და ვმართოთ ოპერაციული ხარჯები, თუ როგორ მოქმედებენ ისინი საბანკო მოგების ძირითადი შემადგენელი ნაწილის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე საბანკო არასაპროცენტო ხარჯებზე. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ოპერაციული ხარჯების არსმა დღემდე ვერ შეძლო ეკონომიკური ტერმინოლოგიის ბრუნვაში გამაგრება. ასე მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვის გაანგარიშების გეგმაში ოპერაციული ხარჯები შედის ბანკის საპროცენტო ხარჯებში, მაგრამ ეკონომიკური ლოგიკის მიხედვით იგი ეწინააღმდეგება საპროცენტო ხარჯებს. ეს უკანასკნელი ემსახურება საკრედიტო რესურსებზე ბანკის გადახდებს, ხოლო ოპერაციული ხარჯები, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია საბანკო ოპერაციების განხორციელებასთან. ოპერაციული ხარჯების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ხელფასი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბანკების მუშაკთა პერსონალის ხელფასი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ოპერაციის სრულყოფაში, შედის

ადმინისტრაციულ ხარჯებში, ამიტომ ბანკი სერიოზულად ახორციელებს რისკების მართვას და მთელ რიგ შემთხვევებში იყენებენ შემოსავლების, ხარჯების და საბანკო ბალანსის ბუღალტრული კლასიფიკაციისაგან განსხვავებულ მიდგომებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბანკო საქმეში ოპერაციული ხარჯების რისკი მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალი პროდუქტების და ტექნოლოგიების დანერგვის რისკთან. აქვე მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზეც, რომ ბანკი, თავისი არსით, ბაზარზე ახალი პროდუქტის წარმოდგენით, არ განსხვავდება სხვა საწარმოსაგან. ამიტომ ფულადი საშუალებების მობილიზება და განთავსება, კლიენტებისათვის ბრძოლასთან ერთად, ბანკისათვის ხელსაყრელი პირობების მიღწევას გულისხმობს.

საბანკო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში, ფინანსური და ფუნქციონალური რისკების მართვასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ასევე სხვადასხვა გარე რისკების რეგულირებას.

სხვადასხვა გარე რისკების ჯგუფს მიეკუთვნება არაფინანსური რისკები, რომლებიც, ფუნქციონალური რისკებისაგან განსხვავებით, წარმოადგენენ ბანკისათვის გარედან ზემოქმედების მოვლენას. სხვადასხვა გარე რისკების ზეგავლენა საბანკო საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბანკის საქმიანობის კონტროლის ფარგლებს გარეთ გადის და ბანკის კონტროლს არ ექვემდებარება. ბანკი ამ შემთხვევაში პასიურ მდგომარეობაშია ამ რისკების მართვის თვალსაზრისით. ეს მდგომარეობა რომ გადაილახოს საჭიროა, ბანკმა განსაკუთრებული ხელოვნება გამოიჩინოს ამ ჯგუფის რისკების მართვაში.

სხვადასხვა გარე რისკებიდან საჭიროა, მათ შორის გამოვეყნოთ მთავარი, კერძოდ შეუსაბამობის რისკი, შეუსაბამობის რისკი, ანუ სახელმწიფო რეგულირების პირობებთან რისკის შეუსაბამობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამის მიზეზი, სახელმწიფო რეგულირებაში გაუმართლებელი ცვლილებებთან ერთად, შეიძლება იყოს ასევე საქმიანობის გაუმართავი მოქმედება, საერთოდ, ბანკის საქმიანობის პრობლემები. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: **ჯერ ერთი**, რისკის შედეგად დანაკარგების შეუსაბამობა შეიძლება წარმოშვას ზედამხედველობის დარეგულირების ორგანოების მიერ სანქციის დაწესების გამო; **მეორე**, ბანკის რეპუტაცია შეიძლება დაზარალდეს (რეპუტაციის დაკარგვის რისკი); **მესამე**, დანაკარგები შეიძლება წარმოიშვას საბანკო საქმიანობის სპექტრის შეზღუდვის ან ოპერაციებიდან შემოსავლების შემცირების გამო, ასევე ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენებლობის შედეგად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკის შეუძლებლობის უნარმა, თავისი საქმიანობა მოიყვანოს მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში, ამ რისკის სახიდან დამატებით დანაკარგებსაც იწვევს.

ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი ვლინდება იმ შემთხვევაში, როცა ბანკი ვერ ასრულებს სანდო საქმიანი პარტნიორის ვალდებულებებს. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს ფულადი რესურსების მოზიდვაზე, ფულადი სახსრების ბანკიდან გადინებასთან ერთად, აჩქარებს გადახდისუნარობას. რეპუტაციის დაკარგვის რისკზე კონტროლი შესაძლებელია ლიკვიდობის დაცვით, ანუ ანგარიშსწორების მკაცრი დაცვით, საეჭვო ოპერაციების, კერძოდ ფულის გასესხების ოპერაციების აკრძალვით, სხვადასხვა სახის რეგიონულ პროექტებში მონაწილეობით და ა.შ.

საკრედიტო რისკის ანალიზი უნდა დაემყაროს შემდეგი შეფასების კრიტერიუმებს: კრედიტის მიზნის განსაზღვრასა და შეფასებას, სესხის დაფარვის წყაროების, მსესხებლის ფულადი ნაკადების და საკრედიტო პორტფელის ანალიზს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თითოეულ კომერციულ ბანკს აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა ჰქონდეს დამუშავებული საკრედიტო პოლიტიკა, რომელშიც აისახება კომერციული ბანკის არსებული დონე და პერსპექტივები, კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის თავისებურებებთან ერთად, მათი განხორციელების მექანიზმები. კრედიტი არის არა



ფულის უბრალო გაცემა, არამედ იგი ფულადი კაპიტალის მოძრაობის ფორმაა, რომლის დროსაც კრედიტორის კაპიტალი გადაიქცევა მსესხებლის სასესხო კაპიტალად. აღნიშნულ განმარტებას ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ საკრედიტო ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, კრედიტორსა და მსესხებელს შორის ფინანსური ურთიერთობაა, რომლის მიზანია კაპიტალის წრებრუნვის საშუალებით კაპიტალის მოცულობის ზრდა. აღნიშნულ განმარტებაში ჩვენ ვაერთიანეთ კრედიტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, მისი მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საშუალება, რაც, საბანკო პროცესის დაკრედიტების პროცესთან ერთად, აუცილებელია საბანკო რისკის მართვის გაგებისათვის. სანამ ბანკი კლიენტზე კრედიტს გასცემს, უნდა განსაზღვროს რისკის ხარისხი, რომელსაც იღებს თავის თავზე და კრედიტის სიდიდე, რომლის გაცემასაც აპირებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით დაკრედიტების პირობების ანალიზის დროს აუცილებელია, კომერციულმა ბანკმა შეისწავლოს კლიენტის მდგომარეობის განმსაზღვრელი შემდეგი საკითხები: **ჯერ ერთი**, მსესხებლის სოლიდურობა, რომელიც ვლინდება ადრე მიღებული კრედიტების თავისდროულ გადახდაში; **მეორე**, მსესხებლის შესაძლებლობები, აწარმოოს კონკურენციული პროდუქცია; **მესამე**, კლიენტის მიერ შემოსავლების მიღების მდგომარეობა. მხედველობაში გვაქვს მსესხებლის კონკრეტული ხარჯების შესაბამისობის გარკვევა ბანკის საშუალო შემოსავლიანობაზე, მისი მოგების შეფასებაზე, ასევე, დაკრედიტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის შემოსავლების დონე რისკის ხარისხთან; **მეოთხე**, კლიენტის მიერ საკრედიტო რესურსების გამოყენების მიზანი; **მეხუთე**, კლიენტის ლიკვიდობის ბალანსში საკუთრი და მოზიდული სახსრების თანაფარდობიდან გამომდინარე, კრედიტის თანხის სიდიდის განსაზღვრა, მისი დროულად დაფარვის უზრუნველყოფა და, ბოლოს, **მეექვსე**, კრედიტი უნდა განვიხილოთ, როგორც ფულის განვადებით ყიდვა; კრედიტის გადახდის პრინციპი ნიშნავს, რომ ფული სესხად გაცემული გამოდის, როგორც საქონელი და ამიტომ მისი მიღებისათვის უნდა გადაიხადოს მისი ფასი. ასე რომ, კრედიტის პროცენტი არის კრედიტის ფასი. აქედან გამომდინარე, როდესაც კრედიტს ღებულობენ დაბალი საპროცენტო განაკვეთით, იგი გამოდის “იაფ ფულად”, ხოლო, როდესაც კრედიტს ღებულობენ მაღალი საპროცენტო განაკვეთით, ეკონომიკურ ლიტერატურაში მას “ძვირ ფულს” უწოდებენ.

რისკების, განსაკუთრებით კი საკრედიტო რისკის, დივერსიფიკაცია წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. სწორედ ის ბანკები, სადაც საკრედიტო რისკების დიდი კონცენტრაცია შეიმჩნევა, ხშირ შემთხვევაში სერიოზული ფინანსური პრობლემების მატარებლები ხდებიან. ამიტომაც, სახედასხედველო თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი პრუდენციული ნორმების განსაზღვრა და დაწესება, რომლებიც მოახდენს რისკების შეზღუდვას. ამ სტანდარტების შესაბამისად ბანკს უწევს ლიმიტი, რომლის მეშვეობით განისაზღვრება ერთ მსესხებელზე, მსესხებელთა ჯგუფს ან დაკავშირებულ მხარეებზე მაქსიმალურად დასაშვები რისკის მოცულობა.

ამასთანავე, რისკების მატარებელი შეიძლება იყოს ბანკის ვალდებულებების სტრუქტურაც. ამ შემთხვევაში ბანკი დამოკიდებული ხდება მსხვილი დეპოზიტარებისა და სხვა კრედიტორების რესურსებზე, ანუ ბანკი შეიძლება დაფინანსების შეზღუდვის რისკის წინაშე აღმოჩნდეს. ამასთან დაკავშირებით, ბევრ ქვეყანაში არსებობს სპეციალური ლიმიტები, რომლებიც განსაზღვრავს კონცენტრაციებს ბანკის ვალდებულებების სტრუქტურაში. ლიმიტების ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა, შეიზღუდოს ბანკის დამოკიდებულება ერთ რომელიმე ჯგუფზე, როგორც რესურსების მოზიდვის, ასევე მათი განთავსების მიმართულებით. წესის მიხედვით, ეს ლიმიტები მერყეობს მთლიანი ვალდებულებების 15%-დან 20%-მდე. კონცენტრირებული ვალდებულებების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ქართული ბანკებისათვის, რომლებიც არ გამოირჩევიან აქტივების

სიდიდითა და კაპიტალიზაციის მაღალი დონით და, როგორც წესი, დამოკიდებული არიან კრედიტორთა ერთ ჯგუფზე. მაგალითად, საქართველოში მოქმედებს სპეციალური ნორმატივი, რომელიც განსაზღვრავს ბანკის უმსხვილესი კრედიტორის ლიმიტს მთლიანი ვალდებულებების 20%-ის ფარგლებში. ამიტომ ამ მიმართულებით შეიძლება არსებული ნორმატივის ეტაპობრივი ლიბერალიზაციის განხორციელება. კერძოდ, ლიმიტის გაუქმება სასურველი იქნებოდა მხოლოდ უცხოეთის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებიდან მოზიდულ ნასესხებ სახსრებზე, რომელიც, თვის მხრივ, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებას აამაღლებდა და პარალელურად რისკების მართვის ახალი მეთოდის და სისტემის დანერგვის პროცესს დაახჩარებდა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Зви Боди, Роберт Л. Мертон. Финансы. «Вильямс». М., 2000.
2. Ковзанадзе И.К. Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформированных стран. М., «Финансы и статистика», 2005.
3. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრინციპები თანამედროვე ეტაპზე. თსუ გამომცემლობა, თბ., 2001.
4. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, გამომცემლობა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2007.
5. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, ტომი II. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
6. გოგოხია მ. საბანკო საქმე (ლექციების კურსი). გამომცემლობა “ინოვაცია”, თბ., 2006.

*Sulamanidze Konstantine*

### **RISKS MANAGEMENT IN FINANCIAL-ANALYTICAL WORK AT BANKS SUMMARY**

In a presented work risks management in financial-analytical work is discussed as a complex process, which is one of the main function of bank's stable management; the characterization of banking risks are presented, analysis of banking risks are discussed during the decision making process, also the major approaches of risk management are discussed, modern systems of risk management and their evaluation methods are overviewed, fine-tuning of risk management supervision, risk evaluation and the necessity of their supervision is highlighted in the work, analysis of external factors affecting banking risks are presented in the work, also the connections of different type of risks per each-other are discussed in the work.

*Taralashvili Tamar*

### **TECHNICAL BARRIERS TO TRADE IN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA'S FURTHER RAPPROACHMENT WITH THE EU**

Since the development of international trade theory trade barriers have minimized or mostly eliminated, because trade liberalization promotes global prosperity and economic development but still there are different types of trade restrictions. Removing trade barriers and achieving trade openness is a cornerstone of the EU's relationships with third countries and very important component of the EU trade policy. Trade is characterized as the EU's "oldest and most successfully integrated common policy" (Meunier 2005:8).

The EU trade policy is one of the most dynamic fields of the EU external trade relations, with aim to promote economic and social development of developing countries. After entry into force of the ECC Treaty (1958) the Common Commercial Policy has changed several times to build better international trade and economic relations and encourage the integration of all countries in the world economy, embrace developing countries into a system of trade preferences to make it easier accessing the EU single market, by setting new trade related laws, standards and regulations.

The EU has developed complex trade policy system by setting trade agreements and regulation, designed to restrict trade along with its support. Trade tariffs barriers in the EU are mostly eliminated or reduced, but there are widely used regulatory instruments like strict rules of origin, technical and non-tariff barriers, anti dumping, anti subsidy and safeguard measures, sanitary and phytosanitary standards.

Standards and regulations have quite important functions. They establish cooperation between buyers and sellers by introducing them common trading language, promoting convergence of rules, standards, testing and certification practices, ensuring public safety by the protection of the environment and health of society. And because trade does not stimulate growth in economies with excessive regulation, it's important to make afford towards minimizing unnecessary regulation costs.

Since the EU single market was established, free movement of goods has been facilitated not only by removing border formalities (Customs Union in 1960s), but also by the technical harmonization of national legislation in each member country. The reason of single market creation was existence of many barriers to trade especially non-tariff barriers such as the technical barriers to trade, continued to impede inter European trade.

The term "technical barriers to trade" (TBT) refers to mandatory technical regulations and voluntary standards that define specific characteristics that a product should have, such as its size, shape, design, labeling, marking, packaging, functionality or performance. The specific procedures used to check whether a product is in compliance with these requirements are also covered by the definition of TBT. These so-called "conformity assessment procedures" can include, for example, product testing, inspection and certification activities.<sup>81</sup>

Because the fact that trade barriers have been minimized or mostly eliminated the role of technical barriers has increased over the past years and third countries collide strict regulations entering the EU single market. Now setting technical barriers on export from third countries is tool, used to protect health, safety or other environmental concerns in the EU countries. (The Directive 2001/95/EC impose general safety requirements. The Directive 1999/34/EC establishes the principle of liability for defective products). Technical regulations and standards are important, but having too many different standards raises many difficulties for exporters.

Agreement on Technical Barriers to Trade set by WTO is the main international instrument, adopted in the field of technical regulations. This agreement aims to prevent discriminative behaviors passed by countries in international trade and minimize negative impact of technical barriers on trade.

According this agreement, "members shall ensure that technical regulations are not prepared, adopted or applied with a view to or with the effect of creating unnecessary obstacles to international trade. For this purpose, technical regulations shall not be more trade-restrictive than necessary to fulfill a legitimate objective, taking account of the risks non-fulfillment would create. Such legitimate objectives are, *inter alia*: national security requirements; the prevention of deceptive practices; protection of human health or safety, animal or plant life or health, or the environment. In assessing such risks, relevant elements of consideration are, *inter alia*: available scientific and technical information related processing technology or intended end-uses of products".<sup>82</sup>

---

<sup>81</sup> <http://ec.europa.eu/trade/creating-opportunities/trade-topics/european-competitiveness/non-tariff-barriers/>

<sup>82</sup> [http://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/17-tbt.pdf](http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf)

To overcome the EU non-tariff barriers is also complicated because these barriers are approved by the result of synthesis of legislative acts of the EU institutions and national legislation of the EU member states and in addition this synthetic legislation framework is always updating.

Products imported to the EU market must correspond to the EU as a whole union and to each member state trade laws. For the majority of products, EU countries have adopted the principle of mutual recognition of national rules. Any product legally manufactured and sold in one member state must be allowed to be placed on the market in all others. The EU policy related to standards, testing and certification requirements currently is based on enforcement of the Mutual Recognition Principle and harmonization of technical standards in each member country.

The World Bank has completed a database on technical barriers to trade and standards, based on a survey of 689 firms in 17 countries. According this survey we can see importance of technical regulations by type and export market. Comparing the importance by the five leading export markets for each category of foreign technical regulations it's clear that the technical regulations in the EU market are considered to be important by the largest share of firms in the sample. The share varies from 48 percent for health/environmental standards to 61 percent for product quality standards. While in the USA regulations share of the firms varies from 27 to 37 percent and in Australia, Canada and Japan technical regulations don't play such an important role.

Factor	Response	Australia	Canada	EU	Japan	USA
<b>1. Performance</b>	Not Important	1	0	4	1	2
	Important	14	16	<b>59</b>	14	35
	NA	85	84	37	85	63
Performance Total		100	100	100	100	100
<b>2. Product Quality</b>	Not Important	1	1	3	0	2
	Important	14	15	<b>61</b>	15	37
	NA	85	84	36	85	61
Product Quality Total		100	100	100	100	100
<b>3. Testing/Certification</b>	Not Important	2	1	7	1	4
	Important	13	15	<b>57</b>	14	35
	NA	85	84	36	85	61
Testing/Certification Total		100	100	100	100	100
<b>4. Consumer Safety</b>	Not Important	3	2	9	2	5
	Important	11	14	<b>50</b>	12	30
	NA	86	84	41	86	65
Consumer Safety Total		100	100	100	100	100
<b>5. Labeling</b>	Not Important	4	2	10	2	8
	Important	10	14	<b>49</b>	11	27
	NA	86	84	41	87	65
Labeling Total		100	100	100	100	100
<b>6. Health/Environment</b>	Not Important	4	3	10	2	7
	Important	10	12	<b>48</b>	11	27
	NA	86	85	42	87	66
Health/Environment Total		100	100	100	100	100

All above mentioned says that the EU has high standards and regulations for imported products, and these non-tariff barriers are of particular concern to developing countries, which may bear additional costs in meeting such mandatory standards. For Georgia, as for other not developed countries, despite somewhat

favorable trade conditions with Europe (a number of positive preconditions for achieving better results are already in place, namely, GSP+ etc.) is very hard to satisfy with all above mentioned requirements and access the EU single market, because of not applicable technical regulation system.

The EU is the second largest trade partner of Georgia after CIS countries. Georgia's trade with the EU countries rises from year to year. But in comparison with CIS countries Georgia's share of trade with the EU is still small; it takes 24% of total trade, when CIS countries take 38%. But despite this fact that Georgia's 70% of trade is with non-EU countries the EU is an will be an important market for Georgia's exports and its importance has been growing over time. To ensure Georgia's continuous economic growth and development, diversification of its export markets is essential. This implies expansion of its export volume to strategically important European markets.

Soviet type of quality infrastructure had been operational in Georgia up to 2005, when the substantial regulatory as well as institutional reform of national quality infrastructure took place. And as a result the Law on Standardization, the Law on Certification of Products and Services and the Law on Uniformity of Measurements – were completely revised. “General legal framework of the national system of technical regulation was laid down in the Law on Certification of Products and Services. The basic principles of the Law have been brought in line with WTO as well as EU requirements. The definition and the criteria for introduction of technical regulations (TR) have been transposed form WTO TBT agreement. The Law defined the rules on general product safety reflecting the principles of EU Directive on General Product Safety. The framework provisions on conformity assessment and market surveillance have been aligned with the principles of EU law.”<sup>83</sup>

But despite above mentioned challenges there are lots of steps that must be taken for further convergence of Georgian TR regulatory and institutional framework with that of the EU. The appropriate system can't be established overnight, it requires time and substantial and costly reforms. It is essential to ensure compliance with the EU requirements and on the other hand make sure that new regulation is introduced in acceptable way for Georgian producers.

Georgia is in the way of setting DCFTA with the union, what will open up the EU market for Georgian producers by further more complete elimination of barriers to trade especially non-tariff ones and will build environment where intellectual property rights and fair competition will be protected. The Government of Georgia has adopted the strategies on Technical Barriers to Trade (TBT), Competition and Food Safety (SPS). The strategies are the key documents in the framework of the Deep and Comprehensive Free Trade Agreement's (DCFTA) preparation, which is currently ongoing between Georgia and the European Union. Georgia has achieved sufficient progress with the necessary reforms and has fulfilled a set of conditions to be able to proceed further in gradual economic integration with the EU internal market”-said Commissioner for Enlargement and European Neighborhood Policy Stefan Fule. But, to reach Deep and Comprehensive Free Trade Agreement with the EU, Georgia should become closer to the EU regulations and product safety standards, implement new laws in areas like competition policy and intellectual property rights.

Openness to trade is a key element of successful growth and development strategies. Removal of technical barriers to trade (TBT) promotes trade efficiency and serves to strengthen competition by undermining the fragmentation of the EU market. So, reduction of technical barriers, lowering differences between the technical regulation and conformity assessment procedures adopted by the EU member countries, which can result creation of impediment to international trade and facilitation of Georgia's integration into international trade and standardized technical regulatory system, through increased quality and safety standards of the products produced in Georgia is the right direction that should be taken.

---

<sup>83</sup> [http://www.geplac.ge/newfiles/EU-Georgia%20important%20References/Chokheli\(1\).pdf](http://www.geplac.ge/newfiles/EU-Georgia%20important%20References/Chokheli(1).pdf)

**REFERENCES**

1. <http://ec.europa.eu/trade/creating-opportunities/trade-topics/european-competitiveness/non-tariff-barriers/>
2. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:1999:141:0020:0021:en:PDF>
3. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:011:0004:0017:en:PDF>
4. [http://siteresources.worldbank.org/INTRANETTRADE/Resources/Topics/Services/TBT\\_Data\\_Description.pdf](http://siteresources.worldbank.org/INTRANETTRADE/Resources/Topics/Services/TBT_Data_Description.pdf)
5. [http://www.case-research.eu/sites/default/files/publications/21136629\\_rc79\\_0.pdf](http://www.case-research.eu/sites/default/files/publications/21136629_rc79_0.pdf)
6. [http://www.geplac.ge/newfiles/EU-Georgia%20important%20References/Chokheli\(1\).pdf](http://www.geplac.ge/newfiles/EU-Georgia%20important%20References/Chokheli(1).pdf)
7. [http://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/17-tbt.pdf](http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf)
8. Pelkmans, J (1987) 'The New Approach to Technical Harmonization and Standardization' Journal of Common Market Studies, 25, pp. 249-269.

*თათია უდესიანი  
სესილი ტაბატაძე  
ნინო დემეტრაძე*

**მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზი საქართველოში**

მსოფლიოში უამრავი მეთოდი და მიდგომა არსებობს ეკონომიკური კეთილდღეობისა თუ ზრდის გასაზომად და შესაფასებლად, მაგრამ მათგან რეალური და ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორი მთლიანი შიდა პროდუქტია.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, რადგან მშპ პირდაპირ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს.

მთლიანი შიდა პროდუქტი ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებულ, მთლიანი საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატულ საერთო ღირებულებას წარმოადგენს. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის განმარტებით კი იგი შემდეგნაირად განისაზღვრება: “მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებაა”.

მშპ ეროვნული შემოსავლებისა და წარმოების ზომის გამოთვლის ერთ-ერთი მეთოდია. საზოგადოდ მიღებულია, რომ მშპ-ს ზრდისას იზრდება ცხოვრების სტანდარტები გრძელვადიან პერიოდში. ამდენად, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ქვეყნის ცხოვრების სტანდარტის მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

საქართველოში, ბოლო მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11*	II 11*	III 11*	IV 11*	2011*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი	11620.9	13789.9	16993.8	19074.9	17986.0	20743.4	5210.1	5908.6	6203.0	6907.4	24229.1
მშპ მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ ლარი	9935.6	10868.0	12208.8	12491.4	12019.7	12771.3	2905.2	3362.2	3562.7	3839.6	13659.4


მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	9.6	9.4	12.3	2.3	-3.8	6.3	6.1	4.9	7.5	8.8	7.0
მშპ დეფლატორი, პროცენტი	7.9	8.5	9.7	9.7	-2.0	8.5	13.6	11.0	7.7	6.0	9.2
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	2689.1	3133.1	3866.9	4352.9	4101.3	4675.7	1165.8	1322.1	1387.9	1545.6	5421.4
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში) აშშ დოლარი	1483.5	1763.5	2314.6	2921.1	2455.2	2623.0	662.0	793.8	836.4	931.2	3215.4
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ აშშ დოლარი	6411.0	7761.7	10171.9	12800.5	10767.1	11636.5	2958.8	3547.8	3738.0	4161.6	14370.4

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) წინასწარი შეფასებით, საქართველოში 2012 წლის იანვარში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდამ წინა წლის მანკენებელთან შედარებით 5% შეადგინა.


საქსტატის მონაცემების მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2005წ. – 1483.5 აშშ დოლარი, 2006წ. – 1763.5 აშშ დოლარი, 2007წ. – 2314.6 აშშ დოლარი, 2008წ. – 2921.1 აშშ დოლარი, 2009წ. – 2455.2 აშშ დოლარი, 2010წ. – 2623.0 აშშ დოლარი, 2011წ. – 3215.4 აშშ დოლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მანკენებელი კი შესაბამისად, 2005წ- 9.6%, 2006წ- 9.4%, 2007წ- 12.3%, 2008წ- 2.3%, 2009წ- -3.8%, 2010წ- 6.3%, 2011წ- 7.0% იყო.

2011 წლის 6 თვის მონაცემებით საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი შემდეგნაირად განისაზღვრა:



რაც შეეხება სექტორების მიხედვით გამოსახულ მთლიან შიდა პროდუქტს, შემდეგნაირად გამოიყურება:



XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკის საგანი გახდა ეკონომიკური ზრდის წახალისება. ამ პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად კი აუცილებელი გახდა მისი გაზომვა, ანუ შესაბამისი გაზომვადი სიდიდეების შემოღება. სწორედ ამან განაპირობა ეკონომეტრიკის მნიშვნელობის გაზრდა. ინდიკატორები, როგორებიცაა “უმუშევრობის დონე”, “მთლიანი შიდა პროდუქტი” და “ინფლაციის დონე”, წარმოადგენს ცვლილებების საზომს ეკონომიკაში.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზის სრული სახით წარმოდგენისთვის გამოვიყენებთ ეკონომიკურ გამოთვლებს, რომელიც დაგვეხმარება, განვსაზღვროთ მასზე მოქმედი მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი ფაქტორები. მისი დახმარებით ჩვენ ასევე შევძლებთ საიმედო ეკონომიკური დასკვნების გაკეთებას.

ჩვენი მიზანია, რეგრესიის მოდელით შევაფასოთ ცვლილება ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტში. ამისათვის გამოვიყენებთ შემდეგ ამხსნელ ცვლადებს: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სამთავრობო ხარჯები, ნომინალური გაცვლითი კურსი. ამასთან, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შემოგვეტანა ფიქტიური საგნები, ის არის რეგრესიის მოდელში ხელოვნურად შემოღებული ცვლადი, რომლის მნიშვნელობა პირობითად არის განსაზღვრული, იქიდან გამომდინარე, თუ რა შესაძლო მდგომარეობები შეიძლება გააჩნდეს თვისებრივ ცვლადს. ფიქტიური ცვლადის კოეფიციენტი შინაარსობრივად გამოსახავს შედეგობრივი ცვლადის, ანუ ნომინალური მშპ-ს საშუალო მნიშვნელობის ცვლილებას ერთი თვისებრივი ფორმიდან მეორეზე გადასვლისას სხვა თანაბარ პირობებში. ჩვენს მოდელში ფიქტიური ცვლადი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

D= 1, მსოფლიო ფინანსური კრიზისის წინა პერიოდი,

0, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომი პერიოდი.

ეკონომიკაში დამოკიდებულებათა მნიშვნელოვან ნაწილს არაწრფივი ხასიათი გააჩნია და ზოგიერთი მათგანის წრფივი რეგრესიის განტოლებით მოდელირებისას არადაამაკმაყოფილებელი შედეგი მიიღება, ამიტომ, ჩვენს შემთხვევაშიც საჭირო იყო არაწრფივი მრავლობითი რეგრესიის მოდელის აგება. მას აქვს შემდეგი სახე:

$$GDP = \beta_0 * (CPI)^{\beta_1} * (FDI)^{\beta_2} * (GovExp)^{\beta_3} * (EXR)^{\beta_4} * \epsilon^D * U$$

სადაც, GDP მთლიანი შიდა პროდუქტია,

CPI – სამომხმარებლო ფასების ინდექსი,

FDI – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები,

GovExp – სამთავრობო ხარჯები,

EXR – ნომინალური გაცვლითი კურსი.



მოცემული რეგრესიის მოდელის ანალიზი დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რა დამოკიდებულებაშია მოცემული ცვლადები ნომინალურ მშპ-სთან. მისი შეფასება რომ მოვახდინოთ, აუცილებელია გავაწრფივოთ გალოგარითმების გზით და შევაფასოთ მრავლობითი რეგრესიის მოდელი. მას ექნება სახე:

$$GDP = e^{1.522289} * (CPI)^{0.4665514} * (FDI)^{0.0923078} * (GovExp)^{0.27113466} * (EXR)^{0.3864858} * e^{-0.0133086D}$$

როგორც ვხედავთ, შეფასებული რეგრესიის მოდელში გვაქვს ოთხი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადი, ანუ თითოეული მათგანი ერთმანეთთან არ იმყოფება წრფივ დამოკიდებულებაში. ეს ცვლადებია: **Ln(CPI), Ln(FDI), Ln(Govexp), Ln(EXR)**.

ეკონომეტრიკული მოდელის უმნიშვნელოვანესი ეტაპია მოდელის ვერიფიკაცია, ანუ იმის დადგენა, რამდენად ვარგისია ჩვენ მიერ აგებული რეგრესიის მოდელი და შეიძლება თუ არა მის საფუძველზე რაიმე დასკვნების გაკეთება შესასწავლი საკითხის შესახებ. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენ გამოვიყენეთ რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შეფასება, ეს მოვახდინეთ t-სტატისტიკების შედარებით t-კრიტიკულთან. ისინი ექვემდებარებიან სტიუდენტის განაწილებას და თითოეული მეტი აღმოჩნდა t-კრიტიკულზე, კრიტიკულის მნიშვნელობა ვნახეთ სტიუდენტის განაწილების ცხრილში. აქედან გამომდინარე გავაკეთეთ დასკვნა, რომ ოთხივე ცვლადი მნიშვნელოვანია, ანუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სამთავრობო ხარჯები და ნომინალური გაცვლითი კურსი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მშპ-ზე.

მოდელიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი პროცენტით სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის **0,4665514** პროცენტით ცვლილებას, ერთი პროცენტით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილება იწვევს **0,0923078** პროცენტით მშპ-ის ცვლილებას, ერთი პროცენტით სამთავრობო ხარჯების ცვლილება – **0, 27113466** პროცენტით ცვლილებას, ხოლო ერთი პროცენტით ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება – **0,3864858** პროცენტით მშპ-ის ცვლილებას.

ჩვენ ასევე შევამოწმეთ აღნიშნული კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება კოეფიციენტების ნდობის ინტერვალების აგების საშუალებით, რომლის გამოყენებითაც მივიღეთ ანალოგიური შედეგი. ნდობის ინტერვალის აგება გულისხმობს, რომ განვსაზღვრეთ კოეფიციენტების ნდობის შუალედები. მაგალითად, ჩვენი მოდელიდან ავიღოთ CPI-ის კოეფიციენტი და ავაგოთ მისი ნდობის ინტერვალი **0,2040652 < β1 < 0,7290376**, β1-ის ნებისმიერი მნიშვნელობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ უტოლობას, ავტომატურად თავსებადია სამომხმარებლო ფასების ინდექსისთვისაც.

როდესაც ვახდენთ მრავლობითი რეგრესიის მოდელის შეფასებას, აუცილებელია კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შემოწმების პარალელურად შევაფასოთ თვითონ რეგრესიის მოდელის მნიშვნელოვნება. უნდა დადგინდეს შეესაბამება თუ არა მთლიანობაში მიღებული მათემატიკური მოდელი დაკვირვების მონაცემებს და საკმარისია თუ არა მოდელში ჩართული ამხსნელი ცვლადები (**CPI, FDI, Govexp, EXR**) შედეგობრივი ცვლადის (**GDP**-ის) აღწერისთვის. ამისთვის ვიყენებთ **F- ტესტს**, რომელიც წარმოადგენს ფიშერის განაწილების შემთხვევით სიდიდეს. ფიშერის განაწილების ცხრილიდან ვპოულობთ F კრიტიკულ მნიშვნელობას.

$$F(5, 45)=710.24 \quad F_{კრ}=2.41$$

**F > F<sub>კრ</sub>**, ანუ ჩვენ მიერ შეფასებული რეგრესიის მოდელი მნიშვნელოვანია.

შეფასებულ მოდელში ფიქტიური ცვლადი გვაქვს არამნიშვნელოვანი. ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს იმით, რომ აგვისტოს მოვლენების დროს საზღვარგარეთიდან შემოვიდა დიდი რაოდენობით დახმარება და ამიტომ მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნებოდა მთლიან შიდა პროდუქტში.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე დავიწყეთ ძეგნა, ჰქონდა თუ არა ადგილი მოდელში მულტიკოლინეარულობას. მულტიკოლინეარულობის პრობლემის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ რეგრესიის მოდელში ჩართული ამხსნელი ცვლადებიდან ორი ან რამდენიმე ერთმანეთთან წრფივი ფუნქციონალური ან ძლიერი კორელაციური კავშირებით არიან დაკავშირებული. მის გამოსაყენად გამოვიყენეთ კორელაციური მატრიცა და VIF მეთოდი. შევადგინეთ კორელაციური მატრიცა, შემდეგ მისი გაფართოებული მატრიცა და გამოვთვალეთ თითოეული ფაქტორის დეტერმინაციის კოეფიციენტი, რომელიც საჭიროა დისპერსიის ზრდის ფაქტორის (VIF-ის) გამოსათვლელად.

როდესაც რეგრესიული მოდელი ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტად განიხილება და მკვლევარი ცდილობს, მის საფუძველზე გამოავლინოს და შეაფასოს შედეგობრივ ცვლადზე თითოეული ფაქტორის ზემოქმედების ხარისხი, მაშინ მულტიკოლინეარულობა სერიოზულ პრობლემად გვევლინება, რადგანაც მისი არსებობა ხელს უშლის რეგრესიის კოეფიციენტების დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებას და შედეგობრივ ცვლადზე ფაქტორების ზემოქმედების ერთმანეთისგან გამიჯვნას. ასეთ დროს აუცილებელია მულტიკოლინეარობის აღმოფხვრა.

აღმოვაჩინეთ, რომ გვაქვს მულტიკოლინეარულობა. იგი აღმოფხვრებით ბიჯობრივი მეთოდის გამოყენებით და მივიღეთ არაწრფივი რეგრესიული მოდელი:

$$GDP = e^{1.522289} * (CPI)^{0.4665514} * (FDI)^{0.0923078} * (GovExp)^{0.27113466} * (EXR)^{0.3864858} * e$$

მთლიან შიდა პროდუქტზე ზეგავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი, რომელთაგან ჩვენ დამოუკიდებელ ცვლადებად ავიღეთ: ფასების ინდექსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სამთავრობო ხარჯები, ნომინალური გაცვლითი კურსი და ფიქტიური ცვლადი (კრიზისის პერიოდი და კრიზისის შემდგომი პერიოდი). თავდაპირველად, როცა მოდელში ჩართული გვაქონდა ფიქტიური ცვლადი, ის იწვევდა მულტიკოლინეარულობას და, გარდა ამისა, ეს ცვლადი იყო არამნიშვნელოვანი. ჩვენი მოდელი გავათავისუფლეთ მულტიკოლინეარულობისაგან. შემდეგ მიღებულ რეგრესიის მოდელში ყველა კოეფიციენტი მნიშვნელოვანია და თვითონ რეგრესიის მოდელის ხარისხის მიშენელოვნებაც გაიზარდა. ანუ ჩვენ მიერ აღებული დამოუკიდებელი ცვლადები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მთლიან შიდა პროდუქტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და ინდიკატორი, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: სამომხმარებლო ფასები ინდექსზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, სამთავრობო ხარჯებსა და ნომინალურ გაცვლით კურსზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ეკონომეტრიკულმა კვლევამ ცხადყო, რომ თითოეული აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდეს და შესაბამისად პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარების დონეზე. მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის აუცილებელ ფაქტორად თითოეული მოცემული ინდექსის გაუმჯობესება მივიჩნიოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.economy.ge>- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მთლიანი შიდა პროდუქტი, ოქტომბერი, 2011).
2. <http://www.geostat.ge/>- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. ი. ანანიავილი. ეკონომეტრიკა, თბილისი, 2008.
4. <http://www.pbo.parliament.ge>- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
5. ეკა გეგეშიძე. “მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა”, თბილისი, 2010.

**ANALYSIS OF THE GROSS DOMESTIC PRODUCT IN GEORGIA  
SUMMARY**

In the above mentioned article is given information about Georgian GDP, which gives opportunity to measure country's economic condition and accordingly level of life quality. According to the final data, there are considered and evaluated major factors that effect GDP, and their importance are approved by the econometric calculations for given index. Finally, on the basis of the obtained results, report displays that, along with GDP it is essential to support some indicators growth, such as CPI (Consumer Price Index), foreign direct investments, government spending and nominal exchange rate to provide high level of country's development.

*ლია ძებისაური*

**სტატისტიკა საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის კვლევასა**

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპები და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიური სწრაფვა გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, აჩქარებს გლობალური სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ კი საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების შესწავლისადმი.

საგარეო ვაჭრობა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნების მწარმოებლებს და მომხმარებლებს. უცხოური კაპიტალის კონცენტრირება ნებისმიერი სახელმწიფოს ბაზარზე, ზრდის ქვეყნის ჩართულობას საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და მთლიანად ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისათვის როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ მაკროდონეზე.

ეკონომიკური გლობალიზაცია არის ტენდენცია, რომელიც მიმართულია საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიის, ინფორმაციის, შრომისა და კაპიტალის საერთაშორისო ინტეგრაციისკენ. გლობალიზაცია ამაღლებს ქვეყნის მწარმოებლურობას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებისა და პროფესიული ცოდნის დონის გაუმჯობესების გზით, ზრდის მომხმარებელთა არჩევანის დიაპაზონს.

ქვეყნის გლობალურ სისტემაში ინტეგრირების საკითხების შესწავლისას გამოიყენება მაჩვენებლები, რომლებიც ცალსახად გამოხატავს კონკრეტულ სფეროში ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან დამოკიდებულების ხარისხს. ბოლო წლებში შემუშავდა გლობალიზაციის კომპლექსური ინდიკატორი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მაჩვენებლებს. აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის გლობალიზაციის დონის დადგენა და მისი პოტენციალის შეფასება.

ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ინფორმაციული ნაკადების შორ მანძილზე გადატანა. მისი ერთ-ერთი მხარეა რეალური ეკონომიკური ნაკადების მოცულობა, ისეთები, როგორც არის ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდე.

ეკონომიკური გლობალიზაციის უმთავრეს მაჩვენებლებს მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

დღეისათვის, როდესაც ასე აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი, გლობალიზაცია ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მიზანსწრაფვის ობიექტი ხდება. ასეთ დროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკურ შესწავლას განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების, უცხოური დაბან-დებების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხში.

გლობალიზაციის პროცესებში აქტიური ჩართვა ითვალისწინებს ეროვნული სტატისტიკური უწყების აქტიურ ინტეგრაციას საერთაშორისო სტატისტიკურ სისტემაში და მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას. მისი საშუალებით შესაძლებელია მაღალი დონის სტატისტიკის წარმოება, რაც გლობალური ინტეგრაციული პროცესების რეალურად დახასიათების საშუალებას მოგვცემს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური გახსნილობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული წილი მშპ-ში, ანუ ექსპორტისა და იმპორტის კოტები. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) წილი მშპ-ში. ეკონომიკის ექსპერტები მიიხნევენ, რომ გახსნილობის ხარისხი ჩაითვალოს მისაღებად, თუ ექსპორტის კოტა უდრის 10 პროცენტს. იმისათვის, რომ რეალურად შევაფასოთ აღნიშნულ სფეროში არსებული ტენდენცია, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშოთ გლობალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორები, გავაანალიზოთ ხანგრძლივი პერიოდის დინამიკური მწკრივი (ცხრილი №1) და შევაფასოთ საქართველოს ინტეგრაციის დღეისათვის არსებული დონე.

**ცხრილი №1. ექსპორტისა და იმპორტის კოტები საქართველოში**

	მშპ (მლნ აშშ დოლარი)	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	ექსპორტის კოტა (%)	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	იმპორტის კოტა (%)	პუი (მლნ აშშ დოლარი)	პუი-ის წილი მშპ-ში (%)
1997	3,510.7	244.2	7.0	995.4	28.4	242.6	6.9
1998	3,606.9	191.3	5.3	882.6	24.5	265.3	7.4
1999	2,814.1	238.0	8.5	689.6	24.5	82.2	2.9
2000	3,059.1	323.9	10.6	709.5	23.2	131.2	4.3
2001	3,221.0	317.2	9.8	752.0	23.3	109.8	3.4
2002	3,397.8	345.7	10.2	794.7	23.4	160.2	4.7
2003	3,990.8	461.3	11.6	1,139.0	28.5	334.6	8.4
2004	5,124.7	646.9	12.6	1,844.3	36.0	492.3	9.6
2005	6,411.0	865.5	13.5	2,487.5	38.8	449.8	7.0
2006	7,761.7	936.4	12.1	3,674.8	47.3	1,190.4	15.3
2007	10,171.9	1,232.1	12.1	5,212.2	51.2	2,014.8	19.8
2008	12,800.5	1,495.3	11.7	6,301.5	49.2	1,564.0	12.2
2009	10,767.1	1,133.6	10.5	4,500.2	41.8	658.4	6.1
2010	11,636.5	1,677.5	14.4	5,257.1	45.2	814.5	7.0
2011*	14,370.4	2,189.1	15.2	7,057.8	49.1	980.6	6.8

\* წინასწარი მონაცემები


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1996-1999 წლებში და ასევე 2001 წელს, ექსპორტის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის დონე მისაღებზე დაბალი იყო. მაგრამ 2011 წელს ექსპორტის კვლამ 15.2 პროცენტი შეადგინა. საიმპორტო ნაკადების მიმართულებით უფრო მეტი გააქტიურება შეიმჩნევა 2006 წლიდან და შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის მიუხედავად, ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილს მშპ-ში, ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია. მასზე დამანგრეველი ზეგავლენა იქონია 2008 წლის ომმა ჩრდილოელ მეზობელთან.

საქართველო, კაპიტალიზმის რელსებზე ახლადშემდგარი ეკონომიკით, 2008 წლის დასაწყისში პირისპირ შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში აქტიური ინტეგრაციის ფონზე, ბუნებრივია, ქვეყანა გვერდს ვერ აუვლიდა კრიზისის დამანგრეველ ძალას. თუმცა, ჩვენი ეკონომიკის მასშტაბებიდან და გლობალური ეკონომიკური და საფინანსო სისტემის ფუნქციონირებაში მისი უმნიშვნელო როლიდან გამომდინარე, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით რეცესია ნაკლებად შეეხო საქართველოს, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისში.

სსფ-ის პროგნოზით, 2009 წელს განვითარებულ ეკონომიკებში გლობალური რეცესია გარდაუვალი იყო. 2009 წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო ფინანსური კრიზისის შერბილება და შესაბამისად, ეკონომიკის უმნიშვნელო ზრდა. თუ წინა პერიოდებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები 2009 წელს უარყოფითი ნიშნით შეიცვალა და - 3.8 % შეადგინა, მსოფლიო ეკონომიკის შედარებითი გაჯანსაღების ფონზე 2010 წლიდან საქართველოში ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მყარი ტენდენცია შეინიშნება და 2011 წლის წინასწარი მონაცემებით 7.0 პროცენტს შეადგენს (დიაგრამა №1):

**დიაგრამა №1. მშპ-ის რეალური ზრდა საქართველოში (%)**




\* წინასწარი მონაცემები.

ამ პერიოდში გართულდა მდგომარეობა საერთაშორისო ბაზრებზეც ეროვნული წარმოების პროდუქციის გატანისა და სავაჭრო კრედიტების გადახდის საკითხში. მკვეთრად შემცირდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მოცულობა. გაუარესდა საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაც.

უცხოური საინვესტიციო ნაკადების განუხრელად მზარდი ტენდენცია ამ პერიოდში რადიკალურად შეიცვალა. 2008 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2005 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და 135 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (დიაგრამა №2). ამავე წლის მეოთხე კვარტალში ინვესტიციების 286 მლნ აშშ დოლარამდე გაზრდა ძირითადად უცხოელი ინვესტორების მხრიდან პირდაპირი ინვესტირების საწარმოებზე გაცემული დიდი ოდენობით სესხების ხარჯზე მოხდა. შემდგომ პერიოდებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა

საქართველოში საგრძნობლად შემცირდა. მაღალი რისკის საინვესტიციო გარემომ და არასტაბილურმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ უცხოელმა ინვესტორებმა მასიურად დაიწყეს დივიდენდების აღება და საწარმოთა სულ უფრო მცირე რაოდენობა ახორციელებდა საკუთარი საქმიანობიდან მიღებული მოგების ხელახალ რეინვესტირებას საწარმოში.

**დიაგრამა №2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში**




\* წინასწარი მონაცემები.

ამ მხრივ აშკარა გაუმჯობესება მხოლოდ 2011 წელს გახდა შესამჩნევი, როცა, მთელი წლის მზარდი ტენდენციის ფონზე, მეოთხე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში 337.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გლობალური კრიზისისა და პოლიტიკური არასტაბილურობის დაწყების შემდეგ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და იმედის მომცემი იმ მხრივ, რომ უცხოელი ინვესტორების დაინტერესება საქართველოს მიმართ კვლავ გაიზრდება. ეს ტენდენცია, ერთი მხრივ, ეროვნული წარმოების განვითარებისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა და, მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის მძლავრი მასტიმულირებელი ფაქტორია.

ინდიკატორები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის გლობალიზაციის ყველაზე რეალური საზომია, დინამიკაში მზარდ ტენდენციას აჩვენებენ (დიაგრამა №3), რაც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის მომავალი გადრმავეების მყარი საფუძველია:

**დიაგრამა №3. გლობალიზაციის ინდიკატორები საქართველოში**



\* წინასწარი მონაცემები.

გლობალიზაციის დონის გადრმავეების ტენდენციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2000 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 18 ქვეყნიდან

განხორციელდა, 2005 წელს ეს მანქვნებელი 38-მდე გაიზარდა, ხოლო 2011 წელს 63 ქვეყანა დაფიქსირდა.

ზოგადად, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, გლობალიზაცია მიმზიდველი და მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვის, თუ ისინი მის დადებით ეფექტებს თავის სასარგებლოდ გონივრულად გამოიყენებენ. ამ პროცესებში კი სტატისტიკას ისტორიული მნიშვნელობის როლი ენიჭება. ოპერატიული და სანდო სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა, რეალურად შეფასდეს მიმდინარე პროცესები და სახელისუფლო ორგანოების მხრიდან შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკის გლობალიზაციისაკენ მიმართული ოპტიმალური პოლიტიკა.

*Dzebisauri Lia*

## **STATISTICS TO FOLLOW THE GLOBALIZATION OF GEORGIAN ECONOMY SUMMARY**

In the current globalized world, users' needs go beyond the borders and possibilities of national statistical systems, the significance of international cooperation to develop integrated methodologies increase, and investment in statistics becomes more needed.

Very active integration process of Georgian economy in the world's global economic system requires behaving more intensively in the process of globalization by broadening geographic area for external trade flows and increasing foreign direct investments.

Main incentives for the changes include new expectations in the current reality. One of the key matters under these changing conditions is to maintain confidence in official statistics, which is facing new challenges. This requires, among other things, further input of statistical system. Due to globalization, international organizations have to play a major role in the development of official statistics. It is the most important source to inform policymakers about the current tendencies of economic development and help them in making optimal decisions for rapid growth of national economy and ensuring intensive cooperation in global integration process.

*ბორის ჭიჭინაძე*

### **რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები**

თანამედროვე პირობებში, მაშინ, როცა მეტად მწვავედ დგას საკითხი ამა თუ იმ ქვეყნის წინაშე, თუ როგორ ეკონომიკურ მოდელს აირჩევს ქვეყანა მისი შემდგომი განვითარებისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებას, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებას. რეგიონული ეკონომიკა კი თავისთავად წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს. თანამედროვე მსოფლიოში წარმოქმნილი ეკონომიკური რეცესიების პირობებში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მთავრობების წინაშე გადახედვას დაექვემდებარა დღემდე არსებული სხვადასხვა ეკონომიკური დოქტრინები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტების მიერ და წლების განმავლობაში ამა თუ იმ ქვეყნის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის საქმეში.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნორმალურ წარმართვაზეა ძირითადად დამოკიდებული რეგიონული პოლიტიკის წარმოებაც, რადგანაც, რაც არ უნდა კარგი რეგიონული პოლიტიკა არსებობდეს, თუ ის არ ჯდება ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიაში, მისი განხორციელება წარმოუდგენელია. მეტად საინტერესო

იქნება თუ ღრმად გავაანალიზებთ თანამედროვე საქართველოს რეგიონული პოლიტიკის დადებით და უარყოფით მხარეებს და სამომავლოდ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ პრიორიტეტებს დავსახავთ.

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობები მუშაობენ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონი წარმოადგენს თვითმმართველობების ძირითად სამოქმედო კანონს. აღნიშნული კანონით რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფუნქციები, განსაზღვრულია მათი უფლებები და მოვალეობები. ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო მოწყობა კი რეგულირდება საქართველოს კანონით, რომელიც „საბიუჯეტო კოდექსის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ ეს ორი კანონი არის ძირითადი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებთან ერთად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ არეგულირებს თვითმმართველობების მუშაობას, აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს გააჩნიათ საკუთარი უფლებამოსილებები, ესენია: ა) ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება; ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვა; გ) ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა; დ) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება. ე) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ვ) საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება, სასაფლაოების პატრონობა; ზ) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება; თ) მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ი) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამების და გეგმების შემუშავება და დამტკიცება; კ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება.

როგორც საქართველოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგმა გვიჩვენა, თვითმმართველობების აბსოლუტურ უმრავლესობაში (თითქმის 90%-ში) არ ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობების ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებანი, ეს გამოწვეულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. ხშირ შემთხვევაში ამ საკუთარი უფლებამოსილებების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ ცენტრსა და თვითმმართველობებს შორის არ არის უფლებამოსილებები მკაფიოდ გამიჯნული, ადგილებზე შეინიშნება საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ქრონიკული უკმარისობა და, რაც მთავარია, უმრავლესი მუნიციპალიტეტები განიცდიან კვალიფიციური საჯარო მოხელეების დეფიციტს.



კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს კანონი „საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“, აღნიშნული კანონის 65-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომ ეს ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტისგან. ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველობებს ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშების წესი განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. გათანაბრებითი ტრანსფერი ვერ უზრუნველყოფს თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. არასაკმარისი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლები კი, საერთო ჯამში, თვითმმართველობების მუშაობაზე ნეგატიურად აისახება. გამომდინარე აქედან, ვედარ უმჯობესდება რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობა და ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრზე (თბილისი) დამოკიდებულნი ხდებიან.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ტერიტორიული და დარგთაშორისი განვითარების სრულყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინებით, რამდენადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებული ადგილებზე სოციალური პრობლემების სწორად გადაწყვეტა. ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, მუნიციპალიტეტების საინვენესტიციო მიმზიდველობის ზრდა და, საერთო ჯამში, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ყოველივე ზემოთ აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკური“ კანონების ცხოვრებაში გატარებით, რომლის გარეშეც ფაქტობრივად წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური განვითარების გარეშე კი ზედმეტია საუბარი ერთიანი რეგიონული პროდუქტის წარმოების ზრდაზე. სწორედ მიღებულმა კანონებმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა წარმოებული რეგიონული პროდუქტის დადგენის საქმეში, რადგანაც რეგიონში წარმოებული პროდუქტით (მათ შორის მომსახურებით) შეიძლება სწორი ანალიზის გაკეთება სამომავლოდ ადგილებზე გასატარებელი ეკონომიკური რეფორმების კუთხით. დღეს კი აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობებს არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობის დასადგენად, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების ოდენობის გასარკვევად. ადგილებზე მოქმედი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის არარსებობა, თავის მხრივ, ძირითად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის დროს. ადგილობრივი ბიუჯეტები იგეგმება სპონტანურად ადგილებზე ყოველნაირი საბიუჯეტო გადასახადების შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობების ერთადერთ შემოსავალს დღეს მოქმედი გადასახადებიდან წარმოადგენს მხოლოდ ქონების გადასახადი, ქონების გადასახადი თავის თავში მოიცავს როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ქონების გადასახადს, ასევე სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადს, სწორედ ქონების გადასახადიდან ამოსაღები თანხები წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 20%-ს. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოები) მიერ მიღებულმა ადგილობრივი ბიუჯეტების

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის დამტკიცებისას თითქმის არ ხდება ქონების გადასახადის გეგმით გათვალისწინებულ ნაწილში იმის გაშიფვრა, თუ რომელი საწარმოებიდან ელიან ადგილობრივი თვითმმართველობები ბიუჯეტში გათვალისწინებული ქონების გადასახადს (მათ შორის მიწის გადასახადს), ეს კი ქონების გადასახადის დაგეგმვისას დიდ უზუსტობას იწვევს. სწორედ ეს არის იმის გამომწვევი მიზეზი, რომ საქართველოს ზოგიერთ თვითმმართველობას ქონების გადასახადის კუთხით გეგმა აქვს შესრულებული 200%-ით, ზოგს კი 40%-ით, ეს სწორედ ქონების გადასახადის არასწორად დაგეგმვით არის გამოწვეული. კიდევ უფრო რთულად დგას საქმე ერთ-ერთი ადგილობრივი მოსაკრებლის – ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის დაგეგმვის დროს, აღნიშნული მოსაკრებლიდან ამოღებული თანხები 100%-ით ირიცხება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებში. აღნიშნული მოსაკრებლიდან მისაღებ თანხებს ადგილობრივი თვითმმართველობები გეგმავენ წინა წლებში ფაქტობრივად მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ფაქტობრივად არ ხდება კონსულტაციების მიღება იმ სახელმწიფო უწყებებთან, როგორცაა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სამინისტრო, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, იმასთან დაკავშირებით თუ რომელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცეს ზემოაღნიშნულმა უწყებებმა შესაბამისი ლიცენზია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კუთხით მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იწვევს სწორედ ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლების კუთხით ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის დაგეგმვის არაეფექტურობას. როგორც ზემოთ აღნიშნულით, ეს ხშირად გამოწვეულია იმით, რომ უმრავლესი ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე არ არის მიღებული „ცოდნაზე დამყარებული“ ეკონომიკური კანონები, რაც, საერთო ჯამში, ადგილობრივი ბიუჯეტების გამჭვირვალობაზე ნეგატიურად აისახება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ, როგორც საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზმა გვიჩვენა, თითქმის უმრავლესი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტში ძალიან მიზეზური თანხებია გათვალისწინებული ადგილობრივ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები არა თუ კვალიფიკაციის ამაღლებას, არამედ ადგილობრივ საჯარო მოხელეთა გადამზადების ცენტრთან მისვლასაც კი ვერ უზრუნველყოფს, რის გამოც, ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ცოდნის დონე ყოველწლიურად კლებულობს, რაც იწვევს პროფესიული კადრების მუნიციპალიტეტიდან გადინებას და თვითმმართველობებს არაკონკურენტუნარიანს ხდის. გამომდინარე აქედან, საჭიროა, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივ თვითმმართველობებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიეცეთ აღნიშნული კუთხით.

პრობლემურად დგას საკითხი ასევე იმის შესახებ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ მონაცემები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე შემოსული და გასული ადგილობრივი თუ უცხოური ინვენსტიციების მოძრაობის შესახებ, რადგანაც დღეს მოქმედი არანაირი კანონი თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს არ ავალდებულებს შემოსული და გასული ინვენსტიციების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს ადგილობრივი თვითმმართველობები. მაშინ, როცა მოზიდული ინვენსტიციები წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ მაკროეკონომიკურ პარამეტრს ამა თუ იმ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საქმეში. საჭიროა ამ მხრივ ისეთი კანონები იქნეს მიღებული, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობას ამ კუთხით უფრო ეფექტურს გახდის და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური მდგომარეობის ეფექტურ განვითარებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს შემდეგი მაჩვენებლები:

1. ადგილობრივი განათლების დონე;
2. ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა;
3. ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა;
4. ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მომსახურებაზე;
5. ადგილობრივი მოსახლეობის ბედნიერების ხარისხი;
6. ადგილობრივი მცხოვრებლების შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე;
7. ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება;
8. ადგილობრივ დონეებზე ბიზნესის სხვადასხვა სახეობების მოზიდვა;

